საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მიცეილ გონიკიშვილი

გაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში

„მეცნიერება" — თბილისი — 1986

63.3.(2Г)
Ბ 673

ნაშრომში, საარქივო მასალების, გამოუქვეყნებელი წყაროებისა და არსებული ლიტერატურის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მოცემულია ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო სახლის წევრთა რუსეთში გადასახლების მიზეზები, მათი მდგომარეობა და მოღვაწეობა რუსეთში 200 წლის მანძილზე.

ვრცლადაა გაშუქებული რუსეთის სხვადასხვა ქალაქში დასახლებულ ქართველ პატონიშვილთა, მათ შორის მეცნიერთა, მხედართმთავართა და სახელმწიფო მოღვაწეთა ის დიდი და ერთგული თავდადებული სამსახური რუსეთის სახელმწიფო კარზე, რომელმაც სახელი გაუთქვა ჩვენი ერის იქაურ წარმომადგენლებს და დიდი როლი ითამაშა ერთმორწმუნე რუს ხალხთან დაახლოებასა და დამეგობრებაში.

ნაშრომში ქრონოლოგიურადაა განხილული ქართველ მეცნიერთა, მხედართმთავართა და სახელმწიფო მოღვაწეთა საქმიანობა და ადგილი რუსეთის სამეფო კარზე. აქვე გაშუქებულია აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა დამოუკიდებლად არსებობის უკანასკნელ წლებში, 1783 წლის ტრაქტატი და რუსეთთან შეერთება.

ნაშრომში ნათლად და დამაჯერებლადაა მოცემული რუსეთთან შეერთების პროგრესულობა, რომ საქართველოსათვის რუსეთთან შეერთება ერთადერთი გზა იყო ერის კეთილი მომავლისათვის, რაც ისტორიულადაც დადასტურებულია.

ნაშრომი ილუსტრირებულია და შეიცავს სამეფო სახლის წევრებისა და მათ ახლობელთა რამდენიმე, ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ სურათს.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი
გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი
რეცენზენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები —
გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი, ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი.

0505010000
Ბ ——————— რეზ. 86
М 607 (06)—86

© გამომცემლობა „მეცნიერება"

ვუძღვნი ჩემი ძმის, სამამველო ომის ვეტერანის, შალვა გოგიჩაიშვილის ნათელ ხსოვნას

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველო-რუსეთის ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, დაწყებული XI საუკუნიდან მისი იმპერიის საზღვრებში მოქცევამდე. ამ ხნის განმავლობაში ორივე ხალხის ერთმანეთთან დაახლოება და შემდეგ მჭიდრო კავშირი განპირობებული იყო როგორც საკუთარი, ასევე საერთო ინტერესებით.

მართალია, ეს ურთიერთობა XIII—XIV საუკუნეებში, თათარ-მონღოლთა ბატონობის პერიოდში. საგრძნობლად შესუსტდა და, შეიძლება ითქვას, თითქმის შეწყდა კიდეც. მაგრამ მომდევნო ხანში კვლავ აღდგა, გაფართოვდა, გაღრმავდა და მჭიდრო კავშირში გადაიზარდა.

1491 წელს კახეთის მეფე ალექსანდრეს მიერ ივანე მესამესთან ოფიციალური წარმომადგენლების გაგზავნით ისახება ამ ორ ხალხს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ცდები. ამ პერიოდიდან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოთა მესვეურებმა მრავალჯერ გაგზავნეს თავიანთი ელჩები რუსეთის სამეფო კარზე არა მარტო დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად, არამედ სამხედრო დახმარების მიღების მიზნითაც.

XVI—XVIII საუკუნეებში ირან-ოსმალეთის გაუთავებელ თარეშს დაღესტანელ ლეკთა გამუდმებული თავდასხმები დაერთო. ამ მძიმე მდგომარეობიდან თავდახსნას ქართველი ხალხი რუსეთის დახმარებითა და მხადაჭერით ცდილობდა.

რუსეთის მთავრობას მიზნად ჰქონდა შავსა და კასპიის ზღვებზე გაბატონება, ამის მისაღწევად ესწრაფვოდა იმპერიის საზღვრებში კავკასიის მოქცევას, რაც ირანისა და თურქეთის სასტიკ წინააღმდეგობას იწვევდა. ამ გეგმის განხორციელებაში საქართველოს რუსეთთან დამეგობრებასა და, ბოლოს, შეერთებას დიდმნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა: რუსეთის იმპერიის საზღვრები კასპიის ზღვამდე გადაიწევდა, საქართველო, სამეფო-სამთავროებად დაშლილი, კვლავ გაერთიანდებოდა და დაუბრუნდებოდა თურქეთის მიერ მიტაცებული შიწა-წყალი.

ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას საფუძველი პრაქტიკუ-

ლად ჯერ კიდევ XVII ს. 80-იან წლებში ჩაეყარა, რის საუკეთესო მაგალითსაც წარმოადგენს არჩილ მეფის მემკვიდრის — ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკის (1674—1711) პეტრე პირველთან გულითადი მეგობრობა და რუსეთისადმი ერთგული და თავდადებული სამსახური. მომდევნო წლებში ეს მეგობრული ურთიერთობა თანდათან გაფართოვდა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იმდენად გაღრმავდა და განმტკიცდა, რომ 1768—1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში ქართველები რუსი ჯარისკაცების გვერდით იბრძოდნენ[1]. აღნიშნული მეგობრული ურთიერთობა 1783 წელს საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის ტრაქტატით იქნა შედუღაბებული.

ტრაქტატის დადებამ ირანისა და თურქეთის მმართველი წრეების დიდი აღშფოთება გამოიწვია, რადგან იგი, ფაქტიურად, მათთვის საქართველოს დაკარგვას ნიშნავდა[2]. ოსმალეთმა საქართველოს წინააღმდეგ ახალციხის ფაშა და დაღესტნელი ფეოდალები აამხედრა[3]. აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლე მეორეს წერილობით აცნობა თავისი უკმაყოფილება და სთხოვა რუსეთთან დადებული ტრაქტატის უარყოფა. „ახლა ჩვენი დიდებული ნება ეს არის, რომ თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ. ამგუარი საქმეები განიშოროთ, რომ ქვეყნის თასლიბიც არის და რუსების შეერთებულება დაჰხსნა“[4]. ბოლოს, თუ მეფე ერეკლე არ შეასრულებდა თხოვნას, აღა-მაჰმად-ხანი იმუქრებოდა: „თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, ამ ცოტას ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთ სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მჰსგავსად მდინარეთა გავაკეთებთ“[5]. ქართველმა ხალხმა, ერეკლე მეორის თაოსნობით, ყურად არ იღო აღა-მაჰმად-ხანის თხოვნა-მუქარა და რუსეთთან მრავალსაუკუნოვან მეგობრობასა და 1783 წლის სამფარველო ტრაქტატს არ უღალატა. მართალია, აღა-მაჰმად-ხანმა მუქარა არ იკმარა, 1795 წელს თავისი ჯარით შემოესია საქართველოს, ააოხრა და გაძარცვა თბილისი, ათიათასობით ტყვე წაიყვანა, მაგრამ რუსეთის დახმარებით მალე საქართველო საბოლოოდ განთავისუფლდა ირან-თურქეთის უღლისაგან. 1783 წლის ტრაქტატით საქართველომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება აღიარა, 1801 წ. აქტით კი რუსეთს შეუერთდა.

---

[1] Ц. П. Каландадзе, Участие грузин в культурной и общественной жизни России, Тбилиси, 1979. с. 7—8.

[2] გ. ჭაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბილისი, 1980, გვ. 47.

[3] იქვე.

[4] СМОМПК, вып. XXIX. Тиф., 1901, с. 149.

[5] იქვე.

ტრაქტატს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისათვის. მან მოამზადა საფუძველი საქართველოს რუსეთთან შესაერთებლად. ამიერიდან, სამხედრო თანამეგობრობასთან ერთად, ურთიერთობა ფართოვდება სულიერ და ეკონომიკურ სფეროშიც. ბევრი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი მოღვაწეობდა რუსეთის იმპერიის ქალაქებში: სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვში და სხვ., სადაც შეუნელებლივ მატულობდა ქართველთა რიცხვი, განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისიდან[6].

1801 წლიდან, აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, სამეფო საგვარეულოს თითქმის ყველა წარმომადგენელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გაიწვიეს საცხოვრებლად.

მოგვიანებით, იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცევისთანავე, და ნაწილობრივ მანამდეც, სამეფო ტახტის ყველა მოსალოდნელ პრეტენდენტს იგივე ბედი ეწვია — ისინიც რუსეთში, ძირითადად მოსკოვში, პეტერბურგში, ვორონეჟში, ბელგოროდსა და სხვა ქალაქებში, ერთიმეორისაგან დაცილებულ ადგილებში დაასახლეს. „ჩვენ განბნეულ ვიყვენით როსიასა შინა მათ (რუსეთის მთავრობის — მ. გ.) მიერ"[7] — აღნიშნავდა ბაგრატ ბატონიშვილი.

სამეფო საეკარეულოს წარმომადგენელთა საქართველოდან რუსეთში გაწვევა და იქ დასახლება მიზნად ისახავდა სამეფო ტახტის პრეტენდენტების მოცილებას სამშობლოდან, რომ არ დარჩენილიყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ტახტის აღდგენის შეტრფიალე და ამით სამუდამოდ მოხსნილიყო დღის წესრიგიდან სამეფოთა დამოუკიდებლად არსებობაზე ფიქრიც კი.

რუსეთში გადასახლებული ქართველები იმპერიის სამსახურს შეუდგნენ. ბევრი მათგანი გამოჩენილი სამხედრო პირი გახდა და რუსეთის მთავრობის დიდი ნდობა და მაღალი ჩინი დაიმსახურა[8].

ბევრმა ქართველმა დიდი თანამდებობა მიიღო რუსეთის სახელმწიფო მმართველობაში, 10-ზე მეტმა გენერლის ჩინამდე მიაღწია

---

[6] Ц. П. Каландадзе, Участие грузин в культурной и общественной жизни России, Тбилиси, 1979, с. 15.

[7] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოც. თ. ლომოურის მიერ, თბილისი 1941, გვ. VI.

[8] მეფე ერეკლე მეორის შვილი — მირიანი — იყო სენატორი, გენარალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, ხოლო ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-ომერეტინსკი — სახელმწიფო საბჭოს წევრი, ადრე ვარშავის გენერალ-გუბერნატორი. 1881 წელს იგი კონსტანტინოპოლში გაიგზავნა, როგორც რუსეთის საგანგებო ელჩი, რომელსაც თურქეთის მთავრობისათვის უნდა ეცნობებინა იმპერატორ ალექსანდრე მეორის სიკვდილი, ალექსანდრე მესამის გამეფება და სხვა.

რუსეთის არმიაში, ზოგმა კი სამწერლო მოღვაწეობას მიჰყო ხელი[9]. მათი შემოქმედების თემას მეტწილად წარმოადგენდა საქართველოს XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორია, სამეფო-სამთავროების შინაგანი მდგომარეობა, მათი რუსეთთან ურთიერთობა და იმპერიის საზღვრებში მოქცევა. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი ეხებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების გარდუვალობას და ამ მოვლენას აღარებდა 1654 წელს უკრაინის რუსეთთან შეერთებას. იგი ასკვნიდა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება ისევე ერთადერთი გზა იყო ქართველი ერისათვის. როგორც უკრაინელი ხალხისათვის რუსეთთან შეერთება. საქართველოს დამოუკიდებლად არსებობისათვის საგარეო ვითარების გარდა სიძნელეებს ქმნიდა ისიც, დასძენს ავტორი, რომ ერეკლე მეორის ვაჟები მეტწილად დაქორწინებულები იყვნენ ქართველ თავად-აზნაურთა ასულებზე, ისე, რომ მეფეს ნათესაური კავშირი ჰქონდა საქართველოს სამეფო-სამთავროთა თავად-აზნაურებთან: დადიანებთან, ციციშვილებთან, ანდრონიკაშვილებთან, ამილახვრებთან და სხვ. ყველა ბატონიშვილს თავისი პარტია ჰყავდა. ყველას ეშვი ეპარებოდა საქართველოს კვლავ დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობაში, სხვადასხვა აზრი ჰქონდა სამშობლოს მომავალზე. ერთნი ირანისაკენ მიისწრაფოდნენ, მეორენი — თურქეთისაკენ, მესამენი კი რუსეთთან კავშირზე ამყარებდნენ იმედს. ყველა თავის თავზე ფიქრობდა და თავის სასარგებლოდ მუშაობდა, რამაც უფრო გაართულა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობა. რუსეთმა კარგად იცოდა საქმის ვითარება საქართველოში და ჩინებულადაც გამოიყენა იგი.

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ მისმა უფროსმა შვილმა, საქართველოს მმართველმა დავითმა 1801 წლის 8 იანვარს რუსეთთან შეერთების აქტს მეფის ტიტულის გარეშე მოაწერა ხელი. ამავე პერიოდში დაიწყო, მეფის მთავრობის მითითებით, ბაგრატიონთა რუსეთში გადასახლება. მათი პირველი თაობის წარმომადგენლები ოფიციალურად „ქართველ ბატონიშვილებად“ იწოდებოდნენ, რომელთა საპატიო ზედწოდება იყო „უგანათლებულესობა“. ამ თაობამ 61 წელიწადს — 1800 წლიდან 1861 წლამდე — იარსება, როდესაც უკანასკნელი ბატონიშვილი — მიხეილ გიორგის ძე გარდაიცვალა.

---

[9] მხედველობაში გვაქვს დავით ბატონიშვილის „ახალი ისტორია“, დაწერილი 1814 წელს; ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა“, დამთავრებული 1819 წელს და გამოცემული თამარ ლომოურის მიერ 1941 წელს; ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკის „ბაგრატიონები რუსეთში“, ხელნაწერი დასრულებულ იქნა 1885 წელს და სხვა.

ბატონიშვილთა შთამომავლობის ოფიციალური წოდება იყო „ქართველი თავადი", საპატიო ზედწოდება 1865 წლამდე — „ბრწყინვალება", 1865 წლიდან კი — „უგანათლებულესობა".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა „ქართველი თავადის" მომავალი სამსახურებრივი კარიერა პაჟების კორპუსში მიღებული განათლებით იწყებოდა. ქართველი ბატონიშვილები ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთს; მათმა შთამომავლობამ „ქართველმა თავადებმა" კი უფრო მეტად გამოიჩინეს თავი იმპერიის სამსახურში. მათ არაერთი ბრწყინვალე საბრძოლო ფურცელი ჩაწერეს რუსეთის სამხედრო ისტორიაში.

1800 წლიდან 1842 წლამდე, როდესაც მიმდინარეობდა სამეფო საგვარეულოს ჩამომავალთა გადაყვანა რუსეთში, მათ დასასახლებლად და მატერიალურად უზრუნველსაყოფად არავითარი სპეციალური დადგენილება არ არსებობდა. ისინი ეწყობოდნენ უმაღლესი ხელისუფლების შეხედულებით და იმ დროისათვის საკმაოდ კარგად. მაგალითად, საქართველოს ოთხ დედოფალს: ერეკლე II მეუღლეს — დარია გიორგის ასულს, გიორგი XII მეუღლეს — მარიამ გიორგის ასულს, იმერეთის დედოფლებს — დავით გიორგის ძის მეუღლეს — ანა მათეს ასულს, სოლომონ II მეუღლეს — მარიამ კაციას ასულს და, ბოლოს, სამეგრელოს მმართველ (დედოფალს) ნინოს საკმაოდ კარგი პირობები შეუქმნა რუსეთის მთავრობამ. ყველა იღებდა ეკატერინეს ლენტს, ეძლეოდა შესაფერისი ბინა და კარის ეკიპაჟის ყოლის უფლება, შესანახი თანხა და ერთდროული დახმარება. ჰქონდათ მუდმივი პენსიები, ერთი სიტყვით, ცხოვრების ყველა პირობა ექმნებოდათ. არ ჰქონდათ მხოლოდ საქართველოში ცხოვრების უფლება. ბატონიშვილები თავიდან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, 1842 წლიდან კი მათი საკითხების მოგვარება დაევალა საგარეო საქმეთა, შემდეგ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს განსკუთრებულ გამგებლობას, რომელთანაც იყო IV კლასის განსაკუთრებული მოხელე, საქართველოს მთავარი პრისტავის სახელწოდებით. აი, ამ უკანასკნელის უშუალო ჩარევის გარეშე არც ერთი ბატონიშვილის შესახებ დიდმნიშვნელოვანი საქმე არ გადაწყდებოდა[10].

რუსეთში დასახლებული ბატონიშვილები საკმაოდ დიდი პატივითაც სარგებლობდნენ: ისინი იხსენიებოდნენ კალენდარში — მთავრობის პირთა განსაკუთრებულ განყოფილებაში; რუსეთის სამეფო კარ-

---

[10] Н. К. Имеретинский, Багратиды в России, 1885, с. 87. ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ზე საპატრო ადგილებს იღებდნენ სამეფო დღესასწაულების თუ სხვა ცერემონიალების დროს.

ბატონიშვილების მატერიალური უზრუნველყოფით თავიდან თვით მთავრობა იყო დაინტერესებული. იმპერატორი პავლე პირველი შეჰპირდა ბატონიშვილებს, რომ თითოეულ მათგანს მისცემდა 1000 სულ გლეხს[11]. ეს შეპირება არ შესრულებულა. სამაგიეროდ, ბატონიშვილებს მუდმივი პენსიები დაენიშნათ. ბოლოს საკმაოდ დიდი თანხა დაურიგდათ მამულების შესაძენად. თუმცა მალე დარწმუნდნენ, რომ მამულების შეძენა მათ ხელს არ მისცემდა და დაიწყეს თხოვნა მიღებული თანხის უკან დასაბრუნებლად იმ პირობით, რომ კვლავ პენსიები დანიშვნოდათ. რუსეთის მთავრობა ყოველთვის ცდილობდა შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინა ბატონიშვილების თხოვნა, რათა ამ უკანასკნელთ არ მოენდომებინათ საქართველოში დაბრუნება.

---

[11] Н. К. Имеретинский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 88.

ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი

რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერი — ბატონიშვილი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი[1] დაიბადა 1674 წელს თბილისში*. მამა მისი არჩილი (ვახტანგ V-ის

---

[1] იმერეტინსკებად შემდეგში იწოდებოდნენ იმერეთიდან რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილები ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოდან რუსეთში გადასული ბატონიშვილები იწოდებოდნენ გრუზინსკებად.

სოლომონ II-სთან ერთად 1815 წ. ტრაპიზონში გადასახლებულმა ქართველებმა გვარად ივერაუღო — ე. ი. ივერიისშვილი — მიიღეს. თურქეთში ვხვდებით გიურ-ჯიოღლის, სპარსეთში — გიურჯიზადეს და სხვა.

* ჟ. „ცისკრის" 1985 წ. № 10-ში (გვ. 155—160) დაიბეჭდა ნიკო ჯადუგიშვილის წერილი „ალექსანდრე არჩილის ძის ბიოგრაფიისათვის", სადაც მოცემულია ალექსანდრეს დაბადების თარიღისა და მის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხის დაზუსტებისა.

ნ. ჯადუგიშვილი აკრიტიკებს ავტორებს, რომლებიც ალექსანდრე არჩილის ძის დაბადების თარიღად გვთავაზობენ 1664, 1674 წლებს და მიაჩნია, რომ ისინი არ შეესაბამებიან სინამდვილეს. გაკრიტიკებულ შრომათა შორის დასახელებულია ჩვენი სტატიაც (ჟ. „ცისკარი", 1972 წლის № 5, გვ. 129—139), სადაც, ვეხებოდით რა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს ალექსანდრეს დაბადების თარიღთან დაკავშირებით, ვამტკიცებდით, რომ იგი 1674 წელს დაიბადა. აქ არ გვეიმეორებთ ამ საკითხზე ჩვენს არგუმენტაციას, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ნ. ჯადუგიშვილი დარეჯან არჩილის ასულის დაბადების თარიღად იყენებს 1668 წ., ალექსანდრესას კი — 1669 წ. (დასახ. სტატია, გვ. 157). იგი ემყარება იმას, რომ არჩილი დაქორწინდა 1666 ან 1667 წელს ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით და, ამდენად, დასაშვებია დარეჯანის და ალექსანდრეს ამ წლებში დაბადება. მართალია, წერს ნ. ჯადუგიშვილი, ალექსანდრეს დაბადების თარიღს — 1669 წელს ეწინააღმდეგება მისი საფლავის ქვაზე აღმოჩენილი ეპიტაფია, მაგრამ ალექსანდრე ბაქარის ძის ეპიტაფიაში არსებული შეცდომა აქაც შეცდომის არსებობას გვავარაუდებინებსო (იქვე, გვ. 158). ეს არგუმენტები რომ საკმარისი არაა ალექსანდრეს დაბადების თარიღის შესასწორებლად და ნაძალადევად გამოიყურება, ამას საგანგებო მტკიცება არ სჭირდება.

სწორადაა შემჩნეული ნ. ჯადუგიშვილის მიერ ფეოდოსია მილოსლავსკაიაზე ალექსანდრეს დაქორწინების ჩვენეული თარიღის (1691 წ.) უზუსტობა, მაგრამ აქ თვითონაც უარეს უზუსტობას იჩენს, როცა პეტრე I მიერ მილოსლავსკების შერისხვას 1589 წლის ათარიღებს (გვ. 156).

გაუგებრობის შედეგად მიგვაჩნია ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს

ძე) ალექსანდრეს დაბადებისას ირანის შაჰის მიერ ახალი ჩამოგდებული იყო კახეთის სამეფო ტახტიდან.

არჩილი ტახტის დაბრუნების გეგმებს აწყობდა, მაგრამ ალექსანდრეს დაბადებისთანავე ახალციხეში გადავიდა, სადაც დიდხანს არ დარჩენილა საცხოვრებლად.

შეიტყო თუ არა მამის — ვახტანგ V-ის — გარდაცვალება 1676 წელს და, ამასთანავე, ირანის შაჰის გადაწყვეტილებაც, რომ სამეფო ტახტი გარდაცვლილი მეფის შვილისათვის — გიორგისათვის—არ გადაეცა, არჩილი ქართლში გადავიდა, აიღო იგი და თავისი ძმა გიორგი გაამეფა. 1677 წელს ირანის შაჰი იძულებული გახდა გიორგი ქართლის მეფედ ეღიარებინა.

არჩილი მალე იმერეთში გამეფდა. იმერეთი თურქეთზე დამოკიდებულად ითვლებოდა და ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ არჩილის იმერეთში გამეფებას თურქეთის გაღიაზიანება გამოეწვია.

ირანის შაჰი ერიდებოდა თურქეთთან ურთიერთობის გაუარესებას და ამ მიზნით ქართლის მეფეს გიორგის სთხოვდა არჩილის გაძევებას იმერეთიდან.

ქართლის მეფე გიორგიმ შაჰის ულტიმატუმი თავის ძმას — არჩილს — აცნობა. რომელმაც თურქთა ლაშქართან შებრძოლებისას პირველი დამარცხებისთანავე დატოვა იმერეთი და დვალეთში გადავიდა[2]. სადაც ოჯახი შეაფარა, თვითონ იმერეთში დაბრუნდა, 8 თვე ჩხერში გაატარა, შემდეგ ისევ დვალეთში ავიდა და იქ დარჩა 1 წელს.

1680 წელს არჩილმა რუსეთის მეფეს — თედორე ალექსის ძეს გაუგზავნა არქიმანდრიტი მაკარი და გრიგოლის შვილი იოანე წერილით, რომლითაც იმერეთში თავის ხანმოკლე გამეფებასთან დაკავშირებულ ამბებს აცნობებდა და სთხოვდა მოსკოვში მიღებასა და თავშესაფარს — საცხოვრებელ ადგილს რუსეთში; აგრეთვე ქალაქ თერ-

---

ალექსანდრეს გამგზავრება ევროპაში პეტრე პირველის დიდ ელჩობაში 1697 წელზე გაცილებით გვიან მომხდარა და რომ მეფის ნებით ელჩობას შეუერთდა რიგაში რამდენიმე პირი, მათ შორის ალექსანდრე არჩილის ძე. „ელჩობაში“ ალექსანდრეს ჩართვა თავიდანვე დაგეგმა პეტრემ და მათი გზაში შეერთებაც თავიდანვე უნდა ყოფილიყო დაგეგმილი. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი გვიან გაემგზავრნენ ევროპაში.

ალექსანდრე არჩილის ძის ბიოგრაფიის დეტალები დაწვრილებით და სწორად არის ასახული: М. Д. Хмыров, I-ый генерал-фелдцейхмейстер Александр Арчилович Имеретинский, Артиллерийский журнал. № 1. 1866; «Дух журналов», 1816, кн. 18, с. 869—870; кн. 20, с. 930—931; Н. Устрялов. История царствования Петра Великого, т. Ш, прил. № 1, изд. 1858.

ალექსანდრე არჩილის ძის შესახებ არაერთი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა მკვლევარმა ფრ. სიხარულიძემ.

[2] «Русский вестник», 1841, №№ 11—12, с. 61—63.

გში ლაშქრის გამოგზავნას, რომელიც მას რუსეთში მშვიდობით ჩაყვანდა.

არჩილი წერილში აღნიშნავდა: „იმერეთს მართალი ბატონი არ იჯდა. ამათაც მოინდომეს და გამაბატონეს.[3] მასუკან, ხვანთქარს ლაშქარი გამოეგზავნა და მოგვიხდეს, ვიბრძოლეთ, ზოგი იმათ დაგვიხოცეს, ზოგი ჩვენ დავხოცეთ, მაგრამ ბოლოს იმათ დაგვაჭარბეს და ის ალაგი დაგვაგდებინეს...

თერგზე ლაშქარი გვიბოძე და თქვენს მზეებრ განათლებულს ტახტადმი მოგვაწევინე, რომ ქრისტიანობა არ დაგვეკარგოს...“[4]

იმავე წელს არჩილმა რუსეთის საკრებულოს მდივანს გაუგზავნა თითქმის ისეთივე შინაარსის წერილი, რომლითაც იგი ითხოვდა შუამდგომლობას მეფე თედორე ალექსის ძის წინაშე, რათა უკანასკნელს მისთვის მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლის ნება დაერთო: „ხონთქარმა ლაშქარი გამოგვიძახა და ჩემი საბატონო გამაგდებინეს და აქ ერთს მთის ადგილსა ვარ... ჩვენთვის მოწყალების კარი გააღონ, და თერგზედ ლაშქარი მოგვაშველოს და მათის საფარველს ქვეშ მიგვაწევინოს. ამდენი ქრისტიანი სული ურჯულოთ ხელისაგან დაგვიხსნას. თუ სხვა ლაშქარი არ გასარჯონ, ერთი კაცი და წიგნი ხას-ფოლადს უბოძონ და ყაზახსა თერგამდინ მაგათ მოგვიყვანონ“[5].

1682 წლის 1 სექტემბერს არჩილი თავისი ოჯახით და თანმხლები პირებით ასტრახანში ჩავიდა, სადაც მეფურად მიიღეს. ასტრახანში არჩილი 8 თვეს, 1683 წლის მაისამდე დარჩა. იმავე წლის 20 აპრილს კი რუსეთიდან იოანე და პეტრე ალექსის ძეებისაგან სიგელი მიიღო, რითაც აუწყებდენ არჩილს რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებას და ოჯახითა და თანმხლები პირებით ქალაქ თერგში დასახლების ნებართვას.

სიგელში აღნიშნული იყო „...ჩვენ სამეფო უდიდებულესობის თვითმპყრობელობის უმაღლესი ხელისუფლების ქვეშევრდომად ყოფნა გიწყალობეთ შენ, არჩილ მეფეს;

---

[3] ეს აზრი სინამდვილეს არ შეეფერება. 1661 წელს იმერეთის სამეფო ტახტი წესით მეფე ალექსანდრე III-ის შვილს — ბაგრატ IV-ს — უნდა დაეკავებინა. მაგრამ იგი დედინაცვალმა დააბრმავა, რითაც ისარგებლა ქართლის მეფემ ვახტანგ V-მ, რომელიც ჯარით ქუთაისში შევიდა და იმერეთის სამეფო ტახტზე თავისი შვილი — 14 წლის არჩილი — გაამეფა.

თითქმის ასეთივე გზით ჩაიგდო ხელში არჩილმა იმერეთის სამეფო ტახტი მეორედაც, რაც ნათლად მეტყველებს ვახტანგ V-ისა და არჩილის საქართველოს გაერთიანებისაკენ მისწრაფებაზე.

[4] М. Броссе. Переписка грузинских царей с российскими государями с 1639 г.-по 1770 г., СПБ, 1861, с. 106—107; грамоты Имеретинского царя Арчила к царю Федору Алексеевичу, № 17, 1680.

[5] იქვე, გვ. 108—109.

ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი

გიბრძანეს და მიგიჩინეს შენ, იცხოვრო შენი სახლობით ჩვენს სამეფო უდიდებულესობის სამშობლოს ციხე-სიმაგრეში, ქალაქ თერგში, ჩვენმა უდიდესმა მეფეებმა, ჩვენმა სამეფო უმაღლესობამ შენ გაგიჩინა ჯამაგირი და საზრდო.

რამდენიც შესაძლებელია, შენთან დაიტოვე ხალხი, დანარჩენი კი დააბრუნე სამშობლოში. ამასთან ერთად სამეფოს უმაღლესობის სიგელით, მწყალობელი სიტყვებით და ჩვენი სამშობლოს უმაღლესო-

ბის ჯამაგირით გამოგზავნილია შენთან, ჩვენ ქვეშევრდომ არჩილ მეფესთან, ჩვენი სამეფო უდიდებულესობის სამეფო კარისკაცი, თავადი ფედულ თედორეს ძე ვოლკონსკი და დიაკი ვასილ მიხეილის ძე.

ჩვენმა სამეფო უდიდებულესობამ, დიდმა მეფეებმა, მიუცია მას ბრძანება, რომ შენთან, მეფე არჩილთან ერთად იმგზავროს ჩვენი საშშობლოს ქალაქ ასტრახანიდან თერგამდე, სადაც მოაწყობს კარს ქალაქ თერგში, სადაც შენ შენის სახლობით სრულიად უზრუნველად იცხოვრებ ჩვენი სამეფოს უმაღლესობის ხელისუფლების ქვეშევრდომობაში; ჩვენმა უდიდესმა მეფეებმა, ჩვენმა სამეფოს უდიდებულესობამ თავისთავზე აიღო: შენ, არჩილ მეფე, და მთელი შენი სახლობა აცხოვროს ჩვენს სახელმწიფოს მოწყალე ჯამაგირზე და მზრუნველობაში"[6].

როგორც სიგელი გვაუწყებს, რუსეთის მეფეების გადაწყვეტილებით, მეფე არჩილი თავად ფედული თედორეს ძე ვოლკონსკისა და დიაკ ვასილ მიხეილის ძის თანხლებით უნდა გადასულიყო ასტრახანიდან თერგში. ინტერესმოკლებული არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ თავად ვოლკონსკისა და დიაკ ვასილ მიხეილის ძეს აკრძალული ჰქონდათ მეფე არჩილისათვის ხელზე ამბორი, მასთან ერთად ერთი ჭურჭლიდან ჭამა. დავალებული ჰქონდათ აგრეთვე: არ მიეცათ არავითარი იმედი მოსკოვში ჩასვლისა და ერჩიათ თერგში დარჩენა. შედეგი სამეფო კარისათვის უნდა მოეხსენებინათ[7].

სიგელმა არჩილი ძალიან გაახარა, აუსრულა წადილი — რუსეთის ქვეშევრდომობაში მიიღეს, თუმცა არჩილი მოსკოვში ცხოვრებას ითხოვდა და არა თერგში დასახლებას, რითაც ცოტა განაწყენდა. იგი მოითხოვდა დაუყოვნებლივ მოსკოვში გადასვლას თავისი ოჯახით, რაც თავადმა ვოლკონსკიმ აცნობა მეფეს.

არჩილმა 1683 წელს კვლავ თხოვნა გაუგზავნა იოანე და პეტრე ალექსის ძეებს: — „...ერთი ცოდვილი კაცი ვარ, მე რომ ასე მოვჰკვდე. მაგათი (იოანე და პეტრე ალექსის ძეების, — მ. გ.) ხილვა არ მეღირსოს, ამ საბრალო ჩემს შვილებს ვინღა შემოგაბრალებთ"[8].

რუსეთის ხელმწიფეთა 1684 წ. გადაწყვეტილებით მეფე არჩილი მეუღლით, ქალიშვილითა და უმცროსი ბატონიშვილით დავითით მდივან

---

[6] Полное собрание законов Российской Империи, с. 1649 года, том II, (1676—1688), Изд. 1830 г., с. 517—518, с. 1006.

[7] Древняя Российская библиофика, т. II, с. 337—363; М. Броссе, დასახ. წიგნი, გვ. 115. მეფე არჩილის სიგელი იოანე და პეტრე ალექსის ძეებისადმი, 18 მაისი, 1683 წ.

[8] М. Броссе, დასახ. წიგნი, გვ. 115, მეფე არჩილის სიგელი იოანე და პეტრე ალექსის ძეებისადმი, 18 მაისი, 1683 წ.

ა. პოკრიშკინს საბოლოოდ თერგში უნდა დაესახლებინა. უფროსი ვაჟი, 10 წლის ალექსანდრე და უმცროსი — 8 წლის მამუკა კი თავად ვოლკონსკის უნდა საჩქაროდ მოსკოვში გადაეყვანა.

არჩილმა ვაჟების მოსკოვამდე გასაცილებლად თავისი ამალიდან რამდენიმე თანმხლები გამოჰყო.

1684 წლის 28 აპრილს ძმები: ალექსანდრე და მამუკა თავად ვოლკონსკისა და არჩილის ამალიდან გამოყოფილი პირების თანხლებით ასტრახანიდან გავიდნენ და 4 ივნისს უკვე სიმბირსკში იყვნენ. 8 დღის შემდეგ, 12 ივნისს, სიმბირსკიდან დაიძრნენ მოსკოვის მიმართულებით და 6 აგვისტოს მოსკოვს მიუახლოვდნენ, სადაც ვოლკონსკის გადასცეს ხელმწიფის სიგელი. სიგელით ნაბრძანები იყო, რომ იმერეთის მეფის არჩილის შვილები: ალექსანდრე და მამუკა მოეთავსებინათ მოსკოვში პოკროვკაზე, დიდვაჭრის ნიკოლაევის კუთვნილ სასახლეში; ერთ-ერთი დარბაზობის დროს ბატონიშვილებმა სათხოვარი მიართვეს ახალგაზრდა უფლისწულებს. ალექსანდრე, მკვირცხლი ჭაბუკი, მოეწონა პეტრეს, რის შემდეგაც ისინი ერთად მონაწილეობდნენ ცნობილ სამხედრო თამაშ-გართობებში პრეობრაჟენსკოეში[9].

ალექსანდრეს მაღალი შუბლი, მკვეთრად მოხაზული ნიკაპი, ფართო მხარ-ბეჭი და მედგარი, ენერგიული გამოხედვა ჰქონდა. ხუჭუჭა წაბლისფერი თმის კულულები ლაღად სცემდა მხრებამდე. ალექსანდრე სუსტი იყო, მავრამ ახოვანი, მოხდენილი და ფიცხი[10].

1685 წელს არჩილმა მოსკოვში ცხოვრების ნებართვისათვის თავად ვ. გოლიცინთან თავისი ერთგულები: თავადი ბეჟანი, შიოს შვილი, და თავადი ნოდარი — იასეს შვილი — გააგზავნა. ხსენებულ თავადთა მოსკოვში ჩასვლას სასურველი შედეგი მოჰყვა — მეფე არჩილს მოსკოვში ცხოვრების ნება მიეცა.

„არჩილს ზედამხედველად მიუჩინეს ბოიარინი და ვოევოდა ა. გოლიცინი და საკრებულოს აზნაური სტეფანე ლოვჩიკოვი, რომლებიც თან ახლდნენ მოსკოვისაკენ გამგზავრებულ არჩილს“[11].

1685 წლის 14 დეკემბერს მეფე არჩილი მოსკოვში ჩასულა, სადაც დიდი პატივით მიუღიათ და ბრწყინვალედ გამასპინძლებიან[12]. აქ ლტოლვილმა მეფემ ორწელნახევარი გაატარა. აქედან იგი თვალყურს ადევნებდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას. მუდმივი კავშირი ჰქონდა თავის

---

[9] ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 179.

[10] იქვე.

[11] იქვე, გვ. 182.

[12] არჩილიანი, ტომი II, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1937, გვ. IX.

ძმასთან — ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტესთან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლაოზთან და თავის ერთგულ კახეთისა და იმერეთის თავად-აზნაურობასთან[13].

არჩილი მოსკოვშიც არ ივიწყებდა სამწერლო მოღვაწეობას, თუმცა მისი ძირითადი მიზანი იყო რუსეთისაგან საქართველოსათვის დახმარების მიღება. ამ მიზნის მისაღწევად მან გადაწყვიტა დაახლოებოდა ხელისუფლების სათავეში მდგომ პირებს; განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდა იგი რუსეთის პატრიარქ იოაკიმზე, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა რუსეთის ყველა სახელმწიფო მოღვაწეზე. ეკანასკნელთან საქმის მოგვარებას არჩილი საქართველოს პატრიარქს — ნიკოლაოზის—მეშვეობით ცდილობდა[14], რომელმაც ქართლის მეფის გიორგი XI-ის დავალებით სრულიად რუსეთის პატრიარქ იოაკიმს მოსკოვში წერილი გაუგზავნა არქიმანდრიტ ლავრენტის ხელით (ეს წერილი პატრიარქმა 1687 წლის 15 ივლისს მიიღო).

პატრიარქი ნიკოლაოზი სრულიად რუსეთის პატრიარქ იოაკიმს აცნობდა თავისი სამშობლოს მდგომარეობას (თუმცა უამისოდაც პატრიარქი კარგად იცნობდა საქართველოს საშინაო და საგარეო საქმეებს) და სთხოვდა, მეფე არჩილისათვის უარი არ ეთქვა დახმარებაზე.

დიდი სიხარულით შეხვდა არჩილი არქიმანდრიტ ლავრენტის[15], რომელმაც გადასცა ქართლის მეფე გიორგის წადილი, რომ არჩილი საქართველოში დაბრუნებულიყო მუსულმანების წინააღმდეგ შეერთებული ძალით საბრძოლველად[16].

არჩილი დათანხმდა საქართველოში დაბრუნებაზე; მან რუსეთის მთავრობას ფინანსური დახმარება და იმერეთის დაკარგული სამეფო ტახტის დასაბრუნებლად ჯარი სთხოვა.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ არჩილმა სამგზავრო ხარჯებს გარდა 5000 მანეთი მიიღო, ჯარით დახმარებაზე კი უარი განუცხადეს[17].

არჩილმა გადაწყვიტა ალექსანდრესა და მამუკას თან წამოყვანა საქართველოში და წარსდგა ხელმწიფის წინაშე თხოვნით: გაეთავისუფლებინათ მისი ვაჟები დროებით, რათა მათი თანდასწრებით დაებრუნებინა სამეფო ტახტი. არჩილის თხოვნა ხელმწიფემ შეიწყნარა.

---

[13] ვლ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

[14] М. Броссе. Переписка..., с. 126. Письмо католикоса Николая к Российскому Патриарху Иоакиму, 1687 г., 15 июля.

[15] იქვე, შეადარეთ ვლ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184—185.

[16] არჩილიანი, ტ. II, გვ. IX.

[17] იქვე.

„მას შვილებთან ერთად, მაშინდელი კარის დიპლომატიური ეტიკეტის ყველა წესის თანახმად, გაუმართეს სააღლუმო შვებულების აუდიენცია, რომელზედაც იმერეთის მეფე არჩილ ვახტანგის ძეს და მის შვილებს, ალექსანდრეს და მამუკას, ხსენებული ფულადი დახმარების გარდა, უბოძეს სამეფო წყალობა: ოქროქსოვილი ხიფთანები სიასამურით გაწყობილი, თასები, ფარჩეულობა, ხავერდი და ატლასი, ქამხა და სამეფო ხაზინიდან ფული. საბაზინო ბრძანების ამონაწერის მიხედვით, დიდი ხელმწიფის წყალობას არჩილისა და მისი შვილებისადმი აცხადებდა კარისკაცი სიმონ თეოდორეს ძე ტოლოჩანოვი. ამის შემდეგ დიდმა ხელმწიფემ არჩილ მეფე შვილებით ხელზე სამთხევად მიიხმო და ნება დართო თავის კარზე (საქართველოში — მ. გ.) წასვლისა. აუდიენციის შემდეგ მალე არჩილი თავისი შვილებით 1688 წლის 30 ივნისს მოსკოვიდან გავიდა გემით, მას აცილებდა და ახლდა სუფრაჯი თავადი ე. ი. დაშკოვი, ე. ს. ტიტოვი და მდივნის მაგიერი ასტრახანელი გადამწერი ივ. სალტანოვი[18].

საქართველოში გამომგზავრებამდე ალექსანდრე არჩილის ძე დაქორწინებული იყო ფეოდოსია ივანეს ასულ მილოსლავსკაიაზე, რომელიც გარდაიცვალა 1689 წლის 30 ივნისს.

არჩილი, რომელიც თურქებთან პირველ შეტაკებაში დამარცხებისთანავე გადადგა იმერეთის სამეფო ტახტიდან, ამჯერად შვილების დახმარებით და ერთგულთა მონდომებით შეეცადა ტახტის დაბრუნებას იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამისაგან, რომელსაც თურქეთი მფარველობდა. ეს იყო მისი მოსკოვიდან გამობრუნების ძირითადი და მთავარი მიზანი.

მოსკოვში ბატონიშვილები ალექსანდრე და მამუკა სამეფო კარზე იზრდებოდნენ, თავს ძალიან კარგად და მშვიდობიანად გრძნობდნენ. მათ ეამეტებ, რომ ალექსანდრე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ახლოს იყო პეტრესთან. მეგობრობდა და მასთან ერთად მონაწილეობდა სამხედრო გართობებში.

საქართველოში ჩამოსულნი სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით 1689 წლიდან, როდესაც ქართლის სამეფო ტახტიდან გადაყენებული არჩილის ძმის — გიორგი XI-ის მაგიერ, შაჰმა, რუსეთში გაზრდილი, იმჟამად კი შაჰის კარზე ბედის მაძიებელი, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, არჩილის ცოლისძმა, ერეკლე I გაამეფა.

---

[18] Дворцовый разр., с. 386—388; М. Д. Хмыров, I-й генерал-фельдцейхмейстер царевич Александр Имеретинский. Артиллерийский журнал, 1866 № 1, с. 36—37.

ერეკლე I-ს, რა თქმა უნდა, შეეშინდა სამეფო ტახტს არ შესცილებოდნენ მოსკოვიდან დაბრუნებული სიძე-დისწულები, რომელთაც ხსენებული მიზანი არ ჰქონიათ, მაგრამ ქართლის მეფის — ერეკლე I-ის შიში მთლად უსაფუძვლო არ იქნებოდა, ვინაიდან შესაძლებელი იყო იმერეთიდან გაძევებულ მეფეს ქართლის სამეფო ტახტიდან შაჰის მიერ გადაყენებული თავისი ძმის — გიორგის სასარგებლოდ დაკარგული ტახტის დაბრუნებაც ეცადა. ამიტომ ერეკლემ, შეიტყო თუ არა არჩილისა და მისი შვილების საქართველოში დაბრუნება, მათი ხელში ჩაგდება გადაწყვიტა.

ახლად ჩამოსული მამა-შვილნი ზარამაგში შეჩერდნენ, სადაც ერეკლემ შეიარაღებულთა რაზმით მდივანბეგი გააგზავნა მათ შესაპყრობად. მდივანბეგმა ვერ შეასრულა დავალება — ბატონიშვილებმა დიგორში გადასვლა მოასწრეს[19].

არჩილი მიხვდა, რომ მისი შვილები სერიოზულ საფრთხეს გადაურჩნენ. მაგრამ მდგომარეობა კვლავ შეიძლებოდა განმეორებულიყო; თვით არჩილი იმერეთიდან თერგში გადასვლის დროს გზაში შეიპყრეს. გაძარცვეს და ყაბარდოს მფლობელმა ყილჩიყო-მირზამ კინაღამ შაჰს გადასცა. ამჯერად არჩილმა მთებს შეაფარა თავი. მის თერგში გადასაყვანად ასტრახანიდან რუსთა შეიარაღებული რაზმი გაიგზავნა[20].

ყოველგვარ დახმარებას მოკლებულმა არჩილმა საჩქაროდ გადაწყვიტა შვილების კვლავ მოსკოვში გაგზავნა. როგორც მეფე არჩილის მიერ რუსეთის ხელმწიფისადმი 1690 წლის 6 მაისს მიწერილიდან ირკვევა, ალექსანდრე და მამუკა 1690 წლის 20 თებერვალს მოსკოვისაკენ გაემგზავრნენ. „ჩემი შვილები ამავ წელიწადს, თებერვალს ოცს, მისულიყვნენ მაგათის მეფობის დიდებულებასთან“[21]. 1691 წელს ალექსანდრე არჩილის ძე მეორედ დაბრუნდა გლიკერია ილიას (ელიზბარის) ასულ დავითაშვილზე[22]. სამეფო ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაში იმედგაცრუებული არჩილი 1699 წელს მოსკოვში გადასახლდა.

მამუკა გარდაიცვალა მოსკოვში 1693 წელს, „არჩილ მეფესაცა ამავ ზამთარს მოერთვა სიკვდილი ძისა თვისისა მოსკოვიდამ“[23]. ბატონიშვილი დაკრძალულია დონის მონასტერში.

---

[19] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 465.

[20] Акты исторические, изд. 1842 г., т. V, № 227.

[21] М. Броссе, Переписка..., с. 129. Грамота царя Арчила к царям и царевне Софии, 1690 г., 6 мая.

[22] გლიკერია ილიას (ელიზბარის) ასული დავითაშვილი 1720 წელს გარდაიცვალა.

[23] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ჩუბინოვის გამ., სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 65.

ალექსანდრემ, როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდა პეტრეს ყურადღება მიიპყრო; ისინი ერთად იზრდებოდნენ სამეფო კარზე, რამაც განაპირობა მათი მეგობრობა. პეტრე ალექსანდრეზე ორი წლით უფროსი იყო. ქართველი უფლისწული იმდენად დაახლოებული იყო პეტრესთან, რომ იგი 1694 წლის 26 იანვარს, დედოფალ ნატალია კირილეს ასულის დაკრძალვისას, სამგლოვიარო პროცესიაზე უშუალოდ მეფე ივანე ალექსის ძის გვერდით იდგა[24].

მომდევნო 1695—1696 წლებში ალექსანდრეს საქმიანობის შესახებ ისტორიული წყაროები და საგანგებო ლიტერატურაც დუმს, არ ჩანს მისი მონაწილეობა ხსენებული წლების არც ერთ სამხედრო მანევრსა და ექსპედიციაში. ბატონიშვილი, როგორც პეტრე დიდის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, 1697 წელს ევროპაში გემთმშენებლობის შესასწავლად პეტრე I-ის მიერ საგანგებოდ მოწყობილ „დიდი ელჩობის“ წევრთა სიაშია, სადაც მისი გვარი რუსეთის სხვა გამოჩენილ პირთა შორის არის მოხსენიებული.

ევროპაში გასამგზავრებელ პირთა შესაკრები პუნქტი იყო მოსკოვის ახლოს მდებარე სოფელი ნიკოლსკოე. „დიდი ელჩობის“ წევრები იყვნენ: გენერალი და ადმირალი, ნოვგოროდის გამგებელი ფრ. ლეფორტი, გენერალი და სამხედრო კომისარი, ციმბირის გამგებელი თედ. გოლოვინი, საკრებულოს მდივანი და ბოლხოვოს გამგებელი პრ. ვოზნიცინი და სხვ.

საელჩო ამალა შედგებოდა 250 სხვადასხვა რიგის მოხელისაგან. მათ შორის იყო 20 აზნაური და 35 ვოლონტერი პრივილეგირებულ წოდებათა წარმომადგენლები. უკანასკნელნი დაყოფილნი იყვნენ ათეულებად, ერთი მათგანის გამგებელი იყო თვით მეფე, ათისთავ პეტრე მიხაილოვის სახელით. მეფის სურვილით მოხალისეებს შეემატნენ: მეფის ლალას შვილი თავადი ალექსანდრე გოლიცინი; ივანე მიხეილის ძე და ივანე ალექსანდრეს ძე გოლოვინები, სიმონ გრიგორის ძე ნარიშკინი და ბატონიშვილი ალექსანდრე იმერეტინსკი სამი პირადი თანმხლებით. ალექსანდრეს შესახებ პროფესორი იაკობ შტელინი მოგვითხრობს: „ალექსანდრე ბატონიშვილი არის თავადი ბაგრატიონი. შვილი მეფე არჩილისა. რომელიც მისმა ძმამ სამეფო ტახტიდან ჩამოაგდო[25]. იგი მიემგზავრებოდა ზღვის გადაღმა თავის ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი“[26].

---

[24] Дворцовые разряды, 1855, т. IV, с. 855.

[25] მართალია, არჩილს თავისმა ძმამ — ქართლის მეფე გიორგიმ—ირანის შაჰის ულტიმატუმი გადასცა, სადაც შაჰი არჩილის იმერეთის ტახტიდან გადადგომას თხოულობდა, მაგრამ მის ძმას გიორგის არავითარი სურვილი არ ჰქონია ძმის წინააღმდეგ გამოსვლისა. არ არის სწორი, ვითომ არჩილი ძმამ ჩამოაყდო, იგი თურქეთის ჯარმა აიძულა გადამდგარიყო.

[26] М. Д. Хмыров, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

ბატონიშვილი ალექსანდრე შედიოდა პეტრე დიდის ამალაში, რომელიც მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, რათა თავისი თვალით ენახა ევროპული ცივილიზაცია, რომლის რუსეთში გადმოტანასაც ესწრაფვოდა პეტრე დიდი[27].

22 მარტს „დიდი ელჩობის“ წარმომადგენლები ფსკოვში ჩავიდნენ, ხოლო 25 მარტს შვედეთის ქალაქ ნეიჰაუზენში იყვნენ, საიდანაც 31 მარტს რიგაში მივიდნენ.

შვედები გრძნობდნენ პეტრე დიდის მომავალ ზრახვებს და, ალბათ, ამიტომ იყო, რომ რიგაში ლიფლანდიის[28] გენერალ-გუბერნატორმა, გრაფმა დალბერგმა „დიდი ელჩობის“ ჩასვლა არ მოიწონა, მათ შეუფერებელი ბინა გამოუყო და არამცთუ ყველას, პეტრე დიდსაც კი არ მისცა საშუალება დაეთვალიერებინა სიმაგრეები. უფრო მეტიც, ელჩობის წევრები და თვით ხელმწიფეც მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ და ქალაქში არ უშვებდნენ. როდესაც პეტრე დიდმა მაინც დაიჭირავა ნავი და დათვალიერების მიზნით ახლოს გაუარა ერთ-ერთ სიმაგრეს, იგი იარაღით აიძულეს გასცლოდა იქაურობას. მეფე არ მოელოდა ასეთ მიღებას და თქვა: „შვედები ნებას არ მაძლევენ დავათვალიერო რიგის სიმაგრეები, მაგრამ შევეცდები დავათვალიერო ისინი მათი ნებართვის გარეშე“[29].

8 აპრილს „დიდი ელჩობა“ რიგიდან გავიდა. 14 აპრილს ქ. მიტავაში შეჩერდა, სადაც მათ ჰერცოგი ფრიდრიხ კაზიმირი შეხვდა, რომელმაც სტუმრები სასახლეში წაიყვანა; გზაში და შემდეგ, პრუსიის სხვა ქალაქების დათვალიერებისას, მათ აღფრთოვანებით, სამხედრო მუსიკითა და ქვემეხების ბათქით ხვდებოდნენ.

მიტავაში პეტრე დიდმა 22 აპრილს დატოვა თანმხლებთა ნაწილი და ვოლონტერებითა და 70 ჯარისკაცით ლიბავაში ჩავიდა, საიდანაც მცირერიცხოვანი მხლებლებით, სავაჭრო გემით „წმინდა გიორგით“, წავიდა კენიგსბერგისაკენ, სადაც დანარჩენები ხმელეთით უნდა ჩასულიყვნენ.

3 მაისს პეტრე დიდი თავისი ამალით პრუსიის ციხე-სიმაგრე პილაუსთან შეჩერდა და ფრიდრიხ III-ს აცნობა მათ სამფლობელოში ჩასვლა, რამდენიმე დღის შემდეგ კი განაგრძო გზა კენიგსბერგისაკენ, რომლის მახლობლად სტუმრებს ქალაქში შესასვლელად ოცდაშვიდი ექვსცხენიანი კარეტა შეახვედრეს.

---

[27] იქვე.

[28] ლიფლანდიის გუბერნია 1721 წლამდე შვედეთს ემორჩილებოდა. 1721 წლის ნიშტადტის ხელშეკრულებით იგი რუსეთის იმპერიაში შევიდა.

[29] Словарь достопамятных людей русской земли, составленный Бантышь-Каменскимъ. часть II, Санкт-Петербург, 1847, с. 278.

კენიგსბერგისაკენ მათ მიაცილებდა სამი გვარდიული ესკადრონი ქვემეხების ბათქითა და სამხედრო მუსიკით. გზის ორივე მხარე სავსე იყო სამხედრო ნაწილებით, რომლებსაც ძირს დაშვებული დროშები ეკავათ. კენიგსბერგში „დიდი ელჩობის“ წარმომადგენლებს მეგობრული შეხვედრა მოუწყვეს, თვით კურფიუსტმა მიიწვია ისინი თავის რეზიდენციაში.

ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა კეთილმეგობრული შეხვედრები, ამიტომ იყო, რომ სტუმრები განაცვიფრა ფრიდრიხ III-ის მოულოდნელმა, უტაქტო მოთხოვნამ: ოფიციალური მიღებისას თვითონ არ ამდგარიყო სამეფო სავარძლიდან, ელჩები კი მას ხელზე მთხვეოდნენ. ფრიდრიხ III-ის ამ მიუღებელ და დამამცირებელ მოთხოვნაზე რუსეთის წარგზავნილებმა უარი განაცხადეს, მით უმეტეს, რომ მათთან იმყოფებოდა უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი მეფე პეტრე, რომელსაც გვერდს უმშვენებდნენ გენერალი და ადმირალი, ნოვგოროდის გამგებელი ფრანც იაკობის ძე ლეფორტი, გენერალი და სამხედრო კომისარი, ცრნბირის გამგებელი თედორე ალექსის ძე გოლოვინი, ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი და სხვები.

ფრიდრიხ III-თან ოფიციალურ მიღებაზე მიმავალ ელჩებს გამოუცხადეს, რომ ცოტახნით შეჩერებულიყვნენ. მათ ეს წინადადებაც უარყვეს და შეუჩერებლად განაგრძეს სვლა დანიშნული ადგილისაკენ. როდესაც ელჩობის წევრები შევიდნენ ფრიდრიხ III-ის რეზიდენციაში, იგი სამეფო საყარძელზე იჯდა; ელჩების დანახვისთანავე წამოდგა, ქუდი მოიხადა და მისულთ შეეგება. სტუმრებიდან სიტყვა ლეფორტმა წარმოთქვა: შეხვედრამ თითქოს მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მეორე დღეს ელჩები მინისტრთა სასახლეში მიიწვიეს რუსეთსა და პრუსიას შორის ურთიერთობის საკითხზე მოსალაპარაკებლად, სამოკავშირეო ხელშეკრულების დასადებად, რომელიც განამტკიცებდა ორ ქვეყანას შორის კარგ დამოკიდებულებას.

სადილობისას ელჩებს გადასცეს სამოკავშირეო ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც ექვსი მუხლისაგან შედგებოდა:

1) წინანდელი საზავო ტრაქტატის დამტკიცება.

2) ორივე ქვეყნისათვის თავისუფალი ვაჭრობის უფლების მინიჭება როგორც რუსეთში, ისე პრუსიაში, ჩვეულებრივი ბაჟის გადახდით.

3) აჯანყებულთა მიღებისა და შეფარების აკრძალვა.

4) ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა მიერ პრუსიასა და რუსეთში გაგზავნილ ქვეშევრდომთა მფარველობა.

5) რუსეთში პრუსიის დესპანებისა და ელჩების მეფის შესაფერისი პატივით მიღება.

6) ხელშეკრულების დაცვა წმინდად, დაურღვეველად[30].

ხელშეკრულებას, რომელიც შედგენილი იყო ფრიდრიხ III-ის რწმუნებულის მიერ, პეტრე დიდის თანხმობითა და შესწორებებით, ხელი მოაწერეს ფრიდრიხ III-მ და ლეფორტმა. რუსეთის მეფეს ეს ხელშეკრულება არ აკმაყოფილებდა, თუმცა არც ის იყო შესაძლებელი, რომ ხელშეკრულებაში საქვეყნოდ ყოფილიყო აღიარებული ორივე მხარისათვის საინტერესო შვედების წინააღმდეგ შეთანხმების საკითხი.

ამიტომ იყო, რომ ხელშეკრულებას წინ უძღოდა ორივე მეფის პოლაპარაკება, რასაც შედეგად მოჰყვა შეთანხმება: „დაეხმარონ ერთმანეთს მტრის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი შვედების წინააღმდეგ ბრძოლაში“[31]. სიტყვიერი შეთანხმება ელჩების თანდასწრებით გახმტკიცდა ორივე ქვეყნის წარმომადგენლების — ფრიდრიხ III-ისა და პეტრე დიდის ფიცით.

პეტრე დიდს გემთმშენებლობის შესწავლის პარალელურად აინტერესებდა სხვა ქვეყნებთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადება შვედების წინააღმდეგ, ვინაიდან შვედებთან ომი უკვე დღის წესრიგში იდგა; მისი გადადება აყოვნებდა რუსეთის ყოველმხრივ განვითარებას. მოლაპარაკების თანახმად პრუსია რუსეთის მოკავშირე გახდა. დაიმედებულმა და კმაყოფილმა პეტრე დიდმა კენიგსბერგში პრეგელის სანაპიროსთან ორი სახლი იქირავა და დაუწყო ლოდინი „დიდი ელჩობის“ ძირითადი შემადგენლობის გამოცხადებას.

7 მაისს აქ პეტრე დიდმა საარტილერიო საქმის შესწავლა დაიწყო პრუსიის ციხე-სიმაგრეების მთავარ ინჟინერ პოდპოლკოვნიკ შტეიტნერ-ფონ-შტერნფელდთან. გაკვეთილებს ესწრებოდა ბატონიშვილი ალექსანდრეც, რომელმაც სწავლების დასაწყისშივე მიიპყრო პეტრე დიდის ყურადღება, რამაც გამოიწვია მისი საარტილერიო კურსებზე გაგზავნა პაარგში და შემდგომი დაწინაურებაც.

18 მაისს ელჩობის ძირითადი შემადგენლობაც ჩამოვიდა კენიგსბერგში, სადაც პეტრე დიდი ერთ თვეზე მეტხანს დარჩა და განაგრძობდა მეცადინეობას. 10 ივნისს იგი თავისი ვოლონტერებითა და 34 ჯარისკაცით დაბრუნდა პილაუში, სადაც სამი კვირა პოლონეთთან ურთიერთობის საკითხით იყო დაკავებული.

30 ივნისს პეტრე დიდი თანმხლებებთან ერთად პილაუდან გავიდა; 4 ივლისს კოლბერგში შეჩერდა, სადაც „დიდი ელჩობის“

---

[30] Словарь достопамятных людей русской земли.... с. 280.

[31] იქვე, გვ. 281.

ბთელმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, და განაგრძო გზა ჰოლანდიისაკენ.

1 აგვისტოს პეტრე დიდმა ქ. ლიუნენში დატოვა „დიდი ელჩობის“ ძირითადი ნაწილი და მეორე დღეს 18 ვოლონტერით, რომელთა შორის იყო ალექსანდრეც, ამსტერდამისაკენ წავიდა. 7 აგვისტოს ამსტერდამში დარჩა 12 ვოლონტერი, ხოლო პეტრემ ალექსანდრესთან ერთად 5 ვოლონტერის თანხლებით გზა განაგრძო და 8 აგვისტოს სარდამში შეჩერდა. აქ ბინა დაიქირავეს მჭედელ გერიტა კისტას სახლში, რომელსაც პეტრე დიდი მოსკოვიდან იცნობდა.

პეტრე დიდი და ალექსანდრე ხუთ ვოლონტერთან ერთად მთელი კვირა მუშაობდნენ ლინსტა როგეს ნავსაშენში. აქ მათ პირველად მოუხდათ თეორიული ცოდნის შეძენის პარალელურად პრაქტიკული საქმიანობა მუშებთან ერთად. რუსეთის მეფე და ქართველი ბატონიშვილი არც ჩაცმულობითა და არც საქმიანობით არ გამოირჩეოდნენ ნავსაშენის მუშებისაგან[32].

პეტრე დიდი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ ბატონიშვილმა შეისწავლა პატარა კატარღის მართვა, გაიცნო და გადმოიღო საფლოტო ტერმინები და ხელი მიჰყო საჭირო წიგნების რუსული ენიდან ქართულად თარგმნას.

15 აგვისტოს მათ სარდამი დატოვეს და ამსტერდამში გადავიდნენ, სადაც კვლავ თავი მოიყარა „დიდი ელჩობის“ შემადგენლობამ. 17 აგვისტოს თეატრში იყვნენ, ხოლო მეორე დღეს დაათვალიერეს საადმირალო, გემსაშენი, მაღაზიები და სხვა.

19 აგვისტოს ყველანი მიწვეული იყვნენ ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ გამართულ საზეიმო სადილზე.

22 აგვისტოს პეტრე დიდი ყველა თანამგზავრით ესწრებოდა სპე-

---

[32] 1754 წელს ამსტერდამში ცხოვრობდა გემის კაპიტანი, რომელიც იცნობდა პეტრე დიდს ლინსტა როგეს ნავსაშენში მუშაობის დროიდან. იგი წერდა: „პირადად ბევრჯერ ვნახე ნავსაშენში მუშაობისას უბრალო დურგლის ტანსაცმელში გამოწყობილი პიტერი.

როდესაც მასთან სალაპარაკოდ მივიდოდა ვინმე, იგი ჩამოჯდებოდა მორის ნაჭერზე, ცულს ფეხებშუა გაირჭობდა, მხოლოდ დიდხანს საუბარი არ უყვარდა, მალე დაამთავრებდა საუბარს და წავიდოდა თავის სამუშაოზე“. ერთხელ ერთმა ამსტერდამელმა პიტერის ნახვა მოინდომა სამუშაოზე, რისთვისაც ნავსაშენის უფროსიდან აიღო ნებართვა, პერცოგი როცა ნავსაშენში შევიდა, დაინახა, რომ რამდენიმე მუშას დიდი მორი მიჰქონდა მხრებით.

პიტერ ციმერმან ფონ სანდამ! — შესძახა ნავსაშენის უფროსმა. რატომ შენც არ ეხმარები? პიტერმა იმ წუთშივე შეუშვირა მხარი მორს და მიატანინა საჭირო ადგილას. მას უყვარდა, როცა ეძახდნენ პიტერს, როცა დაუძახებდნენ თქვენო უდიდებულესობავე, არ სიამოვნებდა და შებრუნდებოდა.

ციალურად მათ გასართობად მოწყობილ სამაგალითო საზღვაო „ბრძოლას“, რომელიც ეის ყურეში გაიმართა ადმირალ სხეის ხელმძღვანელობით. ეს მეტად საინტერესო სანახაობა ქართველ ბატონიშვილს არ უნახავს, იგი უკვე ჰააგაში იმყოფებოდა. „ალექსანდრე არჩილის ძე ჰააგაში წავიდა საართილერიო საქმის შესასწავლად“ — სწერდა პეტრე დიდი 31 აგვისტოს თავად რომოდანოვსკის[33].

როგორც ირკვევა, ალექსანდრე დიდი მონდომებითა და სიყვარულით დაეწაფა საართილერიო საქმის შესწავლას. სწორი უნდა იყოს ბ. ხმიროვის აზრი იმის შესახებ, რომ ბატონიშვილი ჰააგაში პეტრე დიდის უშუალო გადაწყვეტილებით იყო გაგზავნილი[34], ვინაიდან ჰოლანდიაში მაშინ საართილერიო საქმე მაღალ დონეზე იდგა[35] და ამ რთული და მეტად საჭირო საქმის დაუფლება ყველაზე უკეთ ალექსანდრეს შეეძლო. პეტრე დიდი არჩევანში არ შემცდარა. ვინ იყო ალექსანდრეს საართილერიო საქმის მასწავლებელი ჰააგაში, არაა ცნობილი, თუმცა შესაძლებელია იგი იოჰან გოშკე ყოფილიყო, რომელიც 1699 წელს რუსეთში იქნა მოწვეული და 1706 წელს გარდაიცვალა არტილერიის პოლკოვნიკის ჩინით[36].

თეორიული ცოდნის დაუფლებასთან ერთად ალექსანდრე პრაქტიკულად სწავლობდა საართილერიო საქმეს. ხშირად ათვალიერებდა საართილერიო პარკს ჰააგაში, იყო მეხელნეშიც, სადაც ინახებოდა თითქმის ყველა დროისა და ყველა სახის ზარბაზნები[37].

ალექსანდრე ყოველგვარ საშუალებას იყენებდა, რათა საართილერიო საქმის თეორიული სწავლება პრაქტიკასთან დაეკავშირებინა და რაც შეიძლება მეტი ცოდნით დაბრუნებულიყო რუსეთში.

ჰააგაში იგი 1699 წლამდე სწავლობდა, აქედან მამის სანახავად პირდაპირ ქალაქ თერგში წავიდა, იქიდან კი მოსკოვს დაბრუნდა.

1700 წლის 19 მაისს პეტრე დიდმა ალექსანდრე რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდცეიხმეისტერად დანიშნა. ბრძანებაში ნათქვამი იყო: „რაც კი საქვემეხო პრიკაზში გასაკეთებელი იყოს, ყველა

---

[23] Н. И. Устрялов, История царствования Петра Великого, т. III, прилож. № 1, СПБ., 1858, с. 426.

[34] М. Д. Хмыров, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[35] იქვე.

[36] М. Д. Хмыров, О Гошке, Арт. журнал, 1865, № 10.

[37] М. Д. Хмыров, I-й генерал-фельдцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский, Арт. ж. 1866, № 1.

საქმიანობა განაგოს არტილერიის გენერალმა, ბატონიშვილმა ალექსანდრე არჩილის ძემ"[38].

რუსეთის არმიის რეგულარული არტილერია ახლად ვითარდებოდა. იგი შეიქმნა 1695 წელს, როდესაც პრეობრაჟენსკის პოლკთან ჩამოყალიბდა ბომბარდერთა „როტა", რომლის კაპიტანიც თვით პეტრე დიდი იყო. 1700 წელს რუსეთის არტილერიაში პირველად იქნა შემოღებული გენერალ-ფელდცეიხმეისტერის[39] წოდება და თანამდებობაც. ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე პირველად დაინიშნა და იწოდა რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდცეიხმეისტერად ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი, რაც გამოწვეული იყო მის მიერ საარტილერიო საქმის საფუძვლიანი შესწავლით. რუსეთისა და პირადად პეტრესადმი უაღრესად დიდი ერთგულებითა და რუსეთის მეფის მხრიდან დამსახურებული სიყვარულითა და ნდობით. მას საპატიო ადგილი ეკავა რუსეთის სამეფო კარზე და ახლოს იყო წარჩინებულ პირებთან.

[38] М. Д. Хмыров, დასახ. ნაშრომი, გვ. 48. აქვე უნდა აღინიშნოს რომ 1853 წელს გამოცემული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონის IV ტომში შეცდომითაა აღნიშნული ალექსანდრე არჩილის ძის ამ თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი — 1699 წლის 11 მაისი.

[39] ეს წოდება ჯერ კიდევ კარლოს V-ჯერ (1337—1380) არსებობდა. იმპერატორ მაქსიმილიან II-ის (1527—1576) სამხედრო წესდების მიხედვით, ფელდცეიხმეისტერს ეკუთვნოდა დიდი ხელფასი, 6 ქეშიკი, პირადი ემორჩილებოდა სხვადასხვა სამხედრო წოდების მქონე პირებისაგან შენდგარი შტაბი. მასვე ეკუთვნოდა დაბეგროვილი ციხე-სიმაგრეებიდან ნადავლი ზარბაზნები, ბერკეტები და სხვა იარაღი, რომელსაც ამარებდა ხელმწიფეს ნამდვილი ღირებულების 2/3 ფასად.

საფრანგეთში ამ თანამდებობის მფლობელს Grand maitre d'artillerie — არტილერიის დიდოსტატს უწოდებდნენ. იქ ეს წოდება პირველად 1599 წელს მიუნიჰა გამოჩენილ ჰერცოგ სიულის. პრუსიაში გენერალ-ფელდცეიხმეისტერის წოდება ბრანდენბურგის კურფიურსტმა ფრიდრიხ III-მ შემოიღო, თუმცა იქ ამ წოდებამ 1757 წლამდე იარსება, შემდეგ კი გენერალ-ინსპექტორის წოდებით შეიცვალა.

ინგლისში გენერალ-ფელდცეიხმეისტერი სახმელეთო, საზღვაო არტილერიის და საინჟინრო ნაწილების გამგებელი იყო და იწოდებოდა «Master general of the ordonance», არტილერიის საერთო უფროსი. რუსეთში პეტრე დიდამდე არტილერიის ხელმძღვანელის თანამდებობა არ ყოფილა მუდმივი და მხოლოდ ომიანობის დროს ინიშნებოდნენ სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი პირები, რომელთაგან ცნობილი არიან ბოიარინი მოროზოვი (1590—1662) და ვ. თ. ვორონცოვი, რომლებიც ხსენებულ თანამდებობას განაგებდნენ ყაზანისა და ვენდენის აღებისას.

ალექსანდრე ბატონიშვილის ტყეეობაში ყოფნისას (1700—1711) არტილერიის ხელმძღვანელის როლს, გენერალ-ფელდცეიხმეისტერის წოდების გარეშე, ასრულებდა ანდრია ანდრიას ძე ვინიუსი, შემდეგ გენერალი იაკობ ფილიმონის ძე ბრიუსი, რომელსაც გენერალ-ფელდცეიხმეისტერის წოდება პეტრე დიდმა მხოლოდ ალექსანდრე არჩილის ძის გარდაცვალების შემდეგ — 1711 წელს მიანიჭა.

1700 წლის 15 ოქტომბერს რუსეთის არქიეპისკოპოსს კირ ადრიანს ტაძრის ეკლესიისაკენ რომ მიასვენებდნენ, ცხედარს მიაცილებდნენ სასულიერო პირები, ალექსანდრე იმერეტინსკი და სხვა სახელმწიფო მოღვაწეები[40].

1700 წელს მეფე არჩილსა და მის შვილს ალექსანდრეს, პეტრე დიდის ბრძანებით, სასახლის მამულებიდან გამოეყოთ ნიჟეგოროდის მაზრაში ტერიუშევის, ბელგოროდისა და ლისკოვის თემები. სულ 3284 კომლი; 20464 ჩეტვერტი სახნავ-სათესი, 41715 ჩეტვერტი სათიბი და 3996 მანეთი ყოველწლიური შემოსავალი[41].

რუსეთის არტილერია ძლიერ ჩამორჩენილი იყო, რადგან საქმეს უცოდინარი ადამიანები განაგებდნენ, ხოლო თვით შეიარაღებაში იყო ყველა სახის. სხვადასხვა დროის, მოძველებული და უვარგისი ზარბაზნები[42].

პეტრე დიდი იღვწოდა არმიისა და, კერძოდ, არტილერიის რეორგანიზაციისა და დაწინაურებისათვის, რის გარეშეც არ შეიძლებოდა ქვეყნის ძლიერებაზე ფიქრი.

საჭირო იყო, პირველ რიგში, ბალტიის ზღვის სანაპიროს ხელში ჩაგდება, რათა რუსეთს საბოლოოდ გზა გაჭაფოდა ევროპისაკენ.

დღის წესრიგში დადგა შვედებთან ომი. პეტრე დიდი ომისათვის მზადებას შეუდგა.

ალექსანდრეს არ დასცალდა რუსეთისა და პირადად პეტრე დიდისადმი თავისი ერთგულების პრაქტიკულად განხორციელება. გენერალ-ფელდცეიხმეისტერის თანამდებობაზე იგი მხოლოდ 6 თვეს მოღვაწეობდა. დროის ამ მცირე მონაკვეთში მან ვერ მოასწრო, და არც შეიძლებოდა, რაიმე სერიოზული რეორგანიზაცია მოეხდინა დიდი ხნის ჩამორჩენილ საარტილერიო საქმეში.

რუსეთის ფელდცეიხმეისტერი დიდი მონდომებით შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მისი უშუალო თაოსნობით იელისში დამზადდა 60000 ყუმბარა.

მოსკოვის საარტილერიო ბანაკი, რომლის აღჭურვას ხელმძღვანელობდა ალექსანდრე, შეიარაღებული იყო შემდეგი საჭურველით: ფუთიანი ჭურვის მსროლელი ქვემეხი — 7, მორტირი (მოკლე ქვე-

---

[40] Дворцовые разряды, т. II, (с 1676 по 1701 г.), СПБ, 1855, с. 1157. Н. И. Устрялов, История царст. Петра Великого, т. I, прил. № XXII, ведомость о раздаточных селах и деревнях из дворцовых волостей, СПБ, 1858, с. 397.

[41] მეფე არჩილი როგორც ზემოთ აღინიშნა მოსკოვში გადასახლდა 1699 წელს.

[42] М. Д. Хмыров, დასახელებული ნაშრომი, გვ. 47.

მეხი) სამფუთიანი ჯურვის მსროლელი — 40, ორფუთიანი ჯურვის მსროლელი — 20 და ნახევარფუთიანი ჯურვის მსროლელი — 1; 5000 ფუთი საზარბაზნე დენთი; საზარბაზნე სამგირვანქიანი ყუმბარა — 6000; ყუმბარა სამფუთიანი — 6460, ორფუთიანი — 3400, ერთფუთიანი — 1400, ნახევარფუთიანი — 77[43].

რუსეთი შვედებთან ბრძოლისათვის მომზადებული არ იყო, მიუხედავად ამისა, 1700 წლის 19 აგვისტოს რუსეთის არმიამ თავი მოიყარა ნარვასთან. პეტრე დიდმა ომი გამოუცხადა შვედეთს. საომარი მოქმედება დაიწყო დანიამაც. შვედეთის წინააღმდეგ ომში რუსეთთან ერთად პოლონეთი, პრუსია და დანიაც უნდა ჩაბმულიყვნენ.

შვედეთის იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერსა და მოწინავე საზღვაო ფლოტს თითქმის არაფრით ჩამორჩებოდა დანიის ფლოტი. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელის ჩაბმას შვედეთის წინააღმდეგ ომში.

დანიის ჯარმა შეტევა დაიწყო შვედეთის მოკავშირე ჰოლშტაინის საჰერცოგოს წინააღმდეგ და შევიდა ლიფლიანდიაში. ავგუსტ II-მ ალყა შემოარტყა რიგას.

ფრიდრიხ III სიტყვიერად იყო შეთანხმებული პეტრე დიდთან შვედების წინააღმდეგ ერთობლივ ომზე. პოლონეთიც, მოლაპარაკების თანახმად, საბრძოლველად ემზადებოდა შვედების მიერ მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნების მიზნით. ერთი შეხედვით, შვედების წინააღმდეგ, თითქოს, საკმაოდ ძლიერი და მყარი კავშირი იყო შეკრული.

შვედეთის ახალგაზრდა მეფე კარლ XII არ შეშინდა, თვითონ წაიყვანა ჯარი დანიის წინააღმდეგ, დაამარცხა იგი, გადავიდა საზღვარზე და დაემუქრა კოპენჰაგენს, რომლის დაბომბვაც განიზრახა არა მარტო შვედეთის, არამედ ჰოლანდიისა და ინგლისის ფლოტმაც. დანიის მეფემ უარი განაცხადა რუსეთთან კავშირზე შვედეთის წინააღმდეგ და იმავე წლის აგვისტოში ტრავენდალის შეთანხმება დადო შვედეთთან. ამ ხელშეკრულებით დანია გამოვიდა შვედეთის საწინააღმდეგო კოალიციიდან. ფრიდრიხ III-მაც არ შეასრულა პეტრე დიდთან სიტყვიერი შეთანხმება — პრუსია არ ჩაება შვედების წინააღმდეგ ომში.

შვედეთის სწრაფმა გამარჯვებამ დანიაზე კარლ XII-ს საშუალება მისცა მთელი ძალები რუსეთის წინააღმდეგ მიემართა ნარვასთან.

პეტრე დიდმა მობილიზაცია გამოაცხადა. ნოვგოროდის გუბერნატორ ბრიუსს ებრძანა ჯარების თავმოყრა, შეძლებისდაგვარად საბრძოლველად შემზადება და შვედეთის საზღვრებისაკენ წაყვანა.

---

[43] Н. И. Устрялов, დასახ. ნაშრომი, т. IV, часть II, прилож. № VII; Хмыров М. Д. დასახ. ნაშრომი.

მთელი ჯარი სამ ნაწილად გაიყო. მათ ხელმძღვანელობდნენ: ავტომონ მიხეილის ძე გოლოვინი, რომლის დაქვემდებარებაში იყო 10 ქვეითი და ერთი დრაგუნთა პოლკი, სულ 14726 კაცი; ადამ ადამის ძე ვეიდე, რომელსაც ექვემდებარებოდა 9 ქვეითი და 1 დრაგუნთა პოლკი 11227 კაცის შემადგენლობით; ანდრია ანდრიას ძე რეპნინი, რომლის ხელმძღვანელობაში 9 ქვეითი პოლკი — 10834 კაცი—იყო. სულ სამივე არმიაში 36787 მებრძოლი იყო. ეს სამხედრო ნაწილები ნოვგოროდზე გავლით ნარვას უნდა მიახლოებოდნენ და დაეკავებინათ საბრძოლო პოზიციები.

ომის გამოცხადებიდან სამი დღის შემდეგ — 22 აგვისტოს—დაიწყო სხვადასხვა ქალაქებიდან ჯარების საზღვრისაკენ გადაყვანა, ხოლო საარტილერიო ნაწილების გადასვლა სხვადასხვა დროს დაიწყო, რამაც იმთავითვე არეულ-დარეული შეიტანა ბრძოლის დაწყებისათვის მზადებაში.

შეიარაღებული საარტილერიო ნაწილები ალექსანდრეს ხელმძღვანელობით მოსკოვიდან 8 სექტემბერს დაიძრა ნარვისაკენ. ასევე გაემართა ჯარი ნოვგოროდიდან და ფსკოვიდან. სხვადასხვა სავალი მანძილის გამო, არტილერიამ ერთდროულად ვერ მოიყარა თავი დანიშნულ ადგილას, რასაც მალე დიდი უარყოფითი შედეგი მოჰყვა. უხეირო გზების გამო არტილერია ნელი ტემპით მიიწევდა წინ. ა. გოლოვინის მოხსენებიდან პეტრე დიდისადმი ჩანს, რომ ალექსანდრე ემერეტინსკიმ „მოსკოვის“ არტილერიით 24 სექტემბერს მიაღწია ნოვგოროდს, სადაც შეიერთა ნოვგოროდის საარტილერიო ბანაკი.

შეერთებული საარტილერიო ნაწილებით ალექსანდრემ გზა განაგრძო და 11 ოქტომბერს ნარვასთან შეჩერდა, სადაც შეიერთა ფსკოვის არტილერია, რომელიც 8 დღით ადრე მისულიყო.

მოსკოვის, ნოვგოროდისა და ფსკოვის საარტილერიო ბანაკებიდან ალექსანდრეს განკარგულებაში იყო 129 ზარბაზანი და მოკლელულიანი ქვემეხი, 60000 ყუმბარა და 5000 ფუთი საზარბაზნე დენთი.

ზარბაზნების ნარვამდე მისვლა დაგვიანდა არა მარტო გზების უვარგისობისა და ნაძიძილის სიშორის გამო, არამედ თვით ზარბაზნების სიძველით, მათ ემტვრეოდათ ბორბლები. იშლებოდა ნაწილები...

არტილერიის ამგვარი მდგომარეობა კარგს არას უქადდა რუსეთის საომარ მოქმედებას.

14 ოქტომბერს ნარვასთან უკანასკნელი შენაერთები — ცხენოსანთა და ქვეითთა 13000-მდე მებრძოლი გამოცხადდა[44]. ამრიგად,

---

[44] М. Д. Хмыров, დასახელებული ნაშრომი, გვ. 50.

სამხედრო ნაწილების წინსვლა ნარვისაკენ, 8 სექტემბერს დაწყებული, დამთავრდა 15 ოქტომბერს და თითქმის ყველა შენაერთმა მოიყარა თავი, ამ პროცესს ერთ თვეზე მეტი დასჭირდა, რაც ნათლად მეტყველებს რუსეთის სამხედრო ჩამორჩენილობასა და პრიმიტიულობაზე.

18 ოქტომბერს ნარვას ოთხი ბომბი ესროლეს, 20 ოქტომბერს კი საყოველთაო საარტილერიო ცეცხლი გახსნეს, რაც ორ კვირას გაგრძელდა უშედეგოდ. ეს უკანასკნელი გამოწვეული იყო არტილერიის სიძველით, სამხედრო შენაერთთა შეუთანხმებელი მოქმედებით და სხვა მიზეზებით.

6 ნოემბერს სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა 6—7 დღის განმავლობაში ცეცხლი ისე გახსნილიყო, რომ თითოეულ ზარბაზანს დღე-ღამეში 50-ჯერ გაესროლა. პეტრე დიდმა მოიწონა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მისი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა. ვინაიდან არტილერიის მთავარმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე იმერეტინსკიმ აცნობა საბრძოლო მარაგის უკმარობა ხსენებული ოპერაციის ჩასატარებლად, რომელშიც 40 საარტილერიო ბატარეას უნდა მიეღო მონაწილეობა. კერძოდ, დარჩენილ საბრძოლო მარაგს შეადგენდა: 3000 საზარბაზნე ყუმბარა, 1100 ყუმბარა და 1200 ფუთი ზარბაზნის დენთი. ეს მარაგი სანახევროდაც კი ვერ უზრუნველყოფდა სამხედრო საბჭოს მიერ დადგენილი ოპერაციის შესრულებას. ამ მიზეზით ხსენებული ოპერაცია გადაიდო ახალი მარაგის მიტანამდე.

რუსეთის შეიარაღებული ნაწილები იმჯერად ყოველმხრივ მოუმზადებელი აღმოჩნდნენ შვედებთან ბრძოლისათვის.

10 ნოემბერს პეტრე დიდის „ერთგული" კაპიტანი გუმორტი შვედების მხარეზე გადავიდა, რაც ჯარში არევ-დარევის დასაწყისი გახდა.

13 ნოემბერს ცხენოსან მზვერავთა მეთაურ შერემეტევისაგან მოვიდა ცნობა, რომ შვედების 30000-იანი არმია დაიძრა ნარვისაკენ; იგი მთელ კვირას საომარ პოზიციებს იკავებდა და წინ მიიწევდა. ახლოვდებოდა უშუალოდ შეტაკება ორ მოწინააღმდეგეს შორის. ასეთს რთულ ვითარებაში, 18 ნოემბერს, პეტრე დიდი აუცილებელი საქმეების გამო პოლონეთის მეფე ავგუსტ II-სთან შესახვედრად წავიდა ნოვგოროდში, ფელდმარშალ ფ. ა. გოლოვინსა და სერჟანტ მენშიკოვთან ერთად. დაბრუნებამდე საერთო ხელმძღვანელობა მოხუც ფელდმარშალ დე კრუის ჩააბარა, 1700 წ. ნარვის ბრძოლების მონაწილის, საქსონიელი ინჟინერის გოლარტის ცნობით, „შეიტყო თუ არა კარლ XII-ს მოახლოება, პეტრე დიდმა ჯარების საერთო ხელმძღვანელობა ჰერცოგ დე კრუის მიანდო, მისცა ნაჩქარევად დაწერილი ინს-

ტრუქცია და დიდად განაწყენებულმა დატოვა იქაურობა"[45]. უნდა აღინიშნოს ზემოთ მოყვანილი ცნობის უზუსტობა; პეტრე დიდი არ მოელოდა კარლ XII-ის მოახლოებას და შვედების შეტევაზე გადმოსვლას. რის გამოც მან გადაწყვიტა დამატებითი სამხედრო ძალების შესაგროვებლად წასვლა ნოვგოროდში[46].

შვედების იერიშზე გადმოსვლა იმ დღეს მოულოდნელი იყო. დაზვერვას რომ ამის შესახებ წინასწარ რაიმე ეცნობებინა, პეტრე დიდი არ წავიდოდა ნოვგოროდში პოლონეთის მეფესთან შესახვედრად.

19 ნოემბერს შვედების იერიშზე გადმოსვლამ გადაწყვიტა საომარი მოქმედების ბედი.

საღამოს რუსმა გენერლებმა: თავადმა იაკობ დოლგორუკმა, ალექსანდრე იმერეტინსკიმ, ავტომონ გოლოვინმა და ივანე ბუტურლინმა შეიტყვეს ფელდმარშალ დე კრუის ტყვედ ჩავარდნა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სარდლობამ, რომელიც მეტწილად უცხოელებისაგან შედგებოდა, რუსეთს უღალატა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი გენერლები მიწაში გაჭრილ ხის ბლინდაჟში შეიკრიბნენ, საიდანაც, საჩქაროდ მოთათბირების შემდეგ, ჯერ ცნობა გაგზავნეს, ხოლო შემდეგ თვითონ წავიდნენ შვედების ბანაკში და ითხოვეს თავიანთი გადარჩენილი სამხედრო ნაწილებით თავისუფალი უკანდახევა, რაზედაც დაეთანხმა კარლ XII. მას გენერლებმა სთხოვეს ნადავლის — რუსეთის არტილერიის—უკანდაბრუნებაც, რაზედაც შვედების მეფემ უარი განაცხადა.

20 ნოემბერს დილით დაიწყო სამხედრო შენაერთების უკანდახევა, რომელთა ნაწილიც გაძარცულ იქნა მოწინააღმდეგეთა მიერ.

დილის 11 საათზე კარლ XII-ის ბრძანებით მისმა ვენერალ-ადიუტანტმა ტაუბემ რუსი გენერლები, ოფიცრები და სხვა სამხედრო მოხელეები, სულ 79 კაცი გადაიყვანა ნარვის კომენდანტთან, სადაც ისინი ვერაგულად გამოაცხადეს სამხედრო ტყვეებად[47]. ტყვეთა შორის იყვნენ: ი. დოლგორუკი, გენერალ-ფელდცეიხმეისტერი ა. იმერეტინსკი, გენერალი ა. გოლოვინი, გენერალი ა. ვეიდი, ი. ტრუბეცკოი, ი. ბუტურლინი და სხვები[48].

19 ნოემბერს ნარვასთან ბრძოლა რუსეთის ჯარის კაპიტულაციით დამთავრდა. რუსებმა დაკარგეს 8000-მდე კაცი, 20 დროშა, არტილე-

---

[45] Д. С. Мережковский. Петр и Алексей, издание М. В. Пирожкова, 1905 г., с. 137—138.

[46] Хронологический указатель военных действий русской армии и флота, т. 1 (1695—1800 гг.), СПБ., 1908, с. 39.

[47] М. Д. Хмыров, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53.

[48] А. С. Пушкин. История Петра, соч., т. VI$_2$, с. 92.

რია, ბანაკი, ჯარის სახეობათა 151 ნიშანი, მთავარსარდალი ჰერცოგი დე კრუი, გენერალიტეტი, 8 შტაბისა და 30 ოფიცერი ჩაბარდა ტყვედ[49].

შვედების სწრაფმა და მოულოდნელმა გამარჯვებამ არევ-დარევა შეიტანა რუსეთის არმიაში. დაიწყო მასიური უკან დახევა, ბევრმა გაქცევით უშველა თავს. არის ცნობა, რომ გახარებულმა შვედებმა 1700 წლის 19 ნოემბრის ამ იოლი გამარჯვების აღსანიშნავად მედალი გამოუშვეს, რომელზედაც უკანდახეული სამხედრო ნაწილები და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი პეტრე დიდი იყო გამოსახული.

ალექსი პეტრეს ძის მეუღლეს სოფიო-შარლოტას გერმანელი მეგობარი ქალი სწერდა: „მე ვნახე შვედ ტყვეს — გრაფ პიპერს — ჰქონდა შვედების მიერ გამოშვებული მედალი, რომლის ერთ მხარეზე გამოსახული იყო მეფე, რომელიც თბებოდა ალყაშემორტყმული ნარვისაკენ ბომბების მსროლელი ზარბაზნების ლულიდან გამოვარდნილ ცეცხლის ალზე, წარწერით: პეტრე იდგა ცეცხლთან და თბებოდა ისე, როგორც კაიაფას ეზოში მყოფი ნოციქული პეტრე. მეორე მხარეზე — ნარვიდან გაქცეული რუსები. წინ პეტრეა, თავიდან სამეფო გვირგვინი უვარდება, დაშნა გადაგდებული. თვალებიდან ცხვირსახოცით ცრემლებს იწმენდს". წარწერა გვაუწყებს: „გამოვიდა გარეთ და მწარედ ტირილი დაიწყო"[50].

სამხედრო ტყვეთა შორის, როგორც აღვნიშნეთ, იყო ალექსანდრე იმერეტინსკი, რომელმაც, როგორც ყველამ, ტყვეობის პირველი დღე გაუთბობელ, ცივ ოთახში, შიმშილში გაატარა. როცა ყველას დროებითი ადგილსამყოფელი მიუჩინეს, ალექსანდრეს, როგორც გენერალს, საყარაულოდ ოფიცერი დაუნიშნეს ორი შვედი ჯარისკაცით; ჩამოართვეს ყველაფერი, რაც კი თან ჰქონდა. მკაცრად უთვალთვალებდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში წერის საშუალება არ ჰქონოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ტყვეობაში მყოფი ი. დოლგორუკი სწერდა თ. გოლოვინს: „ალექსანდრე არჩილის ძე, ავტონომ მიხეილის ძე გოლოვინი, ადამ ადამის ძე ვეიდე, თავადი ივანე იურის ძე ტრუბეცკოი, ივანე ივანეს ძე ბუტურლინი და მე, თავადი იაკობი, ცოცხლები ვართ. თუ როგორ უბედურად წარიმართა ჩვენი საქმე, ამის შესახებ ჩვენ მოწერის ნება არა გვაქვს... ახლა ჩვენ ვართ რუ-

---

[49] Хронологический указатель военных действий русской армии и флота, т. I (1695—1800) СПБ., 1908, с. 47.

[50] Д. С. Мережковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 137—138. უნდა აღინიშნოს, რომ მედალზე აღნიშნული წარწერები და გამოსახულება სინამდვილეს არ ასახავს. 1700 წლის 19 ნოემბერს ბრძოლის დროს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პეტრე ნარვასთან არ ყოფილა.

გოდევში (ნარვაში), ორი დღე ვიყავით ერთად, შემდეგ დაგვაცალკევეს, ის წყალობაც კი არა გვაქვს, რომ ერთმანეთს ვხედავდეთ, ან ვიცოდეთ ჩვენი ხალხი ჯანმრთელადაა თუ ავადაა ვინმე“[51].

1701 წლის დასაწყისში ტყვეები ნარვიდან სტოკჰოლმში გადაიყვანეს, სადაც აგვისტომდე საკმაოდ მკაცრად ეკიდებოდნენ. სტოკჰოლმში ალექსანდრე სტირნდალის სახლში დააბინავეს, მასთან იყო მისი რვა ქართველი თანმხლებიც.

აქ ტყვე რუს გენერლებთან ერთად, ალექსანდრეც ფრიად დამამცირებელ მდგომარეობაში გამოიყვანეს კარლ XII-ის მიერ მოწყობილ ტრიუმფალურ მსვლელობაში, სადაც ბატონიშვილი პოლონეთის ელჩის გენერალ-მაიორ ლანგეს გვერდით მიაბიჯებდა მწკრივის თავში. პეტრე განრისხდა ალექსანდრესა და სხვათა შეურაცხყოფით და კარლ XII-ს სამაგიერო გადაუხადა. გამოიყვანა შვედი ტყვეები და შვედეთის ელჩის მეთაურობით მოსკოვის ქუჩები შემოარბენინა.

შვედეთში პრუსიის წარმომადგენლის შუამდგომლობით ტყვეებს აგვისტოს ბოლოდან უკვე ცოტა უფრო თავაზიანად დაუწყეს მოპყრობა[52].

1702 წლის დასაწყისში დაისვა საკითხი ალექსანდრეს ტყვეობიდან გამოსყიდვის შესახებ, რისთვისაც სტოკჰოლმში სპეციალურად გაიგზავნა წარმომადგენელი, რომელმაც ჩამოიტანა ცნობა, რომ შვედები ბატონიშვილის გამოსასყიდად 10 კასრ ოქროს თხოულობდნენ.

„...ამ დღეს აქ მოვიდა იმერეთის პრინცის კაცი, რომელიც სტოკჰოლმთან ახლოს ტყვედ მყოფ ბატონის გასათავისუფლებლად მისმა ბატონებმა გამოაგზავნეს; როცა უკან ბრუნდებოდა, მან განაცხადა, რომ შვედები პრინცის გასათავისუფლებლად 10 კასრ ოქროს ითხოვენო“[53]. გარდა ალექსანდრე არჩილის ძისა, სხვებში შვედები თხოულობდნენ თავიანთ ოფიცერს რუსი ოფიცერის მაგივრად[54].

განსაკუთრებით დიდი საფასურის მიღების იმედი ჰქონდათ შვედებს ალექსანდრეს განთავისუფლებით, ვინაიდან მათ იცოდნენ, რომ გენერალ-ფელდცეიხმეისტერი ალექსანდრე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და პირადი მეგობარი იყო პეტრე დიდისა, რომელიც არავითარ ხარჯს არ მოერიდებოდა მის გამოსახსნელად.

ალექსანდრეს დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს 1779 წელს გამოცემულ ენციკლოპედიაში მოთავსებული სტატია „ბრძოლა ნარვის

---

[51] Н. И. Устрялов, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, ნაწ. II, დამატება 11, გვ. 46; М. Д. Хмыров, დასახ. ნაშრომი, გვ. 53—54.

[52] Н. И. Устрялов, დასახ. ნაშრ., დამატება № 11, 90.

[53] იქვე, გვ. 539.

[54] იქვე.

ველზე", სადაც მოწინააღმდეგეთა ზარალის აღწერის შემდეგ საუბარია შვედების მიერ ხელში ჩაგდებულ ტყვეებზე, რომელთა შორის მხოლოდ ფელდმარშალი დე კრუი და არტილერიის გენერალ-ფელდცეიხმეისტერი ალექსანდრე არჩილის ძეა გვარებითა და წოდებით მოხსენიებული. „იმ დღის დიდება შვედებს 1300 ჯარისკაცის დაღუპვის ფასად დაუჯდათ. კარლ XII-მ ტყვედ ჩაიგდო მოწინააღმდეგეთა არმიის გენერალისიმუსი ჰერცოგი დე კრუი, პრინცი გრუზინსკი და შვიდი სხვა გენერალი"[55].

ალექსანდრეს და სხვა ტყვეთა გამოსყიდვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

1703 წლის 2 მაისს გენერლებმა: ვეიდემ, ტრუბეცკოიმ და ბუტურლინმა ტყვეობიდან გაქცევა სცადეს. რაც უშედეგოდ დამთავრდა. ამ გაქცევის შესახებ ა. გოლოვინი 1703 წლის 29 მაისს იწერებოდა, რომ ამა მაისის ღამის სამ საათზე. ჩვენვან, როგორც არაერთგულთაგან, გენერალი ადამ ადამის ძე ვეიდე, თავადი ივანე იურის ძე ტრუბეცკოი, ივანე ივანეს ძე ბუტურლინი საიდუმლო კარიდან გავიდნენ და ბოროტი შემთხვევით და საუბედუროდ შეიპყრეს იმავე რიცხვის ნაშუადღევს, ჩვენგან გამოყვეს და დააყენეს გაძლიერებულ ყარაულქვეშ. ჩვენც იმ დროიდან ყარაული გაგვიძლიერეს...

იმავე წლის 16 და 17 მაისს ბატონიშვილსა და რეზიდენტს (ხილკოვს) ეკლესიაში წასვლისა და ჩვენი ნახვის უფლება მისცეს"[56].

ტყვეთა გაქცევის ცდამ კიდევ უფრო გაუარესა მათი მდგომარეობა. თუ რომელიმე მათგანი აუცილებელი საჭიროებისათვის სადმე გავიდოდა, ყარაული იარაღით თან დაჰყვებოდა. მათ აუტანელ პირობებზე მეტყველებს სტოკჰოლმში იმჟამად ტყვეობაში მყოფი თავადი ხილკოვის[57] 1703 წლის 24 ივლისს თ. გოლოვინისადმი მოწერილი წერილი: „...უმჯობესია თურქებთან ტყვედ ყოფნა, ვინემ შვედებთან. აქ რუსებს არაფრად აგდებენ. აგინებენ უნამუსოდ და დასცინიან"[58]. ტყვეობის აუტანელმა პირობებმა თავისი დაღი დაასვა ალექსანდრეს, რომელიც დაავადდა ტყვეობის პირველსავე წლებში.

---

[55] Энциклопедия или толковый словарь наук, искусств и ремесел. Составлен, приведен в порядок и издан Г. Ридеромом и Г. Дъаламбером, т. 7, Берн-Лозанна, 1779, ფრანგულ ენაზე.

[56] С. Б. Эсадзе. Первый Генерал-фельдцейхмейстер русской артиллерии при Петре Великом царевич Имеретинский Александр Арчилович, СПБ, 1913, с. 14.

[57] შვედებთან ომის დაწყების წინ ხილკოვი სტოკჰოლმში გაიგზავნა რეზიდენტად. საომარი მოქმედების დაწყებისთანავე შვედების მთავრობამ იგი დააპატიმრა და იმყოფებოდა სტოკჰოლმში, როგორც ტყვე, სადაც გარდაიცვალა 1718 წელს.

[58] Н. И. Устрялов, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, ნაწ. II, დამატება № 11, გვ. 230.

1703 წლის 6 დეკემბერს ალექსანდრე სწერდა თ. გოლოვინს: „ჩემო ხელმწიფევ, თედორე ალექსის ძევ, დიდხანს იცოცხლე! შენი მწყალობელი წერილისათვის მადლობას გითვლი, რომ არ დამივიწყე. დიდება უფალს, ჯერ ცოცხალი ვარ, თუმცა ძალიან ავად ვარ. ამიტომ გულით გთხოვ, ჩემო ხელმწიფევ, ვინმე მადლიანი მღვდელი გამომიგზავნო, რომ ქრისტიანული წესით სიკვდილის ღირსი გავხდე.

იცოცხლე და მარად იდღეგრძელე, ჩემო ხელმწიფევ!

ალექსანდრე, უფლისწული იბერიისა, დეკემბრის 6“[59].

იმავე დღეს ალექსანდრე წერილით ვასილ დოლგორუკოვს აცნობებდა: „ჩემო ბატონო, თავადო ვასილ ლუკას ძევ, დიდხანს იცოცხლე!

მადლობელი ვარ შენი მწყალობელი წერილისათვის, ჩემო ბატონო. თქვენი ბიძა, თავადი იაკობი თედორეს ძე, ღვთის მადლით, ჯანმრთელად ბრძანდება. უფლისწული ალექსანდრე კვლავაც დაბლა თავს გიკრავთ. 6 დეკემბერი“[60].

ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ შეარყია ალექსანდრე ბატონიშვილის ჯანმრთელობა სკანდინავიის მკაცრმა ჰავამ და ცუდმა პირობებმა. 1705 წელს პეტრე დიდმა შვედი ტყვეების ციმბირში გადასახლება დაიწყო, რამაც შვედეთის მთავრობა აღაშფოთა, ამას სტოკჰოლმში მყოფ რუს ტყვეთა მდგომარეობის კვლავ გაუარესება მოჰყვა.

1705 წლის ოქტომბერში რეზიდენტი ხილკოვი პეტრე დიდს აცნობებდა: „ჩვენ გადაგვიყვანეს სხვადასხვა ქალაქებში და ვყავართ მკაცრ, სასტიკ ტყვეობაში, არსად არ გვიშვებენ და არავის ნახვის უფლებას არ გვაძლევენ. მხოლოდ ბატონიშვილ ალექსანდრე არჩილის ძეს აქვს უფლება გაისეირნოს ყარაულთა თანხლებით. ვეიდეს სარდაფში ამყოფებენ. სენატმა გამოგვიცხადა, რომ როცა შვედ ტყვეებს მოსკოვში დააბრუნებენ, თქვენც (რუს ტყვეებს, — მ. გ.) მაშინ დაგაბრუნებთო სტოკჰოლმში. აქ სინამდვილის საწინააღმდეგო ხმებს ავრცელებენ ხალხში, რომ შვედ ტყვეებს სცემენ მათრახითა და ჯოხით. ამ ტყუილებით უნდათ აღაშფოთონ ხალხი ჩვენს წინააღმდეგ“[61].

ასეთი საფუძველს მოკლებული ცნობების გავრცელებით ცდილობდა შვედეთის მთავრობა ხალხის ცუდად განწყობას რუსი ტყვეების მიმართ და რუს ტყვეთა აუტანელ მდგომარეობაში ყოფნის გამართლებას.

[59] С. Б. Эсадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[60] იქვე.

[61] М. Д. Хмыров, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

ალექსანდრე სწერდა 1706 წლის 19 ნოემბერს პეტრე დიდს თავისი უმწეო მდგომარეობის შესახებ, რომ მას პურიც კი არ ჰქონდა საკმარისი, ვალებში ჩავარდა; მამისაგან ფულს ვერ იღებდა, ვინაიდან, მისი სიტყვით, არჩილს ნაწყალობები სოფლიდან იმდენი შემოსავალიც კი არა ჰქონდა, რომ ოჯახი დაეკმაყოფილებინა და სთხოვდა დახმარებას, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო[62].

პეტრე დიდის ბრძანებით, ალექსანდრე არჩილის ძეს ხშირად ეგზავნებოდა ფული სომეხი ვაჭრებისა და სხვათა ხელით. მაგალითად, 1707 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „გასულ, 1700 წელს, დიდი ხელმწიფის ბრძანებით მოსკოვიდან ბატონიშვილ იმერეტინსკის გადაეგზავნა 832 ეფიმკა"[63].

ალექსანდრეს ფულს უგზავნიდა მამამისიც, ხან თავისი შემოსავლიდან, ზოგჯერ პეტრე დიდის მიერ მიცემული ფულადი დახმარების საშუალებით: „იმერეთის მეფეს — არჩილ ვახტანგის ძეს, თავისი ვაჟის — ალექსანდრე არჩილის ძის ვალების გადასახდელად 1706 წლის 19 მარტს მიეცა 300 მანეთი"[64].

ტყვეობაში ჩავარდნილი ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ფულის გაგზავნა არ ავიწყდებოდა არც პეტრე დიდს და არც მამამისს, მაგრამ შვედეთის მთავრობა განგებ აბრკოლებდა ფულის გადაცემას. ეს იყო მიზეზი, რომ გაგზავნილი ფული არ მიდიოდა დანიშნულებისამებრ.

ფულადი დახმარების პარალელურად პეტრე დიდი ცდილობდა ყველა ტყვის და პირველ რიგში ალექსანდრეს გამოსყიდვას, თუმცა მის მრავალგზის ცდას შედეგი არ უჩანდა.

ალექსანდრეს განთავისუფლება არჩილის ყოველდღიური საზრუნავი იყო. დარწმუნდა რა შვილის განთავისუფლების სირთულეში, 1706 წლის 2 თებერვალს არჩილმა ვრცელი წერილი მისწერა შვედეთის მეფეს კარლ XII-ს თხოვნით. ეს წერილი ვრცელი მიმოხილვით 1854 წელს დაბეჭდა აკადემიკოსმა მარი ბროსემ. წერილი იმდენად საინტერესოა, რომ მიზანშეწონილად ვცანით მისი ქართული თარგმანის გამოქვეყნება, რაც უფრო მეტ შუქს მოჰფენს ალექსანდრესა და მამამისის მდგომარეობას რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერის ტყვეობაში ყოფნის დროს:

„ი. ქ. მის უდიდებულესობასა და უკეთილშობილეს მთავარსა და მეფეს, კარლოს მეფეს, ღვთის წყალობით ხელმწიფესა და მემკვიდრე

---

[62] Н. И. Устрялов, დასახ. ნაშრომი, გვ. 529.

[63] С. Б. Эсадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 18 (ეფიმკა XVII—XVIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში გავრცელებული ფულის საზომი ერთეული).

[64] იქვე.

მეფეს შვედეთისა, გოთებისა და ვენდების... ფინეთის მიწების დიდმთავარს; ჰერცოგს შკონსის, ესტლანდიის, ლიფლანდიის, კარელიის, ფერდინიის შტეტინის, პომერანიის, ბრუმენის, კაშუბის, ფერდენის, მთავარს რიუგენის, ბრემენის, ფერდენის, ხელმწიფეს იქერის მიწების და ვისმარში, პფალცგრაფს რეინის, ბავარიის, იულიხის, კლევსის, ჰერცოგს ბერგენის, თქვენს ხელმწიფობის უდიდებულესობას.

ჩვენ, არჩილი, დავითისა და სოლომონის შთამომავალი, იმერეთის მეფის ბაგრატის მემკვიდრე და ჩვენ ძველ წინაპართა უფლების მეოხებით მემკვიდრე მეფე მთელი საქართველოისა.

თქვენი მეფური უდიდებულესობის უბედურებაში ჩავარდნილთა მიმართ სიკეთის მიგებით ქვეყანაზე შორს განთქმულმა სახელმა გამაბედვინა და გადამაწყვეტინა უმდაბლესად მეთხოვა თქვენი წყალობა ჩემი შვილის, ბატონიშვილი ალექსანდრესათვის, რისთვისაც გთხოვთ თავდამცირებითა და ცრემლებით, კეთილგანწყობილად მოგვისმინოთ შემდეგი: საქართველოს ყველა მეფის სამთავროები ჩვენი ცოდვების გამო, ღვთის განგებით, ორმა ურჯულო ხელმწიფემ გაანადგურა და ხალხი კი მონებად აქცია. ჩვენი სურვილია, რომ ამის შესახებ დაწვრილებით არ მოგითხროთ და თავი არ მოგაწყინოთ.

ჩვენ სრული სიმართლითა და სისწორით გაცნობებთ თქვენს მეფურ უდიდებულესობას ჩვენს საქმეზე შემდეგს:

ჩვენ, ზემოაღნიშნული მაჰმადიანური ხელმწიფეების მიერ მიტაცებულ სამფლობელოებსა და თავისუფლებას მოკლებული, მთელის რუსეთის უბრწყინვალესი მეფის მწყალობელი მიწვევით, ჩვენი თავი მივანდეთ მისი უდიდებულესობის მფარველობას, — ბერძნულ-ქრისტიანული წმიდა სარწმუნოების მაღიარებელი ხალხის როგორც შთავარსა და ქომაგს, რის გამოც ვიმყოფებით მის სამეფოში და მისი უმძლავრესი ხელისუფლების ქვეშ, როგორც ეს ჩანს მის დიად ტიტულატურაშიც. თანახმად მისი ნება-სურვილიდან გამომდინარე ბრძანებულებისა, ჩემი შვილი იმყოფება მისი მეფური უმაღლესობის სამსახურში და საუბედუროდ უკვე ექვსი წელია, რაც იტანჯება ტყვეობაში; მრავალი მწუხარება და ავადმყოფობა ემუქრება მას დაუძლურებითა და ნაადრევი სიკვდილით; ჩვენ კი შვილის დაღუპვის შემთხვევაში მოხუცებულობის ჟამს დარდი უფრო მალე ჩაგვაგდებს სამარეში, ვიდრე ჩვენი ქვეყნის აოხრება და უბედურება. ამისათვის ჩვენ და ჩვენი ოჯახობა, თავმდაბლად თავდახრილნი, ვთხოვთ თქვენს ხელმწიფურ უდიდებულესობას მიიღოს ჩვენზე მოწყალება, რომელიც თქვენი უდიდებულესობის ხვედრია და გვიბოძოს ჩვენ წყალობა და ჩვენ შვილს მიანიჭოთ თავისუფლება გაცვლის წესით თქვენი უდიდებულესობის რამდენიმე ოფიცერში, რომელიც თანატოლი იქ-

ნება ჩვენი შვილის ჰასაკისა და აწინდელი ხარისხისა, რათა ჩვენს მოხუცებულობას არ მოაკლდეს ეს უკანასკნელი ნუგეში, რის გამოც ჩვენ სარწმუნო იმედს ვიქონიებთ, რომ თუ კი თქვენი უდიდებულესობა ხელმწიფე, მთელ დედამიწაზე და ყველგან განთქმული თქვენი წყალობის შუქმომფენობით, თუკი ღმერთის მცნებებით და მართლმსაჯულებით ინებებდით ჩვენთვის გაგეწიათ ასეთი კარგი და სასარგებლო საქმე, მაშინ თქვენი ხელმწიფობის უდიდებულესობისათვის ჩვენ შეგვიძლია ვეღოდოთ, რომ ყველა თქვენ სურვილს შევასრულებდით და დავაკმაყოფილებდით; ჩვენ, მთელი ჩვენი ქართული სამეფო სამუდამოდ დავრჩებით თქვენი ხელმწიფური უდიდებულესობის მადლიერნი და თქვენ ცნობილ სახელს ქვეყნად ვადიდებთ. რაზედაც ვრჩებით თქვენი უდიდებულესობის წყალობის მოლოდინში, მწუხარებაში მყოფი მადლიერი თქვენი მსახური.

დაწერილია მხსნელის 1706 წლის 2 თებერვალს

არჩილი"[65].

ეს წერილი ბერმა ბაგრატ სოლაღაშვილმა ჩაიტანა სტოკჰოლმში. თუმცა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მეფე არჩილის თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მშობელი კვლავ განაგრძობდა გზების ძებნას ალექსანდრეს ტყვეობიდან განთავისუფლებისათვის. მან რამდენჯერმე მიმართა დახმარებისათვის პეტრე დიდსაც, რომლისადმი მიწერილ ერთ-ერთ უთარიღო წერილში იგი წერდა: „ჩემი შვილი, ბატონიშვილი ალექსანდრე სტოკჰოლმიდან იტყობინება, რომ მას გამოუცხადეს მეფის ბრძანებულება, მეფე თანახმაა გაცვალოს იგი (ალექსანდრე, — მ. გ.) 20 კაპიტანზე, 20 პორუჩიკსა და 20 პროპორჩიკზე"; არჩილი რუსეთის ხელმწიფეს სთხოვდა აღნიშნული 60 კაცის შერჩევას[66].

ამგვარი გაცვლის შესახებ თავის დროზე პეტრე დიდმა მიმართა ალექსანდრე არჩილის ძეს და სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი, თანახმა იქნებოდა თუ არა იგი ხსენებული ვარიანტისა.

ალექსანდრე არჩილის ძემ 1710 წლის 6 სექტემბერს თავისი ხელით მისწერა წერილი პეტრე დიდს, სადაც ხსენებული შეკითხვის საპასუხოდ სწერდა: „არც მითქვამს და გონებაშიც არ გამივლია. რომ სახელმწიფოსათვის რაიმე ზიანი მიმეყენებინა, არა მარტო ჩემი მი-

---

[65] М. Броссе. О грузинском письме царя Арчила к шведскому королю Карлу XII, от 2 февраля 1706 года, ученые записки императорской Академии наук по первому и третьему отделениям, т. II, вып. IV, СПБ, 1854, с. 547—549.

[66] Н. И. Устрялов, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, ნაწ. II, დანართი № 2, § 45, გვ. 445.

ზეზით, არამედ სხვათა ათასჯერ უკეთესიც რომ ყოფილიყვნენ. ჩვენ მხოლოდ ამისათვის ვართ მოწოდებულნი: მოვითმინოთ და დავიხოცნეთ ხელმწიფისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის"[67]. იმავე წელს გადაწყდა ალექსანდრე ბატონიშვილის და თავად ტრუბეცკოის გაცვლა გრაფ პიპერზე, ხოლო თავად ი. დოლგორუკისა და ა. გოლოვნისა — ფელდმარშალ რენშელდზე.

ხსენებული ტყვეები წამოიყვანეს სტოკჰოლმიდან, მაგრამ ალექსანდრე არჩილის ძეს არ ეწერა სამშობლოში დაბრუნება, იგი გზაშივე გარდაიცვალა.

თავადი იაკ. დოლგორუკი წერდა: „ზამთრის დამდეგს, როცა ჩვენ შემოგვატარეს მთელი ბოტნიის ყურე, მე დამტოვეს იაკობშტადტში, უფლისწული ალექსანდრე კი გარდაიცვალა გზაში..."[68] ეს მოხდა 1711 წელს 20 თებერვალს. ათი წლის ტყვეობის შემდეგ, განაწამები და დასუსტებული, განთავისუფლების გზაზე დამდგარი ალექსანდრე არჩილის ძე გზად, რიგაში გარდაიცვალა.

იგი ვერ მოესწრო ვერც თავისუფლებას და ვერც რუსეთში დაბრუნებას. პეტრე დიდმა ყოველგვარი ზომები მიიღო ტყვეების და კერძოდ, ალექსანდრე არჩილის ძის დახსნისათვის. მისი პატივისცემა და უაღრესად კეთილი დამოკიდებულება ბატონიშვილისადმი ტყვეობის დროსაც კი იმდენად დიდი იყო, რომ ხმები გავრცელდა — პეტრე დიდმა ტყვეობიდან დახსნის შემდეგ ალექსანდრე თავის სამშობლოში სამეფო ტახტზე უნდა დასვასო.

„...აქ ხმა დადის, რომ როცა შვედებთან ომი დასრულდება, პეტრეს უნდა ასტრახანისაკენ წავიდეს, იქ მან ფლოტის აშენება გადაწყვიტა და კასპიის ზღვით უნდა, რომ საქართველოსთან ახლო მივიდეს. განზრახული აქვს იმერეთის პრინცის (რომელიც ქართველებმა და სპარსელებმა თავისი ქვეყნიდან გამოდევნეს და რომელიც ახლა ტყვედ იმყოფება შვედეთში) ტახტზე დასმა თავის სამშობლოში"[69].

უკანასკნელი იმედიც გამოეცალა ხელიდან ისედაც ყოველმხრივ იმედგაცრუებულ მეფე არჩილს, რომელიც შვილის გარდაცვალების შემდეგ წერდა: „ოჰ, ჩვენ ყოველგვარ სიკეთეს მოკლებულ საცოდავებს მოგვტაცა შვილი ჩვენი, ალექსანდრე, სიკვდილმა, ჩვენ კი მწარე სიბერეში გვიმზადებს მწუხარების გზას სამარისაკენ... ჩემი შვილის ძვლები მაინც გადმოეტანათ მოსკოვში"[70]. არჩილის უკანასკნე-

---

[67] იქვე, ნაწილი I, გვ. 64; М. Д. Хмыров, დასახ. ნაშრომი, გვ. 55—56.

[68] Н. И. Устрялов, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, ნაწ. I, გვ. 57, 66.

[69] იქვე, გვ. 571.

[70] იქვე, გვ. 57, 64

ლი ნატვრა ასრულდა — ალექსანდრეს ნეშტი რიგიდან მოსკოვში[71] გადმოასვენეს და დაკრძალეს დონის მონასტერში[72]. რამდენიმე დღის შემდეგ ნოვოდევიჩის მონასტრიდან დონის მონასტერში გადმოასვენეს აგრეთვე ალექსანდრე ბატონიშვილის პირველი ცოლის თედოსია ოვანეს ასულ მილოსლავსკაიასა და არჩილის ორი უმცროსი ვაჟის — დავითისა და მამუკას ნეშტები.

პეტრე დიდს იმდენად უყვარდა და აფასებდა ალექსანდრეს, რომ მას ტყვეობაში ყოფნისას შეუნარჩუნა გენერალ-ფელდცეიხმეისტერის წოდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვალეობას 1703 წლამდე ანდრეი ანდრიას ძე ვინიუსი ასრულებდა. ალექსანდრეს, როგორც მამულის მქონე გენერალს, ენახებოდა ჯამაგირის ნახევარი — 700 მანეთი წელიწადში[73].

1703 წელს პეტრე დიდმა გაათავისუფლა ა. ვინიუსი უხეირო სამსახურისათვის და არტილერიის ხელმძღვანელობა ნოვგოროდის გუბერნატორს იაკობ ბრიუსს დაევალა. გენერალ-ფელდცეიხმეისტერის წოდება კი, როგორც აღვნიშნეთ, პეტრე დიდმა 1711 წლამდე, ე. ი. სიკვდილამდე, შეუნარჩუნა ალექსანდრე ბატონიშვილს.

მეფე არჩილის გულში უსაზღვრო დარდმა დაისადგურა. მემკვიდრის გარდაცვალებას წუხდა — ქართლში ან იმერეთში სამეფო ტახტი კიდევაც რომ ღირსებოდა, მემკვიდრე აღარა ჰყავდა. იგი შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა, რის გამოც პეტრე დიდს კვლავ წერილით მიმართა: „სულის განტევებისას მივმართავ თქვენს უდიდებულესობას. ჩვენ ქვეყნად ვიბადებით შრომისათვის, ვკვდებით იმისათვის, რომ მოვიპოვოთ განსვენება, „სიკვდილი კაცისათვის დანვენებაა“. სიცოცხლეში მე ბევრი რამ გადავიტანე ქრისტეს სარწმუნოებისათვის. მისთვის მე გავიმეტე არა მარტო მიწიერი ჩემი სამეფო, ჩემი საყვარელი სამშობლო, უტკბესი ჩემი შვილები, არაერთხელ საკუთარი სიცოცხლეც კი, მოწყალეო მეფევ, შენს ხელს ვაბარებ ჩემს სახლს და ყველა იქ მყოფს. შენ გაბარებ ღატაკთ, ობოლთ და გადმოხვეწილთ, იყავი მათი მწე, ნუ დატოვებთ მათ სიბერეში. მისმი-

[71] ალექსანდრეს დასაფლავების ადგილის შესახებ მ. დ. ხმიროვი თავის სტატიაში — I-й Генераль-фельдцейхмейстер царевичъ Александр Арчиловичъ Имеретинский, რომელიც მან 1886 წელს არტილერიის ჟურნალის № 1-ში გამოაქვეყნა, 57-ე გვერდზე შეცდომით წერს: «Кости царевича Александра злобно невыданные шведами, навсегда остались в чужой земле далекой от родной царевичу Грузии».

[72] С. Б. Эсадзе, Первый Генераль-фельдцейхмейстер русской артиллерии при Петре Великом царевич Имеретинский Александр Арчиловичъ СПБ., 1913, с. 28.

[73] Полное собр. законов Росс. Имп., т. IV, № 2335.

ნე: თუ ჩემი უყურადღებობით რაიმე შეგცოდე, მომიტევე. მაღალი მონარქის თვალით გადმომხედე და შეივრდომე ჩემს შემდგომ დარჩენილი ასული ჩემი. იმედი მქონდა, ჩემი ვაჟების მეოხებით აღმედგინა მემკვიდრეობა ჩემი გვარეულობისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მფლობელობდა ივერიასა და სხვა ქვეყნებს. ღმერთმან არ ინება ეს. მაგრამ დამიტოვა ასული, რომლის მეოხებით ჩვენი გვარი შეიძლება აღდგენილ იქნეს, თუ ჩემი ქალიშვილისათვის შეირჩევა შესაფერი პირი, კანონიერი ქორწინებით და ურთიერთთანხმობით მასთან შესაუღლებლად. წარსულში ამ გზით ჩვენი გვარი ორჯერ იყო განახლებული. ეს წესი მიღებულია და კანონიერად ითვლება აზიისა და ევროპის ბევრ სამეფო კარზე. იმერეთის სამეფოსა და სხვა სამფლობელო მიწებს, რომლებიც თქვენს მაღალმონარქიულ მფარველობაში იმყოფებიან, ნუ დატოვებთ უმწეოდ საერო და საეკლესიო საქმეებში. თქვენს ხელთაა მათი ბედი. მათ სწადიათ თქვენს მფარველობაში ყოფნა ისევე, როგორც წინათაც თქვენი უდიდებულესობის წინაპართა მფარველობაში იყვნენ.

დე, ბრძანოს თქვენმა უდიდებულესობამ, რომ აზნაურები და ჩვენს ენაზე მოლაპარაკე ყველა წოდების ადამიანები, რომლებიც ჩვენთან ცხოვრობდნენ მოსკოვში და ჩვენს შემდეგაც ჩემი ქვეყნიდან ჩამოვლენ, მოვიდნენ და წავიდნენ წინანდებურად დაუბრკოლებლად. დე, მოსკოვში ჩამოსულნი, მიღებული ჩვეულებისამებრ, აუცილებლად ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ"[74].

სამშობლოდან შორს გადახვეწილი არჩილისათვის აუწერელი უბედურება იყო სამივე ვაჟის — დავითის, მამუკასა და ალექსანდრეს გარდაცვალება. აღარ ჰყავდა მემკვიდრე, რომელიც გვარს გააგრძელებდა და მას თავის მემკვიდრეებსაც გადასცემდა. მას დარჩა მხოლოდ უკანასკნელი ვაჟის — ალექსანდრეს გარდაცვალებით უსაზღვროდ დამწუხრებული მეუღლე — ქეთევანი და ერთადერთი ასული დარეჯანი. ზემოთ მოყვანილი წერილიდან ნათლად ჩანს, რომ არჩილს უნდოდა თავისი ასული რომელიმე დიდგვაროვან პირზე გაეთხოვებინა და ამით თავისი მემკვიდრისათვის (ასულის ხაზით) საქართველოზე გამგებლობის უფლება შეენარჩუნებინა. რის შესახებაც კვლავ მიმართა თხოვნით პეტრე დიდს. არჩილის ამ განზრახვას წინ აღუდგა პეტრე I, რომელიც „თავის თავს ქართლის მეფეთა მემკვიდრედ თვლიდა"[75].

ამრიგად არჩილს არ შეუსრულდა წადილი — თავისი ასულის სა-

---

[74] ვ ლ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართველები მოსკოვში, თბილისი, 1959, გვ. 227.
[75] С. А. Д и а н и н, «Бородин», М., 1960, с. 160.

შუალებით შეენარჩუნებინა საქართველოზე გამგებლობის უფლება. იგი გარდაიცვალა 1713 წლის 16 აპრილს, დასაფლავებულია დონის მონასტერში შვილების გვერდით. მეფე არჩილის გარდაცვალებიდან 6 წლის შემდეგ — 1719 წელს — გარდაიცვალა მისი მეუღლე ქეთევანი. დარჩა მხოლოდ არჩილის ასული დარეჯანი. დედის გარდაცვალებისას — 1719 წელს დარეჯანი — ცარევნა დარია არჩილის ასული, როგორც მას მოსკოვში უწოდებდნენ, დაახლოებით 50 წლისა იყო[76].

მშობლების გარდაცვალების შემდეგ დარეჯანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსკოვში მცხოვრებ და იქ დროებით ჩასულ ქართველთა საქმიანობაში.

პეტრე დიდი კვლავ ერთგული დარჩა ალექსანდრე არჩილის ძისა და მეფე არჩილის ხსოვნისა, რასაც დარეჯან არჩილის ასულისადმი დიდ პატივისცემასა და კეთილ დამოკიდებულებაში გამოხატავდა. შემთხვევითი არ იყო, რომ შვედებზე დიდი ხნის ნანატრი გამარჯვების შემდეგ — 1722 წლის 30 იანვრის სუსხიან დღეს პეტრე დიდი, თავისი ოჯახის შემადგენლობითა და ახლო თანამებრძოლებით, საზეიმოდ მოსკოვიდან დარეჯანის საცხოვრებელ ვესესვიატსკოეში გაემგზავრა.

დილით ვესესვიატსკოეში მისულნი — სამეფო კარის მთელი შტატი, უცხოელი მინისტრები და საზეიმოდ მოწვეული სხვა პირნი, პეტრე დიდის წინადადებით, არჩილის სასახლეს ეწვივნენ, აქ დარეჯან არჩილის ასულმა პეტრე დიდის პატივსაცემად, შვედებზე გამარჯვების აღსანიშნავად, საუზმე გამართა. ყველამ მოილხინა. შვედებზე რუსეთის გამარჯვებით დიდად გახარებული იყო მეფის ასული დარეჯანი, მაგრამ უკვე ხანში შესული, ტყვეობაში დაღუპული ძმის გამო ღრმად დამწუხრებული, მეჯლისში მონაწილეობას არ იღებდა[77]. პეტრემ დატოვა ამალა და მთელი ღამე დარეჯანთან საქმიან საუბარში გაატარა.

შვედებზე გამარჯვებასთან დაკავშირებული ზეიმი პეტრე დიდმა ვესესვიატსკოეში, არჩილის სასახლეში დაიწყო[78]. აქ მან აიღო სასმისი, შვედებზე გამარჯვების აღსანიშნავად და გულისტკივილით მოიგონა თავისი სიყრმის მეგობარი, უაღრესად ერთგული ადამიანი, რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ ფელდცეიხმეისტერი ალექსანდრე არჩილის ძე.

---

[76] ვლ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 233.
[77] იქვე, გვ. 236.
[78] იქვე, 237.

პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი*

1812 წლის სამამულო ომის გმირი — ინფანტერიის გენერალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი—დაიბადა 1765 წელს, ყიზლარში. მამამისი — ივანე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი — ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის ძმის იესეს შვილიშვილი იყო[1]. პეტრე ბაგრატიონის პაპამ ალექსანდრემ, სამხედრო პირმა, პოლკოვნიკის ჩინამდე მიაღწია, სამსახურს თავი დაანება და ყიზლარში დასახლდა. მისმა შვილმა ივანემ პოლკოვნიკის ჩინით დატოვა სამხედრო სამსახური[2]. პეტრე მაშინ დაიბადა როცა მამამისი სეკუნდმაიორი იყო. მომდევნო წლებში ივანეს ვაჟიშვილები ალექსანდრე და რევაზი (რომანი) შეეძინა.

მამა ხშირად უყვებოდა შვილებს იმ გმირული ბრძოლების შესახებ, რომლის მონაწილეც თვითონ იყო. მამის საუბრებმა პეტრეს სამხედრო ხელოვნებისადმი სიყვარული შთაუნერგეს.

პეტრემ ისევე, როგორც მისმა წინაპრებმა, ბავშვობიდანვე გადაწყვიტა სამხედრო სამსახურში შესვლა. მისი მამიდა, ანა ალექსანდრეს ასული, რუსეთის კანცლერ ანდრია ბორისის ძე გოლიცინზე იყო გათხოვილი და, რაღა თქმა უნდა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთავრობის წარმომადგენელთა შორის. 1782 წელს 17 წლის პეტრე ბაგრატიონი მამიდასთან იმყოფებოდა პეტერბურგში. ერთ საღამოს, როცა ანა ალექსანდრეს ასული ბაგრატიონი-გოლიცინი თავიანთი ახლობლის, იმ დროისათვის ყოვლისშემძლე თავად გრიგოლ პოტიომკინის ოჯახში სტუმრად იმყოფებოდა, მან შესაფერის მომენტში საუბარი პეტრეზე ჩამოაგდო და პოტიომკინს მისი სამხედრო სამსახურში განწესება სთხოვა. პოტიომკინმა თავისი კარეტა და შიკრიკი გააგზავნა ანა ალექსანდრეს ასულის ბინაზე და პეტრე სასწრაფოდ მოაყვანინა. მამიდამ იგი ყოვლისშემძლე პოტიომკინს წარუდგინა. მას-

---

* პეტრე ბაგრატიონის მხედართმთავრული მოღვაწეობა ფართოდაა გაშუქებული ირ. ანთელავას წიგნში „ქართველები 1812 წლის სამამულო ომში" (გამოიცა რამდენჯერმე).

[1] ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 190.

[2] БСЭ, т. II. изд. III, М., 1970, с. 514.

პინძლებსაც და სტუმრებსაც ძალიან მოეწონათ ახალგაზრდა, რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ სერჟანტის ჩინით გამოისტუმრეს მამიდამისის სახლში. პეტრე ბაგრატიონი იმ ჩინით გაიგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ მუშკეტერთა მეორე პოლკში, რომელსაც პოლკოვნიკი პიერი მეთაუროობდა[3].

პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765—1812)

ამ დროს რუსეთის სამხედრო ნაწილები ჩრდილოეთ კავკასიაში თავისუფლებისმოყვარე, დაუმორჩილებელი ჩეჩნების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

[3] БСЭ, т. II, изд. III, М., 1970, с. 514.

პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის მამიდა, ანა ალექსანდრეს
ასული ბაგრატიონი-გოლიცინა

1783 წელს პეტრემ პირველად მიიღო ჩეჩნების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა და თავისი გაბედული, საზრიანი მოქმედებით ხელმძღვანელობის ყურადღება მიიპყრო, რითაც პრაპორშჩიკის ჩინი

დაიმსახურა. იგი რამდენიმე წელს იღებდა მონაწილეობას ჩრდილო კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში და წინდახედული მამაცი მებრძოლი თანდათანობით იხვეჭდა სახელს.

1785 წელს, ერთ-ერთი გააფთრებული ბრძოლის დროს, პრაპორშჩიკი პეტრე ბაგრატიონი დაიჭრა. ჭრილობა საკმაოდ სერიოზული იყო, გაქცევა აღარ შეეძლო და რუს მებრძოლთა გვამებს შორის დაეცა. შებინდებისას ჩეჩნებმა დახოცილთა ძარცვა დაიწყეს. ისინი ბრძოლის დროს დაჭრილ პეტრეს წააწყდნენ და ტყვედ წაიყვანეს. მალე ცნობილი გახდა ტყვედ ჩავარდნილი პრაპორშჩიკის ვინაობა, ამიტომ, მამამისის ხათრითა და მანსურ მაგომას მითითებით, დაჭრილს განსაკუთრებულად უვლიდნენ, მალე გამოაჯანმრთელეს და ყიზლარში გაუშვეს მამამისთან. გამომჯობინებული პეტრე კვლავ თავის ნაწილს დაუბრუნდა.

ბრძოლებში გაწაფულმა და საკმაოდ გამოცდილმა პეტრემ მონაწილეობა მიიღო 1787—1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, 1788 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოჩაკოვთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, წინა ხაზზე იყო და პირველი შეიჭრა ციხესიმაგრეში[4].

ამ საბრძოლო ოპერაციაში მან თავისი სიმამაცითა და შეუდრეკელობით პირველად მიიპყრო რუსეთის არმიის მთავარსარდლის თავად პ. პოტიომკინის ყურადღება და კაპიტნის ჩინი მიიღო.

1790 წელს უკვე საკმაოდ ცნობილი კაპიტანი კვლავ კავკასიაშია და მონაწილეობას იღებს მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 1793 წელს პეტრე ბაგრატიონი უკვე პრემიერ-მაიორია. თურქეთთან და ჩრდილო კავკასიის მთიელებთან ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისა და გამბედაობისათვის რამდენიმე ჯილდო მიიღო. 1794 წელს პოლონეთის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობდა, ამჯერად გამოჩენილი მხედართმთავრის ა. სუვოროვის ხელმძღვანელობით. აქ იგი პოლკის ერთ-ერთ ესკადრონს მეთაურობდა. მისმა ბრძოლის ხელმძღვანელობის უნარმა, თავდადებულმა მოქმედებამ სარდლობა განაცვიფრა. 7 ივლისს მისი ესკადრონი მონაწილეობდა სედლეცთან გამართულ ბრძოლაში, სადაც სასტიკად დამარცხდნენ პოლონელები. 21 სექტემბერს იმავე ესკადრონმა გაანადგურა პოლკი, რომელიც ერთი ბატალიონისა და 70 ცხენოსნისაგან შედგებოდა. 28 წლის უშიშარი მაიორი თავისი ესკადრონით ჭარბი ძალების წინააღმდეგ ებმებოდა ბრძოლებში და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბროდთან, სადაც

[4] Русский биографический словарь, т. II, СПБ., 1900, с. 394.

შოულოდნელად წააწყდა ტყეში ჩასაფრებულ 1000-მდე პოლონელს. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე რამდენჯერმე აღემატებოდა მის ძალებს, იგი თავისი კარაბინერებით ფიცხლად ეკვეთა ჩასაფრებულებს. მოწინააღმდეგე დაიბნა მოულოდნელი შეტევისაგან, შეშინდა და გაიქცა. ამ ბრძოლაში პ. ბაგრატიონმა ხელთ იგდო 250 ტყვე, თავიანთი მეთაურებით, იარაღითა და ერთი ზარბაზნით. ამ დღის გმირობამ მას პოდპოლკოვნიკის ჩინი მოუტანა[5].

პოლონეთის კამპანიაში მისი უკანასკნელი ბრძოლა 24 სექტემბერს გაიმართა პრაღასთან, სადაც მან ჩვეული სწრაფი, ერთსულოვანი შეტევით უკუაქცია მოწინააღმდეგის ცხენოსანთა შენაერთი და გაქცეულებს ვისლამდე სდია, რისთვისაც დიდი მხედართმთავრის ფელდმარშალ ა. სუვოროვის პირადი მადლობა დაიმსახურა.

იგი გამარჯვებულ ჯართან ერთად კაპიტულირებულ ვარშავაში შევიდა. პ. ბაგრატიონი 1794 წლის ბრძოლებში უშუალოდ ა. სუვოროვის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა. იგი დაუახლოვდა ევროპაში სახელმოხვეჭილ ფელდმარშალს. ბევრი რამ ისწავლა და გადაიღო მისგან, რასაც შემდგომში სიამაყის გრძნობით იგონებდა. ამ ხნის განმავლობაში სუვოროვი დარწმუნდა, რომ მის გვერდით დიდი მომავლის მქონე, მხედართმთავრული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იდგა, რომლისთვისაც საჭირო შემთხვევაში გზა უნდა მიეცა სამხედრო ნიჭის გამოსამჟღავნებლად.

1798 წელს ბაგრატიონი პოლკოვნიკი გახდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1799 წელს, 34 წლის ვაჟკაცს გენერალ-მაიორის სამხრეები ამშვენებდა.

XVIII საუკუნის მიწურულში დაძაბული ვითარება შეიქმნა ევროპაში. საფრანგეთმა მტაცებლური ომები გააჩაღა და რამდენიმე ქვეყანა დაიპყრო ევროპასა და აზიაში. საფრანგეთის საზღვრები და გავლენის სფერო შეუნელებლივ ფართოვდებოდა, რაც ევროპის სახელმწიფოთა აღშფოთებას იწვევდა.

საჭირო იყო საფრანგეთის მძარცველური ომებისა და მსოფლიო ბატონობისაკენ აღებული გეზის დაუყოვნებელი შეჩერება. 1798 წელს საფრანგეთის წინააღმდეგ შეიქმნა კოალიცია, რომელშიც შევიდნენ: ინგლისი, ავსტრია, რუსეთი, თურქეთი და ნეაპოლის სამეფო. ამ კოალიციის ძირითადი ძალა ინგლისის, რუსეთის და ავსტრიის კავშირი იყო. იმავე წლის ბოლო დღეებში პეტერბურგში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც რუსეთს ევროპაში საფრანგეთის

---

[5] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბილისი, 1979, გვ. 29.

წინააღმდეგ საექსპედიციო კორპუსი უნდა გაეგზავნა, ინგლისს სამხედრო ხარჯები უნდა გადაეხადა; ჯარი გამოჰყავდა ავსტრიასაც. მოკავშირეებმა, ინგლისის მთავრობის მეთაურის პიტის წინადადებით, თხოვნით მიმართეს რუსეთის მთავრობას, რათა შეერთებული ჯარების მთავარსარდლად პავლე პირველის მიერ შერისხული და პეტერბურგიდან გადასახლებული ფელდმარშალი ა. სუვოროვი დაენიშნა. რუსეთის იმპერატორი იძულებული იყო მხედართმთავარი გადასახლებიდან დაებრუნებინა.

პავლე პირველმა რესკრიპტი და პირადი ბარათი გაუგზავნა სუვოროვს: „გრაფო ალექსანდრე ვასილის ძევ! ახლა ჩვენ ანგარიშგასწორების დრო არა გვაქვს. ბრალდებულს ღმერთი შეუნდობს. რომის იმპერატორი თავისი არმიის უფროსად გითხოვთ და ავსტრიისა და იტალიის ბედს განდობთ. ჩემი საქმეა დავეთანხმო ამას, თქვენ კი იხსნათ ისინი. დაეშურეთ აქ ჩამოსვლას და დიდებას თქვენსას ნუ წარუღებთ დროს, ხოლო მე — თქვენი ხილვის სიამოვნებას“[6].

იმპერატორის მიერ შეურაცხყოფილი, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი 69 წლის ფელდმარშალი თავის მამულში, სოფელ კონჩანსკოეში ატარებდა მოხუცებულობის უკანასკნელ დღეებს. განაწყენებული იყო იმპერატორ პავლე პირველის მოქმედებით, მაგრამ ახალმა ამბავმა კვლავ გაახარა და სიცოცხლის წადილი გაუღვივა. იგი იმპერიის ინტერესების დასაცავად გამოიძახეს. სამშობლოს სიყვარულით ანთებული საჩქაროდ გამოეთხოვა იქაურობას და პეტერბურგისაკენ გასწია. დედაქალაქში მას დიდი ზეიმითა და იმედით შეხვდნენ. საკმაოდ კარგად მიიღო თვით იმპერატორმაც. ფელდმარშალი დაეთანხმა იმპერატორს შეერთებული ძალების მთავარსარდლად დანიშვნაზე, მხოლოდ ომში თავისუფალი, დამოუკიდებელი მოქმედების უფლება ითხოვა. პავლე პირველმა ამჯერადაც იძულებითი თანხმობა განაცხადა. რუსეთის კორპუსს გარდა სუვოროვს დაუმორჩილეს ავსტრიის არმია 86 ათასი მეომრით.

ფელდმარშალი სუვოროვი, როგორც შეერთებული ძალების მთავარსარდალი, საჩქაროდ ავსტრიის დედაქალაქ ვენაში უნდა ჩასულიყო. მის წასვლამდე იქ უკვე გაეგზავნა რუსეთის 20-ათასიანი კორპუსი, გენერალ როზენბერგის მეთაურობით. საერთოდ, რუსეთს იტალიაში 65 ათასი მებრძოლი უნდა გაეგზანა. ავსტრიას საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა არმია. საფრანგეთის არმიის 235 ათასი ჯარისკაცი უკვე ბრძოლებში იყო ჩაბმული, რომლის საომარი მოქმედება გადაჭიმული იყო ჰოლანდიიდან ხმელთაშუა ზღვამდე. შეერთებული

---

[6] ა. შ ვ რ ვ ა შ ი ძ ე, ბაგრატიონი, ბათუმი, 1976, გვ. 41.

ძალების მთავარსარდალმა სუვოროვმა პეტრე ბაგრატიონს ავანგარდის მეთაურობა ჩააბარა, რომლის მოქმედებაზეც ბევრად იყო დამოკიდებული რუსეთის არმიის წინსვლა. როცა სუვოროვი 1799 წლის 14 მარტს ვენაში ჩავიდა, ავსტრიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა. ამ ბრძოლებში ავსტრიის ჯარი დამარცხდა.

სუვოროვის ხელმძღვანელობით რუსეთის ჯარმა ოთხი თვის განმავლობაში 400 კმ გაიარა, ფრანგებისაგან ჩრდილოეთ იტალია გაათავისუფლა და საფრანგეთის საზღვრებს მიუახლოვდა. 1799 წლის 11 აპრილს გენერალ პეტრე ბაგრატიონის ავანგარდი სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდა ბრეშის ციხესიმაგრესთან. აქ ქართველი გენერალი ფეხში დაიჭრა მსუბუქად, მაგრამ მას ბრძოლის ველი არ შიუტოვებია და კვლავ საბრძოლო ფორმაში იყო ბრეშის ციხესიმაგრესთან ბრძოლების შედეგად ავანგარდმა ათასზე მეტი ტყვე და 46 ზარბაზანი იგდო ხელთ. მოკავშირეებმა ბრეში დაიკავეს, ეს იყო მათი პირველი გამარჯვება იტალიაში.

სუვოროვი აღტაცებული იყო პეტრე ბაგრატიონის მხედართმთავრული ნიჭითა და ბრძოლაში გმირული შემართებით. ბრეშის ციხესიმაგრის აღების შემდეგ, 1799 წლის 12 აპრილს, სუვოროვმა პირველი პატაკით იმპერატორს მისწერა: „...გენ.-მაიორ ბაგრატიონს, პოდპოლკოვნიკ ლომონოსოვსა და მაიორ პოზდნევს (პ. ბაგრატიონის ავანგარდში შემავალი სამხედრო ნაწილების უფროსები) ვაქებ ციხე-სიმაგრის აღებისას გამოჩენილი სიმარდის, არაჩვეულებრივი თავგამოდებისა და გულმოდგინებისათვის“.

პეტერბურგში სუვოროვის მიერ გაგზავნილ ამ პატაკს სამხედრო-საომარი კანცელარიის საქმეთა მმართველმა გენ.-ადიუტანტმა ლიევენმა დააწერა: „გენერალ-მაიორი ბაგრატიონი დაჯილდოვდეს წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით“. 13 აპრილს ბაგრატიონმა ქ. ბერგამი აიღო, 15 აპრილს თავისი ავანგარდით დაეწია რამდენიმე დღის წინ უკანდახეულ გენერალ სერიურიეს დივიზიას და 12-საათიანი ბრძოლის შემდეგ ფრანგები სასტიკად დაამარცხა ქ. ლეკოსთან. ბაგრატიონმა ქალაქი დაიკავა. მისი გმირობის ამბავი მოკავშირეთა ჯარებში ყოველდღიურ სალაპარაკო თემად იქცა. სუვოროვი ვერ მალავდა თავის აღტაცებას გენ. ბაგრატიონის საზრიანი და გაბედული მოქმედების გამო.

სუვოროვის მიერ 16 მაისს ტურინოდან იმპერატორისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი პეტერბურგში 6 ივნისს მიიღეს და 10 ივნისს გამოაქვეყნეს გაზ. „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტში“. სუვოროვი დაწვრილებით აღწერდა იტალიის კამპანიის მსვლელობას

და კვლავ ხაზს უსვამდა ბაგრატიონის ვაჟკაცურ წარჩინებას: „იერიშზე გადასული არმიის მარცხენა ფრთაზე გენ.-მაიორმა ბაგრატიონმა 6 ბატალიონითა და კაზაკთა 2 პოლკით დაიკავა გენუის ციხე-სიმაგრე ნოვოი, სადაც მან ხელთ იგდო დიდი რაოდენობის ნადავლი: ყუმბარები, ბირთვები და სხვა საარტილერიო მარაგი, აგრეთვე ლაფეტები და სავაზნე ყუთები, რაც მან 70 საზიდარით გამოაგზავნა ჩვენთან".

. 1799 წლის 6—8 ივნისს გენ. ბაგრატიონმა კვლავ თავი გამოიჩინა მდინარე ტრებთან გამართულ ბრძოლაში. აქ მან გადამწყვეტი შეტევის დროს ჯარის სუვოროვისებური მანევრირება გამოიყენა. ბრძოლაში პირველი ჩაება ბაგრატიონის ავანგარდი. სუვოროვის არმია სამი კოლონით უტევდა და, შემუშავებული გეგმის თანახმად, მტრის განლაგების სიღრმეში იჭრებოდა. ბრძოლა მოწინააღმდეგის განადგურებით დამთავრდა. ფრანგებმა 18000 კაცი დაკარგეს მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით. ამ გამარჯვებისათვის იმპერატორმა პავლე პირველმა ბაგრატიონი წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა[7] და სუვოროვს მისწერა: „გენერალ-მაიორი ბაგრატიონი დაჯილდოვდა წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით და გევალებათ პირადად გადასცეთ მას ეს ჯილდო, რომელიც ამასთანავე გეგზავნებათ"[8]. იმპერატორისადმი გამოგზავნილ ყველა პატაკში მთავარსარდალი სუვოროვი ხაზს უსვამს გენერალ ბაგრატიონის მამაცობას. მაგრამ განსაკუთრებით იმპერატორისადმი გაგზავნილ 1799 წლის 16 მაისის მოხსენებით ბარათში აქებდა თავის ერთგულსა და საყვარელ გენერალს. იტალიის კამპანიაში გმირობისა და თავის გამოჩენისათვის სუვოროვმა პეტრე ბაგრატიონს საკუთარი ხმალი აჩუქა. სახელოვანი და საყვარელი მასწავლებლის საჩუქარს მამაცი გენერალი სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა[9].

რუსეთის არმიის იტალიაში გამარჯვებამ მოკავშირეთა—ინგლისისა და ავსტრიის — მმართველ წრეებში უკმაყოფილება და შეშფოთება

---

[7] ეს იგივე ჯილდო — წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენია, რომლის შესახებაც გენ. ლივენმა სუვოროვის პატაკს დააწერა: „გენ.-მაიორი ბაგრატიონი დაჯილდოვდეს წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით". საქმე ის არის, რომ სუვოროვის პატაკი პეტერბურგში დიდი ხნის დაგვიანებით მიიღეს, გენ. ლივენთან კი უფრო დაგვიანებით მოხვდა იგი. იმ დროს ბაგრატიონი სხვა გმირობისათვის იყო უკვე დაჯილდოებული. გენ. ლივენმა შეცდომით სუვოროვის მიერ 1799 წლის 12 აპრილს გამოგზავნილ პატაკს, იმავე წლის 6—8 ივნისის ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის, ბაგრატიონისათვის მიცემული ზემოხსენებული ჯილდოს შესახებ დაწერა...

[8] ა. შ ე რ ვ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[9] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

გამოიწვია. მათ ეშინოდათ რუსეთის გაძლიერებისა და თანაც სუვოროვის გამარჯვებით მაქსიმალურად უნდოდათ ესარგებლათ. ამ მიზნით მათ ახალი გეგმა წამოაყენეს: იტალიაში დარჩებოდა ავსტრიის ჯარი, სუვოროვის არმია კი შვეიცარიისაკენ უნდა წასულიყო. რათა იქ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ გენ. რიმსკი-კორსაკოვის კორპუსს შეერთებოდა.

1799 წლის აგვისტოში, ვენიდან მიღებული ბრძანების თანახმად, სუვოროვი იტალიიდან ალპებზე გადავლით შვეიცარიაში უნდა ჩასულიყო. შვეიცარიის კომპანიისათვის სუვოროვმა ორიგინალური სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა, რომელიც ავსტრიელებმა ჩაშალეს. გასაველელი ადგილებისა და მტრის ძალების შესახებ ყველა ცნობა, რომლებიც სუვოროვს. გადასცეს, და დაპირებული დახმარება ფიქტიური აღმოჩნდა. სუვოროვს არც გამცილებელ-მეგზურნი მისცეს. ამასთან, რუსეთის ჯარი სურსათ-სანოვაგისა და ფურაჟის გარეშეც აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში დაიწყო 1799 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში სუვოროვის ლეგენდარული გადასვლა ალპებზე. არმიის ავანგარდს ამჯერადაც გენერალი ბაგრატიონი მეთაურობდა. ურთულეს ბუნებრივ პირობებში, დიდი წვალებით ალპების გადალახვის შემდეგ, ავანგარდმა სან-გოტარდი დაიკავა. „ეშმაკის ხიდთან" დიდი წინააღმდეგობა დაძლია, რითაც მთელი არმიის შვეიცარიაში გადასვლა უზრუნველყო.

ბაგრატიონის ავანგარდმა შვეიცარიაში როსშტოკის უღელტეხილი გადალახა და მუტენის ველზე გავიდა, სადაც ფრანგებს გენერალ რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი უკიდურესად შეევიწროვებინათ. ასე რომ სუვოროვის მთელი არმია ყოველი მხრიდან საფრანგეთის ჯარების მიერ ჩაკეტილ მუტენის ველზე მოხვდა. ავსტრიელთა ღალატის შედეგად ალყაში მოქცეული რუსეთის ჯარის განადგურება, ერთი შეხედვით, გარდაუვალი იყო. მდგომარეობა გამოუვალი ჩანდა, არმია კატასტროფის წინაშე იდგა.

დიდმა მხედართმთავარმა გადაწყვეტილება მიიღო: ალყიდან მტრის მიერ დაკავებულ მთებზე გადავლით დაეღწია თავი და არმია ეხსნა სრული განადგურებისაგან.

მტრის გარემოცვიდან გასვლა უშუალოდ პეტრე ბაგრატიონის წინამძღოლობით მოხდა. იგი თავისი ავანგარდით, ბრაგელის მთაზე გადავლით, გლარისისაკენ წავიდა, საიდანაც თოვლიან მთებში გზა გაიკაფა. პანიკისის ხეობის გავლით შვეიცარიის ლაშქრობა დამთავრდა[10]. გლარისთან ბაგრატიონი მესამედ დაიჭრა მსუბუქად, მაგრამ

---

[10] შ. მ ე ე გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

ლაშქრობაში ხელი არ შეშლია[11]. ბაგრატიონმა ბრძოლა 1799 წლის 24 სექტემბერს დაამთავრა შვანდენთან, საიდანაც იგი თავისი ავანგარდით იფარავდა გლარისიდან ელმისაკენ მიმავალი სუვოროვის ჯარის წინსვლას.

შვეიცარიის ლაშქრობა 16 დღეს გაგრძელდა. რუსეთის არმიას დიდი ზარალი მოუვიდა. ჯარმა თითქმის მესამედი დაჰკარგა, სამაგიეროდ შვეიცარიის ლაშქრობამ სამხედრო ხელოვნების მცოდნეთა დიდი განცვიფრება გამოიწვია. შვეიცარიაში საფრანგეთის ჯარების ერთერთი ფრანგი მხედართმთავარი მასენი წერდა: „ჩემს ყველა გამარჯვებას მივცემდი სუვოროვის ერთ შვეიცარიის ლაშქრობაში“[12]. ენგელსმა ალპების ლაშქრობებს შორის ამ ლაშქრობას ყველაზე დიდი უწოდა.

სუვოროვი აღტაცებით უსვამდა ხაზს იტალიის სამხედრო ექსპედიციაში გენერალ პეტრე ბაგრატიონის დიდ როლს. კიდევ და კიდევ ახსენებდა იმპერატორ პავლე პირველს მის უდიდეს დამსახურებას და დასძენდა, რომ იგი „ჩინებული სარდალი და უმაღლესი ხარისხის ღირსი გენერალი იყო“. პეტრე ბაგრატიონის გმირობის ამბავი მსოფლიოს მოედო. პეტერბურგის მოწინავე საზოგადოების ყოველდღიური საუბრის თემა მისი საგმირო საქმეები იყო.

ფელდმარშალმა სუვოროვმა გენერალისიმუსის წოდება მიიღო. ასეთი დიდი ლაშქრობის შემდეგ რუსეთის არმია სამშობლოსაკენ გამოემართა. სახელგანთქმულ სუვოროვსა და მის მოწაფეს, თანამებრძოლს, გმირ ბაგრატიონს მოუთმენლად ელოდნენ რუსეთში და პირველ რიგში — პეტერბურგში. 70 წლის მთავარსარდალი ლაშქრობის შემდეგ ავადმყოფი ბრუნდებოდა სამშობლოში, მაგრამ გახარებული იყო, რომ იგი თავის ერთგულ მოწაფესთან — ბაგრატიონთან — ერთად უახლოვდებოდა პეტერბურგს.

მათ შესახვედრად სპეციალურად ემზადებოდნენ დედაქალაქში, რაც სუვოროვისთვის ცნობილი იყო. მისი ჯანმრთელობა გზაში თანდათანობით უარესდებოდა, მაგრამ მაინც გულს არ იტეხდა და იმედით სავსე სწერდა როსტოპჩინს: „თავადი ბაგრატიონი მოგიყვებათ ჩემი ცოდვილი სხეულის შესახებ... მაგრამ მე მაინც წინათგრძნობა მეუბნება, რომ დასასრული ახლოს არ არის“[13]. გზიდან ასეთივე განწყობილებით აღსავსე წერილი გაუგზავნა მისი არმიის ყოფილ საიდუმლო ექსპედიციის აგენტს — ფუქსს. „ნელი ნაბიჯით ვბრუნდები საიქიოდან, საითაც მე უდიდესი წვალებით მეწეოდა დაუნდობელი ფლიქტე-

[11] Русский биографический словарь, т. II, СПБ., 1900, с. 395.

[12] В. К. Грибанов, Багратион в Петербурге, Л., 1979, с. 44.

[13] ა. შვარცშეიდ, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

ნა"[14]. გენერალისიმუსის ავადმყოფობას დაერთო გულისტკივილი, გამოწვეული იმპერატორის მიერ 20 მარტს გაგზავნილი რესკრიპტით, სადაც სუვოროვისადმი დიდი უკმაყოფილება იყო გამოხატული; მან ისიც შეიტყო, რომ პეტერბურგში დაგეგმილი შეხვედრაც აღარ შედგებოდა. იმპერატორმა დაივიწყა, რომ ცოტა ხნის წინ სუვოროვს გენერალისიმუსის წოდება მიანიჭა და ქებათა ქებაც შეასხა მის გამარჯვებას. სწორედ მაშინ გაიხსენა მხედართმთავრის „ურჩობა" და პრუსიული წესდების დარღვევა არმიაში, როცა სახელმოხვეჭილი, მაგრამ უკვე მძიმედ დაავადმყოფებული სარდალი იმპერიის დედაქალაქს უახლოვდებოდა.

შუაღამე გადასული იყო, როცა სუვოროვი უვარგისი კარეტით პეტერბურგში შევიდა და კრიუკოვის არხთან ხვოსტოვის სახლის წინ გაჩერდა. ქალაქს ეძინა. მას არავინ დახვედრია. უხმოდ შევიდა სახლში, სადაც მხოლოდ იმპერატორის შიკრიკი დოლგორუკოვი ელოდა, რომელიც რამდენიმე წუთის გასული იყო[15]. გენერალისიმუსი ჩაწვა ლოგინში, დოლგორუკოვი შემოვიდა და მოახსენა: თქვენო ბრწყინვალებავ, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ დავალებული მაქვს გადმოგცეთ, რომ გენერალისიმუსს, თავად სუვოროვს აკრძალული აქვს იმპერატორის სასახლეში შესვლა. ამასთანავე მოახსენეს, რომ ჩატარებული ბრძოლების შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს ხელმწიფეს. სუვოროვს არც ეს გადაწყვეტილება მოეწონა და განცხადება: „მე ვემზადები ანგარიში ჩავაბარო ღმერთს, ხელმწიფეზე ეხლა ფიქრიც არ მინდა".[16]

სუვოროვმა იცოდა იმპერატორის უკმაყოფილება, მაგრამ ამგვარ შეურაცხყოფას მაინც არ მოელოდა. ავადმყოფთან მისვლა ყველას აეკრძალა, მხოლოდ შვილი — ნატალია ზუბოვა უვლიდა.

სუვოროვისა და კუტუზოვის შემდეგ გენერალი ბაგრატიონი ყველაზე დამსახურებულ და გამოჩენილ მხედართმთავრად იყო აღიარებული. პეტერბურგში დაბრუნებულ ომგადახდილ გმირს იმპერატორიც, სამეფო კარის წარმომადგენლებიც და საზოგადოებაც კარგად შეხვდნენ. ყველა ნატრობდა ლეგენდარული გენერლის ნახვას. ყველას აინტერესებდა მისი გაცნობა. ბაგრატიონის საბრძოლო დამსახურებით კმაყოფილმა იმპერატორმა 1800 წლის აპრილში მდიდარი სოფელი უბოძა მას ლიტვის გუბერნიაში.[17]

საბრძოლო დიდებით შემკულ გენერალს სრულებით არ აინტერე-

---

[14] ა. შერვაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[15] იქვე, გვ. 71.

[16] Д. Давыдов, Сочинения, Москва, 1985, с. 218.

[17] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

ებდა მამულები, ნაბოძებ სოფელს არც კი მოინახულებდა ხოლმე, ჰყიდდა მიღებისთანავე. ასევე მოიქცა ამჯერადაც. მას არც სოფლის და არც ყმა გლეხთა მოვლა-პატრონობა შეეძლო და არც საამისო დრო ჰქონდა. ლეგენდარული ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ იგი პეტერბურგში ცხოვრობდა და თითქმის ყოველთვის ესწრებოდა მეჯლისებსა და საღამო-ზეიმებს. 1800 წლის მაისში პეტრე ბაგრატიონი ესწრებოდა საადმირალოში გამართულ მდინარე ნევაში სამი ფრეგატისა და ერთი გემის ჩაშვებისადმი მიძღვნილ ცერემონიალს.

ივნისის დასაწყისში პეტერჰოფში, წითელ გორაკთან, სამხედრო ხომალდების მანევრი გაიმართა, შემდეგ კი იმპერატორის სასახლეში ზეიმი მოეწყო. პავლე პირველთან ერთად ხომალდების მანევრს თავადი პეტრე ბაგრატიონიც ესწრებოდა და სადილზეც მიიპატიჟეს. იგი მეთაურობდა ეგერთა ლეიბ-გვარდიულ ბატალიონს, რომლის ძირითად მოვალეობას იმპერატორის ოჯახის დაცვა შეადგენდა. ბატალიონის შეფი ხშირად თან ახლდა პავლე პირველს გასეირნებისას, მასთან ერთად იყო გატჩინასა და სხვა ადგილებში. ამის გამო იყო, რომ ბაგრატიონი ძალიან დაუახლოვდა იმპერატორს და მის ოჯახს. „საღამოს მაგიდასთან“, როგორც მაშინ სასახლის ვახშამს უწოდებდნენ, ყოველთვის ეპატიჟებოდნენ 12—20 პიროვნებას. მათ შორის ბაგრატიონიც ვალდებული იყო ამ დროს სასახლეში ყოფილიყო[18].

გაზაფხულზე ბაგრატიონი იშვიათად იყო პეტერბურგში. უფრო ხშირად თავისი ბატალიონით ქალაქგარეთ მდებარე იმპერატორის საგვარეულო რეზიდენციაში იყო, სამი თვე მან გატჩინაში გაატარა. იგი პავლე პირველის საყვარელი ადგილი იყო, სადაც იმპერატორი სამომდგომო მანევრებსა და სხვა სამხედრო სწავლებას ატარებდა. საღამოობით სპექტაკლებსა და ბალ-მასკარადებს მართავდნენ, რომელსაც ხშირად პეტერბურგის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები და იმპერატორის ახლობლები ესწრებოდნენ. ერთხელ, ასეთი გართობისას, სახელგანთქმული ბაგრატიონი პეტერბურგელმა ახალგაზრდა ლამაზმა ქალიშვილმა ეკატერინე პავლეს ასულმა სკავრონსკაიამ შენიშნა. იგი მდიდარი და ცნობილი, სამეფო კართან დაახლოებული მშობლების ასული იყო. მისი დედა — სეფე-ქალი ეკატერინე ვასილის ასული — იმპერატრიცა ეკატერინე მეორის უახლოესი და უფლებამოსილი, უგვირგვინო მეფის, ფავორიტის გრიგოლ პოტიომკინის დისშვილი, ფრიად გავლენიან პიროვნებად ითვლებოდა სასახლეში[19]. იგი დაჯილდოებული იყო იოანე-იერუსალიმელის ორდე-

[18] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[19] ა. შერვაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

ნით. მოგვიანებით კვლავ დააჯილდოვეს წმინდა ეკატერინეს ორდენით. სარგებლობდა იმპერატორ პავლე პირველის მეუღლის მარიას ნდობითა და მფარველობით. მამა, პავლე მარტინის ძე სკავრონსკი, იმპერატორის ოჯახის ნათესავი იყო და ამავე დროს ზღაპრულად მდიდარი, ადრე ნეაპოლში რუსეთის ელჩად მსახურობდა. მისი აგარაკი პეტერჰოფის გზის ახლოს მდებარეობდა. ამ მიდამოებში მხოლოდ მაღალი წოდების მდიდრებს ჰქონდათ საზაფხულო აგარაკები. პეტერბურგში კი, მარმარილოს სასახლესა და თავადის ცოლის გაგარინას სახლს შორის, ორსართულიანი ცალკე სახლი ედგა. ერთი სიტყვით, მშობლების სიმდიდრითა და დედისაგან მთამომავლობით თანდაყოლილი სილამაზის გამო ეკატერინე პავლეს ასული მთელ პეტერბურგში ერთ-ერთ საუკეთესო საპატარძლოდ იყო აღიარებული.

იგი ბალ-მასკარადებზე ბრწყინავდა თავისი სილამაზით, ჩაცმულობითა და მორთულობით, რის გამოც ყოველთვის თაყვანისმცემლები ეხვია გარს.

1800 წელს გაზაფხულზე ეკატერინე სკავრონსკაიას მიერ ბაგრატიონისადმი გამოჩენილი ყურადღება სრულიადაც არ იყო სერიოზული გრძნობით გამოწვეული. იგი 18 წლისა იყო მაშინ, როცა საქვეყნოდ სახელგანთქმულ გენერალ ბაგრატიონს 35 წელი შეუსრულდა. მას შეეძლო საზოგადოებაში ქალთა ყურადღება მიეპყრო. თუმცა გენერლის ქართული იერ-სახე შეიძლება მათ ლამაზად არ მოსჩვენებოდათ[20]. პეტრე ბაგრატიონი საგრძნობლად გამოირჩეოდა სამეფო კარის წევრებისაგან თავისი პირდაპირობით, გულითადობითა და ქალთა საზოგადოებაში თავმდაბალი ქცევით. ეკატერინე პავლეს ასულს ბევრი რამ გაეგონა სახელგანთქმული გმირის შესახებ და, როცა იგი პირველად დაინახა, მისი გაცნობის სურვილი აღეძრა. მდიდარ და ულამაზეს საპატარძლოს პეტრე ბაგრატიონთან შეუღლება გულში არც გაუვლია (როგორც შემდეგში მისმა საქციელმა ცხადყო). ერთ-ერთი მეჯლისის დროს, როცა ბაგრატიონი დარბაზში შემოვიდა, მოულოდნელად ჩოჩქოლი ატყდა. ყველა მას მიაჩერდა და მასზე დაიწყეს ჩურჩული. ეკატერინე პავლეს ასულმა შენიშნა ტუ არა დარბაზში შემოსული ბაგრატიონი, სასწრაფოდ იქვე მდგომი თავისი ახლობელი გრაფი ბალაშოვი მოიხმო და სთხოვა გაეცნო მისთვის. ბალაშოვი ბაგრატიონისაკენ გაემართა, ახლო მივიდა, სალამი მისცა, გვერდით გაიხმო და გაანდო, რომ პეტერბურგის მშვენებას მისი გაცნობა სურდა.

ბაგრატიონი დაიბნა, გაცნობაზე უარი განაცხადა, ბალაშოვს ღი-

[20] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი გვ. 65.

მილით დაემშვიდობა და ადიუტანტს კარეტის მოყვანა უბრძანა, რათა სასწრაფოდ დაეტოვებინა დარბაზი. ჭალაშოვი დარცხვენილი მივიდა ეკატერინე პავლეს ასულთან. ღვალებში შესცქეროდა და ხმას არ იღებდა. ეკატერინე პავლეს ასულმა ვეღარ მოითმინა და ჰკითხა ბალაშოვს: რაო, რა გითხრა? ვერ შევასრულე თქვენი დავალება... ბალაშოვს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ უკმაყოფილებისაგან აღშფოთებულმა ქალიშვილმა ბაგრატიონისაკენ გაიხედა. ბაგრატიონის ადიუტანტი დაბრუნდა. „კარეტა მზად არის“.—მოახსენა უფროსს. როდესაც ბაგრატიონი ირგვლივ შეკრებილ დიდებულებს დაემშვიდობა და დარბაზიდან გასვლა დააპირა, ეკატერინე პავლეს ასული მას წინ გადაეღობა და, გულში ღრმად განაწყენებულმა, ალერსიანი გამომეტყველებით მიმართა: „მამაც გენერალს არ შეფერის სუსტ ქალიშვილს ზურგი უჩვენოს და გაექცეს.“[21]

ბაგრატიონისათვის ამგვარი შემთხვევა პირველი იყო და ამიტომაც ეჭვი არ შეპარვია ეკატერინე პავლეს ასულის გულწრფელობაში. მას მალე შეუყვარდა უგულო. განებივრებული ქალიშვილი, რომელსაც გულში არც გაუვლია ბაგრატიონის ცოლობა. მას ვერ აეტანა ქართველი გენერლის ბალაშოვის მეშვეობით გაცნობასთან დაკავშირებული მარცხი და სამაგიეროს გადახდა ჰქონდა ჩაფიქრებული. ეს დროც დადგა. ქალიშვილს სილამაზით მოხიბლულ და უკვე შეყვარებულ ბაგრატიონს ეკატერინე სკავრონსკაიამ თავის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებთან ბევრჯერ გათამაშებული ვერაგული ფანდით აგრძნობინა, რომ იგი არ აპირებს მის ცოლობას... ბაგრატიონი მიხვდა თავის შეცდომას და ღრმად ჩაფიქრდა. გამოჩენილი გენერლის მარცხი მალე შეიტყო იმპერატორმა პავლე პირველმა და ჩვეულ ხერხს მიმართა. სეფე-ქალს ეკატერინე ვასილის ასულს უბრძანა იმპერატორის სასახლეში გამოცხადება. მასთან ერთად უნდა მოსულიყო საქორწინო კაბაში გამოწყობილი მისი ქალიშვილი. პარალელურად ბაგრატიონს ებრძანა სამსახურის დამთავრების შემდეგ სასახლეში დარჩენილიყო. იმპერატორმა ბაგრატიონისა და ე. სკავრონსკაიას შეუღლება გადაწყვიტა. ეკატერინე პავლეს ასული და დედამისი პავლე პირველის გადაწყვეტილებით აღშფოთდნენ, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედეს. იყო შემთხვევა, როცა იმპერატორის ამგვარ მონდომებას ვინმე არ შეასრულებდა, მათ თავიანთი ახლო ნათესავებით გადასახლებაში უშვებდნენ. ასეთი ფაქტები ხშირად ხდებოდა იმპერატორის

---

[21] ა. შ ე რ ვ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

კარზე. სკავრონსკაიებმა ეს კარგად იცოდნენ და ამიტომ იყო, რომ განებივრებულმა დედა-შვილმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედეს.

1800 წლის 4 მაისს გატჩინის სამეფო კარის ეკლესიაში გენერალ-მაიორმა ბაგრატიონმა იქორწინა ფრეილინა ეკატერინე პავლეს ასულ სკავრონსკაიასთან [22]. მეჯვარედ თვით იმპერატორი პავლე პირველი იყო [23]. იმ დღეს, ნაშუადღევის 2 საათსა და 30 წუთზე გატ-

ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია-ბაგრატიონი

ჩინის სასახლეში შეიკრიბნენ სამეფო კარის წარმომადგენლები და დაპატიჟებული დიდებულები. ქორწილს ესწრებოდნენ პატარძლის ნათესავები. ბაგრატიონს პეტერბურგში მამიდის — ანა ალექსანდრეს ასულ ბაგრატიონ-გოლიცინას გარდა არავინ არ ჰყავდა და ისიც

[22] «Русская старина», май, 1886, с. 335.

[23] შ. შ ე გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

1800 წლის იანვრიდან დედაქალაქში არ იმყოფებოდა. ბაგრატიონის მამობილისა და დედობილის როლში ქორწილში იმპერატორის ახლობელი გენერალ-პროკურორი პ. ობოლიანინოვი და ა. კუტაისოვი იყვნენ [24], რომლებთანაც ბაგრატიონს არაფერი საერთო არ ჰქონდა.

ყველაფერი ეს იმპერატორის ნება-სურვილით იყო მოწყობილი. ხუთ საათზე საპატარძლო მამობილ ა. სტროგანოვის, დედობილ ა. გაგარინასა და სხვა ახლო ნათესავთა თანხლებით ეკლესიაში შევიდა, სადაც ბაგრატიონი იყო თავისი თანხმლები პირებით. ეკლესიაში მივიდნენ იმპერატორი და მისი მეუღლე. მორიგე მღვდელმა ნიკოლოზ სტეფანოვმა საქორწინო წეს-ჩვეულება შეასრულა [25].

ქორწინების შემდეგ ბაგრატიონმა შეიტყო, რომ სუვოროვი უკანასკნელ დღეში იყო და სიკვდილს ებრძოდა.

ბაგრატიონმა თავისი საყვარელი მასწავლებელი ქორწინების წინ ინახულა. მაშინაც ცუდად იყო, ხშირად გული მისდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორს ყველასათვის აკრძალული ჰქონდა ავადმყოფის ნახვა, ბაგრატიონი მაინც ხშირად იყო მასთან. იმპერატორმა იცოდა, რომ ბაგრატიონს ძალიან უყვარდა თავისი მასწავლებელი და სიკვდილის წინ ბაგრატიონი თვითონ მან გააგზავნა სუვოროვის სანახავად [26]. პავლე პირველი კარის ინტრიგანთა მიერ მიტანილი ამბებით აღშფოთებული იყო სუვოროვზე, მაგრამ თავისთვის მაინც ხმადაბლა წარმოსთქვამდა: „საცოდავია ის, რუსეთი და მე, მისი სიკვდილით ბევრს, ბევრს ვკარგავთ; ევროპა კი — ყველაფერს" [27]. სუვოროვი მალე გარდაიცვალა. იმპერატორი არ დაესწრო მის დასაფლავებას. სამაგიეროდ მთელმა პეტერბურგმა დაიტირა საყვარელი მხედართმთავარი. იმპერატორის ბრძანებით სუვოროვი ალექსანდრე ნეველის ლავრაში დაკრძალეს 12 მაისს. მის დასაფლავებას პეტერბურგის დიდებულთა მეტი ნაწილი ესწრებოდა. სუვოროვის თაყვანისმცემელთა სამგლოვიარო პროცესია ქუჩაში ვერ ეტეოდა.

პაველე პირველი შემთხვევით შეეფეთა სამგლოვიარო პროცესიას და კუბო რომ დაინახა, შლაპა მოიხადა, რამდენიმე ცრემლი გადმოაგდო, გაუშვა პროცესია და სახლში დაბრუნდა, სადაც მთელი დღე უხალისოდ იყო [28]. ქართველი გენერალი უკმაყოფილო იყო სუვოროვისადმი იმპერატორის უსულგულო საქციელით.

---

[24] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

[25] იქვე.

[26] Русская старина, Май, 1886 г., царствование Императора Павла, 1869—1801, Выписка из поденных придворных записок... с. 352.

[27] იქვე.

[28] იქვე.

პირად ცხოვრებაში პეტრე ბაგრატიონს ბედმა არ გაუღიმა. ქორწილის შემდეგ, მთელი ერთი თვის მანძილზე, ცდილობდა იგი საერთო ენის გამონახვას მეუღლესთან, მის მრავალრიცხოვან გავლენიან ნათესავებსა და ახლობლებთან, მაგრამ ამაოდ. ასეთ ვითარებაში გაატარა ქართველმა გენერალმა თაფლობის თვე გატჩინაში.

1800 წლის ნოემბერში ბაგრატიონი მეუღლით პეტერბურგში დაბრუნდა. ეკატერინე პავლეს ასული დროს მხიარულად ატარებდა ახლობლებსა და მეგობრებში, ცდილობდა მეუღლისაგან განცალკევებით ყოფილიყო. მას თავისი ინტერესები, თავისი მეგობრები და თავისი მტრები ჰყავდა.

ეკატერინე სკავრონსკაიასთან ნაცნობ-მეგობართა სტუმრიანობას ბოლო არ უჩანდა. იგი თავის ფულად მზითევს თვითონვე ხმარობდა. ბაგრატიონი კი თუმცა, როგორც ეგერთა ლეიბ-გვარდიული ბატალიონის შეფი, დიდ ხელფასს იღებდა — 2280 მანეთს წელიწადში, მაგრამ მდიდრული, ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდა და ყოველთვის ვალებში იყო, რის გამოც 1802 წელს იმპერატორის მიერ ლიტვის გუბერნიაში ნაბოძები სოფლიდან 6 ახალგაზრდა ყმა-გლეხი აიყვანა, ბოლო სოფელი ხაზინას მიჰყიდა. 10 წლის შემდეგ, სიკვდილის წინ, ბაგრატიონმა ექვსივეს თავისუფლება უბოძა.

ბაგრატიონს, მისივე განცხადებით, 1802 წელს 80000 მანეთი ვალი ჰქონდა. აქედან 28000 მან. ხაზინიდან ნასესხები, ხოლო 52000 მან. კი სამოქალაქო ვალი იყო [29]. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ხაზინას უბრძანა შეესყიდათ ბაგრატიონის სოფელი, რომელიც მან საბრძოლო დამსახურებისათვის მიიღო. იმპერატორის გადაწყვეტილებით ბაგრატიონის კუთვნილი სოფელი 70650 მან. იქნა შეფასებული, აქედან ხაზინას 28000 მან. უნდა დაექვითა და დანარჩენი 42650 მან. ხელზე მიეცა ბაგრატიონისათვის[30]. ხელგაშლილი ცხოვრების მოყვარულ ბაგრატიონს არც სოფლის გაყიდვამ უშველა. მისი ფინანსური მდგომარეობა არ გამოსწორდა.

ეკატერინე სკავრონსკაია-ბაგრატიონს ერთი სული ჰქონდა, როგორმე მეუღლე დაეტოვებინა და საზღვარგარეთ წასულიყო. 1805 წელს ევროპაში საერთაშორისო ვითარება დაიძაბა. პეტრე ბაგრატიონმა ბრძოლის ველს მიაშურა, მეუღლემ კი იხელთა დრო და საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა შემდგომში საბოლოოდ დაშორებოდა ბაგრატიონს. იგი მეტწილად ვენაში იყო და მაღალი წოდების წარმომადგენლებთან მხიარულად ატარებდა დროს.

---

[29] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

[30] იქვე.

1805 წლის 11 აპრილს ინგლისსა და რუსეთს შორის საფრანგეთის საწინააღმდეგო ხელშეკრულება დაიდო. ნაპოლეონის წინააღმდეგ ევროპის პირველი კლასის სახელმწიფოები დაირაზმნენ[31]. მათი მიზანი იყო საფრანგეთის ჯარების განდევნა იტალიიდან, ჰანოვერიდან, ჩრდილოეთ გერმანიიდან, ჰოლანდიიდან და შვეიცარიიდან. ინგლის-რუსეთის ამ კავშირს შეუერთდა ავსტრია, შვედეთი და ნეაპოლის სამეფო. ამრიგად შეიქმნა საფრანგეთის საწინააღმდეგო — რიგით მესამე კოალიცია.

1805 წლის შემოდგომაზე ავსტრიის 46-ათასიანი არმია ბავარიაში იდგა, გენ. მაკის მეთაურობით. მაკის არმიასთან შესაერთებლად მიემართებოდა რუსეთის 50-ათასიანი არმია მ. კუტუზოვის სარდლობით. მათ მიჰყვა გენ. ბუქსგევდენის 45-ათასიანი კორპუსი[32]. წინასწარ შეშუშავებული გეგმით, რუსეთის ჯარის საერთო რაოდენობა 180 ათასამდე უნდა ასულიყო. გეგმით მოკავშირეებს სულ 226 ათასი შეიარაღებული მებრძოლი უნდა ჰყოლოდათ. თუ, მართლაც, მოკავშირეებს 226-ათასიანი არმია ეყოლებოდათ, კუტუზოვს ადვილად შეეძლებოდა ნაპოლეონის 200-ათასიანი არმიის დამაცხება. ინგლისი მოკავშირეთა არმიის ხარჯების გაღებას კისრულობდა.

1805 წლის 10 აგვისტოს რუსეთის ჯარი კუტუზოვის მეთაურობით ავსტრიის საზღვარზე გადავიდა და ულმისაკენ გაემართა. ამ დროს ნაპოლეონის არმია ბულონში იდგა[33] და ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლას აპირებდა. ინგლისის დაპყრობა მას სულ რამდენიმე დღეში ჰქონდა გადაწყვეტილი. „მე მჭირდება არა სამი, არამედ ორი, თუნდაც ერთი ნისლიანი დღე და სიწყნარე ლამანშზე და მე ვიქნები ლონდონის, პარლამენტისა და ინგლისის ბანკის პატრონი“[34], ამბობდა ნაპოლეონი. ნაპოლეონმა დროზე შეიტყო მოკავშირეთა ჯარების წინსვლა ერთმანეთთან შესაერთებლად და ინგლისის წინააღმდეგ ლაშქრობას თავი დაანება. არმია სასწრაფოდ ულმისაკენ დაძრა. კუტუზოვის 50 ათასიანი არმიის მისვლამდე ავსტრიელთა ჯარი ალყაში მოაქცია და 1805 წლის 8 ოქტომბერს გენ. მაკმა კაპიტულაციაზე ხელი მოაწერა[35]. ავსტრიის 46-ათასიანი არმია დამარცხდა. კუტუზოვმა გზაში შეიტყო ავსტრიელთა კაპიტულაცია, გადაწყვიტა უკან დაეხია და გენერალ

---

[31] Е. Тарле. Сочинения в двенадцати томах, т. VII, М., 1959, с. 145.
[32] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.
[33] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.
[34] Е. Тарле, იქვე, გვ. 148.
[35] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

ზუკსგევდენის 45-ათასიან კორპუსს შეერთებოდა. კუტუზოვის არმიას უკან დახევისას შეუერთდა ავსტრიელთა მცირერიცხოვანი შენაერთები გენ. მერფელდის მეთაურობით.

არმიის არიერგარდი კუტუზოვმა ბაგრატიონს ჩააბარა. არმია ჩქარაფი ტემპით იხევდა უკან. 22 ოქტომბერს ბაგრატიონმა არიერგარდით მდინარე ენსი გადალახა და ხიდი გადაწვა, რათა ფრანგების ავანგარდს მდინარეზე გადმოსვლის საშუალება დროებით მაინც მოსპობოდა. კუტუზოვი მდ. ენსთან, ქ. ენსში აპირებდა ნაპოლეონის არმიის შეჩერებას. ასეთ რთულ და, შეიძლება ითქვას, გამოუვალ მდგომარეობაში ავსტრიელებმა კუტუზოვის არმია მიატოვეს. რუსებთან ავსტრიელთა მხოლოდ მცირერიცხოვანი რაზმი დარჩა. 24 ოქტომბერს ფრანგებმა ბაგრატიონის არიერგარდს შეუტიეს ამშტეტენთან[36]. მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებს ბაგრატიონის არიერგარდმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. მალე კუტუზოვიც მივიდა დამხმარე ძალით არიერგარდის საბრძოლო პოზიციებთან[37]. დამხმარე ძალას გენ. მილორადოვიჩი მეთაურობდა. ბრძოლა რუსთა სასარგებლოდ წარიმართა. კუტუზოვმა დაუბრკოლებლად განაგრძო უკანდახევა, 30 ოქტომბერს კრემსთან მარშალ მორტიეს დივიზია დაამარცხა და მდინარე დუნაი გადალახა. ყველა გადასასვლელი ხიდი დაწვეს, რათა ნაპოლეონის არმიის მდინარეზე გადმოსვლა შეფერხებულიყო. ნაპოლეონმა ხიდისა და ვენის აღება სახელგანთქმულ მიურატს დაავალა. მიურატმა აღასრულა თავისი იმპერატორის სურვილი[38].

ვენის ხიდის აღების შემდეგ, ფრანგებმა კუტუზოვისათვის გზის ჩოჩრა გადაწყვიტეს და დიდი სისწრაფით გაეშურენ ცნაიმისაკენ[39]. კუტუზოვი მიხვდა, რომ ფრანგების ავანგარდი მოასწრებდა ხსენებულ პუნქტში შესვლას და არმია დაიღუპებოდა. საჭირო იყო მიურატის შეჩერება მანამ, სანამ რუსეთის ჯარი ცნაიმისაკენ მიმავალ გზას არ გაცდებოდა. მიურატის შეჩერება ძნელი და თითქმის წარმოუდგენელი, მაგრამ აუცილებელი იყო.

ამ რთული ამოცანის შესრულება ბაგრატიონს დაევალა. დაყოვნება საქმეს ავნებდა. ბაგრატიონი მსწრაფლ მოქმედებაზე გადავიდა — თავისი არიერგარდი გოლაბრუნისაკენ დაძრა. ძნელად სავალი გზები და წვიმიანი ამინდები წინსვლას აფერხებდა. მიუხედავად ამისა, 3 ნოემბერს ბაგრატიონი თავისი შენაერთით დანიშნულ ადგილზე იყო[40].

---

[36] Русскій биографическій словарь, т. II, СПБ, 1900, с. 395.

[37] იქვე.

[38] იქვე.

[39] იქვე.

[40] ნ. ნაკაშიძე, ბოროდინოს გმირი, თბილისი, 1961, გვ. 36.

მან დაათვალიერა გოლაბრუნის მიდამოები, მაგრამ მოხერხებული საბრძოლო პოზიციებისათვის ადგილი არ მოეწონა. მაშინ მან 2 კმ-ით გადაინაცვლა და თავისი შენაერთი, რომელიც 6000 კაცს ითვლიდა და 12 ზარბაზნით იყო შეიარაღებული, საბრძოლო მდგომარეობისათვის მოამზადა. იგი 30-ათასიან არმიას უნდა შებრძოლებოდა[41]. ამავე დროს მოწინააღმდეგის ავანგარდს სახელმოხვეჭილი იოაჰიმ მიურატი მეთაურობდა, რაც სერიოზულად აფიქრებდა ბავრატიონს. მიურატი ავანგარდით იმავე დღეს გოლაბრუნში მივიდა. გამოჩენილ ფრანგ მარშალ მიურატს ეგონა მის წინააღმდეგ რუსეთის მთელი არმია იდგა კუტუზოვის მეთაურობით. გადაწყვიტა დრო მოეგო, ვიდრე ნაპოლეონის ძირითადი ძალები მოვიდოდნენ. მან ეშმაკობას მიმართა და ბაგრატიონთან მოლაპარაკების მიზნით წარმომადგენლები გააგზავნა.

ბაგრატიონმა ეს ამბავი სასწრაფოდ კუტუზოვს აცნობა, რომელმაც თანხმობა მისცა მოლაპარაკების დაწყებაზე. რუსეთის არმია სწრაფად იხევდა უკან ცნაიმისაკენ. კუტუზოვს დროის მოგება უნდოდა[42]. ასეთივე მიზანი ჰქონდა მიურატსაც, მაგრამ იგი შეცდა. ვერ მიხვდა, რომ იქ რუსეთის მთელი არმია არ იდგა და მის წინააღმდეგ ბაგრატიონის 6-ათასიანი არიერგარდი იყო მხოლოდ. კუტუზოვის არმია კი უკანდახევას განაგრძობდა. მიურატის შეცდომა კუტუზოვმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ნაპოლეონი 25 ვერსით იყო დაცილებული შენგრაბენიდან, სადაც მიურატი იდგა თავისი ავანგარდით. კუტუზოვმა თავისი წარმომადგენელი გენ.-ადიუტ. ვინცენგეროდე გაგზავნა მიურატთან დაზავების პირობების გადასაცემად[43]. ნაპოლეონი, შეიტყო თუ არა მოლაპარაკების შესახებ, მაშინვე მიხვდა, რომ კუტუზოვი ატყუებდა მიურატს და სასტიკად აღშფოთდა. მან სასწრაფოდ მისწერა უკმაყოფილებით სავსე წერილი: „სიტყვები ვერ გამომინახავს, რომ უკმაყოფილება გამოგიცხადოთ. თქვენ მეთაურობთ მხოლოდ ჩემს ავანგარდს და უფლება არა გაქვთ ჩემი ბრძანების გარეშე დროებითი ზავი დასდოთ. თქვენ მაიძულებთ დავკარგო მთელი კამპანიის ნაყოფი. დაუყოვნებლივ დაარღვიეთ ზავი და გაილაშქრეთ მტრის წინააღმდეგ. ნაპოლეონი“. ნაპოლეონის გვარდია წერილს თან გაჰყვა. 2 ნოემბერს ფრანგებმა შეტევა დაიწყეს. ახლო მიდამოები ხელიდან ხელში გადადიოდა. ფრანგთა ჭარბ ძალებს ბაგრატიონის 6-ათასიანი შენაერთი ძლივს უმკლავდებოდა[44]. ცხარე ბრძოლების შე-

---

[41] ნ. ნაკაშიძე, ბოროდინოს გმირი, თბილისი, 1961, გვ. 36.

[42] იქვე, გვ. 37.

[43] მ. ახობაძე, დიდი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი, თბილისი, 1950, გვ. 16.

[44] Русский биографический словарь, т. II, с. 395.

დეგად ბაგრატიონის შენაერთები ფრანგებმა ალყაში მოაქციეს. რუსმა მეომრებმა საზრიანი და გამბედავი მეთაურის წყალობით ფრანგთა გარემოცვა გაარღვიეს და უკანდახევა იწყეს. ნაპოლეონის ბრძანებით ფრანგებმა ბრძოლა შეწყვიტეს. ბაგრატიონმა უკან დაიხია დაველზე დატოვა 2402 მებრძოლი და მთელი არტილერია. ფრანგთა არმია რამდენჯერმე აღემატებოდა ბაგრატიონის შენაერთებს, მაგრამ ბაგრატიონის სამხედრო ნიჭმა და შეუდრეკელობამ თავისი გაიტანა. ფრანგებმა ვერ შეძლეს არიერგარდის გარშემორტყმა და ტყვედ წაყვანა. ბაგრატიონმა 50-ზე მეტი ტყვე იგდო ხელში, თან ფრანგების ერთი ალამიც მოიტანა[45].

ბაგრატიონი ამ ბრძოლებიდანაც გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ გარდაუვალი დამარცხებისაგან იხსნა თავისი არიერგარდი და უზრუნველჰყო არმიის უკანდახევაც.

კუტუზოვი თვითონ მივიდა ბაგრატიონთან. ცრემლმორეული გადაეხვია და უთხრა: დანაკლისს არ ვკითხულობ, შენ ცოცხალი ხარ? ჩემთვის ესეც კმარა! თვით კუტუზოვი თელიდა, რომ მიურატის შესაჩერებლად დატოვებით ბაგრატიონი თავისი არიერგარდით განწირული იყო დასაღუპავად, მაგრამ მეტი გამოსავალი არ იყო. თანაც კუტუზოვი კარგად იცნობდა ბაგრატიონის ნიჭსა და ვმირობას და ცოტა იმედიც ჰქონდა, რომ შეუპოვარი გენერალი სასწაულს მოახდენდა. შემდეგში, კუტუზოვმა იმპერატორს მოახსენა: „თუმცა ვხედავდი თავად ბაგრატიონის კორპუსის გარდაუვალ დაღუპვას, მაგრამ ბედნიერებად უნდა ჩამეთვალა მისი შეწირვა არმიის გადასარჩენად“[46].

ბაგრატიონმა თავისი სიმამაცითა და სტრატეგიული ნიჭით არმია განადგურებისაგან იხსნა. მისმა მოქმედებამ მსოფლიო აალაპარაკა. სამხედრო ხელოვნების ისტორიკოსი მ. ბოგდანოვიჩი წერდა: „არავის შეეძლო ამ დავალების შესრულება ბაგრატიონზე უკეთ. უშიშარი მოკვდავთა შორის, დინჯი ბრძოლის ქარცეცხლში. ის ფლობდა თავისი მებრძოლების გულებს; ერთი მისი სიტყვა და ერთი შეხედვა გმირებად აქცევდა ოფიცრებსაც, რომლებიც დიდად აფასებდნენ მის სამხედრო ნიჭს და ჯარისკაცებსაც, მისი გმირობის მოწმეებს იტალიასა და შვეიცარიაში“[47]. კუტუზოვი აღფრთოვანებული იყო ბაგრატიონის მიერ ჩადენილი გმირობით. სუვოროვის მსგავსად, ისიც დაუსრულებლად აქებდა ქართველ გენერალს. ერთ-ერთ წერილში კუტუ-

[45] ს. ბორისოვი, ბაგრატიონი, თბილისი, 1941, გვ. 41.

[46] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

[47] М. Богданович. История царствования Императора Александра I и Россия в его время, т. II, СПБ., 1869, с. 36.

ზოვი სწერდა ალექსანდრე პირველს: „...მოწინააღმდეგემ ალყა შემოარტყა გენ. მაიორ თავად ბაგრატიონს იმგვარად, რომ მისი კორპუსის განადგურება გარდაუვალი იყო, გარდაუვალი იყო თვით არმიის განადგურებაც. ...თავადი ბაგრატიონი 6 ათასი კაცისაგან შემდგარი კორპუსით ებრძოდა სხვადასხვა გენერალ-ფელდმარშლების მეთაურობის ქვეშ მყოფ 30 ათას კაცს, გეგმაზომიერად დაიხია უკან და 7 ნოემბერს შემოუერთდა არმიას. თან მოიყვანა ტყვეები: ერთი პოდპოლკოვნიკი, ორი ოფიცერი, ორმოცდაათი რიგითი და ერთი ფრანგული ალამიც მოიტანა. მოწინააღმდეგის ზარალი დიდია, რასაც თვით ტყვეებიც ადასტურებენ“[48]. ბაგრატიონი დაჯილდოვდა წმინდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენით და მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება[49]. ავსტრიის იმპერატორმა კი ბაგრატიონი მარი-ტერეზას ორდენის კომანდორის ჯვრით დააჯილდოვა[50].

ავსტრიელები განცვიფრებულები იყვნენ ბაგრატიონის მებრძოლების გმირობით. მათ „გმირთა რაზმი“ შეარქვეს არიერგარდის მებრძოლებს. ბაგრატიონის შენაერთში შემავალი პოლკები და ბატალიონები წმინდა გიორგის ალმებით დაჯილდოვდნენ. ყველა მებრძოლს შეეცა სამკერდე ნიშანი, რომელზედაც ეწერა: „ხუთი ოცდაათის წინააღმდეგ“, რაც ნიშნავდა არიერგარდის მებრძოლთა რაოდენობის შეფარდებას მათ მოწინააღმდეგედ მოქმედ მიურატის არმიის რაოდენობასთან.

ასეთი გმირული სამხედრო ოპერაციის შემდეგ რუსეთის არმიამ რამდენიმე დღე შეისვენა. კუტუზოვის არმიას, რომელიც უკვე 80 ათას კაცს ითვლიდა, ბუქსგევდენის 45-ათასიანი კორპუსი შეუერთდა. შწყობრში იყო იმპერატორის ძმის — კონსტანტინე პავლეს ძის ხელშძღვანელობაში მყოფი გვარდიაც[51]. ასეთი შემადგენლობით გაემართა 15 ნოემბერს რუსეთის არმია ნაპოლეონის არმიასთან შესახვედრად. შეკავშირეთა შეერთებული ძალების მთავარსარდლად ფელდმარშალი მ. კუტუზოვი დაინიშნა. საარიერგარდო ბრძოლებში გამოცდილ გენერალ ბაგრატიონს ავანგარდის ხელმძღვანელობა მიენდო. ბაგრატიონმა თავისი შენაერთები ქ. ვიშაუდან 6 ვერსის მანძილზე დააბანაკა. ქალაქს ფრანგთა გაძლიერებული სამხედრო ნაწილები იცავდნენ. 16 ნოემბერს ბაგრატიონმა მოულოდნელი და სწრაფი იერიშით ქ. ვიშაუ აიღო[52], კუტუზოვის არმია კი ქ. ოლმიუცში შევიდა. აქ რუსეთისა და

---

[48] ნ. ნაკაშიძე,, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[49] Русский биографический словарь, т. II, с. 395.

[50] იქვე.

[51] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[52] Русский биографический словарь, т. II, с. 395.

ავსტრიის იმპერატორები — ალექსანდრე პირველი და ფრანცი იმყოფებოდნენ, რომელთა სამხედრო საქმეებში ჩარევამ, როგორც შემდეგში დავინახავთ, მოკავშირეთა შეერთებული ძალების დამარცხება გამოიწვია.

კუტუზოვი მიხვდა, რომ ნაპოლეონთან ბრძოლა რუსეთის არმიას კარგს არას მოუტანდა. მისი აზრით, ფრანგებთან ბრძოლა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ნაპოლეონის არმიას ყოველმხრივ უპირატესობა ჰქონდა კუტუზოვის არმიასთან შედარებით. ასეთ ვითარებას დაერთო ისიც, რომ საომარი მოქმედების გეგმების შემუშავება და ხელმძღვანელობა იმპერატორებმა აიღეს თავიანთ ხელში. ალექსანდრე პირველი და ფრანცი სამხედრო ხელოვნების ცოდნას მოკლებული იყვნენ.[53] სრულიად ვერ ერკვეოდნენ სამხედრო ოპერაციების წარმართვაში და შექმნილ ვითარებაზეც წარმოდგენა არ ჰქონდათ. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, სამეფო კარის უნიჭო გენერლებისა და სხვათა ზეგავლენით, ორივე იმპერატორი დაჟინებით მოითხოვდა ნაპოლეონის არმიასთან გენერალური ბრძოლის გამართვას. ბრძოლებში გამოცდილმა ფელდმარშალმა კუტუზოვმა სწორად შეაფასა არსებული სიტუაცია, გაითვალისწინა ძალთა თანაფარდობაც და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია იმპერატორთა გადაწყვეტილებას.

კუტუზოვის გეგმით, არმია კარპატებისაკენ უნდა წასულიყო, შეეტყუებინა ნაპოლეონის სამხედრო ძალები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადასულიყო კონტრშეტევაზე. სხვაგვარ გამოსავალს ფელდმარშალი ვერ ხედავდა. კუტუზოვის გეგმა იმპერატორებმა არ მოიწონეს. ალექსანდრე პირველს რუსეთის არმია უძლეველი ეგონა, თანაც დარწმუნებული იყო, რომ პრუსია შეუტევდა ნაპოლეონის არმიას, მეორე მხრივ ფრანცი არწმუნებდა, რომ ნაპოლეონის არმიის დამარცხება არ გაუჭირდებოდათ მოკავშირეების საერთო ძალებს. ალექსანდრე პირველის აზრს იზიარებდა ყველა, ვისაც საქმისა არაფერი გაეგებოდა და ნაპოლეონის დამარცხებას ფიქრობდა. მათ შორის იყო ახალგაზრდა გენერალ-ადიუტანტი თავადი პეტრე დოლგორუკი, რომელიც იმპერატორმა დაიახლოვა იმიტომ, რომ ამ დამღუპველ საქმეში იგი ალექსანდრე პირველისა და ფრანცის აზრს იზიარებდა. თავად პეტრე დოლგორუკის აზრისანი იყვნენ გვარდიის ოფიცერთა თითქმის მეტი ნაწილი[54]. უფრო მეტიც, ალექსანდრე პირველს სამარცხვინოდაც კი მიაჩნდა კუტუზოვის გეგმით არმიის კარპატებისაკენ წასვლა, მისი აზრით, ეს ნაპოლეონის არმიის შიშით გაქცევას ნიშნავდა. ნაპოლეონს კი ეშინოდა, რომ რუსეთის არმია შორს არ წასულიყო და

---

[53] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[54] იქვე.

საფრანგეთიდან დიდი მანძილის დაშორებით არ მომხდარიყო ბრძოლა. იმპერატორები არაფერს და არავის ანგარიშს არ უწევდნენ და თავიანთ აზრზე იდგნენ.

კუტუზოვის გეგმის დაწუნებისთანავე ალექსანდრე პირველმა და ფრანცმა მთავარსარდალს თავს მოახვიეს ავსტრიელი გენერლის ვეიროტერის მიერ შემუშავებული გეგმა, რომლის განხილვაზეც ბაგრატიონი არ გამოცხადდა, კუტუზოვს კი დემონსტრაციულად ეძინა[55].

ბოლოს ბაგრატიონს გააცნეს ავსტრიელთა ოფიცრებმა ვეიროტერის გეგმა. მან, რა თქმა უნდა, დაიწუნა და თქვა: „ჩვენ ბრძოლას წავაგებთ“[56].

კუტუზოვი დარწმუნდა, რომ თავის აზრსა და გადაწყვეტილებას ვერ გაიტანდა და საბრძოლველად მოემზადა. 1805 წლის 2 დეკემბერს ვენიდან ჩრდილოეთით, 120 კმ დაშორებით, სოფელ აუსტერლიცთან მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. საფრანგეთის არმიას თვით ნაპოლეონი ხელმძღვანელობდა, რომელმაც კარგად გამოიყენა ვეიროტერის გეგმით გამოწვეული მოკავშირეთა ჯარების არაორგანიზებული მოქმედება და ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიღწია. ბაგრატიონს ამ ბრძოლაში არმიის მარჯვენა ფრთა ებარა და გეგმაზომიერად გააფთრებული ებრძოდა ფრანგებს. ბაგრატიონი ერთადერთი იყო აუსტერლიცთან ბრძოლაში, რომელმაც გაუძლო ლანის, ნანსუტისა და სხვა გენერლების ჭარბი ძალების შემოტევას და შეძლო განადგურებამდე არ მიეყვანა თავისი შენაერთი[57]. აუსტერლიცთან ბრძოლის ველზე 15 ათასი რუსი და ავსტრიელი მებრძოლი დაეცა, 20 ათასი ტყვედ ჩავარდა. თითქმის მთელი არტილერია ჩაუვარდათ ფრანგებს ხელში. შთავარი მაინც ის იყო, რომ არმია დამარცხდა და დაიშალა. ჯარისკაცთა დიდმა ნაწილმა მიატოვა იქაურობა და წავიდა[58].

სამი იმპერატორის ბრძოლა ნაპოლეონის გამარჯვებით დამთავრდა.

იმპერატორებმა — ალექსანდრე პირველმა და ფრანცმა სიბნელით ისარგებლეს და ძლივს დააღწიეს თავი ტყვედ ჩავარდნას. რუსეთის იმპერატორი კანკალებდა, თავს ვეღარ იკავებდა და ტიროდა[59]. ბრძოლის ველს მოსცილდა და ლეიბ-მედიკ ი. ვილიეს, ბერეიტერის, ფელდ-ეგერისა და ორი კაზაკის თანხლებით გზას გაუდგა. მან ყველა თავისი გენერალი და ფლიგელ-ადიუტანტი დაჰკარგა. ღამე უთავბო-

---

[55] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[56] ს. ბორისოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

[57] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

[58] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

[59] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 96—97.

ლო ხეტიალის შემდეგ, ახლო მდებარე სოფელში მოხვდა. რამდენიმე საათის წინ ამავე სოფელში შეეფარებინა თავი ავსტრიის იმპერატორ ფრანცსაც.

მოკავშირეთა არმია არ იყო მომზადებული საბრძოლველად, არც სათანადო საბრძოლო გეგმა გააჩნდა, მაგრამ რუსმა ოფიცრებმა და სალდათებმა არნახული გმირობა გამოიჩინეს. აუსტერლიცის გმირთა შორის იყო პეტრე ბაგრატიონი, რომელსაც ყველაზე რთულ პოზიციებზე მოუხდა ბრძოლა ნაპოლეონის რჩეული გენერლების წინააღმდეგ. შემდეგ კი არმიის უკანდახევას იფარავდა[60]. მოკავშირეთა ჯარების აუსტერლიცთან დამარცხებით დამთავრდა ნაპოლეონის წინააღმდეგ შექმნილი მესამე კოალიციის მოქმედება.

პეტერბურგში მალე შეიტყვეს მოკავშირეთა დამარცხება აუსტერლიცთან. ყველგან ამ ტრაგედიის შესახებ ლაპარაკობდნენ. სუვოროვის დროინდელ გამარჯვებებს შეჩვეული ხალხი უკმაყოფილო იყო არმიის დამარცხებით და თანაც იმით, რომ პრესაში არ აქვეყნებდნენ არავითარ ცნობებს. მალე იმპერატორი ალექსანდრე პირველი დაბრუნდა პეტერბურგში. მის შესახვედრად ქალაქში სპეციალური განათება მოაწყვეს. საზოგადოება უკმაყოფილო შეხვდა იმპერატორს, რომელსაც თავი ისე ეჭირა, ვითომც არაფერი იცოდა აუსტერლიცთან დამარცხების შესახებ. დაბრუნდნენ ბრძოლის მონაწილე მებრძოლები და ოფიცრები, რომლებმაც ნაპოლეონთან დამარცხების ამბავი გაავრცელეს. ქალაქში გამოჩნდა საფრანგეთის ბიულეტენებიც, სადაც თავიდან ბოლომდე იყო მოთხრობილი მოკავშირეთა არმიის აუსტერლიცთან განადგურების ამბავი. ოფიციალური ცნობები კი ჯერაც არსად ჩანდა.

1806 წლის დასაწყისში „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტის“ ფურცლებზე გამოჩნდა საზოგადოებისათვის ესოდენ სამწუხარო ცნობა, ისიც ფრთხილად და მოკლედ იყო დაწერილი. რუსეთის არმიის ძლევამოსილებასა და გამარჯვებებს შეჩვეული მოწინავე საზოგადოებისათვის მოულოდნელი იყო ესოდენ დიდი მარცხი.

პავლე პირველის ქვრივმა მარია თედორეს ასულმა იმპერატორს წერილი მისწერა, სადაც სინანულით აღნიშნავდა, რომ არმიამ დაჰკარგა ის დიდება, დაჯერებულება და დაუმარცხებლობა, რომელსაც იმპერატრიცა ეკატერინე მეორისა და პავლე პირველის დროს სუვოროვმა მიაღწია[61].

ალექსანდრე პირველის უკმაყოფილება დღითი დღე მატულობდა

---

[60] Русский биографический словарь, т. II, с. 395.

[61] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

და კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა არმიის დამარცხების გამო პეტერბურგის მოწინავე საზოგადოებაში რუსმა სამხედრო ხელმძღვანელებმა დაიწყეს კრიტიკა.

იმპერატორმა ფელდმარშალ კუტუზოვს მოსთხოვა აუსტერლიცთან ბრძოლის შესახებ ორი მოხსენებითი პატაკი. ერთი პირადი ცნობისათვის, მეორე კი — ფართო საზოგადოებისათვის. ალექსანდრე პირველი სწერდა კუტუზოვს, რომ მეორე პატაკი საჭირო იყო იმისათვის, რომ „საზოგადოება მცდარი დასკვნებისაგან ეხსნა". 1806 წლის 16 თებერვალს ეს პატაკი გამოქვეყნდა, სადაც მხოლოდ რუსი მებრძოლების გმირობაზე იყო ლაპარაკი. რა თქმა უნდა, ფელდმარშალს დამარცხების ნამდვილ მიზეზებზე დაწერა არ შეეძლო. მას სასტიკად გაუსწორდებოდა თვით იმპერატორი. პატაკში ზოგი რამ სინამდვილეც იყო მოყვანილი, მაგრამ ეს იყო ზღვაში წვეთი, იმპერატორმა დაადანაშაულა სამხედრო ხელმძღვანელობა, არმიიდან ბევრი გენერალი და ოფიცერი დაითხოვეს და ბევრიც დასაჯეს.

კუტუზოვი არმიის მთავარსარდლობიდან გაათავისუფლეს და კიევის სამხედრო გუბერნატორად გადაიყვანეს. ბევრმა სხვადასხვაგვარი სასჯელი მიიღო, ზოგიერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცთა სამსახურის ვადა 5 წლით გაიზარდა. ამავე დროს ხაზი გაესვა ჯარისკაცთა მეტი ნაწილისა და ცალკეულ მეთაურთა გმირობას, რომელთა შორის იყო გენ. ბაგრატიონი. ქართველი გენერალი 1806 წლის ბანვარში დაბრუნდა პეტერბურგში. შენგრაბენისა და აუსტერლიცის გმირს დიდი ინტერესით შეხვდა საზოგადოება. იგი სასახლის სანაპიროზე, მარმარილოს სასახლის ახლოს, გაგარინის ბინაში შესახლდა. საღამოობით მისი ბინა სტუმრებს ვერ იტევდა. მასთან მიდიოდნენ იმპერატორის სასხლის კარის წარჩინებულები; ხშირად დადიოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჩარტორიისკი, გოლიცინი, ძმები დოლგორუკოვები და სხვ. მათ შორის იყვნენ მინისტრები და გენერალ-ადიუტანტები, რომლებიც რუსეთის იმპერიის საშინაო და საგარეო საქმეებს განაგებდნენ. საღამოს შეხვედრაზე ბაგრატიონი იგონებდა სუვოროვის გმირულ ლაშქრობებს, ჰყვებოდა ავსტრიელთა ღალატის შესახებ. ერთ საღამოს გაიხსენა შვეიცარიის ლაშქრობისას სუვოროვის მიერ მუტენის ველზე ჩატარებული სამხედრო საბჭო და ქება-დიდებით იხსენებდა საყვარელ მასწავლებელს. ბაგრატიონთან მხოლოდ მამაკაცები იკრიბებოდნენ, გამონაკლისს შეადგენდა მ. ნარიშკინა, რომელიც იშვიათად ესწრებოდა საღამოებს თავის დასთან ს. ნარიშკინასთან ერთად. ბაგრატიონი მას ძალიან ახლოს იცნობდა მისი ძმის თავად ბ. ჩეტვერტინსკის საშუალებით, რომელიც ბაგრატიონის ადიუტანტი იყო აუსტერლიცის ბრძოლის დროს.

ქართველ გენერალთან საღამოებზე ხშირი სტუმრები იყვნენ იმპერატორის ახლობლები, რომლებიც ისმენდნენ სინამდვილეს აუსტერლიცის დამარცხების შესახებ. ბაგრატიონი თავისი საუბრებით უმტკიცებდა მათ, რომ დამარცხების მთავარი მიზეზი იყო ავსტრიელთა ღალატი. ერთი სიტყვით, ბაგრატიონთან საღამოობით სტუმრობას მაღალი საზოგადოების ყველა წარმომადგენელი ნატრობდა. იგი რუსეთის გმირად აღიარა მთელმა პეტერბურგმა. ბავარიის წარმომადგენელი ოლრი თავის მოხსენებით ბარათებში ქართველ გენერალს „არმიის დიდებასა და კერპს“ უწოდებდა.

1806 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ბაგრატიონი მოსკოვში ჩავიდა, სადაც თბილად და დიდი სიყვარულით მიიღო საზოგადოებამ.

მის პატივსაცემად იმართებოდა მეჯლისები. არისტოკრატიის მიერ ბაგრატიონის პატივსაცემად მოწყობილი ერთ-ერთი შეხვედრა ლ. ტოლსტოიმ შემდეგნაირად აღწერა[62]: ...3 მარტს, ნაშუადღევს „მეორე საათზე, ინგლისური კლუბის ორას ორმოცდაათი წევრი და ორმოცდაათი მოწვეული სადილად მოელოდა ძვირფას სტუმარს და ავსტრიის ლაშქრობის გმირს — თავად ბაგრატიონს. თავდაპირველად, როდესაც აუსტერლიცის ბრძოლის ამბავი მოვიდა, მოსკოვი საგონებელს მიეცა. ზოგმა არ დაიჯერა ეს ამბავი, სხვები ასეთი უცნაური მოვლენის ახსნას რაღაც არაჩვეულებრივ მიზეზებში ეძებდნენ. ინგლისურ კლუბში, სადაც თავს იყრიდა ყველა წარჩინებული და დიდგვაროვანი, ვისაც სწორი ცნობები მოეპოვებოდა და ვინც გავლენით სარგებლობდა, არაფერს ამბობდნენ ომზე და უკანასკნელ ბრძოლებზე, თითქოს ყველამ პირი შეკრა — ხმა-კრინტი არ დაეძრათ ამაზე... მოსკოველები გრძნობდნენ, რომ მოხდა რაღაც არასასიამოვნო, ამიტომ დადუმება ამჯობინეს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევე როგორც სათათბირო ოთახიდან მსაჯულები გამოდიან, გამოჩნდნენ ბობოლები, რომელნიც აზრს ქმნიდნენ კლუბში და ყველა ნათლად და გარკვევით ალაპარაკდა. გამოუნახეს მიზეზები იმ დაუჯერებელ, გაუგონარ და შეუძლებელ მოვლენას. აი ეს მიზეზები: ავსტრიელების ღალატი, ჯარის ცუდად კვება, პოლონელ პრშებიშევსკისა და ფრანგ ლანჟერონის ღალატი, კუტუზოვის უუნარობა და (ჩურჩულით უმატებდნენ) ხელმწიფის ახალგაზრდობა, გამოუცდელობა, ხელმწიფისა, რომელმაც საქმე ცუდ და უმნიშვნელო ადამიანებს ჩაუგდო ხელშიო. მაგრამ ჯარი, რუსი ჯარი, — ამბობდა ყველა, — ხომ არაჩვეულებრივი იყო და სიმამაცის სასწაულებს ახდენდა. ჯარისკაცები, ოფიცრები,

[62] ლ. ტოლსტოი, „ომი და მშვიდობა“, თხზულებანი, ტ. IV, ნაწ. I, თბილისი, 1962, გვ. 20—22, 24—25, 27.

გენერლები — ყველანი გმირები იყვნენ. მაგრამ გმირთა გმირი იყო თავადი ბაგრატიონი, რომელმაც თავი ისახელა შენგრაბენის ბრძოლით და უკანდახევით აუსტერლიციდან, საიდანაც მან — ერთადერთმა—გაიყვანა ჯარი მწყობრად და დაუშლელად და, სადაც იგი მთელ დღეს იგერიებდა ორჯერ უფრო ძლიერ მტერს. ბაგრატიონის გმირად გამოცხადებას მოსკოვში ხელს ისიც უწყობდა, რომ იქ მას არც ნაცნობები და არც ნათესაობა არა ჰყავდა, იგი უცხო იყო მოსკოვისათვის. მისი სახით პატივს სცემდნენ მებრძოლ, უბრალო, უგავლენო და უინტრიგო რუს ჯარისკაცებს, რომლებიც იტალიური ლაშქრობის მოგონებებით დაკავშირებული იყვნენ სუვოროვის სახელთან. გარდა ამისა, თავად ბაგრატიონის ასეთი პატივისცემა ყველაზე უკეთესად ააშკარავებდა იმას, რომ კუტუზოვს აღარ სწყალობდნენ, ემდუროდნენ კიდეც.

გაისმა ზარების რეკვა; კლუბის მამასახლისები კარებს მისცვივდნენ; ოთახებში გაფანტული სტუმრები, თითქო ჰვავის მარცვალს ნიჩაბი მოუსვესო, ერთად შეჯგუფდნენ და დიდ სასტუმრო ოთახში დარბაზის კარის წინ გაჩერდნენ.

წინა ოთახის კარებში ბაგრატიონი გამოჩნდა, უქუდოდ და უდაშნოდ, რომლებიც მან კლუბში მიღებული ჩვეულებისამებრ შვეიცარს დაუტოვა. მას აღარ ეხურა კრაველის ქუდი და აღარც მათრახი ჰქონდა მხარზე გადაგდებული, როგორც აუსტერლიცის ბრძოლის წინა ღამეს, როცა როსტოვმა ნახა. ახლა ვიწრო მუნდირი ეცვა რუსული და უცხოური ორდენებით მოჭედილი და გიორგის ჯვრით მკერდის მარცხენა მხარეზე. ეტყობოდა, სადილის წინ შეეკრიჭა თმა და ბაკენბარდები, რაც არასასურველად ცვლიდა მის გარეგნობას. სახეზე რაღაც გულუბრყვილო, სადღესასწაულო იერი გადაჰკრავდა და ეს იერი მის მტკიცე, ვაჟკაცურ ნაკვთებთან შეერთებული, ოდნავ კომიკურ გამომეტყველებას აძლევდა ამ სახეს. მასთან ერთად მოსული ბეკლეშოვი და თევდორე პეტრეს ძე უვაროვი კართან შეჩერდნენ, რათა გზა მიეცათ მისთვის, როგორც ყველაზე საპატიო სტუმრისათვის. ბაგრატიონი დაიბნა, მან არ მოისურვა ესარგებლა თანმხლებთა თავაზიანობით, ოდნავ დაყოვნდა კარებში, მაგრამ ბოლოს მაინც პირველი შევიდა. მორცხვად და უხერხულად მიდიოდა იგი სასტუმრო ოთახის პარკეტზე, მიდიოდა და არ იცოდა, სად წაეღო ხელები. მისთვის უფრო ჩვეული და ადვილი იყო ტყვიების ზუზუნში მოხნულ მინდორზე სიარული, ისე, როგორც მიუძღოდა კურსკის პოლკს შენგრაბენში. მამასახლისები პირველ კარებთან შეეგებნენ, რამდენიმე სიტყვით გამოხატეს თავიანთი სიხარული ესოდენ ძვირფასი სტუმრის ნახვაზე, მერე არც კი დაუცადეს თავადის პასუხს,

თითქოს მის დაუფლებას აპირებენო, გარს შემოერტყნენ და სასტუმრო ოთახში შეიყვანეს. სასტუმრო ოთახის კარებში გავლა შეუძლებელი გახდა. კლუბის წევრები და სტუმრები ერთად შეჯგუფულიყვნენ, ერთმანეთს აწვებოდნენ, ფეხის თითებზე დგებოდნენ, რათა უკან მდგომთ შეეთვალიერებინათ ბაგრატიონი... გრაფი ილია ანდრიას ძე წამოდგა, დახედა ბარათს, რომელიც მისი თეფშის წინ იდო და ჩვენი უკანასკნელი კამპანიის გმირის, თავად პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის სადღეგრძელო წარმოთქვა. ცისფერი თვალები კვლავ ცრემლით დაეწამა. „ურა!“ — ისევ შესძახა სამასმა სტუმარმა და მუსიკის ნაცვლად მოისმა მომღერალთა ხმა. მღეროდნენ კანტატას, რომელიც პაველ ივანეს ძე კუტუზოვს შეეთხზა.

Тщетны россам все препоны,
храбрость есть побед залог
есть у нас Багратионы,
будут все враги у ног...»

პეტერბურგსა და მოსკოვში აუსტერლიცის გმირის პეტრე ბაგრატიონის პატივსაცემად მოწინავე საზოგადოება ხშირად მართავდა საღამოებს, მეჯლისებსა და სხვაგვარ გართობებს. ყველგან მხოლოდ მისი ქება-დიდება ისმოდა. ყველგან მისი გმირობის სადღეგრძელოს წარმოსთქვამდნენ. თავად პეტრე ბაგრატიონის პატივსაცემად მოსკოვში გამართული ერთ-ერთი შეხვედრის შესახებ ძველი დიპლომატი ი. ბულგაკოვი მოსკოვიდან შვილისადმი 1806 წლის 12 მარტს გაგზავნილ ბარათში წერდა: ჩვენთან პეტერბურგიდან ჩამოვიდა ბევრი სტუმარი: ობერ-კამერგერი ნარიშკინი თეატრის ასაშენებლად, თავადი ბაგრატიონი, ხელმწიფის ადიუტანტები, დოლგორუკები და ბევრი სხვა სამხედრო პირი. აქ მათ უმასპინძლდებიან, უმართავენ ყოველ დღე სადილს, ვახშამს, ბალს, დაჰყავთ თეატრში, კონცერტებზე. 7 მარტს ბაგრატიონს გაუმართა დღესასწაული თავადმა ვ. ხოვანსკიმ. მე მას ავიწერე; სხვაგვარი საუბარი არაა საჭირო. სასადილო ოთახი ნადავლით იყო დამშვენებული. კედლის შუაგულში მოთავსებული იყო ბაგრატიონის პორტრეტი. მის ქვემოთ იარაღების კონა, დროშები და სხვ. (ყოველივე ეს შესაძლებელია ბაგრატიონის მიერ აუსტერლიცის ბრძოლის ველიდან წამოღებული ნადავლი იყო, — მ. გ.). იქვე, ბაგრატიონის მუნდირის ფერებში გამოწყობილი ქალიშვილები იყვნენ. როგორც კი შევიდნენ დარბაზში, გაისმა მუსიკის ხმა. თავადის ქალი ნატალია უმღეროდა მას ლექსებს, რომელსაც ყველა ერთად უკეთებდა აკომპანემენტს. შემდეგ, დანარჩენმა ქალიშვილებმა, ორმა თავადის ქალმა — ვალუევებმა, ნელიდინსკაიამ და სხვებმა ბაგრატიონს დაფნის გვირგვინი მიართვეს, ჩაჰკიდეს ხელი და მიიყვანეს კედელ-

თან, რომელიც გაიხსნა, ე ი. ფარდა აიწია. აქ გამართული იყო თეატრი, სცენა განასახიერებდა ტყეს. ბოლოში გამოსახული იყო დიდების ტაძარი. ტაძრის წინ სუვოროვის ქანდაკება... ბაგრატიონს ლექსი მიართვეს, მან გამოართვა, წაიკითხა, თავი დაუკრა ქანდაკებას და ფეხით დაუდო თავისი დაფნის გვირგვინი. შემდეგ დაიწყო მეჯლისი...[63] ბაგრატიონის პატივსაცემად გამართული ასეთი მეჯლისები მოსკოვსა და პეტერბურგში ძალიან ხშირი იყო 1806—1807 წლებში. ბაგრატიონის გმირობა მთელ იმპერიას მოედო. მოსკოვსა და პეტერბურგში ყველა დიდებულს ესახელებოდა მისთვის პატივის მიგება. ყველა ცნობილი პიროვნება ცდილობდა მის გაცნობას, მასთან შეხვედრას. მისადმი ყურადღების გამოჩენას, პატივისცემას. ერთი სიტყვით, ბაგრატიონზე ისეთი მითქმა-მოთქმა დაიწყო, როგორც ლეგენდარულ გმირს შეეფერებოდა. მოდად იქცა ქართველ გენერალზე ლექსების წერა და სიმღერების შეთხზვა, რომლებშიც ხოტბას ასხამდნენ მის უდრეკ ვაჟკაცურ შემართებასა და გმირობას. პეტრე ბაგრატიონის ქება-დიდებამ თვით ნაპოლეონამდეც მიაღწია[64], რომელიც მას ყველაზე საუკეთესო მხედართმთავრად მიიჩნევდა მთელ რუსეთის არმიაში[65].

ამრიგად, ბაგრატიონი ყველასათვის სასიქადულო და საყვარელი ადამიანი გახდა. მხოლოდ თავის კანონიერ მეუღლეს არ უყვარდა, აღარც ახსოვდა იგი. ვენაში ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია-ბაგრატიონი ფუქსავატურ ცხოვრებას ეწეოდა. მის საქციელზე ვენაში ჭორაობა და მითქმა-მოთქმა გაჩაღდა, რამაც პეტერბურგამდე მოაღწია. ა. ბულგაკოვმა, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა, ვენაში მცხოვრები ძმისაგან შეიტყო ბაგრატიონის მეუღლეზე გავრცელებული ჭორები. ჭორები კი არა სინამდვილე იყო. შეიტყო თუ არა ამის შესახებ, ა. ბულგაკოვმა შესძახა: „ოჰ ბაგრატიონი! წარმოიდგინეთ, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა“[66]. ბაგრატიონი იმდენად ახლობელი გახდა ყველასათვის, რომ ყველას აინტერესებდა მასთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობა და ამბავი. ამიტომ იყო რომ წერილის ბოლოს ა. ბულგაკოვი თხოვდა ძმას — „ხშირად მოიწერე ამის შესახებ-ო“[67].

ბაგრატიონი გახარებული იყო საზოგადოების ესოდენ დიდი ყუ-

---

[63] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

[64] ზ. ჭიჭინაძე, რუსეთის მამულიშვილების ომი 1812 წ. პეტრე ბაგრატიონი და სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი. თბილისი, 1912, გვ. 7.

[65] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

[66] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[67] იქვე.

რადღებით, მაგრამ როცა პირად ცხოვრებაზე დაფიქრდებოდა, მოიწყენდა და სახეზე უკმაყოფილების იერი გადაუვლიდა. 1806 წელს მისი მეუღლე ვენაში ცხოვრობდა, შემდეგ დრეზდენში გადავიდა. მისი საქციელის შესახებ გაუთავებელი ჭორაობა და მითქმა-მოთქმა იყო გაჩაღებული[68]. ეკატერინე პავლეს ასულმა სკავრონსკაიამ ყოველივე იცოდა, მაგრამ არაფერს და არავის ანგარიშს არ უწევდა, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მას მეუღლე აღარ ახსოვდა და, რაღა თქმა უნდა, დაბრუნებაზე სრულიადაც არ ფიქრობდა. ბაგრატიონიც შეეგუა იმ აზრს, რომ ცოლი ჰყავდა და არც ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ ბაგრატიონმა ერთერთ თანამოსაუბრესთან ოჯახურ მდგომარეობაზე ლაპარაკისას სინანულით თქვა: „მე კი რა დოზანა ვარ? კიდეც მყავს და არც მყავს ცოლი... თავადაც ვერ გამიგია, ცოლი ვენაშია და ავსტრიის მინისტრებს ეკურკურება, მე კი აქ მკერდით ვდგევარ ბონაპარტესა და მისი ლენჩი სიმამრის წინააღმდეგ“[69]. ბაგრატიონი ცდილობდა ყოველთვის სამხედრო საქმეებით ყოფილიყო დაკავებული, რათა პირად ცხოვრებაზე ფიქრის დრო არ ჰქონოდა.

1806 წლის მაისში ეგერთა ლეიბ-გვარდიული ბატალიონი, რომელსაც ქართველი გენერალი მეთაურობდა, ორი ბატალიონისაგან შემდგარ პოლკად გადაკეთდა. თითოეული ბატალიონი ოთხი ასეულისაგან შედგებოდა. ეს პოლკი შევიდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის ძმის — დიდი თავადის კონსტანტინე პავლეს ძის — დივიზიაში. მიუხედავად იმისა, რომ დიდი თავადი კონსტანტინე უხეში იყო, თავის თავს მხედართმთავრად თვლიდა და ამავე დროს დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარსა და ყველა მინისტრზე. იგი მამის — პავლე პირველის — მსგავსად დიდად აფასებდა პეტრე ბაგრატიონს, რომელსაც სანიმუშო მეთაურად და გამოჩენილ მხედართმთავრად თვლიდა; მას, როგორც მის დივიზიაში შემავალი პოლკის უფროსს, არ ზღუდავდა, დამოუკიდებელი მოქმედების უფლებას აძლევდა[70].

ბატალიონის პოლკად გადაკეთებამ ბაგრატიონს ღიღი საქმე და საზრუნავი გაუჩინა. პოლკმა შევსება მიიღო ნოვგოროდის, ნარვისა და ფსკოვის გარნიზონებიდან და ქართველ გენერალს ბევრი მუშაობა დასჭირდა, რათა მისი პოლკი კარგად გაწვრთნილ, ორგანიზებულ და ბრძოლისუნარიან შენაერთად ქცეულიყო. პოლკის პირად შემადგენლობასთან მუშაობა ბაგრატიონს სიამოვნებდა, მაგრამ იმდენ დროს ართმევდა, რომ სახლში სულ რამდენიმე საათს იმყოფებოდა. თავის

---

[68] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 106—107.

[69] ს. გოლუბევი, ბაგრატიონი. სახელი და ვედება 1812 წლისა, თბილისი, 1948, გვ. 15.

[70] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

საყვარელი პოლკის ჯარისკაცებსა და ოფიცრებთან ყოფნა მას ყველაფერს ერჩია, თანაც სამსახურებრივ საქმიანობაში გართულს ოჯახური ტრავმა ავიწყდებოდა[71].

1806 წლის ზაფხული ბაგრატიონმა პავლოვსკში გაატარა, სადაც იმპერატორის საზაფხულო რეზიდენციის კომენდანტი იყო. 1806 წელს პავლოვსკში ბაგრატიონმა თავად ა. კურაკინისაგან მიწის ნაკვეთი იყიდა ხის სახლიანად. ა. კურაკინის ნაკვეთთან ერთად მომიჯნავედ მდებარე თავად მ. გოლიცინის ნაკვეთიც შეიძინა. ორივე ნაკვეთის შესაძენად ფული არ ეყო და კვლავ ვალი აიღო[72]. ბაგრატიონი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შემდეგ დროს ახლად შეძენილ აგარაკზე ატარებდა.

1806 წლის ივლისისათვის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა კვლავ გაუარესდა.

აუსტერლიცთან დამარცხების შედეგად ავსტრიას მეტი ბრძოლის უნარი აღარ ჰქონდა და იძულებული გახდა საფრანგეთთან ზავი დაედო. რუსეთის არმიის დამარცხებით შეურაცხყოფილი ალექსანდრე პირველი ნაპოლეონისათვის სამაგიეროს გადახდას ფიქრობდა და მოკავშირეებს ეძებდა, რათა გაერთიანებული ძალებით შეეტია ნაპოლეონის არმიისათვის. ინგლისი მზად იყო რუსეთის მხარე დაეჭირა, მაგრამ მას ჯარის გამოყვანა არ შეეძლო და, როგორც ყოველთვის, მოკავშირეთა დაფინანსებას კისრულობდა მხოლოდ. რუსეთს ესაჭიროებოდა პრუსიის მოკავშირეობა, ვინაიდან მას 150-ათასიანი არმიის გამოყვანა შეეძლო[73].

ალექსანდრე პირველმა 1806 წ. მაისში საიდუმლო მრჩეველი პ. უბრი გააგზავნა პარიზში სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად. იმპერატორს საფრანგეთის კვლავ გაძლიერებისა ეშინოდა და პარალელურად პრუსიასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რათა ახალი კავშირი შეექმნა ნაპოლეონის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ პ. უბრის მიერ 1806 წლის 20 ივლისს პარიზში დადებული რუსეთ-საფრანგეთის სამშვიდობო ხელშეკრულება ალექსანდრე პირველმა უარყო, საიდუმლო მრჩეველს უფლება-მოსილების გადაჭარბება დასწამა და პ. უბრისა და გენერალ კლარკის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას რატიფიცირება არ აღირსა. საფრანგეთთან ურთიერთობა თანდათანობით დაძაბული ხდებოდა. აუცილებელი იყო ნაპოლეონთან გაერთიანებული ძალებით ბრძოლა.

---

[71] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

[72] იქვე, გვ. 108.

[73] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

1806 წელს შეიქმნა საფრანგეთის საწინააღმდეგო მეოთხე კოალიცია რუსეთის, ინგლისის, პრუსიისა და შვეციის შემადგენლობით. ინგლისი ამჯერადაც მოკავშირეთა დაფინანსებას კისრულობდა. ძირითადი ცოცხალი ძალები რუსეთსა და პრუსიას უნდა გამოეყვანა. ნაპოლეონი აღშფოთებული იყო პრუსიის მიერ რუსეთის მხარდაჭერით. 1806 წლის 8 ოქტომბერს საფრანგეთის 195-ათასიანი არმია საქსონიის ტერიტორიაზე შეიჭრა[74]. პრუსიის არმია 175—180 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა, რომლის მთავარსარდლობაც მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ III-მ იკისრა. პირველი ბრძოლა შლეიცთან მოხდა, სადაც მიურატისა და მარშალ ბერნადოტის ავანგარდმა იოლად იზეიმა პრუსიელებზე გამარჯვება. ბრძოლის ველზე 300 მოკლული და 400 დაჭრილი პრუსიელი დარჩა.

10 ოქტომბერს ფრანგებმა ქ. ზაალფელდთან შეუტიეს მოწინააღმდეგეს, პრუსიელებმა ვერ გაუძლეს იერიშზე გადასულ მარშალ ლანის შენაერთებს და გაქცევა იწყეს. ფრანგებმა ორ დღეში ორი გამარჯვება იზეიმეს. 14 ოქტომბერს ნაპოლეონის საუკეთესო მარშლების: სულტის, ლანის, ოჟეროსა და ნეის შენაერთებმა და მიურატის კავალერიამ სასტიკად დაამარცხა პრუსიის არმია იენასთან. ფრანგები დაედევნენ გაქცეულ პრუსიელებს და ქ. ვეიმართან და შიგ ქალაქშიც საბოლოოდ გაანადგურეს მოწინააღმდეგე[75]. 27 ოქტომბერს, ბრძოლის დაწყებიდან 19 დღის შემდეგ, ფრანგები ბერლინში შევიდნენ[76]. 9 ციხე-სიმაგრე და თითქმის 60 ათასი კაცი უბრძოლველად ჩაბარდა ფრანგებს. ამრიგად, ნაპოლეონმა მოკლე დროში გაანადგურა პრუსია[77].

პრუსიის დამარცხებამ ნათელჰყო, რომ საფრანგეთი რუსეთის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა. ალექსანდრე პირველის მითითებით, სასწრაფო ღონისძიებების გატარება დაიწყო, რათა ნაპოლეონის ჯარების შემოსევას მომზადებული შეხვედროდნენ. გაზეთებში გამოცხადდა იმპერატორის მანიფესტი სახალხო ლაშქრის შექმნის შესახებ, იმ ვარაუდით, რომ 600-ათასიანი ლაშქარი მზადყოფნაში ყოფილიყო[78] რუსეთის 180-ათასიანი არმია საბრძოლო მდგომარეობაში იყო. დაიწყო იმპერიის საზღვრებს გარეთ გასახლება იმ ფრანგებისა, რომლებიც რუსეთის ქვეშევრდომები არ იყვნენ[79]. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდებოდა, რათა ყოველმხრივ მომზადებულები შეხვედ-

---

[74] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

[75] იქვე, გვ. 171.

[76] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[77] შ. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

[78] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

[79] იქვე.

როდნენ ნაპოლეონის არმიას. 1806 წლის დეკემბერში გენერალ-ლეიტენანტი პეტრე ბაგრატიონი ზამთრის სასახლეში გამოიძახეს. ალექსანდრე პირველი კარგად შეხვდა მას და განუცხადა, რომ რუსეთის მომქმედი არმიის ავანგარდის უფროსად ნიშნავდა. ბაგრატიონმა იმპერატორს ნებართვა სთხოვა, რათა თავისი სურვილით სამსახურში თან წაეყვანა რამდენიმე ოფიცერი. ალექსანდრე პირველმა თანხმობა განუცხადა.

ბაგრატიონს სურდა თავისთან წაეყვანა დენის დავიდოვი და მარია ანტონის ასულ ნარიშკინას ძმა, რომლებმაც მომქმედ არმიაში ბაგრატიონთან სამსახურის სურვილი მარია ნარიშკინას გაუმხილეს და სთხოვეს, რომ შუამდგომლობა გაეწია. ეს მოხდა რამდენიმე თვით ადრე. მ. ნარიშკინამ გადასცა ბაგრატიონს თავისი ძმისა და დ. დავიდოვის სურვილი. ქართველმა გმირმა თხოვნის შესრულება აღუთქვა და მიცემული პირობა კიდევაც შეასრულა.

იმპერატორის რეზიდენციიდან ბაგრატიონი მ. ნარიშკინას ბინაში მივიდა, აუწყა ალექსანდრე პირველთან გამოძახების მიზეზი და დასძინა: „დადგა დრო, შევასრულო ჩემი დაპირება და ჩემთან სამსახურში წავიყვანო დენის დავიდოვი და თქვენი ძმა. შეატყობინეთ, რომ მზად იყვნენ მომქმედ არმიაში წასასვლელად“[80]. დენის დავიდოვმა შეიტყო თუ არა მ. ნარიშკინასავან ბაგრატიონის გადაწყვეტილება სასწრაფოდ სასახლის სანაპიროზე მდებარე გაგარინის ბინისაკენ გაეშურა, სადაც ქართველი გენერალი ცხოვრობდა. ბაგრატიონს თავისი ტანსაცმელი და საჭირო ნივთები უკვე ჩაელაგებინა, როცა დენის დავიდოვი მასთან გაჩნდა. სასტუმრო ოთახში იყვნენ გენერლის ადიუტანტები თავადი გოლიცინი, გრაფი გრაბოვსკი და ეგერთა ლეიბ-გვარდიული პოლკის უფროსი გრაფი სენ-პრი. დენის დავიდოვმა ვერ გაბედა შეკითხვა, ბაგრატიონი კი საქმეებით იყო გართული და არაფერი უთქვამს სტუმრისათვის. დ. დავიდოვმა თავის სათაყვანებელი კერპი ეკიპაჟამდე მიაცილა და დასცილდა. რამდენიმე დღის შემდეგ დენის დავიდოვმა ოფიციალური შეტყობინება მიიღო, რომ იგი მოქმედ არმიაში ბაგრატიონის ადიუტანტად იყო დანიშნული. ქართველი გენერალი კი უკვე შორს იყო პეტერბურგიდან და ჩქარი ტემპით უახლოვდებოდა საომარი მოქმედების ადგილს. ნაპოლეონი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მომზადებული შეხვედროდა რუსეთთან ომს. 1806 წლის ნოემბერში ფრანგები პოლონეთში შევიდნენ. ნაპოლეონის 150-ათასიანი არმია რუსეთის საზღვრებისაკენ დაიძრა. მოწინააღმდეგესთან შესახვედრად ბენიგსენის 90-ათასიანი არმია გაემართა[81].

---

[80] Д. Давыдов, Сочинения, Москва, 1985, с. 151—152.

[81] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

ბენიგსენის კორპუსთან იყო პრუსიის გადარჩენილი ლესტოკის კორპუსი. ნაპოლეონის წინააღმდეგ მიემართებოდა ბუკსგევდენის 40-ათასიანი კორპუსი. ომი იწყებოდა, რუსეთის არმიის მთავარსარდლად კი ჯერ არავინ იყო დანიშნული. ერთმანეთის მოქიშპე გენერლებს ბენიგსენსა და ბუკსგევდენს შორის[82] ფუნქციები არ იყო ზუსტად გამოკვეთილი. მრავალმხრივი მითქმა-მოთქმისა და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ალექსანდრე პირველმა 69 წლის ფელდმარშალი მ. კამენსკი გამოიძახა და მთავარსარდლობა უბოძა. 22 ნოემბერს ახლად დანიშნული მთავარსარდალი პეტერბურგიდან გავიდა და დეკემბრის დასაწყისში ქ. პულტუსკის ახლოს რუსეთის არმიის მთავარ შტაბბინაში მივიდა. 69 წლის მ. კამენსკი ძალიან გაწვალდა გზაში. მას ხასიათი წაუხდა. იგი ერთი კვირის მანძილზე ასრულებდა თავის მოვალეობას. არმიაში არეულ-დარეულობა რომ დაინახა, მან მთავარსარდლობაზე უარის თქმა გადაწყვიტა და იმპერატორს მისწერა: „მე თითქმის დავკარგე მხედველობა, რუკაზე არც ერთი ქალაქის მოძებნა არ შემიძლია“ [83].

იგი დაგვიანებით მიხვდა, რომ ყოველისშემძლე ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი არმიის მთავარსარდლობას ვერ შეძლებდა და იმპერატორს თხოვნას თხოვნაზე უგზავნიდა განთავისუფლების შესახებ. ბრძოლის ველზე მთლად შეშინდა. პულტუსკიდან იმპერატორს კვლავ წერილი გამოუგზავნა თხოვნით: „არმიისათვის მე მოხუცი ვარ, ვერაფერს ვერ ვხედავ, ცხენით სიარული თითქმის არ შემიძლია...“[84]. მოხუცმა მთავარსარდალმა ერთი კვირის განმავლობაში უფრო აურ-დაურია ისედაც არმიის მოუწესრიგებელი საქმეები.

ბოლოს, კამენსკიმ ჯარის საზღვრებისაკენ უკან დახევა ბრძანა, იქაურობა მიატოვა და გროდნოში წავიდა. არმია უმთავარსარდლოდ დარჩა. გენ. ბუკსგევდენი ჩინით ბენიგსენზე მაღლა იდგა. ამ უკანასკნელს არ უნდოდა ბუკსგევდენის მორჩილება და გადაწყვიტა არ შეერთებოდა მის კორპუსს. პულტუსკთან ბრძოლაში რუსეთის ჯარმა გენ. ბენიგსენის ხელმძღვანელობით ერთხელ კიდევ დაანახა მოწინააღმდეგეს რუსი ჯარისკაცის მედგარი, უძლეველი ძალა და გმირობა, თუმცა მოწინააღმდეგეთა შორის არ იყო არც გამარჯვებული და არც დამარცხებული.

მიუხედავად ამისა, ორივე მხარე თავიანთ იმპერატორებს გამარჯვებას ულოცავდა[85]. მარშალმა ლანმა ნაპოლეონს გამარჯვება მიულო-

---

[82] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

[83] იქვე.

[84] იქვე, გვ. 117.

[85] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

ცა, ბენიგსენმა კი იმპერატორს აცნობა, რომ მან ბრძოლა მოიგო და თვით ნაპოლეონი დაამარცხა (ეს მაშინ, როცა ნაპოლეონი საერთოდ არ ყოფილა იმ მიდამოებში). ფრანგები არ დამარცხებულან, მაგრამ გამარჯვებაც ვერ იზეიმეს. პულტუსკთან ბრძოლაში ნაპოლეონი დარწმუნდა, რომ რუსებთან ბრძოლა იოლი არ იყო. ბენიგსენის ცნობას პეტერბურგში დიდი ზეიმით შეხვდნენ[86]. ალექსანდრე პირველს გადაწყვეტილი ჰქონდა გენ. ბუკსგევდენის მთავარსარდლად დანიშვნა, მაგრამ ბენიგსენის პულტუსკთან „გამარჯვების“ ცნობამ საკითხი უკანასკნელის სასარგებლოდ წარმართა, თუმცა იმპერატორს ბენიგსენი არ უყვარდა, მაინც გადაწყვიტა იგი დაენიშნა რუსეთის არმიის მთავარსარდლად. ბაგრატიონი უნიჭო და ინტრიგის მოყვარულ გენერალ ბენიგსენის სარდლობის ქვეშ აღმოჩნდა.

1807 წლის იანვარში დენის დავიდოვი ბაგრატიონის ავანგარდში გამოცხადდა. იგი ბაგრატიონს დიდი ხანია კულტად მიიჩნევდა და განცვიფრებული იყო მისი სიმამაცითა და სამხედრო ნიჭით. დ. დავიდოვმა ბაგრატიონთან 5 წელი იმსახურა. მომავალი გმირი-პარტიზანი დ. დავიდოვი ყოველდღიურ ჩანაწერებში აღნიშნავდა: „მე საომარი მოქმედების დროს ბაგრატიონი არ მინახავს სხვაგვარად, დღისით და ღამით ჩაცმული იყო. მისი ძილი ძალიან ხანმოკლე იყო, სულ სამი, ბევრი — ოთხი საათი დღე-ღამეში, მაშინაც არ აცლიდნენ მოსვენებას, ვინაიდან ყოველი მოსული აღვიძებდა, თუ კი მოტანილი ამბავი მის გაღვიძებად ღირდა“ [87]. იმ დროს მისი სამოსი იყო: მუნდირი, მეორე კლასის გიორგის ვარსკვლავით, მხრებზე—ნაბადი და გვერდზე—დაშნა, რომელსაც ის ატარებდა იტალიაში სუვოროვთან, თავზე—ნაცრისფერი კრაველის ბუხრის ქუდი, ხელში კი მათრახი[88]. დენის დავიდოვი აღტაცებული იყო ბაგრატიონის სამხედრო ნიჭით, საარიერგარდო ბრძოლების საზრიანი და გაბედული წინამძღოლობით. ბაგრატიონის მხედართმთავრული თვისებებიდან დენის დავიდოვი აღნიშნავდა — სიმშვიდეს, თვალზომას, სასწაულებრივ გამჭრიახობასა და მოხერხებას, რომლებითაც იგი ესოდენ გულუხვად იყო ბუნებისაგან დაჯილდოებული[89]. ბაგრატიონმა ყველა ჩამოთვლილი თვისება კვლავ გამოამჟღავნა 1807 წლის ბრძოლებში. იგი 1807 წლის ყველა ბრძოლის მთავარი მოქმედი პირი იყო[90].

მიუხედავად იმისა, რომ ბენიგსენმა იმპერატორს ფრანგებზე გა-

---

[86] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

[87] Д. Давыдов, Военные записки, М., 1940, с. 74—75.

[88] შ. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, ვ. 28.

[89] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

[90] Русский биографический словарь, т. II, с. 395—396.

შარჯვება მიუღოცა, მისი ხელმძღვანელობით რუსეთის არმია უკან იხევდა. საფრანგეთის ჯარი კვალდაკვალ მისდევდა უკანდახეულ არმიას. ამჯერად თვით ნაპოლეონი ჩაერია საომარ მოქმედებაში.

ნაპოლეონმა რუსეთის არმიის ალყაში მოქცევა და შემდეგ განადგურება გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად ტორნისაკენ მიმავალ გზაზე მყოფი ბერნადოტი თავისი ჯარით გოლდენბურგისაკენ უნდა წასულიყო და მარცხენა ფრთიდან რუსეთის არმიისათვის უკანდასახევი გზა მოეჭრა. უნიჭო ბენიგსენმაც, მისდა უნებურად, ფრანგების სასარგებლოდ, არმიას ტორნისაკენ მისცა გეზი, ნაპოლეონის ძირითად ძალებს ზურგში იტოვებდა. რუსეთის არმიის ტორნისაკენ სვლა ნაპოლეონის გეგმისათვის სასარგებლო ოპერაცია იყო. ბენიგსენის მეთაურობით არმია თვითონ ექცეოდა ფრანგთა გარემოცვაში.

ბაგრატიონი 14 იანვარს გამოცხადდა მოქმედ არმიაში და ავანგარდი ჩაიბარა. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ჯანსაღად მოაზროვნე მეთაურები. არმიაში ყველა გახარებული და გამხნეებული იყო სახელგანთქმული გენერლის ავანგარდის მეთაურად დანიშვნით. კატასტროფისაკენ მიმავალი არმიის ხსნა მხოლოდ ბაგრატიონს შეეძლო. იგი დღედაღამ მომავალი სისხლისმღვრელი ბრძოლის მოსამზადებელი საქმეებით იყო დაკავებული. მ. ბოგდანოვიჩი სრულიად სამართლიანად წერდა: „ჩვენი არმიის საბედნიეროდ მისი უშიშროების დასაცავად ჩამოვიდა ბაგრატიონი. მას დაევალა ავანგარდის ხელმძღვანელობა, რადგან არავის არ შეეძლო ამ დავალების უკეთესად შესრულება. რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში ხანმოკლე ძილს, მცირე შესვენების დროს, გამუდმებით აწყვეტინებდნენ მოძრავი პიკეტები, მოხსენებებითა და ბრძანებებისათვის მოსული ოფიცრები. ყველა მათგანს უნდა გაეღვიძებინა ის და ბაგრატიონი, ჩაცმული დღეც და ღამეც, ყოველთვის მზად იყო მკერდით გადადგომოდა მოწინააღმდეგეს. მისი რაზმების მეთაურები იყვნენ გრაფი მარკოვი და შემდგომ სახელგანთქმული გენერლები ბარკლაი დე-ტოლი და ბაგოვუტი“[91].

1807 წლის 19 იანვარს ბაგრატიონის ავანგარდში შემავალი ელიზავეტას პოლკის ჯარისკაცებმა ფრანგი ოფიცრები შეიპყრეს. ოფიცერს აღმოაჩნდა საიდუმლო პაკეტი, რომელსაც საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი მარშალი ბერტიე უგზავნიდა კორპუსის უფროსს, მარშალ ბერნადოტს. ტყვე ოფიცერი პაკეტის გადაგდებას ცდილობდა, მაგრამ ჯარისკაცებმა ჩამოართვეს იგი და ბაგრატი-

[91] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 198—199.

ონს გადასცეს. პაკეტში აღმოჩნდა ნაპოლეონის ზემოაღნიშნული გეგმა, რომელიც რუსეთის არმიის ალყაში მოქცევას ითვალისწინებდა. გეგმასთან ერთად პაკეტში წერილი იყო, სადაც ბერტიე ბერნადოტესაგან გეგმის შესაბამის მოქმედებას მოითხოვდა. ბაგრატიონმა გეგმა გაიცნო და სასწრაფოდ ბენიგსენს გაუგზავნა, თვითონ კი პირადი თაოსნობით ავანგარდით სასწრაფოდ უკანდახევა იწყო, რათა რუსეთის არმიის მთავარ ძალებს შეერთებოდა[92]. ბერნადოტის თავგზისასაბნევად, ბაგრატიონის ბრძანებით, რამდენიმე ადგილას კოცონი დაანთეს. პოლკოვნიკ იურკოვსკის კი უბრძანა მეორე დღეს დილით ბერნადოტის მეწინავე რაზმისათვის შეეტია და შემდეგ ავანგარდს დასწეოდა. ბაგრატიონის მოქმედებით დაბნეული ბერნადოტი საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა. ბაგრატიონის გამჭრიახობამ და სამხედრო ნიჭმა რუსეთის არმია კატასტროფას გადაარჩინა.

ბაგრატიონის ხელმძღვანელობით წარმოებული საარიერგარდო ბრძოლების შედეგად რუსეთის არმიამ სწრაფად დაიხია უკან. ნაპოლეონის გეგმა ჩაიშალა. არმიამ სამშვიდობოზე გასვლა მოასწრო[93].

ბაგრატიონმა საარიერგარდო ბრძოლის არაჩვეულებრივი ნიჭი, შორსმჭვრეტელობა და გმირობა გამოიჩინა. არიერგარდისადმი მისი ხელმძღვანელობით აღფრთოვანებული დენის დავიდოვი წერდა: „თავადმა ბაგრატიონმა შეითვისა არიერგარდის ის წესი, რომელიც 14 წლის შემდეგ ჩამოაყალიბა სამხედრო საქმის უდიდესმა მცოდნემ წმინდა ელენეს კუნძულზე (ნაპოლეონმა). ავანგარდი განუწყვეტლივ უნდა უტევდეს, არიერგარდი უნდა მოძრაობდეს. არიერგარდი მისი მეთაურობით არასოდეს არ ჩერდებოდა ერთ ადგილზე და ამასთანავე არასოდეს არ მისდევდა არმიას შეუჩერებლივ. მისი მოქმედების არსი გამოიხატებოდა ერთ მთლიან უკან დახევით გადანაცვლებაში — ერთი თავდაცვითი პოზიციიდან მეორეზე, ისე, რომ არ ებმებოდა საერთო ბრძოლაში, მაგრამ, ამასთან ერთად, ხშირი კონტრშეტევებით ინარჩუნებდა მრისხანე და მძლავრი ძალის ელფერს, კონტრშეტევებით, რომელთაც ის არტილერიის ძლიერი და თითქმის მთლიანი მოქმედებით ამაგრებდა"[94].

ბაგრატიონი ყოველთვის დიდი გამჭრიახობითა და წინდახედულებით წარმართავდა ავანგარდისა და არიერგარდის ბრძოლებს. იგი ყოველთვის გამარჯვებული ტოვებდა ბრძოლის ველს და გაჭირვებისა და დამარცხებისაგან იხსნიდა მთელ არმიას. ასე მოხდა 1807 წლის

---

[92] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

[93] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

[94] Д. Давыдов, Военные записки, М., 1940, с. 79.

იანვრის ბოლო დღეებშიც. ბენიგსენი არმიით უკან იხევდა. საარიერგარდო ბრძოლას ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. 25 იანვარს ბაგრატიონის არიერგარდს დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა ქ. გოფთან. მეორე დღეს არმია ქ. პრეისიშ-ეილაუსაკენ წავიდა, სადაც ბენიგსენი ფრანგებთან გენერალური ბრძოლის გამართვას აპირებდა. ფრანგების არმია გოფიდან უკან დაედევნა რუსებს. ბაგრატიონს არიერგარდით უნდა შეეჩერებინა ნაპოლეონის არმია, მანამ ბენიგსენი დანიშნულ ადგილს მიაღწევდა და საბრძოლო პოზიციებს დაიკავებდა. ბაგრატიონის არიერგარდს მძიმე და თითქმის მიუღწეველი ამოცანა ეკისრა. მის სამად გაყოფილ არიერგარდს უნდა დაეცვა ბენიგსენის არმია, რომელიც სამ კოლონად იხევდა უკან.

ბაგრატიონმა კარგად იცოდა როგორი გამოუვალი მდგომარეობის წინაშე იდგა არიერგარდი, მაგრამ ოდნავადაც არ შეშინებულა და არც ნერვიულობდა, ყოველ შემთხვევაში, ნერვიულობა არ ეტყობოდა, როგორც შემდეგ სახელგანთქმული დენის დავიდოვი აღნიშნავდა: „ბაგრატიონი დინჯად კარნახობდა ბრძანებას არიერგარდისადმი, — ჩვენ ყველანი იატაკზე ვიწექით და, თუმცა არც ერთ ჩვენგანს ოთხი დღე-ღამის განმავლობაში თვალი არ მოუხუპავს, მე ვერც ერთ მძინარეს ვერ ვხედავდი. ჩვენი უძილობისა და შეშფოთების მიზეზი ის იყო, რომ ვიცოდით მოწინააღმდეგის მთელი არმია უკვე მოადგა გოფის სიმაღლეებს. მისი მთავარი მასა რამდენიმე საჟენით იყო დაშორებული ჩვენი სუსტი, თავის ანაბარა მიტოვებული არიერგარდის მოწინავე ხაზიდან, ამასთან ერთად მოწინააღმდეგეს... ადვილად შეეძლო მიესწრო ჩვენთვის პრეისიშ-ეილაუში, ან მოეჭრა იქით მიმავალი გზა. ღამით რამდენიმე გენერალმა, მათ შორის გრაფმა ოსტერმანმა და თავადმა გოლიცინმა, შეიარეს ბაგრატიონთან და თანაგრძნობას უცხადებდნენ მისი ხვედრის გამო. მაგრამ თავადი (ბაგრატიონი) არათუ უხერხულად გრძნობდა თავს, არამედ ჩვეულებრივზე მეტად ხუმრობდა, რასაც ყოველთვის უდიდესი განსაცდელის წუთებში აკეთებდა“[95].

ბაგრატიონმა გაითვალისწინა თუ რომელი მხრიდან გადმოვიდოდნენ ფრანგები შეტევაზე და, შესაბამისად, მარკოვი და ბაგოვუტი თავიანთი შენაერთებით პრეისიშ-ეილაუს ახლოს განალაგა, ბარკლაი დეტოლი კი მის განკარგულებაში მყოფი ძალებით ქალაქში გამაგრდა. არიერგარდმა დროულად მოასწრო საბრძოლო პოზიციების დაკავება და მზად იყო წინ აღსდგომოდა ფრანგთა შემოტევას. ფრანგების ავანგარდს ცნობილი მიურატი ხელმძღვანელობდა, რომელიც პირველი

---

[95] Д. Давыдов, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

გადმოვიდა შეტევაზე. არიერგარდის კონტრშეტევამ მიურატის ძალები უკუაგდო. ფრანგთა უკუგდებულ ავანგარდს ოჟეროსა და სულტას კორპუსებმა მოუსწრეს. ბაგრატიონის არიერგარდი თავდაუღწეველი საფრთხის წინაშე იდგა. ფრანგთა ავანგარდი მიურატის წინამძღოლობით კვლავ პირდაპირ უტევდა რუსებს, ოჟეროსა და სულტას კორპუსებს კი, წინასწარი გეგმით, გვერდებიდან უნდა შემოევლოთ ავანგარდისათვის და ალყაში მოექციათ იგი... ბაგრატიონმა წინ გაიხედა და დაინახა, რომ ფრანგების უზარმაზარი კოლონა მწყობრად, თოფმომარჯვებული, უხმოდ მოდიოდა რუსებისაკენ. მან უბრძანა ორ პოლკს, ასევე წყნარი მწყობრითა და ხიშტით შეხვედროდნენ მას. შემაძრწუნებელი სანახაობა იყო: მებრძოლთა ორი მასა, შეშლილი და გაბოროტებული სახეებით, დაჭიმული კუნთებით, მწყობრი ნაბიჯით, ჩუმად უახლოვდებოდა ერთმანეთს. წუთები საათებად გრძელდებოდა. რამდენიმე მეტრი და... შეიძრა, აბობოქრდა ორივე მასა, მამაცთა კოლონები აირივნენ ერთმანეთში, ატყდა ყიჟინა და ჩახაჩუხი. ფრანგებმა ამ კონტრიერიშსაც ვერ გაუძლეს[96].

ფრანგებმა არამცთუ ვერ გასტეხეს ბაგრატიონის არიერგარდის ძლიერება, არამედ კონტრიერიშსაც ვერ გაუძლეს და შესაძლებელი იყო რუსთა დროებით შეტევაზე გადასვლაც. ბრძოლის ველზე ნაპოლეონი გამოჩნდა, რომელმაც ბრძანა ბაგრატიონის წინააღმდეგ მთელი ძალებით კვლავ იერიშზე გადასვლა[97]. ბაგრატიონმა იცოდა, რომ რუსეთის არმიას საკმაო მანძილი ექნებოდა გავლილი და აუცილებელი აღარ იყო კვლავ უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმა. მან უკანდახევა იწყო. ნაპოლეონმა რუსთა არიერგარდის განადგურება დაისახა მიზნად, მაგრამ, ქართველი გენერლის მითითებით, ბარკლაი დე-ტოლის შენაერთის გმირული ბრძოლის შედეგად, არიერგარდმა განაგრძო უკანდახევა და ქალაქიდან ყოველგვარი პანიკისა და არევ-დარევის გარეშე გავიდა. პრეისიშ-ეილაუ ფრანგებმა დაიკავეს. ნაპოლეონმა მცირეოდენ გამარჯვებას მიაღწია პრეისიშ-ეილაუს აღებით, მაგრამ იგი ხანმოკლე აღმოჩნდა. ქალაქიდან გასვლისთანავე, რუსეთის არმიის მთავარსარდალმა ბენიგსენმა ბაგრატიონს მეოთხე დივიზია ჩააბარა და დატოვებული ქალაქის დაბრუნება დაავალა.

ბაგრატიონმა დივიზია სამ კოლონად დაჰყო და ხმალამოღებული წინ გაუძღვა ქალაქისაკენ. ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, ბაგრატიონი მოუბრუნდა მებრძოლებს: „აბა, ღვთით, ბიჭებო, ურა“! სახელმოხვეჭილი საყვარელი მხედართმთავრის მიმართვით გამხნევებული

---

[96] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

[97] იქვე.

ჯარისკაცები გამაყრუებელი ერთიანი შეძახილით, ხიშტებმომარჯვებულნი სწრაფად შეიჭრნენ ქალაქში. სულ ცოტა დრო და ქალაქი ბაგრატიონის დივიზიამ დაიკავა. ქალაქიდან ფრანგთა განდევნით უკმაყოფილო ნაპოლეონმა 26 იანვარს დილით რუსეთის 70-ათასიანი არმიის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო.

მოწინააღმდეგის სიძულვილით გაჟღენთილი რუსი მებრძოლები და მათი საყვარელი გენერალ-ლეიტენანტი ბაგრატიონი ფრანგების წინააღმდეგ კონტრშეტევას მოითხოვდნენ. რუსთა პოზიციები შედარებით უკეთესი იყო, მაგრამ მთავარსარდალმა ბენიგსენმა ვერ გაბედა კონტრშეტევა და კენიგსბერგისაკენ უკანდახევა გადაწყვიტა[98]. უკანდახევისას კვლავ ბაგრატიონის არიერგარდი ებრძოდა მტერს[99]. 27 იანვრისათვის ორივე მოწინააღმდეგე გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ბრძოლის ველთან ახლოს დაბანაკებული იყო რუსეთის არმიის 132 ბატალიონი და 145 ესკადრონი, რომელთა საერთო რაოდენობა 58 ათას კაცს შეადგენდა. მათ შეიარაღებაში შედიოდა 250 ზარბაზანი[100].

ფრანგებს პრეისიშ-ეილაუს დაკავების შემდეგ უკეთესი საბრძოლო პოზიციები ეკავათ და იოლად შეეძლოთ რუსეთის არმიის განლაგებისა და გადაადგილებისათვის თვალყურის დევნება. ფრანგების არმია 80 ათასამდე მებრძოლს ითვლიდა. ბრძოლა დილიდანვე დაიწყო და 15 საათს გასტანა. სისხლისმღვრელ შეტაკებაში ორივე მხარე თავდადებულად იბრძოდა. ნაპოლეონის ჯარბმა ძალებმა უპირატესობას ვერ მიაღწიეს. ფრანგებმა დიდი ზარალი ნახეს და თანაც არმია გადაიქანცა გაუთავებელი ბრძოლისაგან. ამას დაერთო სურსათის უქონლობით გამოწვეული შიმშილი. ნაპოლეონის არმიას წინააღმდეგობის გაწევა უჭირდა. პრეისიშ-ეილაუს ბრძოლების აქტიური მონაწილე დენის დავიდოვის სიტყვით „საფრანგეთის არმია ანძებმომტვრეული და დაფლეთილაფრიანი დახვრეტილი სამხედრო გემივით ჯერ კიდევ მრისხანედ ლივლივებდა, თუმცა უნარი აღარ შესწევდა უკვე, რათა ერთი ნაბიჯი გადაედგა წინ არამცთუ საბრძოლველად, არამედ დასადევნებლადაც კი“[101]. ერთი სიტყვით, რუსეთის არმიის გამარჯვება ახლოს იყო, მაგრამ მთავარსარდლის შეცდომამ იგი მალე დამარცხებით შეცვალა. ბენიგსენს რომ გაერთიანებული ძალებით

---

[98] Русский биографический словарь, т. II, с. 396.

[99] იქვე.

[100] М. Богданович, История царствования Императора Александра первого и Россия в его время, т. II, СПБ., 1869, с. 205.

[101] Д. Давыдов, Военные записки, М., 1940, с. 105.

არმია შეტევაზე გადაეყვანა, ფრანგები დამარცხდებოდნენ[102]. ასეთ ვითარებაში მთავარსარდალმა კენიგსბერგისაკენ დახევა გადაწყვიტა. პრეისიშ-ეილაუსთან 15-საათიან ბრძოლაში რუსეთის არმიამ დაჰკარგა 8 ათასი მოკლულთა და 18 ათასი დაჭრილთა სახით. მოკლულ იქნა და ჭრილობისაგან გარდაიცვალა 9 გენერალი[103]. ნაპოლეონის სიტყვით, ფრანგებმა 18 ათასი კაცი დაჰკარგეს, სინამდვილეში კი მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობა 25 ათასს აღწევდა[104]. ბრძოლაში დაიღუპა შვიდი ფრანგი გენერალი. ბენიგსენის 58-ათასიანი არმიიდან მხოლოდ 30 ათასი დარჩა მწყობრში, გარდა ამისა მათ გვერდით იყვნენ პრუსიელთა 20 ათასი მებრძოლი და 6 ათასი კაზაკი[105].

საღამოს 10 საათზე ბენიგსენმა დივიზიის მეთაურებს მოუხმო და გამოუცხადა კენიგსბერგისაკენ დახევა. არიერგარდის უფროსად ბაგრატიონი დაინიშნა, რომელიც არმიას გაჰყვებოდა უკანდახევისას და თან ბრძოლით უზრუნველჰყოფდა არმიის დაცვას მტრის თავდასხმისაგან[106]. ბენიგსენის ბრძანებით არმიამ უკანდახევა დაიწყო. ნაპოლეონი ადგილიდან არ იძვროდა. ბრძოლის ველზე ერთი კვირა დარჩა, რათა დამარცხებულად არავის ჩაეთვალა მისი არმია. ერთი კვირის შემდეგ ნაპოლეონმა პრეისიშ-ეილაუ დატოვა. იქ წარმოებულმა ბრძოლებმა მას ხასიათი გაუფუჭა და დიდხანს აღარ უფიქრია მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორებაზე. პარიზში უკმაყოფილონი იყვნენ ნაპოლეონის არმიის უშედეგო ბრძოლით. ბენიგსენი რამდენიმე დღეს დარჩა არმიით კენიგსბერგთან და 13 თებერვალს ლანსბერგში გადავიდა. მტრისაგან უკვე მოცილებით მდგარი მხედართმთავარი ბრძოლის ველიდან კენიგსბერგისაკენ დახევის შესახებ ამბობდა: „დაე, ყველა გამოცდილმა მხედართმთავარმა აღიაროს, რომ ჩემთვის უკეთესი იყო კენიგსბერგისაკენ წასვლა, რათა დაჭრილები შემეფარებინა, შემეკეთებინა არტილერია, შემევსო ჭურვების მარაგი და იქაური პოზიციები გამემაგრებინა, ნაპოლეონი კი დამეტოვებინა უკაცრიელ ადგილას — პრეისიშ-ეილაუსთან, სადაც მას არ ჰქონდა არც სურსათი, არც დაჭრილთა თავშესაფარი და არც არტილერიის შეკეთების საშუალება“[107].

ბენიგსენი მალე მიხვდა თავის შეცდომას, ღონემიხდილ ნაპოლე-

---

[102] Русский биографический словарь, т. II, с. 707.

[103] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

[104] იქვე, გვ. 220.

[105] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

[106] Русский биографический словарь, т. II, с. 396.

[107] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

ონის არმიას არ უნდა გაქცეოდა და ამიტომ დაიწყო თავისი მოქმედების გამართლება. მოგვიანებით, 1813 წელს ბენიგსენის ხსენებული უკანდახევის შესახებ ბერნადოტს რუს ოფიცრებთან უთქვამს: „ნაპოლეონისათვის არასდროს ისე არ გაუღიმია ბედს, როგორც ეილაუსთან. ბენიგსენს რომ საღამოს დაერტყა, ის ხელში ჩაიგდებდა სულ ცოტა 150 ზარბაზანს, რომელთა ცხენები დახოცილი იყო“[108]. თვითონ ნაპოლეონმა კი 1809 წელს, ასპერნთან ბრძოლის შემდეგ, როტმისტრ ჩერნიშოვს უთხრა: „ეილაუსთან მე გამარჯვებული ვიყავი მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ გსურდათ უკანდახევა“[109]. აპრილის დასაწყისში ალექსანდრე პირველი არმიის სანახავად წავიდა და 5 აპრილს ბარტენშტეინში ჩავიდა, სადაც არმიის მთავარი ბინა მოინახულა. იმპერატორი ბენიგსენს დიდი კმაყოფილებით შეხვდა და დამოუკიდებელი მოქმედების უფლება მისცა.

მალე ალექსანდრე პირველმა ბენიგსენი წმინდა ანდრეი პირველწოდებულის ორდენით დააჯილდოვა და 12000 მან. პენსია დაუნიშნა[110]. მიუხედავად იმპერატორის ესოდენ დიდი კმაყოფილებისა, პრეისიშ-ეილაუს ბრძოლების შემდეგ არმიის უკანდახევით პეტერბურგში ყველანი უკმაყოფილონი იყვნენ.

ბენიგსენმა იცოდა, რომ პეტერბურგში ყველა გავლენიანი პირი დიდ პატივს სცემდა ბაგრატიონს, რომლის აზრსა და სიტყვას დიდი გავლენა ჰქონდა მოწინავე საზოგადოებაზე და 1807 წლის თებერვალში იგი პეტერბურგში გააგზავნა. ბენიგსენის აზრით, დედაქალაქში ქართველ გენერალს თავისი ავტორიტეტული აზრითა და სიტყვით არმიის უკანდახევა უნდა გაემართლებინა და თანაც იმპერატორისათვის არმიის გასაძლიერებლად ახალი ძალები უნდა ეთხოვა[111]. პეტერბურგში ბაგრატიონი კვლავ სასახლის სანაპიროზე, გაგარინის სახლში დაბინავდა. აქ ორ კვირას დარჩა მხოლოდ. ამ ხნის განმავლობაში იგი ისე იყო საქმეებით დატვირთული, რომ თავისუფალი დრო არ ჰქონდა. ბაგრატიონის პეტერბურგში დაბრუნება ყველამ შეიტყო, ყველას სურვილი ჰქონდა მასთან შეხვედრისა და სინამდვილის გაგების.

მალე ზამთრის სასახლეში მიიწვიეს, სადაც, ბენიგსენის დავალებით, პრეისიშ-ეილაუს ბრძოლების შესახებ უნდა მოეხსენებინა[112]. საღამოობით ხელმწიფის სასახლეში პატიჟებდნენ ვახშამზე. ხშირად კი, როცა ოდნავ მოიცლიდა, დიდებულები ეპატიჟებოდნენ, რათა პა-

---

[108] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

[109] იქვე.

[110] Русский биографический словарь, т. II, с. 707.

[111] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

[112] იქვე.

ტივი ეცათ სახელგანთქმული მხედართმთავრისათვის და თანაც ზუსტად შეეტყოთ საომარი მოქმედების შესახებ. ორი კვირის მანძილზე ბაგრატიონმა თავის ეგერთა პოლკსაც მიხედა. პოლკი საომარი მოქმედებისათვის ემზადებოდა, ბაგრატიონმა მისი ბრძოლისუნარიანობა და მომზადება შეამოწმა. თებერვლის შუა რიცხვებში პოლკი პეტერბურგიდან საომარი მოქმედების ადგილისაკენ დაიძრა. თებერვლის ბოლოს ბაგრატიონმა დატოვა დედაქალაქი და მოქმედ არმიაში დაბრუნდა.

ნაპოლეონი კვლავ საბრძოლველად ამზადებდა არმიას. მისი აზრით, საჭირო იყო ზამთარი მებრძოლებთან გაეტარებინა, პირადად ყოფილიყო საქმის კურსში და შთაენერგა მათთვის, რომ აუცილებელი იყო რუსებზე გამარჯვება. მდიდრულ ცხოვრებას შეჩვეულს, აქ ცუდ პირობებში მოუხდა ყოფნა. ნაპოლეონი წერდა: „15 დღის განმავლობაში არც ერთხელ არ გამიხდია ჩექმა... ჩვენ — თოვლსა და ტალახს შორის ვართ უღვინოდ, უარყოდ, უპუროდ, კარტოფილსა და ხორცს ვჭამთ...“[113]. რუსეთის არმია გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. საკმაო შესვენების შემდეგ, 1807 წლის მაისის მეორე ნახევარში, რუსეთის ჯარმა ფრანგთა წინააღმდეგ იერიში დაიწყო.

24—25 მაისს ბაგრატიონის ავანგარდი საკმაო წარმატებით გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა. 27 მაისს ფრანგებმა 125-ათასიანი 6 კორპუსით ძლიერი შეტევა დაიწყეს. რუსეთის არმიამ უკანდახევა იწყო.

ბაგრატიონი არიერგარდს ჩაუდგა სათავეში და არმიის ფრიდლანდისაკენ დახევას უზრუნველყოფდა. მან საუკეთესოდ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, არმიის უკანდახევა უზრუნველყო. მაგრამ ბენიგსენის არასწორმა მოქმედებამ საქმე დაღუპვისაკენ წაიყვანა. 2 ივნისს გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ფრიდლანდთან, სადაც უკანდახეული ბენიგსენის არმია იდგა. ბრძოლის დაწყებისას რუსეთის ჯარს უკეთესი პოზიცია ეკავა და რიცხობრივადაც მეტი იყო[114]. 25-ათასიანი არმიის წინააღმდეგ 12 ათასი ფრანგი იბრძოდა[115]. ბენიგსენმა ვერ გაართვა თავი თავის მოვალეობას, ვერ ისარგებლა ზემოაღნიშნული უპირატესობით და 5 საათისათვის ფრანგებს დამხმარე ძალებმა მოუსწრეს, მათი რიცხვი უკვე 80 ათასამდე გაიზარდა[116]. რუსმა ჯარისკაცებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი გმირობა,

[113] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

[114] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

[115] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[116] იქვე.

შათ თავისი მოქმედებით პირად მაგალითს უჩვენებდა ბაგრატიონი. ბაგრატიონი ფრიდლანდის ბრძოლების ნამდვილი გმირი იყო. იგი 16 საათის განმავლობაში შეუსვენებლად იბრძოდა, არც ერთი წუთით ბრძოლის ველი არ დაუტოვებია[117].

ფრანგების შემოტევისაგან გულგატეხილმა და შეშინებულმა ბენიგსენმა მაიორ შიოპინგს წერილი გაატანა ბაგრატიონთან. წერილში მთავარსარდალი ბაგრატიონს სთხოვდა ფრანგებისათვის დროებითი ზავის შეთავაზებას, მანამ სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყებოდა[118]. ბენისგსენის ასეთი დავალების მიუხედავად, ბაგრატიონი განაგრძობდა თავისი არიერგარდით ბრძოლას[119]. ბენიგსენის მიერ დაშვებულმა შეცდომამ რუსეთის არმია დამარცხებამდე მიიყვანა. ფრანგებმა გამარჯვება იზეიმეს.

ფრიდლანდთან დამარცხების შემდეგ, ბენიგსენის არმიამ ტილზიტისაკენ დაიხია. უკანდახევას კვლავ ბაგრატიონის შენაერთი ფარავდა[120]. პეტერბურგში მალე შეიტყვეს არმიის დამარცხება. მოქმედ არმიაში მყოფმა თავადმა ა. კურაკინმა იმპერატრიცა მარია თედორეს ასულს წერილი გაუგზავნა 1807 წლის ივნისში, სადაც აღნიშნავდა ბენიგსენის უნიჭობასა და შეუფერებელ მოქმედებას. იგი წერდა: „ყველა ერთხმად ადანაშაულებს ბენიგსენს, რომ მან წააგო ბრძოლა ფრიდლანდთან და დაღუპა საუკეთესო ჯარი თავისი უხეირო განკარგულებებით“[121]. პეტერბურგში ხმები გავრცელდა იმპერატორსა და მის ძმას — კონსტანტინეს შორის მომხდარ შელაპარაკებაზე. კონსტანტინე კატეგორიულად მოითხოვდა იმპერატორისაგან საფრანგეთთან დაუყოვნებლივ ზავის დადებას და დასძენდა, რომ ომის გაგრძელება ნიშნავდა ყოველი ჯარისკაცისა და ოფიცრისათვის სათითაოდ პისტოლეტი მიეცათ და თავის მოკვლა ებრძანებინათ. იმპერატორისა და მისი ძმის ეს შელაპარაკება ყველამ გაიგო დედაქალაქში.

პრეისიშ-ეილაუს ბრძოლებისა და ფრიდლანდთან დამარცხების შედეგად რუსეთის არმიის ფიზიკური და მატერიალური შესაძლებლობანი ძალზე შემცირდა. ალექსანდრე პირველი იძულებული გახდა დაედო ტილზიტის ზავი. ფრანგებთან საზავო მოლაპარაკება იმპერატორმა თავად ლობანოვს დაავალა[122]. 1807 წლის 27 ივნისს ტილზიტში ზავი დაიდო[123]. ზავის დადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ

---

[117] Русский биографический словарь, т. II, с. 396.
[118] Д. Давыдов, Военные записки, с. 116—117.
[119] იქვე, გვ. 119.
[120] იქვე, გვ. 105.
[121] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.
[122] იქვე, გვ. 128.
[123] Д. Давыдов, Военные записки, с. 136.

ბაგრატიონის ავანგარდი დაიშალა. ქართველმა გენერალმა არმია დატოვა და პეტერბურგისაკენ გაეშურა[124]. იგი გულწრფელი სიყვარულით გააცილა არმიის მთელმა შემადგენლობამ, განსაკუთრებით ახლობლებმა. გენერალი ერმოლოვი, რომელიც დიდხანს ბაგრატიონის შენაერთებში მსახურობდა, წერდა: „ყველანი, ვინც კი ვმსახურობდით მისი მეთაურობით, საყვარელ უფროსს ვაცილებდით გულწრფელი ერთგულების გრძნობით. მისი ნიჭისა და გამოცდილების აბსოლუტური რწმენის გარდა, ყველა ვგრძნობდით განსხვავებას ბაგრატიონსა და სხვა გენერლებს შორის ჩვენდამი მოპყრობაში. რა თქმა უნდა, ვერავინ შეგვახსენებდა მასზე ნაკლებად იმას, რომ ის უფროსი იყო და არავის შეეძლო უფრო მეტად აეძულებინა თანამებრძოლები, რომ ეს ხსომებოდათ. ჯარისკაცებს ის მეტისმეტად უყვარდათ“[125].

1807 წლის ივლისში ბრძოლებგადახდილი ეგერთა ლეიბ-გვარდიული პოლკიც დაბრუნდა პეტერბურგში, პოლკი პირველად გატჩინაში დაბინავდა, ნოემბერში კი პეტერბურგში გადავიდა, საზამთრო ბინებში. ბრძოლებგადახდილი პოლკის მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. ბაგრატიონს დიდი დრო და შრომა დასჭირდა თავისი საყვარელი პოლკის წესრიგში მოსაყვანად.

1807 წლის სექტემბერში ბაგრატიონის ხელმძღვანელობით პოლკის რეორგანიზაცია მოხდა. ახალი შტატით პოლკს ერთი ბატალიონი დაემატა, ამიერიდან პოლკი სამი ბატალიონისაგან შედგებოდა. ბაგრატიონი დიდ ყურადღებას უთმობდა შევსებული პოლკის სამწყობრო მეცადინეობასა და საბრძოლო სწავლებას. საქმეებით გადატვირთულმა ბაგრატიონმა 1807 წლის მეორე ნახევარი პეტერბურგში გაატარა, ხშირად კი მეფის ქალაქგარეთა აგარაკებზე იმყოფებოდა.

პეტერბურგში ბაგრატიონი კვლავ სასახლის სანაპიროზე, გაგარინის სახლში დაბინავდა. მეტ დროს თავისი პოლკის საქმეებს ანდომებდა, მით უმეტეს, რომ ხელქვეითებთან ყოფნა მას ყველაფერს ერჩია. მისი მეუღლე ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია-ბაგრატიონი ისევ ვენაში ცხოვრობდა და პეტერბურგში მეუღლესთან დაბრუნებაზე სრულიადაც არ ფიქრობდა. მიუხედავად იმისა, რომ პეტრე ივანეს ძემ მომავალი მეუღლე შემთხვევით გაიცნო, უფრო სწორად ეკატერინე პავლეს ასულმა გაიცნო ძალით და მათი ქორწინება იმპერატორ პავლე პირველის ნებით მოხდა, სახელმოხვეჭილ მხედართმთავარს ისე შეუყვარდა იგი, რომ წლების მანძილზე მისი

[124] Д. Давыдов, Военные записки, с. 136.
[125] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

ფუქსავატური საქციელის შესახებ ვენიდან მოსული მითქმა-მოთქმის შიუხედავად ვერ დაივიწყა.

ბაგრატიონმა ბევრჯერ სთხოვა მეუღლეს პეტერბურგში გადმოსულიყო და ოჯახს დაბრუნებოდა, მაგრამ ეკატერინე პავლეს ასულმა არც ერთხელ ყურად არ იღო მისი თხოვნა. მიზეზად თავის ავადმყოფობას ასახელებდა და დასძენდა, რომ ვენაში ყოფნა აუცილებელი იყო მისი ჯანმრთელობისათვის [126]. ბოლოს, ბაგრატიონმა ვენაში რუსეთის ელჩს, თავად ა. კურაკინს სთხოვა როგორმე ზეგავლენა მოეხდინა ეკატერინე პავლეს ასულზე, მაგრამ ვერც ამ გზით მიაღწია მეუღლის ოჯახში დაბრუნებას.

1807 წლის შემოდგომა ბაგრატიონმა მეტწილად პავლოვსკში გაატარა, სადაც შეძენილი სახლის გადაკეთებას შეუდგა [127].

ტილზიტის სამარცხვინო ზავის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ომის დაწყება გადაწყვიტა შვედეთის წინააღმდეგ, რათა იმპერიის ტერიტორია გაეფართოვებინა შვედეთის შემადგენლობაში შემავალი ფინეთის ხარჯზე [128]. 1808 წლის იანვრის ბოლოს იმ დივიზიას, რომლის შემადგენლობაშიც ბაგრატიონის ეგერთა ლეიბ-გვარდიული პოლკი შედიოდა, ომისათვის მზადება ებრძანა. პოლკის შემადგენლობის დათვალიერების შემდეგ ბაგრატიონმა იარაღის შემოწმება დაიწყო. აღმოჩნდა, რომ 366 შტუცერიდან 45 უვარგისი იყო, 2118 თოფიდან — 430 გამოუსადეგარი და შესაცვლელი. პოლკის საზიდრებიც არ იყო სახარბიელო მდგომარეობაში. ერთი სიტყვით, პოლკის შეიარაღება და სამეურნეო დარგის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა დიდ ხარჯებსა და სამუშაოებს მოითხოვდა. ქართველი გენერალი დიდი მონდომებით შეუდგა ზემოხსენებული ხარვეზების გამოსწორებას, მაგრემ ვერ მოასწრო მისი დამთავრება. ბაგრატიონი შვედების წინააღმდეგ საომარი მოქმედების ადგილისაკენ გაემგზავრა.

პოლკი გრაფ სენ-პრიმ ჩაიბარა. ბაგრატიონს გაჰყვნენ ადიუტანტ-კაპიტანი ა. ოფროსიმოვი, პოდპორუჩიკი თავადი ა. ბაგრატიონი (პეტრე ბაგრატიონის შორეული ნათესავი) და აუდიტორი ტვერიტინოვი [129].

1805—1807 წლების ბრძოლებში რუსეთის არმიის დამარცხებით ამედგაცრუებული და უკმაყოფილო პეტერბურგის მოწინავე საზოგადოება კვლავ მტრულად შეხვდა საომარი მოქმედების დაწყებას შვედეთის წინააღმდეგ, მართალია, რუსეთის მიზანიც ტერიტორიის

---

[126] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

[127] იქვე.

[128] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[129] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

გაფართოება და ფინეთის ყურის ხელში ჩაგდება იყო, მაგრამ იგი საფრანგეთის ინტერესებსაც ემსახურებოდა. ნაპოლეონი, მართლაც, დაინტერესებული იყო ამ ომით, ვინაიდან იგი ორივე ურთიერთმოქიშპე იმპერიას დააახლოვებდა და თანაც, რაც ყველაზე მთავარი იყო, რუსეთსა და ინგლისს შორის მტრობა ჩამოვარდებოდა. ნაპოლეონს ინგლისთან კავშირისათვის შვედეთის დასჭა უნდოდა. ალექსანდრე პირველს ეშინოდა ნაპოლეონისა და მისი წადილის წინააღმდეგ წასვლა არ უნდოდა[130]. ნაპოლეონისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ალექსანდრე პირველის ომი შვედეთის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთსა და ინგლისს შორის მტრობას ჩამოაგდებდა[131]. პეტერბურგში კარგად იცოდნენ მომავალი ომის მიზნები და ითვალისწინებდნენ მის შედეგებსაც, ამიტომ საზოგადოების მეტი ნაწილი და ჯანსაღად მოაზროვნე სამეფო კარისა და სამინისტროების წარმომადგენლები ალექსანდრე პირველის წინააღმდეგ განწყვნენ. წინა წლებში რუსეთის არმიის დამარცხებასაც იმპერატორის არასწორ მოქმედებებს აწერდნენ. შვედებთან საომარი მოქმედების დაწყებაშიც ალექსანდრე პირველს ადანაშაულებდნენ.

პეტერბურგში იმდენად აშკარად გავრცელდა მთავრობის საწინააღმდეგო მითქმა-მოთქმა, რომ ერთ ხანს დედაქალაქში სასახლის გადატრიალებაზეც ალაპარაკდნენ, იმპერატორის გვერდით მისი ძმა კონსტანტინე იდგა, რომლის საკმაო შიში და მორიდება ჰქონდათ როგორც კარის გავლენიან პირებს, ასევე პეტერბურგის ზედაფენის წარმომადგენლებს. იმპერატორმა იცოდა საზოგადოების აზრი შვედეთთან ომის შესახებ და საომარი მოქმედების დაწყებას ოფიციალურად არ აცხადებდა. შვედების წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება პეტერბურგში, 40 დღის დაგვიანებით, მარტის მეორე ნახევრის შუა რიცხვებში გამოაცხადეს, როცა რუსეთის არმიის გამარჯვება უკვე გადაწყვეტილი იყო.

შვედებთან ომის დაწყებისთანავე, ბაგრატიონი მოქმედი არმიის რიგებშია.

1808 წლის 9 თებერვალს რუსეთის არმიამ, გენ. ბუქსგევდენის მთავარსარდლობით, შეტევა დაიწყო შვედეთის წინააღმდეგ. არმია სამი — მეხუთე, მეჩვიდმეტე და ოცდამეერთე დივიზიისაგან შედგებოდა. მეხუთე დივიზიას მეთაურობდა გენ.-ლეიტ. ტუჩკოვი პირველი, მეჩვიდმეტეს — გენ.-ლეიტ. თავადი გორჩაკოვი პირველი, რომელიც მალე გენ.-ლეიტ. გრაფმა კამენსკიმ შეცვალა, ხოლო ოცდამეერთეს —

---

[130] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

[131] М. Богданович, დახახ. ნაშრომი, გვ. 306.

ვენ.-ლეიტ. ბაგრატიონი [132]. ბაგრატიონის დივიზია ცენტრალური მიმართულებით უტევდა ბოტნიის ყურისაკენ [133]. შვედეთის 50-ათასიანი არმიიდან მხოლოდ 20 ათასი იდგა ფინეთში, ისიც გაფანტული იყო სხვადასხვა ადგილას [134].

ჩრდილოეთის ცივი და ქარბუქიანი დღეები იყო. ჯარს ძნელ პირობებში უხდებოდა წინსვლა. ყინული ბევრგან თხელი, გადასასვლელად სუსტი იყო, ზოგან ქარბუქს ყინულის ბზარები თოვლით ამოევსო, მასზე გადასვლა გარდაუვალ დაღუპვასთან იყო დაკავშირებული. ბაგრატიონს ასეთ ძნელსა და რთულ პირობებში საომარი მოქმედების წარმართვა პირველად უხდებოდა. ამასთანავე იგი ხელმძღვანელობდა ცალკე დივიზიას, ცენტრალური მიმართულებით უტევდა დამოუკიდებლად და გამოდიოდა, როგორც ცენტრალური ფრონტის მხედართმთავარი. ბაგრატიონს ასეთ პირობებში გამარჯვების მიღწევაში დიდი დახმარება გაუწია სუვოროვის ხელმძღვანელობით ალპების ლაშქრობაში მიღებულმა გამოცდილებამ. მისი დივიზია შეუნელებლივ უტევდა მტერს და წინ მიიწევდა. ომის დაწყების დღიდან მეთოთხმეტე დღეს — 23 თებერვალს—ბაგრატიონმა სამხრეთ ფინეთში ქალაქი ტავასტჰუსი დაიკავა. მან 1600 კაციანი ნაწილი გააგზავნა ქ. აბოს ასაღებად, რაც მალე შესრულებულ იქნა კიდეც. 1 მარტს ქ. ტამერფორსი აიღო [135] და განაგრძო მტრის დევნა. დივიზიამ ჭართველი გენერლის მეთაურობით არგაგონილი გმირობა გამოიჩინა. 8 დღის განმავლობაში თოვლითა და ყინულით დაფარულ გზებზე 200 კმ [136] გაიარა ბრძოლით და ბიერნებორგში შევიდა. ბაგრატიონს შვედეთის არმიის განადგურება უნდოდა. ამ მიზნით მტრის დადევნება ჰქონდა გეგმაში, მაგრამ მთავარსარდალმა — ინფანტერიის გენერალმა ბუქსგევდენმა — ნება არ დართო. მთავარსარდლის შეცდომის შედეგად შვედების არმიის ძირითადი შემადგენლობა გადარჩა განადგურებას.

მიუხედავად ბუქსგევდენის არასწორი მითითებისა, რომლის წყალობითაც შვედეთის არმია კვლავ სერიოზულ ძალად დარჩა, რუსეთის არმიას, კერძოდ ბაგრატიონისა და კამენსკის დივიზიებს, ბოტნიის ყურის ჩათვლით, მთელი სამხრეთ ფინეთის ტერიტორია ჰქონდათ დაკავებული.

პეტერბურგის მთავრობა უფრო მეტსა და დიდ გამარჯვებას მოე-

---

[132] Д. Давыдов, Военные записки, с. 139.
[133] შ. მგელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.
[134] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 339.
[135] Русский биографический словарь, т. II, с. 396.
[136] Д. Давыдов, Военные записки, с. 142.

ლოდა ბუქსგევდენისაგან. ამასთანავე იმპერატორზე სამეფო კარის დიდებულებიც ახდენდნენ ზეგავლენას მთავარსარდლის ავტორიტეტის საზიანოდ. განსაკუთრებით სამხედრო მინისტრ არაკჩეევს არ მოსწონდა ბუქსგევდენი, რომლის მაგივრადაც ალექსანდრე პირველმა გენ. კნორინგი დანიშნა. ბაგრატიონს არც ბუქსგევდენი და არც კნორინგი არ მოსწონდა, როგორც მხედართმთავრები.

პეტერბურგში სხვადასხვა ადგილებსა და საზოგადოებებში გამართულ საღამოებზე ხშირად იყო საუბარი ბაგრატიონის ვმირობასა და ბუნებით მომადლებულ სამხედრო ნიჭზე.

ხშირმა საომარმა მოქმედებამ ქართველი გენერალი გადაღალა, მიღებული ჭრილობებიც აწუხებდა. მისი ჯანმრთელობა თანდათანობით ქვეითდებოდა. 1808 წლის აპრილიდან მან მოქმედი არმია დატოვა ავადმყოფობის გამო და მხოლოდ სექტემბერში დაუბრუნდა საომარი მოქმედების ადგილს. იგი ფინეთის დასავლეთ სანაპიროს დამცველი ჯარების მეთაურად დაინიშნა და მალე სასტიკი ბრძოლების მონაწილე გახდა. შვედეთის სარდლობამ ქ. აბოს დაბრუნება გადაწყვიტა, რათა რუსეთის ჯარისათვის შვედეთის საზღვრებისაკენ წინსვლა აეკვეთა. შვედებმა დესანტი გადასხეს ქ. აბოს დასაკავებლად. 2600-კაციანმა დესანტმა პირველად წარმატებასაც მიაღწია, ქ. აბო დაიკავა და რამდენიმე კილომეტრითაც წაიწია წინ, მაგრამ ბაგრატიონმა იოლად განდევნა მოწინააღმდეგე დაკავებული ადგილიდან. მიუხედავად მარცხისა, 14 სექტემბერს კვლავ 5000 კაცი გადასხეს ქ. აბოს მიდამოებში. მეორედ გადმოსხმული დესანტის განადგურებას თვით ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. დესანტის მეტი ნაწილი განადგურებულ იქნა. შვედებმა კვლავ სცადეს დესანტის გადმოსხმა ქ. აბოსა და ახლო მდებარე ადგილების ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ყველა მათი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. შვედები იძულებულ გახდნენ მიეტოვებინათ ფინეთის ტერიტორია და თავიანთი სამშობლოს საზღვრები დაეცვათ. შვედების დესანტთა წინააღმდეგ ბაგრატიონის გმირული ბრძოლის შესახებ სექტემბრის მეორე ნახევარში „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტის“ დამატებებში გამომავალ „სამხედრო მოქმედების ჟურნალში“ აღნიშნული იყო: „შეერთებულმა რაზმმა ბაგრატიონის ხელმძღვანელობით მტერზე იერიში მიიტანა, სრულიად გაანადგურა იგი, სდია 20 ვერსის მანძილზე...“ [137]. ამჯერად შვედების დესანტს მეფის რჩეული გვარდიელები შეადგენდნენ. თვით გუსტავ-ადოლფი უყურებდა თავისი იახტიდან გვარდიელთა გადმოსხმას და დაინახა მათი სამარცხვინო გაქცევა. აღშფოთებულმა მეფემ,

[137] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

რომელიც იძულებული გახდა გვარდიელებთან ერთად გაქცეულიყო ალანდის კუნძულზე, გვარდიას ჩამოართვა დროშა და სხვა პრიეილეგიები, რომლითაც იგი სარგებლობდა.

ახლად დანიშნულ მთავარსარდალს — გენ. კნორინგს დავალებული ჰქონდა შვედებზე სწრაფი და გადამწყვეტი შეტევის დაწყება. შეტევა ალანდის კუნძულებზე გავლით სტოკჰოლმისაკენ უნდა წარმართულიყო. შეტევა სამ კორპუსს უნდა ეწარმოებინა, რომელთა მეთაურებად პ. ბაგრატიონი, პ. შუვალოვი და ბარკლაი-დე-ტოლი დაინიშნენ. დასახული გეგმით შეტევა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ბოტნიის თხელყინულიანი ყურის გადალახვა თითქმის შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში საომარი ოპერაციის წინააღმდეგ იყო არმიის ყველა გენერალი და თვით მთავარსარდალი კნორინგიც, ბარკლაი-დე-ტოლი შეუძლებლად მიიჩნევდა შეტევას სურსათისა და საბრძოლო მარაგის უკმარისობის გამოც[138]. პ. შუვალოვმა კი განაცხადა: „ასეთ პირობებში შეტევა ნიშნავს სიკვდილს". ბაგრატიონი იყო ერთადერთი, რომელსაც გეგმით გათვალისწინებული შეტევის საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს და უფროსის წინაშე განაცხადა: „ბრძანებთ — წავალთ!"[139].

ბაგრატიონს არ უყვარდა ლიტონი სიტყვები, იგი ანგარიშს უწევდა თავის სიტყვასა და აზრს, სიტყვას ყოველთვის საქმედ აქცევდა. თავისი კორპუსი სასწრაფოდ სალაშქროდ მოამზადა. იგი სტოკჰოლმისაკენ უნდა დაძრულიყო[140]. 17-ათასიანი კორპუსით ბოტნიის ყინულიანი ყურე გადალახა, რითაც რუსეთის საბრძოლო დიდებას მატიანეში ბაგრატიონის მიერ მოპოვებული კიდევ ერთი გამარჯვების ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა.

ბაგრატიონის კორპუსს წინ მიუძღოდა და გზას იკვლევდა ავანგარდი, რომელსაც კულნევი მეთაურობდა. კულნევი თავის კერპად მიიჩნევდა ბაგრატიონს, ამიტომ იყო, რომ გაუვალსა და თოვლით დაფარულ ყინულებზე გადასვლის წინ თავის მებრძოლებს მოკლედ მიმართა: „ღმერთი ჩვენთანაა! მე თქვენს წინაშე ვარ! ჩვენს უკან თავადი ბაგრატიონია!" ბაგრატიონის კორპუსმა 1809 წლის მარტში ალანდის არქიპელაგი სულ გაწმინდა. კულნევის რაზმი კი შვედეთის ნაპირებს მიუახლოვდა და ქ. გროსელმაგი დაიკავა. ა. შუვალოვის კორპუსმა ტორნეო აიღო, ბარკლაი-დე-ტოლიმ დაიკავა უმეო. რუსეთის არმია სტოკჰოლმს ემუქრებოდა, მაგრამ შვედებმა სამშვიდობო მოლაპარაკება წამოიწყეს. 1809 წლის 5 სექტემბერს ფრიდრიხსგამში

---

[138] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

[139] Русский биографический словарь, т. II, с. 396.

[140] იქვე.

ზავი დაიდო. ზავის თანახმად რუსეთმა ფინეთი და ალანდის კუნძულები მიიღო.

რუსეთის არმიის გამარჯვებით აღფრთოვანებული იყო პეტერბურგის საზოგადოება. მრავალი დამარცხების შემდეგ პეტერბურგის ქუჩებში კვლავ გამარჯვების ზეიმი გაიმართა.

1809 წლის მარტში „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტმა“ ყველას ამცნო, რომ შვედების წინააღმდეგ ბრძოლებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის გენერალ-ლეიტენანტ ბაგრატიონს ინფანტერიის გენერლობა, ანუ ქვეითი ჯარის სრული გენერლის ჩინი ებოძა[141]. ამ ჩინში საზამთრო სასახლეში სპეციალურად გამართულ საზეიმო ცერემონიალზე ბაგრატიონს ოფიციალურად მიულოცეს ინფანტერიის გენერლობის მიღება. პეტრე ბაგრატიონი პეტერბურგში ყველაზე ცნობილი გახდა.

ბაგრატიონს პირად ცხოვრებაში ბედი არ წყალობდა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამკურნალოდ წასვლის წინ, აპრილის ბოლოს ბაგრატიონი პეტერბურგში გამოცხადდა, სადაც იგი რამდენიმე დღეს დარჩა. დედაქალაქში მას უკვე ელოდებოდა მეუღლის — ეკატერინე პავლეს ასულის საქმეების რწმუნებული ვ. ბოგოლიუბოვი, რომელიც სპეციალური დავალებით იყო ვენიდან ჩამოსული. მას ბაგრატიონისაგან შორს გადახვეწილი მეუღლის ფინანსური საქმეები უნდა მოეგვარებინა. ვენაში ხელგაშლილი და ფუქსავატური დროსტარებით ეკატერინე პავლეს ასულს დიდი ვალები დაედო. ვ. ბოგოლიუბოვი გამოაგზავნა ბაგრატიონთან მოსალაპარაკებლად, რათა შორეული მეუღლისათვის ფულადი დახმარება გაეწია[142]. ბაგრატიონის დედაქალაქში გამოჩენამდე ვ. ბოგოლიუბოვი რამდენჯერმე ეწვია გრაფის ცოლს ლიტას[143], უამბო შვილის უმწეო მდგომარეობაზე და ბოლოს სთხოვა, როგორმე გადაეხადა ვენაში მცხოვრები შვილის ვალები.

ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია-ბაგრატიონი დარცხვენილი და ქედმოდრეკილი კი არ ითხოვდა დახმარებას, არამედ მისი განცხადებით, ვალებისა და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზი პ. ბაგრატიონი იყო. ასეთ ხმებს ავრცელებდა იგი ნათესავებსა და ახლობლებში. ასეთივე ინფორმაციით იყო ვ. ბოგოლიუბოვიც. ამის გამო იყო, რომ ბაგრატიონის სიდედრმა უარი განაცხადა შვილის საქმეების შესახებ სიძესთან შეხვედრაზე.

კავკასიის წყლებზე სამკურნალოდ წასასვლელად იმპერატორმა

---

[141] Русский биографический словарь, т. II, с. 396.

[142] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

[143] ეკატერინე ვასილის ასული სკავრონსკაია მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მეორედ გათხოვდა გრაფ ლიტაზე.

ბაგრატიონს 15 ათასი მანეთი უბოძა სამგზავროდ და იმავე დროს მიეცა 18 ათასი მანეთი იჯარა. იჯარის ფული ბაგრატიონს ებოძა იმპერატორის სპეციალური რესკრიპტით, რომელიც გამოქვეყნდა „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტში“ ქართველი გენერლის პეტერბურგში დაბრუნებამდე ერთი კვირით ადრე; „თქვენი გულმოდგინეობა და თავგამოდება სამშობლოს დიდებისათვის, რომლითაც ჩვენ ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავით, სასიამოვნო ვალდებულების წინაშე მაყენებს, რათა გამოვხატო ჩემი სრული მადლიერება. გამორჩეული ღვაწლის აღსანიშნავად მე ვუბრძანე სახელმწიფო ხაზინადარს დაგინიშნოთ თქვენ მყარი, საიმედო იჯარა, რათა აღიდგინოთ თქვენი შერყეული ჯანმრთელობა, ჩემს და სამშობლოს სამსახურისათვის მისაძღვნელად, და მჯერა, რომ კიდევ მომცემთ ახალ და სასიამოვნო საბაბს კვლავ გამოვთქვა თქვენდამი ჩემი კეთილგანწყობილება, რასაც ამჟამადაც ვაღიარებ თქვენი მოწყალე ალექსანდრე“[144]. იჯარა. 9 ათასი მანეთი ვერცხლით წელიწადში ბაგრატიონს დაენიშნა გროდნოსა და ვილნოს გუბერნიებში ბოძებული სამი სოფლისათვის.

ბაგრატიონის მოქმედი არმიიდან პეტერბურგისაკენ წამოსვლა და ფინანსური მდგომარეობაც კარგად იცოდა მისი საქმეების რწმუნებულმა თავადმა სალაგოვმა. ყოველივე ეს ამ უკანასკნელისაგან შეიტყო ვ. ბოგოლიუბოვმა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა ეკატერინე პავლეს ასულ სკავრონსკაია-ბაგრატიონის ინტერესების დასაცავად, მეუღლეთა შერიგებაზე კი სრულებითაც არ ფიქრობდა. ბაგრატიონმა დააკმაყოფილა მეუღლის თხოვნა და ვენაში ფული გაუგზავნა. ეკატერინე პავლეს ასულის ფინანსური მდგომარეობა მოგვარდა ბაგრატიონის წყალობით. ბულგაკოვი თავის ძმას სწერდა ვენაში: „ბოგოლიუბოვმა დიდებულად მოაგვარა მისი საქმეები. მას უკვე გაუგზავნეს ფული. ურჩიეთ მას, რომ ქმარს ალერსიანი წერილი მოსწეროს“[145].

გულკეთილსა და მეგობრობის ერთგულ ქართველ გენერალს ყველა უთანაგრძნობდა. ყველას სურდა მოგვარებულიყო მისი ოჯახური მდგომარეობა, მაგრამ ბრძოლებში მრავალჯერ გამარჯვებულმა მხედართმთავარმა პირად ცხოვრებაში სრული მარცხი განიცადა. მაშინ პეტრე ბაგრატიონი 43 წლისა იყო. აღმოსავლური გამომეტყველების, ტანადი, წელში გამართული გენერალი, მუქ-მწვანე მუნდირში, ოქრომკედით ნაქარგი მდიდრულად მორთული წითელი საყელოთი, თეთრი ირმის ტყავის დეზებიანი მაღალი ჩექმებით, გარშე-

---

[144] В. К. Грибашов, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

[145] იქვე, გვ. 147.

შემყოფებზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. გმირის სახელისა და რაინდული შეხედულების გამო მას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. თუმცა მეორედ დაოჯახება არ უცდია. მის თაყვანისმცემელთა შორის იყო იმპერატორ ალექსანდრე პირველის და ეკატერინე პავლეს ასული. 18 წლის ეკატერინე პავლეს ასული ჭკვიანი იყო და თავის ძმაზე — ალექსანდრე პირველზე—დიდი გავლენა ჰქონდა. ალექსანდრე პირველს უნდოდა თავისი და ავსტრიის იმპერატორზე, მეორედ დაქვრივებულ 38 წლის ფრანცზე, გაეთხოვებინა. ამ მიზნით ავსტრიაში გაგზავნა თავადი კურაკინი, რომელმაც იქ შეიტყო ახალგაზრდა ეკატერინე პავლეს ასულის ბაგრატიონისადმი დიდი ყურადღების გამოჩენის შესახებ და, შურით ავსილმა, იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულთან დაასმინა. „გეუდრებით თქვენო უდიდებულესობავ, გამოუცხადოთ ჩემგან მის უდიდებულესობას, დიდ მთავრის ასულს ეკატერინეს, ჩემი უკიდურესი გულისტკივილი, იმის გამო, რომ მან დღემდე არ მომწერა არც ერთი სტრიქონი, მაშინ როცა ბაგრატიონმა მისგან სამი წერილი მიიღო“[146].

ბევრს შურდა ბაგრატიონის ესოდენ დიდი ავტორიტეტი და მისდამი დიდებულთა დიდი ყურადღება. იმპერატორის ჭკვიანი და ულამაზესი დის ყურადღებამ კი მას ბევრი ახლობელი გადაჰკიდა. თავადი კურაკინი იმ ზომამდე მივიდა, რომ მაბეზღარას როლში გამოვიდა. ბაგრატიონსაც უმტრო და ავსტრიაში დაკისრებული მისიაც ვერ შეასრულა. ავსტრიის იმპერატორი ფრანცი ძალზე შეუხედავი პიროვნება იყო. სხვა მიზეზებთან ერთად, ამის ბრალიც იყო, რომ მათი ქორწინება არ მოხდა.

ეკატერინე პავლეს ასული გაათხოვეს ოლდენბურგის უფლისწულზე, რომელიც რუსეთის სამსახურში იყო გენერალ-მაიორის ჩინით. გათხოვილმა ქალმა მაინც ვერ დაივიწყა ბაგრატიონი. როცა იგი პეტერბურგში გამოჩნდა, კვლავ მიიპყრო ეკატერინე პავლეს ასულის ყურადღება. ოჯახურ სითბოს მოკლებული და განმარტოებით ცხოვრებას შეჩვეული ბაგრატიონი გულგრილი ვერ დარჩა გათხოვილი. მაგრამ ჭკვიანი და ულამაზესი ქალისადმი. ეკატერინე პავლეს ასულისა და ბაგრატიონის ურთიერთსიმპათია და ყურადღება იმპერატორმა შეიტყო. ალექსანდრე პირველს არ ესიამოვნა ეს ამბავი.

1809 წლის მაისის მეორე ნახევარში ბაგრატიონი პავლოვსკში, თავის აგარაკზე წავიდა, სადაც კვლავ იმპერატორის რეზიდენციის კომენდატობას შეუდგა. აქ თითქმის ყოველდღე საზეიმო ვითარება

[146] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

სუფევდა. იმართებოდა ბალ-მასკარადები. საღამოობით მოედანზე სამხედრო ორკესტრი უკრავდა, სადაც სხვებთან ერთად თითქმის ყოველთვის ეკატერინე პავლეს ასულიც იმყოფებოდა მეუღლესთან ერთად. ისინი ზაფხულს მარია თედორეს ასულთან ატარებდნენ. ეკატერინე პავლეს ასული მეუღლესთან ერთად იყო და მაინც დიდ ყურადღებას იჩენდა ბაგრატიონისადმი, რამაც ამჯერად იმპერატორის ოჯახის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ალექსანდრე პირველმა სახელმოხვეჭილი და ყველასათვის სათაყვანებელი გენერლის პეტერბურგიდან მოცილება გადაწყვიტა. 1809 წლის 13 ივლისს ბაგრატიონმა მიიღო იმპერატორის ბრძანება: „საჭიროდ ვთვლი თქვენს ყოფნას მოლდავეთის არმიაში. გიბრძანებთ, ამის მიღებისთანავე, გაემგზავროთ იქ და გამოცხადდეთ გენერალ-ფელდმარშალ პროზოროვსკისთან, რომლისგანაც მიიღებთ თქვენს შემდგომ განწესებას“[147].

ბაგრატიონის მოლდავეთის არმიაში განწესება დროული და მიზანშეწონილი იყო, ამას მოითხოვდა რუსეთის ინტერესები. ქართველი გენერლის მხედართმთავრული ნიჭი და დიდი გამოცდილება საჭირო იყო თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა პეტერბურგში იმასაც ლაპარაკობდნენ, რომ მოლდავეთის არმიაში ბაგრატიონი ალექსანდრე პირველმა იმპერატრიცა ელიზავეტა ალექსის ასულის სურვილით გააგზავნა, რათა იგი დედაქალაქიდან მოეცილებინაო[148]. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ერთადერთი მიზეზი ბაგრატიონის მოლდავეთის არმიაში განწესებისა, მისი მხედართმთავრული ნიჭი საჭირო იყო თურქეთის წინააღმდეგ, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულმა ინციდენტმა დააჩქარა მისი პეტერბურგიდან გასვლა. 1809 წლის ივლისის მეორე ნახევარში, ბაგრატიონის პეტერბურგიდან წასვლის წინ, „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტში“ არასასიამოვნო ცნობა გამოქვეყნდა: „ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, შინაგან საქმეთა მინისტრი თავადი კურაკინი აცხადებს, რომ თავად გენერალ-ლეიტენანტის ცოლმა ეკატერინე პავლეს ასულმა ბაგრატიონმა წარმოშობით გრაფის ასულმა სკავრონსკაიამ, სახელმწიფოს გარეთ ყოფნის გამო, იგი (კურაკინი, — მ. გ.) დანიშნა მისი ყველა მამულისა და საქმეების განმგებლად...“[149]. ასეთი განცხადება შეურაცხმყოფელი იყო ბაგრატიონისათვის. ამით ეკატერინე პავლეს ასულმა საბოლოოდ გაწყვიტა ურთიერთობა მეუღლესთან.

იმპერატორის ბრძანების თანახმად, ბაგრატიონმა ბრძოლის ველს მიაშურა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებულ რუ-

---

[147] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 469.

[148] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[149] იქვე.

სეთ-თურქეთის ომებში რუსეთის იმპერიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. თურქეთი განდევნა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროდან და თავისი ხელისუფლება გაავრცელა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობაზე. XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს რუსეთთან შეერთებით, მეფის რუსეთი ამიერკავკასიას დაეუფლა. თურქეთი ვერ შეეგუა რუსეთის გაძლიერებასა და კავკასიაში დამკვიდრებას. საფრანგეთის წაქეზებით, 1806 წელს ომი გამოუცხადა რუსეთს. თურქეთს საფრანგეთის დახმარების იმედი ჰქონდა. საფრანგეთის მიზანი კი 1805 წელს მის საწინააღმდეგოდ შექმნილი კოალიციის მთავარი წარმომადგენლების — რუსეთისა და ინგლისის — დასუსტება იყო. თურქეთის წინააღმდეგ ინგლისიც ჩაება ომში, როგორც რუსეთის მოკავშირე. 1807 წლის ტილზიტის სამშვიდობო შეთანხმებით, ნაპოლეონმა თავის თავზე აიღო რუსეთისა და თურქეთის შერიგება, რის საფუძველზეც იმავე წლის 24 აგვისტოს მეომარ სახელმწიფოებს შორის სლობოდოს დროებითი სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. საფრანგეთთან რუსეთის „დაახლოებით" უკმაყოფილო თურქეთმა, ინგლისისა და ავსტრიის მხარდაჭერით, 1809 წლის მარტში საომარი მოქმედება განაახლა. თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ მოლდავეთის არმიას მრავალგვარი სენით შეპყრობილი, მოხუცი გენერალ-ფელდმარშალი პროზოროვსკი მთავარსარდლობდა. მას უნარი არ შესწევდა სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად. 1808 წელს მის დასახმარებლად ალექსანდრე პირველმა მ. კუტუზოვი გაგზავნა. შურიანსა და ეჭვიან მთავარსარდალს არ სურდა მიღებული ხელისუფლების გაყოფა და მ. კუტუზოვის საქმეებში ჩარევამ მისი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

პროზოროვსკიმ მალე თავისი უკმაყოფილება ალექსანდრე პირველს აცნობა, რომელმაც სახელგანთქმული გენერალი მ. კუტუზოვი უკან გამოიძახა[150]. 1809 წლის ივლისში მ. კუტუზოვმა მოლდავეთის არმია დატოვა. მალე ბაგრატიონი გამოცხადდა მთავარსარდალთან. ალექსანდრე პირველმა თავისი რესკრიპტით პროზოროვსკის დაავალა არმიისადმი ხელმძღვანელობის ბაგრატიონისათვის გადაბარება[151]. იმავე დროს, რუსეთის სამხედრო მინისტრის არაკჩეევის მეშვეობით, მოხუცსა და ავადმყოფ გენერალ-ფელდმარშალს ურჩევდა სამკურნალოდ წასვლას თავისი თანამდებობის შენარჩუნებით. ხელისუფლებისმოყვარე მთავარსარდალმა იმპერატორის მითითება არ შეასრულა და გამოსცა ბრძანება: „მე მას (ბაგრატიონს — მ. გ.) ვნიშნავ არმიის

[150] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 469.

[151] იქვე, გვ. 469.

შთავარი კორპუსის უფროსად. გენერალ-ლეიტენანტ ესენ მესამეს ვუბრძანებ იყოს მის განკარგულებაში. ბატონი ინფანტერიის გენერალი—თავადი ბაგრატიონი—იყოს საგუშაგო ბინაში... რათა შემეძლოს საჭირო შემთხვევაში განვიყენო...“[152]. როგორც ჩანს, პროზოროვსკი არც ბაგრატიონის მისვლით იყო აღფრთოვანებული. არმიის მთელი შემადგენლობა დიდი სიხარულით შეხვდა ყველასათვის საყვარელი და სახელგანთქმული მხედართმთავრის გამოცხადებას. ბაგრატიონის მოლდავეთის არმიაში გამოცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1809 წლის 9 აგვისტოს, გენერალ-ფელდმარშალი პროზოროვსკი გარდაიცვალა[153]. მოლდავეთის არმიის მთავარსარდლის მოვალეობა ინფანტერიის გენერალ ბაგრატიონს დაევალა[154].

ბაგრატიონის მიერ საომარი მოქმედების დაწყებამდე, 1809 წლის 10 აგვისტოსათვის, მოლდავეთის არმიას უკვე დაკავებული ჰქონდა დუნაის მარჯვენა ნაპირზე ციხე-სიმაგრეები: ისახჩა, ტულჩა და ბაბადაღი[155]. ახალი მთავარსარდლის სიტყვით, პროზოროვსკის საბუთებში თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გეგმა არ აღმოჩნდა[156]. ბაგრატიონმა ჩვეული გამჭრიახობით შეადგინა საბრძოლო გეგმა და სწრაფად განავითარა შეტევა დუნაის მარჯვენა ნაპირზე. მისი მიზანი იყო ძლიერი და სწრაფი შეტევით იძულებული გაეხადა თურქეთის მთავრობა, რათა თვითონ მას მოეთხოვა დაზავება. ამასვე მოითხოვდა იმპერატორიც, რომელიც 1809 წლის აგვისტოს დასაწყისში ბაგრატიონს სწერდა: „აუცილებლობადაა მიჩნეული დუნაიზე საჩქაროდ გადასვლა. თქვენთვის ცნობილია, რაოდენ ძვირფასია ახლანდელი ვითარებისათვის ყოველი წუთი. დარწმუნებული ვარ, დუნაის იქეთა მხრიდან მივიღებთ თქვენს პატაკს“ [157]. რუსეთის ჯარი რამდენიმე დღეში ციხე-სიმაგრე გაჩინას მიადგა. თურქეთის სარდლობამ ბაგრატიონის არმიის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით შეტევა გადაწყვიტა. რუსეთის ადრინდელი მოკავშირის, იმ დროს უკვე მტრად გადაქცეული ინგლისის მიერ დაფინანსებული თურქეთის უმაღლესი ვეზირი — იუსუფ-ფაშა — 50-ათასიანი ჯარით ბულგარეთისაკენ დაიძრა[158]. ჯარს, იუსუფ-ფაშას გეგმით, დუნაი უნდა გადაელახა, ბუქარესტისათვის შეეტია და, წარმატების შემთხვევაში,

---

[152] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

[153] Русский биографический словарь, т. II, с. 396.

[154] იქვე.

[155] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

[156] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

[157] იქვე, გვ. 153—154.

[158] იქვე, გვ. 153.

ბაგრატიონის არმიას უნდა მოქცეოდა ზურგში და თუ მოწინააღმდეგეს ვერ გაანადგურებდა, მისი ფიქრით, რუსეთის არმიის უკანდახევას მაინც მიაღწევდა. ბაგრატიონი მიხვდა მოწინააღმდეგის გადაწყვეტილებას. საჭირო ზომები მიიღო და 18 აგვისტოს გაჩინა დაიკავა. ოთხი დღის შემდეგ — 22 აგვისტოს — ციხე-სიმაგრე გირსოვი დანებდა ბაგრატიონის არმიას, ხოლო გრაფ ლანჟერონისა და გენ. ესენ მესამის გამარჯვების შედეგად ციხე-სიმაგრე კიუსტენჯი დაიკავეს[159].

ბაგრატიონის სამხედრო ნიჭმა და დიდმა გამოცდილებამ თავისი გაიტანა. არმია დღითი დღე წინ მიიწევდა. ასეთ ვითარებაში პეტერბურგში ხმები გავრცელდა ნაპოლეონის რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებისათვის მზადების შესახებ, რომ ფრანგები სპეციალურ კორპუსს ამზადებდენ პეტერბურგზე იერიშის მისატანადო. მოლდავეთის არმიის წინსვლისა და დიდი გამარჯვების ნაცვლად დედაქალაქში ხმები გავრცელდა, თითქოსდა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი არმია მარცხს განიცდიდა და ბაგრატიონის სიკვდილის შესახებაც ატყდა მითქმა-მოთქმა[160]. პეტერბურგში ასეთი არასწორი ცნობების გავრცელებამ მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იმპერატორი ალექსანდრე პირველი იძულებული გახდა მოსახლეობისათვის სწორი ცნობების მისაწოდებლად სპეციალური „ნოვაია პეტერბურგსკაია გაზეტა“ გამოეცა. გაზეთის გვერდებზე ხშირად შუქდებოდა რუსეთ-თურქეთის ომში მოლდავეთის არმიის წარმატებები. კიუსტენჯის ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ ბაგრატიონის ჯარი დაიძრა რასევატისაკენ. სადაც თურქეთის არმიის მთავარი ძალები იყო თავმოყრილი, რომელსაც ხოსრევ-მეჰმედ ფაშა ხელმძღვანელობდა. რასევატისაკენ ჯარებს სვლა აუტანელ სიცხეში მოუხდათ. ამასთანავე საჭირო გახდა ჭაობებისა და მთაგორიანი ადგილების გადალახვა. ყოველ დღე 150 კაცი ხდებოდა ავად [161].

1809 წლის 4 სექტემბერს პლატოვისა და მილორადოვიჩის კორპუსებმა, ბაგრატიონის უშუალო ხელმძღვანელობით, რასევატზე იერიში მიიტანეს[162]. სამი საათის განმავლობაში გაანადგურეს მოწინააღმდეგე, რომელმაც მოკლულთა სახით 4000 კაცი დაკარგა; რუსებმა 600 ტყვე, 7 ზარბაზანი და 3 დროშა იგდეს ხელთ. რასევატის აღებისას ჯარი ისე სწრაფად, შეთანხმებულად და თავგამოდებით იბრძოდა, რომ თვით ბაგრატიონი იყო განცვიფრებული. აღფრთოვანებული გენერალი ხელმწიფისადმი გაგზავნილ პატაკში რასევატის

---

[159] Русскій биографический словарь, т. II, с. 396.

[160] В. К. Грибанов. დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[161] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 471.

[162] Русский биографический словарь, т. II, с. 396.

ბრძოლების შესახებ წერდა: „ჩემი სუსტი კალამი ვერასოდეს შეძლებს სრულად გამოხატოს ის ნდობა, ვაჟკაცობა და თავდადება, რომელსაც ამჟამინდელ საქმეში, საერთოდ, მთელი ჯარი იჩენდა. ყველა ცდილობდა ყოფილიყო პირველი და ყველა მონდომებული იყო ეჯობნა ამხანაგებისათვის განუსაზღვრელი სიბეჯითის გამოჩენაში, გამბედაობასა და მოვალეობის შესრულებაში“[163].

ასე იბრძოდა რუსეთის ჯარი თავისი საყვარელი მხედართმთავრის წინამძღოლობით. რასევატთან გამარჯვებისათვის თავადი ბაგრატიონი დაჯილდოვდა წმინდა ანდრეი პირველწოდებულის ორდენით და დამატებით 50 ათასი მანეთიც ებოძა[164]. ბაგრატიონის არმია კვლავ სწრაფი ტემპით მიიწევდა წინ. 14 სექტემბერს ციხე-სიმაგრე იზმაილი აიღეს. გამარჯვებულებმა ხელთ იგდეს 21 დროშა, 220 ზარბაზანი, 9 გემი 36 ზარბაზანით, 5000 ფუთზე მეტი თოფის წამალი და უამრავი ჭურვი[165]. ციხე-სიმაგრე იზმაილმა მრავალი ათასი კაცი შეიწირა წინა ომებში. ახლა კი, ბაგრატიონის მხედართმთავრული ნიჭის, დიდი საბრძოლო გამოცდილებისა და ჯარის გაბედული მოქმედების წყალობით, იზმაილი იოლად იქნა დამორჩილებული, თანაც დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ. ჯარის არგაგონილი გმირული მოქმედებით აღფრთოვანებული ბაგრატიონი ხელმწიფეს წერდა: „დიდებული და ძლიერი ციხე-სიმაგრე იზმაილი ოტომანის პორტასთან ყველა უწინდელ ომებში ადამიანთა დიდ ზარალს გვაყენებდა, ამჟამად წვეთი სისხლის დაუღვრელად დაეცა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის წმინდა ფერხთით. ვაშა დიდო ალექსანდრე!“[166].

ბაგრატიონის არმიამ 21 ნოემბერს ციხე-სიმაგრე ბრაილოვი დაიკავა. ამ გამარჯვებებით აცილებულ იქნა თურქეთის ჯარის ვალახიაში შესვლის საშიშროება და სერბიის მდგომარეობაც შემსუბუქდა[167]. ბაგრატიონის არმიამ სერიოზულ გამარჯვებებს მიაღწია, თუმცა კვლავ გრძელდებოდა სილისტრიის გარშემორტყმა. დუნაის ნაპირას მდებარე ეს ციხე-სიმაგრე ძლიერ გამაგრებული აღმოჩნდა. მისი გარნიზონი 10—12 ათას კაცს ითვლიდა. მათ შეიარაღებაში 130 ზარბაზანი შედიოდა და, რაც მთავარია, გარნიზონის კომენდანტი ილიკ-ოღლუ თავგამოდებით იცავდა ციხე-სიმაგრეს[168]. ბაგრატიონის მითითებით, გენ. პლატოვმა ილიკ-ოღლუს წერილი შეუგზავნა და მოს-

---

[163] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 472.

[164] იქვე, გვ. 472—473.

[165] იქვე, გვ. 472—473.

[166] იქვე.

[167] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

[168] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

თხოვა დანებებოდა რუსეთის ჯარს. ამასთანავე გენ. პლატოვი წერდა: „ახლა არმიის უფროსი თავადი ბაგრატიონია, რომელიც მონაწილეობდა თურქეთთან ომში, მისი ბრწყინვალე გმირობა მთელმა ევროპამ იცის...“[169] ილიკ-ოღლუმ დანებებაზე უარი განაცხადა, ვინაიდან მაშველ ძალებს ელოდა. მართლაც, სილისტრიისაკენ მომავალი დიდი ვეზირის 20-ათასიანი არმია გზაში იყო[170]. ბაგრატიონის მითითებით, მაშველი ძალების შესახვედრად გენ. პლატოვის შენაერთი გაეშურა. ბრძოლა ტატარიცასთან მოხდა[171]. თურქთა ძალები ოთხ-ხუთჯერ აღმატებოდა მოწინააღმდეგეს. ბრძოლას თვით ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. მან ჩვეული სისწრაფით შეუტია თურქებს, მაგრამ ჭარბი ძალების დამარცხება ძნელი აღმოჩნდა. მოწინააღმდეგე დამარცხებას გადაურჩა. საომარი მოქმედების გაგრძელება შეუძლებელი ხდებოდა. შემოდგომის წვიმიანმა ამინდებმა გზები გააფუჭა, სურსათ-სანოვაგისა და საბრძოლო მარაგის შემოტანა გაძნელდა. ყოველდღიურად ასობით მებრძოლი ხდებოდა ავად. რის გამოც შემცირდა ბაგრატიონის არმიის რიგები[172]. თურქების ჭარბ ძალებს კი კვლავ დამხმარე ძალების მიღების საშუალება ჰქონდა.

ბაგრატიონმა გადაწყვიტა აღებულ ციხე-სიმაგრეებში საჭირო რაოდენობის მცველები დაეტოვებინა, რათა თვალყური ედევნებინათ თურქეთის ჯარის მოძრაობისათვის და თანაც, რაც მთავარია, დაპყრობილი სიმაგრეები შეენარჩუნებინათ. არმიის ძირითადი შემადგენლობა კი დუნაის მარცხენა ნაპირზე უნდა გადმოეყვანა და ადრე გაზაფხულზე განეახლებინა შეტევა[173]. ყოველივე ეს ბაგრატიონმა იმპერატორს აცნობა. იმპერატორს არ მოეწონა ბაგრატიონის აზრი. რუსეთის ძველი მოკავშირეების — ინგლისის, ავსტრიისა და სხვათა მტრებად გადაქცევამ და საფრანგეთის ომისათვის მზადებამ აიძულა ალექსანდრე პირველი, როგორმე მალე დაემთავრებინა ომი თურქეთთან. ამიტომ იმპერატორი სასტიკი წინააღმდეგი იყო საომარი მოქმედების ადრე გაზაფხულამდე გადადებისა.

თავისი აზრის განსამტკიცებლად ბაგრატიონმა არაკჩეევის ავტორიტეტის გამოყენება განიზრახა. ალექსანდრე პირველთან პატაკის გაგზავნამდე რამდენიმე დღით ადრე იგი სამხედრო მინისტრს არაკჩეევს სწერდა: „პატივი მქონდა მიმეღო თქვენი ორი სასიამოვნო წერილი, რისთვისაც უგრძნობიერესად გმადლობთ... მე თქვენს ბრწყინ-

---

[169] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[170] Русский биографический словарь, т. II, с. 396.

[171] იქვე.

[172] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 474.

[173] იქვე.

ვალებას ვუმტკიცებდი და ყოველთვის დაგიმტკიცებთ ჩემს სიყვარულს, პატივისცემასა და გულითად ერთგულებას. მე არა ვარ ორპირი: ვინც მიყვარს, პირდაპირ ვეტყვი, ამასთანავე მაქვს სინდისი და პატიოსნება. შეუძლებელია მე თქვენ არ მიყვარდეთ: ჯერ ერთი იმიტომ, რომ თქვენ თვითონ გიყვარვართ, მეორეც, თქვენ ჩვენი პატრონი და უფროსთა უფროსი ხართ... ჰეშმარიტად მე არ ვთვლემ და არც მეშინია. თქვენი წმინდა წინასწარმეტყველება გამართლდა: ბაგრატიონმა სერასკირი გააცამტვერა, იზმაილი აიღო... ჩემი მიზანი იყო ამემხედრებინა და გამეგულადებინა არმია.

მე თქვენ კვეხნის გარეშე მოგახსენებთ, რაც ჩემთანაა გაკეთებული: წავა ერთი რუსი ათის წინააღმდეგ. მე თვითონ მათთვის არაფერს არ ვინანებ. უკანასკნელი კაპიკებით ვასმევ და ვაჭმევ ჩემს ერთგულებს. უკეთესია მოვკვდე ვიდრე დავხარჯო ექსტრაორდინარული თანხიდან. მოვკვდები პატიოსანი, შიშველი. ღმერთმა იცის ჩემი სული, რაოდენ ერთგული ვარ ჩვენი მონარქისა, იმისათვისაც. რომ მეხმარება...“[174] არაკჩეევის ჩარევამაც ვერ მოალბო ალექსანდრე პირველი. იგი კვლავ სასტიკი წინააღმდეგი იყო ჯარის დუნაის მარცხენა ნაპირზე გადმოსვლის. მას სწრაფი შეტევით უნდოდა თურქეთთან ზავის დადება.

1809 წლის ოქტომბერში მთავარსარდალს შეუძლებლად მიაჩნდა თურქეთთან მშვიდობის მიღწევა, რის შესახებაც კვლავ აცნობა იმპერატორს: არ არსებობს არავითარი იმედი, რომ ახლანდელი კამპანიის მსვლელობისას მივაღწიოთ მშვიდობას, ვინაიდან იგი დაიწყო ძალიან გვიან, აგვისტოს ნახევრიდან და თვით ბუნება სრულიად კრძალავს აქ ზამთრის ლაშქრობას[175]. ბაგრატიონის ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას მთავრობაში არავინ არ უჭერდა მხარს, ვინაიდან თვით იმპერატორი იყო წინააღმდეგი. მიუხედავად ამისა, გამოცდილი და თავის გადაწყვეტილების სისწორეში ღრმად დაჯერებული მთავარსარდალი ყველასთან თავისას ამტკიცებდა. მან არაკჩეევთან კვლავ გაგზავნა წერილი, სადაც ამტკიცებდა თავისი გადაწყვეტილების სისწორეს: „მე ვაღიარებ, რომ არა მარტო თურქთა, არამედ მთელი ევროპის თვალში აღმოვჩნდებით სამწუხარო მდგომარეობაში, როცა ზამთრის განმავლობაში. ყოველგვარი მოქმედების გარეშე, დავკარგავთ სამხედრო ძალასა და ცხენებს“[176]. ბაგრატიონის საფუძვლიან ახსნა-განმარტებას შედეგი არ მოსდევდა.

---

[174] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 4/5.
[175] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.
[176] იქვე.

1809 წლის 23 დეკემბერს ალექსანდრე პირველი მოსკოვში იყო, როცა სახელმწიფო კანცლერის — თავად რუმიანცევის — წერილი მიიღო. რუმიანცევს წერილში სათანადო მიზეზები მოჰყავდა, ხაზს უსვამდა ბაგრატიონის აზრის სისწორეს და სთხოვდა იმპერატორს, რომ არმიის დუნაის მარცხენა ნაპირზე გადასვლის ნება მიეცა. ყველასათვის მოულოდნელად, ალექსანდრე პირველმა თანხმობა განაცხადა ბაგრატიონის გეგმის მიღებაზე, რომელიც მეორე დღესვე, 24 დეკემბერს აცნობეს ბაგრატიონს. არმია დუნაის მარცხენა ნაპირზე გადავიდა, მოლდავეთსა და ვალახიაში დაბინავდა [177].

ბაგრატიონი ენერგიულად შეუდგა ჯარის მომზადებას, ადრე გაზაფხულზე შეტევაზე გადასასვლელად. როგორც აღინიშნა, ბაგრატიონი თავის საკუთარ ფულს ხარჯავდა საერთო საქმეებზე და, უფრო ხშირად, მეგობრებისა და ჯარისკაცების დახმარებაზე. როგორც ყოველთვის, დიდი ჯამაგირისა და ავტორიტეტის მქონე გენერალი ამჯერადაც მოვალეებმა შეაწუხეს. 1809 წლის სექტემბერში ბაგრატიონმა სახელმწიფო ხაზინადარს — ფ. გოლუბევს მიმართა თხოვნით, რათა წინასწარ მიეღო 2 წლის კუთვნილი იჯარა[178]. ბაგრატიონი არ შალავდა, რომ ფული ესაჭიროებოდა ვალების გასასტუმრებლად, რომ იგი უკაპიკოდ იყო. მან იცოდა, რომ ხაზინადარი უარს არ ეტყოდა და თავისი საქმეების ყოფილ რწმუნებულს, ქართველ გენერალ-ლეიტენანტ სალაგოვს [179] (სალაღაშვილს) დაავალა ხსენებული ფულის მიღება. ბაგრატიონის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა იმავე წლის ნოემბერში. სალაგოვმა აღნიშნული ფული — 18 ათასი მანეთი მიიღო, ეს ფული, თითქმის მთლიანად, საჩქარო ვალების დაფარვას მოხმარდა.

ბაგრატიონმა მოლდავეთში თავი გამოიჩინა არა მარტო როგორც ნიჭიერმა მთავარსარდალმა, არამედ როგორც სახელმწიფო მოღვაწემაც. სერბი ხალხი მაშინ ყარა-გიორგის თაოსნობით თურქთა ჩაგვრის წინააღმდეგ აღსდგა. ბაგრატიონი უთანაგრძნობდა სერბ ხალხს თურქთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მას მიმოწერა ჰქონდა ყარა-გიორგისთან და აძლევდა საჭირო რჩევა-დარიგებას. ბაგრატიონი

---

[177] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 479.

[178] წელიწადში 9000 მანეთს იღებდა.

[179] სალაგოვს (სალაღაშვილს) 1800—1812 წლებში სამხედრო სამინისტროში ეკავა გენერალ-აუდიტორის თანამდებობა და იყო გამოცდილი იურისტი. როგორც უკვე აღინიშნა, იგი ბაგრატიონის საქმეების რწმუნებული იყო წლების მანძილზე და თავისი გულითადი რჩევით ეხმარებოდა ერთგულ გენერალს. ხშირად კი, როცა ბაგრატიონი ბრძოლის ველს მიაშურებდა, თავის ქონებასა და საბუთებს მას უტოვებდა შესანახად.

ფულითაც ეხმარებოდა მეგობარ სერბ ხალხს. იგი ნამდვილი მეგობარი გახდა ბულგარელი ხალხისა. არმიისადმი გამოცემულ ერთ-ერთ ბრძანებაში ბაგრატიონი მებრძოლებს მოუწოდებდა: „ყოველმხრივ ალერსიანად მოეკიდეთ ბულგარელებს, იქონიეთ მეგობრობა და ძმური სიყვარული მათთან“.

ბაგრატიონი ყოველმხრივ ცდილობდა მოლდავეთისა და ვალახეთის ხალხის დახმარებას. იგი წინ ეღობებოდა ვალახელ ბოიართა თვითნებობას, რომელსაც ისინი მშრომელი ხალხის მიმართ იჩენდნენ. უბრალო ხალხი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა ბაგრატიონისადმი. სამაგიეროდ, ბოიარები იყვნენ მისი უკმაყოფილონი. ისინი პეტერბურგში წერდნენ ქართველი გენერლის საწინააღმდეგო ბარათებს. წერდნენ არმიაში გამეფებულ „უწესრიგობაზე“. ამ წერილებმა თავისებური გავლენა მოახდინეს სამეფო კარის წარმომადგენლებზე. ალექსანდრე პირველი კვლავ გაბრაზებული იყო ბაგრატიონზე, რომელმაც ძალით მიაღწია იმპერატორის თანხმობას არმიის დუნაის მარცხენა ნაპირზე გადაყვანისათვის. ამას დაემატა კონსტანტინოპოლიდან მოსული ბარონ გიუბუშის ჭორიც, რომელმაც თურქეთიდან ამბავი მოიტანა. ვითომცდა „თურქებს შორის განხეთქილება სუფევდა და საკმარისი იყო რუსების მხრივ მცირეოდენი დარტყმა, რათა თურქეთს კაპიტულაცია გამოეცხადებინა“ [180]. იმპერატორის უკმაყოფილება იზრდებოდა[181]. იგი საბაბს ეძებდა ბაგრატიონის მთავარსარდლობიდან გასათავისუფლებლად.

ბარონ გიუბუშის მონაჭორი მალე შეიტყო პეტრე ბაგრატიონმა და რუმიანცევს მისწერა: „შეურაცხმყოფელია ადამიანისათვის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მეფისა და მამულის სამსახურში გაატარა, ნახოს თავისი თავი გაკიცხული უტვინო ძუძუმწოვარას ზღაპრების გამო“. ბაგრატიონმა მთავარსარდლობიდან განთავისუფლება მოითხოვა[182]. რუმიანცევმა იმპერატორს მოახსენა ბაგრატიონის უკმაყოფილება და ბოლოს განუცხადა, იგი თანამდებობიდან განთავისუფლებას თხოულობსო[183]. იმპერატორის უკამაყოფილებამ კულმინაციას მიაღწია, მაგრამ სახელგანთქმული მხედართმთავრის ერთპიროვნულად განთავისუფლება ვერ გაბედა. ბაგრატიონი ხომ დიდი ხანია, რაც მოწინავე საზოგადოებისა და სამეფო კარის საღად მოაზროვნე წარმომადგენელთა კერპად იყო ქცეული. ამის გამო იყო, რომ

---

[180] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.
[181] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 480.
[182] ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.
[183] М. Богданович, დასახ. ნაშრომი. გვ. 480.

ინგლის-საფრანგეთსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებთან დაძაბული ურთიერთობის დროს მოერიდა საზოგადოების უკმაყოფილებას, რასაც ბაგრატიონის ერთი ხელისმოსმით მთავარსარდლობიდან განთავისუფლება გამოიწვევდა. ალექსანდრე პირველმა მოლდავეთის არმიაში თავადი ვ. ტრუბეცკოი გაგზავნა, პეტერბურგში მისული საჩივრების საფუძვლიანობის შესამოწმებლად.

შემოწმებამ ცხადყო, რომ საჩივრები უსაფუძვლო იყო, მაგრამ იმპერატორი თავის გადაწყვეტილების ერთგული დარჩა. ბაგრატიონი დიდ მხედართმთავრულ ნიჭთან ერთად დიდბუნებოვანიც იყო. თავის პირადულს ხალხისა და სახელმწიფო ინტერესებს უმორჩილებდა. მას ადვილად შეეძლო უარეყო თავისი საბრძოლო გეგმა და დათანხმებოდა იმპერატორის ნება-სურვილს, გაეგრძელებინა საომარი მოქმედება ზამთარში. შესაძლებელია, დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე მხედართმთავარს კიდევაც დაემარცხებინა თურქეთი, მაგრამ ნაკლებად მისაღებ რისკზე არ წავიდა, ათეულ ათასობით მებრძოლთა სიცოცხლე საფრთხეში არ ჩააგდო და საომარი მოქმედება გაზაფხულისათვის გადადო, რისთვისაც მოლდავეთის არმიის მთავარსარდლობა დაკარგა.

1810 წლის თებერვალში ბაგრატიონი გაათავისუფლეს მოლდავეთის არმიის მთავარსარდლობიდან. ბაგრატიონის განთავისუფლებაში თავისებური როლი შეასრულა სამხედრო მინისტრმა ბარკლაი-დე-ტოლიმაც. მთავარსარდლობა ებოძა ინფანტერიის გენერალ ნ. კამენსკის. მართალია ნ. კამენსკი ნიჭიერ გენერლად ითვლებოდა, დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა, ფინეთის ბრძოლების გმირადაც თვლიდნენ, მაგრამ საქმეს ისე ვერ გაუძღვა, როგორც ბაგრატიონი უძღვებოდა. მარტო ის, რომ 1810 წლის ბრძოლებში მოკლულთა და ჭრილობებისაგან გარდაცვლილთა რიცხვი 27 ათასს უდრიდა და დაჭრილები, რომლებიც ბრძოლისათვის გამოუსადეგარნი იყვნენ, 36 ათასს შეადგენდნენ [184], ნათლად მეტყველებს, ნ. კამენსკისთან შედარებით, ბაგრატიონის მხედართმთავრული ნიჭის დიდ უპირატესობაზე. ბაგრატიონი ორი თვით გაუშვეს შვებულებაში, მაგრამ მისი თავისუფლება დიდ ხანს გაგრძელდა. 1810 წლის დეკემბერში პეტერბურგში დაბრუნდა. იგი დაბინავდა ნევის გამზირზე მდებარე № 172 სახლში, რომელიც სტატსმდივან დ. ფამინცინს ეკუთვნოდა. პეტერბურგში ერთ ხანს იგი უმთავრესად ვალების დაფარვაზე ფიქრობდა. მრავალრიცხოვან მევალეთა შორის იყო იაროსლაველი ვაჭარი ანდრეი პელევინი, რომელმაც ქ. პავლოვსკში ბაგრატიონის სახლი გადააკეთა

[184] М. Богданович დასახ. ნაშრომი. გვ. 511.

ნისიად. ბაგრატიონს ვალების გადასახდელად ფული არ გააჩნდა და ანდრეი პელევინს 1810 წლის დეკემბერში შემდეგი შინაარსის მინდობილობა მისცა: „ქალაქ პავლოვსკში, კონსტანტინოვის სასახლის ახლოს მაქვს ორი საკუთარი სახლი, რომლებიც მე ვიყიდე, პირველი სახლი — თავად ალექსი ბორისის ძე კურაკინისაგან და მეორე — თავად მიხეილ პეტრეს ძე გოლიცინისაგან; განზრახული მაქვს მათი გაყიდვა მსურველზე, ჩემი სამსახურში ყოფნის აუცილებლობა შესაძლებლობას არ მაძლევს ამ საქმისათვის მოვიცალო, ამიტომ გთხოვთ თქვენზე აიღოთ ეს ვალდებულება და თუ ვინმე მსურველს გამონახავთ, ხსენებული სახლები მიწით და მათზე მიკუთვნებული ყველა სათავსით გაუყიდოთ თქვენთვის ცნობილ ფასში. თქვენი სახელით შეადგინოთ ნასყიდობის სიგელი, სადაც ხელი უნდა მოაწეროთ და მიღებული ფული გაიბაროთ ჩემზე არსებულ ვალში, ან ამ ფულის მაგივრად დაიტოვოთ თვით სახლები“[185]. სახლები თავისი ავეჯით 1811 წლის ივლისში იმპერატრიცა მარია თედორეს ასულმა იყიდა 7 500 მანეთად. მან ვალები გადაიხადა. გაყიდული სახლები კი დიდხანს ბაგრატიონის ყოფილ აგარაკად იწოდებოდა[186].

1811 წლის დასაწყისში ნ. კამენსკი გადაიყვანეს რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან მდგარი არმიის უფროსად. მოლდავეთის არმიის მთავარსარდლად კი ლიტვის სამხედრო გუბერნატორი, ცნობილი მხედართმთავარი მ. კუტუზოვი დაინიშნა[187], რომელმაც დიდი გამარჯვებით დაამთავრა თურქეთის წინააღმდეგ მიმართული საომარი მოქმედება. თურქეთი იძულებული გახდა სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ეზრუნა. 1812 წლის 28 მაისს რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო ბუქარესტში.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათწლეული რუსეთის იმპერიისათვის გაუთავებელი საომარი მოქმედების წლები იყო.

1805 და 1806—1807 წლების კოალიციური ომები ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთის მარცხით დამთავრდა.

რუსეთის არმიის ფრიდლანდთან დამარცხებით ალექსანდრე პირველი იძულებული გახდა თანხმობა განეცხადებინა ტილზიტის ზავზე. რუსეთი კონტინენტალურ ბლოკადაში აღმოჩნდა ინგლისის წინააღმდეგ. რუსეთის პური და ნედლეული აღარ საღდებოდა ინგლისში, რამაც თავად-აზნაურებისა და ვაჭართა უკმაყოფილება გამოიწვია[188]. ალექსანდრე პირველი დაინტერესებული იყო მშვიდობიანი ურთი-

[185] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

[186] იქვე.

[187] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 513.

[188] Е. В. Тарле, Талейран, М., 1957, с. 84.

ერთობით , თუმცა აუსტერლიცის, ფრიდლანდისა და ტილზიტის შემდეგ, ნაპოლეონისაგან კარგს აღარას მოელოდა, მაგრამ ძალაუნებურად მაინც ანგარიშს უწევდა. ნაპოლეონის დამპყრობლური ომების წყალობით ევროპის ბევრი სახელმწიფო საფრანგეთის იმპერიაში მოექცა, ბევრიც მისი ვასალი გახდა. ავსტრია და პრუსია კი სატელიტებად იქცნენ[189]. ნაპოლეონს რუსეთთან ომი გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ 1807—1808 წლებში ესპანეთსა და პორტუგალიასთან ბრძოლით იყო დაკავებული და არ ჰქონდა არც დრო და არც საშუალება რუსეთის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის. ამასთანავე, ევროპის დაპყრობილი ქვეყნებიც აღდგნენ ნაპოლეონის წინააღმდეგ, რისი სიგნალიც ესპანელთა გამოსვლა გახდა[190]. საფრანგეთი საბრძოლო მოქმედებით იყო დაკავებული. რუსეთის იმპერატორი ომის წინააღმდეგი იყო.

1811 წლის 9 მაისს პეტერბურგში საფრანგეთის ელჩის კოლენკურის მაგიერ გენ. ლორისტონი ჩამოვიდა, რომელსაც ალექსანდრე პირველმა განუცხადა: „რუსეთში არმიის შეიარაღება მიმდინარეობს, რაც — დაუმატა მან — ნაპოლეონის მუქარითაა გამოწვეული. მე არ ვეძებ და არც დავიწყებ ომს, თუ თქვენ ამას არ მაიძულებთ"[191]. მის აზრს იზიარებდა კონსტანტინე პავლეს ძე და სამეფო კარის ბევრი გავლენიანი წარმომადგენელი. ნაპოლეონს მსოფლიო ბატონობა ჰქონდა გადაწყვეტილი და არავის აზრსა და შეხედულებას ანგარიშს არ უწევდა.

1810 წელს რუსეთის ელჩი ა. კურაკინი პარიზიდან პეტერბურგში აცნობებდა: „ეჭვგარეშეა, რომ ნაპოლეონს ეს ომი საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი"[192]. 1810 წლის ბოლოს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ახალი საბაჟო ტარიფი დაამტკიცა, რის წყალობითაც გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანა და, ამავე დროს, შემცირდა ფუფუნების საგნების შემოტანა. ახალი საბაჟო ტარიფი საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და, რაღა თქმა უნდა, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა[193]. ნაპოლეონი რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის მზადებას

---

[189] Советская историческая Энциклопедия, т. 10, М., 1967, с. 665.

[190] ესპანელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ნაპოლეონის არმიას. ბაღლენთან მათ დაამარცხეს გენ. დიუპონის კორპუსი.

[191] М. Богданович, История царствования императора Александра первого и Россия в его время, т. III, СПБ., 1869, с. 116.

[192] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

[193] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

აღარ მალავდა. 1810 წელს ჰოლანდიიდან დაბრუნებულმა განაცხადა: „5 წლის შემდეგ მე მსოფლიოს მფლობელი ვიქნები... რჩება მხოლოდ რუსეთი, მე იმასაც გავსრეს... პარიზი სენ-კლუმდე გაავრცელებს თავის გავლენას... მე ყოველ წელს 15 გემს ვაშენებ, როცა 150 გემი მექნება, ზღვაზეც ვიბატონებ“[194]. 1811 წლის ბოლოსათვის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა მაქსიმალურად დაიძაბა. რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან ნაპოლეონმა 200-ათასიანი არმია დააბანაკა. აღმოსავლეთ პრუსია და ვარშავის საჰერცოგო საფრანგეთის ჯარებით აივსო. აქვე იყო სურსათ-სანოვაგისა და არტილერიის უზარმაზარი საწყობები, რაც ნათლად მეტყველებდა საომარი მოქმედების მოახლოებაზე.

1811 წლის დეკემბრის ბოლოს პარიზიდან რუსეთის საელჩოს მრჩეველი გრაფი ჩერნიშოვი პეტერბურგში იწერებოდა: „საფრანგეთის გვარდიამ სალაშქროდ მზადყოფნის ბრძანება მიიღო. გვარდიაში იარაღის შემოწმება დაიწყეს, რაც, ყოველთვის, საომარი მოქმედების დაწყების წინ ხდება“. იმავე ჩერნიშოვის აზრით, ნაპოლეონი მალე რუსეთის წინააღმდეგ დაიძრებოდა. რუსეთის მთავრობის მითითებით, იმპერიის დასავლეთ საზღვრებთან სიმაგრეებისა და სასურსათო საწყობების მშენებლობა და მარაგის მიზიდვა დაიწყო. 1812 წლის თებერვალში ნაპოლეონმა პრუსიის მეფესთან სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმა. მარტის დასაწყისში ასეთივე ხელშეკრულება დასდო ავსტრიასთან. ამ ხელშეკრულებებით პრუსიისა და ავსტრიის არმიები ნაპოლეონის განკარგულებაში გადადიოდნენ. ნაპოლეონი ომისათვის მზად იყო.

1812 წლის 5 აპრილს რუსეთმა სამოკავშირეო ხელშეკრულება დასდო შვედეთთან, 18 ივლისს—ინგლისთან და 20 ივლისს—ესპანეთთან [195]. ომის დაწყების წინ, ნაპოლეონი ყოველთვის ინტერესდებოდა თუ როგორი მხედართმთავარი ჰყავდა მოწინააღმდეგეს, როგორი ორგანიზაცია იყო სარდლობაში, ძლიერი იყო თუ არა მთავარსარდალი? 1812 წლის ომის წინ, ნაპოლეონი მისთვის საინტერესო ზემოაღნიშნულ კითხვებს დაბეჯითებით პასუხობდა: რუსებს ჰყავთ მხოლოდ ერთი ნამდვილი, კარგი გენერალი ბაგრატიონი, მაგრამ მას მეორეხარისხოვანი როლი აკისრია. ბენიგსენი უნიჭოა და ისიც მეორეხარისხოვან როლს ასრულებს[196]. კუტუზოვი ნაპოლეონმა აუსტერლიცთან დაამარცხა, მაგრამ აბუჩად მაინც არასდროს არ იგდებდა, მას ეშმაკ და წინდახედულ წინამძღოლად თვლიდა. ბარკლაი-დე-ტოლზე

---

[194] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.
[195] Советская историческая Энциклопедия, т. 10, с. 665.
[196] Е. Тарле, Сочинения в двенадцати томах, т. VII, М., 1959, с. 255.

ცნობები არა ჰქონდა, მას რუსეთის საშუალო გაქანების გენერლად თვლიდა, რომელზეც ფრანგები დიდი წარმოდგენის არ იყვნენ. მეორე კითხვაზე დაბეჯითებით პასუხობდა, რომ რუსეთის არმიაში არ იყო ერთმმართველობა[197]. სარდლობაში ორგანიზაცია, საერთოდ, მოისუსტებდა. სამხედრო საქმეებში ერეოდა იმპერატორი, რომელსაც წარმოდგენა არა ჰქონდა, რას აკეთებდა. ნაპოლეონმა ყველაფერი ეს კარგად იცოდა და, ამიტომაც, არ ეშინოდა ომის დაწყებისა.

რუსეთის არმიისათვის ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ბაგრატიონი სრულიად მოწყვეტილი იყო არმიას. იგი ცხოვრობდა ნევის გამზირზე ფამინცინის სახლში, სადაც თითქმის ყოველდღე დიდი სტუმრიანობა იყო.

ბაგრატიონი ჩვეული ხელგაშლილობით იღებდა და უმასპინძლდებოდა ყველას, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

1811 წელს ბაგრატიონმა დავით ბატონიშვილისაგან 5 ათასი მანეთი ისესხა ოქროთი (დაახლოებით 10 ათასი მანეთი ასიგნაციით) და იმავე დროს 7 ათას ხუთასი მანეთი გენერალ ბოლატოვის მეუღლეს გამოართვა სესხად. იმავე წლის ივნისში კი მან ბარკლაი-დე-ტოლის მეშვეობით ალექსანდრე პირველს მიმართა თხოვნით, რათა შვებულებაში გაეშვათ და წინასწარ მიეცათ კუთვნილი იჯარა 9 ათასი მანეთი[198]. იმპერატორმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ბაგრატიონმა შვებულებაც და ხსენებული თანხაც მიიღო და მამიდა ანა ალექსანდრეს ასულისა და მისი მეუღლის ბორის ანდრიას ძე გოლიცინების სამფლობელოში — სიმში წავიდა დასასვენებლად. ბაგრატიონი მთელი ზაფხულის გატარებას იქ აპირებდა და სრულებითაც არ უფიქრია, რომ პეტერბურგში დაბრუნება აღარ ეწერა. მას დიდხანს არ დაუსვენია სიმში. აგვისტოს პირველ ნახევარში იმპერატორის რესკრიპტი მიიღო პოდოლსკის არმიის მთავარსარდლად დანიშვნის შესახებ და საჩქაროდ გაემგზავრა მოსკოვში, პეტერბურგში არც კი ჩასულა, ისე გაეშურა ჟიტომირისაკენ, სადაც პოდოლსკის არმია იდგა. ახალი მთავარსარდალი საჩქაროდ შეუდგა არმიის საბრძოლველად მომზადებასა და სურსათ-სანოვაგის მარაგის მოზიდვას. ბაგრატიონმა არმიის მდგომარეობისა და სხვა სერიოზულ საკითხებთან დაკავშირებით პეტერბურგში ჩასვლის ნებართვა სთხოვა იმპერატორს. ალექსანდრე პირველმა უარი შეუთვალა და დასძინა „მთავარსარდლებს ახლანდელ დროს არ შეუძლიათ თავიანთი ადგილებიდან წასვლა“. ბაგრატიონმა მომავალი საომარი მოქმედების გეგმა შეად-

---

[197] ე. ტარლე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

[198] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

გინა და იმპერატორს გაუგზავნა. გეგმა შეტევითი სულისკვეთებით იყო შედგენილი. მასში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი არმიის მატერიალურ მომარაგებასა და რეზერვის მომზადებას.

გეგმა არ იქნა მიღებული, თუმცა, სამხედრო სპეციალისტების აზრით, ბაგრატიონის მიერ შედგენილი გეგმა ბევრ სერიოზულ და საჭირო მოსაზრებას შეიცავდა. საომარი მოქმედება კარზე იყო მომდგარი და რუსეთის არმიას სამხედრო გეგმა არ გააჩნდა. არ იყო დანიშნული არმიის მთავარსარდალი. ზოგიერთი მხედართმთავრის სიტყვით, რუსეთის არმიას საომარი მოქმედების ერთიანი გეგმა არ გააჩნდა ფრანგების მიერ მოსკოვის დაკავებამდე[199].

1812 წლის მარტში რუსეთის სამხედრო მინისტრი ინფანტერიის გენერალი ბარკლაი-დე-ტოლი დაინიშნა დასავლეთის პირველი არმიის მთავარსარდლად, იმავე დროს დარჩა სამხედრო მინისტრადაც. სამხედრო მინისტრის საქმეებს დროებით, ბარკლაი-დე-ტოლის არმიაში ყოფნისას, ენ. ა. გორჩაკოვი აწარმოებდა. დუნაის არმიის მთავარსარდლად მ. კუტუზოვი დაინიშნა, დასავლეთის მეორე არმიის მთავარსარდლობა კი პ. ბაგრატიონს ებოძა, გენერალი ა. ტორმასოვი მესამე სარეზერვო არმიის მთავარსარდალი გახდა. რუსეთის არმიას ოთხი მთავარსარდალი ჩაუდგა სათავეში. ერთმმართველი მთავარსარდალი კი, როგორც აღინიშნა, საომარი მოქმედების პირველ ეტაპზე რუსეთის არმიას არ ჰყოლია. მთავარსარდლის როლს, როგორც დასავლეთის პირველი არმიის უფროსი, ბარკლაი-დე-ტოლი ასრულებდა, თუმცა ალექსანდრე პირველი ერეოდა ყველა საქმეში. იმპერატორი სამხედრო ნიჭით არ იყო დაჯილდოებული. მაგრამ მხედართმთავრულ დიდებას ნატრობდა. 1811 წლის ოქტომბერში გრაფ ნესელროდესთან საუბარში ალექსანდრე პირველმა განაცხადა: „ომის შემთხვევაში განზრახული მაქვს არმიის სათავეში დავდგე“ [199]. 1812 წლის აპრილში იმპერატორი გენერალთა თანხლებით[200] ვილნოში გაემგზავრა, სადაც არმია უნდა დაეთვალიერებინა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნ. რუმიანცევმა საფრანგეთის ელჩს ლორისტონს იმპერატორის ვილნოში გამგზავრების მიზანი აუხსნა და ბოლოს დასძინა: „ამ მოგზაურობის მიზანია არ დაუშვას შემთხვევითობა, რომელიც ომს გამოიწვევდა“. ვილნოში ალექსანდრე პირველი არმიის მთავარ ბინაში მივიდა, სადაც ბარკლაი-დე-ტოლი და არმიის სხვა ხელმძღვანელები იმყოფებოდნენ. აქ იმპერატორმა ჯარი დაათვალიერა და საკმაოდ კარგი შეხედულება დარჩა არმიის საბრძოლო მდგო-

---

[199] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 172.

[200] იმპერატორს ახლდნენ: კონსტანტინე პავლეს ძე, არაკჩეევი, ბენიგსენი, ფულე, შტეინი და სხვ.

მარეობაზე. აპრილის მეორე ნახევარში ალექსანდრე პირველი ფელდმარშალ სალტიკოვს სწერდა პეტერბურგში: „ჩვენთან ყველაფერი ჯერ კიდევ წუნარადაა. არმია საუკეთესო სულისკვეთებითაა. არტილერია, რომლის დათვალიერებაც მოვასწარი, შესანიშნავ მდგომარეობაშია“ [201].

იმპერატორის კმაყოფილება მოჩვენებითი იყო, ვინაიდან რუსეთის არმიას არ ჰქონდა სწორი ცნობები ფრანგების შესახებ და არც თვით მათ წინაშე მდგარი ამოცანები იყო გარკვეული. ომის დაწყებამდე ცხრა დღით ადრე იქნა მიღებული მითითება: ფრანგების შემოტევისას რუსეთის არმია თავდაცვაზე ყოფილიყო და ჭარბი ძალების შემოტევისას უკან დაეხიათ ნოვოგრუდოვ-მინსკ-ბორისოვოს მიმართულებით. ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ბაგრატიონმა ორი წერილი მისწერა იმპერატორს. პირველ წერილში არმიის სტრატეგიულ განლაგებას აკრიტიკებდა და დასძენდა, რომ უკანდახევის დროს ჯარს დიდი ზარალი მოუვიდოდა. მეორე წერილში ბაგრატიონი არმიის აქტიური მოქმედების საკითხს აყენებდა. არც ერთ წერილს პასუხი არ მოჰყოლია[202]. 24 ივნისს ალექსანდრე პირველის პატივსაცემად გამართულ ბალს პირველი არმიის თითქმის ყველა გენერალი ესწრებოდა. გვიან ღამით იმპერატორს აცნობეს ფრანგების გადმოსვლა ნემანზე[203]. ნაპოლეონმა გამოუცხადებლად დაიწყო ომი რუსეთის წინააღმდეგ[204].

ნაპოლეონის 520-ათასიანმა არმიამ ნემანი გადმოლახა. დამატებითი სამხედრო ძალების მიღების შემდეგ საფრანგეთის არმია 580 ათას მებრძოლს ითვლიდა[205]. ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ დასავლეთის საზღვრებთან 205—210-ათასიანი სამი დამოუკიდებელი არმია იდგა. დასავლეთის 110-ათასიანი არმია ბარკლაი-დე-ტოლის მეთაურობით ნემანთან იყო განლაგებული. მის შეიარაღებაში 558 ზარბაზანი შედიოდა. დასავლეთის 50-ათასიანი მეორე არმია პოდოლსკის არმიის ბაზაზე იყო ჩამოყალიბებული და პ. ბაგრატიონი მეთაურობდა. ამ არმიას 180 ზარბაზანი ჰქონდა და ვოლკოვისკის მიდამოებში იდგა. დასავლეთის მესამე არმია 45 ათას მებრძოლს ითვლიდა. მის შეიარაღებაში 165 ზარბაზანი შედიოდა. ეს არმია სარეზერვო იყო.

---

[201] ფელდმარშალი სალტიკოვი ახალი დანიშნული იყო რუსეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ.

[202] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

[203] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 212.

[204] Советская историческая Энциклопедия, т. 10, с. 670.

[205] М. Богданович, История отечественной войны 1812 года, по достоверным источникам, т. III, СПБ., 1860, с. 517.

და ამიტომ მეორე არმიიდან დიდი მანძილით, 200 კილომეტრამდე მოცილებით იდგა ლუცკის რაიონში. ამ არმიას გენერალი ტორმასოვი მეთაურობდა. არმიის მთავარსარდალი არ იყო დანიშნული და, როგორც აღინიშნა, დასავლეთის პირველი არმიის მთავარსარდალი ბარკლაი-დე-ტოლი ახორციელებდა არმიებისადმი ხელმძღვანელობას. უფრო ზუსტად, იმპერატორი განაგებდა სამხედრო ოპერაციების ბედ-იღბალს.

25 ივნისს, დილით, ალექსანდრე პირველმა ნაპოლეონთან პოლიციის მინისტრი ა. ბალაშოვი გაგზავნა, რათა მოწინააღმდეგისათვის მოლაპარაკება შეეთავაზებინა, იმ პირობით, რომ ფრანგები რუსეთის საზღვრებიდან გავიდოდნენ[206]. იმპერატორი დარწმუნებული იყო, რომ ნაპოლეონი უარს იტყოდა მოლაპარაკებაზე. ა. ბალაშოვის ნაპოლეონთან გაგზავნის წინ ალექსანდრე პირველმა განაცხადა: „ჩვენში რომ ითქვას, მე არც ველი ამ მისიისაგან ომის შეწყვეტას, მაგრამ იცოდეს ევროპამ, რომ ჩვენ არ ვიწყებთ ომს“[207]. იმპერატორმა წაიკითხა თავისი ხელით დაწერილი წერილი და მისცა ა. ბალაშოვს ნაპოლეონისთვის გადასაცემად. ბალაშოვს ყოველ ნაბიჯზე აჩერებდნენ, გაუძნელდა ნაპოლეონთან მისვლა და ვილნოში შეხვდა საფრანგეთის იმპერატორს. ვილნო უკვე აეღოთ. ნაპოლეონმა ალექსანდრე პირველის წარგზავნილს სასტიკი უარი განუცხადა და მუქარით გამოისტუმრა[208].

საფრანგეთის არმია თანდათან მიიკვლევდა გზას რუსეთის შუაგულისაკენ. ნაპოლეონის ძალების სიჭარბის გამო დასავლეთის ორივე არმია უკან იხევდა დრისის ბანაკისაკენ, რაც გენ. ფულეს გეგმით იყო გათვალისწინებული. ნაპოლეონს ორივე არმიის ცალ-ცალკე განადგურება ჰქონდა განზრახული. ფრანგთა ჭარბი ძალები ფეხდაფეხ მისდევდნენ უკანდახეულ ბაგრატიონის არმიას. 28 ივნისს ბაგრატიონმა სოფელ მირთან გაანადგურა ფრანგების ავანგარდი, რომელსაც ვესტფალის მეფე იერონიმი მეთაურობდა. უკან დახევისას, მოსახლეობის სიმშვიდის დაცვასაც არ ივიწყებდა. თავისი არმიისადმი ერთერთ ბრძანებაში აღნიშნავდა: „...გიცხადებთ, რომ პირველი, ვინც იქნება მხილებული მოსახლეობის წინააღმდეგ რაიმე ძალადობის ჩადენაში, დაიხვრიტება, ხოლო ასეულის, ესკადრონის ან ათასეულის უფროსი ჩამოქვეითებული იქნება რიგითად“[209]. ბაგრატიონის არმია ორგანიზებულად იხევდა უკან და ხშირად დიდ ზარალსაც აყენებდა მო-

[206] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 215.

[207] იქვე.

[208] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

[209] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

წინააღმდეგეს. 11 ივლისს სალტანოვკასთან დაეცა 60-ათასიან არმიას ბაგრატიონის არმიაში შემავალი რაევსკის 10-ათასიანი კორპუსი ებრძოდა. რუსებმა თავიანთი პოზიციები არ დათმეს. ბაგრატიონი აღტაცებული იყო რაევსკის კორპუსის გმირობით და კორპუსი ერთი დივიზიით გააძლიერა. მეორე დღეს დაეცა 60-ათასიან არმიას მარშალ მორტიეს კორპუსი შეუერთდა. 13 ივლისს გათენებისას ბაგრატიონის არმიამ დნეპრი გადალახა და სმოლენსკის გზას დაადგა. მალე რაევსკის კორპუსიც შეუერთდა ბაგრატიონის არმიას. ბაგრატიონის არმიის შეერთება ძირითად ძალებთან თითქმის შეუძლებელი იყო. ნაპოლეონი დარწმუნებული იყო, რომ მეორე არმია ვერ შეძლებდა პირველ არმიასთან შეერთებას და გადაწყვეტილი ჰქონდა ბაგრატიონის არმიის განადგურება. საფრანგეთის ყოფილ ელჩს პეტერბურგში, კოლენკურს, თავის მემუარებში მოჰყავდა ნაპოლეონის განცხადება: „ბაგრატიონის კორპუსი ვერ მოახერხებს არმიის მთავარ ძალებთან შეერთებას, რომ ის შეპყრობილი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ განადგურებული იქნება, რაც გარკვეულ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვინაიდან ბაგრატიონი ძველი თანამებრძოლია სუვოროვისა“ [210]. ნაპოლეონის იმედები არ გამართლდა. ბაგრატიონმა დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს და ძირითად ძალებსაც შეუერთდა[211]. პეტერბურგში კვლავ ბაგრატიონის გმირობაზე ალაპარაკდნენ. რუსი მებრძოლების გმირობაზე სხვადასხვაგვარი ფურცლები იბეჭდებოდა. ერთ-ერთ მათგანზე სუვოროვისა და ბაგრატიონის სურათები იყო მოთავსებული. სურათების ქვემოთ კი — სუვოროვის მიმართვა ბაგრატიონისადმი ლექსად:

Еще при мне бросать ты граны научился
и лавры смело пожинал,
ко славе ревностно стремился,
и я наперсником своим тебя избрал,
наследуй в славе мне, герой!
и, часть твоя,
в тебе воскресну Я![212]

მართლაც ბაგრატიონის უშუალო დამსახურება იყო ორივე არმიის დანიშნულ ადგილზე შეერთება. ბაგრატიონის ადიუტანტი ნ. გოლიცინი არმიების შეერთების შესახებ წერდა: „სწრაფი და მაღალი ხელოვნებით შესრულებული მარში, რომელსაც ჩვენ უნდა ვუმად-

[210] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.
[211] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.
[212] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

ლოდეთ რუსეთის არმიების შეერთებას სმოლენსკთან, აყენებს ბაგრატიონს 1812 წელს რუსეთის მხსნელთა რიგებში"[213].

ბაგრატიონი დარწმუნებული იყო თავისი მოქმედების სისწორეში. ალექსანდრე პირველისა და მისი მთავარი ბანაკის შეხედულების მიუხედავად, ხშირად დამოუკიდებლად წყვეტდა საომარი მოქმედების საკითხებს. იმპერატორი გერმანელებით იყო გარემოცული. ზოგი მათგანი რუსულ ენას ვერ დაუფლებოდა და თარჯიმნის მოშველიებით საქმიანობდა იმპერატორის კარზე. ყველა მათგანს უსმენდა იმპერატორი, ამიტომაც ხშირად ხდებოდა არმიაში გენერლებისა და მხედართმთავართა განთავისუფლება-დანიშვნა. ბაგრატიონი გულისტკივილით აღნიშნავდა: „მთელი მთავარი ბანაკი გერმანელებით არის სავსე, ისე, რომ რუსს არ ეცხოვრება. ღმერთმანი ჭკუაზე შემშალეს ამ გაუთავებელი ცვლილებებით"[214]. ბაგრატიონი უკმაყოფილო იყო ბარკლაი-დე-ტოლის გაუთავებელი უკანდახევითაც. ამისათვის ხშირად აკრიტიკებდა კიდეც, რაც კარგად იცოდა უკანდახევით გატაცებულმა ბარკლაიმ. არმიების სმოლენსკთან შეერთებამდე, რამდენიმე დღით ადრე, ბარკლაი-დე-ტოლიმ ბაგრატიონს წერილი მისწერა, სადაც განსაკუთრებით აღნიშნავდა: „ჩვენ შეიძლება არც ერთი არ ვიყოთ მართალი, მაგრამ სამსახურის, ხელმწიფისა და ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობა მოითხოვს ჭეშმარიტ თანხმობას ჩვენ შორის, რომლებსაც მონდობილი გვაქვს არმიების მეთაურობა" [215]. ბაგრატიონს ბარკლაი-დე-ტოლის ქედმოხრილი ტონით დაწერილი წერილი ესიამოვნა და დროებით ხელი აიღო მის კრიტიკასა და აბუჩად აგდებაზე. თავის საპასუხო წერილში იგი წერდა: „პატივი მაქვს გიპასუხოთ, რომ მე თქვენს წადილს ხალისით ვემორჩილები. მზად ვარ ყოველთვის მიყვარდეთ და თქვენთან კეთილგანწყობაში ვიყო, როგორც ყველაზე ახლობელთან, მაგრამ ახლა თქვენ უფრო მეტად დამარწმუნეთ თქვენი წერილით და უფრო მეტად დამაკავშირეთ თქვენთან. მაშასადამე, არა მარტო მშვიდობას ჩვენ შორის, არამედ გთხოვთ მჭიდრო მეგობრობას, მაშინ [illegible] ჩვენ ვერავინ ვერ დაგვამარცხებს"[216].

არმიების შეერთების შემდეგ ხარისხით მაღლა მდგომი ბაგრატიონი თავისი სურვილით ბარკლაი-დე-ტოლის დაემორჩილა, როგორც სამხედრო მინისტრს[217]. პირველი შეხვედრისას ბაგრატიონმა ბარკლაი-

---

213 ნ. ნაკაშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 92

214 ა. შერვაშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. [illegible]

215 В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი [illegible]

216 იქვე.

217 Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, ტ. 261

ვ. ბაგრატიონი 1812 წელს

დე-ტოლის მიმართა: „გიცხადებთ, როგორც უფროსს. რუსეთი განსაცდელშია, ჩვენ მხოლოდ სამშობლოს ხსნაზე უნდა ვიფიქროთ და ამ მიზნისაკენ წარვმართოთ ჩვენი სამხედრო ღონისძიებანი“.

ალექსანდრე პირველი კმაყოფილებით შეხვდა ორი მთავარსარდლის შერიგებას. მან დაუყოვნებლივ მისწერა თავად ბაგრატიონს: „ვიცი რა თქვენი გულმოდგინება სამსახურისადმი და სამშობლოსადმი სიყვარული, დარწმუნებული ვარ, რომ, (სამშობლოსათვის) ამჟამად ესოდენ მნიშვნელოვან დროს, თქვენ მოიშორებთ ყველა პირად განზრახვას და გექნებათ ერთადერთი მიზანი — სარგებლობა და დიდება რუსეთისა. თქვენ იმოქმედებთ ამ მიზნის მისაღწევად ერთსულოვნად, განუწყვეტელი შეთანხმებით. რითაც მიიღებთ ჩემი მადლიერების ახალ უფლებას“[218]. ბაგრატიონის არმიის ძირითად ძალებთან შეერთებით განრისხებული ნაპოლეონი სმოლენსკს უახლოვდებოდა. 4 აგვისტოს სმოლენსკისათვის ხარბაზნების დაშენა და შემდეგ ქალაქის აღება ბრძანა. რუსი მებრძოლები თავგამოდებით იგერიებდნენ ფრანგთა შემოტევას. ქალაქი ხანძარში გაეხვია. ნაპოლეონის არმია სმოლენსკის მისადგომებთან გამაგრდა. 5 აგვისტოს დილიდან ფრანგებმა შეტევა განაახლეს. გვიან ღამით რუსეთის არმიამ სმოლენსკი დატოვა. ქალაქი ფრანგებმა დაიკავეს.

ბაგრატიონსა და ბარკლაი-დე-ტოლის შერიგება საფუძველს მოკლებული იყო. მათ შორის არ შეიძლებოდა კარგი დამოკიდებულების დამყარება.

დენის დავიდოვი ორი გენერლის ურთიერთობაზე წერდა: „ორივე გენერალს სასტიკად სძულდათ ერთმანეთი. ბაგრატიონს ეზიზღებოდა ბარკლაი, მას ბრალს სდებდა სამშობლოს ღალატში. ყოველნაირად აშავებდა და სახელს უტეხდა... ბარკლაის დანიშვნა პირველი არმიის მხედართმთავრად და თავად ბაგრატიონის მასზე დაქვემდებარება დიდად ამცირებდა ამ უკანასკნელს. მათ ურთიერთობაში თავი იჩინა უნდობლობის გრძნობამ, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა მათი ხასიათის სხვადასხვაობისა და ერთნაირი მდგომარეობის გამო. მგზნებარე, ფიცხი, მტკიცე ხასიათის მქონე თავადი ბაგრატიონი ვერ ეგუებოდა ცივსა და ანგარიშიან ბარკლაის თავისი ბრწყინვალე, გულღია ხასიათის გამო, მისი ქვეშევრდომები დიდი სიყვარულითვე პასუხობდნენ და მისი მაგალითით აღფრთოვანებული გმირებად იქცეოდნენ, ხოლო მშიშარა, ნაკლებ გულღია ბარკლაი კი, მიუხედავად თავისი ღირსებებისა, პირიქით, თავის გარშემო ჯარს ვერ იკრებდა... ბაგრატიონი, დიდი სუვოროვის მსგავსად, მცირედ უკანდახევასაც კი ვერ

---

[218] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

იტანდა; უკიდურესობამდე იყო შეწუხებული სამშობლოს ბედით, ბარკლაის მეთოდიკურს უწოდებდა... ის დაჟინებით მოითხოვდა მტრის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლას. თუ ჩვენ შეტევაზე არ გადავალთ, მე ვიხდი მუნდირს, ჩვენ ხომ შეგვიძლია ფრანგები თავით ჩამოვკიდოთ...“[219] სმოლენსკის დატოვების გამო ბაგრატიონსა და ბარკლაი-დე-ტოლის შორის ურთიერთობა კვლავ დაიძაბა. ბარკლაი-დე-ტოლის მითითებით არმიის კვლავ უკანდახევით აღშფოთებული ბაგრატიონი ბოსკოვში როსტოპჩინს სწერდა: „ბარკლაიმ ტყუილად დათმო ხელსაყრელი პოზიცია... ის ფრანგებს თქვენთან ჩამოიყვანს“[220]. შემდეგ წერილში წერდა: „მითხარით, ღვთის გულისათვის, რას იტყვის ჩვენი დედა რუსეთი, რომ ასე ვირცხვენთ თავს. ... ვისი გვეშინია. ჩემი ბრალი არ არის, რომ მინისტრი მერყევი, მხდალი, უნიჭო და ზანტია...“[221] პეტერბურგში ბევრი საჩივარი მიდიოდა ბარკლაი-დე-ტოლიზე. ბარკლაი-დე-ტოლი რუსეთის არმიის მთავარსარდლად არ იყო დანიშნული. იგი, როგორც სამხედრო მინისტრი და პირველი არმიის მთავარსარდალი, მთელ არმიას ხელმძღვანელობდა. ალექსანდრე პირველს არ უნდოდა მისი შეცვლა ახლით, მაგრამ არმია და პეტერბურგის საზოგადოება მის გადაყენებას მოითხოვდა. სმოლენსკის დატოვების შემდეგ კი აუცილებელი გახდა საჩქაროდ მთავარსარდლის დანიშვნა. არმიის გენერლებს ბაგრატიონის დანიშვნა უნდოდათ მთავარსარდლად[222].

---

[219] Д. Давыдов, Военные записки, с. 440.

[220] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

[221] იქვე.

[222] სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული დიდი მხედართმთავარი ზოგ საკითხში სახელმწიფო მოღვაწედაც გვევლინება. ბაგრატიონი დიდი პატრიოტი და ერთგული მსახური იყო რუსეთისა და იმპერიის გაძლიერებაში საქართველოს კეთილ მომავალს ხედავდა, რაც ნათლად ჩანს 1806 წელს ამილახვრისადმი მიწერილი წერილიდან:

„მათს ბრწყინვალებას ამილახვარს ოთარს, ჩემს მწყალობელს უფალს! შესაბამსა პატივისცემასა მიუძღვანებთ. ვიცი ჩვენს ამბავს ინებებთ სმენად და ყოველსავე ჩვენს ამბავს ჩემი ძმა კნიაზი რომან ივანიჩი გიამბობთ; სხვაბრ ვითხოვ თქვენის კეთილ გონიერებისაგან, რომ თქვენის ჩვეულებისამებრ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ერთგულებასა და თქვენის ქვეყნის სამსახურში გულსმოდგინე იყოთ. ვინათგან მათს დიდებულებას ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს სრულის გულით სურს, რომ საქართველო ყოვლით მხრით მშვიდობასა და ბედნიერებაში იყოს დაცული; ამისათვის თქვენც გმართებთ, რომ ყოველნივე თქვენნი ნათესავნი და მოყვარენი განამტკიცოთ ხელმწიფის ერთგულებასა და ქვეყნის სამსახურში. თქვენვე იცით, თუ რუსეთის უძლეველი მხედრობა და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას არ შესწეოდა, აქამდინ დიდს უბედურებას მიეცემოდა და ამისათვის გმართებთ სრულის ერთგულებით სამსახური ხელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა; და გირჩევთ სიყვარულით, როგორც მანდ მყოფთ ჯართა დასჭირდეთ

როგორც მოსკოვის გუბერნატორის ფ. როსტოპჩინის ჩანაწერებიდან ირკვევა, ბევრ მოწინავე და გავლენიან გენერალს კუტუზოვისათვის დაუვალებია იმპერატორისათვის ეთხოვა ბარკლაი-დე-ტოლის შეცვლა თავად ბაგრატიონით[223]. არმიაში ზოგი ბენიგსენის მომხრე იყო, მაგრამ მეტი წილი გენერლებისა ბაგრატიონის კანდიდატურას უჭერდა მხარს[224]. ბაგრატიონის სამხედრო ნიჭსა და დიდებას ევროპა იცნობდა, მაგრამ მთავარსარდლად მისი დაყენება ალექსანდრე პირველმა არ ისურვა, რადგან „მისი გვარი ისევე, როგორც ბარკლაისა, არ იყო რუსული“[225].

იმპერატორმა მთავარსარდლის დასანიშნავად სპეციალური კომიტეტი შექმნა: მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის გენერალ-ფელდმარშალ ნ. სალტიკოვის, პოლიციის მინისტრ ა. ბალაშოვის, პეტერბურგის მთავარსარდალ ს. ვიაზმიტინოვისა და ორი საიდუმლო მრჩევლის — პ. ლოპუხინისა და გრაფ ვ. კოჩუბეის — შემადგენლობით[226]. კომიტეტს უნდა შეერჩია რუსი გენერლებისაგან ისეთი პირი, რომელიც ცნობილი იყო სამხედრო მოღვაწეობით, ექნებოდა დიდი საბრძოლო გამოცდილება, არმიის ნდობა და მაღალი ჩინი. კომიტეტის სხდომაზე სხვადასხვა კანდიდატურა იქნა დასახელებული. კანდიდატთა შორის იყო პ. ბაგრატიონი, დ. დოხტუროვი, ლ. ბენიგსენი, ა. ტორმასოვი და სხვ. კომიტეტის სხდომაზე მ. კუტუზოვის კანდიდატურა ერთხმად იქნა მიღებული. მთავარსარდლის პოსტზე მ. კუტუზოვის არჩევის გადაწყვეტილება იმპერატორისათვის სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ა. გორჩაკოვს უნდა მო-

---

პური, თუ სხვა სახმარი ნივთი, შეძლებისამებრ შეეწიენეთ და სასყიდელიც მიიღეთ ხელმწიფისაგან. თქვენს ბრწყინვალებას ვარწმუნებ ამას, რომ თუმცა არ მინახვიხართ, მაგრამ ვიცი ჩემის ძმის კნიაზ რომანი ივანიჩისაგან თქვენი კეთილი გონიერება და ერთგულება ხელმწიფისა, რომლისათვისაც მოხარული ვარ და კიდევაც ვითხოვ თქვენგან: თქვენი ჩვეულებრივი სიმხნე და ერთგულება ხელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა არ მოშალონ, რომლისთვისაც ხელმწიფისაგან მიიღებთ საკმაო წყალობასა; და იქნება მეც მოვიდე და თვითონ მე გაჩვენებთ საქმით ერთგულებასა და სიყვარულსა, და სხვებრ დავშთები უმჭვერვალესსა პატივისცემასა შინა თქვენსა.

თქვენის ბრწყინვალების მარად მსახურების მოსურნე

კნიაზ პეტრე ბაგრატიონი“. იხ. იოსელიანი, ა. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბილისი, 1952, გვ. 215—216, საბუთი № 9; დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1971, გვ. 79—82.

[223] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

[224] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

[225] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

[226] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

ეხსენებინა. იმპერატორი კვლავ იკავებდა თავს ბარკლაი-დე-ტოლის გადაყენებისაგან. ასეთ ვითარებაში ალექსანდრე პირველმა მიიღო ბაგრატიონის წერილი, რომელიც მოითხოვდა ბარკლაის გადაყენებას. სმოლენსკის დატოვებით უკმაყოფილო იმპერატორი კომიტეტის გადაწყვეტილებას დაეთანხმა[227].

17 აგვისტოს კუტუზოვი დაინიშნა რუსეთის არმიის მთავარსარდლად. 29 აგვისტოს, დღის სამ საათზე, მ. კუტუზოვი ცარიევო-ზაიმიშჩეში შეჩერდა, სადაც ორივე არმიის მთავარი ბინა იყო. სწორედ აქ უნდოდათ ბარკლაი-დე-ტოლისა და ბაგრატიონს ფრანგებთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმა. კუტუზოვი მიესალმა მის შესახვედრად ჩამწკრივებულ საპატიო ყარაულს და თავისთვის თქვა: „აბა, როგორ შეიძლება ასეთი ვაჟკაცებით უკან დახევა!“[228]. მებრძოლები ვაშას შეძახილით შეხვდნენ საქვეყნოდ ცნობილ მთავარსარდალს. ჯარისკაცებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს: „კუტუზოვი მოვიდა ფრანგების დასამარცხებლად“[229]. 67 წლის მ. კუტუზოვმა მთავარსარდლობა ჩაიბარა და საფრანგეთის არმიასთან გენერალური ბრძოლისათვის მზადებას შეუდგა. ნაპოლეონის არმია საგრძნობლად იყო შემცირებული. სმოლენსკის დაკავების შემდეგ იგი 180 ათასამდე მებრძოლს ითვლიდა მხოლოდ[230]. ამიტომ იყო, რომ ნაპოლეონმა რამდენჯერმე შესთავაზა ალექსანდრე პირველს ზავი, მაგრამ პასუხი არც ერთხელ არ მიუღია. აგვისტოში ალექსანდრე პირველმა ვილსონს განუცხადა: „გიმეორებთ თქვენ და, გთხოვთ, ჩემი სახელით გამოაცხადოთ, რომ ნაპოლეონთან არავითარ მოლაპარაკებაზე არ ვიქნები თანახმა, მანამ ერთი შეიარაღებული ფრანგი იქნება რუსეთში... უკეთესია წვერი მოვუშვა სარტყელამდე და კარტოფილი ვჭამო ციმბირში“[231].

ალექსანდრე პირველი გენერალური ბრძოლის გამართვას მოითხოვდა. ახალმა მთავარსარდალმა მ. კუტუზოვმა ნაპოლეონის არმიასთან გენერალური ბრძოლის ასპარეზად ბოროდინო აირჩია. 22 აგვისტოს (3 სექტემბერს) მოწინააღმდეგეებმა ბოროდინოსთან საბრძოლო პოზიციები დაიკავეს. ნაპოლეონის არმია 135 ათას კაცს ითვლიდა, რომელთა განკარგულებაში 587 ზარბაზანი იყო. რუსეთის არმია კი 132 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა, მათ შეიარაღებაში შედიოდა 624 ზარბაზანი[232]. რუსეთის არმიის მარჯვენა ფრთასა და

[227] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 260.
[228] М. Богданович, История царствования Александра первого..., т. III, с. 280.
[229] იქვე.
[230] М. Богданович, История отечественной войны..., с. 519.
[231] М. Богданович, История царствования Александра первого..., т. III, с. 278—279.
[232] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

ცენტრს ბარკლაი-დე-ტოლი ხელმძღვანელობდა. ყველაზე სუსტი, როგორც კუტუზოვი ატყობინებდა იმპერატორს, მარცხენა ფრთა ბაგრატიონს ებარა. 24 აგვისტოს (5 სექტემბერს) ფრანგების ავანგარდმა შევარდინოში განლაგებულ 12 ათას მებრძოლს შეუტია. სისხლისმღვრელ ბრძოლაში ფრანგებმა მაშველი ძალები მიიღეს, მათი რიცხვი 40 ათასამდე გაიზარდა. ისინი 186 ზარბაზნით უტევდნენ მოწინააღმდეგეს. ნაპოლეონის ჭარბმა ძალებმა შევარდინო დაიკავეს. ბაგრატიონი თვითონ ჩაება ბრძოლაში, წინ გაუძღვა ჯარს და შევარდინო უკან დაიბრუნა. ბრძოლამ გვიან საღამომდე გასტანა. ბოლოს კუტუზოვმა ძირითად პოზიციებამდე დახევა ბრძანა. ბაგრატიონმა უკან დაიწია. 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ორივე მხარე კვლავ საბრძოლო პოზიციებს ამაგრებდა და გადამწყვეტი შეტაკებისათვის ემზადებოდა. 26 აგვისტოს (7 სექტემბერს) ზარბაზნების ზალპით განაახლეს ბრძოლა.

ბაგრატ ბატონიშვილი მოგვითხრობს: „26, დღესა ორშაბათსა დილასა, საათსა მეხუთესა დარაზმდენ რუსნი და ფრანცუცნი პირისპირ ურთიერთასა სოფელსა ბოროდინასა, რომელიცა შორავს მოსკოვით ასისა ვერსითა, და იწყეს ბრძოლა ეგეთი, რომელ არავისა ახსოვნან ეგეთი ბრძოლანი და არცაღა ისტორია მოგვითხრობს, რამეთუ, დღე იგი იყო ვითარცა წყვდიადი კომლთაგან ზარბაზანთასა და ქუხდენ ზარბაზანნი ორსავე მხარესა ვითარცა ცის გვრგვინვაჲ...“ [233] ნაპოლეონის მხრივ რჩეული მხედართმთავრები მეთაურობდნენ ბრძოლას. საერთო ხელმძღვანელობას თვით საფრანგეთის იმპერატორი ახორციელებდა. დილით პირველი შეტევა დავუმ წამოიწყო 25 ათასიანი კორპუსით. 102 ზარბაზანი შეუნელებლივ უშენდა ცეცხლს რუსთა მარცხენა ფრთას, რომელსაც ბაგრატიონი იცავდა 8-ათასიანი შენაერთით. დავუ მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და კონტუზიანმა დატოვა ბრძოლის ველი[234]. ფრანგების მეორე იერიშსაც არ მოჰყოლია შედეგი. თუმცა მარცხენა ფლეში აიღეს, მაგრამ ბაგრატიონის მებრძოლთა გმირულმა კონტრშეტევამ კვლავ უკუაქცია მოწინააღმდეგე. ფრანგთა მესამე შეტევით მარცხენა და მარჯვენა ფლეშები იქნა აღებული, მაგრამ ბაგრატიონმა კვლავ უკან დაიბრუნა დაკარგული პოზიცია. ჯერ ისევ დილის 9 საათი იყო, მაგრამ ფრანგები მეოთხედ გადმოვიდნენ შეტევაზე. ამჟამად ჭარბი ძალების სწრაფი შეტევით ფლეშები დაიკავეს. მთავარსარდლის მიერ გამოგზავნილი დამხმარე რეზერვის საშუალებით ბაგრატიონმა ფრანგებს შეუტია[235] და

[233] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 127.

[234] М. Богданович, დასახ. ნაშრომი, გვ. 291.

[235] იქვე, გვ. 293.

აღებული ფლეშები დაატოვებინა. ბაგრატიონი თავგანწირული იბრძოდა იმ დღეს. მას ვერ წარმოედინა ბრძოლის ველზე დამარცხება. „ყველა იმათთვის, ვინც იმ საშინელ საათებში უყურებდა თავად ბაგრატიონს, ვისთვისაც ცნობილი იყო მისი ბუნება, ვისაც ახსოვდა მისი კარიერა, ცხადი იყო, რომ ამჯერად სხვა — მესამე გადაწყვეტილება დაუშვებელი იყო: ან ფლეშები დარჩება ბაგრატიონის ხელში, ან თვითონ გამოვა მწყობრიდან მკვდარი ან მძიმედ დაჭრილი"[236]. ნაპოლეონი მთელ ძალებს ბაგრატიონის წინააღმდეგ მიმართავდა, რომელმაც რამდენიმე შეტევა მოიგერია, მაგრამ ფრანგებმა 45-ათასიანი შენაერთით მიიტანეს იერიში ბაგრატიონის პოზიციებზე. იგი 18 ათასი მებრძოლით უნდა გამაგრებოდა ჭარბ ძალებს. ნაპოლეონის მოიერიშეებს დიდი ზარალი მიაყენა ბაგრატიონმა, მაგრამ, საუბედუროდ, მძიმედ დაიჭრა. ბრძოლის ველს მაინც არ ტოვებდა, სანამ სისხლიდან დაცლილი ცხენიდან არ ჩამოვარდა. ბაგრატ ბატონიშვილი წერდა: „დღესა მას დიდად იბრძოლა თავადმან პეტრე ბაგრატოვანმან ღიანარალ-შეფმან, გარნა ეწია უბედურებაჲ, რომელ დაიკოდა ფეხსა შიგან ძლიერად და ამის გამო იწყეს რუსთაცა უკუნ ქცევაჲ..."[237]. ბაგრატიონისათვის ეს მეხუთე ჭრილობა იყო და, საუბედუროდ, უკანასკნელი.

ბაგრატიონის ექიმმა იაკობ გოვოროვმა გენერალს ჭრილობა შეუხვია, შემდეგ მედპუნქტში მიიყვანეს, სადაც არმიის მთავარმა მედინსპექტორმა ლეიბ-მედიკმა ვილიემ გასინჯა ჭრილობა, გაასუფთავა და შეახვია. 27 აგვისტოს (8 სექტემბერს) ბაგრატიონი მოსკოვში წაიყვანეს. 30 აგვისტოს დაჭრილი მხედართმთავარი თანმხლები პირებით მოსკოვში იყო. მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად დაქვეითდა. ტკივილები აწუხებდა, ციებ-ცხელება დაემართა, მადა დაეკარგა და უძილობა დასჩემდა. მოსკოვის გუბერნატორმა გრაფმა როსტოპჩინმა იმავე დღეს ინახულა ბაგრატიონი და თავის ჩანაწერებში აღნიშნა: „იგი სრულ გრძნობაზე იყო. საშინლად იტანჯებოდა, მაგრამ მოსკოვის ბედი არ აძლევდა მას არც ერთი წუთით მოსვენებას... მისი ფეხის ძვალი დამსხვრეული იყო კოჭის ზემოთ, მაგრამ მისთვის დაუყოვნებლივ ფეხის ამპუტაცია ვერ გარისკეს..."[238].

1 სექტემბერს ბაგრატიონმა შეიტყო ფრანგების მოსკოვში შესვლა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მოსკოვიდან წასვლის წინ როსტოპჩინს მისწერა: „მშვიდობით, ჩემო პატივცემულო მეგობარო! მე მოვკვდები არა ჭრილობით, არამედ მოსკოვით". 2 სექტემბერს

---

[236] Е. Тарле, დასახ. ნაშრომი, გვ. 572.

[237] ბ. ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[238] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.



პ. ი. ბაკრატიონი ბოროდინოს ბრძოლიდან გამოჰყავთ დაჭრილი

ბაგრატიონი ექვსცხენშებმული ოთხადგილიანი კარეტით ვლადიმერის გუბერნიის სოფელ სიმში წაიყვანეს, სადაც გოლიცინების კუთვნილ სახლში დაბინავდა თავის თანმხლები პერსონალით. გზაში ტკივილებმა უფრო უმატა. 4 სექტემბერს მკურნალმა ექიმმა ი. გოეროვმა ბაგრატიონს ფეხის ამპუტაცია შესთავაზა. მხედართმთავარმა სასტიკი უარი განაცხადა: „ახლა დრო არაა ოპერაციისათვის, იგი დიდი ხნით გამომიყვანს მწყობრიდან და აღარ შემეძლება გამოვადგე დაჩაგრულ სამშობლოს“.

7 სექტემბერს ბაგრატიონი უკვე სიმში იყო. მეორე დღეს ფეხი გაკვეთეს, ჭრილობა გაასუფთავეს და შეახვიეს. ტკივილებმა საგრძნობლად დაუკლო. ბაგრატიონმა ექიმს განუცხადა: უკეთ გავხდები თუ არა, მაშინვე კავკასიის წყლებზე წავალ სამკურნალოდო. საღამოს ფეხის ხელახალი შეხვევისას ექიმებმა დამსხვრეულ ძვალში განგრენა შენიშნეს. ტკივილებმა კვლავ უმატა. უშიშარი გენერალი ტკივილებისაგან საშინლად იყო შეწუხებული. როცა იმპერატორის რეს კრიპტი მიიღო: „თავადო პეტრე ივანეს-ძევ! კმაყოფილებით მომსმენი თქვენი საგმირო საქმეებისა და გულმოდგინე სამსახურის ამბებისა, ფრიად დამაღონა თქვენს მიერ მიღებულმა ჭრილობამ, რამაც დროებით ჩამოგაცილათ ბრძოლის ველს, სადაც თქვენი ყოფნა ახლანდელ საომარ გარემოებებში ესოდენ საჭირო და სასარგებლოა. ვისურვებ და ვიმედოვნებ, რომ უფალი ადრე და მალე მოგანიჭებთ შვებას შესამკობელად თქვენის საქმეებისა ახალი სახელითა და დიდებით. ამავე დროს, არა თქვენი დამსახურების ჯილდოდ, რომელსაც უახლოეს დროში მიიღებთ, არამედ თქვენი შეძლების ერთგვარ შემწეობად, ერთდროულად გიბოძებთ ორმოცდაათ ათას მანეთს, დავშთები თქვენი მოწყალე ალექსანდრე“.

ბაგრატიონი გრძნობდა უბედურების მოახლოებას, მაგრამ სრულებით არ ეშინოდა და არც წუწუნებდა. დასავლეთის მეორე არმიის მთავარი მედიკი განგარდტი, რომელიც ბაგრატიონთან იყო სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე, წერდა: „ჭრილობისაგან ის გრძნობდა სასტიკ ტკივილს, იტანჯებოდა შეტევებით, მაგრამ მცირეოდენი წუხილიც კი არ წარმოუთქვამს თავის ბედსა და წვალებაზე, ყველაფერს იტანდა, როგორც ნამდვილი გმირი, არ ეშინოდა სიკვდილისა, მის მოახლოებას ისეთივე სიმშვიდით ელოდა, როგორითაც მზად იყო შეხვედროდა მას გააფთრებულ ბრძოლაში“[239]. ჭრილობის მიღებიდან მეჩვიდმეტე დღეს პეტრე ბაგრატიონი გარდაიცვალა. „ამ დაკოდილობისა გამო მოკვდა თავადი პეტრე ბაგრატოვანი, კაცი სახე-

---

[239] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

ლიანი და მხნე... დაკოდილობის შემდგომად იცოცხლა დღე ჩვიდმეტი და მიიცვალა სექტებრის 12 სოფელსა თავადის გალიცინისასა, ღუბერნიასა ვლადიმერისასა"[240]. საქვეყნოდ ცნობილი მხედართმთავრის სიკვდილისთანავე სიმში მივიდა მეორე არმიის შტაბის უფროსი გენ.-ლეიტ. სენ-პრი, რომელიც ჭრილობის გამო ვლადიმერის გუბერნიაში, სიმთან ახლოს სოფელში მკურნალობდა. მანვე ითავა დასაფლავების ორგანიზაცია.

17 სექტემბერს ბაგრატიონი დაასაფლავეს სოფელ სიმის ეკლესიაში. ბრინჯაოს მოოქროვილ დაფაზე წარწერა გაუკეთეს: „თავადმა პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონმა თავის მეგობრის ბ. გოლიცინის სოფელში ყოფნისას მიიღო უმაღლესი ბრძანება ყოფილიყო დასავლეთის მეორე არმიის მთავარსარდლად, სოფელ სიმიდან წავიდა არმიაში და ბოროდინოსთან დაჭრილი კვლავ სიმში მოვიდა, სადაც გარდაიცვალა".

ბაგრატიონის გმირობას არ ივიწყებდა პეტერბურგი. 1812 წელსვე ჟურნალ „Сын отечества"-ში ინფანტერიის გენერლის თავად ბაგრატიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ნიკოლოზ ოსტოლოპოვის ლექსი:

Гул страшный в воздухе несется,
у воинов и плач и стон,
из ряду в ряд передается:
ты Мертв, ты мертв, Багратион.

ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ მის საბუთებში აღმოჩნდა ოთხი პიროვნების: იმპერატრიცა მარია თედორეს ასულის, ა. სუვოროვის, ე. პ. სკავრონსკაია-ბაგრატიონისა[241] და ალექსანდრე პირველის დის — ეკატერინე პავლეს ასულის პორტრეტები. 1812 წლის დეკემბერში ცალკე ბროშურად გამოიცა ლექსი ბაგრატიონის სიკვდილის გამო. ავტორი წერდა:

Багратиона нет!
любезный нам его
Сокрылся вид геройский.
Осталось имя нам,
остались тысячи
похвальных дел, примеров,
отечеству заслуг.

---

[240] ბ. ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

[241] ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია-ბაგრატიონი 1816 წელს ინგლისელ ლორდ ჰოვენზე გათხოვდა, მაგრამ სიკვდილამდე ბაგრატიონის გვარს ატარებდა. მეორედ დაქვრივებული, ღრმად მოხუცებული ჟ. ნიცაში გარდაიცვალა.

ბაგრატიონის გარდაცვალების წლისთავზე. 1813 წლის სექტემბერში. პოეტმა ვ. ჟუკოვსკიმ ჟურნალ «Сын отечества»-ში გამოაქვეყნა პოემა «Певец во стоне русских воинов». სადაც ვკითხულობთ:

И ты, Багратион,
вотще друзей молитвы,
вотще их плач — во гробе он,
добыча лютей битвы.
Еще дружин надежда внемлет,
все мнят — с одра восстанет.
И робко шепчет враг с врагом:
«Увы, он скоро грянет».
А он — навеки взор смежил,
решитель браных споров,
Он в область славных воспарил
К тебе, отец Суворов.

წლები გადიოდა. ბაგრატიონს არამცთუ არ ივიწყებდნენ, არამედ უფრო სწირად იწერებოდა მასზე. 30 წლის მანძილზე. 20 ლაშქრობისა და 150 ბრძოლის მონაწილე მხედარმთავრის დამსახურება. რაც დრო გადიოდა უფრო მეტი დიდებით იმოსებოდა.

მისი ყოფილი ადიუტანტი, გამოჩენილი პარტიზანი გენ.-ლეიტ. დენის დავიდოვი 27 წელს იბრძოდა მხედართმთავრის ნეშტის ბოროდინოს ველზე გადასვენებისათვის. 1839 წლის ივნისში დ. დავიდოვმა თავისი საყვარელი გენერლის ნეშტის ბოროდინოში გადასვენების ნებართვა მიიღო. მაგრამ მალე გარდაიცვალა და ბაგრატიონის ნეშტის გადასვენებას ვერ მოესწრო. 1839 წლის 26 აგვისტოს. კიევის ჰუსართა პოლკის თანხლებით. ბაგრატიონის ნეშტი ბოროდინოს ველზე გადაასვენეს. თავადი ნ. ბ. გოლიცინი წერდა: სოფელ სიმში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ეკლესიის აკლდამიდან ბაგრატიონის კუბო ამოიღეს და კვარცხლბეკზე დადგეს. მხედართმთავრის პატივსაცემად მომავალ ხალხთა ნაკადი არ წყდებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ. კუბო მდიდრულად მორთულ სამგლოვიარო ეტლზე დადგეს და კიევის ჰუსართა პოლკის თანხლებით მოსკოვისაკენ წაიღეს. სამგლოვიარო მარშით ხალხმა თვითონ ატარა ეტლი რამდენიმე კილომეტრზე.

პაპანაქება სიცხის მიუხედავად. მხედართმთავრის ნეშტს 20 ვერსის მანძილზე მიაცილებდა ხალხი[242]. ბაგრატიონის ცხედარი დაკრ-

[242] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

ძალეს იმ ძეგლის კვარცხლბეკის ქვეშ, რომელიც ბოროდინოს გმირთა სამახსოვროდ იყო აგებული. მან სამუდამოდ ბინა დაიდო ბოროდინოს ველზე, სადაც სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ნაპოლეონის არმიას და თვითონაც სასიკვდილოდ დაიჭრა. მის საფლავს 73 წელს ამშვენებდა წარწერა: „ინფანტერიის გენერალი თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი. მეთაურობდა დასავლეთის მეორე არმიას, დაიჭრა ბოროდინოს ბრძოლაში 1812 წლის 26 აგვისტოს. გარდაიცვალა ჭრილობისაგან 1812 წლის 12 სექტემბერს 47 წლისა“[243]. ბაგრატიონის სახელი მიენიჭა ეგერთა მე-12 პოლკს, რომელსაც ივი მეთაურობდა სუვოროვის ლაშქრობის დროს.

გენ. პ. ი. ბაგრატიონის უსტიუჟანის ეგერთა 104-ე პოლკის 100 წლისთავის სამახსოვროდ გამოშვებული მედალი. 1897.

1897 წელს გამოუშვეს უსტიუჟანის ეგერთა გენერლის თავად პ. ბაგრატიონის 104-ე პოლკის ასი წლისთავის აღსანიშნავი მედალი, ქართველი მხედართმთავრის გამოსახულებით[244]. ბოროდინოს ბრძოლის 100 წლისთავზე — 1912 წელს გმირთა საფლავმა სახე შეიცვალა. 1962 წელს კი, ბოროდინოს ბრძოლის 150 წლისთავზე, გმირთა საფ-

---

243 შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

244 პ. ბაგრატიონი წლების მანძილზე ხსენებულ პოლკს მეთაურობდა.

ლავმა კვლავ სახეცვლილება განიცადა. ბაგრატიონის საფლავი გრანიტის ქვებითა და ახალი წარწერით გალამაზდა.

სახელგანთქმული მხედართმთავრის პორტრეტით გამოშვებული იყო ბოკალი, რომლის შესახებაც ცნობები არ არსებობდა. 1944 წელს გამოჩენილ სარდალს კ. როკოსოვსკის კანადიდან, როგორც ჩანს, ქართველი გენერლის შორეული ნათესავისაგან, ამანათი მიუღია, სადაც ძველებური ბოკალი ყოფილა პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის

ბოკალი პ. ი. ბაგრატიონის გამოსახულებით

პორტრეტით. წერილი კი იტყობინებოდა, რომ ბოკალი თავის დროზე პ. ბაგრატიონის კუთვნილება ყოფილა. დიდი სამამულო ომის დროს, 1944 წელს, ბელორუსიის განთავისუფლებისას ერთ-ერთ უდი-

დეს სტრატეგიულ ოპერაციას ეწოდა კოდური სახელწოდება „ბაგრატიონი“. ამ ოპერაციის წარმატებით დამთავრებისათვის კ. როკოსოვსკის საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მიენიჭა. დიდი სამამულო ომის შემდეგ, კალინინგრადის ოლქში, ყოფილ ქ. პრეისიშეილაუს ბაგრატიონოვსკი დაერქვა. მოსკოვში ერთ-ერთ მეტროსა და ქუჩას ეწოდა მხედართმთავრის სახელი. 1977 წელს საბჭოთა მეცნიერებმა სამხრეთ ატლანტიკაში, წმინდა ელენეს კუნძულთან ახლოს ორი დიდი წყალქვეშა მთა აღმოაჩინეს, რომელთაგან ერთ-ერთს ბაგრატიონი უწოდეს[245]. ყიზლარში, სადაც დაიბადა ბაგრატიონი, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მხედართმთავრის სახელს ატარებს. ინგლისელი მხატვრის დოუს მიერ დახატული მისი პორტრეტი დღესაც ერმიტაჟის მშვენებას წარმოადგენს.

1984 წელს, თბილისის ძველ უღამაზეს უბანში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას აღიმართა ცხენზე ამხედრებული პეტრე ბაგრატიონის ძეგლი.

---

[245] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

პ. ბაგრატიონის ძეგლი ორთაჭალაში

კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი
(1789—1844)

კონსტანტინე ბაგრატიონ-იმერეტინსკი იმერეთის ტახტიდან ჩამოგდებული მეფის — დავით გიორგის ძის—შვილი იყო. დავითი იმერეთის ტახტზე ავიდა სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ.

1783 წელს სოლომონ პირველმა თურქთა წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა. მას გურულების დახმარების იმედი ჰქონდა და გურიაში ჩავიდა თავისი ლაშქრით. მოულოდნელად ჩაქეთან ოსმალები შემოეყარნენ. ბრძოლის დროს გურულებმა მეფეს ზურგი შეაქციეს. იმერლები დამარცხდნენ. დამწუხრებული მეფე ქუთაისს დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა. ბაგრატ ბატონიშვილი ასე აგვიწერს სოლომონ პირველის დამარცხებას, მის სიკვდილსა და დავით გიორგის ძის გამეფებას:

„კ~დ წელსა 1782, მეფე იმერთა სოლომან წარვიდა მხედრობითა თვისითა გურიასა ზედა. მისრულს ჩაგვსა შემოებნენ ოსმალნი და უღალატეს გურიელთ ხალხმაც. იძლია მეფე სოლომან. მოსწყვიტნეს იმერნი ურიცხვნი. კნიღა განერა მეფე სიკვდილსა. ძლეული მეფე სოლომან მოვიდა ქუთაის, რომლისა მწუხარებითა გარდაიცვალა აპრილის 23 და დასვეს იმერთა მეფედ დავით გიორგის ძე, მიზეზითა ამით, რომელ მეფესა სოლომანს არა დაშთა შვილი, და ძმისწულნი მისნი იყვნენ მცირე ყრმანი. ამის მიზეზისათვის დასვეს იმერთა ბიძაშვილი მისი დავით არა მეფედ, არამედ ნაიბად, ვიდრე აღზდადმდე არჩილის ძისა დავითისა, რომელს ეწოდა შემდგომად სოლომანცა, რომელიცა იყო ესე რჯულიერი მემკვიდრე მეფისა სოლომანისა, ნამდვილ ძმისწული მისი“[1].

როგორც აღინიშნა, დავითი 1784 წელს იმერეთის მმართველად იქნა დანიშნული, მალე კი მეფის ტიტულიც მიიღო. საბუთებიდან ირკვევა, რომ სოლომონ პირველს იგი თავის სიცოცხლეშივე უღიარებია ტახტის მემკვიდრედ. ესოდენ დიდი უპირატესობა, სხვა ძმის-

---

[1] ბ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 58—59.

კონსტაატინე, იმერეთის მეფე დავითის შვილი

შვილებთან შედარებით, გარდა იმისა, რომ უკანასკნელნი მცირეწლოვანები იყვნენ, სხვა მხრივაც საკმაოდ საფუძვლიანი იყო. იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთე როცა გარდაიცვალა, ტახტზე მისი შვილი — გიორგი — ავიდა, რომელმაც რამდენიმე წელი იმეფა, შემდეგ თავისუფალი ცხოვრება მოინდომა და უფროს ძმას — სოლომონ პირველს — დაუთმო ტახტი იმ პირობით, რომ მემკვიდრედ მისი შვილი — დავითი — იქნებოდა. სოლომონ პირველმა თა-

ვის სიცოცხლეშივე დაწერა ანდერძი, რომლის თანახმადაც მისი სიკვდილის შემდეგ იმერეთის მეფედ დავითი უნდა ყოფილიყო. ანდერძში სოლომონ პირველი წერდა: „როცა მამაჩემი, მეფე ალექსანდრე [2], გარდაიცვალა, მამათქვენმა (გიორგი ალექსანდრეს ძემ) მიიღო სამეფო. იმერეთის მეფედ იყო 8 წელი, შემდეგ თავისუფალი ცხოვრება ისურვა, მიმიხმო მზოვრის ციხე-სიმაგრეში და ფიცისქვეშ პირობა დამადებინა: „როგორც მან გადმომცა მეფობა, ასევე ჩემს შემდეგ იმერეთში მისი შვილი დავითი უნდა გამეფდეს“[3].

მიცემული ფიცისა და ანდერძის თანახმად, მან დავითი, როგორც აღინიშნა, ადრევე აღიარა თავის მემკვიდრედ[4].

სოლომონ პირველის[5] გარდაცვალების შემდეგ 1784 წელს დავი-

---

[2] ალექსანდრე მეხუთე იყო იმერეთის მეფის გიორგი მეექვსის შვილი, რომელიც მეფობდა 1702 წლიდან 1720 წლამდე. გიორგი მეექვსის პირველი ცოლი იყო როდამი. მეორე ცოლი კი მამია გურიელის შვილი — თამარი, რომელიც ადრე გიორგი ლიპარიტის მეუღლე იყო, ხოლო შემდეგ გიორგი მეექვსემ წაართვა გიორგი ლიპარიტს და თვითონ შეირთო. გიორგი მეექვსეს ჰყავდა 4 შვილი: ალექსანდრე მეხუთე (სოლომონ I-ის მამა), გიორგი (დავითის მამა). მამუკა და არჩილი (სოლომონ II-ის მამა).

ალექსანდრე მეხუთე დიდგულოვანი მეფე და კარგი მხედართმთავარი იყო. იგი ორჯერ იყო დაქორწინებული: პირველად ბექან დადიანის ასულ მარიამზე, მეორედ კი თავად ლევან აბაშიძის შვილ თაძარზე. ალექსანდრე V მეფობდა 1720 წლიდან 1752 წლამდე. იგი ვაჟკაცურად იბრძოდა როგორც შინაური, ასევე გარეშე მტრების წინააღმდეგაც, ებრძოდა ძლიერ და ურჩ ვასალებს: რაჭის ერისთავ შოშიტას, აფხაზეთის მთავარ შერვაშიძეს, დეღოფლის ძმას — სამეგრელოს მთავარს ოტია დადიანსა და გურიის მთავარს — გურიელს. ალექსანდრე V აქტიურად ებრძოდა თურქებს, რომლებმაც მას შავი ზღვის სანაპირო წაართვეს. იგი ეომებოდა სპარსელებსაც, რომლებმაც ტყვედ ჩაიგდეს. ალექსანდრე ტყვეობიდან შაჰმა გაათავისუფლა და ტახტის დაბრუნებაშიც მოეხმარა. ალექსანდრე მეხუთე ებრძოდა ძმასაც — მამუკას, რომელსაც სძულდა მეფე იმის გამო, რომ უკანასკნელმა მას დეღოფალ მარიამის დაზე ქორწინების ნება არ მისცა. არც მეორე ძმასთან — გიორგისთან — ჰქონდა კარგი ურთიერთობა და ებრძოდა იმიტომ, რომ მან ალექსანდრეს სპარსეთში ტყვეობისას იმერეთის სამეფო ტახტი მიიტაცა.

ალექსანდრე მეხუთის ერთადერთი მეგობარი და ზედმიწევნით ერთგული იყო შამშე ქსნის ერისთავი, რომელმაც ერთ-ერთ ბრძოლაში მეფეს 500 ღეკი დაახმარა.

[3] Н. К. Имеретинский, Багратиды в России,... с. 52.

[4] იქვე.

[5] სოლომონ პირველი დაიბადა 1735 წელს, გამეფდა 1752 წელს. იგი პირველად დაქორწინებული იყო მარიამ ოტიას-ასულ დადიანზე. მეორედ — ბერი წულუკიძის ასულ გულქანზე, რომელთანაც შეეძინა ორი ქალიშვილი მარიამი, დარეჯანი და ერთი ვაჟი — ალექსანდრე. მასვე ჰყავდა უკანონო შვილი დავითი. ზოგიერთი წყაროს მიხედვით ალექსანდრეც სოლომონ პირველის უკანონო შვილადაა მიჩნეული. სწორედ ეს ალექსანდრე იყო ბაგრატიონ-იმერეტინსკების გვარის ფუძემდებელი. იხ. Н. К. Имеретинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

თი გამეფდა დავით მეოთხის სახელით, რომელმაც ტახტზე ასვლისთანავე რუსეთში ელჩები გაგზავნა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის მაქსიმე აბაშიძის, სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლისა და ბესარიონ (ბესიკი) გაბაშვილის შემადგენლობით. ელჩობის მიზანი იყო იმერეთისათვის ისეთივე ხასიათის პროტექტორატის მიღება, როგორიც ქართლ-კახეთმა მიიღო 1783 წლის ტრაქტატით. კათალიკოსი მაქსიმე ელჩობის წევრებთან ერთად წარდგა ეკატერინე მეორის წინაშე, მაგრამ ამ დესპანობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის საზავო ხელშეკრულებით იმერეთი და მთელი დასავლეთ საქართველო თვით რუსეთის მიერ იყო ოსმალეთის ხელდებულად აღიარებული[6], რის გამოც რუსეთს საერთაშორისო ხელშეკრულების დაურღვეველად არ შეეძლო იმერეთის მფარველობაში მიღება.

თურქეთის მთავრობამ შეიტყო იმერეთის მეფის დავითის მიერ რუსეთში გაგზავნილი ელჩობის მიზანი, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იგი რუსეთის ორიენტაციისა იყო და გადაწყვიტა მისი ტახტიდან ჩამოგდება.

თურქეთის მიზნებს დაემატა იმერეთის ზოგი გავლენიანი თავადის ამხედრება დავითის წინააღმდეგ. მათ რიცხვში იყო სოლომონ I-ის ცოლის ძმა თავადი ბერი წულუკიძე, რომელიც ისე იყო დაახლოებული და იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა სიძეზე, რომ, იესე ოსეს ძის გადმოცემით, სოლომონ I-ლი ამბობდა: იმერეთის მეფე მე კი არ ვარ, ბერი წულუკიძე არისო[7].

ახალი მეფის დროს ბერი წულუკიძემ დაჰკარგა სამეფოში თავისი გავლენა და პირველკაცობა, ვინაიდან დავით მეოთხემ დაიახლოვა თავისი მეუღლის — ორბელიანის (იგივე ყაფლანიშვილი) ქალის — ნათესავი, ქსნის ერისთავის ძე ელიზბარი, რომელიც ქართლიდან იმერეთში იყო გადმოხვეწილი. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ იმერეთის გავლენიანმა პირებმა დავით მეოთხეს დაუპირისპირეს სოლომონ I-ის ძმის შვილი ყმაწვილი დავით არჩილის ძე, რომელიც დედით ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო. დავით მეოთხე ჩამოაგდეს ტახტიდან და 1789 წლის 11 ივლისს ახალი მეფე ავიდა ტახტზე... „ეს იყო სოლომონ I-ის ძმისწული დავითი, იგივე სოლომონ II

---

[6] ЦГВИА, Ф. ВУА, д. 133, лл. 8—33.

[7] თავგადასავალი იესე ოსესშვილისა, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 112; იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ავთანდილ იოსელიანის გამოცემა, თბ., 1950, გვ. 87.

არჩილის ძე, დედით ერეკლე მეფის შვილიშვილი, მეფედ გამოცხადებისას მას სოლომონ II უწოდეს"[8].

დავით IV ვერ შეეგუა ტახტის დაკარგვას და ყოველ ღონეს ხმარობდა კვლავ გასამეფებლად. 1790 წელს მისი შეიარაღებული გამოსვლა სოლომონ II-ის წინააღმდეგ სოლომონის გამარჯვებით დამთავრდა[9].

მიუხედავად იმ ფიცისა, რომელიც დავითმა ერეკლე II-ისა და ახალციხის ფაშას წარმომადგენელთა თანდასწრებით დადო სოლომონ II-ის წინაშე[10], მას თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია. ახალი შეთქმულების ქსელი გააბა ოდიშის მთავრის გრ. დადიანის, აბაშიძისა და თვით ფაშას დახმარებით. სოლომონ II-მ დროზე შეიტყო შეთქ-

---

[8] П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг., часть II, СПБ., 1869, с. 285.

სოლომონ II დაიბადა 1773 წელს, 17 წლისაც არ იყო, რომ 1789 წელს გამეფდა, 1810 წელს დამარცხდა რუსეთთან ბრძოლაში და გადაიხვეწა ტრაპიზონში, სადაც გარდაიცვალა 1815 წელს. იგი სათანადო პატივით იქნა დაკრძალული ტრაპიზონის წმ. გრიგოლის ბერძნული კათედრალური ტაძრის ეზოში. მის საფლავზე მაშინვე ააგეს მეფის საკადრისი ეკვდერი, რომლის სიმაღლე ჯვრით — 10, სიგანე კი 5 არშინი იყო. პ. შუბინსკის აღწერით, 1912 წელს ძეგლი გაუწაფავი ხელით ახალი შეკეთებული იყო, ხოლო წარწერებისა და მხატვრობის დიდი ნაწილი წაშლილიყო. მხატვრობა მხოლოდ გუმბათის შიდა მხარეს შერჩენოდა. იქ ჯერ კიდევ ნათლად ჩანდა ბაგრატიონთა ღერბი, რომელშიც გამოხატული იყო დავით მეფის შურდული, მისი ქნარი, უფლის კვართი, სამეფო სფერა და სასწორი — მეფური სიბრძნის ემბლემა. ღერბი დაყრდნობილი იყო ორ ლომზე, მის ზემოთ კი გამოსახული იყო სამეფო გვირგვინი. გვირგვინის ქვეშ, ღერბის ზემოთ, გამოხატული იყო გადაჯვარედინებული მახვილი და სკიპტრა, გვერდებზე ორი ფრთოსანი სერაფიმით, გუმბათის შიდა — მოპირდაპირე მხარეს გამოხატული იყო წმ. გიორგის ტაძარი. სოლომონ მეფის საფლავის თეთრ მარმარილოს ფილაზე ძველი ქართულით გაკეთებული იყო წარწერები: „განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემულ საფლავსა ამასა შინა, ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაცა ვითხოვ შენდობასა. თებერვლის 7 — ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩუეე".

ქვემოთ: „ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა, სრცხუენოდენ და კდემებოდენ, რომელნი ეძიებენ სულსა ჩემსა" (ფსალმუნნი, შუხლი 34). როგორც აღინიშნა, ზოგი წარწერა შეკეთების გამო წაიშალა, წაიშალა მხატვრობის მეტი ნაწილიც... 1922 წელს თურქმა ფანატიკოსებმა დაანგრიეს წმ. გრიგოლის ხსენებული ტაძარიც და სოლომონ II-ის ეკვდერიც. იხ. П. Шубинский, Гробница Имеретинского царя Соломона в Трапезунде, «Исторический Вестник», т. CXXXII (апрель), 1913, с. 275—282.

[9] Давид царевич Грузинский, Краткая история Грузии. изд. II, Тифлис, 1893, с. 56.

[10] ბ. ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

მულება და გადაწყვიტა ტახტის მოტრფიალის სასტიკად დასჯა. ამჯერად ნიღაბახდილმა დავით გიორგის ძემ თავის დასახსნელად მეფეს კვლავ ერთგულება შეჰფიცა და ფიცის დასამტკიცებლად მძევლად თავისი სამი წლის შვილი — კონსტანტინე—გაუგზავნა, რომელიც სოლომონ მეორემ მუხურის ციხე-კოშკში მოათავსა[11].

ბაგრატ ბატონიშვილი დამარცხებული დავით გიორგის ძის შესახებ წერს:

„...ლტოლვილი დავით მეფე მივიდა ახალციხეს... ახალციხიდამ ჩამოვიდა ქართლს მეფეს ირაკლის თანა. მან პატივსცა დიდათ. მეფეს ირაკლის შუამდგომლობა სთხოვა, რათა დააზაოს მეფე დავითს, არჩილის შვილსა. მეფემან ირაკლიმ წარატანა თანა ძე თვისი ანტონი კათალიკოზი, რომელიცა მისრულმან დააზავნა ესენი თანახმობითა იმერთა სამღვდელოთა და ჩინებულთათა. მეფეს დავითს არჩილის-ძეს დაუმტკიცეს მეფობა იმერეთისა და უწოდეს ტიტულად სახელად მეფე სოლომან, დიდის მეფის სოლომანის გამო, რომელმანცა იხსნა იმერეთი მახმადიანობისაგან ძალითა ქ-ესითა. ხოლო დავითს გიორგის-ძესა მისცეს სარჩოდ სოფლებნი შესაფერნი და აფუცეს, რათა არღარა განიზრახოს მეფობად თვისი და იყოს მორჩილ მეფისა სოლომანისა, რომლისა გამო მეფემან სოლომან გამოართვა დავითს ძე თვისი კონსტანტინე და ჰყო პატიმრად მუხურის ციხესა შინა რაჟას ყრმა წლისა 3, რომელიცა არა ესვა მასგან კიდე სხვად ძე ვაჟი“ [12].

მიუხედავად მეორედ მიცემული ფიცისა, დავითი მაინც არ ცხრებოდა და ხშირად აქეზებდა ოდიშისა და გურიის მთავრებს სოლომონ II-ის წინააღმდეგ. ტახტის დაბრუნების წადილით შეპყრობილმა დავითმა ერთხელ კიდევ სცადა თავისი ბედის წაღმა დატრიალება — 1794 წელს ქუთაისისაკენ გაილაშქრა. სოლომონ II-მ ტახტის პრეტენდენტსა და მის მოკავშირე დადიანს გზები შეუკრა, მათხოჯთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ისინი და ბევრი ტყვე წამოიყვანა. ამ ბრძოლაში სოლომონ II-ს ერეკლე მეორე დაეხმარა ჯარით, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა[13]. დამარცხებული მთავარი დადიანი სამეგრელოდან გაიქცა. დავითი კი ტახტის დაბრუნების ნატვრაში 1795 წელს ყვავილისაგან გარდაიცვალა ახალციხეში[14]. მისი მცირეწლოვანი შვილი კონსტანტინე კიდევ დიდხანს იყო გამოკეტილი მუხურის ციხე-სიმაგრეში[15]. დავითის ქვრივი — დე-

[11] აქტები, ტომი I, გვ. 576.

[12] ბ. ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[13] Н. К. Имеретинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 285.

[14] აქტები, ტომი I, გვ. 576.

[15] მ. გონიაშვილი, იმერეთის სამეფოს გაუქმების საკითხისათვის, „მაცნე“, № 1, 1964, გვ. 81.

დოფალი ანა[16] — დიდხანს ცდილობდა მცირეწლოვანი შვილის მუხურის ციხიდან განთავისუფლებას, მაგრამ 9 წლის მანძილზე ვერ მიაღწია მიზანს. მოგვიანებით ანა დედოფალმა ჯერ ქართლიდან აღძრა საქმე, ხოლო შემდეგ წავიდა პეტერბურგს და პირადად სთხოვა იმპერატორს იმერეთში დატყვევებული ვაჟის განთავისუფლება[17]. აღნიშნული თხოვნის საპასუხოდ პეტერბურგიდან 1802 წელს იმერეთში გამოგზავნეს რუსეთის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა კოლეგიის მოხელე ა. სოკოლოვი, რათა პირადად გადაეცა სოლომონ მეორისათვის იმპერატორის წერილი დატყვევებული კონსტანტინეს გასათავისუფლებლად. „ხოლო წელსა 1802 — წერს ბაგრატ ბატონიშვილი, — იმერთა მეფის დავითის ცოლი ანნა, ყაფლანიშვილის მამუკას ასული, დედოფალი, წარვიდა როსიად იმპერატორს ალექსანდრეს წინაშე. მისრული დიდისა პატივითა მიიღო და ეევედრა დედოფალი, რათა — შუამდგომელ ექმნეს მეფესა თანა და განატევებინოს ძე მისი კონსტანტინე პყრობილებისაგან, რომელიცა ჰყვა მეფესა მუხურის ციხესა შინა. მსმენელმან იმპერატორმა წარუვლინა კაცნი მეფესა და სთხოვა განთავისუფლება კონსტანტინესი, რომლისა არა მნებებელმან მეფემან სოლომან უკუნ აქცივნა კაცნი იგი ცალიერნი“[18]. ამრიგად, სოლომონ II-მ უარი განაცხადა თხოვნის შესრულებაზე. კონსტანტინეს მუხურის ციხეში დატოვების მიზეზი იყო სოლომონ II-ისა და მის მომხრეთა შიში, რომ რუსეთის მთავრობას ის არ გამოეყენებინა თავისი მიზნებისათვის იმერეთის მეფის წინააღმდეგ. ა. სოკოლოვმა იმერეთის მეფის უარი რუსეთის საწინააღმდეგო აქტად ჩათვალა[19] და რუსეთის მთავრობას მოახსენა სოლომონ II-ის ურჩობა, თან არარსებული ცოდვებიც გამოუგონა. იმპერატორის დავალებით მთავარმართებელმა იმერეთის მეფის შევიწროება დაიწყო[20]. სოლომონ II იძულებული გახდა, 9 წლის პატიმრობის შემდეგ, 1803 წელს, გაეთავისუფლებინა ბატონიშვილი[21].

---

16 მას ჰყავდა ერთი ვაჟი — კონსტანტინე და სამი ქალიშვილი: მზეხათუნა — თავად სვიმონ წერეთლის მეუღლე; ანასტასია — თავად აგიაშვილის მეუღლე და თამარი — გურიის ერისთავის მეუღლე, დავით მეოთხეს ჰყავდა უკანონო შვილიც როსტომი, რომელიც თურქული გვარის ჰაიდარბეგოვის ფუძემდებელი იყო.

17 А. Е. Соколов, Путешествие мое в Имеретию с линии кавказской мое там у царя пребывание с ним сношение и обратное оттуда путешествие в Грузию, М., 1874, с. 118.

18 ბ. ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

19 П. Шубинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

20 Н. К. Имеретинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

21 ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1954, გვ. 66.

დედოფალმა ანამ ალექსანდრე პირველის 1804 წლის 12 დეკემბერს დაწერილი წერილი მიიღო, რითაც იმპერატორი სთავაზობდა შოსკოვში გადასახლებას, რათა შვილისათვის შესაფერი განათლება მიეღებინებინა[22]. იმპერატორი დედოფალს ჰპირდებოდა პენსიის გაორკეცებას და კონსტანტინესათვის 10000 მანეთის დანიშვნას წელიწადში, თუ კი მოსკოვში გადავიდოდნენ საცხოვრებლად[23]. იმავე წელს სოლომონ მეორემ კონსტანტინე თავის მემკვიდრედ სცნო. დედოფალი ანა მოსკოვში წასვლას ფიქრობდა მხოლოდ იმიტომ, რომ შვილს სათანადო განათლება მიეღო, საერთოდ კი, იმერეთიდან წასვლა არ უნდოდა. თვით კონსტანტინე რუსეთში წასვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ამიტომ დედოფალმა ანამ თავადი ბარათოვი მიუგზავნა, რათა დაერწმუნებინა იგი რუსეთში გამგზავრების აუცილებლობასა და ღირსებაში. თავად ბარათოვის რჩევას დადებითი შედეგი მოჰყვა — კონსტანტინე დაემორჩილა დედის წადილს.

1809 წელს ბატონიშვილი კონსტანტინე თბილისში გამოცხადდა მთავარმართებელთან და რუსეთისადმი ერთგულების ფიცი მიიღო[24].

1810 წლის ნოემბერში დედოფალი ანა თავისი შვილით კონსტანტინეთი უკვე რუსეთშია[25]. ისინი დიდი პატივით მიიღეს მოსკოვში. ჩასვლისთანავე მათ 10000 მანეთი პენსია დაენიშნათ წელიწადში. მათი მიღების და მოწყობის გეგმა ადრევე იყო შემუშავებული. ალექსანდრე პირველის მითითებით. იგი არაფერს ზოგავდა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა მოსაწყობად რუსეთში. საქართველოში დატოვებას კი რუსეთის მთავრობაც და იმპერატორიც სასტიკად კრძალავდნენ.

მოსკოვში დედოფალი ანა კარგად მოაწყვეს, საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდა. იგი ყოველთვის საუკეთესოდ ჩაცმული, მხარზე ეკატერინეს ლენტით, გამოდიოდა სადღესასწაულო მიღებაზე და სტუმრებთან შეხვედრისასაც კი. მის ბინაში ყოველთვის ბევრი იყო სტუმარი. ხშირად მოსკოვის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებსაც მასპინძლობდა[26]. კონსტანტინე თავიდან დედამისთან ერთად იმყოფებოდა მოსკოვში. მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა რუსეთის მთავრობა.

---

[22] Н. К. Имеретинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[23] იქვე.

[24] აქტები, ტომი IX, გვ. 236.

[25] ბ. ბატონიშვილი, დასახ. ნარომი, გვ. 195.

[26] იმერეთის ყოფილი დედოფალი ანა 22 წელს ცხოვრობდა მოსკოვში დონის ჭუჩაზე და 1832 წლის 4 ივლისს გარდაიცვალა. მისი დაკრძალვა დიდხანს ვერ მოხერხდა. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი პეტერბურგიდან ელოდა ნებართვას მისი დიდი პატივით დაკრძალვის შესახებ. ნებართვა კი იგვიანებდა. მისი შვილი —

ანა დედოფალი, იმერეთის მეფის დავითის მეუღლე

რუსეთში დასახლებულ აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის სამეფო-საგვარეულოს წარმომადგენლებისადმი იმპერატორის მხრივ დიდი ყურადღების მანიშნებელია ისიც, რომ 1810 წლის კა-

კონსტანტინე ამბობდა: „არ მოვცილდები ცხედარს მანამ არ იქნება სპეციალური ნებართვა შესაფერი პატივით დაკრძალვის შესახებ“-ო. დალურსმული კუბო დიდხანს იდო სახლში. ბოლოს პეტერბურგიდან ნებართვა მოვიდა, გვერდით ქუჩები და მთელი დონის ქუჩა, სადაც დედოფალი ანა ცხოვრობდა, ხალხით იყო სავსე. დონის მონასტრის მოედანი ჯარითა და არტილერიით იყო დაკავებული. ქვემეხებისა და თოფების ბათქის ქვეშ იგი დონის მონასტერში დაკრძალეს. საფლავის ფილაზე რუსული წარწერა გაუკეთეს: „იმერეთის დედოფალი ანა მათეს ასული, გარდაიცვალა მოსკოვში, 1832 წლის ივლისს, დაბადებიდან 62 წლისა“. იხ Н. К. Имеретинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

ლენდრის განსაკუთრებულ გრაფაში ისინი ნაჩვენები იყვნენ იმპერატორის საგვარეულოს წარმომადგენელთა შემდეგ[27]. თვით კონსტანტინეს კი იმპერატორის მონაწილეობით გამართულ ზეიმებსა და ცერემონიალებზე ხელმწიფე იმპერატორის კორტეჟში ჰქონდა ადგილი, ოლდენბურგის პრინცების გვერდით[28]. იგი თითქმის სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე იმყოფებოდა. მისი სამხედრო სამსახურიც განსაკუთრებული პრივილეგიით დაიწყო. იგი კაზაკთა ლეიბგვარდიულ პოლკში ჩაირიცხა პირდაპირ როტმისტრად, დაინიშნა ფლიგელ-ადიუტანტად და, როგორც ყველა ქართველმა ბატონიშვილმა, მანაც ანას პირველი ხარისხის ორდენი მიიღო.

კაზაკთა ლეიბ-გვარდიული პოლკის უფროსი იმ დროს ორლოვი იყო, რომელიც შემდეგში გრაფი და ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლის გმირი გახდა. მან ახალი როტმისტრი დიდებულად მიიღო: „ოჰ, თქვენო ბრწყინვალებავ, — უთხრა ორლოვმა, — თქვენი მხრივ, თქვენ არამცთუ პოლკის წინ, არამედ არმიის წინ უნდა იდგეთ, მე კი, თქვენს ადგილზე უნდა ვიყო. მე ისიც გავიგე, რომ თქვენთვის ახალი არ არის სამხედრო საქმე"[29]. როტმისტრი კონსტანტინე დავითის ძე არ დაიბნა და საკმაოდ თავდაჯერებულად რიხიანად უპასუხა: „...სამწუხაროდ, სამშობლოში უბედური მოვლენების გამო, ახალგაზრდობის მიუხედავად, იძულებული ვიყავი ხშირად შიშველი დაშნა მეჭიროდა ხელში"[30]. პოლკის უფროსს მოეწონა ახლად ჩარიცხული როტმისტრის პასუხი და უპასუხა: მეც ადრე მომიწია ცხენზე ჯდომამ, მალე კი ბრძოლებიც გადამხდა. ხედავთ! ჩვენ თანაბარნი ვართ და უმორჩილესად გთხოვთ მე თქვენს მებრძოლ მეგობრად ჩამთვალოთ, მალე კი ჩვენ სულ გავთანაბრდებით, ვინაიდან წინ დიდი ბრძოლები გველის. პოლკის უფროსს საფრანგეთის წინააღმდეგ მოახლოებული საომარი მოქმედება ჰქონდა მხედველობაში.

კაზაკთა ლეიბ-გვარდიულ პოლკში, სადაც კონსტანტინე დავითის ძე ჩაირიცხა როტმისტრად, ანას პირველი ხარისხის ორდენი არავის ჰქონდა მიღებული. მებრძოლები და თვით ოფიცრები დაინტერესდნენ თუ რა დამსახურების გამო ჰქონდა მიღებული ახალგაზრდა კონსტანტინეს იგი. ამასთანავე, ყველას უკვირდა, რომ პოლკის უფროს ორლოვს არ ჰქონდა ხსენებული ორდენი და მისი ხელქვეითის მკერდს კი ამშვენებდა.

ანას პირველი ხარისხის ორდენს პავლე პირველისა და ალექსანდრე

---

[27] Н. К. Имеретинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.
[28] იქვე.
[29] იქვე.
[30] იქვე.

პირველის დროს იღებდნენ მხოლოდ გენერალ-ლეიტენანტები, იშვიათად კი გენერალ-მაიორები. კონსტანტინეს ისე ხშირად ეკითხებოდნენ ორდენის მიღების მიზეზს, რომ მალე თავი დაანება მის ტარებას. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი წესის მიხედვით ორდენის ტარება სავალდებულო იყო.

ამ ამბავმა იმპერატორ ალექსანდრე პირველის ყურამდე მიაღწია. იმპერატორს არ ესიამოვნა კონსტანტინეს საქციელი და უკმაყოფილო დარჩა. მალე იმპერატორმა კაზაკთა ლეიბ-გვარდიული პოლკი დაათვალიერა და საგანგებოდ გამოიძახა ბატონიშვილი კონსტანტინე, რომელსაც ორდენი არ ეკეთა. ალექსანდრე პირველი გაბრაზდა და როტმისტრს მიმართა: „მე ვერ ვხედავ თქვენზე თქვენს ლენტს"[31]. ბატონიშვილი არ დაიბნა და დაუყოვნებლივ უპასუხა: „მერიდება გამოვჩნდე პოლკის დამსახურებული მეთაურის წინაშე ორდენით, რომელიც მას არა აქვს" [32]. იმპერატორს მოეწონა პასუხი, გაეღიმა, კმაყოფილმა თავი გააქნია და წარმოთქვა: „სხვაგვარ პასუხს მე თქვენგან არც მოველოდი. მწყობრში დაე, თქვენი სურვილისამებრ იყოს, მწყობრის გარეშეკი, მე ვისურვებდი, მენახა თქვენს მკერდზე ის, რაც თქვენ შეგფერით"[33].

მალე სამამულო ომი დაიწყო ნაპოლეონის წინააღმდეგ. კონსტანტინე დავითის ძე საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო დაწყებიდან დამთავრებამდე. მან თავი გამოიჩინა ვიტებსკთან ბრძოლაში. ბოროდინოსთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გმირული მოქმედებისათვის უკვე პოლკოვნიკ კონსტანტინე დავითის ძეს ვლადიმერის ორდენი ებოძა ბაფთით. ნაპოლეონის ჯარების დამარცხების შემდეგ, კონსტანტინე დავითის ძე კვლავ არმიაში მსახურობდა. ოციანი წლების ბოლოს იგი ცხენოსანთა ბრიგადას მეთაურობდა. ოცდაათიანი წლების ბოლოს კი, გენერალ-მაიორის ჩინით, დატოვა სამხედრო სამსახური.

სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი, აინტერესებდა მუსიკაც. განსაკუთრებით უყვარდა ლექსების წერა. მისი ლექსი „Воздушный корабль" გამოქვეყნებული იყო ალმანახ «Минерва»-ში.

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი მოგვიანებით — 1885 წელს—წერდა: „მე თვითონ წავიკითხე იმ ხანებში მოსკოვში გამომავალ ალმანახ „მინევრა"-ში მისი (კონსტანტინე დავითის ძის) ლექსი „Воздушный корабль".

---

[31] Н. К. Имеретинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[32] იქვე.

[33] იქვე.

დღეისათვის იგი (ლექსები), რა თქმა უნდა, სუსტად მოგვეჩვენება, მაგრამ იმ ადამიანისათვის, რომელმაც რუსული ენა შეისწავლა უმაწვილობიდან დიდიხნის შემდეგ, ეს ლიტერატურული ცდები შეიძლება დამაკმაყოფილებელზე უფრო მეტად ჩაითვალოს[34].

კონსტანტინე, როგორც აღინიშნა, 1810 წლიდან იმყოფებოდა რუსეთში[35]. იგი პირველად 12 წლისა დაქორწინდა ანასტასია აბაშიძეზე [36]. ეს ქორწინება იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის, მითითებით მოხდა. ანასტასია აბაშიძესთან კონსტანტინე დავითის ძეს შვილები არ ჰყოლია. მეორედ იგი მოსკოვში დაქორწინდა პორტუგალიის გენერალური კონსულის შვილზე — ანა დენისის ასულ ლოპეს-დე-სილვაზე[37]. ამ ქორწინებით მას შეეძინა ორი ვაჟი: კონსტანტინე და ნიკოლოზი. კონსტანტინე დავითის ძემ მესამედ იქორწინა ეკატერინე სერგის ასულ სტრახოვაზე, რომელთანაც შეეძინა ვაჟი, შემდეგში ცნობილი გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე — ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი.

აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე დავითის ძის შვილები იყვნენ რუსეთში პირველი თავადები — იმერეტინსკები. კონსტანტინე დავითის ძე გარდაიცვალა მოსკოვში 1844 წლის 3 მაისს. დასაფლავებულია დონის მონასტერში.

---

[34] Н. К. Имеретинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

[35] აქტები, ტ. IV, გვ. 273.

[36] იქვე, გვ. 354.

[37] Н. К. Имеретинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

დარეჯან დედოფლის დასახლება რუსეთში

სამეფო სახლის წარმომადგენელთა საცხოვრებლად რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადაყვანა ძალიან ძნელად და მტკივნეულად მიმდინარეობდა. ბაგრატიონთაგან თითქმის არც ერთ წარმომადგენელს არ სურდა თავისი სამშობლოს მიწა-წყლის დატოვება და რუსეთში დასახლება, მიუხედავად იმისა, რომ თვით რუსეთის იმპერატორები იყვნენ დაინტერესებულნი მათი რუსეთში დასახლებით და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, არავითარ ხარჯებს არ ერიდებოდნენ, რათა მათთვის საუკეთესო პირობები შეექმნათ [1].

სამეფო სახლის წარმომადგენელთა დაინტერესების მიზნით, 1804 წელს მეფის მთავრობა თითოეულ ბატონიშვილს 1000 სულ ყმა გლეხს შეჰპირდა, თუკი რუსეთში წავიდოდნენ საცხოვრებლად [2]. ცარიზმის მესვეურთა ესოდენ დიდი დაინტერესება ბატონიშვილთა რუსეთში გადასახლებით, საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე, მეფის რუსეთის აქაური პოლიტიკისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, ვინაიდან არც ერთი ბატონიშვილი და არც დედოფლები დარეჯანი და მარიამი არ იყვნენ რუსული მმართველობის დამყარების მომხრენი. ყოველი მათგანი დაკარგული უფლებების კვლავ აღდგენაზე ფიქრობდა და, შეძლებისდაგვარად, პრაქტიკულადაც ცდილობდა რუსეთის იმპერიისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ცარიზმის აქაური წარმომადგენლები კარგად ერკვეოდნენ შექმნილ ვითარებაში და თვალნათლივ ხედავდნენ სამეფო სახლის წევრთა მტრულ განწყობილებასა და პრაქტიკულ საქმიანობას მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც ცარიზმის ყველა გავლენიანი პირი ამტკიცებდა ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის შთამომავალთა საქართველოდან საცხოვრებლად რუსეთში გადაყვანის აუცილებლობას.

ალექსანდრე პირველმა ციციანოვს თბილისში დანიშვნისთანავე დაავალა სამეფო სახლის წარმომადგენელთა რუსეთში გადაყვანა საც-

---

[1] საქ. ცსა, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე 25, ფ. 2.

[2] აქტები, ტომი XII, გვ. 117; უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაპირება დაპირებად დარჩა. ბატონიშვილებს არ მიეცათ ზემოხსენებული 1000 ყმა გლეხი.

დარეჯან დედოფალი

ხოვრებლად. „ხოლო წელსა 1802, — წერდა ბაგრატ ბატონიშვილი ახალ მოთხრობაში—წარიგზავნა ციციშვილი პავლე უპირველეს მართებელად საქართველოისა. ამას უბრძანა იმპერატორმან და არწმუნა ფიცხელად, რათა დანაშთომნი მეფის ძენი საქართველოისანი წარგზავნოს რუსეთად დედა-წულითა მათითა და ეგრეთვე აწვიოს მყოფთა იმერეთსა შინა მეფის ძეთა იულონს და ფარნაოზსაცა[3] და წარავლინოს როსიად“ [4].

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ რუსეთში წასასვლელთა სიაში იყვნენ დარეჯან და მარიამ დედოფლები, რომლებსაც იმპერიის საწინააღმდეგო საქმიანობაში ედებოდათ ბრალი. დედოფლები დაკარგული უფლებების დაბრუნებაზე ოცნებობდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. დარეჯანი თავიდანვე წინააღმდეგი იყო საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლისაც კი და ხშირად აყვედრიდა მეუღლეს — მეფე ერეკლეს — 1783 წლის ტრაქტატის ღადებას.

დარეჯანს სხვა „ცოდვებთან“ ერთად სპარსეთში გადასვეწილ — რუსეთის დაუძინებელ მტერთან—ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერა დაუმტკიცდა. ალექსანდრე რუსეთის საზიანოდ მოქმედებდა და, რა თქმა უნდა, დარეჯანის მასთან კავშირი რუსეთის აქაურმა წარმომადგენლებმა იმპერიის საწინააღმდეგო საქმიანობად ჩათვალეს. გენერალმა ლაზარევმა ალექსანდრეს მიერ დედისადმი გამოგზავნილი წერილი ჩაიგდო ხელში და 1802 წლის დეკემბერში ციციანოვს მოახსენა: „დარეჯან დედოფალს კავშირი აქვს თავის შვილ ალექსანდრესთან, რომლისგანაც წერილი მიიღო, სადაც იტყობინება, რომ იგი ჯარით შემოვა თბილისში და თუ ცოცხალი დარჩება, საქართველოს სამეფოს მიიღებს, ხოლო თუ მოკლავენ, დარეჯან გიორგის ასულმა დაივიწყოს, რომ მას და მეფე ერეკლეს ჰყავდათ შვილი ალექსანდრე“[5].

1802 წლის 20 სექტემბერს სოკოლოვი სწერდა კურაკინს: „კარგი იქნება, დედოფალი დარეჯანი წავიდეს რუსეთში, ვინაიდან უთანაგრძ-

---

3 იმხანად იულონი და ფარნაოზი თავს არიდებდნენ რუსეთში წასვლას საცხოვრებლად და იმერეთში იყვნენ გადასულნი.

4 ბ. ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

5 П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, ნაწ. II, გვ. 188.

დედოფალ მარიამს არ შეეძლო ისეთი შორს გამიზნული მტრობა გაეწია მეფის რუსეთის პოლიტიკისათვის საქართველოში, როგორსაც დედოფალი დარეჯანი გეგმავდა და პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა, მაგრამ ისიც უკმაყოფილო იყო ტახტის დაკარგვით და შესაძლებლობის ფარგლებში მეფის რუსეთის წინააღმდეგ განწყობილ ბატონიშვილებსა და თავადებს უთანაგრძნობდა. ყოველივე ეს ნათელი იყო მეფის რუსეთის ხელმძღვანელობისათვის, რის გამოც ორივე დედოფლისადმი მკაცრი მეთვალყურეობა დაწესდა.

ნობს და არიგებს ჩვენს მტრებს, ჩვენს საწინააღმდეგოდ... მალე გვავნებს კიდეც, ამასთანავე გავთავისუფლდებით მისდამი დაწესებული მკაცრი მეთვალყურეობიდანაც"[6].

ამრიგად, გადაწყდა 70 წლის დედოფალ დარეჯანის რუსეთში გასტუმრება საცხოვრებლად. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი XII-მ დარეჯანს მამულები ჩამოართვა და ყოველმხრივ შეავიწროვა, შემოსავალიც შეუმცირდა და დანიშნულ პენსიასაც — თვეში 511 მანეთს[7] — რეგულარულად და დროზე არ აძლევდნენ, იგი მაინც სასტიკ უარს აცხადებდა რუსეთში წასვლაზე, სადაც, იმპერატორის დაპირებით, ცხოვრების საუკეთესო პირობები ექნებოდა.

სპარსეთში გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში არსებული მდგომარეობის კურსში იყო. იგი ძლიერ განიცდიდა ბატონიშვილთა გადასახლებას; განსაკუთრებით აღშფოთდა, როდესაც გაიგო ციციანოვის გადაწყვეტილება დედის — დარეჯან დედოფლის — გასახლების შესახებ.

სამშობლოდან გაქცეული ბატონიშვილები ყოველნაირად ცდილობდნენ სამეფო ტახტის აღდგენას და ბაგრატიონთა ოჯახის წევრთა რუსეთში გადასახლების დაყოვნებას. გარეშე ძალების დახმარებით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლით რომ ვერაფერს გახდა, ალექსანდრე ბატონიშვილმა მორჩილი ტონით მიწერ-მოწერის საშუალებით მოინდომა ხელმწიფე იმპერატორსა და ციციანოვთან მოლაპარაკება.

1803 წლის 1ივლისს მან წერილი გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს, სადაც ხაზს უსვამდა 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული მფარველობის შეუსრულებლობას, რის გამოც ბაგრატიონთა სამეფო ნახლის წევრები დაღუპვისა და სამშობლოდან გასახლების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, და ითხოვდა დედის—დედოფალ დარეჯანის—საქართველოში დატოვებას. „...ყოვლად მოწყალევ ხელმწიფევ! ნაცვლად კეთილად დაცვისა ესგვარი დაცვა მიიღო სახლმან ბაგრატოვანთამან, რომელ ერთიც ძე ბაგრატოვანთა არღარა იპოვების საქართველოსა შინა, არა თუ უფლად, არამედ არცალათუ სახითა ერთისა კეთილ-შობილისათა, რომელნიცა თუ იქმნებოდენ თჳსსა მშობელსა ქვეყანასა თჳსთა ნათესავთა და მეგობართა თანა სახითა ერთისა კეთილ-შობილისათა, დასჯერდებოდენმცა მას და არღარა ზრუნვა რამე ედვათ მეფობისათჳს და მსახურებდენცა იმპერატორსა, ვითარცა სხვანი კეთილ-შობილნი როსსიისანი; გარნა უბედურებითა ჩვენითა ეს გუარ შესმენილ ვიქმენით წინაშე თქვენსა, აღვიფხჳრენით ქვეყანით ჩვენით,

[6] აქტები, ტ. II, გვ. 67.
[7] აქტები, ტ. I, გვ. 480.

რომელსაცა შინა განვლო შთამამავლობამან ჩვენმან ათას ორას ოც-დათოთხმეტი წელნი მეფობასა შინა, რომელთაცა სისხლითა სყიდულ არს მრავლ გზის საქართველოჲ და ერნი საქართველოსანი. — ყოველად მოწყალეე ჴელმწიფეე! უწყით ჩვენ, არა იქმნებოდა უსამართლობა ესე ნება ჴელმწიფობისა თქვენისა, რათამცა აღგეფხჳრათ უსამართლოდ ძველი ოჯახი მართლ-მადიდებელისა ქრისტიანისა იმპერატორსა ქრისტიანესა და არცა იყო საკადრო დიდებულებისა თქვენისა, არამედ იქმნა ესე მტერთა მიერ ჩვენთა, რომელთაც შესმენაჲ ჩვენი განავლინეს წინაშე დიდებულებისა თქვენისა; კვალად არა დასცხრებიან მტერნი ჩვენნი, რათამცა გვავნეს ჩვენ. გიბრძანებიეთ დედის ჩემის დედოფლის მანდ წამოსვლა, რომელიც მოხუცებულებისა და მწუხარებისა გამო ესრეთ უსუსურ-ქმნილ არს, რომე ვერ ძალუძს აღდგომად სარეცელით თჳსით, — არამც თუ კავკასიის გარდმოვლა და მაგსიშორის გზის გავლა შეეძლოს. ვეედრები დავრდომით ჴელმწიფებასა თქვენსა, არა ინებოთ სიკვდილი მაგისი უჟამოდ გზასა ზედა. ვფუცავ ყოვლისა შემძლებელს ღმერთს, წინააღმდეგობა თქუმნი არა ეხმარებინოსრა დედას ჩემს და არცარა შეეძლოს წინა-აღმდეგი თქვენი. მოხედეთ მოწყალებით, დაუტევეთ ეგე, რათა რაჟამს აღესრულოს, შთაყაროს ძვალნი თჳსნი თჳსსა მეუღლესათანა; და თუ არა ინებეთ, იყავნ ნება ჴელმწიფებისა თქვენისა"[8]. რვა დღის შემდეგ — 1803 წლის 10 ივლისს ალექსანდრე ბატონიშვილმა თავრიზიდან ასეთივე შინაარსის წერილი გამოუგზავნა ციციანოვს, რომელშიაც აღნიშნავდა: „...ამას წინათ კნორინგი რომ მოვიდა, მე ერევანს გახლდით და ერევნიდამ წიგნიც ვააჴელ და ჴელმწიფესთანაც არზი ვააჴელ და ჩემის წიგნის პასუხიც არ მოეწერა და არცარა შემოეთვალა. მეც იმაზე დავფთხი და ველარც მე მოგენდენით: მეც ასე ვიფიქრე, რომ ალბათ, ჴელმწიფე ჩემზედ წყრომით არის, რომ არც წიგნს მწერენ და არც პასუხს მითვლიან. ჩემი პირველად გავარდნა ჩემის ძმის — მეფის გიორგის მიზეზი იყო. წიგნი გრძლად მოვა და ზეპირად ეს ჩვენი აზნაურ-შვილის ზაქარიას პირით დამიბარებია და ეს მოგახსენებს. ახლაც ამას მოგახსენებ, ეს სწორეთ მიბრძანოთ და ჴელმწიფის ან ნუგეში ან წყალობა ან სარჩო რა არის და ხათრიჯამი გამხადოთ და ამ ურჯულოს ქუმყნიდამ გამომიშოთ და საქრისტიანოს წირვა და ლოცვა მაჩვენოთ: არც ჴელმწიფეს და არც რუსეთს არ ეკადრება, რომ ქრისტიანი კაცი ვიყო და მეფის შვილი ვიყო და სათათრეში დავდიოდე და თუ ინებოთ ეს აზნაურ-შვილი ზაქარია ჴელმწიფესთან ვაგზავნოთ და ამ რიგი არზი დააწერინოთ და ამას გაატანოთ და თქვენც ერთი არზი დაწეროთ და

[8] საქ. ცსა, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 54, ფურც. 603.

მიართოთ და როგორც ხელმწიფე მიბრძანებს წერილით, მეც ისრე ვიახლები"[9].

ალექსანდრე[10] მზად იყო საქართველოში დაბრუნებულიყო, მაგრამ ვინაიდან წერილებზე პასუხი ვერ მიიღო, ყოველგვარი იმედი დაჰკარგა და საქართველოში დაბრუნებაზე სამუდამოდ აიღო ხელი.

ციციანოვი საქართველოში მყოფ ბაგრატიონთა გასახლებას ჩქარობდა და ალექსანდრეს დაბრუნება სრულებითაც არ ხინტერესებდა. ხელისუფლება ამჯერად დარეჯან დედოფლის გასახლებით იყო დაინტერესებული, თუმცა მისი გაყვანა ძალზე ჭიანურდებოდა. დარეჯანი ყოველთვის სიბერესა და ავადმყოფობას იმიზეზებდა; რომ მას არ შეეძლო ესოდენ შორ გზაზე მგზავრობა და გზაში სიკვდილს საქართველოს მიწაზე სიკვდილს ამჯობინებდა.

დარეჯანის მტრები კი ციციანოვს უმტკიცებდნენ, რომ დედოფალი ჯანმრთელია და ავადმყოფობას იგონებს, რათა როგორმე თავი აარიდოს რუსეთში წასვლასო. რა თქმა უნდა, 70 წლის დედოფალი ხანდაზმულიც იყო და დაავადებულიც, მაგრამ რუსეთის ინტერესები მოითხოვდა და ამიტომ არავინ უჯერებდა მის ავადმყოფობასა და გამუდმებულ წუხილს. დედოფალი დროებით მუხრანში წავიდა თავის შვილ თეკლასა და სიძე ვახტანგ ორბელიანთან[11]. მტრებმა მაშინვე მოახსენეს ციციანოვს, ავად რომ იყოს, მუხრანში ვერ ჩავიდოდა და თუ იქამდე შეძლო ჩასვლა, პეტერბურგში წახვლასაც შეძლებსო.

ამგვარი დასმენებით ციციანოვმა მოთმინება დაკარგა და დედოფ-

---

[9] აქტები, ტ. II, საბუთი № 285, გვ. 158.

[10] ერეკლე მეორის მეხუთე ვაჟი, ალექსანდრე ბატონიშვილი, დაიბადა 1769 წელს. იგი რუსეთის ხელისუფლების დაუძინებელი მტერი იყო. 1800 წელს გადავიდა სპარსეთში, სადაც დიდად აფასებდნენ ირანის მესვეურები, რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგო პრაქტიკული საქმიანობის გამო. იგი გარეშე ძალებით რუსეთთან ხანგრძლივი, უშედეგო ბრძოლის შემდეგ, სამუდამოდ დარჩა იქ. ირანის შაჰმა ალექსანდრე ბატონიშვილს „ვალის" ტიტული უბოძა და დაჯილდოვა ძვირფასი ქვებით მორთული ლომისა და მზის ორდენით. კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობას მისი ხელში ჩაგდება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ხშირად შემოდიოდა თბილისში საიდუმლოდ, დადიოდა ეკლესიაში, ყველა ცნობდა მას, არავინ აბეზღებდა მთავრობის წარმომადგენლებთან. ალექსანდრე ბატონიშვილი დაქორწინებული იყო სომეხ ქალზე — მარიამ ისაკის ასულზე, რომელიც 80 წლის ასაკში გარდაიცვალა თბილისში 1883 წელს.

თვით ალექსანდრე ბატონიშვილი გარდაიცვალა თავრიზის მახლობლად „ოქროს ტყეობაში", 1844 წელს. მას დარჩა ერთი შვილი ირაკლი, რომელიც შემდეგში 1859 წელს შექმნილი რუსეთში დასახლებულ ბატონიშვილთა და მათ შთამომავალთა პენსიებით უზრუნველყოფის სპეციალური კომისიის აქტიური წევრი იყო.

[11] ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბილისი, 1980, გვ. 205.

ლის სასწრაფოდ მოცილება გადაწყვიტა; 1803 წლის 10 სექტემბერს დედოფალ დარეჯანს მუხრანში წერილი აახლა:

„უგანათლებულესო დედოფალო, მოწყალე ხელმწიფევ!

უკეთუმცა სამღთოისამებრ მისისა იმპერატორებითისა დიდებულებისა ყ-დ უმოწყალესისა ხელმწიფისა ჩვენისა ნებისა და მოცემულსა ჩემდამი ბრძანებისამებრ შეკრულ ვიყავ მე, რომელ თქვენი უმაღლესობა წარმემგზავრებინა რუსეთად ასევ წამასრულის გაზაფხულის დასაწყისს; მაგრამ მხოლოდ ჩემისა თქვენისა უმაღლესობისადმი პატივდებისა გამო გავბედე მე საქმისა ამისა თავსა ჩემსაზედა დადება და არღა გაიძულე თქვენ მოწყალეო ხელმწიფევ, რომელ მიგეღოთ განუსვენებლობა მგზავრობის შედგომითა რომელთამე მაშინდელისა ჟამისა სიძნელეთათვის. გარნა რადგანაც აწ ჟამი თვით უადვილესი მგზავრობისათვის მოწევნილ არს და მე უცვალებად თანამდებვარ აღსრულებად უმაღლესისა ხელმწიფისა იმპერატორის ჩვენის ნებისა, ამისათვის შეკრულებად ჩემდა დავადგენ, რათა ვაუწყო თქვენსა უმაღლესობასა, რომელ ამ თვის თხუთმეტ რიცხვამდი ხიდები გაკეთებული იქმნების თერგზედ და გზა სრულიად გამართული და რათა უმორჩილესად ვითხოვთ მაუწყო მე, თუ ვითარ მსწრაფლ ინებებთ, აღსასრულებელად მისისა იმპერატორებითისა დიდებულებისა ბრძანებისა, და განიზრახავთ წარსვლასა აქედგან რუსეთად: და ამასთანავე დარწმუნებულ გყოფ, რომელ თქვენსა უმაღლესობასა არა გაქვსთ საჭიროება ზრუნვად საჭიროთა გზასა ზედა ნივთთათვის; ვინადგან ყოველი იგი შესაფერად თქვენისა გვამისადმი იქნების ჩემ მიერ განწესებული. მე არცა მცირედ იქვეულ ვარ, რომელ თქვენი უმაღლესობა არღა დააყოვნებთ უკვე თქვენსა მგზავრობასა, და თქვენ თვით დაადგენთ, რომელ რადგანაც ძალაგედვათ თქვენ, აქედან მუხრანს მისვლა, ძალგიძთ გზის მსვლელობა უშორეს‹დაც; რადგან ჩემ-მიერცა ხმარებულ იქმნება ყოველი ღონისძიება შესამსუბუქებლად მგზავრობისა თქვენისა.

მოლოდებასა შინა ამას-ზედა მსწრაფლისა თქვენისა უმაღლესობისა მიერ პასუხისასა დავშთები და მაქვს პატივი ყოფად უჴეშმარიტესისა პატივცემითა და უსრულესისა შევრდომებითა“ [12].

დედოფალი მიხვდა, რომ ციციანოვის წერილი მტრების მიერ მრავალგზის დაბეზღების შედეგი იყო, თორემ რუსეთში წასასვლელად მომზადებისათვის ოთხი დღის ვადას როგორ შესთავაზებდა სახელგანთქმული მეფისა და სარდლის ერეკლე მეორის ქვრივ დედოფალს, რომელსაც იმპერატრიცამ 1783 წელს ეკატერინეს ორდენი ბრილიან-

[12] საქ. ცსა, ფონდი 2, ანაწ. 1, საქმე 54, ფურც. 38.

ტებიანი ვარსკვლავით[13] და 5500 მანეთად ღირებული ბეჭედი უბოძა და რომელსაც საქართველოში მეფობა სურდა[14]. წერილის მიღებისთანავე მუხრანიდან საპასუხო ბარათი გამოუგზავნა ციციანოვს 1803 წლის 11 სექტემბერს. წერილში კვლავ ძველ მიზეზებს ასახელებდა და დასძენდა, რომ ჯანმრთელობა იმდენად ჰქონდა გატეხილი, რომ რუსეთამდე ვერ ჩააღწევდა, გზაში გარდაიცვლებოდა. წერილში სხვა მიზეზებიც იყო აღნიშნული და ემუდარებოდა ციციანოვს საქართველოში დატოვებას.

„ბრწყინვალეო თავადო, ბრწყინვალეო ხელმწიფევ!

პატივსაცემი წერილი ბრწყინვალებისა თქუენისა 10 რიცხვსა ამის თვისასა აღწერილი მივიღე, რომლითაც გებრძანათ წარსლუა ჩემი რუსეთად; მრავალჯერ მირწმუნებია ბრწყინუალებისა თქუენისათვის და აწცა გარწმუნებთ ქრისტიანებრისა სინდისისა ფიცითა, რომელ დიდათ მსურველი ვიყავ და ვარ თაყუანისცემად უდიდებულესობისა მისისა, მაგრამ ცოდვითა ჩემითა მეუფლა სნეულება, ესე ვითარი, რომელ ამა-საცუმ გარწმუნებთ საშინელისა ღუთისა სახელისა ფიცითა, არ ძალ-მიძს არცა ერთისა ღონისძიებისა შეძლებითა, რომ ზეზე ავდგე და რადგან ადგომა და ფეხის დადგმა არ შემიძლია, გავლა ხომ უფრო შეუძლებელი იქნება. წელს ზევით მართალია სიცოცხლე მაქუს და სული მიდგას, მაგრამ წელს ქვეით ჩემი სხეული ყოვლითურთ სიცოცხლე მოკლებული არის და არაფერი სიმრთელე აღარ მეპოებარა, ორჯერ ასე შევქმნილვარ ამ სნეულიბისაგან აქ ყოფნაში, რომ სიკუდილს ცოტას მოურჩი. აღარ იქმნა ჩემი განკურნება და რა ვქნა, ჩემი მტრები, რომელნიც დიდმარხუაში მოგახსენებდნენ — ავათ არ არისო, ვიცი, არც ახლა დაიშლიან ჩემს ბეზღებას. ღმერთმან ასე ამყოფოს თქუენნი მტერნიცა და ჩემიც, როგორც მე ვარ, მეტად აღარ დავწყეველი.

---

[13] П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, ნაწ. II, გვ. 129; ეს ორდენი თვით ერეკლემ გადასცა მეუღლეს — დარეჯან გიორგის ასულს 1734 წელს, 25 იანვარს, ეკლესიაში, სადაც დედოფალი პირველად იყო პირსაფარის გარეშე.

[14] მართლაც, 1792 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა მისი გავლენა სამეფო კარზე, იგი ყველა საქმეში ერეოდა და მეფე ერეკლეც დიდ ანგარიშს უწევდა მის აზრს. მისი საქმიანობის შედეგად ბატონიშვილებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, აღარ ჰქონდათ ერთსულოვნება და სამშობლოს ბედისადმი ერთი აზრი. აღა-მაჰმად-ხანი ს მიერ თბილისის დარბევაშიც ადანაშაულებდნენ დედოფალს, რობლის გამოც ბატონიშვილებმა თავიანთ სამფლობელოებში მხედრობას თავი ვერ მოუყარეს ბრძოლის ველზე გამოსაყვანად. როცა დარეჯანი ერეკლეს თხოვნით მთაში გაიხიზნა, მოსახლეობა წყველა-კრულვით იხსენიებდა მას. ანანურში მთელი მოსახლეობა დარეჯანს აბრალებდა თავს დატეხილ უბედურებას და ხმამაღლა საყვედურობდა მას. დარეჯანის სიცოცხლე საფრთხეში იყო. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას გამ., თბ., 1978, გვ. 220; ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბილისი, 1963, გვ. 187; П. Г. Бутков, იქვე, გვ. 342.

ესეც გიბრძანებიათ: მუხრანს წასლტა შეიძელით და რუსეთს წასლტასაც შეიძლებთო, კარგად მოგეხსენებათ, დიახ, სხტა და სხტა რიგი გზა არის ტფილისიდამ მუხრანი და მუხრანიდამ პეტერბურღი. იმავე ფიცით ირწმუნეთ, რომ ამისმა შიშმა გამაბედვინა წამოსლტა აქა, ქალაქში რომ ჭირვით მომკუდარ-ვიყავ, მკუდარს აღარავინ მომიდგებოდა და არცარავინ მომივლიდა, ისევ გზაზე სიკუდილი ვირჩიე ამ სნეულებაში ყოფნას და იქ სიკუდილს. აქამდინაც ძლივას და რას ყოფნით მოვაწიე, ცხრას ადგილს გზაზე გული შემიწუხდა, კინაღამ მოვკუდი. ასეთი სნეული გამოველი ერთი იმ სნეულების შიშით ქალაქიდამ ურმით, რომ სუდარი თავს ედო და სულის ამოსლტას იმ საათში ელოდენ, მეც ამისი შიშით წამოველ, თორემ, როგორ შემეძლო წამოსლტა. მე ასე მგონია, მე რომ ახლა გზაზე მოვკუდე, არც არა ხელმწიფის შესამატი იყოს და არც არა თქვენის ბრწყინვალებისა; ნაღდგომებზედ თქვენგან მრავლის საშინელის ფიცებით მერწმუნა თქვენის დის, მოურავის ჯალაბის თამარის პირით და აგრეთვე თათულა ექიმის პირით. რომ ჩემგან იმის წასელის გახსენება აღარ იქნება და არც წავიყუჩან გული დააჯეროსო; სხტას საშინელს ფიცებს გარდა ესეც გებრძანებიათ, თუ არ დაიჯერებს იმის საყდარში გავალ ვეზიარები და წმიდის საიდუმლოს მიღებით შევფიცავ, რომ მე იმას წაყუჩანა აღარ გაუხსენოო. მე ამ ფიცების მინდობილმა გული დავაჯერე, აღარც იმის დიდებულებას არზი მივართვი და თქვენს სიტყუას ვენდე. ახლა ასე გიბრძანებიათ: ამას ვითხოვ თქუენის ბრწყინვალებისაგან დიდის ვედრებით, ეს მოწყალება მოიღოთ, — ჩემი მოხუცებულობაში მყოფი უძლურობა შეიბრალოთ, ბაშფორთი მომიბოძოთ, რომ კაცი გავუგზავნო, მის დიდებულებას უმდაბლესი არზი მივართო და შევევედრო, მანამდინ დამაცადოთ კუალადუმ განვამეორებ და უმწვერვალესის ვედრებით და ცრემლით გთხოვთ ამ თხოვნის აღსრულებას, რათა კაცის გაგზავნის ნებაც მომცეთ და მოსლტამდე მისსა კიდეც დამაცალოთ, რომლისაც მადლობის გამოთქმა არ შემეძლება“ [15].

დედოფლის მტრები არ ისვენებდნენ. ციციანოვს აცნობეს, რომ დარეჯანმა თავისი თხოვნა უკვე გაგზავნა იმპერატორთან ვინმე შიშნოვის ხელითო და მოტყუებით გთხოვთ არზის გაგზავნის ნებართვასა და პასუხის მოსვლამდე საქართველოში დარჩენასო.

დედოფალი თავს იმართლებდა ციციანოვის წინაშე და ფიცულობდა, რომ წერილი მივწერე მხოლოდ ჩემს შვილს—მირიანს—და ვთხოვდი ჩემი სნეულების წამლები გამოეგზავნაო.

დედოფალი დაჟინებით მოითხოვდა ავადმყოფობის გამო შებრა-

---

[15] საქ. ცსა, ფონდი 2, ანაწ. 1, საქმე 54, ფურც. 396.

ლებას, მაგრამ ციციანოვს გადაწყვეტილი ჰქონდა მისი მოცილება საქართველოდან და არავითარ თხოვნა-მუდარას ყურად არ იღებდა.

1803 წლის 29 ნოემბერს ციციანოვმა საიდუმლო მრჩეველის, შინაგან საქმეთა მინისტრ კოჩუბეისაგან შეტყობინება მიიღო: „იმპერატორი ნებას რთავს საქართველოს ქვრივ დედოფალს — დარია გიორგის ასულს საცხოვრებლად სანკტ-პეტერბურგში გადასვლაზე"[16]. ისედაც გაბრაზებული ციციანოვი დაუყოვნებლივ შეუდგა იმპერატორის ნება-სურვილის აღსრულებას და პარალელურად სასწრაფოდ აცნობა ალექსანდრე პირველს: „მე მხედველობიდან არ გამომრჩება ესოდენ მოხერხებული შემთხვევა მისი (დედოფალ დარეჯანის—მ. გ.) საქართველოდან გაძევებისათვის [17].

ციციანოვმა დედოფალ დარეჯანს საქართველოს მმართველის ხელით გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრ კოჩუბეის მიერ გამოგზავნილი იმპერატორის გადაწყვეტილება, თან თავისი წერილიც გაატანა და პირადად დაავალა: „თქვენ დაარწმუნეთ დედოფალი დარეჯანი, რომ მისი ინტერესები მოითხოვს და მის სასარგებლოდ იგი სანკტ-პეტერბურგში უნდა წავიდეს. ამასთანავე, ეგერთა მეჩვიდმეტე პოლკის უფროსს — გენ-მაიორ ლაზარევს — ჩემს მიერ გაცემული ორდერით მზად ჰყავს ფეხოსანთა ბატალიონი — მის საქართველოს საზღვრებამდე გასაცილებლად. კავკასიის ხაზზე კი სხვა მცველთა რაზმი დახვდება და მშვიდობიანად გააცილებს"[18]. გატანებული წერილიც იმავე მიზანს ემსახურებოდა. იგი არწმუნებდა დარეჯან დედოფალს, რომ არ დაეყოვნებინა და სასწრაფოდ ესარგებლა იმპერატორის ნება-სურვილით და წასულიყო სანკტ-პეტერბურგში. ციციანოვი პირდებოდა დედოფალ დარეჯანს შესაფერის გაცილებას. ერთი თვით ადრე ციციანოვმა ერეკლე მეორის სიძეს — თეკლას ქმარს — ვახტანგ ორბელიანს დაავალა დაერწმუნებინა დარეჯან დედოფალი, რომ რუსეთში წასვლა აუცილებელი იყო და თანაც სასარგებლო. ციციანოვი ფიქრობდა, რომ დედოფალი იოლად დაიჯერებდა უახლოესი ნათესავის რჩევა-დარიგებას. მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში დარეჯან დედოფალი სიძის სამფლობელოში იმყოფებოდა.

ორბელიანი[19] დიდი მონდომებით შეუდგა ციციანოვის დავალების

---

[16] საჭ. ცსა, ფონდი 2, ანაწ. I, საქე 25, ფურც. 1.

[17] იქვე.

[18] იქვე, ფურც. 2.

[19] ერეკლე მეორის სიძე ვახტანგ ორბელიანი რუსეთის ერთგული იყო. დედოფალ დარეჯანის რუსეთში გასტუმრების საქმეში დამსახურებისათვის ებოძა პოლკოვნიკის ჩინი და მსახურობდა საქართველოში მყოფ არმიაში. 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს ჩუმლაყის მახლობლად მოკლეს აჯანყებულებმა. დარჩა სამი

შესრულებას. მართალია, დარეჯანის რუსეთში გასტუმრებისათვის იგი დიდ საჩუქარსა და სამსახურში დაწინაურებას მოელოდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგმა კარგად იცოდა, რომ ციციანოვი უკან არ დაიხევდა, დარეჯან დედოფალს არავითარ შემთხვევაში საქართველოში არ დატოვებდა, ნებით თუ ძალით შეასრულებდა ხელმწიფე იმპერატორის დავალებას. მალე ვახტანგის მონდომებას დადებითი შედეგი მოჰყვა, მხოლოდ მის რჩევა-დარიგებას ენდო დედოფალი დარეჯანი და გადაწყვიტა რუსეთში საცხოვრებლად გადასვლა. ვახტანგ ორბელიანმა ძნელად, მაგრამ მაინც შეასრულა ციციანოვის დავალება — 70 წლის დარეჯანი თავისი ნებით გაემგზავრა რუსეთში.

ზემოხსენებული დავალების შესრულებით გახარებულმა ვ. ორბელიანმა 1803 წლის 23 ოქტომბერს წერილით აცნობა ციციანოვს: „ბრწყინვალეო თავადო. მოწყალეო ხელმწიფევ! ვახლდი რა ბრწყინვალებას თქვენსა თთვისა ამის 23, რაცა მებრძანა ბრწყინვალებისა თქვენისაგან, ვეცადე მას ზედა ყოველთა შეძლებითა ჩემითა და დავიყოლიე ამას ზედა, რომელ ინება თავისითა ნებითა მგზავრობა, ვითარცა შეეძლების... დედოფალი დარია და (მე) დღეს გამოვედით მუხრანთ წილკნამდე, კეთილ განზრახვა თქვენისამებრ გავყევ მეცა თან როსიად ვინათგან მიბრძანა თვითცა... მაქუს მიუცილებელი იმედი მწყალობლობისა თქვენისაგან და ვბედავ ვედრებასა ამას, რათა მეუღლესა ჩემსა ზედა მეფის ასულსა თეკლა იყვნებთ მწყალობლობით, ვინათგან არა მყავს ძმა და არცა მოსწრებული შვილი. რათა მამა ძეებრივთა მოწყალებითა თქვენითა ცხოვრობდეს. სარგებლობდეს შემოსავლითა თვისა თვისითათა, რომელიცა აქვს ბოძებული მშობელისა თვისისაგან“ [20].

ციციანოვმა მაღალი შეფასება მისცა ვ. ორბელიანის მიერ გაწეულ სამსახურს: „ვახტანგ ორბელიანმა დააწყნარა დედოფალი თავისი ნებით გადასახლებულიყო რუსეთს. სწორედ იმისი ცდის შედეგია, რომ დედოფლის გამგზავრებას არავითარი გართულება არ მოჰყოლია“[21]. ვ. ორბელიანმა პოლკოვნიკის ჩინი მიიღო და 750 მანეთი ჯამაგირი წელიწადში[22].

დედოფლის გასაცილებლად გამოყოფილი იყო 20-კაციანი ამალა,

შვილი — ალექსანდრე (პუპლია) (1802—1869), დიმიტრი (1808—1888) და ვახტანგი (1812—1890). მესამე შვილი ვახტანგი მამის გარდაცვალების წელს დაიბადა და მამის სახელი დაარქვეს.

[20] საქ ცსა, ფონდი 2, ანაწ. I, საქმე 47, ფურც. 1.

[21] აქტები, ტომი II, გვ. 90.

[22] მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბილისი, 1983 წ., გვ. 143.

ხოლო მგზავრობისათვის — 500 მანეთი. ეს თანხა უნდა ჰყოფნოდათ მუხრანიდან მოზდოკამდე. სინამდვილეში ამალა 40 კაცისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, დედოფალს აცილებდა მეფის სამი ასული. მართალია, დედოფალი მუხრანიდან გამოვიდა და მგზავრობას შეუდგა, მაგრამ ძალიან ნელი ტემპით. გარდა ღამისთევებისა, ხშირად მთელ დღეებს რჩებოდა ერთ ადგილას. ყოველივე ამით განაწყენებული ვახტანგ ორბელიანი სწერდა ციციანოვს: „დარია გიორგის ასულთან ერთად მშვიდობით მოვედით ანანურში, სადაც მან ღამის გათევა მოინდომა. გარდა ღამის გათევისა, იგი ყოველ ადგილას დღის გატარებას ცდილობს. ჩემს თხოვნას, ყოველდღე ცოტაოდენი გზა გაიაროს, იგი ავადმყოფურად იღებს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მიმითითოთ, როგორ მოვიქცე ასეთ შემთხვევაში“[23]. დედოფალს ემძიმებოდა საქართველოს დატოვება და მგზავრობის გასაჭიანურებლად ყოველ ღონეს ხმარობდა. მას საკუთარი სიძეც კი აღარ სწყალობდა. თუმცა, რა უფლება ჰქონდა ვ. ორბელიანს, ციციანოვის ბრძანება არ შეესრულებინა? რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ ვ. ორბელიანი კვლავ აცნობებდა ციციანოვს: „რამდენიც არ ვეცადე, მიზანს ვერ მივაღწიე, მუხრანიდან მის ნებაყოფლობით გამოსვლის შემდეგ, მთელი დღე წილკანში გაატარა, ბავშვებთან გამოსამშვიდობებლად. ჯიქურაანთ კარში მოსვლისას ავადმყოფობა მოიმიზეზა და მთელი დღე იქ გაატარა. ანანურში მისვლისას კვლავ შეჩერება მოითხოვა და ორი დღე იქ იყო. ანანურიდან სამი ვერსის გავლის შემდეგ ღამის გათევა გადაწყვიტა ავადმყოფობის მომიზეზებით. მოყვანილმა ექიმმა გასინჯვის შემდეგ განაცხადა, რომ მგზავრობისათვის მას არავითარი ავადმყოფობა ხელს არ უშლისო. მე გადავწყვიტე მის სურვილს არ მივაქციო ყურადღება და წესისამებრ განვაგრძოთ გზა, მთებზე გავლით, რათა ხელსაყრელი დრო არ დავკარგოთ“.

ვ. ორბელიანი სთხოვდა ციციანოვს, დედოფლისათვის წერილი მიეწერა, რათა უკანასკნელს თავი დაენებებინა ჭირვეულობისათვის. ვახტანგ ორბელიანის თხოვნას დედოფალი დარეჯანი უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა.

ვ. ორბელიანსა და სპეციალურად გამოყოფილ ხელმძღვანელსა და ხარჯთაღმრიცხველს — ნარვის დრაგუნთა პოლკის პოლკოვნიკ უმიანცოვს 40-კაციანი ამალის ხარჯებიც აფიქრებდათ. მგზავრობისათვის გამოყოფილი 500 მანეთი არასაკმარისი აღმოჩნდა, მით უმეტეს, რომ იგი 20 კაცზე იყო გაანგარიშებული. ზედმეტი ხარჯებით შეშინებული უმიანცოვი 1803 წ. ნოემბერში ციციანოვს სწერდა: „დარეჯა-

[23] აქტები, ტ. II, გვ. 104, № 69.

წის მუხრანიდან მოზდოკამდე მისაცილებლად გამოყოფილი იყო 500 შანეთი. გამცილებელთა ამალა 20-კაციანი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი 40-კაციანია, გარდა ამისა, მას მეფის სამი ასული აცილებს (რა თქმა უნდა, აღნიშნული თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა. შითუმეტეს, რომ დედოფალი ძალიან ბევრ დროს ადგილზე ატარებდა და ამის გამო ჭამა-სმაზე მეტი ხარჯი მიდიოდა...). დღეში ეხარჯავთ სამ გირვანქა შაქარს, 20 თუნგ ღვინოს, სამ ცხვარს, თხუთმეტამდე ქათამს და 100—120 შოთ პურს"[24]. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო უმიანცოვი თხოულობდა დამატებით ფულს, რათა დედოფალი თავისი ამალით მოზდოკამდე მიეცილებინათ.

ციციანოვი წინააღმდეგი იყო 40-კაციანი ამალისა და კატეგორიულად ითხოვდა ნაწილის უკან გამობრუნებას, რათა სამგზავრო ხარჯები შემცირებულიყო და, საერთოდ, დედოფლის მგზავრობას გრანდიოზული ხასიათი არ ჰქონოდა.

ცხაოთში დარეჯანმა ექიმისაგან შეიტყო, რომ მოზდოკიდან სანკტ-პეტერბურგამდე მას პეტრე ორბელიანი გააცილებდა. დედოფალმა წერილი მისცა უმიანცოვს ციციანოვისათვის გადასაცემად, სადაც წერდა: „თქვენ გამოგიგზავნიათ პეტრე ორბელიანი ჩემს მოზდოკიდან სანკტ-პეტერბურგამდე გასაცილებლად. მე გთხოვთ, რომ გამცილებლად რუსი უფროსი დამინიშნოთ. მე ვერ დაგეთანხმებით, რომ ქართველმა გამაცილოს. თარჯიმნობისათვის არის პრაპორშჩიკი ჯომარჯიძე, რომელსაც მე უკვე შევეჩვიე". ცხაოთში დედოფალმა შეჩერება მოისურვა. უმიანცოვს კი უნდოდა იმავე დღეს კაიშაურამდე მისულიყვნენ, საიდანაც მეფის სამივე ასული უკან დაბრუნებას აპირებდა და, მისი აზრით, ხარჯიც ცოტა შემცირდებოდა. ციციანოვი კი ხარჯის ნახევრად შემცირებას ითხოვდა, ამალის 20 კაცამდე დაყვანით.

1803 წლის ნოემბრის ბოლოს დარეჯან დედოფალი თავისი ამალით მოზდოკში მივიდა. მოზდოკიდან მის გასაცილებლად 60 შეიარაღებული ცხენოსანი კაზაკი გამოიყო. აქ, საკარანტინო წესების გამო საკმაო ხანს დარჩნენ. გასვლა დანიშნული იყო ადრე, მაგრამ დედოფალმა დარეჯანმა 5 იანვრისათვის გადადო. 5 იანვარს კვლავ ავადმყოფობა მოიმიზეზა და 6 იანვარს შეუდგა მგზავრობას გეორგიევსკისაკენ[25].

ვ. ორბელიანი, გ. ჩოლოყაშვილი და სხვები მოზდოკიდან 5 იანვარს უკან გამობრუნდნენ. მოზდოკიდან დედოფალ დარეჯანს კაზაკთა შეიარაღებული რაზმი მიაცილებდა, მგზავრობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. თუ მუხრანიდან მოზდოკამდე ორთვე-ნახევარი იარეს, მოზდო-

---

[24] აქტები, ტ. II, გვ. 104.

[25] П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, ნაწ. III, გვ. 370.

კიდან მოსკოვამდე ისე სწრაფად მიდიოდნენ, რომ 1804 წლის 22 მარტს დედოფალი უკვე მოსკოვში იყო[26]. მოსკოვში შესვენების შემდეგ 27 მაისს დედოფალი სანკტ-პეტერბურგისაკენ გაემგზავრა, სადაც 1804 წლის 17 ივნისს მივიდა.

იმპერატორმა დიდი ზეიმით მიიღო საქართველოს ქვრივი დედოფალი დარეჯანი და სათანადო სარჩოც დაუნიშნა, რათა ყოველმხრივ კმაყოფილი ყოფილიყო და მშვიდად ეცხოვრა იმპერიის სატახტო ქალაქში. ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვებით: „წელსა 1804 წარავლინა რუსეთს დადიანოვის ასული დედოფალი დარეჯანი, მეუღლე მეფისა ირაკლისა ფრიად მოხუცებული, რომელი იყო მას ჟამს წლისა 70. მისრულსა პეტერბურხს პატივ ჰსცა იმპერატორმან ფრიად და ანიჭა ნიჭნი მრავალნი, და იყოფოდა პეტერბურხსა შინა 4 წელი“ [27].

პეტერბურგში დედოფალი დარეჯანი ცდილობდა იმპერატორის ნდობა დაემსახურებინა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის შვილ ალექსანდრესავით შეურიგებელი მტერი იყო საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებისა, მოჩვენებითი საქმიანობით ცდილობდა მისი უმაღლესობის — ხელმწიფე-იმპერატორის — ნდობის მოპოვებას. 1805 წლის 29 აგვისტოს დედოფალმა დარეჯანმა წერილი მისწერა ალექსანდრესა და თეიმურაზ ბატონიშვილებს, რათა მოენანიებინათ თავიანთი საქციელი და საქართველოში დაბრუნებულიყვნენ. ციციანოვმა ეს წერილი დარეჯან დედოფლის მორიგ თვალთმაქცობად მიიჩნია. მან ჩარტორიისკის აცნობა წერილობით, რომ დედოფალ დარეჯანს უნდა ალექსანდრე და თეიმურაზი შემოვიდნენ საქართველოში და კვლავ სამეფოს აღდგენას შეუდგნენო[28]. საეჭვოა, რომ დედოფალს იმპერატორის რაიმე ნდობა მოეპოვებინა, მაგრამ ალექსანდრე პირველი ცდილობდა ზოგიერთი თხოვნა შეესრულებინა მისთვის. 1806 წელს დედოფალმა ფარნაოზისა და იულონის განთავისუფლება თხოვა ხელმწიფე-იმპერატორს. უკანასკნელმა შეიწყნარა თხოვნა და გაათავისუფლა ორივე ბატონიშვილი. „ხოლო წელსა ამასვე 1806 განათავისუფლა იმპერატორმან პყრობილებისაგან მეფის ძენი ფარნაოზ და იულონ თხოვნითა დედისა თვისისათა დარეჯან დედოფლისათა, რომელნიცა მოიყვანეს მოსკოვს და დააყენეს სახელმწიფო სასახლესა შინა ლაფერთოვცკით წოდებულსა“ [29].

ამრიგად, დედოფალ დარეჯანის არც თვალთმაქცური და არც გუ-

---

[26] П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, ნაწ. III, გვ. 370.

[27] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 86.

[28] აქტები, ტომი II, გვ. 169—170, საბუთი № 317.

[29] ბაგრატ ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

ლახდილი საქმიანობით იმპერატორი არაფერს კარგავდა. განთავისუფლებული ფარნაოზი და იულონი სასწრაფოდ იქნენ საქართველოდან მოცილებულნი და რუსეთს გადაყვანილნი საცხოვრებლად. ბაგრატიონთა შთამომავლობა თანდათანობით სტოვებდა საქართველოს და რუსეთს მიემგზავრებოდა. მართალია, სამშობლოში დაბრუნების ინტერესი არ დაუკარგავთ, მაგრამ რუსეთის სამსახურში ჩადგნენ და საკმაოდაც გაითქვეს სახელი თავიანთი ერთგულებითა და ვაჟკაცობით.

დედოფალ დარეჯანს კარგი პირობები ჰქონდა შექმნილი სანკტ-პეტერბურგში. მას მხოლოდ საქართველოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა. მიუხედავად საუკეთესო პირობებისა, დედოფალს დიდხანს არ უცოცხლია, 1807 წ. 8 ნოემბერს გარდაიცვალა[30].

მის დაკრძალვას თვით იმპერატორი ალექსანდრე I ესწრებოდა.

დაკრძალულია ნევის ლავრაში[31], იქ, სადაც იმპერიაში საყოველთაოდ აღიარებულ პირებს ასაფლავებდნენ.

„წელსა ამას (1807) გარდაიცვალა დედოფალი დერეჯან დადიანის ასული, მეუღლე მეფისა ირაკლისა, საკათპეტერბურხსა შინა ნოებრის 8, რომელიცა დამარხა იმპერატორმა ალექსანდრემ დიდითა ცერემონითა ნემცკის მონასტერსა შინა, ხარების ეკლესიაში“ [32].

---

[30] მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბილისი, 1980, გვ. 205.

[31] Н. К. Имеретинский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11.

[32] ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 100.

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ქვრივის — მარიამის გადასახლება რუსეთში

ქართლ-კახეთის გაუქმებული სამეფო ტახტის აღდგენის მოტრფიალეთა იმპერიის ქალაქებში საცხოვრებლად გადაყვანისას ყველაზე არასასურველი და საზარელი ამბავი მოჰყვა საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი XII-ის — ქვრივის დედოფალ მარიამის სამშობლოდან გაყვანას.

რუსეთში საცხოვრებლად გადასასახლებელთა გრძელ სიაში, როგორც უკვე აღინიშნა, დედოფალი მარიამიც იყო. იმპერატორის მითითებით, მისი საქართველოდან მოსკოვში ან სანკტ-პეტერბურგში საცხოვრებლად გადაყვანა, მცირეწლოვან შვილებთან ერთად, 1803 წლის ბოლომდე უნდა მომხდარიყო. სამეფო სახლის წევრთა საქართველოდან მოცილება დიდი ხნის დაწყებული იყო. რამდენიმე ბატონიშვილი უკვე გადასახლდა სანკტ-პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში. მარიამ დედოფალმა დანამდვილებით შეიტყო, რომ მისი რუსეთში გადასახლება გარდაუვალი იყო. ამის შესახებ იმპერატორსა და კნორინგს შორის შეთანხმებაც არსებობდა და გადაწყვეტილებაც. ამასთანავე მეფის რუსეთის აქაური წარმომადგენლები ყოველნაირად ავიწროვებდნენ ქვრივ დედოფალს და აიძულებდნენ თავისი ნება-სურვილით დაეტოვებინა მშობლიური მხარე.

მარიამ დედოფალმა 1802 წლის 10 მარტს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ. ვ. კოჩუბეის მიმართა თხოვნით, რათა იგი და მისი მცირეწლოვანი შვილები არ გაესახლებინათ საქართველოდან. ხოლო თუ აუცილებელი იქნებოდა მათი გადასახლება, მაშინ ედროვებინათ სამი წელი, რათა „სნეულება და ძუძუს მწოვნელობა შვილთა ჩემთა დაადგეს ერთსა მტკიცესა ჰაზრსა ანუ სიკვდილსა და ანუ სიცოცხლესა ზედა და მაშინ იყავნ ნებისამებრ თქუენისა“[1]. ეს წერილი მიიღეს რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენლებმა, მაგრამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დედოფლის გუ-

---

[1] მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბილისი, 1983, გვ. 89.

მარიამ დედოფალი

ლის ამაჩუყებელმა თხოვნამ შედეგი არ გამოიღო. იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ ვ. კოჩუბეისაგან დედოფალმა მარიამმა ვერავითარი მფარველობა ვერ მიიღო. მისი საქართველოდან მოცილების საკითხი კვლავ დღის წესრიგში იდგა.

1803 წლის დასაწყისში ციციანოვმა დედოფალ მარიამს წერილით აცნობა მისი მცირეწლოვანი შვილებით სასწრაფოდ წასვლის აუცილებლობა რუსეთში, სადაც ხელმწიფე-იმპერატორი ცხოვრების საუკეთესო პირობებს შეუქმნიდა[2]. თანაც დასძენდა, რომ რუსეთში წასვლა იმპერატორის — ალექსანდრე პირველის—ნება-სურვილს ექვემდებარებოდა და მისი შესრულება აუცილებელი და საჩქარო იყო.

ამჯერად მარიამ დედოფლის მტრებმა ციციანოვს აცნობეს, რომ დედოფალი ბატონიშვილებსა და რუსეთის სხვა მოწინააღმდეგე პირებს აქეზებდა ახალი მმართველობის წინააღმდეგ, რომ მეზობელ მხარეებში აჯანყებულებს უთანაგრძნობდა და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილებდა კიდეც. ასეთმა დაბეზღებებმა სასტიკად აღაშფოთა ციციანოვი. იგი მარიამ დედოფლის მტრული საქმიანობის გამორკვევას არ შედგომია, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე გადაწყვიტა თავისი ბიძაშვილის[3]—მარიამ გიორგის ასულ ციციშვილის—სას-

---

[2] დედოფალ მარიამს მეუღლისაგან — გიორგი XII-ისაგან — საკმაოდ დიდი, შემოსავლიანი ადგილები ჰქონდა დატოვებული. ამასთანავე, გიორგი XII-მ თავის დედინაცვალს — დარეჯან დედოფალს — მტრული საქმიანობისათვის 1800 წლის 30 აპრილს ჩამოართვა ერეკლე მეორის მიერ ბოძებული სოფლები და გადასცა თავის მეუღლეს მარიამს. მარიამ დედოფალს შემოსავალი საკმაოდ დიდი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ცარიზმის აქაური წარმომადგენლები განგებ ავიწროებდნენ მას, რომ აეძულებინათ საქართველოდან წასულიყო.

ბოლო დროს ყოველგვარი შემოსავალი მოუსპეს და შვილებსაც და მასაც პენსიები დაუნიშნეს, თუმცა ფულის მიღებას უყოვნებდნენ. 1801 წლის 22 აგვისტოს დედოფალი მარიამი სწერდა კნორინგს: „ჩემს 6 შვილს დაენიშნათ 100—100 მანეთი თვეში, მაგრამ ფული ჯერაც ვერ მივიღეთ... თქვენ, რომ ლაზარევს მისწერეთ ჩემთვის 500 მანეთი ჯამაგირის დანიშნა, მან მითხრა ამის შესახებ, ბარათიც მომცა, მაგრამ ფული ჩემი შვილებისათვის ჯერაც არ მიმიღია, შემოსავალი კი შემიჩერდა. ლაზარევის ბრძანებით დასაფქვავი პურის მარცვალი და წისქვილიც ჩამოგვართვეს“. დედოფალი თხოვდა კნორინგს დახმარებას, რათა ლაზარევს დაებრუნებინა ჩამორთმეული საფქვავი და წისქვილები, მაგრამ კნორინგი ლაზარევმა მოატყუა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უპასუხა: „მარიამ დედოფლის სა-ჩივარი უსაფუძვლოაო“ (იხ. აქტები, ტ. I, გვ. 218—219, საბუთი № 184). სინამდვილეში ყოველივე ამას თავისი დანიშნულება ჰქონდა — უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი დედოფალი მარიამი თავისი ნებით წასულიყო რუსეთში საცხოვრებლად.

[3] პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი წარმოშობით ქართველი იყო — ციციშვილი. პაპა მისი პაპუნა (პაატა) ზაზას ძე ციციშვილი 1724 წელს ვახტანგ VI-ის ამალასთან ერთად გადავიდა რუსეთში. პავლე ციციანოვი დაიბადა მოსკოვში 1754

წრაფოდ რუსეთში გადასახლება. დედოფალ მარიამისათვის მოულოდნელი არ იყო ასეთი შინაარსის წერილის მიღება ციციანოვისაგან. ეს უკანასკნელი მანამდეც არ მალავდა სამეფო სახლის ყველა წევრის, მათ შორის მარიამ დედოფლის, საქართველოდან გადასახლების აუცილებლობას. ბევრჯერ სხვისი პირითაც აცნობა დედოფალს რუსეთში წასვლის დაჩქარება. მაგრამ კატეგორიული მოთხოვნის ტონით დაწერილმა ბარათმა მაინც საშინლად იმოქმედა ყოველგვარ მფარველობას მოკლებულ დედოფალზე. მას ვერ აეტანა საქართველოს მიწა-წყლის სამუდამოდ დატოვება. შეშინებულმა დედოფალმა 1803 წლის 2 თებერვალს ციციანოვს საპასუხო წერილი გაუგზავნა, რომელშიც რუსეთში წაუსვლელობის ბევრ მიზეზს ასახელებდა. განსაკუთრებით ხაზს უსვამდა შვილების მცირეწლოვანებასა და თავის ავადმყოფობას. ამასთანავე, რაც მთავარია, თავს იმართლებდა, რომ ქართლ-კახეთსა და მეზობელ მხარეებში მოსახლეობის უკმაყოფილებასა და რუსეთის საწინააღმდეგო გამოსვლებთან მას და მის შვილებს არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. იგი ფიცულობდა რომ არც მომავალში ჩაიდენდა იმპერიის საწინააღმდეგო რაიმე მტრობას და თხოულობდა საქართველოში დატოვებას.

„ბრწყინვალეო თავადო, ბრწყინვალეო ხელმწიფევ!

მებოძა იმისის დიდებულებისაგან ჩემდამო მოულოდებელი წერილი, რომელისაცა ჰაზრი მიცხადებს ჩემსა შვილებიანად როსიად წარსვლასა სხუათა და სხუათა სარწმუნოებიანთა საქართუელოს მეზობელთა შფოთებისათჳს.

ამისთვის ესე არს მოხსენება ჩემი: როდესაც განსვენებულმან მეუღლემან ჩემმან ინება შევრდომა საფარველსა ქუეშე რუსეთისასა, მაშინ იყო ჰაზრი მისი ჩემთჳს და შვილთა ჩემთა ცხოვრებისათჳს ამასვე მამულსა და ჰაერსა შინა და თუ სხუასა უცხოსა ქუეყანასა. შინა შესაძლებელ ყოფილიყო ცხოვრება ჩუენი, ჰქონდა დრო ყოველთჳს და იქმნებოდაცა უადრეს გარდაცვალებისა თჳსისა.

თუ რომელთაგანმე არს მიზეზი აღრეულებისა მიცემული, ჩემდა რა? ვგონებ, ყოველი სული იყოს მოწამე ჩემსა ზედა სიმართლესა და ერთგულებასა ზედა რუსეთის სამხედროსა და განმგებლობისასა,

---

წელს. სამსახური დაიწყო პრეობრაჟენსკის პოლკში. აქტიურად მონაწილეობდა 1786 წელს რუსეთ-თურქეთის ომში. მალე გენერალ-მაიორობა მიიღო. საქართველოში კი ჩამოვიდა გენ.-ლეიტენანტის ჩინით და 1802 წელს დაინიშნა საქართველოს მთავარსარდლად. აქ იგი ენერგიულად შეუდგა მეფის რუსეთის პოლიტიკის გატარებას, ხალხში კი მრისხანე და დაუნდობელი გენერლის სახელი დაიმსახურა. მოკლულ იქნა 1806 წელს ბაქოში.

რომელიცა ესე უცხო ვარ ყოველითურთ წინა აღმდგომისა და საჭ-
ველისა ჰაზრისა.

საქართველოსა სხუათა და სხუათა სარწმუნოებიანთა მეზობელ-
თაგან მტერობისა, აღოხრებისა და დატყვევებისა გამო იქმნა მოწო-
დება რუსეთის მხედრობისა და შესვლა საფარტყლსა ქუყშე იმპერა-
ტორისასა და თანა-იმპერია ყოფა ქუყანისა ამის, რათამცა უძლეველ-
ითა მარჯუენითა მისითა ესე-ოდენთა მტერთაგან გამოხსნილ ვი-
ყუნენით, და ამისსა მოქმედთაგან ვითარ შეიძლების, რათა რწმუნება
იგი ყოველად-მოწყალისა ჴელმწიფისა, ჩვენზედა დდებული, არა
რწმუნებად შეიცჴალოს.

თუ ითხოვა ვინემ წასვლა თჳსი როსიად, ესე სამართალ და
ნება მთხოვნელისა არის. თორემ მე მრავალჯერ მქონდა მიზეზი უბე-
დურებისა, რომელსაცა შინა ჯერ იყო უბედურთა ჰაზრთა ჩემთა გან-
კურნებისათჳს თხოვა წარსვლისა ჩემისა და უღონოებითა ჩემითა
და შეუძლებელობითა სნეულებისათა და სიმცირითა შვილთა ჩემ-
თათა ვიმყოფები ვერ მხსენებელი წარსვლისა.

მიმიღეს პატივი სახლისა ჩემისა, მიმტაცეს ნიშანნი მეუღლესა
ჩემისა, შეურაც ჰყვეს შვილნი ჩემნი, დამაკლეს საცხოვრებელი ჩემი,
დააყენეს მამული შვილთა ჩემთა და სხვანიცა მრავალნი, და ამაე-
ბისა საკურნებელად არა ვინებე, რათა წარვსდგე წინაშე იმპერატორი-
სა და აწ სიკუდილისათჳს ჩემისა და მცირეთა შვილთა ჩემთასა ვი-
თარ შეიძლება წარსტლა ჩემი, რომელიცა მყისვე აღწყვეტა არს
წვრილთა შვილთა ჩემთა და თავისა ჩემისა. გარდა რუსეთის მხედ-
რობისა და მპყრობელობისა შეუძლებელარს ცხოვრება და სიცოცხლე
ჩემი და შვილთა ჩემთა და ესე არს ნუგეში ყოველითურთ მწუხარისა
მდგომარეობისა ჩემისა, რათა საფარტყლსა ქუყშე ჴელმწიფისასა
ამას ქუყანასა შინა ვცხოვრობდე და ვიმყოფებოდე, რათა არა სხვა-
მან ჰაერმან და ქუყანამან მყის სიკუდილსა მიმცეს მე და ეგრეთვე
წვრილნი შვილნიცა ჩემნი.

ჩემდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ ესე არს, ვინადგან თქვენი
ეგე ბრწყინვალება და ღწარჩინებულესობა არს ჩემდამო, ვითარცა
ძმა და ვითარცა ერთ სისხლი ნათესავი, რომელიცა ღმერთმან და
ბუნებამან შეკრა თქუყნსა და ჩემს შორის განუწყუყდელი მონათესა-
ვეობაჲ, ამისთჳს ვითხოვ, რათა ვითარცა ანუ კაცმან ბუნებით —
ზიარმან შემიწყალო და წარმოიდგინო სიყრმე შვილთა ჩემთა და სი-
კუდილად მიწევნული გუამიცა ჩემი, ანუ შემიწყალო, ვითარცა ღმერ-
თმან ყოველითურთ უღონო ესე წარსვლისა, რომელი ესე ეკლესიად
მისვლისა ვერ შემძლები და დღესასწაულსა შინა თანა-მდები ეკლე-
სიად მისვლისა, მყისვე სნეულ ვიქნები ოთხ ანუ ხუთ დღემდე;

ანუ შემიწყალო ვითარცა ბრძენმან განმგებელმან შეუძლებელობისა ჩემისამან და სიყრმეთა და ძუძუს-მწოვარობათა შვილთა ჩემთასა გამჩხრეკელმან, ვითხოვ, რათა სასიკუდილოსა და აღსაწყვედელთა სახლისა ჩემისა ამათ აზრთაგან გამომიხსნა.

ეს არს დღე პატიოსნებისა, რათა სახლი დამდაბლებული არა აღისპოს. ვიცი ბედნიერებაცა მომავალი თავისა ჩემისა და კეთილ-დღეობაცა ჴელმწიფისაგან განსაზღვრილი; მაგრამ იყოს ღმერთი ყოველთა მხედველი მოწამედ, რომელ ერთსა ზედა ვერსსა წარსვლითა მყის სულ-ბრძოლად და სიკუდილად მივიწევი და სნეულნი და მცირენი შვილნი ჩემნი ერთი ერთსა სიკუდილსა მოუსწრობენ და სიმდიდრე და ბედნიერება და კეთილ-დღეობა იგი ჩვენთჳს განზრახული ვინღა იხმაროს?

მე თუმცა აქა გლახაკი და ცხოვრებისაგან დაკლებული, მაგრამ შეჩვეულსა შინა ჰაერსა დღითი დღე განვაგრძელებ რა სიცოცხლესა ჩემსა. ესე მეყოფის ნუგეშად სიმდიდრესა და სამადლობელოდ ყოვლად უმოწყალესისა ჴელმწიფისა, რათა მეცა ღირს ვიქმნე საფლავსა თანა—მეუღლისა ჩემისასა დაფლვად, რომელიც მან ადრითვე განმზადა და ეგრეთვე შვილთა ჩემთა. ესეცა ჭუშყანა თანა-იმპერია არს რუსეთისა და თანა-სახელმწიფო ყოვლად მოწყალისა იმპერატორისა; უკეთუ ნებავს, აქაცა შემძლებელ არს. რათა მოწყალებით მომხედოს მეცა და შვილთაცა ჩემთა და უკეთუ არა ინებებს აქა მოწყალებასა იყავნ ნება ჴელმწიფისა, — ოღონდ ნუ მიმეღებიან სიცოცხლე, ყოველთა მხედველისა ღუთისაგან მოცემული.

ვითხოვ, რათა თვით თქვენ მექმნეთ პატრონ. შემწედ და გამომხსნელ შეუძლებელისა ამის საქმისაგან, რათა საუკუნოდ რაოდენ ღმერთსა, ეგოდენ თქუშნსა ბრწყინვალებასა ვმადლობდეთ“.[4] წერილის ბოლოში ბეჭედი აზის, ქვემოთ წარწერით: „თქვენისა ბრწყინჳალებისა და უწარჩინებულესობისა და ჩემისა მოწყალისა ჴელმწიფისა მშვიდობისა მწადნელი დ ე დ ო ფ ა ლ ი მ ა რ ი ა მ“.

ციციანოვმა მარიამის თხოვნა ყურად არ იღო. არ ცხრებოდნენ მარიამ დედოფლის მტრებიც, ისინი კვლავ განაგრძობდნენ მის დაბეზღებას ციციანოვთან. ამ უკანასკნელს შთააგონებდნენ, რომ დედოფალი მარიამი სასტიკი წინააღმდეგი იყო რუსული მმართველობის დამყარებისა და ყოველნაირად ცდილობდა თავის თანამოაზრეთა წაქეზებას ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომ იგი ქართლ-კახეთსა და მეზობელ მხარეებში არსებული არეულობისა და რუსე-

---

[4] საქ. ცსა, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 54, ფურცელი 492-ე, შეადარეთ აქტებში, ტომი II, გვ. 108—109, საბუთი № 182.

თის საწინააღმდეგო საქმიანობის ერთგული იყო. დედოფალი მარიამი უკმაყოფილო იყო თავისი უფლებების დაკარგვით. უკმაყოფილო იყო მეფის მთავრობის აქაურ წარმომადგენელთა მიერ ყოველდღიური შევიწროებითაც, რა თქმა უნდა, გულში დაკარგული სამეფო ტახტის აღდგენასაც ნატრობდა, მაგრამ მას არ შეეძლო მეფის რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგო რაიმე სერიოზულ საქმიანობაში ჩაბმა ან პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ვინაიდან შეიგნო, რომ ვერაფერს დააკლებდა უკვე დანერგილ რუსულ მმართველობას. თანაც თავისი წვრილშვილით იყო დაკავებული და მის ყოველდღიურ საზრუნავს ოჯახის მოვლა-პატრონობა, ძირითადად კი საარსებო წყაროს ძებნა წარმოადგენდა. ყოველგვარ უფლებააყრილ და საგონებელში ჩავარდნილ დედოფალზე აღარავინ ფიქრობდა. ქვრივ დედოფალს ახლობლებიც კი აღარ სწყალობდნენ, მისი გერები, რომლებზეც დიდი ამაგი ჰქონდა გაწეული დედოფალ მარიამს, არამც თუ ჯავრობდნენ მის რუსეთში გადასახლებას, არამედ ესწრაფოდნენ კიდეც, რათა დედინაცვლის წასვლისთანავე მის სასახლეში დაბინავებულიყვნენ. 1803 წლის 15 მარტს მეფე გიორგი XII-ის ქალიშვილებმა, პირველი ცოლისაგან, სოფიომ, რიფსიმემ და გაიანემ, ციციანოვს წერილით მიმართეს დედინაცვლის ბინაში მათი შესახლების თაობაზე.

„მის ბრწყინვალების უფალს საქართველოს უპირატეს მთავარს — პავლე დიმიტრის-ძე ციციანოვს, ჩვენს მოწყალე ხელმწიფეს!

ოდესცა ინებოს ბრწყინვალებამან თქვენმან და წარგზავნოთ დედოფალი მარიამ, ვითხოვთ ჩვენ სამნი დანი მეფის გიორგის ასულნი უმდაბლესად, რომ იმისი სასახლე ჩვენ გვიბოძოთ, რადგან სამნივ უსახლონი გახლავართ და იმით ნუგეშეულნი ვიქნეთ მარადის მაღალბრწყინვალებისა თქუენისა უმდაბლესითა პატივისცემითა.

მეფის ასული სოფია,

მეფის ასული რიფსიმა,

მეფის ასული გაიანე“[5].

დედოფალი მარიამი დარწმუნდა, რომ მას ყველა ახლობელი გადაუდგა, მტრებიც გაუმრავლდა და დაბეზღებაც გახშირდა, მაგრამ მაინც ვერ გადაწყვიტა საქართველოს სამუდამოდ დატოვება. ყოვნდებოდა დარჩენილ ბატონიშვილთა რუსეთში გადასახლებაც. უგულო და ფიცხი ციციანოვი ვერ ეგუებოდა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა მოციქულების ნელ ტემპს.

1803 წლის მარტის დასაწყისში ციციანოვის მითითებით დედოფა-

[5] საქ. ცსა, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 54, ფურც. 522.

ლი მარიამი სასწრაფოდ უნდა გადაეყვანათ, შვილებთან ერთად, რუსეთში საცხოვრებლად, თუნდაც ამისთვის ძალის გამოყენება გამხდარიყო საჭირო.

ასეთ ვითარებაში უმწეო დედოფლის უბედურებით ბევრმა მოინდომა განდიდება. მეფე გიორგი XII-ის მიერ სასახლეში აღზრდილი აზნაური იოსებ ანდრიას ძე კალატოზიშვილიც კი გადაუდგა თავისი აღმზრდელის ქვრივს. ამ ამბის შესახებ ბ. ბატონიშვილი წერს: „წელსა 1803 დედოფალს მარიამს მოუვიდა ბრძანება იმპერატორისაგან, რათა წარვიდეს როსიად შვილებითურთ თვისით, რომლისა გამო დედოფალი მარიამ მიეცა ფ-დსა მწუხარებასა და არა ენება წარსვლა როსიად. მას ჟამსა შინა იყო მეფისა გიორგისა მუშრიბი აზნაური კალატოზისშვილი იოსებ ანდრიას ძე, რომელიცა მეფესა გიორგის აღეზარდა თვისსა სახლსა შინა და სწყალობდაცა. ამან განდიდებისათვის თავისა თვისისა აბირა მოქალაქესა გიჟდავაშვილსა ზურაბს და მოიყიდა იგი თეთრითა, რ-ა ამა ზურაბას აქვნდა ვაჭრობაჲ ფშავსა და ხევსურსა შინა. და შეითქვნენ ესენი და მივიდნენ წინაშე ციციანოვისა და შესწამეს დედოფალს რეცა განპარვაჲ ტფილისით და წარსვლა ფშავსა შინა, რომელიცა არცაღ თუ განელოდა დედოფალს მარიამს საქმე ესე გულსა“[6]. დედოფალი მარიამი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მისი რუსეთში წასვლა გადაწყვეტილი იყო. ადვილი შესაძლებელია, მან, მართლაც, გადაწყვიტა ფშავში თავშეფარება შვილებიანად. პლატონ იოსელიანი წერს: „კალატოზისშვილმა გასცა დედოფალი, რომელსაცა უნებდა გაქცევა ქალაქიდამ თუშეთსა ანუ ფშავ-ხევსურეთსა“[7].

ციციანოვის რუსეთისადმი ერთგული სამსახურით კმაყოფილმა ხელმწიფე-იმპერატორმა 1803 წლის 7 მარტს მას თავისი მადლობა და ალექსანდრე ნეველის ორდენი გამოუგზავნა[8].

ციციანოვისათვის საკმარისი იყო კალატოზისშვილის მიერ დედოფალ მარიამის დაბეზღება, რათა ძალით მოეცილებინა საგონებელში ჩავარდნილი დედოფალი საქართველოდან. ამას დაემატა იმპერატორის ზემოაღნიშნული რესკრიპტიც, რომელშიაც ალექსანდრე პირველი ხაზს უსვამდა ბატონიშვილთა უმწეო მდგომარეობაში ყოფნას და, ვითომცდა ამ მიზეზითაც, მოითხოვდა მათ რუსეთში საცხოვრებლად გადაყვანის დაჩქარებას. იმპერატორის დაპირებით, ბატონიშვილებს და დედოფლებსაც რუსეთში ცხოვრების გაცილებით

---

[6] ბ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

[7] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას გამ., თბილისი, 1978, გვ.256.

[8] აქტები, ტომი II, გვ. 26, საბუთი № 29.

უკეთესი პირობები შეექმნებოდათ. ხელმწიფე-იმპერატორი წერდა: „ჩემთვის სამწუხაროა ვიხილო ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება მეფის ოჯახი. ამდენად, თქვენს მიერ აღწერილ სხვადასხვა გაჭირვებათა გამო, აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია მათი საქართველოდან წამოსვლა. გავალებთ თქვენ, დაუყოვნებლივ შეუდგეთ ამ საქმეს. სათანადო განკარგულებით უზრუნველჰყოთ რუსეთის საზღვრებში დედოფლისა და (სამეფო) გვარის სხვა წარმომადგენელთა ხელშეუხებლობა უსაფრთხოებითა და ყველა იმ სიკეთით, რომელიც კი შეიძლება მათ მიეცეთ. მათ გასაცილებლად გამოყავით სანდო მოხელე. კარგი მკურნალი და ყველა საჭირო მომსახურება. საზღვარზე მიღებული უნდა იქნენ დიდებულთა შესაფერისად. დედოფალი მარიამი, ბატონიშვილები და თანმხლებნი დააიმედეთ, რომ არამც თუ არავითარი უსიამოვნება არ შეემთხვევათ, არამედ კარგად იქნებიან მიღებული რუსეთში“[9]. იმპერატორი იმერეთში თავშეფარებული ბატონიშვილების — იულონისა და ფარნაოზის — რუსეთში გამგზავრებასაც მოითხოვდა[10].

ციციანოვს უფლება მიეცა თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედნა. მან არცკი გამოიკითხა დედოფალ მარიამის ქალაქიდან გაპარვის სინამდვილე, ისე დააჩქარა მისი რუსეთში გასტუმრება. უმწეო დედოფალს აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდა და საბოლოოდ გადაწყვიტა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი თაგაურის მამასახლისები მოესყიდა, რათა გზა გადაეკეტათ და დედოფალი მარიამი გამცილებლებთან ერთად არ გაეშვათ. ამის გასამრჯელოდ დედოფალმა თაგაურელ მამასახლისებს წინასწარ 1000 მანეთი გაუგზავნა და სხვა საჩუქრებსაც შეჰპირდა[11]. ციციანოვმა დროზე შეიტყო თაგაურის მამასახლისებთან კავშირი და საჭირო ზომებიც მიიღო.

1803 წლის 18 აპრილს ციციანოვმა გენ.-მაიორ ლაზარევს დაავალა დედოფალ მარიამის მცირეწლოვანი შვილებითურთ გასახლება რუსეთში. 1803 წლის 19 აპრილს დილით დედოფალთან ორი

---

[9] აქტები, ტომი II, გვ. 26—27, საბუთი № 30.

[10] ბ. ბატონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 82. იულონი და ფარნაოზი თავიანთ ძმისშვილს დავითს გადაემტერნენ და რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობაში იღებდნენ მონაწილეობას, ბოლოს იმერეთში გადაიხიზნენ. იმერეთშიც იმპერიისადმი მტრულ საქმიანობას გეგმავდნენ და, რა თქმა უნდა, რუსეთში გადასახლებას არ აპირებდნენ. 1805 წელს იმპერატორის თხოვნით ისინი მაინც გაემგზავრნენ რუსეთში და იმპერიისათვის კეთილ სამსახურს შეუდგნენ. ბატონიშვილი იულონი გარდაიცვალა 1816 წ. 23 აგვისტოს, ფარნაოზ ბატონიშვილი კი 1852 წლის 30 მარტს.

[11] მ. გონიკიშვილი, საადგილმამულო-საგლეხო რეფორმა თერგის ოლქში, თბილისი, 1984, გვ. 72—73.

ასეულით მოსული ლაზარევი პირადად შეეცადა ციციანოვის ბრძანების შესრულებას, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ლაზარევი ხანჯლით მოკლეს.

მაიორმა თავადმა სააკაძემ 1803 წლის 22 აპრილს პ. ციციანოვს მოახსენა: „ამ თვის ცხრამეტ რიცხვს, დილის 6 საათზე, თანახმად თქვენი ბრძანებისა, საქართველოს ქვრივ დედოფალ მარიამის რუსეთში გასასტუმრებლად გენ.-მაიორ ლაზარევის მითითებით გამოვცხადდით (დედოფალ მარიამის) სახლში, მის ოთახთან მყოფ ქართველ მოხელეთა გაძევებისთანავე, მე, ეგერთა მე-17 პოლკის კაპიტანი იაკიმოვი და კარაჩევი, შტაბს კაპიტანი ხრუსტალევსკი და პოლკის კვარტირმეისტერი სუროკოვი, მოზდოკის კაზაკთა პოლკის ასისთავი კრიმოვი და ნაცვალი სურგუნოვი (სურგუნაშვილი) შევედით მის (დედოფალ მარიამის) ოთახში და გამოვუცხადეთ ჩვენი მისვლის მიზეზი. მივიღეთ თუ არა სასტიკი და გადაწყვეტილი პასუხი, რომ წასვლა არ სურდა, ქართული ენის მცოდნე კვარტირმეისტერ სუროკოვს ვუბრძანე დაეყოლიებინა იგი (დედოფალი) რუსეთში წასვლაზე. სუროკოვის, ასისთავ კრიმოვისა და ნაცვალ სურგუნოვის გარდა, მე და იქ მყოფი დანარჩენი ოფიცრები ოთახიდან გამოვედით, საჭირო, შემდგომი განკარგულებისათვის. მე დამევალა დედოფლის სახლთან ცნობისმოყვარეობისთვის თავშეყრილი ხალხის გაძევება. ამ დროს კვარტირმეისტერი სუროკოვი ის იყო მივიდა დედოფალთან ახლოს, რომ ბატონიშვილმა ჯიბრაილმა და მეფის ასულმა თამარმა ამოიღო კაბის ქვეშ დამალული შიშველი ხანჯალი და ეცნენ სუროკოვსა და ოთახში მყოფ სხვა ოფიცრებს გარეთ გამოსარეკად. გენ.-მაიორმა ლაზარევმა გაიგონა ხმაური, შევარდა ოთახში და მივარდა თავის ქვეშაგებზე მჯდომ დედოფალთან. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ, დედოფალმა საბნისქვეშ დამალული ხანჯალი ამოიღო და მარცხენა გვერდში დასცა. გენ.-მაიორმა ლაზარევმა ოთახი გადაირბინა და ზღურბლზე დაეცა მკვდარი. დედოფალს სხვა მოხელეებზეც უნდოდა ეხმარა ხანჯალი, მაგრამ სურგუნოვმა თავისი ქუდიანი ხელი სტაცა ხანჯალს და წაართვა იგი. თავის დედასავით გააფთრებულმა მეფის ასულმა თამარმა ხანჯლითვე მიირბინა სურგუნოვთან დედოფლისათვის ხანჯლის წართმევისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, დაჭრა იგი (სურგუნოვი) მარცხენა მხარში. დედოფალმა თამარის ხანჯალს სტაცა ხელი, რათა, როგორც მან (დედოფალმა) წარმოსთქვა, მოეკლა ნაცვალი, გაიჭრა ხელი და იმავე წუთს იქნა განიარაღებული; მასთან ერთად სუროკოვისა და კრიმოვის მიერ განიარაღებულ იქნა ბატონიშვილი ჯიბრაილი. მე, ოთახში დაბრუნებისთანავე, მკვლელს ყარაული დავუყენე და მივიღე თქვენი ბრწყინვალების ბრძანება დედოფლის შვი-

ლებიანად წასვლაზე. მისი გასვლის შემდეგ, დედოფლის ოთახის გაჩხრეკისას ქვეშაგების ქვეშ ვნახე დამალული გატენილი თოფი და პისტოლეტი, რომლებიც ისეთივეებია, როგორებიც შემდეგში კვლავ მონახული 5 თოფი, 2 პისტოლეტი, 5 ხმალი, 2 ხანჯალი და 2 პატრონტაში ვაზნები, რომლებიც მე და კავკასიის გრენადერთა პოლკის მაიორმა ჩხეიძემ დავლუქეთ“[12].

ვახვად სააკაძის მიერ აღწერილი ლაზარევის მკვლელობა თვით ციციანოვის მითითებითაა ასე უსაფუძვლოდ და არასწორად შეთხზული. ამიტომ იყო, რომ ციციანოვმა არ გამოიძია ლაზარევის მოკვლის საქმე და, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, გამოაცხადა დედოფალი მარიამი გენერლის მკვლელად. გენერალ ციციანოვის მიერ იმპერატორის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ლაზარევის მკვლელად დედოფალი მარიამია დასახელებული[13]. სწორად შენიშნავს მკვლევარი ა. აბრამიშვილი, რომ ლაზარევის მკვლელობის ზემოაღნიშნული უსაფუძვლო და მცდარი ვერსია შემდეგში მცირედი განსხვავებით გაიმეორეს ტუჩკოვმა, დუბროვინმა, ბუტკოვმა და სხვ.[14]. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასეთივე მცდარი ვერსია კვლავ დადგინდა 1818 წელს გრაფ ნესელროდესადმი გენერალ ერმოლოვის მიერ გაგზავნილი ციციანოვის დროინდელი საბუთების საფუძველზე[15].

1811—1818 წლებში კავკასიაში მომსახურე პოლკოვნიკ როტიერის მიერ ლაზარევის მკვლელობის აღწერა, რომელიც 1894 წლის „მოამბეში“ დაიბეჭდა, სინამდვილესთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ვინაიდან აღწერილობის ავტორი დაახლოებით იმ პერიოდში მსახურობდა კავკასიაში მდგარ სამხედრო ნაწილში, მაგრამ ვერც იგი ასცდა უსაფუძვლო მტკიცებას და წერს: „დედოფალი იმავ წამს წამოვარდა, ხელში ეჭირა ხანჯალი, რომელიც ჩასცა ლაზარევს მარცხენა გვერდში ისეთი ძალით, რომ ხანჯლის წვერი მეორე მხრით გამოჩნდა. შემდეგ ისევ გამოაცალა სულ გასისხლიანებული ხანჯალი, სრულის გონებით. მიარტყა სახეში გენერალს და შესძახა: „ასეთი სიკვდილის ღირსია ის, ვინც გაბედა და ჩემს უბედურებას უპატიურობაც

---

[12] აქტები, ტომი II, გვ. 114, საბუთი 196.

[13] ა. აბრამიშვილი, მარიამ ბაგრატიონის უცნობი წერილები, კავკასიის ხალხთა ისტორის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 413.

[14] იქვე.

[15] აქტები, ტ. II, გვ. 114.

დაართო“. ლაზარევი იქვე დაეცა და თითქმის მაშინვე დალია სუ-ლი“[16].

სინამდვილეში ლაზარევის მკვლელი თავადი ნიკოლოზ ხიმშიაშვი-ლი იყო, რომელიც იმ დროს დედოფლის სახლში იმყოფებოდა. მან ვერ მოითმინა ყოველგვარ მფარველობას მოკლებული მარიამის შე-ურაცხყოფა და ლაზარევი სიცოცხლეს გამოასალმა.

ლაზარევის მკვლელობას დაახლოებით სწორად გადმოგვცემს პლა-ტონ იოსელიანი. „ლაზარევმან პ. ციციანოვისა ბრძანებითა შემოარ-ტყა ჯარი დედოფლისა სასახლესა და შევიდა თვით ლაზარევი გამო-საყვანად მისსა, იყო დილა და 8 საათი დილისა, დედოფალმან მოს-თხოვა დრო და მოთმინება: „შვილებსა წვრილებსა სძინავთო“. ლაზა-რევმან ესე თხოვა არ მიიღო, გაბედა და სტაცა ხელსა და მრისხანედ უთხრა: „ეხლავ გამოდითო! ჯარი ვერ მოგიცდისთ დიდხანსაო“. მა-შინ, მუნ მყოფმან თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმან მსწრაფლ ამო-იღო ხანჯალი, დასცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა და თვით ხიმშიაშვილი მეორის ეზოს ბალკონით გავიდა ქალაქიდამ და გაიქცა ახალციხეს და მუნ მოკვდა 1807 წელსა.

შეესივნენ ჯარისა კაცნი და გამოიტანეს მოკლულისა ღენერ-ლისა გვამი. თვით დედოფალი დასჭრა ხმლითა მკლავში სომეხმან... კაჭკაჭიშვილმან, პოლიციის კვარტალნიმან“[17]. „მოკვლა ლაზარევისა ხიმშიაშვილისაგან ცნობილი სხვათაგანცა მრავალთა, თვით მიამბო დე-დოფალმან მარიამ“[18].

ციციანოვის ბრძანების თანახმად, დედოფალი მარიამი უნდა წა-ეყვანათ, როგორც მკვლელი, პატიმარი, ყოველგვარი პატივის გარე-შე. მასთან ერთად ბაგრატ ბატონიშვილიც პატიმარივით ჰყავდათ გამზადებული.

იმავე დღეს დ. ორბელიანის თანხლებით დედოფალი რუსეთის გზას დაადგა. ბაგრატ ბატონიშვილიც მათთან იყო, მაგრამ ამ უკანას-კნელს გენ. ტუჩკოვი აცილებდა. 19 აპრილს, საღამოს, გენ. ტუჩკოვ-მა მოახსენა ციციანოვს: „ეხლა მოვედით მცხეთაში ბაგრატ ბატო-ნიშვილთან და მის მეუღლესთან ერთად. ჩვენთან ერთად მოვიდა დედოფალი მარიამი შვილებით თავად ორბელიანის თანხლებით. დღეს აქ გავათენებთ და ხვალ ვეცდებით დუშეთში ვიყოთ“[19]. პ. ცი-

---

[16] „მოამბე“, 1894, № 7, გვ. 1—11, შეად. აბრამიშვილი ა. დასახელებული ნაშ-რომი, გვ. 414.

[17] პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გამოც. აკაკი გაწერელიას რედაქციით თბილისი, 1936, გვ. 119.

[18] იქვე, გვ. 120.

[19] აქტები, ტომი II, გვ. 111, საბუთი № 189.

ციანოვს ეშინოდა დედოფალ მარიამისა და ბ. ბატონიშვილის გაქცევისა და გენერალ ტუჩკოვს დაავალა მათთვის მკაცრი თვალყურის დევნება გზაში — ვლადიკავკაზამდე, სადაც მოზდოკის კომენდანტი პოლკოვნიკი პროტოპოპოვი დახვდებოდათ და „პატიმრებს“ ჩაიბარებდა. „დედოფალ მარიამს, რომელმაც მხეცივით მოკლა ლაზარევი, ჭამის დროსაც კი არ მისცეთ დანა“[20]. ციციანოვმა პარალელურად აცნობა პროტოპოპოვს: „დედოფალ მარიამის გაცილება დავალებული ჰქონდა ლაზარევს. ვინაიდან იგი მოკლა დედოფალმა მარიამმა, გამცილებლად დანიშნულია გენ. ტუჩკოვი, რომელიც მათ მოაცილებს ვლადიკავკაზამდე“. ვლადიკავკაზიდან მოზდოკამდე გაცილება პოლკოვნიკ პროტოპოპოვს ჰქონდა დავალებული. თბილისიდან 50 ვერსი ჰქონდათ გავლილი, როცა დედოფალმა მარიამმა წერილი მოსწერა თბილისის კომენდანტს მაიორ სააკაძეს, საიდანაც ნათელი ხდება, რომ დედოფალ მარიამს მართლაც ჰქონდა განზრახული ფშავში გადასვლა ოჯახით. თუმცა, თავის გასამართლებლად იქვე დასძენს, რომ მივიდოდა თუ არა ფშავში, იმ კვირესვე აცნობებდა ამის შესახებ ციციანოვს. წერილში, რომელიც 22 აპრილითაა დათარიღებული, აღნიშნულია: „მე, დედოფალი მარიამი, გთხოვთ, გამოუცხადოთ ეს ჩვენი წერილი მის ბრწყინვალებას თავად ციციანოვს, ვფიცავ ღმერთსა და მის საიმპერატორო უდიდებულესობას, რომ არც მე და არც ჩემი მსახურნი, არც ისინი, ვინც ეხლა ყარაულქვეშ იმყოფებიან უდანაშაულოდ, არაფერში დამნაშავენი არა ვართ.

მე, დიდად დანაღვლიანებულსა და ავადმყოფურ მდგომარეობაში მყოფს, გადაწყვეტილი მქონდა შვილებთან ერთად მცირე ხნით თავი შემეფარებინა მისი უდიდებულესობისსავე მიწაზე და ერთი კვირის შემდეგ მომეხსენებინა მისი ბრწყინვალებისათვის, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით მისსავე მმართველობაში მყოფ მიწაზე. ეს ჩვენ მოვიფიქრეთ მისი უდიდებულესობის წყალობის მოლოდინით. როგორც თქვენს მიერ დაკავებულ ხალხს, ისევე ჩვენ არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის. მართალია, რომ მე ვუთხარი ხიმშიაშვილს (ხიმშიაშვილს), რომ ცხენები მოეყვანა. ანდუყაფარს კი კატარღა ვთხოვე. ჩვენ მის შესახებ მოვილაპარაკეთ პარასკევს. იმავე დღეს, საღამოს, ჩემთან მოვიდა ჩემი სიძე ასლანი და მთხოვა, არ გამეკეთებინა ეს, ვინაიდან ეს ამბავი კარგად არ იქნება მიღებული. მე მაშინათვე გადავიფიქრე... გთხოვთ, ის დაკავებულები გაანთავისუფლოთ და ვიწვევ, როგორც იმათ, ასევე სხვებს — ჩემთან მყოფ მსახურებსაც, და ვინც ისურვებს

---

[20] აქტები, ტომი II, გვ. 112, საბუთი № 191.

ან წამოვიდნენ ჩემთან ან მხოლოდ მინახულონ. ნება დართეთ მათ ჩემთან მოსვლისა"[21].

ციციანოვმა შეიტყო ამ წერილის შინაარსი, მაგრამ არაფერი უთქვამს. იგი დაინტერესებული იყო მხოლოდ დედოფლის რუსეთში სასწრაფოდ გადასახლებით. მან ყველა საჭირო პირი გააფრთხილა, რათა თავიდან აეცილებინათ დედოფლის გზიდან გაპარვა. 20 აპრილს მან კვლავ მიუთითა ტუჩკოვს, რომ კავკასიის ხეობაში გავლისას დიდი სიფრთხილე გამოეჩინა, „რათა თაგაურებძა, რომლებსაც 1000 მანეთი გაუგზავნა დედოფალმა მარიამმა, არ გააპარონ დატყვევებულები"[22]. ციციანოვი ყოველ ღონეს ხმარობდა უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. 1803 წლის 20 აპრილს მან წერილი მისწერა ვორონეჟის გუბერნატორს თ. პუშკინს: „ეცადეთ, რომ უზრუნველჰყოთ დედოფალი მარიამისა და ბაგრატ ბატონიშვილის მგზავრობა ვორონეჟის გუბერნიის გზებზე. ვორონეჟში გაჩერებისას მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესეთ, განსაკუთრებით, დედოფალ მარიამს, რომელმაც ვერაგულად მოკლა გენერალი ლაზარევი"[23]. მოზდოკში მისული „ტყვენი" პოლკოვნიკ პროტოპოპოვისაგან კ. ზასს უნდა ჩაებარებინა და ვორონეჟამდე უნდა მიეყვანა. მგზავრობის პირველი ეტაპი უნდა დასრულებულიყო ვორონეჟში, სადაც დედოფალი მარიამი შვილებითურთ და ბაგრატ ბატონიშვილი უნდა მიეღო გუბერნატორს — თედორე ალექსანდრეს ძე პუშკინს. ციციანოვი არავითარ ხარჯებს არ ერიდებოდა, ოღონდ მისთვის არასაიმედო პირები მოეცილებინა საქართველოდან. დედოფალ მარიამის სამგზავროდ მოზდოკიდან ვორონეჟამდე ცხენების დასაქირავებლად გამოყოფილი იყო 1237 მან. და 50 კაპ. ბაგრატ ბატონიშვილის მგზავრობისათვის — 618 მან. და 75 კაპ., დედოფალ მარიამის ოჯახის მგზავრობაში ყოველდღიური ხარჯებისათვის — 25 მანეთი დღეში, თვეში — კი 750 მანეთი[24]. მგზავრობის სწრაფი ტემპის შედეგად დედოფალი მარიამი და ბაგრატ ბატონიშვილი 1803 წლის 15 ივნისს ვორონეჟში იყვნენ. იქ, ვორონეჟის სამოქალაქო გუბერნატორმა თ. პუშკინმა გამოუცხადა ბელგოროდში წასვლა. 10 ივლისს დედოფალი მარიამი უკვე ბელგოროდშია და სჯერა, რომ მალე სანკტ-პეტერბურგში იქნება[25]. ბელგოროდში დედოფალი მარიამი მოათავსეს დედათა მონასტერში.

ბელგოროდში მისვლამდე დედოფალმა მარიამმა თხოვნა გაუგ-

---

[21] აქტები, ტომი II, გვ. 115, საბ. 199.

[22] იქვე, გვ. 113, საბ. 193.

[23] იქვე, გვ. 113, საბ. 193.

[24] იქვე, საბ. № 194.

[25] იქვე, გვ. 123.

ზავნა ალექსანდრე პირველს, პავლე პირველის ქვრივს, სინოდსა და კოჩუბეის. ამ თხოვნაში დედოფალი სრულად და თანმიმდევრულად აღწერდა თავსდატეხილ უბედურებას. ხაზს უსვამდა თავის სიმართლეს, რომ მას არ მოუკლავს გენერალი ლაზარევი და დაუმსახურებელი სასჯელის პატიებას ითხოვდა. მარიამ დედოფლის იმპერატორისადმი მიწერილი თხოვნა იმითაცაა საინტერესო, რომ ბევრი დღემდე უცნობი ფაქტია მასში ასახული. თანაც ირკვევა, რომ ლაზარევის სიკვდილთან დაკავშირებული უბედურება დაიწყო არა 19 აპრილს დილით, როცა გენერალი მოკლეს, არამედ 18 აპრილის საღამოს, როცა გენერალმა დედოფლის სახლს ოფიცერ-ყაზახები შეუსია და მთელი ღამე ყარაულქვეშ, უძილოდ, ტირილით გაატარეს დარბეული ოჯახის წევრებმა და იქ მყოფმა ახლობლებმა.

მარიამ დედოფლის თხოვნა პირველად ნ. დუბროვინმა გამოაქვეყნა რუსულად, ხოლო მისი თარგმანი ედილაშვილმა დაბეჭდა 1895 წლის 28 მაისის გაზეთ „ივერიაში“, სათაურით: „მარიამ დედოფლის თხოვნა იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი ტფილისიდან ვორონეჟში გადასახლების წინ“, სადაც ვკითხულობთ: „უუბედურესი ქვრივი დედოფალი მარიამ, მეუღლე მეფის გიორგისა, — უაღრესად გთხოვ: მომხედე მოწყალებით და შეისმინე ვედრება ჩემი, რადგან მრავალი უბედურება გამოვიარე. აპრილის 18, პირველი შემოღამებაა იყო, როცა გენერალი ლაზარევი მთელის როტით მომადგა კარზედ და ოთხის აფიცრით შემოვიდა ჩემს ოთახში, რომელშიაც დედა-ჩემი, ჩემი სიძე— ასლან ორბელიანი, სეფე ქალები და მრავალნი მსახურნი იყვნენ.

ლაზარევმა შემოსვლისთანავე უბრძანა გარედ გასულიყვნენ ყველანი, რადგან ჩემთან რაღაც ბრძანება ჰქონდა ციციშვილისაგან გადმოსაცემი. მე ვთხოვე, ასლანი დაეტოვებინა, რაზედ დამთანხმდა. აქ ამან გადმომცა ციციშვილის ბრძანება, რომ ვითომ მე ჩუმად გამეპარებინოს ორი ვაჟიშვილი, რის გამოც ნაბრძანევი აქვს დარაჯი მომაყენოს. ასლანმა ამის პასუხად, რომ ბავშვები არ გამიპარებია, გაუღო მეორე ოთახის კარები, რომელშიაც იმყოფებოდნენ ბავშვები, უჩვენა მათზე და უთხრა: აი ის ბავშვები, რომლებზედაც ეჭვი გაქვთ და ამათ გარდა არა ჰყავს დედოფალს, როგორც თქვენ კარგათ უწყით. მე ჩემთან დავუძახე ბავშვებს და ვთხოვე ლაზარევს, ყველა ეს დაწვრილებით ეამბნა ციციშვილისათვის, ეთქვა, რომ ტყუილად ატყუებენ მას ცრუ ხმებით და დარწმუნებულიყო, რომ ჩვენ აზრადაც არა გვაქვს ბავშვების გაპარება და თქვენის უდიდებულესობის ბრძანების დარღვევა. მაინც და მაინც, თუ ეჭვიანობენ, დარაჯი მოგვაყენონ — ვუთხარი მე. ამის შემდეგ ლაზარევმა მთხოვა, თან გამეყოლებინა ციციშვილთან ასლანი, რათა მასთან ერთად მოეხსენებინა ყველა ეს და

შემდეგ მისსავე პირით შეეტყობინებინა პასუხი. გავიდა რა ასლანთან ერთად გარეთ, მსწრაფლვე გზიდან დაბრუნდა და თან შემოიყვანა ზემოხსენებული ჯარი და ყოველს ფანჯარაში და კარებში ჩაუყენა ჩემს სახლს; მოედნის მხრიდგანაც შემოარტყა სასახლეს და ძირისა და მაღლის სართულები ხომ სულ ერთიანად აავსო ჯარისკაცებით, რომელნიც შესვლა-გასვლას გვიკრძალავდნენ. მაგრამ ამისთანა გარემოებამ არ შეგვაშინა, რადგან ერთხელ კნორინგმაც დამიყენა ჯარი. ამის გარდა ჩემგან გაგზავნილ ციციშვილთან ასლანისაგან მოველოდი პასუხს, მაგრამ ასლანი იგვიანებდა.

მე მოცდა აღარ შემეძლო და ვახშამი მოვითხოვე, მაგრამ დიდხნობამდის მსახურებს შემოსვლის ნება არ მისცეს. ბოლოს, როგორც იყო შემოუშვეს მსახური მოსე, რომელიც მაშინვე გავგზავნეთ საჭმლის მოსატანად. მოსემ საჩქაროზედ მოგვირბენინა საჭმელი, მაგრამ კარის დარაჯთ შეაყენეს და უთხრეს, სანამ პირველად შენ არ შესჭამ, მანამ არ შეგიშვებთო, რადგანაც ეშვი ჰქონდათ საჭმელებზედ საწამლავი არ ყოფილიყო მოსხმული. მსახურმაც, რასაკვირველია, შეასრულა მათი სურვილი. კარის ყარაულთა ამისთანა საქციელმა თავ-ზარი დაგვცა, შიშის ზარმა გაგვირბინა ყველას: ნუთუ ისეთი რამ უნდა გვიყონ, რომ თავის მოწამვლად და სიცოცხლის საუკუნოდ გამოსალმებლად ღირდესო, ვთქვით ჩვენ. აქ ყველამ უში და ქვითინი დავიწყეთ და მსახური ძმარისათვის გავგზავნეთ გულ-შემოყრილთა და შეწუხებულთა მოსაბრუნებლად. მაგრამ მსახური წინანდელივით გაჩერეს კარებში და სანამ თითონ მას არ დაალევინეს, არ შემოუშვეს, რის გამოც მწუხარება უფრო მოგვემატა და გაგვიორკეცდა. ამავე მსახურმა გვითხრა, რომ ლაზარევს ასლანი ციციშვილთან კი არ წაეყვანა, არამედ აქვე დაეტყვევებინა და დარაჯი მიეყენებინა, ამ ამბავმა კი ნამდვილად დაგვარწმუნა, რომ მართლა დიდი უბედურება მოგველოდა. ბავშვები ჰხედავდნენ რა ჩვენს განწირულებაში ჩავარდნას და კარებში დაყენებულ დარაჯთ, შიშისაგან არცა სჭამდნენ და არცა სვამდნენ. საწყლებს მთელი ღამე ლული არ მოჰკიდებიათ, სულ სტიროდნენ და ოხრავდნენ, უმცროსი შვილი ირაკლი ხომ ყველაზე უარესად გაჭირვეულდა და არავისთან არ მიდიოდა დასაძინებლად, სანამ მე არ დავიწვინე ჩემთან.

მეორე დღე კვირა იყო, ცისკრისთვის კარის ეკლესიაში დაჰკრეს თუ არა ზარი, ლაზარევი ხელ-ახლავ მოვიდა აფიცერ-ყაზახებით და, შემოვიდა რა ოთხის ოფიცრით ჩემს ოთახში, მსწრაფლ დაითხოვა ყველა ჩემი მსახურნი, მე კი მითხრა, რომ ციციშვილმა გამომგზავნა, რომ ეხლავე ავმდგარიყავ და ჩემის შვილებით გავმგზავრებულიყავ, რისთვისაც ეტლიც მოეტანა. და როდესაც მე პასუხად ვუსაყვედუ-

რე: რატომ გუშინ საღამოს არ შემატყობინე, რომ ცოტად მაინც არის მოვმზადებულიყავ, იმან მომიგო, რომ გუშინ ბრძანება არ მქონდა გამომეცხადებინა თქვენთვისაო და ეხლა უსათუოდ უნდა წამობრძანდეთო. მე ვთხოვე, რომ ჩემი შვილი ოქროპირი, რომელიც ავადმყოფობდა და რომელსაც პატრი ფილიპე ექიმობდა, აქ გაეშვათ მოსარჩენად და მორჩენისთანავე-კი ჩემთან გამოეგზავნათ. ლაზარევმა უარი განაცხადა ჩემს თხოვნაზედ და მითხრა: ხელახლავ გიმეორებ, ნუ იგვიანებ, მოემზადეო. ამისთანა გადაჭრილი უარის შემდეგ მე კიდევ გავკადნიერდი და ვთხოვე: ერთი საათით დარჩენების ნება მაინც მოეცა, რომ ჩემს ბავშვებს გამოეღვიძათ და ერთად წავსულიყავით, მაგრამ ლაზარევმა არც ერთს ჩემს თხოვნას პატივი არ ჰსცა, არ შეიწყნარა, პირიქით, ჩემი თხოვნა იმან ისე მიიღო, ვითომ მე წასვლა არ მინდოდეს და სხვადასხვა მიზეზებს ვიგონებდე; რისთვისაც მითხრა, რომ ჩქარა გაჩვენებ, როგორც არ უნდა წასულაო. თქვა თუ არა ეს, გარეთ გამოვიდა და საჩქაროდ შემოიყვანა ცამეტ-თოთხმეტი აფიცერ-ყაზახი. ხელი მიუთითა ლოგინზედ, რომელზედაც მე ჩემის უმცროსის შვილით ირაკლით ვიწექი და უბრძანა შევეპყარით მე და ჩემი ქალი თამარი. აფიცერ-ყაზახიანად მომცვივდნენ: ზოგი ხელში მწვდა და ზოგმა ლოგინი გაითრია. ამ დროს ჩემმა შვილმა ჯიბრაილმა ველარ მოითმინა, ხანჯალი იძრო და შეჰყვირა რომ სანამ მე ცოცხალი ვარ, ნებას არ მოგცემთ, დედაჩემი ეგრე ათრიოთო. ეხლავე გთხოვთ, კარში გაბრძანდეთ, ჩვენ ჩვენთავადაც კარგად გამოვალთ; რა საჭიროა, რომ ძალაზედ გაგყევართ? თამარსაც ყაზახების შემოხვევაზედ სარკმლის დირეზედ მდებარე ხანჯალი აეღო უპატიოსნების მომყენებელთაგან თავის დასაცავად. ამის დამნახველნი აფიცერნი უკუიქცნენ და ერთბაშად კარში გაცვივდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ვენერალი უცებ შემოვარდა ამოღებული ხმლით და თან შემოჰყვა ხმალვე ამოღებული იგივე ყაზახ-აფიცრები ამის დამნახავმა, სარკმლიდან ხანჯალი ავიღე. დედაჩემი ფეხქვეშ ჩაუვარდა მათ, უკოცნიდა ფეხებს და მოწიწებით სთხოვდა, ჩხუბი არ აეტეხათ; ისინი კი მის ვედრებას ყურადღებას არ აქცევდნენ და ფეხქვეშ სთელავდნენ. ამ დროს ლაზარევმა თავში დამიმიზნა ხმალი, მაგრამ თავიდან ავიცილე, მხარში მომხვდა და ღრმად დამჭრა, რაზედაც მოწმენი არიან: სომეხი ექიმი — ტატულა, რომელმაც პირველად შემიხვია ჭრილობა, გენერალ ტუჩკოვის პოლკის ექიმი, რომელმაც წამლებიც მომცა და ჭრილობაც შემიხვია კავკავამდე; თვით მნახველი გენერალი ტუჩკოვი და მეოთხეც, ექიმი ჭილაევი, რომელიც ეხლაც ჩემთან იმყოფება. სახლიდგან გამოსვლაზედ, მეორედ, კაჩკაევმა დამარტყა ვერ მიატანა; მესამედ კიდევ ვილაცამ დამარტყა, — მაგრამ მე კარგად

ვერ შევამჩნიე ვინ იყო, ლაზარევი თუ სხვა ვინმე, — და ხელის თითებიდან დაწყებული ნიდაყვამდის დამჭრა. თამარსა და ჯიბრაელს, რომელთაც ტფილისის ნაცვალმა სთხოვა ხანჯლების დაყრა: ხმალი ამას მოხვდა და ხელი დაეჭრა; იგი ამჟამად ავლაბარში იმყოფება. ასრეთ დასახიჩრებული და დაჭრილი რომ დამინახა ჩემმა შვილმა ირაკლიმ, საბრალოდ ამოუშვა ტირილი. შეუბრალებელმა ყაზახებმა დასტაცეს მას და სხვა ჩემ ბავშვებს ხელი, მოედანზე გაიყვანეს და მთელი ღამე ჯართა შუა გაატარებინეს. ასე გასინჯეთ, ძუძუმწოვარი ანაც კი წაართვეს გამდელს და ჩხავილით გამოიყვანეს გარეთ.

ასეთ საბრალო მდგომარეობაში რომ ვიყავ, დედაჩემი მომიახლოვდა და, რა დამინახა სისხლით შესვრილი, გული მიწუხდებოდა, დამშვიდება და მობრუნება დამიწყო ერთის მსახურით, მაგრამ ჯარისკაცებმა მათ ცემა დაუწყეს და გარეკეს. ეს ამბავი რიყრაჟზედ მოხდა, ასე რომ ოთახში ჯერ ისევ სანათები ენთო, სალდათები რომ შემოვიდნენ და შემოეხვივნენ ჩემს ტახტს. ცოტა ხანში ნაცვალი მოვიდა ერთის ყაზახით; მოიტანეს წყალი, მასხეს თავსა და ხელებზედ და როგორც იყო, გრძნობაში მომიყვანეს.

ამ ხანში დიმიტრი ორბელიანიც მოვიდა და უბრძანა ტახტიდან გადმოვეღეთ და საბანზედ დავეწვინეთ; მერე ხელით გამომიყვანეს გარედ და ჩამსვეს ლაზარევისაგან მომზადებულს ეტლში. ნაცვალმა სისხლიდგან გასისხლიანებული ჩემი ბალიში გამოიტანა და თავით დამიდო. ამ დროს ზემო სართულიდან ჩამოცვივდნენ რიფსიმე და გაიანე სეფექალებითურთ, უში და ქვითინი დაიწყეს ჩემს უბედურ მდგომარეობაზე, მაგრამ ჯარისკაცებმა აღარ დაათავებინეს და ისევ სახლში შერეკეს. შვილები ცალკე დროში ჩამისხეს, მაგრამ მტირალა ირაკლი არ დადგა, ისევ ჩემსკენ გამოიწია. აქ მოიყვანეს 40 — თუ 60 მუშა, რომელთაც ამწიეს წასაყვანად. რადგანაც ჭრილობები შეხვეული არ მქონდა, სისხლი თქრიალით გადმომდიოდა. ხალხი ზღვასავით მოგვაწყდა, ჩემს ამბავს ელვასავით გაერბინა მთელს ქალაქში და, როგორც ქართველნი, აგრეთვე რუსნიც, გადმომდგარიყვნენ სახლებიდგან და, საზარელი სურათით შეწუხებულნი, სტიროდნენ, თავპირს იხოკდნენ, თმას იგლეჯდნენ, რა გვხედავდნენ მე და ჩემს შვილებს ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში. ჯარისკაცნი ერეკებოდნენ ხალხს, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ და სამღვდელოებით ჯგუფ-ჯგუფად მოგვდევდნენ.

ვერას რომ მივუახლოვდით (ასე ჰქვიან იმ ადგილს, რომელიც ტფილისს ხუთი ვერსით შორავს), ციციშვილისაგან გამოგზავნილი

ზემოხსენებული ექიმი ტატულა მოგვეწია ნაცვალით ჰრილობის შესახვევად, და რომ არა ჰქონდა რა შესახვევი, ერთს ყაზახს გამოართვეს რაღაც რაფის ჩვრები და მით შემიხვიეს: ამავე ექიმმა მითხრა, რომ ლაზარევი მოუკლავთო. ვფიცავ, ჯერ ყოვლად შემძლო ღმერთს და მერე ჩემთვის ძვირფას თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის სიცოცხლეს, — აქამდის კი არ ვიცოდი და არც გამეგონა ლაზარევის მოკვლა. იქნება ჩემის უბედურებით წყაქეზებულმა, მისმა მტერთაგანმა ვინმემ ჩაიდინა ბოროტ-მოქმედება, რადგან როგორც ქართველთა შორის. ისე რუსთა შორისაც მრავალი მტერი ჰყავდა.

მე გავიგე, რომ ციციშვილმა რაპორტით მოახსენა თქვენს უდიდებულესობას, რომელშიაც ცილსა გვწამებდა მე და ჩემს ქალს, თამარს, რომელმაც ვითომც ტფილისის ნაცვალი დასჭრა. ამავე ნაცვალს გვარად სურგუნოვს განსვენებულის ჩემის მეუღლის დროს ესევე ადგილი ეკავა და ერთგულად გვემსახურებოდა, ესეც რომ არ იყვეს, — დაჭრილი რომ ყოფილიყო, ჰრილობას როგორ შემიხვევდა? ან კიდევ, როგორ მოვიდოდა ვერაზედ ჩვენთან? ამის გარდა ის კაცი ეხლაც ცოცხალია და ადვილად შეიძლება მისი გამოკითხვა და ან კი რა საჭიროა ყველა ეს, რადგანაც იქ მყოფ ხალხს აშკარად შეუძლია დაამტკიცოს, რომ ის დაჭრილი არ ყოფილა. მაშასადამე, ციციშვილმა ტყუილად დასწამა რა სურგუნოვის დაჭრა ჩემს ქალს, არ გაუჭირდებოდა მას ჩემთვისაც დაეწამა ლაზარევის მოკვლა, რათა ამითი საშუალება მისცემოდა ჩვენის რუსეთში გადასახლებისა. ასეთ სამწუხარო ბოლოს და შემთხვევას მე თავის დღეში არ მოველოდი, რადგანაც განსვენებულ იმპერატორ პავლესაგან მოცემულ გრამმატით სრულიად დაიმედებული ვიყავ და თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობაზედ კიდევ იმითი, რომ განსვენებულმა მეუღლემან ჩემმან შემოგწირათ ორი სამეფო და თავის ცოლ-შვილზედ ზრუნვა თქვენს ძლიერ ხელს ჩააბარა უკანასკნელს თავის სიცოცხლეში მოწერილი წერილი, იმ იმედით, რომ ციციშვილისაგან მოყენებულ უბედურების შემდეგ თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის წყალობასა და შეწევნას ჰღირსებოდა მისი ცოლ-შვილი.

ვორონეჟში მისვლისთანავე 13 ივნისს გუბერნატორმა გამოგვიცხადა სასტიკი ბრძანება, რომლის ძალითაც მონასტერში შეგვამწყვდია და კარი გამოგვიკეტა. წარმოიდგინეთ იმდენ მწუხარებისა და უბედურების გამოვლის შემდეგ თქვენგან წყალობას მოველოდი და სამაგიეროდ კი უფრო უბედურ მდგომარეობაში ჩავვარდი, ამ დღიდგან საუკუნოდ მოვაკლდი ჩემს მიწა-წყალს, მოვწყდი ჩემს სამშობლოს, რომელიც თუმცა დიდი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველაფრით არის შემკული. მოკლებული ვარ აგრეთვე ჩემ ქმართან ერ-

თად დასაფლავებას მცხეთაში, მოხუცთ ჩემს დედ-მამას და ძმებს და ცხრა მთის გადმომვლელს გაჭივრებითა და ვაებით დაწიოკებულ შვილებით, — სიკეთის მაგიერ ისევ უბედურება მხვდება წინ... ოხ, უბედურებავ! როდესაც ცილის წამებით ცდილობენ იპოვნონ ერთი ვიღაც ათასისთავის მკვლელი, მე-კი, მე დედოფალს, რომელიც დასჭრეს, ათრიეს, ექვს მის შვილს შეურაცხყოფა მიაყენეს, ყურადღებასაც არ აქცევენ.

გადმოგვხედეთ მოწყალების თვალით, ხელმწიფეო, ჩაიხედე ჩემს მდგომარეობაში და შეიბრალე უბედურებაში ჩაცვივნული ჩემი უდანაშაულო შვილები. აქამდის მეგონა, რომ ვეღირსებოდი როგორმე თქვენს ნახვას და ყველაფერს მოგახსენებდით, მაგრამ იმედი გამიცრუვდა, რისთვისაც ვწერ ამა თხოვნასა. ამისათვის ჩემის შვილებითურთ მუხლმოდრეკით თვალ-ცრემლიანი გევედრებით, ნება ბოგვცე მანდ მოსვლისა და თქვენის უდიდებულესობის ნახვისა; შედით ჩვენს მდგომარეობაში, დასაჯეთ, ვინც დამნაშავე აღმოჩნდეს და ნუ ინებებთ უდანაშაულოთა დასჯას. შეისმინე ვედრება ჩვენი და გვაღირსე მანდ მოსვლა...

ჰოი, მისმინე უფალო! ნუ დასტოვებ უყურადღებოდ ვედრებასა ჩვენსა; მტერნი ჩვენნი თქვენს უდიდებულესობას ჩვენს სასიკეთოდ რას მოახსენებენ, თუ არ საუბედუროთ? მიგვიწოდე თქვენთან. ისმინე ვედრება ჩვენი, თვით განსაჯე მათგან მოყენებული ჩვენდამი უბედურება... დიდებულო მეფევ. მაპატიე მე ესე კადნიერება ჩემი. რაიცა მაიძულა უუკიდურესმა ჩემმა მდგომარეობამ და დამაწერინა ჟამურკვეველი საჩივარი ესე, შეისმინე ვედრება ჩემი!.. თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის უავგუსტოეს მპყრობლიდგან დამოკიდებული, დედოფალი მარიამ"[26].

როგორც აღინიშნა, ამავე თხოვნით მიმართა დედოფალმა მარიამმა იმპერატრიცას — პავლე პირველის ქალიშვილ მარია თეოდორეს ასულს და სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტს. ამავე თხოვნის ასლი გაუგზავნა დედოფალმა თავის შვილს — მიხეილს სანკტ-პეტერბურგში. მალე კი ვორონეჟიდან აცნობა, რომ მან იმპერატორს, იმპერატორის დედას, სინოდსა და კოჩუბეის წერილი გაუგზავნა. მარიამ დედოფალი შვილს სთხოვდა ხსენებული წერილისადმი თვალყურის დევნებას, თუ რა რეაგირებას მოახდენდა დედოფლის ახსნა-განმარტებანი და საჩივარი ცილისმწამებელთა მიმართ ხელმწიფე იმპერატორზე და სხვა ხსენებულ პირებზე.

---

[26] გაზეთი „ივერია", 1895 წელი, 28 მაისი, № 109, მარიამ დედოფლის თხოვნა იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი ტფილისიდგან ვორონეჟში გადასახლების დროს. თარგმანი დაბეჭდილი ედილის (ედილაშვილის) მიერ.

„მიხაილ!

უგანათლებულესო შვილო ბატონო, ჩვენს ამბავს მოიხსენებ. ბელგოროდში მოვედით, მონასტერში დაგვაყენეს. ხელმწიფეს, ხელმწიფეს დედას, სინოდებს და ქუჩიბოვს[27], არზი მივართვით ჩვენის ვითარებისა. თვალყური დაიჭირე და შეიტყვე, რასაც ბრძანებენ და გვაცოდინე. ერთი წიგნის პირიც შენ გამოგიგზავნე, იმ არზების პირია და ყველას იმითი სცნობ და იმათაც გამოუცხადე ყოველი ჩვენი ამბავი ისტორიასავით, როგორც შენგან ვიცოდე, და შენის მშვიდობის ამბავი გვაცოდინე. ამაზე ბეჯითი იყავ, შვილო, ეს არზები ვორონეჟიდამ ვაახლე და შენც პირი იქიდამ გამოგიგზავნე.

დედოფალი მარიამ“[28].

დედოფალ მარიამის მიერ გაგზავნილი ვრცელი სათავგადასავლო წერილები, რა თქმა უნდა, ადრესატებს ჩაბარდათ, მაგრამ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. იმპერატორიც და მასზე დამოკიდებული უმაღლესი თანამდებობის პირებიც, ვისაც წერილები გაეგზავნათ, პ. ციციანოვს უფრო მეტ პატივს სცემდნენ და, რაღა თქმა უნდა, მის მიერ შეთხზული ბრალდება უფრო სჯეროდათ, ვიდრე ყველასაგან გარიყული ქვრივი დედოფლის მარიამისა. ციციანოვი არც დაუშვებდა მარიამის გამართლებას, ეს ხომ მისი მუშაობის დიდი უარყოფითი შეფასების საფუძველი გახდებოდა. ამიტომ იყო, რომ რამდენჯერაც არ შეეკითხნენ ციციანოვს მარიამ დედოფლის დანაშაულის სისწორის თაობაზე, ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობდა — დედოფალი დიდი დამნაშავეა. მან ვერაგულად მოკლა გენერალი ლაზარევიო. ეს იყო ძირითადად იმის მიზეზი, რომ ციციანოვის სიცოცხლეში დედოფლის საჩივრებსა და თხოვნებს არავითარი შედეგი არ მოჰყვა. ციციანოვის ზეგავლენით ვერც მიხეილისა და მისი ძმების თხოვნამ მოალბო ხელმწიფე-იმპერატორის გული, რომ დედოფალი ბელგოროდიდან სხვაგან გადაეყვანათ. ბელგოროდში მარიამ დედოფალი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, თავისთან მყოფი ექვსი შვილის აღზრდაც აფიქრებდა, ბევრსაც განიცდიდა, მაგრამ თავისი გარეგნობითა და ჩაცმულობით მაინც კარგი ელფერი ედო და ყველა უცხო მნახველი, ვისაც მის შესახებ გაგონილი ჰქონდა ან აღწერილობით იცნობდა, უმალვე რწმუნდებოდა, რომ მის წინაშე საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ქვრივი დედოფალი მარიამი იდგა[29].

---

[27] კოჩუბეი — რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.

[28] ა. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 420.

[29] ბელგოროდში რომ მივიდა დედოფალი, მაშინ 34 წლისა იყო, შესახედავად მეტად ახალგაზრდა. მისი შვილები — ჯიბრაილი 18 წლისა იყო, ელია — 14 წლისა, ოქროპირი — 10 წლისა და ირაკლი 6 წლისა. გოგონები კი, თამარი — 17 წლისა და

ბელგოროდში დედოფალი სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ აღმოჩნდა. გააფრთხილეს, რომ შეუძლებელი იყო მისი ბინიდან შორს წასვლა და, მით უმეტეს, ქალაქიდან გასვლა. იმპერატორისა და კოჩუბეის მიერ ხელმოწერილ 1803 წლის 19 მაისს კურსკის გუბერნატორისადმი გაგზავნილ ბრძანებაში აღნიშნული იყო: „საქართველოს დედოფალ მარიამს, რომელმაც საქართველოდან გამოგზავნის დროს შური იძია და გენერალ-მაიორი ლაზარევი მოჰკლა, და მის ქალს თამარს, რომელსაც აგრეთვე დანაშაულობა უნდოდა ჩაედინა, მათ ოჯახობით საცხოვრებლად ქ. ბელგოროდის ღვთისმშობლის მონასტერი მიუჩინე, ამასთანავე კურსკისა და ბელგოროდის არქიეპისკოპოსს საჭირო განკარგულება გავუგზავნე. თქვენ განდობთ. მიიღოთ ვორონეჟის გუბერნატორისაგან დედოფლის გვარეულობა და ისინი მათთვის დანიშნულ ბინაზე მოათავსოთ. ამასთანავე ბელგოროდის ქალაქის მოურავს (ლეონტიევს) განკარგულება მიეცით, რომ მან ჩემდა უბრძანებლად არ მისცეს ქალაქიდან გასვლის ნება არც დედოფალს, არც მის ქალსა და არც სხვა ვინმეს მის ოჯახთაგან; მათზე ფარული, მაგრამ ზრდილობიანი ყურადღება იქონიოს. ხშირ-ხშირად გაცნობოს დედოფლის ოჯახობის ამბავი და თუ რამ საყურადღებო შეამჩნიოს, მე მომახსენეთ“[30]. მასთან სტუმრად მიმსვლელებსაც სპეციალურად უთვალთვალებდნენ, რომ

ანა — 3 წლისა. დედოფალი გარეთ არ გამოდიოდა. თუ ვინმეს მისი ნახვა უნდოდა, ისინი კვირა-უქმე დღეს დედათა მონასტერში მიდიოდნენ, რომ იქ დედოფალი ენახათ წირვის დროს. წირვას დედოფალი მთელი ოჯახით ესწრებოდა. დედოფლის დასადგომად ეკლესიაში სპეციალურად ამაღლებული ადგილი იყო გაკეთებული. წირვის დროს მარიამის თანმხლები ამალის წევრი თავად-აზნაურნი დედოფლის უკან, ცოტა მოშორებით იდგნენ. მარიამ დედოფალს უყვარდა გულმოდგინედ ლოცვა და ხშირად იყო მუხლმოყრილი. ივი მაღალი და მოხდენილი ტანადობით, მკაცრი სახის გამომეტყველებით და არწივისებრი ცხვირით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. დედოფალი და მისი შვილი თამარი ქართულ ტანისამოსს იცვამდნენ. თავზე თეთრი, ოქროს სირმებით მორთული ლეჩაქები ეხურათ. ტანისამოსს ზემოთ, რომელიც მორთული იყო კვერნის ბეწვით, წითელს ან მწვანე მოსახერავს, ოქროს სირიფით და ფიჩკოთ შეკერილს ისხამდნენ. სარტყელს ლურჯს ან ვარდისფერს ატარებდნენ. კაბებს ძირს მოკერებული ჰქონდა თეთრი ატლასის არშია, ფეხთ ლურჯი ხავერდის ჭოშები ეცვათ. სახლის გარეთ დედოფალი და მისი ქალი დიდ თაქსაფარს ატარებდნენ.

აგრეთვე მ̃ეუნიერად ჰქონდათ მორთული ლოგინი დედოფალს და მის ასულს. ბუმბულით მ̃ოვსილი ხავერდის საპირით, სამი ბალიში ოქროსფერი ფარჩის საპირით და ცისფერი ატლასის საბნები (იხ. სახალხო გაზეთი, 1911 წელი, № 235). ერთი სიტყვით, დედოფალ მარიამსა და მის შვილებს ცხოვრების პირობები ცუდი არ ჰქონდათ, მაგრამ ქალაქგარეთ ვერ გავიდოდნენ და, რაღა თქმა უნდა, საქართველო̃ში დაბრუნებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

[30] სახალხო გაზეთი, 1911 წელი, 18 თებერვალი № 235.

ერთი და იგივე პიროვნება ხშირად არ მისულიყო მასთან, რათა გაპარვის ყოველგვარი საშუალება აღკვეთოდათ.

დატყვევებული დედოფალი შეეგუა თავის ხვედრს, გაქცევა და გაპარვა გულში აღარ გაუვლია. წერილებს იღებდა საქართველოდანაც და რუსეთიდანაც, თუმცა ყოველგვარ მიმოწერაზე მკაცრი ცენზურა ჰქონდა დაწესებული. როგორც აღინიშნა, ციციანოვს ისე ჰყავდა დახასიათებული მარიამ დედოფალი, როგორც ავაზაკი მკვლელი, რომელიც კვლავაც არ მოერიდებოდა მსგავს საქციელს და იმპერიის საწინააღმდეგო საქმიანობას. ამიტომ იყო, რომ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბელგოროდის ფოსტის მესვეურებს დაავალა. ყოველთვის, როცა კი საქართველოს დედოფალი ვისმესგან წერილს მიიღებდა ან თვითონ მისწერდა, სიფრთხილისათვის კურსკის გუბერნატორისათვის ეცნობებინათ[31].

დედოფალ მარიამს თავიდან იმედი ჰქონდა, რომ ბელგოროდში დიდ ხანს არ გაჩერდებოდნენ და, როგორც ბატონიშვილებს, მასაც პეტერბურგში გადაიყვანდნენ საცხოვრებლად. ცოტა ხნით ადრე თვით იმპერატორი ალექსანდრე პირველი ეხვეწებოდა ქვრივ დედოფალს პეტერბურგში საცხოვრებლად გადასვლას. სულ მალე კი ციციანოვის ვერაგული მოქმედებით ვითარება შეიცვალა და დედოფალ მარიამს ნატვრად ექცა პეტერბურგში გადასვლა.

ბელგოროდში მყოფი მარიამი მალე დარწმუნდა, რომ მთავრობა არ ფიქრობდა მის გადაყვანას იმპერიის დედაქალაქში და თვითონ დაიწყო წერილების წერა იმპერატორსა და სხვა გავლენიან პირებთან. წერილებში იგი კვლავინდებურად ხაზს უსვამდა თავის უდანაშაულობას, ითხოვდა ბელგოროდიდან პეტერბურგში გადასვლას და ამასთანავე დამატებით თანხებს — თავისი ოჯახისა და 30-სულიანი ამალის შესანახად. მალე ბრძანება მიიღეს, რომ დედოფალს ოჯახისა და ამალის შესანახად 11000 მანეთი მისცემოდა წლიურად. პეტერბურგში წასვლაზე კი კვლავ უარი გამოეცხადა. მარიამ დედოფალი კარგ ცხოვრებას იყო ნაჩვევი და გამოყოფილი თანხა არ ჰყოფნიდა. ხშირად ფულს სესხულობდა. ერთხანს საქართველოში, დედ-მამასთან თანმხლებ ბეჟანის გამოგზავნა მოინდომა ფულისა და საეკლესიო წიგნებს ჩამოსატანად, მაგრამ ხელისუფლებამ ნება არ დართო.

---

31 სახალხო გაზეთი, 1911, № 235, შეად. ა. აბრამიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 418. წერილების გასინჯვა დიდხანს არ გაგრძელებულა სიძნელეების გამო. იმავე წლის 27 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორს მისწერა: რადგანაც ძალიან გაძნელდა წერილების თვალყურის დევნება და ერთგულსა და კარგ თარჯიმნებს ვერა ვპოულობთ, ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა მარიამ დედოფლის წერილები უყურადღებოდ დასტოვოთ. იხ. სახალხო გაზეთის დასახ. ნომერი.

1804 წელს, მაისში, ალექსანდრე პირველმა შინაგან საქმეთა მინისტრს დაავალა გაეგო დედოფალ მარიამის მდგომარეობა. შინაგან საქმეთა მინისტრმა კურსკის გუბერნატორს მისწერა: საჭაროდ შეიტყვეთ დედოფალ მარიამისა და მისი ოჯახის მდგომარეობა. ხომ არ არის საჭირო ჯამაგირის მომატება? უჭირს თუ არა დედოფალს შვილების აღზრდა. თუ უჭირს, ხომ არ დასთანხმდება, რომ მთავრობამ იკისროს მათი აღზრდის საქმე? კურსკის გუბერნატორი მეორე დღესვე ეახლა დედოფალს. გადაწყდა ილიასა და ოქროპირის გაგზავნა სანკტ-პეტერბურგში აღსაზრდელად. დაბადებიდან ავადმყოფი ჯიბრაელის გაგზავნაზე მარიამმა უარი განაცხადა, თუმცა მალე აზრი შეიცვალა და მესამე ვაჟიც ძმებთან გაისტუმრა[32]. ახალგაზრდა ბატონიშვილებს პენსიებსაც შეჰპირდნენ. მარიამ დედოფალსაც 2000 მანეთი მოუმატეს წლიურად და წელიწადში ჯამაგირმა 13000 მანეთს მიაღწია. ბატონიშვილები პეტერბურგში კადეტთა კორპუსში მიაბარეს გენერალ-მაიორ კლანგერის მეთვალყურეობის ქვეშ. თითოეულ ბატონიშვილს ტანისამოსისათვის 500 მანეთი დაუნიშნა.

1806 წელს პ. ციციანოვი ვერაგულად მოკლეს ბაქოში. მისი სიკვდილის შემდეგ მარიამ დედოფლის მდგომარეობა დიდხანს უცვლელი დარჩა, კვლავ ბელგოროდში იმყოფებოდა. 1806 წლის 10 დეკემბერს დედოფალ მარიამის შვილებმა — მიხეილმა, ჯიბრაელმა, ილიამ და ოქროპირმა იმპერატორს მიმართეს თხოვნით, რათა გაეთვალისწინებინა ხელმწიფე-იმპერატორს მათი დედის — დედოფალ მარიამის — უმწეო მდგომარეობა და დედაქალაქში საცხოვრებლად გადმოსვლის ნება დაერთო. ამასთანავე ყმაწვილი ბატონიშვილები თხოულობდნენ დედის —მარიამ დედოფლის—სამეფო სახლის სხვა წევრების მსგავსად კარგად მიღებასა და მოწყობას[33]. ბატონიშვილების ხსენებული თხოვნა შინაგან საქმეთა მინისტრ კოჩუბეის გადაეგზავნა და დაევალა საქმის ვითარებაში კვლავ გარკვევა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, თხოვნის დაკმაყოფილება.

კოჩუბეიმ პ. ციციანოვის შემცვლელ გრაფ გუდოვიჩს 1806 წლის 10 დეკემბერს მისწერა: „ხელმწიფე იმპერატორმა მე დამავალა შემეტყო თქვენი აზრი. თქვენ იცით წინამორბედის (ციციანოვის) გადმოცემით, როგორ და რა ვითარებაში მოკლა დედოფალმა გენერალი ლაზარევი და გთხოვთ გვაცნობოთ, შეიძლება თუ არა მისი მოსკოვში დასახლება“[34]. როგორც საბუთებიდან ირკვევა, გუდოვიჩმა არ უარ-

---

32 „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. № 235.

33 აქტები, ტომი III, გვ. 71, საბუთი № 30-ის დამატება.

34 იქვე, საბუთი № 30.

ყო ციციანოვის მიერ უსაფუძვლოდ დადგენილი „ბოროტება“, ამიტომ დედოფალი მარიამი ბელგოროდში დატოვეს.

1809 წელს ხელმწიფე-იმპერატორმა მარიამ დედოფალს ქალაქგარეთ გასვლის ნება მისცა, თუმცა ბელგოროდში მისი მდგომარეობა ძირითადად უცვლელი დარჩა 1811 წლამდე, როდესაც, მიხეილ ბატონიშვილის თხოვნით, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მარიამ დედოფალს დართო მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლის ნება[35]. ბაგრატ ბატონიშვილი აღნიშნავს: „ხოლო კ-დ განათავისუფლა წელსა ამას (1811) იმპერატორმან ალექსანდრემ დედოფალი მარიამ, მეუღლე მეფისა გიორგისა, პყრობილებისაგან ბელი გოროდით და მოიყვანეს მოსკოვს, და დაასადგურეს სლობოდის სახელმწიფო სახლში აგვისტოს 22“[36].

მარიამ დედოფალი უკმაყოფილო იყო მაინც. მას სანკტ-პეტერბურგში უნდოდა გადასვლა საცხოვრებლად. იქ იყვნენ მისი შვილები და საკმაოდ კარგადაც ცხოვრობნდენ[37].

მიუხედავად იმისა, რომ ბელგოროდში დედათა მონასტერში კარგამოკეტილ ცხოვრებას გაცილებით სჯობდა მოსკოვში დასახლება, სა-

---

35 სახალხო გაზეთი, 1911, № 238.

36 ბ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

37 მარიამ დედოფლის შვილი — ჯანმრთელობით სუსტი ჯიბრაილი 1812 წელს გარდაიცვალა. „ხოლო წელსა 1812 თებერვლის 29, ნაცა გარდაიცვალა მეფის გიორგის ძე გაბრიელ ნაშობი დედოფლის მარიამის ციციშვილის ასულისაგან, რომელსაც ჯიბრაილსა უხმობდნენ, საკთ-პეტერბურხსა შინა, და დაფლეს ნემცკის მონასტერში“ (იხ. ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 118).

უფროსი შვილი მიხეილი ადრე, 1802 წელს, წავიდა რუსეთში .

ბატონიშვილი მიხეილი ბოლოს ცხოვრობდა მოსკოვში. ბინა მოწყობილი ჰქონდა შეუღებავი ავეჯით, ფულს კი აგროვებდა ლეიბში, საიდანაც იშვიათად დგებოდა. იყო ძალიან გულჩვილი, შემბრალებელი გაჭირვებულებისა. იგი ხშირად ეტლით სეირნობდა მოსკოვის ქუჩებში და, რომ შეხვდებოდა ძირს დავარდნილ მთვრალს, ჩაისვამდა ეტლში, მიჰყავდა სახლში, გამოაძინებდა, გამოაფხიზლებდა და გაუშვებდა.

პეტერბურგშიც ხშირად უცნაურად იქცეოდა. ერთხელ, მის ნათესავს ასაფლავებდნენ. გარდაცვლილის ბინა ვლადიმერის ქუჩაზე იყო. სამხედრო ნაწილი იდგა სახლთან ახლოს და ხელმწიფის მოსვლას ელოდა. მოულოდნელად ბატონიშვილი მიხეილი გამოჩნდა ძველი შინელითა და ფაფახით. მან გაარღვია ჯარისკაცები და მიიწევდა წინ, მეორე სართულისაკენ. დაკრძალვის მომწყობებმა შეაჩერეს იგი და დაუწყეს გამოკითხვა: სად მიდიხარ? რა გინდა? ვერ ხედავ, რომ შენი საქმე არაა აქ მოსვლაო? მან მედიდურად განაცხადა, — დაუძახეთ გრაფ ორლოვს. ყველამ ჭკუაზე შეშლილად მიიღო და სიცილი დაიწყეს. ამ დროს მისი თანამემამულეები მოვიდნენ, იცნეს და წავიდნენ მოსახსენებლად, რომ შეეშვათ. მალე გრაფი ორლოვი გამოვიდა და მიხეილმა მიმართა მას: ნება მომეცით დას გამოვეთხოვო. ორლოვი მიხვდა რაში იყო საქმე და ბოდიში მოუხადა. ბატონიშვილმა მიხეილმა კი მიუგო:

დაც უკეთესი პირობები შეუქმნეს და ამასთანავე უფრო ახლოს იყო პეტერბურგში მყოფ შვილებთან მარიამი მაინც უკმაყოფილო დარჩა. იგი კვლავ ითხოვდა საცხოვრებლად სანკტ-პეტერბურგში გადაყვანას.

რუსეთის მთავრობამ, ხელმწიფე იმპერატორის მითითებით, საბოლოოდ გადაწყვიტა დედოფალ მარიამის მოსკოვში დატოვება, საყოფაცხოვრებო პირობებიც უკეთესი შეუქმნა. დაენიშნა სამუდამოდ პენსია 10 ათასი მანეთის ოდენობით.

არა უშავს რა, მე თვითონა ვარ დამნაშავე. ეგენი არ შემაჩერებდნენ ჩემი ტანსაცმელი რომ მცმოდა. ჯიბიდან ამოიღო ანნას ლენტი, მხარზე გადაიგდო და გრაფ ორლოვთან ერთად წავიდა ზემოთ.

ერთხელაც ბატონიშვილი მიხეილი საერთო საქმისათვის წავიდა შინაგან საქმეთა მინისტრ ა. პეროვსკისთან. მინისტრი, როგორც ყოველთვის, დაკავებული იყო და უყურადღებოდ მიიღო იგი, თანაც დააგვიანა სკამის შეთავაზება. გაბრაზებულ ბატონიშვილს დიდხანს არ უფიქრია, მინისტრის მაგიდის ბოლოზე ჩამოჯდა. განცვიფრებულმა ა. პეროვსკიმ ჰკითხა: თუ რას ნიშნავდა მისი საქციელი და ბოლოს რა უნდოდა, რისთვის მოვიდა მასთან. ბატონიშვილმა მიხეილმა კვლავ წყნარად, ჩახლეჩილი ხმით უპასუხა: ეხლა მე, როგორც ხედავთ, მინდოდა დავმჯდარიყავი. ადრე კი მინდოდა თქვენთან საუბარი საქმეზე, მაგრამ ვინაიდან თქვენ ცუდად მიმიღეთ, მე გადავიფიქრე და თქვენთან ლაპარაკი აღარ მინდა. მშვიდობით!

ქართველმა თავადებმა ბატონიშვილი მიხეილი 1859 წელს ბაგრატიონებისა და ბაგრატიონ-იმერეტინსკების კეთილმოწყობისათვის შექმნილი კომისიის დეპუტატად აირჩიეს. 1861 წელს კი იგი გარდაიცვალა.

მესამე ვაჟი, ილია, ცხოვრობდა მოსკოვში. დაქორწინებული იყო ნამდვილ სტატსმრჩეველის გრიგოლ ობოლენსკის ქალიშვილზე ანასტასიაზე. იგი მსახურობდა ბზმაილოვის პოლკში პოლკოვნიკად, აქტიური მონაწილეობა მიიღო სემიონოვის პოლკში არსებული უწესრიგობის დამშვიდებაში გენერალ შვარცის დროს — 1824 წელს. ბატონიშვილ ილიას 13 შვილი ჰყავდა: 4 ქალი და 9 ვაჟი.

მეოთხე შვილი იყო ოქროპირი, მისი ნამდვილი სახელი იყო იოანე. მას მწერლობა იზიდავდა, სცადა კიდეც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. დაქორწინებული იყო ნამდვილ სტატსმრჩეველის გრაფ პავლე კუტაისოვის ქალიშვილზე, ანაზე. ოქროპირ ბატონიშვილი გარდაიცვალა მოსკოვში 1857 წელს, 30 ოქტომბერს. დასაფლავებულია პოკროვსკის მონასტერში.

ყველაზე უმცროსი ვაჟი მარიამ დედოფლისა — ირაკლი — არ დაქორწინებულა. გარდაიცვალა მოსკოვში, 1859 წელს. დასაფლავებულია პოკროვსკის მონასტერში.

ქალიშვილი თამარი ნამდვილი ტიპი იყო აღმოსავლეთის ლამაზი ქალისა. ბევრი თაყვანისმცემელიც ჰყავდა, ბელგოროდში და შემდეგაც, მაგრამ ისე მაღლა ეჭირა თავი, რომ ახლოს არავის იკარებდა. იგი არ გათხოვილა. გარდაიცვალა 1851 წ. ვორონეჟში. დასაფლავებულია მცხეთის ტაძარში. უმცროსი ქალიშვილი ანა თავად აბაშიძეზე იყო გათხოვილი და მოსკოვში ცხოვრობდა. იქვე გარდაიცვალა, დასაფლავებულია მოსკოვში, პოკროვსკის მონასტერში (იხ. ნ. იმერეტინსკის დასახელებული ნაშრომი, გვ. 29—35).

მარიამ დედოფლის ვაჟებს: უფროს შვილს მიხეილ ბატონიშვილს დაენიშნა შთამომავლობითი პენსია — 6714 მან. და 28 4/7 კაპ., საექიპაჟო — 857 მან. და 14 3/7 კაპ. სულ — 7571 მან. და 43 კაპ. ილიას ბატონიშვილს — 7142 მან. და 85 5/7 კაპ., ოქროპირ და ირაკლი ბატონიშვილებს, თითოეულ მათგანს, — 5857 მან. და 14 2/7 კაპიკი. სულ მარიამ დედოფალსა და მის შვილებზე პენსიების სახით ყოველწლიურად იხარჯებოდა 39428 მანეთი. ყველაზე დიდი პენსია მარიამ დედოფალს ეძლეოდა, მაგრამ მოსკოვში ყოფნას მაინც ვერ ეგუებოდა. მისი შვილების გაუთავებელ თხოვნას, დედის პეტერბურგში საცხოვრებლად გადაყვანის შესახებ, შედეგი არ მოჰყოლია.

1818 წელს პეტერბურგში ჩასულმა მღვდელმთავარმა პავნუტმა ხელმწიფე იმპერატორამდე მიიტანა დედოფალ მარიამის უდანაშაულობა გენერალ ლაზარევის მკვლელობაში. მღვდელმთავარი ამტკიცებდა, რომ იგი თვითონ ესწრებოდა 1803 წლის 19 აპრილის ტრაგედიას, როცა გენ. ლაზარევი იქნა მოკლული და კატეგორიულად უსვამდა ხაზს დედოფლის უდანაშაულობას. მარიამს მონაწილეობაც კი არ მიუღია ლაზარევის მოკვლაშიო. ლაზარევის სიკვდილიდან 15 წელი იყო გასული მღვდელმთავრის პავნუტის პეტერბურგში ჩასვლამდე. ამ 15 წლის განმავლობაში საიმპერატორო კარზე სხვადასხვაგვარი, ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები გავრცელდა ლაზარევის მკვლელობის შესახებ.

ოფიციალური ჩვენებით დედოფალი მარიამი იყო მკვლელი. თვითმნახველები და სხვა სანდო პირები, მათ შორის საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენლები, მარიამ დედოფლის სასარგებლოდ ლაპარაკობდნენ. იგი კარის ერთგულმა თავადმა ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა მოკლაო. დედოფალი კი უსაფუძვლოდ გამოიყვანეს დამნაშავის როლში და წლების შანძილზე იტანჯებოდა ბელგოროდის დედათა მონასტერში. დედოფლის უდანაშაულობას აღიარებდა რუსეთის ერთგული ბევრი მოხელე, მათ შორის ნ. ბუტკოვიც[38]. მაგრამ ციციანოვმა ისე შეთხზა საქმე, რომ მისი უარყოფა ძნელი გამოდგა. ამიტომ იყო, რომ იმპერატორსაც და შინაგან საქმეთა მინისტრებსაც, ცოტა არ იყოს, ეშვი ეპარებოდათ დედოფლის დამნაშავეობაში. ხშირად აღძრულა საქმე ლაზარევის მკვლელობაში მარიამ დედოფლის მონაწილეობის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ.

1818 წელს პეტერბურგში ჩასული პავნუტის განცხადებას კვლავ გამოეხმაურა ხელმწიფე-იმპერატორი. იმპერატორმა გრაფ ნესელროდეს დაავალა საქმის დეტალურად შესწავლა, რათა ერთხელ და სამუ-

[38] П. К. Бутков, დასახ. ნაშრომი, ნაწ. III, გვ. 366.

დამოდ აღმოჩენილიყო გენ. ლაზარევის მკვლელი. 1818 წლის 22 თებერვალს გრაფმა ნესელროდემ წერილობით აცნობა გენ. ერმოლოვს: „შეიძლება, თქვენთვის ცნობილია, თქვენო აღმატებულებავ, რომ 1803 წელს საქართველოში მოკლეს გენ.-მაიორი ლაზარევი და ამ მკვლელობაში დღემდე ეჭვმიტანილია მოსკოვში მყოფი საქართველოს დედოფალი მარიამი. აქ ჩამოსული საქართველოს მღვდელმთავარი პავნუტი, თითქოსდა თვითმხილველი მოწმე, წერილობით ამართლებს დედოფალს. ხელმწიფე-იმპერატორი მოითხოვს სანდო ცნობებს დედოფლის დანაშაულის ან უდანაშაულობის შესახებ.

ამის გამო უმაღლესად მებრძანა მე, დავკავშირებოდი თქვენს აღმატებულებას. გთხოვთ, შეკრიბოთ ამ საქმის შესახებ საჭირო ცნობები და გამომიგზავნოთ მისი უდიდებულესობისათვის მოსახსენებლად“[39]. ორმოცი დღე წარმოებდა ლაზარევის მკვლელობის შესახებ საბუთების კვლავ გადასინჯვა, მაგრამ ამჯერადაც ძალაში დარჩა ციციანოვის მიერ უსაფუძვლოდ შედგენილი ბრალდება. იმავე წლის 31 მარტს, № 79 მიმართვით, გენ. ერმოლოვმა თბილისიდან აცნობა გრაფ ნესელროდეს: „ჩემს კანცელარიაში მოინახა აწ განსვენებულ თავად ციციანოვის მოხსენება ხელმწიფე იმპერატორისადმი (1803 წლის) საქართველოს დედოფლის — მარიამის მიერ გენ.-მაიორ ლაზარევის მოკვლის შესახებ.

ამ მოხსენებიდან ჩანს, რომ დედოფალმა საიმპერატორო უმაღლესობის ნებით რუსეთში გადასახლებისათვის ყოველმხრივ მომზადების შესახებ გამოცხადებისას, დამალა რა თავისი ბოროტი განზრახვა, გამოიჩინა კეთილი ნება და გენ.-მაიორ ლაზარევს ანიშნა, ვითომცდა მასთან გამომშვიდობება სურდა. მალე, როცა მას ლაზარევი მიუახლოვდა, დედოფალმა კაბის ქვეშ დამალული ხანჯალი ამოიღო და ქალთა სქესისაგან მოულოდნელი მძვინვარებით დაჭრა ის, ისე ძლიერ, რომ იგი რამდენიმე წუთში გარდაიცვალა, თავისი ოფიცრების თვალწინ. იმ წუთებში, მისი ქალიშვილი თამარიც ეცა ტფილისის პოლიცმეისტერს, თუმცა ამ უკანასკნელმა იფრთხილა, დარტყმა აიცილა, ხანჯალი დედოფალ მარიამს მოხვდა და მსუბუქი ჭრილობა მიიღო ხელში.

მე ჩემთან მოვიყვანე მაშინდელი ყოფილი პოლიცმეისტერი კ. სურგუნოვი და საიდუმლოდ დავკითხე იგი მკვლელობის ვითარების შესახებ. მისი ჩვენება სრულიად ეთანხმება თავად ციციანოვის მოხსენებას. იმის დასამტკიცებლად, რომ დედოფალი მარიამი და მისი შვილი — ბატონიშვილი თამარი — თვითონ მოქმედებდნენ ხანჯლებით, მან (სურგუნოვმა) თავის ხელზე დამანახვა ნიშანი, რომელიც დარჩა

---

[39] აქტები, ტომი 6, გვ. 279, საბუთი № 356.

ჭრილობის შემდეგ, როცა ხელზე ჭუდი გადაიხვია და თამარს ხანჯალი გამოსტაცა.

საქართველოს მღვდელმთავრის პავნუტის მტკიცება, თითქოსდა, საქართველოს დედოფალ მარიამს არ ჩაედინოს მკვლელობა, უხაფუძვლოა და ანგარიშგაწევას არ იმსახურებს. ამასთანავე საქართველოში დედოფლის ერთგულებისაგან გავრცელებული ხმები, რომ დედოფალძა კი არა, მისმა ვაჟმა, სანკტ-პეტერბურგში გარდაცვლილმა ჯიბრაილმა, მიაყენა ბოროტი დარტყმა გენ.-მაიორ ლაზარევს, არაა სწორი. ასევე დაუჯერებელია, რომ უსამღვდელოესი პავნუტი ყოფილიყოს თვითმხილველი მომხდარი ამბისა, ვინაიდან ყველასათვის ცნობილია აქ, რომ როცა დედოფლის სახლში სამხედრო მცველთა რაზმი მოვიდა და მის გამოსაყვანად, ყველა კერძო პირი და მსახურებიც კი სახლიდან გაძევებული იქნა"[40]. ასეთი პასუხი მიიღო გრაფმა ნესელროდემ, რაც დაუყოვნებლივ მოხსენდა ალექსანდრე პირველს. დედოფალ მარიამის დაუმსახურებელი ბრალდება ბრალდებად დარჩა მის სიკვდილამდე.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ბოლო ხანებში საკმაოდ კარგად იყო მიღებული მოსკოვში, ცხოვრების პირობებიც კარგი ჰქონდა, ხელმწიფე-იმპერატორიც წყალობდა როგორც მას, ისე მის შვილებს[41], პეტერბურგში საცხოვრებლად გადასვლა მაინც არ აღირსეს. საქართველოში დაბრუნებაზე ხომ, სანამ მას სიცოცხლის იერი ედო, ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. დედოფალმა თითქმის 47 წელი იცხოვრა რუსეთში. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა საქართველოში მყოფ ახლობლებსა და ნათესავებთან, პეტერბურგში დასახლებულ ბატონიშვილებთან, თავისი შვილები ხომ ხშირად ნახულობდნენ მოსკოვში.

82 წელს მიტანებულმა დედოფალმა მარიამმა იგრძნო სიკვდილის მოახლოება და 1849 წლის აგვისტოს დასაწყისში ხელმწიფე იმპერატორს საქართველოში დაბრუნება სთხოვა, რათა უკანასკნელი დღეები თავის სამშობლოში გაეტარებინა და მეუღლის გვერდით ღირსებოდა დასაფლავება, ალბათ, ამიტომაც იმპერატორმა შეიბრალა იგი და სა-

---

[40] აქტები, ტომი VI$_1$, გვ. 279—280, საბუთი № 358.

[41] იმერეთის დედოფალს — ანას — 10 ათასი მანეთი ჰქონდა პენსია. 1832 წელს, როცა დედოფალი ანა გარდაიცვალა მოსკოვში, მისმა შვილმა — კონსტანტინემ — ითხოვა დედის პენსიის დატოვება, მაგრამ იმპერატორის მითითებით უარი ეთქვა. მარიამ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ კი, მიუხედავად იმისა რომ მისი პენსია სამუდამო იყო და არა შთამომავლობითი, პენსია შვილებზე იქნა გადანაწილებული. ბრძანებაში ნათქვამი იყო: „წყალობა მონარქის განსაკუთრებული შებრალების შედეგია და არა სხვათა-სამაგალითო". იხ. ნ. იმერეტინსკის დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

ჭართველოში დაბრუნების ნება მისცა. დედოფლის თხოვნის პრაქტიკულად შესრულება ხელმწიფე-იმპერატორმა თავად ვორონცოვს დაავალა: „საქართველოს დედოფალმა მარიამმა ითხოვა დაბრუნდეს საქართველოში, თავისი დარჩენილი დღეების გასატარებლად, რათა დაკრძალულ იქნეს თავისი მეუღლის — მეფე გიორგის გვერდით. მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ თანხმობა განაცხადა დედოფლის თხოვნის დასაკმაყოფილებლად. დედოფლის საქართველომდე მგზავრობისათვის დადგინდა 4 ათასი მანეთი ვერცხლით"[42]. 46 წლის ნატვრა უსრულდებოდა დედოფალ მარიამს. უკვე გადაწყვეტილი იყო მისი გამომგზავრება მოსკოვიდან, მაგრამ წამოსვლის ნებართვისთანავე თავი ცუდად იგრძნო. მალე დაუძლურების გზას დაადგა და საქართველოში წასვლა ვერ ეღირსა.

1850 წლის 30 მარტს გარდაიცვალა მრავალტანჯული, სამშობლოს მიწას მონატრებული დედოფალი მარიამი[43]. მის გარდაცვალებას მოსკოვისა და პეტერბურგის თითქმის ყველა გაზეთი გამოეხმაურა[44]. იმპერატორის ბრძანებით მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა სათანადო ზომები მიიღო სამგლოვიარო პროცესიისა და პანაშვიდების შესაფერის დონეზე მოსაწყობად. სამეფო სახლის წარმომადგენელთა დაკრძალვა წინასწარ შემუშავებული და შემდეგ იმპერატორის მიერ დამტკიცებული დაკრძალვის ცერემონიალის მიხედვით ხდებოდა. ასე იყო 1841 წელსაც, როცა იმერეთის ყოფილი დედოფალი მარიამ კაციას ასული დაკრძალეს. დაკრძალვის ცერემონიალი თითქმის ერთნაირი იყო. იშვიათად ცოტაოდენი განსხვავებით. დედოფალ მარიამის გარდაცვალებიდან ერთ კვირაზე მეტი გავიდა დაკრძალვის ცერემონიალის დადგენამდე, თუმცა მისი დადგენა დიდი თავსატეხი არ ყოფილა. ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, რომ მოეწახათ იმერეთის ყოფილი დედოფლის მარიამ კაციას ასულის დაკრძალვის ცერემონიალი და იმდაგვარადვე ჩაეტარებინათ მარიამ დედოფლის დაკრძალვაც. თუმცა, წერდა იმპერატორი, ძირითადად, მარიამ კაციას ასულის დაკრძალვის ცერემონიალი იყოს, მაგრამ უფრო მეტი საზეიმო ელფერი შეიტანეთ, ვინაიდან საქართველოს მეფეთა საგვარეულო იმერეთისაზე უფ-

---

42 აქტები, ტომი X, გვ. 112, საბუთი № 85.

43 გარდაცვალების წინ, ორი დღით ადრე, დედოფალმა მარიამმა ანდერძი დაწერა, რომ იგი საქართველოში გადმოესვენებინათ და მეუღლის გვერდით დაეკრძალათ. იმპერატორმა თანხმობა განაცხადა დედოფლის უკანასკნელ თხოვნაზე.

44 საქართველოს უკანასკნელი დედოფლის ნეკროლოგი მოსკოვისა და პეტერბურგის თითქმის ყველა გაზეთში დაიბეჭდა, თუმცა ყველგან ერთი და იგივე ტექსტი იყო გამოქვეყნებული.

რო მაღლა იდგა.[45] და ბოლოს დასძენდა: „გარდა მოსკოვის და საქართველოში დასაკრძალი ადგილისა, გზაში არავითარი ცერემონიალი არ იქნეს დაშვებული"[46]. ხელმწიფის მითითება თვით მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის ზაკრევსკის ხელმძღვანელობით უნდა შესრულებულიყო. თითქმის ორი კვირის მანძილზე მზადდებოდა სამგლოვიარო ცერემონიალის ჩატარება. მთავრობა ხარჯებს არ ერიდებოდა მარიამ დედოფლის პატივსაცემად.

დედოფლის კუბოს გადაკრული ჰქონდა ოქროსფერი ფარჩა, ირგვლივ ფართო სირმაშემოვლებული სახელურები და ფეხებიც მოოქრული ჰქონდა. კუბოს თავზე ლითონის მოოქრული დაფა იყო წარწერით. ზედ გადაფარებული იყო დიდი, ოქროსფერი ფარჩის ნაჭერი, ოქროსფერივე ყალმებით. ოთახის კუთხეებში დიდსანთლიანი შანდლები იდგა. კედლებზე ირგვლივ კი 12 ხუთსანთლიანი შანდალი იყო ჩამწკრივებული.

ქართველ ბატონიშვილთა, თავადთა, ნათესავთა და დიდებულთა თანხლებით კუბო გამოიტანეს და დადგეს დედოფლის კარის ეკლესიაში.

13 აპრილს მოსკოვის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის, გენ.-ადიუტანტის გრაფ. ა. ზაკრევსკის, მოსკოვის სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის, ნამდვილ სტატსმრჩევლის თავად ს. გოლიცინის, ფეხოსანთა მეექვსე კორპუსის ინფანტერიის გენერლის მ. ჩეოდაევის, მაღალი წოდების წარმომადგენლების, დიდებულთა და დედოფლის ნათესავთა თანდასწრებით უმაღლესმა სამღვდელოებამ გადაიხადა პანაშვიდი.

14 აპრილს დედოფლის კარის ეკლესიაში სინოდის წევრმა, მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტმა, უსამღვდელოესმა ფილარეტმა შეასრულა ლიტია[47], რის შემდეგაც კუბო გამოიტანეს და დადგეს დედოფლის ღერბიან ეტლზე, რომელშიც შავქსოვილგადაფარებული 6 ცხენი ება. კუბოს მარჯვენა გვერდით ჟოლოსფერ ხავერდგადაკრულ ტაბურეტზე იდო ბალიში ოქროსფერი ფარჩის თავადური მანტიით, ხოლო კუბოს მარცხენა მხარეს წმინდა ეკატერინეს პირველი ხარისხის ორდენი.

დაიწყო სამგლოვიარო სვლა ჩუდის მონასტრისაკენ. აქ, წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად, მონაწილეობას იღებდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჯარის სხვადასხვა სახეობათა წარმომად-

---

[45] აქტები, ტომი X, გვ. 113, საბუთი № 87.

[46] იქვე.

[47] დიდს მწუხარებაზედ დამატებული ლოცვა. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი, 1961, გვ. 26.

გენლები, ჟანდარმერია, უმაღლესი სამღვდელოება, მოსკოვის დიდებულები და დედოფლის ნათესავები. ჩუდის მონასტერში წესის აგების შემდეგ კუბო დახურეს და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გადაიტანეს ვოზნესენის მონასტერში, რის შემდეგაც მიცემულ იქნა საარტილერიო ბათქი, თითოეული ზარბაზნიდან სამჯერ. ასეთივე ბათქის ხმა მოისმა ფეხოსანთა თოფებიდან[48]. ხელმწიფე-იმპერატორის მითითებით, დედოფლის ცხედრის საქართველოში წამოსვენება და დასაკრძალი ცერემონიალის შემუშავება საჩქაროდ უნდა შესრულებულიყო[49]. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს იმპერატორმა მიუთითა, რომ შეექმნა კომისია 2 ან 3 კაცისაგან, რომელიც ხელმძღვანელებდა დედოფლის წამოსვენებას საქართველოში.

მალე შეიმუშავეს ინსტრუქცია დედოფლის სამგლოვიარო ცერემონიალისა და საქართველოში წამოსვენებისათვის, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა[50].

მკაცრად იყო ნაბრძანები, რომ ზუსტად დაეცვათ ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც მოსკოვიდან დედოფალ მარიამის ცხედარს გაყოლილი სამგზავრო კორტეჟი მცხეთასთან ახლოს უნდა შეჩერებულიყო. იქ, სამგლოვიარო ეტლზე უნდა გადაეფარებინათ წინასწარმომზადებული ჟოლოსფერი ხავერდის ბალდახინი და ეტლში შავი ქსოვილით მორთული 6 ცხენი შეებათ. ცხენები 6-ჩირაღდნიან, შავლაბადამოსხმულ კაცს უნდა წაეყვანა, წინ წაუძღვებოდა შავებში ჩაცმული 34 კაცი ჩირაღდნებით ხელში. 6 ქართველ აზნაურს ევალებოდა ეტლის საფეხურზე დგომა კუბოს დასაკავებლად. დიპლომატიური ნაწილის მოხელეები და აზნაურები აქეთ-იქით მხარეს უნდა ყოფილიყვნენ და ბალდახინის ზონარები დაეჭირათ. კუბოს გადასაფარებლის ბოლოებს ოთხი ობერ-ოფიცერი დაიკავებდა. ამის შემდეგ დაიწყებოდა სამგლოვიარო სვლა. ეტლს გაჰყვებოდნენ ცხენოსანი ქართველი თავადები და აზნაურები, აზნაურებისათვის უმაღლესად ბოძებული დროშით, რომელთა წინ ჟანდარმთა რაზმი იქნებოდა. ცალ-ცალკე ბალიშებზე დადებულ წმინდა ეკატერინეს პირველი ხარისხის ორდენს, სამეფო მანტიასა და გვირგვინს დაიჭერდენ თითო შტაბის ოფიცერი და ორ-ორი ასისტენტი ობერ-ოფიცერთაგან. მათ გაჰყვებოდნენ: ეპისკოპოსი, სასულიერო წოდების სხვა წარმომადგენელნი და დედოფლის მოძღვარი ხატით. სამგლოვიარო ეტლს გაჰყვებოდნენ გარდაცვლილი

---

[48] «Северная пчела» 1868, № 92, იხ. აქტები, ტომი X, გვ. 112—113, საბუთი № 86.

[49] აქტები, ტომი X, გვ. 113—114, საბუთი № 87.

[50] იქვე, საბუთი № 89.

დედოფლის ნათესავები და დაკრძალვაზე მოსული სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, ქვეითი ჯარი. არტილერია 6 ქვემეხით.

დადგენილი მითითების თანახმად, სამგლოვიარო სვლის ბოლოში ჟანდარმთა რაზმი იყო გათვალისწინებული. როცა კუბოს სპეციალურად დაყენებული სამხედრო ნაწილების ახლოს გაატარებდნენ, არსებული სამხედრო წესის თანახმად, პატივს მიაგებდნენ და სამგლოვიარო მუსიკას დაუკრავდნენ.

მცხეთის ტაძარში მისვლისას, ჰიშკართან, კუბოს უნდა შეხვედროდა სრულ საეკლესიო სამოსელში გამოწყობილი საქართველოს ეგზარხოსი, სამღვდელოებით, ქართველ თავად-აზნაურებთან ერთად, და ეკლესიაში პანაშვიდი უნდა გადაეხადა.

იმ ღამეს ცხედარი ეკლესიაში უნდა ყოფილიყო, კუბოსთან ახლოს 6 უნტერ-ოფიცერი უნდა მდგარიყო, ეკლესიის კართან კი 2 გუშაგი. ექვს-ექვს თავად-აზნაურთა წარმომადგენელს ღამე ერთმანეთი უნდა შეეცვალად მორიგეობით.

მეორე დღეს, მთელი ჯარი, არტილერიით და ქართველ ცხენოსან აზნაურთა რაზმით, ეკლესიის ახლოს უნდა მდგარიყო.

ნათესავების, ხალხისა და სპეციალურად მოწვეულ პირთა მოსვლისთანვე უნდა დაწყებულიყო წირვა, შემდეგ პანაშვიდი, რომელთა დამთავრებისთანავე გუბერნიის აზნაურთა წინამძღოლი, თავადები და აზნაურები კუბოს მიიტანდნენ გარდაცვლილ მეფე გიორგის საფლავის ახლოს გაჭრილ სამარესთან.

კუბოს სამარეში ჩაშვებისას მოხდებოდა 36 საარტილერიო გასროლა ქვეითი ჯარის თოფებით სამ-სამ ბათქით ერთად[51]. ხელმწიფე-იმპერატორის გადაწყვეტილება, მარიამ დედოფლის ცხედრის მცხეთაში დაკრძალვის შესახებ, ჩამოსვენებამდე გახდა ცნობილი თბილისში.

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ვიშითა და ოხვრით გააცილეს თვალცრემლიანმა თბილისელებმა დატყვევებული და ჭრილობისაგან ხელებდასისხლიანებული მარიამ დედოფალი. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა წყალმა ჩაიარა. შუახანს მიტანებულებმა არაფერი იცოდნენ მის შესახებ, ხანშიშესულ უბედურების მომსწრეთაგან ცოტანი იყვნენ ამ ქვეყნად, რომლებმაც გაიხსენეს საქართველოს უკანასკნელი დედოფლის ჭიდილი უგულო ციციანოვთან.

დედოფლის ცხედრის ჩამოსვენების ამბავი მთელ საქართველოს მოედო. ყველა გულისტკივილით მოელოდა დედოფლის ცხედართან

---

[51] აქტები, ტომი X, გვ. 114.

შეხვედრას. მოსკოვიდან წამოსული სამგლოვიარო ეტლი დიდი ამალით საქართველოს უახლოვდებოდა.

15—16 ივნისს მცხეთის მისადგომებსა და შიდა გზებზე არაჩვეულებრივი ხალხმრავლობა იყო. აქ საქართველოს ყველა კუთხიდან მოედინებოდა ხალხი. 17 ივნისს მცხეთის ყველა გზა ხალხით იყო დაფარული. გაზეთი „კავკაზი იტყობინებოდა: „მცხეთის დღესასწაულზე არასდროს ამდენი მლოცველი არ შეკრებილა, არასდროს არ მოსულან თბილისიდან და მთელ საქართველოდან ამდენი ღვთის მსახურნი და საპატიო პირნი. მაგრამ დღესასწაულზე კი არ შეკრებილან ისინი — სამგლოვიარო ტანისამოსი, ბოლიანი ჩირაღდნები, მეფეთა საფლავებს შორის ახლად გათხრილი სამარე და სევდიანი ჩურჩული: კურთხეული გვამი დაბრუნდა მშობლიური ბუნების წიაღში განსასვენებლად. 47 წლის განშორების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა მისი უმაღლესობა დედოფალი მარიამ გიორგის ასული, მაგრამ მისმა თვალებმა ვეღარ იხილეს მშობლიური მთები. ლურჯი ცა და არაგვის სუფთა წყალი — დაბრუნდა მხოლოდ გვამი სამუდამოდ განსასვენებლად“[52]. ხელმწიფე იმპერატორის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, 17 ივნისს, დღის 5 საათზე განსვენებულის გვამს მცხეთიდან რამდენიმე ვერსის იქით შეხვდნენ: საქართველოს უსამღვდელოესი ნიკიფორე, სასულიერო წოდების წარმომადგენლები, საპატიო პირნი, სამგლოვიარო სელისათვის სპეციალურად გამოყოფილნი და უამრავი ხალხი. სამგლოვიარო კორტეჟს თავში ჟანდარმთა რაზმი ედგა. მათ მოჰყვებოდა ცხენებზე ამხედრებულ ქართველ თავადაზნაურთა დრუჟინა, აზნაურებისათვის უმაღლესად ბოძებული დროშით. შემდეგ გუბერნიისა და მაზრების აზნაურთა წინამძღოლები, თავად-აზნაურებთან ერთად, ორ რიგად. ცალ-ცალკე ბალიშებზე დადებული საქართველოს სამეფო ღერბი, წმ. ეკატერინეს პირველი ხარისხის ორდენი და სამეფო მანტია მოჰქონდა შტაბის 6 ობერ-ოფიცერს ასისტენტების თანხლებით, მათ მიჰყვებოდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენლები, უსამღვდელოესი ნიკიფორე და გარდაცვლილ დედოფლის მოძღვარი ხატით. მათთან ერთად აქეთ-იქითა მხარეს მოდიოდა 34 მეჩირაღდნე. შავი ქსოვილით მორთული 6 ცხენი ება ბალდახინგადაფარებულ სამგლოვიარო ეტლში, რომელზედაც დედოფლის კუბო იდგა. ცხენები მოჰყავდათ მეჩირაღდნეებს, 6 ქართველი აზნაური ეტლის საფეხურებზე იდგა და კუბოს აკავებდა.

დიპლომატიური ნაწილის მოხელენი და აზნაურები ორივე მხარეს

---

[52] გაზეთი „კავკაზი“, 1850 წ., № 48.

მოაბიჯებდნენ და ბალდახინის ზონრები ეჭირათ, გადასაფარებლის ბოლოები ოთხ ობერ-ოფიცერს ეკავა.

სამგლოვიარო ეტლს მიჰყვებოდნენ დედოფლის ნათესავები და დაკრძალვაზე მოწვეული სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი. შემდეგ ქვეითები, არტილერისტები 6 ქვემეხით, სამგლოვიარო პროცესიას ბოლოს ჟანდარმთა რაზმი მოსდევდა.

როდესაც სამგლოვიარო ეტლი მცხეთის ტაძარს მიუახლოვდა, გალავანთან მას შეეგებნენ საქართველოს უსამღვდელოესი ეგზარქოსი სრულ საეკლესიო სამოსელში გამოწყობილ სამღვდელოებასთან ერთად, რომლებმაც ცხედარი ეკლესიის კარამდე მიაცილეს.

ქართველმა თავადებმა და აზნაურებმა კუბო ეტლიდან გადმოიღეს, ტაძარში შეიტანეს და ჩინებულ ბალდახინგაფარებულ კატაფალკაზე დადგეს, უამრავი ხალხისა და სამღვდელოების დასწრებით გადაიხადეს პანაშვიდი.

იმ ღამეს დიდძალი ხალხი დარჩა მცხეთის ტაძრის ირგვლივ. დილამდე კატაფალკასთან 6 უნტერ-ოფიცერი ყარაულობდა, ეკლესიასთან კი გუშაგები იდგნენ. მორიგეობისას რიგრიგობით ექვს-ექვსი თავადი და აზნაური ცვლიდა ერთიმეორეს.

მეორე დღეს — 18 ივნისს წირვის, პანაშვიდისა და ანდერძის აგების შემდეგ განსვენებულის კუბო ქვემეხების ჭუხილსა და ქვეითთა თოფების ბათქის ქვეშ ჩაუშვეს მეფე გიორგის საფლავის გვერდით გაჭრილ სამარეში. დასაფლავებას, როგორც აღინიშნა, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული უამრავი ხალხი დაესწრო. მათ შორის იყვნენ: მეფისნაცვლის მეუღლე ელიზავეტა ვორონცოვი, სამოქალაქო სამმართველოს უფროსი, გენ.-ლეიტ. თავადი ბებუთოვი, კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსის თანაშემწე, გენ.-მაიორი გოგელი და ამიერკავკასიის სამხარეო საბჭოს ყველა წევრი.

სამგლოვიარო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ, ყველა მიიწვიეს სადილზე.

დედოფლის დაკრძალვა, მართლაც, ღირსეული იყო. ყველაფერი იმპერატორის მიერ დამტკიცებული წესისამებრ წარიმართა. ყოველგვარი ხარჯი სახელმწიფომ გაიღო. გაზეთი „კავკაზი“ შენიშნავდა: „არაჩვეულებრივი იყო ხალხის თავმოყრა, სამგლოვიარო პროცესია არაჩვეულებრივად საზეიმო იყო, სამგლოვიარო სვლას, პანაშვიდსა და დაკრძალვას უხდებოდა განსაკუთრებით სრულ საეკლესიო სამოსელში გამოწყობილი მრავალრიცხოვანი სამღვდელოების წარმომადგენლები“[53].

---

[53] გაზ. „კავკაზი“, 1850, № 48.

დავით ბატონიშვილი (1767—1819)

საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII ორჯერ იყო დაქორწინებული. პირველი ქორწინებით, ქეთევან ანდრონიკაშვილთან, ჰყავდა 9 შვილი — ოთხი ვაჟი და 5 ქალიშვილი[1]. უფროსი შვილი იყო დავითი[2], რომელმაც იმ დროისათვის საუკეთესო განათლება მიიღო სამშობლოში, 20 წლისა 1787 წელს რუსეთში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, სადაც 2 წელი დაჰყო. 1789 წელს მან ათასი კაცით მონაწილეობა მიიღო ყარსთან ბრძოლაში, სადაც პაპამის ერეკლესავით უდრეკი მეომრის სახელი მოიპოვა. დავით ბატონიშვილი უაღრესად განათლებული და იმავე დროს უშიშარი მეომარი იყო. გვირგვინოსანი პაპა მას დიდ პატივს სცემდა და თითქმის ყველაფერში მისი იმედეული იყო[3]. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლებშიც 1795 წლის 10—11 სექტემბერს და უშიშარი მებრძოლისა და სარდლის სახელი დაიმსახურა.

დავით ბატონიშვილი სარდლობდა სეიდ-აბადის ბაღების ბოლოს დაბანაკებული ლაშქრის ერთ-ერთ (მეხუთედ) ნაწილს, რომელიც ბრძოლის ველის მარჯვენა ფრთაზე იდგა 6 ზარბაზნით. ეს რაზმი

---

[1] დავითი, იოანე, ბაგრატი, თეიმურაზი, სოფიო, რიფსიმე, გაიანე, ნინო, ქეთევანი.

[2] ნიკოლოზ იმერეტინსკის გადმოცემით, როცა დავით ბატონიშვილი იმერეთის ყოფილ დედოფალთან — პეტერბურგში მცხოვრებ ანა მათეს ასულთან — იმყოფებოდა სტუმრად, არავინ კითხულობდა მის ვინაობას, ყველა ცნობდა ხმაზე, რომ დავითი იყო. დავით ბატონიშვილის სურათი, მისი ახლო ნათესავის, თავად დავით ბაგრატის ძე გრუზინსკის ბინაში უნახავს ნ. იმერეტინსკის, რომელიც გადმოგვცემს: „საქართველოს მმართველი გამოხატულია ქართულ ტანსაცმელში. მხარზე ალექსანდრეს ლენტ-გადაგდებული. მაღალი, მხარბეჭიანი, სრული, ჰატარა ულვაშით, ღამაზი სახის. იგი მთელი ტანითაა ზეზემდგარი წარმოდგენილი, კალმით ხელში. მის წინ მაგიდაზე ხელნაწერია, როგორც ჩანს, საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტი. მმართველის პოზა სურათზე ორიგინალურია. ხელში კალამი მზად აქვს, ხელი მოაწეროს სამეფო ტახტიდან გადადგომას, თავი კი შებრუნებული აქვს და თვალებით სრულიად საწინააღმდეგო მხარეს იყურება. მხატვარს, რა თქმა უნდა, განზრახვის გარეშე სწორად აქვს გამოხატული მოქმედების ხასიათი. ასეთი აქტის ხელმოწერა შეუძლებელი იყო წარსულის გადაუხედავად“ (იხ. ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 23).

[3] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა თბილისზე, თბილისი, 1963, გვ. 121.

დავით ბატონიშვილი

იცავდა თბილისში შემომავალი გზების შესაყარს და დიდი ზარალიც მიაყენა მოწინააღმდეგეს. პ. ბუტკოვის გადმოცემით: „როდესაც ქართველი მეფეები (ბატონიშვილები. — მ. გ.) თბილისის ახლოს კრწანისში გამაგრდნენ, აღა-მაჰმად-ხანის მეწინავე ჯარი, სპარსელების მხარეზე გადასული სომეხი მელიქ მეჯლუმის წინამძღოლობით, ბრძოლაში ჩაება. ერეკლეს შვილიშვილი, ბატონიშვილი დავითი, მამაცურად იბრძოდა და მოკლა მტრის ჯარის ეს წინამძღოლი“[4].

ბრძოლის მეორე დღეს, 11 სექტემბერს, სპარსელებს იმ უბანზე მიუტანიათ იერიში, რომელსაც დავით ბატონიშვილი იცავდა. მის განკარგულებაში არსებული არტილერია მტერს მაღლობის აღებისა და დაკავების საშუალებას არ აძლევდა[5]. თეიმურაზ ბატონიშვილი, აღწერს რა ამ ბრძოლას, აღნიშნავს: „ხოლო მხარესა მას, რომელსაცა სდგა მეფის ძე დავით, ოდეს იგი იბრძოდეს სპარსნი და ქართველნი ურთიერთას, აღა-მაჰმად-ხანმან მიგზავნა მას ზედა მხედრობა ცხენოსანნი სამი ათასი რჩეულნი მებრძოლნი. არამედ ჰსძლო მათ მეფის ძემან დავით და იოტნა იგინი ვიდრე მხედრობამდე სპარსთა, და თვით ეგრეთვე სცვიდა მითვალულსა მისსა მხარესა“[6].

დავით ბატონიშვილმა დიდი ზარალი მიაყენა სპარსელების ჯარს იგი უკანასკნელ წუთებამდე მედგრად ქლეტდა სპარს თავდამსხმელებს კრწანისის ბრძოლაში. დავით და იოანე ბატონიშვილები გვირგვინოსან პაპას არ მოსცილებიან კრწანისის ბრძოლებში. მეფეს სიცოცხლე შერჩა მათი წყალობით. იოანე ბატონიშვილმა ალყაშემორტყმული მეფე ბრძოლის ცეცხლიდან იშვიათი გმირობითა და მოხერხებით გამოიყვანა[7]. ამ ბრძოლაში გმირობითა და თავისგამოჩენით დავითმა ქართველთა დიდი სიმპათიები დაიმსახურა. იმავე წლის ბოლოს დავით ბატონიშვილი რუსეთშია სამხედრო სამსახურში. 1795 წლის 15 ნოემბერს იგი პრეობრაჟენსკის პოლკში ჩარიცხეს პოლკოვნიკად. ორი კვირის შემდეგ კი ბედმა გაუღიმა და გენერალ-მაიორის ჩინი მიიღო. ამ ამბით კმაყოფილი დავითი იმავე წლის დეკემბერში პეტერბურგიდან მანუჩარ თუმანიშვილს სწერდა: „პრეობრაჟენის პოლკში, რომელშიაც ხელმწიფე პოლკოვნიკია... ნოემბრის იე (15)-ს,

---

[4] უნდა ვიფიქროთ, რომ აღა-მაჰმად-ხანის მეწინავე ჯარის წინამძღოლობა მიანდვეს იმიტომ, რომ მან კარგად იცოდა თბილისის ყველა ადგილი და შიდა გზები. Пі. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 гг., часть II, СПБ, 1869, с. 338.

[5] ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 143.

[6] ჟურნ. იერია, 1885, № 2, გვ. 104. შეად. ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 143.

[7] ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 126.

პოლკოვნიკათ მიმიღეს და ის როტაა ჩემი სამმართებელი, რომელსაც თვით იმისის დიდებულის სახელი ჰქვიან... ნოემბრის კთ (29)-ს ღენერალ-მაიორობა მიბოძეს იმავ ადგილას"[8].

პრეობრაჟენსკის პოლკში სულ 8 თვე იმსახურა და გენერალ-მაიორის ჩინით 1796 წლის ივნისში საქართველოში დაბრუნდა. როგორც ჩანს, სამშობლოში შექმნილი ვითარება არ მოეწონა და 1797 წელს გაემგზავრა პეტერბურგში[9]. პეტერბურგში დავით ბატონიშვილი ერთ წელსაც არ დარჩენილა და საქართველოში დაბრუნდა. ამ პერიოდში ძლიერდება საქართველოს დიდებულთა ბრძოლა, რაც ვრცელდება თვით მეფის სახლობის წევრთა შორისაც. ბატონიშვილები უწინდელზე მეტად ეცილებიან ერთმანეთს ტახტის მემკვიდრეობაში. აურაცხელი ბრძოლებითა და შინაური არეულობით დაღლილ მეფეს, რომელიც ნახევარ საუკუნეს განაგებდა კახეთს და 35 წელი ქართლს, სიბერე და შემდეგ ავადმყოფობა შეეპარა. გაიზარდა ხელისუფლებისმოყვარე დარეჯან დედოფლის გავლენა ერეკლე მეორეზე და, რაღა თქმა უნდა, სამეფოს მმართველობაზე. 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა უშიშარი მეომარი და დიდებული სარდალი, თავისი ქვეყნისა და ერის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი მზრუნველი, რომლის სახელიც თვით ევროპაში იყო ცნობილი[10]. უსაფუძვლოდ კი არ განაცხადა პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდმა: „მე—ევროპაში და ერეკლე მეორე — აზიაში" [11].

ჯერ კიდევ მეფის ავადმყოფობის დროს დაიბნა ხალხი. ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ დარეჯანი შეეცადა ძალაუფლების ხელში აღებას და თავისი უფროსი შვილის იულონის გამეფებას. სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხზე ბატონიშვილებს შორის ერთიანი აზრი არ არსებობდა. დედოფალი დარეჯანი და მისი თაოსნობით შვილებიც გიორგი XII-ის გამეფების წინააღმდეგი იყვნენ. მიუხედავად მათი განწყობილებისა, მეფე ერეკლეს გარდაცვალებიდან სამი დღის შემდეგ, 14 იანვარს, მეფედ იმჟამად ყაზახში მყოფი გიორგი XII იქნა გამოცხადებული. ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „ხოლო ძემან მისმან პირმშომან გიორგიმ მიიღო მეფობა მამისა თვისისა შედგომად, მყოფმან მას ჟამსა ყაზახსა შინა, იანვრის 14, დღესასწაულსა წ-ისა მოციქულისა ნინა ქართველთ განმანათლებელისა დღესა,

---

[8] მაქსიმე ბერძნიშვილი, დასახელებული ნაშრომი, I, თბილისი, 1980, გვ. 203.

[9] იქვე, გვ. 203.

[10] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბილისი, 1963, გვ. 187.

[11] იქვე.

და დალოცეს ქართველთა მეფეთ თვისად და ჰფუცეს ერთგულებასა მისსა ზედა"[12].

გიორგი XII-მ გამეფებისთანავე გიორგი ავალიშვილი გააგზავნა რუსეთში იმპერატორ პავლესთან დავალებით, რათა ძალაში დარჩენილიყო მამა მისის ერეკლე მეორის მიერ იმპერატრიცა ეკატერინესთან დადებული ტრაქტატი, რომელიც საქართველოში მშვიდობის დამყარებას განაპირობებდა. მეფემ ცალკე წერილი გაატანა ადრე ერეკლე II-ის მიერ სამეფო კარზე დესპანად გაგზავნილ გარსევან ჭავჭავაძესთან, რომელიც ჯერ კიდევ იქ იმყოფებოდა. გარსევან ჭავჭავაძეს მეფე გიორგი ავალებდა კვლავ დესპანობას რუსეთის კარზე და თხოვდა შეეხსენებინა იმპერატორ პავლე პირველისათვის საქართველოში მშვიდობიანობის დაცვა და ტრაქტატით გათვალისწინებული მფარველობა. „მეფემან გიორგიმ წარგზავნა როსიად ავალიშვილი გიორგი ივანე მეითრის-ძე და წარატანნა თანა წიგნი მისართმეველად იპერატორ პავლეს თანა, და მიუწერა მუნ მყოფს დესპანსა თავადსა მანდატერსა თვისსა ჭავჭავაძე გარსევანს, რომელიცა იპოებოდა მუნ კარსა ზედა წარგზავნილი მეფის ირაკლისაგან ღესპანად, რათა იყოს კ-დ დესპანადვე კარსა ზედა და ამცნო, რათა ითხოვოს მეფისათვის მშვიდობით დაცვაი და მფარველობა, ვითარცა წერილი იყო ტრაკტატსა შინა მეფის ირაკლისასა და იპერატრიცა ეკატერინესასა. მიმრთმევთა ამათ-როსისა კარსა ზედა თხოვნისამებრ მეფისა უბოძა იპერატორმან პავლე მეფესა ტახტი, გვირგვინი, სკიპტრა, ხმალი, დროშა და ლურჯი კავალერია ანდრია პირველწოდებულისა დაა ეგრეთვე მეუღლესა მეფისასა დედოფალს მარიამს ციციშვილის ასულს უბოძა იპერატრიცამ მარიამმა კავალერია წ-ისა ეკატირინასი, კაბა და ჯიღა, ხოლო პირმშოსა ძესა მეფის გიორგისასა დავითს უბოძა მემკვიდრეობა საქართველოისა მამის შემდგომად და ანას კავალერია, რომელიცა მას ჟამსა იყო სამსახურსა შინა იპერატორისასა და იყო ღიანარალ-მაიორი, რომელიც ახლად მოსული რუსეთიდამ იპოებოდა მამისა წინაშე და ეგრეთვე უბოძაცა მცველად მეფესა ერთი პოლკი იეგერისა 17 წინაძღომითა ღიანარალ ლაზარევისათა და დესჰანად დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი კავალინკკი. ესენი წარმოემართნენ და მოვიდნენ ტფილის თავადის გარსევან ჭავჭავაძითურთ წელს 1799, აგვისტოს 2. მომსმენელმან მეფემან იდღესასწაულა დღე იგი"[13]. მეფე გიორგის, მართლაც, გაეხარდა სამხედრო ძალების მოსვლა საქართველოში. ამ ძალებით უნდოდა მეფეს შინაური არეულო-

12 ბაგრატ ბატონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 70-71.

13 იქვე.

ბის თავიდან აცილება. მეფე გიორგი გახარებული იყო პავლე პირველის გადაწყვეტილებით. ისედაც რუსეთის ორიენტაციის მომხრე, მთლად იმპერიის მხარეზე გადაიხარა.

იმჟამად სპარსეთის ელჩი იყო თბილისში მოსული. ელჩი ცდილობდა გიორგი XII-ის გადაბირებას, იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს ზურგი შეექცია რუსეთის ერთგულებისათვის და სპარსეთის მხარეზე გადასულიყო.

„1799 წელსა მოვიდა ელჩი ყაენისა და წერილი მისი მეგობრული. სთხოვდა მეფესა — არა დაარღვიოს კავშირი ძველთა საქართველოჲსა მეფეთა ერანის ყაენთანა, რათა არა დაივიწყოს წყალობაები, რომლითაცა სავსე იყო საქართველო, რათა რუსთა არა მიანდონ სვე და ბედი თვისი. ყაენი აღუთქმიდა მფარველობასა თვისსა საქართველოსა ვალისტანზედა, სარწმუნოებისა მათისა არა დევნასა, უფლებასა სახნოებთა ზედა ერევნისა, განჯისა და ყარაბაღისა, ვითარცა იყო მეფისა ირაკლისა დროსა, და უკეთუ ისაჭიროებს მეფე ჯარისაცა გამოგზავნასა 6000 კაცისა ყაენისა ხარჯითა დასაცველად გზათა, რომელნიცა აქვნდნენ სავლელად ლეკთა, ქვეყანისა ამაოხრებელთა“.[11] მეფემ მოუსმინა ელჩს, მაგრამ ვერავითარმა დაპირებამ ვერ გასჭრა, არც უფიქრია რუსეთის ერთგულების ღალატი. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობას ვერც ერთი სხვა სახელმწიფო ვერ შეცვლიდა. მით უმეტეს ვერ შეცვლიდა მუსულმანური სპარსეთი, რომელთა თავდასხმა ჯერ კიდევ თვალწინ ედგათ ქართველებს, თვით ბატონიშვილებს, რომელთა უმეტესობა უშუალოდ იბრძოდა აღა-მაჰმად-ხანის ჯარის წინააღმდეგ თბილისზე თავდასხმისას. მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა რუსეთთან ურყევი მეგობრობა და მარად მის მფარველობაში ყოფნა. მაგრამ მაინც კარგად მიიღო ელჩი და საპასუხო წერილი გაატანა ყაენთან. წერილში მეფე ხაზს უსვამდა რუსეთთან კეთილგანწყობის აუცილებლობას და არც ირანის თავდასხმები და საქართველოსადმი მტრული საქმიანობა დავიწყებია. ბოლოს მეფე გადაწყვეტილი ტონით აღნიშნავდა, რომ პირს არ შეირცხვენდა რუსეთის წინაშე და ხელშეკრულებას არ უღალატებდა; რომ რუსეთის მფარველობას ითხოვდნენ „სასულიერონი და საერონი გვამნი“, — და არა მარტო მეფე. მეფე გიორგი მოურიდებლად წერდა ყაენს: „ირანი შეგვექმნა მდევნელად და მტერად ჩვენდა; დაივიწყა სისხლი მეფეთა ქართველთა ჯარისა დაღვრილისა ავგანისტანსა. ირანმან აღწყვიტა ერი და გააოხრა სამეფო ჩვენი. ირანმა აღძ-

---

11 ვ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედ., თბილისი, 1936, გვ. 175.

რა ლეკი ასაკლებად ჩვენდა. ერთი და იგივე სარწმუნოება რუსთა ხელმწიფეთა თანა, მაიმედებს ქვეყანისა დამშვიდებასა. დარღვევა მათთან კავშირისა, არ შემიძლიან და ვერცა შევირცხვენ პირსა და ვერც გავტეხავ სიტყვასა მიცემულსა. ყოველნივე სასულიერონი და საერონი გვამნი თხოულობენ რუსეთისა ხელმწიფისა მფარველობასა"[15]. ამრიგად, „მეფემან გიორგიმ აღირჩივა რუსეთის იპერატორისა საფარველი ერთსარწმუნოებისა გამო, ვიდრე შევრდომობა მახმადიანთა ქვეშე"[16]. ხელმწიფე იმპერატორი ნასიამოვნები იყო გიორგის ერთგულებით, მეფე გიორგის ძმებსა და სამეფოს ცნობილ თავადებსაც გამოუგზავნა თავისი წყალობა. ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა სამეფო კარის თითქმის ყველა წარმომადგენელი დავით ბატონიშვილის მეფის მემკვიდრედ გამოცხადებას ცუდად შეხვდა. ისინი ადრე, როგორც აღინიშნა, თვით გიორგის გამეფების წინააღმდეგნი იყვნენ. დავითის მემკვიდრედ გამოცხადებამ სულ აღაშფოთა. გიორგის გამეფების პირველი წინააღმდეგი დარეჯან დედოფალი იყო, რომელსაც არ უყვარდა თავისი გერი და ღვიძლი შვილებისათვის უნდოდა სამეფო ტახტის გადაცემა.

გიორგის გამეფებისას, როგორც აღინიშნა, დარეჯან დედოფლის მეშვეობით ბატონიშვილებმა აშკარა შფოთი ატეხეს, თუმცა მალე შეეგუენ შექმნილ ვითარებას იმ ვარაუდით, რომ გიორგი სნეული იყო და მალე დარეჯანის საყვარელი შვილი იულონი გამეფდებოდა. დარეჯანს სამეფოს მმართველობის თავის ხელში ჩაგდების სურვილიც ჰქონდა. ერთი სიტყვით, მისი დაუოკებელი სურვილი იყო ან იულონი გამეფებულიყო, ან თვითონ ემართა სამეფო საქმეები[17]. მეფე ერეკლეს დასაფლავების მოახლოებისას (მეფე ერეკლე გარდაცვალებიდან ექვსი კვირის შემდეგ დაასაფლავეს) დარეჯანმა დაინახა, რომ გიორგი სასტიკი წინააღმდეგი იყო მისი მოქმედებისა და თანაც თავისი ხელისუფლების განმტკიცებაზე ზრუნავდა, ამიტომ მმართველობის თანამონაწილეობა ისურვა. გიორგი XII-ს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა ბატონიშვილებშიც და მოსახლეობაშიც. ზოგიერთებს მართლაც სურდათ დარეჯანის ხელში ენახათ მმართველობა. ბრძოლისუნარიანი ალექსანდრე ბატონიშვილიც გიორგის გამეფების წინააღმდეგი იყო. მეფე გიორგიმ ეს იცოდა და ჯერ მოლაპარაკებით, შემდეგ კი დასჯით უნდოდა მისი ურჩობის აღკვეთა. ალექსანდრეს შეეშინდა ძმისა. ამიტომ მეფე ერეკლეს დასაფლავებას მცხეთის

[15] პლატონ იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

[16] ბაგრატ ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

[17] П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, ნაწ. III, გვ. 473, შეად. პ. იოსელიანი დასახელებული ნაშრომი, გვ. 220.

საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მეთორმეტე

ტაძარში ჩუმად დაესწრო, რომ გიორგის არ ენახა და არ დაესაჯა. ტაძარში საიდუმლოდ მოსული ალექსანდრე ბატონიშვილი დაკრძალვის შემდეგ საიდუმლოდვე გაიპარა.

მამის — მეფე ერეკლეს—დასაფლავების შემდეგ გიორგი XII თელავში დაბრუნდა კახეთის თავად-აზნაურებთან ერთად. მეფე გიორგიმ მათგან ერთგულება მოითხოვა. ნაწილმა თანხმობა განაცხადა, ქართლელების მსგავსად, მეტმა ნაწილმა კი გიორგის ერთგულებაზე უარი თქვა[18] და დარეჯანის გამეფება ისურვა[19]. ყოველივე ეს თელავის სასახლეში ხდებოდა. მეფე გიორგიმ, დაინახა რა კახთა ორგულობა, ბრძანა ყველანი ერთ დარბაზში შეეყვანათ. ყარაული დაუყენა და დაემუქრა, ვინც ერთგულებას არ განაცხადებდა. მეფე გიორგის მუქარამ თავისი გაიტანა, შეშინებულებმა ერთგულება აღიარეს. მღვდელმთავრებს ებრძანათ ყველა მოეყვანათ ჯვარზე დასაფიცებლად. ყველას შეეშინდა სიკვდილით დასჯისა, ჯვარზე შეჰფიცეს ერთგულება და მორჩილება აღიარეს[20]. მეორე დღეს თელავის სასახლეში გიორგი XII გამოცხადდა მეფედ. დარეჯანმა, ბატონიშვილებმა და თავადებმა ხელი მოაწერეს, რომ გიორგი XII გამეფდა ერეკლე II-ის ანდერძის თანახმად. ხელი მოაწერა თვით გიორგიმაც და ხელმოწერილი საბუთი დარეჯანს გადასცა. დარეჯან დედოფალსა და მეფე გიორგის შორის ისედაც მტრულ ურთიერთობას ერეკლეს მდივანბეგი თავადი ჩოლოყაშვილი უფრო აღვივებდა თავისი მოქმედებითა და ენის მიტან-მოტანით. როცა მეფემ გაიგო თავად ჩოლოყაშვილის ორგულობა და ვერაგული საქციელი, იგი გააძევა თავის სოფელში.

დედოფალი დარეჯანი და მეფე გიორგი შერიგდნენ. დარეჯანმა მეფეს საგვარეულოს სამემკვიდრეო ხატები გაუგზავნა ძვირფასი მორთულობით, ძვირფას საგნებთან ერთად. მათ შორის იყო დიდი ალმასი, რომელსაც აღა-მაჰმად-ხანი ითხოვდა თბილისში ლაშქრობისას, და საკმაოდ მსხვილი მარგალიტი. გიორგი XII ზედმეტად ღვთისმოშიში იყო და, ალბათ, ამიტომ მხოლოდ ხატები დაიტოვა. დანარჩენი ძვირფასეულობა დარეჯანს დაუბრუნა შესანახად, როგორც ყველაზე უფროსს მეფის სასახლეში.

ბატონიშვილები და თავად-აზნაურობა, ერთი შეხედვით, დიდად მოხარულნი იყვნენ ამ ორი პიროვნების შერიგებით. შერიგებას არ აპირებდა მხოლოდ ალექსანდრე ბატონიშვილი. მეფე გიორგიმ დარე-

---

[18] П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, ნაწ. II, გვ. 437.

[19] იქვე, გვ. 443.

[20] იქვე.

ჯანს სთხოვა ალექსანდრეს შემორიგება. დარეჯანმა შეასრულა მეფის წადილი და ალექსანდრეს მეფესთან შერიგება სთხოვა. ალექსანდრე მოვიდა ბორჩალოდან თავისი ერთგულებით გარშემორტყმული. მან დედამისს — დარეჯანს — განუცხადა, რომ არ შეურიგდება მეფეს, ვინაიდან იცის, რომ იგი არ შეასრულებს მშობელთა ანდერძს მემკვიდრეობის შესახებ. ალექსანდრე ისე წავიდა, რომ მეფე გიორგი არც კი უნახავს. მეფეს ეწყინა და თავისი შვილი იოანე დაადევნა ალექსანდრეს, მაგრამ უკანასკნელმა შეიტყო და გზა შეიცვალა. ჯერ ახალციხეში გადავიდა, შემდეგ იმერეთს მიაშურა.

ალექსანდრეს ჯიუტობა და სხვა ბატონიშვილთა კვლავ მტრული საქმიანობა მეფემ დარეჯანს მიაწერა და 1800 წლის 30 აპრილს ჩამოართვა კუთვნილი სოფლები, რომლებიც მეუღლეს მარიამ დედოფალს ვადასცა. დარეჯან დედოფალს მეფის ბრძანებით 822 მან. და 50 კაპ. სურსათ-სანოვაგე მიუჩინეს თვეში. მეფემ ალექსანდრესაც შეუმცირა შეძოსავალი. დაიწყო ძმების შევიწროებაც. რომელთა უკმაყოფილება და მეფისადმი მტრობა აშკარა გახდა. ბატონიშვილების უკმაყოფილებას იმჟამად საფუძველი ჰქონდა. მეფე ერეკლეს ანდერძით, გიორგი XII-ის შემდეგ, ამ უკანასკნელის ძმები უნდა გამეფებულიყვნენ უფროსობის მიხედვით და არა დავით ბატონიშვილი. დავით ბატონიშვილის მეფის მემკვიდრედ გამოცხადება გიორგი XII-ის მიერ იყო განზრახული, რაც ხელმწიფე-იმპერატორმა პავლე პირველმაც დაადასტურა. „[მეფე ერეკლეს] ანდერძითა ამით უნდა მისცემოდა მეფობა პირველად იულონსა, მერეთ ვახტანგსა, მერეთ მირიანსა, მერეთ ალექსანდრეს, მერეთ უკანასკნელსა შვილსა ირაკლისსა ფარნაოზს. — შემდეგ ამათსა უნდა გარდასულიყო გვირგვინი მეფობისა მეფისა გიორგისა შვილებზედ, ე. ი. პირველად უნდა მისცემოდა მეფობა დავითს, მერე იოანეს, მერე ბაგრატს, მერეთ თეიმურაზს, მერეთ მიხაილს და სხვათა. შემდეგ ამათსა მეფობა უნდა გარდასრულიყო იულონისა შვილზედ, მერეთ ვახტანგისა შვილზედ და სხვ“[21].

ამრიგად, მეფე გიორგიმ ერთპიროვნულად დაარღვია საქვეყნოდ არსებული წესი და მამამისის — ერეკლე მეორის—მიერ დატოვებული ანდერძიც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი XII-ს თავისი შვილი დავითი რომ არ ეღიარებინა მემკვიდრედ, ერეკლეს შვილებს შორის მაინც უთანხმოება მოხდებოდა, ვინაიდან სამეფო ტახტი ერთი იყო და მის დაკავებას ცდილობდნენ: იულონი, ვახტანგი, ალექსანდრე, თვით დედოფალი დარეჯანი[22] და სხვებიც. ბატონიშვილების უკმა-

---

[21] პლატონ იოსელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 222—223.

[22] იქვე.

ყოფილებას დედოფალ დარეჯანის წაქეზებაც ერთვოდა და ყველანი მეფის წინააღმდეგ ირაზმებოდნენ. მალე, დარეჯანის თაოსნობით, ბატონიშვილებმა გიორგის საწინააღმდეგო აშკარა მტრული საქმიანობა წამოიწყეს, ძირითადად, დავითის მეფის მემკვიდრედ გამოცხადების გამო, თვითონ დედოფალმა დარეჯანმა კი თბილისიდან გაპარვა განიზრახა[23], მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ამჯერად დარეჯანთან ერთად მისი საყვარელი შვილი—ვახტანგი—იყო მთავარი მოქმედი პირი. ბაგრატ ბატონიშვილის გადმოცემით, „მსმენელთა ძმათა მეფისა გიორგისათა აღადგინეს შფოთი მემკვიდრე ჰყოფისათვის დავითისა, ვინაიდგან მეფესა ირაკლის განეწესებინა უჯეროდ, რათა ძმათა ზედა ჩამოსულიყო მეფობაჲ ბირებითა დედისა მათისა დარეჯან დედოფლის გამო, რომელი იყო დედის ნაცვალი მეფისა გიორგისა და სძულობდა გერსა თვისსა და სდევნიდა მიმდგომთა მისსათა თავადთა და აზნაურთა და იყო მარადის შფოთსა და შეწუხებას შინა დროსვე ბატონისშვილობაშივე, ბირებითა ძისა მისისა ვახტანგისათა, რომელიცა უყვარდა მას ფ-დ, და სდევნიდა ძმასა თვისსა გიორგის ფრიად“[24].

ალექსანდრე ბატონიშვილიც მტრად გაუხდა მეფე გიორგის. მტრობის ძირითადი მიზეზი მეფე გიორგის რუსეთისადმი ურყევი ერთგულება იყო და, რა თქმა უნდა, დავითის მემკვიდრეც გამოცხადებაც აღელვებდა. ამასთანავე, დედოფალი დარეჯანი აქეზებდა ალექსანდრეს, რომ თუ გიორგის არ ჩამოაგდებდნენ ტახტიდან, მის მემკვიდრედ მაინც იულონი ეღიარებინათ. ალექსანდრე ბატონიშვილია გიორგისადმი მტრობა იქამდის მივიდა, რომ ალექსანდრემ ომარხანის დახმარებით თბილისში შემოჭრა განიზრახა, რათა აეღო თბილისი და ჩამოეგდო ტახტიდან უკვე სარეცელს მიჯაჭვული, წყალმანკით დაავადებული მეფე გიორგი. მეფემ დროზე შეიტყო ალექსანდრესა და ომარხანის გადაწყვეტილება. საჩქაროდ დაავალა ბაგრატ ბატონიშვილს კახთა ლაშქრის შეყრა და უფროს ძმასთან იოანესთან შეერთება, რომელსაც, მეფის მითითებით, თბილისიდან რუსთა ორი ბატალიონი ახლდა, ორი ზარბაზნით. ბატალიონებთან იყვნენ გენ.-მაიორი ლაზარევი და გენერალი გულიაკოვი. როცა გენ. ლაზარევი 1800 წლის 30 ოქტომბერს ქიზიყში მივიდა ჯარით, იქ ბაგრატ ბატონიშვილი დახვდა 10 ათასი მოლაშქრით. „მსმენელმან ამისმან მეფემან მიუწერა ძესა თვისსა ბაგრატს, ზანიშინსა კახეთისასა, რათა შეკრიბოს კახთა მხედრობაჲ და შეუერთდეს უფროსსა ძმასა თვისსა იოვა-

---

[23] აქტები, ტომი I, გვ. 108, საბუთი № 25.

[24] ბაგრატ ბატონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 72.

ნეს ფელდციხმესტრსა, ე. ი. თოფჩიბაშსა, რომელსაცა წარატანა თანა ტფილისით ორნი ბატალიონნი რუსთა მხედრობისა და ორნი ზარბაზანიცა საქართველოს არტირელისა წინაძღომითა ღიანარალ ლაზაროვისა და ღიანარალ გულაკოვისთა. ამათ მისრულს ქიზიყს შეეყარა მეფის-ძე ბაგრატცა მხედრობითა თვისითა ზემო კახითა, თუშ-ფშავ-ხევსურითა"[25]. ქართველთა მრავალრიცხოვან ლაშქარს რუსთა ორი ბატალიონი ახლდა თავიანთი გენერლებით. ალექსანდრე ბატონიშვილს ელდა ეცა ძლიერი მოწინააღმდეგის დანახვაზე, მაგრამ უბრძოლველად ხაინც არ გაბრუნდა უკან. ბრძოლა 7 ნოემბერს მოხდა, ომარ-ხანი დამარცხდა. ბატონიშვილებმა ბაგრატმა და იოანემ მტრის მრავალი დროშა იგდეს ხელთ და მეფე გიორგის მიუტანეს. გასარებულმა მეფემ დროშები ხელმწიფე-იმპერატორს გაუგზავნა და თანაც აუწყა ბატონიშვილების გმირობა და მტრის დამარცხება. იმპერატორმა პავლემ დიდი სიხარულით შეიტყო მომხდარი ამბავი და ბაგრატ და იოანე ბატონიშვილებს ჯილდოები გამოუგზავნა. რუსეთისა და მეფე გიორგის დაუძინებელი მტრის ალექსანდრე ბატონიშვილის დამარცხების შემდეგ ქვეყანაში მშვიდობიანობა უნდა დამყარებულიყო.

ცოტა ხანს, მართლაც, სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ ეს მოჩვენებითი აღმოჩნდა. მეფე გიორგის ძმები ვერ ეგუებოდნენ დავით ბატონიშვილის მეფის მემკვიდრედ აღიარებას. იულონმა, ვახტანგმა და ფარნაოზმა მორიგი არეულობის ატეხა განიზრახეს. „ხოლო წელსა 1800, — წერს ბაგრატ ბატონიშვილი — კვალად აღადგინეს შფოთი ძმათა მეფისათა იულონმა, ვახტანგმა და ფარნაოზმა და მოიკრიბნეს რაოდენნიმე მთის კაცნი არაგველნი და ლიახველნი და ქართველ თავადნი, და მოვიდნენ ავჭალას და დაუწყეს კირთება სნეულსა ძმასა თვისსა გიორგის. გარნა მეფემან მსმენელმან ამისმან ინება დამყუდროება მათი და ვერ უძლო. ამისმან მხილველმან მეფემან გიორგიმ განიზრახა, რათა არა იქმნას უმეტესი სისხლის ღვრაჲ და შფოთი ძმათა და ძეთა თვისთა შორის. იძულებულმან ამისმან მიუწერა მინისტრსა თვისსა ჭავჭავაძე გარსევანს კარსა ზედ როსისასა, რათა ითხოვოს იპერატორისაგან სიცოცხლესავე თვისა მეფისასა მისცეს მეფობა ძესა მისსა დავითსა და დაცხროს შფოთიცა ძმათა შორის თვისთა და ჰყვეს ჯარიცა როსეთისა დავითს, რომელი იმყოფებოდა ქართლს შინა მფარველად მისსა"[26].

მეფე დარწმუნებული იყო, რომ პეტერბურგიდან მალე მოვიდოდ›

---

[25] ბაგრატ ბატონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 73—74.

[26] იქვე, გვ. 275—275.

ხელმწიფე-იმპერატორის თანხმობა და ბრძანებაც, რომ დავით ბატონიშვილი სამეფო ტახტს დაიკავებდა. თითქმის ყველასაგან მოძულებულსა და სნეულებისაგან განწირულ მეფეს ეს უკანასკნელი წადილიც არ აუსრულდა.

გენ. ლაზარევს ამ დროს მიღებული ჰქონდა პავლე იმპერატორის ბრძანება, რომ გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე არავინ აეყვანათ.

მეფე ერეკლეს ძეებს დავითის გამეფების საწინააღმდეგოდ განწყობილი გიორგი XII-ის შვილებიც შეუერთდნენ. არეულობამ მთელი სამეფო სახლი მოიცვა, რომელსაც ისევ დედოფალი დარეჯანი ხელმძღვანელობდა. ტახტისათვის ბრძოლა ისე გამწვავდა, რომ ბატონიშვილთა დამშვიდებისათვის არავითარი გზა არ არსებობდა, გარდა რუსეთის ჩარევისა. საქართველოს სამეფო კარზე გამოგზავნილი კოვალენსკი და გენერალი ლაზარევიც თავიანთ საქმიანობას სამეფო ტახტის გაუქმებისაკენ წარმართავდნენ. განსაკუთრებით გენერალი ლაზარევი[27] იყო დაინტერესებული ტახტის გაუქმებით.

ლაზარევს თავისი განდიდებისათვის უნდოდა საქართველოში სამეფო ტახტის გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება, რითაც დიდ სამსახურს გაუწევდა მეფის რუსეთს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს თავიდან არ იყო მეფის რუსეთის მთავრობისაგან ნაკარნახევი. ლაზარევი წინ უსწრებდა თავისი მოქმედებით მეფის რუსეთის მომავალ გეგმებს საქართველოში. რუსეთის მთავრობას იმ პერიოდში არ ჰქონდა დაგეგმილი საქართველოში სამეფო ტახტის გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება. ლაზარევმა ისარ-

---

[27] Н. К. Имеретинский, Багратиды в России, ч. I, с. 36. ლაზარევი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა. მიუხედავად იმისა, რომ მეფე გიორგი ნდობას უცხადებდა და ყოველნაირად ცდილობდა რუსეთის ინტერესების დაცვას, იგი მაინც ყველაფრის უკმაყოფილო იყო. პ. იოსელიანი სამართლიანად შენიშნავდა: „მემარხულე მეფე ურმობითა უგზავნითა ჯარსა მართლმადიდებელსა დოშსა, ზურვიელსა და ღვინოსა; ლაზარევი ყოველსავე იწუნებდა“. მეფე გიორგი ყოველნაირად ცდილობდა არ აჰყოლოდა ურჩსა და პატივმოყვარე გენერალს და სხვებსაც აფრთხილებდა: „არა რაჲ აწყენონ გულფიცხელსა, გარნა საჭიროსა ღენერალსა: არამც წყენითა მისითა, ვაწყენინოთ ლინიაზედ ქნორინგსა და ამისით თვით უმაღლესსა იმპერატორისა კარსა“. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგის გარდაცვალების შემდეგაც არ შეუცვლია ლაზარევს საქართველოსა და ქართველებისადმი მტრული დამოკიდებულება. მან უკმაყოფილება და ზიზღი დაიმსახურა არა მარტო მოწინავე რუსეთის ორიენტაციის წარმომადგენლებისა, არამედ თვით ტახტის მემკვიდრის დავითისაც. ლაზარევი სძაგდა მეფის ძეს დავითს და არც ლაზარევს უყვარდა დავითი, მოძულე მისი და მაყვედრებელი მრავლად უშვერთა რომელთამე საქმეთათვის.

იხ. პ. იოსელიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 119. ლაზარევი იყო ბაგრატიონთა რუსეთში გასახლების ინიციატორი და შეეწირა კიდეც ამ საქმეს.

გებლა ბატონიშვილების მიერ გამოწვეული არეულობით და გიორგი XII-ის ჯანმრთელობის გაუარესებისთანავე გააქტიურა სამეფოს გაუქმებისაკენ მიმართული თავისი მოქმედება.

1800 წლის დეკემბრის მიწურულს განუკურნებელი სენით დაავადებული მეფე გიორგის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა. ბატონიშვილებმაც და გავლენიანმა თავადებმაც იცოდნენ სამეფო ტახტის მფლობელის უბედურების მოახლოება. ყველა მათგანს თავისი აზრი ჰქონდა ტახტის მომავალ ბედზე. ამ საკითხის შესახებ სჯა-ბაასისა და ურთიერთ აზრის გასაზიარებლად ყველა ცდილობდა თავშეყრას, გენერალ-მაიორი ლაზარევი კი ყოველგვარი თავშეყრის წინააღმდეგი იყო იმ ხანად. სნეულებისაგან განკურნების იმედგადაწუეტილი მეფე ამქვეყნიურ საქმეებზე აღარ ფიქრობდა. კათალიკოს ანტონს სთხოვა წასულიყო სიონის ეკლესიაში და წმინდა იოანე მანგლელის საფლავი და ლუსკუმა (ქვაკუბო) გაეხსნა. „22 დეკემბერს მიბრძანდა სიონისა ეკლესიასა კათოლიკოსი ანტონი და თანა დასწრებითა იუსტინე მთავარ- ეპისკოპოსისა, იოანე ბოდბელისა მიტროპოლიტისა და სტეფანე რუსთველისა იწყეს პარაკლისისა გარდახდა. შეიკრიბენ დროსა ამას მუნ სიმრავლე ერისა, კაცთა და ქალთა. მუნ დაესწრნენ მარიამ და მეფის ძენი და მეფის ასულნი და მეფის რძალნი"[28]. პარაკლისისათვის იმდენად ბევრმა ხალხმა შეიყარა თავი, რომ ქალაქში ხმა გავარდა პარაკლისზე დასასწრებად კი არა, მეფე გიორგის ძეს — დავითს უნდა შეჰფიცონ, როგორც მეფესო. ლაზარევმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი, სასწრაფოდ გაეშურა ეკლესიისაკენ, მაგრამ როცა გახსნილი საფლავი და კუბო დაინახა, დამშვიდდა, ეჭვები გაუქარწყლდა და საჩქაროდ პარაკლისი დატოვა.

მეორე დღეს, დილით, დედოფალი მარიამი ავადმყოფ მეუღლესთან შევიდა. არ მოეწონა მისი სახის გამომეტყველება და ცრემლმორეულმა, შეწუხებული ხმით მიმართა მეფეს: „ბატონო, რას უბრძანებთ შვილებსა ამათ? ვის აბარებთ, თუ გვეწვია უბედურება რაჲმე? დავით უნდა იყოს ამათი პატრონი? ანუ თქვენი ძმები? ანუ დედოფალი (დარეჯან — არღა ახსენა სახელით...). ბატონო დედოფალო, გაიგონე რა გიამბო. მე აუჩენ მათ პატრონსა დიდსა და ძლიერსა, — უბრძანა პასუხად დედოფალსა ცოლსა თვისსა"[29]. მეფე გიორგის დღეები დათვლილი იყო. ისედაც ცუდად გრძნობდა თავს, ამიტომ სასწრაფოდ მოითხოვა: „ბარათაშვილო გიორგი! მომგვარე ღენერალი". ბრძანება სწრაფად შეასრულეს. გენერალი სასწრაფოდ გამოცხადდა მასთან. მეფე გიორგიმ სთხოვა გენერალს, რომ მისი ავადმყოფობის და, საერთოდ, არსებული

---

28 პლატონ იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

29 იქვე, გვ. 208—209.

ვითარების შესახებ ეცნობებინა ხელმწიფე-იმპერატორისათვის... „და ესეცა, რომელ: ჩამიბარებია ანდერძად ცოლშვილი ჩემი და საქართველო. — ეხლავ დასწერეთ წერილი ჩემ მაგიერ მოკლე! — დაუწერეს წერილი მოკლე და მოაწერა ხელი და დასვა ბეჭედი თვისი“.[30] ნათელია, რომ თვითონ მეფე გიორგი იყო რუსეთის მფარველობის მომხრე. ვინაიდან მხოლოდ რუსეთიდან ელოდა დახმარებასა და შველას. ასეთივე აზრის იყო ბევრი თავად-აზნაურიც, მეტწილად ისინი, ვინც დავითის გამეფებას ეწინააღმდეგებოდნენ.

26 დეკემბერს სარდალ იოანე ორბელიანის სახლში 40-მდე თავადი და აზნაური შეიყარა. სარდალი იოანე ორბელიანი დავით ბატონიშვილის გამეფების წინააღმდეგი იყო, ამიტომაც თავშეყრილ თავად-აზნაურებს შეახსენა: „ბატონი მეფე უკურნებელითა სენითა მწოლარე, დღეს ანუ ხვალ მიგვეცვალების. მემკვიდრე მისი დავით გვექადის მეცა და მუხრანის-ბატონსა შეურაცხებით განდევნასა... იგივე დავით ექადის ცუდად დედინაცვალსა თვისსა, დედოფალსა მარიამს და იგიცა მწუხარე, დნება ვითარცა სანთელი და არ იცის რა ჰქმნას. — მგონია დამშვიდებისათვის ქვეყნისა და ჩვენისა საკუთარისა პატივისა დასაცველად, ვისურვოთ — დაშთეს რუსეთისა მეფობა: ნურღა გვინდა მეფედ დავით“[31]. იოანე ორბელიანის თაოსნობით იქ თავშეყრილმა თავადებმა და აზნაურებმა დავითის გამეფებას ტახტის გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება აირჩიეს. სოლომონ ლიონიძემ, რომელიც სამეფო სახლისა და ტახტის კვლავ შენარჩუნების მომხრე იყო, გაიგო თავად-აზნაურთა წადილი და დავით ბატონიშვილს მოახსენა არსებული ვითარების შესახებ. დავითი აღელვებული იყო და თითქმის არ უსმენდა სოლომონ ლიონიძეს. იგი კვლავ სარდალ იოანე ორბელიანის, მუხრან-ბატონისა და სხვათა დასჯას გაიძახოდა. დავით ბატონიშვილს თითქმის ყველა განუდგა.

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII. ლაზარევმა, დავითის მემკვიდრედ დამტკიცებამდე, მმართველობა ჩააბარა სამეულს, რომელშიც შედიოდნენ ბატონიშვილი იოანე, ეგნატე თუმანიშვილი და თვითონ — ლაზარევი.

სამეფო ტახტის დაკავება, როგორც აღინიშნა, რამდენიმე ბატონიშვილის ოცნება იყო, მაგრამ წინასწარ შერჩეული და მეფე გიორგის მიერ მემკვიდრედ აღიარებული დავით ბატონიშვილი „გამეფდა“ რუსეთის წარმომადგენელთა არაოფიციალური თანხმობით. „დასვეს

---

30 პლატონ იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

31 იქვე, გვ. 210.

ძე მისი (გიორგის — მ. გ.) დავით მეფედ ქართველთა თანხმობითა რუსთა ღიანარალთათ, რომელნიცა მყოფ იყვნენ მუნ"[32]. მეფე გიორგის გარდაცვალება ისე არ უგლოვიათ ბატონიშვილებსა და ზემოხსენებულ თავადებსა და აზნაურებს, როგორც დავით ბატონიშვილის გამეფება იგლოვეს. მალე აშკარა წინააღმდეგობის გზას დაადგნენ, რათა ჩამოეგდოთ ახლად გამეფებული დავითი და თავად დაპატრონებოდნენ სამეფო ტახტს. ბრძოლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მთელი საქართველო და, კერძოდ, თბილისი არეულობამ მოიცვა. „უთანხმოებისა დროთა" ამათ ქალაქი თფილისი ღელავდა. გაჩნდნენ მეამბოხენი, რომელთაცა ზოგთა სურდათ რუსნი, ზოგთა უნებდათ მემკვიდრე დავით, ზოგთა არცა იულონ და არცა სხვანი, ზოგთა უნებდათ იქმნეს აღრჩევით მეფე მიუხედველად პირმშოობისა; და ვიეთამდე დასაწყნარებლად შფოთისა სურდათ მეფედ დედოფალი დარეჯანი"[33].

ამ არეულობაში გამოჩნდნენ ისეთი ცნობილი პირებიც, რომლებმაც რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ღალატი მოინდომეს. თანაც თავიანთი წადილი დავით ბატონიშვილს განუცხადეს. სხვებისაგან წაქეზებული სარდალი დავით ბატონიშვილს არიგებდა: „ბატონიშვილო და ბიძავ! ნუ ჰკარგავ მეფობასა, მიბძანე და გამოუცხადებ რუსისა აქა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არა იქმს რუსისა ღენერალი, ადვილია მისი აქედამ განდევნა. დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოთ მეფობითი სახელი ჩვენი. როგორც გვიმეფნია, ისევე ვიმეფოთ"[34]. დავითმა მოუსმინა სარდალს, მაგრამ გულშიც არ გაუვლია რუსეთისადმი ღალატი. იგი მამამისივით ერთგული იყო რუსეთთან დადებული ხელშეკრულებისა. ამიტომ იყო, რომ სარდალ იოანეს ჩანაფიქრი დავითმა გენერალ ლაზარევსა და კოვალენსკის მოახსენა. ლაზარევმა და კოვალენსკიმ სარდალი გამოიძახეს და ჰკითხეს — მართლა შესთავაზა თუ არა მან დავით ბატონიშვილს რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედება. სარდალმა არ დამალა და განუცხადა: „მე მოვახსენე დავითს ჩემი რჩევა დასაცველად მეფობისა, ნიშნად ერთგულობისა, ვითარცა ფიცითა შეკრული მეფეთათვის ქართველთა. რადგანაც არ სურს მას დავითის მეფობა, როდესაც მივსცემ ფიცსა რუსეთისა იმპერატორსა, ვექმნები ერთგული და მოვკვდები მისთვის ერთგულებაში"[35].

ლაზარევსა და კოვალენსკის მოეწონათ იოანე სარდლის დაუფარა-

---

[32] ბაგრატ ბატონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

[33] პლატონ იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

[34] იქვე, გვ. 223—224.

[35] იქვე, გვ. 224.

ჟი პასუხი და დაუსჯელად გაუშვეს. დავით ბატონიშვილს ლაზარევის გულის მოგება უნდოდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. გენერალი ყოველ საქმეში დავითის მტერი და ორგული გამოდიოდა. იოანე სარდალი კი მას შემდეგ არავითარ საქმეში აღარ იღებდა მონაწილეობას.

ბატონიშვილებიდან ტახტის დაკავებისათვის ყველაზე აქტიურად იულონი იბრძოდა, რომელსაც ვახტანგი და მირიანი უჭერდნენ მხარს. იულონმა ძმების დახმარებით მოსახლეობის გადმობირებაც კი სცადა, რათა მათ მოეთხოვათ იულონი მეფედ. 1800 წლის 20 დეკემბერს ბატონიშვილებმა იულონმა, ვახტანგმა და მირიანმა გორის თავადებს, სამღვდელოებასა და ხალხს მოწოდებით მიმართეს, რათა იულონის მეფობისათვის დაეჭირათ მხარი. მოწოდებაში არასწორად აღნიშნავდნენ, რომ მათ ძალიან უყვარდათ, აფასებდნენ და ეხმარებოდნენ თავიანთ ძმას მეფე გიორგის; რომ მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით გიორგის გამეფებაში. არსწორს ბევრს წერდნენ, მაგრამ ერთს კი სწორად შენიშნავდნენ, რომ გიორგის შემდეგ იულონის გამეფება იყო ერეკლეს ანდერძი. ეს მოწოდება იმდენად საინტერესოა ტახტისათვის ბრძოლის წარმოსადგენად, რომ მიზანშეწონილად ვცანით მისი სრულად მოტანა:

„მის ბრწყინვალებას ამილახვარს ოთარს, ერთობით გორელებს, სამღუდელოთა, საეროთა, ქეთხუდათა და სხუათა, — მეფის ძეთა იულონისა, ვახტანგისა და მირიანის მიერ მრავალი პატივის-ცემით მოკითხვა ეუწყოსთ. მერე ეს განგეცხადოსთ თქვენ, რომ რაც ჩვენს ძმას მეფეს გიორგიზედ ჩვენ სიკეთები მიგვიძღვის, ხომ ყველა კარგად იცით; როდესაც სანატრელი ჩვენი ხელმწიფე მამა ჩვენი ბატონი მიიცვალა, მასუკან ან როგორ გავამეფეთ, ან როგორ ერთგულება და სიყვარული ვაჩვენეთ. და ან იმისი სამსახური და სიამოვნება, როგორც მოვინდომეთ; მაგრამ რაც იმის მაგიერი ავი საქმეები მოგვადგა იმისგან, ან ბატონს დედოფალს დედა ჩვენს და ან ჩვენ ძმებს, ეს ყველამ ხომ კარგად იცით, რომ ჩვენგან არცერთი არ დაითმობოდა. მაგრამ რადგანაც უფროსი ძმა იყო და მამის ჩვენის ანდერძითა ის იყო განწესებული პირველად, იმისთჳს დავითმინეთ და ახლა ჩვენის ცოდვით და უბედურებით ჩვენი ძმა მეფე გიორგი მიიცვალა. ახლა თქვენ ხომ იცით, მამა ჩვენი მეფე ერეკლე როგორ მოჰირნახულე მეფე იყო ან ოჯახზე და ან ქვეყანაზე: იმისიც მამა იყო და ჩვენიცა. როგორც იმისი დადებული ანდერძი არის, ხომ კარგად იცით, რომ ძმებზე უფროს-უმცროსობით ჩამორიგებით განაწესა მეფობა და ის განწესება ქვეყნისაგან დამტკიცებული არის. ახლა ის ჟამი მოვიდა, მეფის გიორგის შემდგომი ძმა ვინცა ვარ ამას წინათ იმის დიდებულებას რუსეთის იმპერატორსაც გამოუცხადეთ, აგრეთ-

ვე მესამზღვრე ვინც არის ისპეხტორი და აგრეთვე აქ მყოფთ იარანლებსაცა. ღუთის სამართლით და მამის ჩვენის განწესებით ამას გწერთ, როგორც მამის ჩვენის განწესებულს დამტკიცებულზედ ისე მტკიცედ უნდა დასდგეთ; თქვენგან მამის ჩვენის ერთგულებას გარდა, ეს იმედი გვაქვს, თუნდა ჩვენ არ შეგატყობინოთ, თითონ თქვენ განგვაღვიძებთ და თითონ თქვენ მოგვძებნით, ამიტომ რომ თქვენ სვინდისიანს კაცად გიცნობთ, რომ მეფის ირაკლის ანდერძის გატეხა ღმერთმან გაშოროსთ, და ახლა ის ჟამია, რომ ყოველი სრული ერთგულება და მორჩილება გვიჩვენოთ; თუ ჩვენი წინააღმდეგი გიჩვენოსთ ვინმე და ან დაგიბაროსთ, არ გაიგონოთ. ჩვენ გორს გარეშამო ვიქნებით და იქ შემოგვეყარენით; ამაზე კიდეც გევედრებით, კიდეც გირჩევთ და კიდეც გიბრძანებთ, რომ ეს ჩვენი სიტყვა გაიგონოთ, და თუ თქვენ ამას აქით ამ ჩვენს სიტყვას მამი-ჩვენის განწესებისებრ დაიჯერებთ, ჩვენც ამ სიკეთეს გიზამთ, — სხვას სიყვარულს და წყალობას გარდა, თქვენი ცოლ-შვილის გულისათვის ჩვენს სისხლს დავაქცევთ და თუ არ დაიჯერებთ, ამოწყვეტა იქნება და ჩვენგან ამ საქმის დათმობა არ იქნება, ჩვენ უვალონი ვიქნებით და თქვენ წინაშე ღუთისა მოვალენი დარჩებით; როგორც თქვენ გწერთ, ასე მთლად ქართლსა და კახეთსა ვწერთ. დეკემბრის კ(20) ქორონიკონს უპგ“[36].

იმავე დღეებში ბატონიშვილებმა—იულონმა, ვახტანგმა და ფარნაოზმა გენ. ლაზარევსაც მისწერეს წერილი, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ არც ერთი მათგანი არ იყო მმართველობაში შეყვანილი. იმავე წლის 30 დეკემბერს გენ. ლაზარევი პასუხობს წერილობით, რომ მათი შეყვანა მმართველობაში არ მოხდა იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი მაშინ თბილისში არ იყო[37]. იულონი გამეფებას ცდილობდა, ძმებიც განსაზღერულ პერიოდში მხარს უჭერდნენ. ლაზარევს სძულდა დავითი, მაგრამ ოფიციალურად დროებით მაინც მის მხარეზე იყო, ვინაიდან იგი იმპერატორის მიერ იყო მეფის მემკვიდრედ აღიარებული.

იულონის ცდას ბევრმა დაუჭირა მხარი, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ერეკლეს ანდერძს, რომლის მიხედვითაც იულონი უნდა გამეფებულიყო გიორგის სიკვდილის შემდეგ. თავიანთ კოლექტიურ მოთხოვნაში მათ იულონის გამეფების სურვილი გამოთქვეს. იმასაც კი წერდნენ, რომ მათ იულონის გარდა სხვა მეფე არ უნდოდათ. მოთხოვნაში ერეკლეს დიდ დამსახურებასაც უსვამდნენ ხაზს, რათა დაემ-

---

[36] აქტები, ტომი I, გვ. 228—229, საბუთი № 194.

[37] აქტები, ტომი, I, გვ. 229, საბუთი № 195.

ტკიცებინათ, რომ ერეკლეს შვილს მეტი უფლება ჰქონდა ტახტზე ასვლისა, ვიდრე გიორგი XII-ის შვილს.

ბატონიშვილების — იულონის, ვახტანგისა და მირიანის — გორელებისადმი მოწოდებამ სულ მალე სერიოზული გამოხმაურება ჰპოვა. ქართლის თავადებმა, კეთილშობილთა წარმომადგენლებმა და სხვებმა თავიანთი ერთობლივი თხოვნა გამოუგზავნეს ტფილისის მელიქს (ტფილისის გამგებელს), ყველა მოქალაქეს[38] და ქეთხუდს[39], რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული მეფე ერეკლე მეორის დამსახურება ქვეყნის, ერისა და თითოეული თავადის, აზნაურისა და, საერთოდ, ყველა ქართველის წინაშე. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ მეფე ერეკლე მეორის მიერ დატოვებული ანდერძის შესრულებას, რომლის ძალითაც იულონი უნდა გამეფებულიყო და დასძენდნენ, რომ მათ მხოლოდ და მხოლოდ იულონ ბატონიშვილი უნდათ მეფედ. ამასთანავე, აღნიშნავდნენ, რომ უკვე ინახულეს იულონი, შეჰფიცეს ერთგულება და მეფედაც აღიარეს. ამ საერთო მოთხოვნაში აღნიშნულია ისიც, რომ მათ ამგვარივე მოთხოვნა გაუგზავნეს კახეთისა და მცხეთის თავადებს, აზნაურებს, ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და სხვათა და სხვათა... მოთხოვნა ულტიმატუმის ტონითაა დაწერილი და ბოლოს ხაზგასმულია, რომ მხოლოდ იულონის მეფედ არჩევა დაამშვიდებს საქართველოს, მეტი არაფერიო.

„საერთოდ ქართლის ყველა თავადისაგან, კეთილშობილთაგან და სხვა პირთაგან მის ბრწყინვალებას ტფილისის მელიქს და მათი პირიანობით საერთოდ ყველა მოქალაქეს...

თანა-ძმანი ერნი სრულიად ქართლისანი, თავადნი, კეთილშობილნი და სხვანი მრავალს სიყვარულით აღვსილს მოკითხვას მოვახსენებთ. შემდგომად ესრეთ მოგხსენდესთ: ყველამ იცით დიდიდამ მცირემდინ, სანატრელს მეფეს ერეკლეს მთლად საქართველოზედ როგორი ღვაწლი და ამაგი აქვს, აგრეთვე თითოსა და თითოს ოჯახზედ და აგრეთვე თითოსა და თითოს კაცზედ; მრავალჯერ თავი გარდაუდვია ჩვენის გულისათვის, ვინცა ვართ იმასთან გაზდილნი და კაცად გამოყენებულნი ვართ; აგრეთვე რამდენი ტყვეობიდამ არიან დახსნილნი, ესეც კარგად იცით. ამრიგად, ღვაწლ-დადებულმან მეფემ ჩვენის ქვეყნის აურეველობისათვის ანდერძი დასწერა; იმაზედ ყველას ხელი

---

38 XV—XVIII სს. საქართველოში — ქალაქის, კერძოდ, თბილისის ვაჭარი ან ხელოსანი, რომელიც ეკუთვნოდა მეფეს, დედოფალს ან ეკლესიას. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბილისი, 1958, სვ. 994—995.

39 ქედხუდა (სპარსულად ქედხოდა) იგივეა რაც მამასახლისი, ქედხუდა — გადატ. „კაცი ხნიერი, საპატივცემულო, დარბაისელი". იქვე, ტ. VII, თბილისი, 1962, სვ. 283—284.

შოგვიწერია და ბეჭდით დაგვიმტკიცებია, — ესეც ხომ კარგად გახსომთ; თითონ მეფემ გიორგიმ ამის დასამტკიცებელი წერილი თავის ძმებს მოსცა და დღეს ხელში უჭირავთ: გვგონია, ესე ყველამ იცოდეთ. ჩვენის უბედურობით ახლა მეფე გიორგი რომ გარდაიცვალა, ნეტავი არ მოგვსულოდა და იმის ჭირის სანაცვლოდ შევქმნილიყავით, შაგრამ რადგან მოხდა, ღუთის ნება არის. ახლა ეს გვმართებს ჩვენა და ამაზედ ვდგევართ, რაც მეფეს ერეკლეს განუწესებია — სასიკვდილოთ თავი უნდა მივცეთ, — ჩვენგან იმ ანდერძზედ გარდასვლა არ იქნება. ჩვენ ერთად შევიყარენით, ბატონის-შვილს იულონს და ფარნაოზს ვიახელით. მეფის ერეკლეს დადებულის ანდერძით და თითონ მეფის გიორგის წერილით მეფობა ახლა ამისი არის; კიდეც შევფიცეთ, მეფეთაც აღვიარეთ, ჩვენზედ ამის გარდა სხვისა არცავისი მეფობა იქნება, ვერც მეფის ერეკლეს ანდერძს გადავალთ. მუჯალამა[40] გაგვიკეთებია, ხელმწიფისათვისაც მიგვირთმევია, ისპეხტორისათვისაც და ქალაქში მყოფ იარანალისათჯსაც. არც ამაზედ ხელის აღება იქნება, — თქვენ ხომ ჩვენი ძმანი ხართ და არც ერთმანეთის მოშორება იქნება. — მეფის ერეკლეს ღვაწლი და ამაგი მოიგონეთ, თქვენც იმის ანდერძის გაუტეხლობას შეუდექით: კიდეც გირჩევ ჩვენ. კიდევ გეველრებით და უეჭველი იმედიც ხომ ისე გვაქვს, თქვენში სხვამ ჰაზრმა არამ იმუშაოსრა, ჩვენთან უნდა შემოგვერთდეთ თქვენიდამ უფროს-უფროსნი კაცნი რომელნიც არიან, — აქ იხილეთ მეფის ერეკლეს დადებული ანდერძი და აღასრულევით. დღევანდლამდინ სისხლი ერთად და ერთმანეთისათვის დაგვიქცევია, ახლაც ისე უნდა ვქნათ; შეფის ერეკლეს ჩვენზედ ღვაწლი და ამაგი იმისის ანდერძის მტკიცედ აღსრულებითა და გარდაუსვლელობითა უნდა გარდვიხადოთ. ჩვენ თითო ამ გვარი წიგნი კახეთსათვის და ცხეთის თავადთა, აზნაურთა, ეფისკოფოსთა, ღუდელთა და იმ მხრისათვის ყველგან მიგვიწერია; თქვენც ამ საქმის დამტკიცებისათვის მუჯალამა უნდა გააკეთოთ ხელმწიფესთან მისართმევიც, ისპეხტორსაც მისწეროთ და ქალაქს მყოფს იარანალსაც ამ საქმის შედგომა გამოუცხადოთ. აგრევე კახეთის ხალხთ — თავადთ, აზნაურთ, ეპისკოპოზთ და სრულად ერთ მისწერეთ ამ ჩვენის წიგნის მსგავსი წიგნი, რომ ჩვენ ძმანი ვართ მეფის ერეკლეს სისხლით შეერთებულნი, ყველანი ერთ-ხმა უნდა ვიყვნეთ ამაზედ ჩვენი თავი სასიკვდილოდ უნდა გარდავდოთ და მეფის ერეკლეს დადებული ანდერძი არავის გავატეხინოთ; ჩვენის ქვეყნის დამშ-

[40] მუჯალამა აღმოსავლური ტერმინია, აღნიშნავს საერთო მოთხოვნას, თხოვნას. გარდა წინამდებარე საბუთისა, იგივე ტერმინი მსგავსი მნიშვნელობით მოტანილი აქვს პლ. იოსელიანს თავის წიგნში — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", თბილისი, 1936, გვ. 127.

ვიდება და აურეველობაც ამით იქნება და სამღთოსა და კაცობრივის რჯულის აღსრულებაც. ჩვენ ეს წიგნი მოგვიწერია, რომელმაც პირველად ნახოთ, თუ დამალოთ და ვისთანაც მოგვიწერია, ყველამ არ გამოუცხადოთ, — შეჩვენებულნი იყავით და ყოელად წმინდის სამებისაგან სულით და ხორცით დაწყეველილნი. იანვრის გ(3), ქორონიკონს უპთ (1801)"[41].

საბუთს აზის თორმეტი ბეჭედი და ხელმოწერილია თავად-აზნაურთაგან.

ტფილისის მელიქისადმი გამოგზავნილი ქართლელთა მოთხოვნა მალე შეიტყო გენ. ლაზარევმა, მან ეს ამბავი ისეთ სერიოზულ მოვლენად ჩათვალა, რომ 8 იანვარს საქართველოს პატრიარქ ანტონს მისწერა წერილი: „ქართლის სამღვდელოება ბატონიშვილ იულონის გამეფებას მოითხოვს, რის გამოც თავს ვალდებულად ვთვლი გაცნობოთ და გთხოვოთ, რომ შემდგომში ასეთი მოთხოვნა ქართლისა და კახეთის ხალხმა აღარ გაბედოს. ასეთი საქმიანობა ეწინააღმდეგება ხელმწიფე იმპერატორის ნებას, რის შესახებაც მე გამოვუცხადე როგორც ბატონიშვილებს, ისე ქართლისა და კახეთის მოსახლეობას"[42].

იულონ ბატონიშვილი არ ერიდებოდა არც მოწინააღმდეგეთა გაღიზიანებას და არც დავით ბატონიშვილის მტრობას. მან თავისი თავი გიორგი XII-ის შემდეგ მეფედ აღიარა, თუმცა სამეფო ტახტიდან შორს იყო და მის მეფობას არავინ არ დაუშვებდა, არც ლაზარევი და არც ხელმწიფე იმპერატორი, რომელთა ნებართვის გარეშეც ტახტის ღაკავება არავის შეეძლო. „მეფის ძე იულონ აღიარებდა თავსა თვისსა მეფედ შემდგომად ძმისა თვისისა გიორგისა. დარეჯან დედოფალი სიტყვითა და საქმითა და წერილითა რუსთა ღენერალთა თანა, მეცადინებდა მისსა დადგინებასა. ამისთვის მისწერა წერილნი ქალაქისა მელიქსა დარჩიას და ოთარ ამილახვარსა და კახეთსა, აღიარონ იგი მეფედ"[43]. დავით ბატონიშვილის მოწინააღმდეგე ყველა თავადი, აზნაური და გავლენიანი პირი იულონის გამეფებას მოითხოვდა. თავისი შომხრეების წაქეზებით იულონმა მცხეთაში მისვლა და მეფედ კურთხევა მოინდომა[44]. ეს გადაწყვეტილება ტახტის ხელში ჩასაგდებად დარეჯან დედოფლის უკანასკნელი ნაბიჯი იყო. იულონისა და თავად-აზნაურთა ეს განზრახვა ჯერ თავადმა თამაზ ორბელიანმა, ხოლო მეორე დღეს თვით დავით ბატონიშვილმა აცნობა გენ. ლაზარევს[45]. ამ

---

41 აქტები, ტომი, I, გვ. 224—230, საბუთი № 196.

42 აქტები, ტომი I, გვ. 231, საბუთი № 197.

43 პლატონ იოსელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 220.

44 აქტები, ტომი I, გვ. 231, საბუთი № 201.

45 იქვე.

უკანასკნელმა სათანადო ზომები მიიღო, რათა იულონის მეფედ გამოცხადება არ მომხდარიყო. ასეთ რთულ ვითარებაში, ბატონიშვილ ალექსანდრეს წაქეზებით ომარხანი ქიზიყთან ახლოს მოვიდა და საზღვრისპირა სოფლებში დააპირა 2—3-ათასიანი ლაშქრის შეყრა. ლაზარევის აზრით, ომარხანის თავდასხმა არ იყო საშიში, მისი დამარცხება იოლი იყო. ლაზარევს ეშინოდა მხოლოდ იმისა, რომ იქ იყო ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც დიდიხანია სურდა თბილისში შემოჭრა და თავისი თავის მეფედ გამოცხადება. შეშინებულმა გენ. ლაზარევმა გენ. კნორინგს ერთი ბატალიონის საჩქაროდ გამოგზავნა თხოვა, რათა თავიდან აეცილებინა ომარ ხანისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ერთობლივი თავდასხმა[46]. ლაზარევის შორს გამიზნულ მოქმედებას თანდათან ხორცი ესხმებოდა. რუსეთის ბატალიონებმა გარეშე მტრები კი არა, პირველ რიგში, იმჟამად ტახტის ხელში ჩაგდების მოსურნე ბატონიშვილები და მათი მომხრე თავად-აზნაურნი შეაჩერეს, რათა ხელმწიფე იმპერატორის გადაწყვეტილებამდე სამეფო ტახტის დაკავება არც ერთ ბატონიშვილს არ ეცადა.

ალექსანდრე ბატონიშვილისა და მის ძმათა მიერ წაქეზებულმა ომარხანმა თავისი თავდასხმებითა და მუქარით შეაწუხა კახეთის მოსახლეობა. კახეთის თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და მთელი გლეხობა ბატონიშვილების — იულონის, ფარნაოზის, ალექსანდრესა და სხვათა წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი. მათ თელავიდან გენერალ ლაზარევს წერილი გამოუგზავნეს, რომელშიაც კატეგორიულად აღნიშნავდნენ, რომ დავით ბატონიშვილის გარდა არავინ სურდათ მეფედ. კახელები ბატონიშვილების მიერ ჩადენილ ავ საქმეებსაც უსვამდნენ ხაზს, რომ ისინი ომარხანს მოუძღვებოდნენ, რათა აეოხრებინათ კახეთი და სხვ. წერილში ბევრი ფაქტია მოყვანილი, რომლებიც ამტკიცებენ ბატონიშვილთა ავკაცობასა და სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებისათვის ჩადენილ მრავალ ცუდ საქციელს. „ჩვენ ერთობით კახთ თავადთა აზნაურთა და გლეხთა, სამღდელოთა დასთა და ყოველთავე მოხსენება ესე არს: რადგან დიდებულმან ხელმწიფემან სჯულიერისა წესით და უმაღლესის გრამოტის ძალით მეფის გიორგისძის დავითის მემკვიდრეობა ინება, ჩვენც მაგის მეტი მეფედ არვინ გვენებება, უმეტესად ამის უკვე მიზეზისათვის, რომ სხვათა მეფის ირაკლის შვილებმა საქართველოს ტყვეობა და აოხრება მოინდომეს და საქართველოს ხალხისა ავაზაკის ბაბახანის მფარველობას ქვეშ შევრდომა ინებეს, ომარხანს მოუძღვნენ და ჩვენის ცოლისა და შვილის დატყვევებას ეცადნენ. უკეთუ თქვენი მაღალ-მსვლელობა რუსეთის

[46] იქვე, გვ. 231—232.

უძლეველის მხედრობით არ ყოფილიყო, უთუოდ იმათის წინამძღოლობით ჩვენ ტყვეობასა და ოხრებასა შინა ვიქმნებოდით. ჩვენ ამის მიზეზებისათვის ვითხოვთ თქვენის მაღალ-მსვლელობისაგან, რომ ეს ჩვენი მოხსენება ყოვლად მოწყალეს ხელმწიფესაც და ღენერალ კნორინღსაც გამოუცხადოთ, რომ ჩვენს მეფედ დავადგინეთ დავით, რომლისაც მეფობისათვის ამ ქამადაც დავიფიცეთ და გარდა ამისა ვერცავის მეფედ მივიღებთ და ვითხოვთ თვით მაღალ-მსვლელობისა თქვენისა ნებაცა ათანხმაოთ ნებასა ჩვენსა, რომლისათვისცა ვეგებით ჩვენ უღრმესსა პატივის-ცემასა თქუენსა“ [47].

მოთხოვნის წერილს თერთმეტი ბეჭედი აზის და ხელმოწერილია.

1801 წლის 3 იანვარს გარდაცვლილი მეფე გიორგის მიერ სანკტ-პეტერბურგში ხელმწიფე იმპერატორის კარზე გაგზავნილი ელჩები — თავადი გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანდიშვილი ჩამოვიდნენ თბილისში[48]. მათ პეტერბურგიდან ჩამოიტანეს მისი საიმპერატორო უდიდებულესობის სიგელი, რომლის ძალითაც დავით ბატონიშვილი საქართველოს გამგებლად ინიშნებოდა და არა მეფედ. „ბრძანება იმპერატორისა პავლესი დადგინებისა გამო მეფის ძისა დავითისა განმგედ საქართველოჲსა და არა მეფედ. გრამატა ესე მოიტანეს ს. პ.-ბურღით დესპანთა გიორგი ავალიშვილმან და ელიაზარ ფალავანდიშვილმან 8 იანვარსა“ [49]. 14 იანვარს, წმინდა ნინოს დღესასწაულის დღეს, ეს სიგელი თბილისში იქნა გამოცხადებული. სიგელი დავითის ბიძებისა და დარეჯან დედოფლის გარდა ყველამ სცნო. დარეჯანი და მისი შვილები სიგელს უარყოფდნენ და დასძენდნენ, რომ სიგელის დაწერისას იმპერატორმა პავლემ ჯერ კიდევ არ იცოდა მეფე გიორგის გარდაცვალება და არც განსვენებული მეფე ერეკლეს ანდერძი იყო ცნობილი, რომლის თანახმადაც იულონი უნდა გამეფებულიყოო. მათი მტკიცებით, მხოლოდ ამით იყო გამოწვეული იმპერატორის მიერ დავით ბატონიშვილის გამოცხადება საქართველოს გამგებლად. იულონ ბატონიშვილი არც იმპერატორის გადაწყვეტილებას დაემორჩილა. სამეფო ტახტის დაკავების სურვილით შეპყრობილმა, როგორც აღინიშნა, ჯერ მცხეთაში მეფედ კურთხევა მოიწადინა, მაგრამ დავითის თხოვნით ლაზარევის მიერ გაგზავნილმა 250 სალდათმა ხელი აიღებინა განზრახვაზე, ხოლო შემდეგ სიგელით გაბოროტებული კვლავ კახეთში წავიდა, ბოდბეში შეჩერდა. აქედან უნდოდა ომარხანისა და ლეკთა საქართველოში შემოყვანა. იოანე ბატონიშვილი ქართველი მებრძოლებითა და რუსი სამხედრო ნაწილით თან სდევდა მე-

47 აქტები, ტომი I, გვ. 296, საბუთი № 355.

48 იქვე, გვ. 231, საბუთი № 199.

49 პლატონ იოსელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 220.

ამბოხე ბატონიშვილებს და არ აძლევდა საქართველოში გარეშე ძალებით შემოჭრის საშუალებას[50]. მისი შიშით ვერც ალექსანდრე ბატონიშვილმა გაბედა თავდასხმა.

იმედგაცრუებული ბატონიშვილები დუშეთის გზით ქართლში გადავიდნენ, რათა იქაურ თავად-აზნაურთა დახმარებით ერთხელ კიდევ ეცადათ იულონის გამეფება. იულონი და ფარნაოზი თავიანთი ლაშქრით შეეცადნენ ქართლში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. დირბის ციხე-სიმაგრე აიღეს, სოფლებში დაიწყეს სიარული და იულონის მეფედ გამოცხადება. მოსახლეობას აიძულებდნენ მეფედ ეღიარებინათ იგი და ერთგულების ფიციც მიეღოთ[51]. იულონმა გორის აღებაც განიზრახა, მაგრამ წადილს ვერ მიაღწია. ქართლში თვით დავით ბატონიშვილი წავიდა რუსთა სამხედრო ნაწილით. მასთან იყო თვით გენ. ლაზარევიც. იულონი შეაშინა სამხედრო ნაწილის დანახვამ და თავის ძმასთან ფარნაოზთან ერთად იმერეთში გადაიხვეწა. ქართლში სიმშვიდე ჩამოვარდა.

1801 წლის 15 იანვარს საქართველოს გამგებელმა დავით ბატონიშვილმა მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხს, სადაც აღნიშნავდა მამის, მეფე გიორგის მიერ მის მემკვიდრედ გამოცხადების საფუძვლიანობასა და იმპერატორის თანხმობას. ხალხს ამცნობდა საქართველოს გამგებლად დანიშვნას. თუ ვინმე მისდამი ცუდად იყო განწყობილი, საქართველოს გამგებელი ადრე ჩადენილი დანაშაულის პატიებასა და შერიგებას სთავაზობდა. და თუ კვლავ ვინმე დანაშაულს ჩაიდენდა, დაისჯებოდა უკვე იმპერატორის მიერ, რუსეთის კანონით.

ტახტის მემკვიდრის, ბატონიშვილ დავითის მოწოდება ქართველი ხალხისადმი (1801 წლის 15 იანვარს):

„ხელმწიფე იმპერატორმა ინება სჯულიერთა წესითა შედგომა და მიხედა უკანასკნელსა წერილსა სანატრელისა პაპის-ჩემისა მეფისა მეორისა იარაკლისასა, ქორონიკონს უპბ (1794), მაისის კე (25), რომელიც უბოძა სანატრელსა მამასა ჩემსა, ძესა თვისსა მეფესა გიორგის, რომელიც იყო ნამდვილ დამარღვეველი თვისისა პირველისა ანდერძისა, რომელსაც სასინანულოდ აღსჩენოდა უკანონოჲ პოლიტიკა და სამყუდროებელად აღბორგებულთა პირის-პირ მეფისა და სამეფოჲსა და წარუდგინარა დიდსა იმპერატორსა და მით სთხოვა საუკუნოდ დასამყუდრებელი მშვიდობა ქვეყნისა თვისისა და მისცა წერილი ესე სანატრელმან მამამან ჩემმან მეფემან გიორგიმ, სრულისა ძალისა მჭონებლისა ელჩისა თვისისა გარსევან ჭავჭავაძისა მიერ და შერთო—

[50] აქტები, ტომი I, გვ. 233, საბუთი № 206.

[51] აქტები, ტომი I, გვ. 235, საბუთი № 207.

ცა სამეფო თვისი იმპერიასა როსიისასა. ამა ორისა მიზეზისა ძალით შებრძანა უმაღლესითა ბრძანებითა მიახლოვებად მემკვიდრეობით ტახტისადმი საქართველოჲსა, სადღესასწაულოჲთა დღესასწაულობითა, შართებელად და ვინაჲთგან საჭირო იყო გამოცხადება ამისი ერთადმი ჩვენთა, ამისთვის გამოუცხადებთ დღესასწაულობითსა მიღებასა მართებელობით მემკვიდრეობითსა ტახტისა ჩვენისასა, და უკეთუ აქუს ვისმე ჩემდამო დაბრკოლებაჲ, აღუთქუამთ მას მიტევებასა თვისსა დანაშაულისასა და შევიწყნარებთ მათ მოქცეულთა ეგრეთ, ვითა შეყვარებულსა უძღებსა ძესა და უკეთუ შემდგომად გამოცხადებისა ამის ჰქმნას ვინმე წესისა ნებით გარდამავლობაჲ, იგი დასჯილ — იქმნების იმპერატორისა ჩემისა მიერ მებრ სჯულიერისა კანონითა როსიასა შინა პყრობილისათა. იანერის იე (15), ქორონიკონს უპთ (1801)“[52].

დავით ბატონიშვილი საქართველოს განმგებლობას შეუდგა. იგი უკმაყოფილო იყო იმპერატორის გადაწყვეტილებისა. მას საქართველოს მეფობა უნდოდა, როგორც ტახტის მემკვიდრეც აღიარებულს. დავით ბატონიშვილის დანიშვნით უკმაყოფილო თავად-აზნაურთა და სამღვდელოების ნაწილის წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად, გენერალმა ლაზარევმა 1801 წლის 26 იანვარს მიმართა მათ მოწოდებით, რათა ეცნოთ დავითი საქართველოს გამგებლად და დამორჩილებოდნენ მას. მოწოდებაში ლაზარევი აღნიშნავდა, რომ ხელმწიფე-იმპერატორმა დავით ბატონიშვილი მეფე გიორგის მემკვიდრედ აღიარა და დანიშნა საქართველოს გამგებლად საბოლოო გადაწყვეტილებამდე. „ამიტომ თქვენ უნდა დაემორჩილოთ მის ბრძანებებს“[53]. ქართლის თავად-აზნაურობა კვლავ იულონის მომხრე დარჩა[54]. ქართლის თავად-აზნაურობის, სამღვდელოებისა და გლეხობის დავით ბა-

---

[52] აქტები, ტომი I, გვ. 297, საბუთი № 358.

[53] აქტები, ტომი I, გვ. 298, საბუთი № 363.

[54] დავით ბატონიშვილი დანიშნული იყო სარდალ ოთარ ამილახვრის შვილზე ელენეზე, რაც მთელმა საქართველოს დიდებულებმა იცოდნენ. რუსეთში ყოფნისას მას ტატიშჩევის ქალი შეუყვარდა. დავით ბატონიშვილმა დიდი ხნის დანიშნული ელენე ოთარის ასული ამილახვარი აღარ შეირთო ცოლად, ტატიშჩევის ქალიც დაივიწყა და ასტრახანში მცხოვრები სომეხი ვაჭრის, სვიმონ აღად წოდებული, აბა მელიქის, სხვა საბუთით აღა ტერ-სიმონაშვილის ქალიშვილზე დაქორწინდა. ამ ქორწინების მომხრე იყო თვით მეფე გიორგი, მოთავე კი დავითის ახლობელი, მარტყოფელი მთავარდიაკვანი ეგნატე ონისიმეს ძე. სომეხი ვაჭრის აბა მელიქის ასულს საკმაოდ დიდი მზითევი ჰქონდა, რამაც შეაცდინა დავითი. ამ ქორწინებით მან გადაიკიდა არა მარტო ოთარ ამილახვარი, არამედ ძმებიცა და საქართველოს დიდებულებიც. პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს: „[დავითი] შევიდა განსაცდელსა ძნელსა. სიხარბემან ფულისა და ნივთთა და მოლოდებამან, სნეულებისა გამო მამისა თვისისა უკურნებელისა. შეფობისა, რომლისა ძალითა ადვილად დახსნიდა ქორწინებასა, — აქმნევინა ესე, რომ არცა ინება შერთვა დანიშნულისა მასზედა ელენეს ამილახვრის

ტონიშვილის წინააღმდეგ ამხედრებას ხელს უწყობდა სარდალი ოთარ ამილახვარი.

კახეთში იულონისა და ალექსანდრეს გამო არეულობა სუფევდა. ალექსანდრე ბატონიშვილს დიდი ხნის წინათ ჰქონდა ჩაფიქრებული ქართლში გამეფება[55], ქართლელები კი კვლავ იულონის გამეფებას მოითხოვდნენ და დავითის მმართველობის წინააღმდეგნი იყვნენ.

ტახტის მებრძოლთა შორის რუსეთის აქაური წარმომადგენლობის მიერ დიდად დაფასებული ვახტანგ ბატონიშვილიც იყო. მას „ეპყრა არაგვიცა და მსახურებდა რუსთა მხედრობასა, რომლის ძლით შემოსრულნი რუსთა მხედრობანი მადრიელ იყვნენ მისსა“[56]. იმპერატორს მოახსენეს ვახტანგ ბატონიშვილის დამსახურება, რისთვისაც წმინდა ანას ორდენით დააჯილდოვა იგი.

ძმების შემხედავმა ვახტანგმა თავადაც მოინდომა გამეფება. მასაც დიდი წილი მიუძღოდა საქართველოს სამეფო ტახტის გაუქმების საქმეში. როცა იულონი და ფარნაოზი იმერეთში გადავიდნენ, იმერეთის მეფე სოლომონ მეორესაც რუსეთის საწინააღმდეგოდ განაწყობდნენ. იქაც არეულობამ დაისადგურა. ვახტანგ ბატონიშვილმა იმჯერად კვლავ კახეთში ატეხა არეულობა. მალე დუშეთისაკენ წავიდა, ავიდა გუდამაყარში და იქ გამაგრდა. უნდოდა მთიელთა შეყრა და გამეფებისათვის ბრძოლის დაწყება. რუსეთის წარმომადგენელთა თხოვნით, მთიელებმა ვახტანგს მხარი არ დაუჭირეს. რუსეთის წარმომადგენლებმა ამ უკანასკნელთან მოლაპარაკება გამართეს და შეჰპირდ-

---

სარდლის ოთარის ქალისა, არცა ტატიშჩევისა ქალისა რუსეთს, და შეირთო სურვილისამებრ მამისა სვიმონ, აღად წოდებულისა ამი მელიქის ქალი ხამფერვან, რომელსაცა ნათელსცეს მართლმადიდებელისა ეკლესიისა წესითა და უწოდეს სახელად ელენე. — ქალსა ამას აქვნდა ფულად 8 ათასი მანეთი ფული, დროთა ამათ დიდძალი და ესოდენისავე ფულისა ნივთნი და სამკაულნი... მეფე გიორგიმ ნახა რძალი... და პირის სანახავად უბოძა ქარვასლა სახასო ქ. თბილისს ძველად როსტომ მეფისაგან აშენებული და სოფელი გურჯაანი“ (იხ. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გვ. 138).

დავით ბატონიშვილმა მალე მოინდომა განქორწინება, ვინაიდან „დავით, მოსულ გონებასა, შევიდა სინანულსა. არცა გვარი თავადობისა, არცა სიძველე და ჩინებულება გვარისავე, არცა კაეშირი რაჲმე დიდკაცობათა ქვეყანისა, არცა მეფობითი აღზრდა ჰაზრითა და ქცევითა, — არა აქვნდა მეფის რძალსა და მემკვიდრისა ცოლსა სადედოფლოდ ბაგრატიონისა ტახტისათვის მომზადებულსა“ (იქვე). მეფემ თავადობა კი უბოძა სომეხი რძლის გვარს, მაგრამ დავითმა მალე შეიძულა იგი. 1803 წელს დავითი პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად, ცოლი თან არ წაიყვანა. განქორწინებაც ვერ მოახერხა. მალე გათავადებული გვარის ელენეც წავიდა პეტერბურგში საცხოვრებლად, მაგრამ დავითთან საერთო არაფერი ჰქონდა. გარდაიცვალა 1836 წ.

[55] П. Г. Бутков, указ. труд, часть III, с. 438.

[56] ბაგრატ ბატონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 82.

ნენ, რომ თუ წინააღმდეგობას არ გასწევდა, ყველაფერი ეპატიებოდა. ვახტანგმა დაიჯერა მათი და დუშეთში გამოცხადდა, საიდანაც თბილისში ჩამოიყვანეს და დედამისის — დარეჯან დედოფლის სახლში დააბინავეს ყარაულ ქვეშ..

დავით ბატონიშვილმა მთელი მმართველობა ერთპიროვნულად აიღო ხელში. თვითნებურად არიგებდა თანამდებობებს, ვინც არ მოსწონდა, ართმევდა სოფლებს და აძლევდა მეორეს თავისი შეხედულებისამებრ. თვით განაგებდა შემოსავალს და, თუ პ. ბუტკოვს დაიუჯერებთ, თავის სასარგებლოდ ხმარობდა[57]. იგი იმედოვნებდა, რომ თუ შეფის ტიტულს არ უბოძებდნენ, რუსეთის მმართველობის ქვეშ მეფისნაცვალი ხომ იქნებოდა. დავით ბატონიშვილმა შეავიწროვა თავისი მოწინააღმდეგენი: დედოფალი დარეჯანი, იულონი, ფარნაოზი, ვახტანგი და სხვა ბატონიშვილები, აგრეთვე ბევრი თავადი და აზნაური. მისმა გამგებლობამ უფრო გააღიზიანა ბატონიშვილები და მათი შომხრე თავად-აზნაურები.

ქვეყანაში არეულობა არ ცხებოდა. გენერალ-ლეიტენანტმა კნორინგმა შეაჩერა დავით ბატონიშვილის თვითნებური მართვა-გამგებლობა. დავითის მიერ დანერგილი ყველა სიახლე გააუქმა. შექმნა უმაღლესი მთავრობა, რომელშიც შედიოდა რვა მდივანბეგი — ოთხი ქართლისა და ოთხი კახეთისა, რომლებიც საქმეებს წარმართავდნენ გენ.-მაიორ ლაზარევის თავმჯდომარეობით. მთავრობაში სამეფო სახლის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ. უმაღლეს მთავრობაზე იყო დამოკიდებული ქართლის მმართველობა-მთავრობა, რომლის რეზიდენცია იყო გორში, ხოლო კახეთის მმართველობა-მთავრობის რეზიდენცია — თელავში. ამრიგად, დავით ბატონიშვილი მმართველობაში აღარ იქნა შეყვანილი[58]. იგი მხოლოდ ხუთ თვეს იყო საქართველოს გამგებლად. ლაზარევის დასმენით, კნორინგმა ეს თანამდებობაც ჩამოართვა. ყოველივე ეს ბატონიშვილებისა და დედოფალ დარეჯანის მიერ ტახტის დაუფლებისათვის ატეხილი ბრძოლის შედეგი იყო. ბატონიშვილის მოძულე გარსევან ჭავჭავაძემ დავითის სახელით წერილი დაწერა და იმპერატორ პავლეს გადასცა. გ. ჭავჭავაძის მიერ შეთხზულ წერილში „დავითი ითხოვდა“ სამეფოს გაუქმებას და გუბერნიად გამოცხადებას. თვითონ გ. ჭავჭავაძემ იმპერატორ პავლეს შოახსენა: „უკეთუ არა აღმოფხვრი მეფობასა საქართველოსასა და არა გარდმოასახლებ სრულებით როსიასა შინა მეფის სქესთა, არა ეგების მშვიდობა საქართველოსა შინა და სახლსა სამეფოსა...[59]“.

---

[57] П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, ნაწ. II, გვ. 475.

[58] იქვე.

[59] Багратъ Батоніщвили, დასახელებული ნაშრომი, გვ. 77.

თითქმის ასეთივე მოხსენებითი ბარათით მიმართა გენ. კნორინგმა ხელმწიფე-იმპერატორს. კნორინგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ბატონიშვილთა მიერ საქართველოს მეფის ტიტულისათვის გაუთავებელ ბრძოლას, რამაც ქვეყანაში ურთიერთმოწინააღმდეგე ჯგუფებები შექმნა და ქართლ-კახეთი დაღუპვის წინაშე დააყენა. ბოლოს კნორინგი დასძენდა, რომ „საქართველოს ძალა არ შესწევს გაუმკლავდეს გარეშე თავდამსხმელთა შემოტევას და ვერ შეძლებს შინაური მტრობის მოსპობასაც, რომელიც შეიძლება ძმათაშორის ბრძოლაში გადაიზარდოს“[60]. კნორინგი სამეფოს გაუქმებასა და საქართველოში რუსული მმართველობის დანერგვას თხოულობდა.

იმავე დროს კნორინგმა ხელმწიფე-იმპერატორთან დეპუტატები გააგზავნა, გიორგი XII-ის ძეები — იოანე, ბაგრატი და მიხეილი[61]. ამ დეპუტაციის წევრობა ერეკლე მეორის ძეებმაც მოინდომეს. თვით შფოთისთავმა ალექსანდრე ბატონიშვილმაც კი. მაგრამ კნორინგი მათ არ ენდობოდა და ყველას უარი განუცხადა. დეპუტატები სასწრაფოდ გაიგზავნენ პეტერბურგში, მაგრამ იმპერატორ პავლეს ცოცხალს ვერ მიუსწრეს. 1801 წლის აპრილში მათ იმპერიის სამინისტროს თავიანთი მოთხოვნა გადასცეს: „საქართველოს დიდებულებს, სამღვდელოებას და ხალხს, ყველას ერთად, სურთ ერთხელ და სამუდამოდ შეივიდნენ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში“. ხაზი ჰქონდა გასმული იმ გარემოებას, რომ განსვენებულ იმპერატორ პავლეს მიერ მათი სამშობლო სამუდამოდ იყო ქვეშევრდომობაში მიღებული და თხოვდნენ იმპერატორ ალექსანდრეს საზეიმოდ დაემტკიცებინა ეს ორმხრივი აქტი: დეპუტატები თხოულობდნენ, აგრეთვე, რომ საქართველოში დაენიშნათ ერთ-ერთი ბატონიშვილი, რომელსაც რუსეთის მხრივ ექნებოდა ტიტული იმპერატორის მოადგილე (მეფის ნაცვალი), საქართველოში კი მეფედ წოდებული, ვინაიდან ქართველი ხალხი შეჩვეულია სახელთან — „მეფე“, და ყველა საქმე მართოს რუსეთის ერთერთი დიდებულის მონაწილეობით, რომლის ნების გარეშეც არაფერი არ იქნეს წამოწყებული. დიდებული კი მეორე ადგილზე იყოს მეფის შემდეგ“[62]. იმპერატორმა პავლე პირველმა მრავალი მოხსენების საფუძველზე საქართველოს სამეფო ტახტის გაუქმება დაადგინა. მაგრამ 1801 წლის 12 მარტს გარდაიცვალა და თავისი გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოიყვანა. ალექსანდრე პირველმა, ვინაიდან საქართველოს საქმეებს არ იცნობდა, საკითხი ვერ გადაწყვიტა და

[60] აქტები, ტომი I, გვ. 419, საბუთი № 534.

[61] მიხეილი ახალგზრდა იყო, ამიტომ მას თან ახლდა პაპამისი — სარდალი გიორგი ციციშვილი.

[62] П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, გვ. 472—473.

„მიუწერა მართებელსა კავკასიისა კნორინღს, რათა გარდვიდეს და ჰკითხოს ქართველთა უკეთუ ნებავსთ კვალად მეფეი თვისი, ჰყოს მეფედ დავით, ხოლო უკეთუ არა ნებავდეს ხალხსა, აღიღოს მეფობა და ჰყოს ღუბერნიად“[63].

ხელმწიფე იმპერატორის ამ დავალების შესრულება გადაწყვიტა გენ. კნორინგმა, მაგრამ გენ. ლაზარევმა დაასწრო მას, რადგან ეს უკანასკნელი თბილისში იყო, შეკრიბა დავით ბატონიშვილის მოწინააღმდეგე გავლენიანი პირები, თავის მხარეზე გადმოიბირა და წინასწარ აუხსნა, რომ ხელმწიფე-იმპერატორის ალექსანდრე პირველის ბრძანებით კნორინგი შეჰკრებდა თავადებსა და აზნაურებს, სამღვდელოებასა და სხვა გავლენიან პირებს და ყველას შეეკითხებოდა, რომელს ირჩევდნენ — სამეფო ტახტის შენარჩუნებას თუ ერჩიათ რუსული მმართველობის დამყარება. ლაზარევს თავისი განდიდებისა და, აგრეთვე, ბატონიშვილების მიერ ტახტისათვის ატეხილი ბრძოლის გამო საქართველოს სამეფოს გაუქმება და გუბერნიად გამოცხადება უნდოდა. ამისათვის მან შეკრებილებს უთხრა, რომ კნორინგისათვის მათ განეცხადებინათ, რომ „არ უნდათ მეფე და ირჩევენ გუბერნიის გახსნას“. გენ. ლაზარევის თვალთმაქცობამ რუსეთისათვის სასურველი შედეგი გამოიღო. როცა გენ. კნორინგმა ქართლის თავად-აზნაურობა და სხვა დიდებულები შეკრიბა და იმპერატორის დავალება გააცნო, მეტმა ნაწილმა მოითხოვა მეფობის გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება. „...კნორინგმა, გარდასრულმან ქართლს, იხმო რაოდენიმე ჩინებულნი გვამნი და აუწყა ესე. ხოლო მას ჟამსა ღიანარალს ლაზაროვს მუნ მყოფსა ებირნა რაოდენიმე გვამნი მეფისა ორგულნი და განდიდებისათვის სახელისა თვისისა. ამათ ათქმევინა უარჰყოფა მეფის და გახსნა რუსეთისა მართებულობისა“[64].

კნორინგმა ლაზარევის მიერ გადმობირებული დავით ბატონიშვილის მტრებისა დაიჭერა და თვითონაც განიზრახა მხარი დაეჭირა მოთხოვნისათვის. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა სამეფოს შენარჩუნებას მოითხოვდა, მაგრამ მათ ყურს არავინ უგდებდა. კნორინგმა სამი კვირა მოანდომა ხელმწიფე-იმპერატორის დავალების შესრულებას. იგი, როგორც აღინიშნა, მხოლოდ დავით ბატონიშვილის მოწინააღმდეგე დიდებულებს ეთათბირა, რომლებმაც გენ. ლაზარევის წინასწარი რჩევა-დარიგების წყალობით მეფობის გაუქმება და ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის გუბერნიად გამოცხადება ისურვეს. საქართველოს საღად მოაზროვნე მესვეურები და

---

63 ბაგრატ ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78—79.

64 იქვე, გვ. 79.

მთელი მოსახლეობა 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების დაცვას მოითხოვდა.

„კნორრინგმა, აღნიშნავს პლატონ იოსელიანი, კვალად მოახსენა დაუცხრომელობა ამბოხთა. უსურველობა ქართველთაგან თვისთა მეფის ძეთა და წადილი დიდთა და მცირეთა, რათა განცხადდეს საქართველოსა შინა ყოვლადი მმართველობა რუსეთისა“[65].

იმპერატორ ალექსანდრე პირველსა და მის მთავრობას და, საერთოდ, ცარისტულ პოლიტიკას აწყობდა კნორინგის მოხსენება. მის საფუძველზე გადაწყდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და მისი რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადაქცევა, რაც ხელმწიფე-იმპერატორის — ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გამოიხატა. ამ მანიფესტით გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო, რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადაიქცა და, რაღა თქმა უნდა, რუსული მმართებლობა დაინერგა. პეტერბურგში მყოფმა ელჩებმა გარსევან ჭავჭავაძემ, გიორგი ავალიშვილმა და ელიაზარ ფალავანდიშვილმა არაფერი იცოდნენ მანიფესტის შესახებ. მანიფესტი მათგან საიდუმლოდ შეადგინეს, ვინაიდან ელჩები სამეფოს შენარჩუნებას მოითხოვდნენ 1783 წლის ტრაქტატის თანახმად. მანიფესტმა კი, პირიქით, გააუქმა მეფობა საქართველოში და რუსული მმართველობით შეცვალა იგი. მანიფესტი მას შემდეგ გახდა ცნობილი ქართველი ელჩებისათვის, როცა იგი გამოქვეყნდა.

გარსევან ჭავჭავაძემ, გიორგი ავალიშვილმა და ელიაზარ ფალავანდიშვილმა პროტესტი განუცხადეს რუსეთის მთავრობას[66], მაგრამ საქმე დამთავრებული იყო, მას ვერავითარი პროტესტი ვეღარ შეცვლიდა. მიუხედავად ამისა, მანიფესტის გამოქვეყნება შვიდი თვის დაგვიანებით მოხდა თბილისში.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი და საქართველოს ახალი მმართველობის შესახებ დებულება 1802 წლის 12 აპრილს იქნა წაკითხული დიდებულთა და სხვათა წინაშე სიონის ტაძარში[67]. ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. იმპერატორის მიერ დამტკიცებული მანიფესტის ესოდენ დიდი ხნით დაგვიანებით გამოქვეყნება შეიძლება იმიტომ მოხდა, რომ ცვლილებების შეტანას ფიქრობდნენ იმ დროის განმავლობაში.

ერთი კი ფაქტია, რომ იმპერატორმაც და მისმა მთავრობამაც კარ-

---

65 პლატონ იოსელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 233.

66 Грамоты, II, ч. II, с. 301.

67 მ. დუმბაძე, მეფის რუსეთი და ქართლ-კახეთის სახელმწიფო XVIII ს. მიწურულში. 1801 წლის აქტი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტომი IV, თბილისი, 1973, გვ. 818.

გად იცოდნენ, რომ მანიფესტის საფუძველი — კნორინგის მოხსენება ყალბი იყო, რომ ქართველი ხალხი არასდროს სამეფოს გაუქმებას არ მოიწონებდა. ეს თვით ყალბისმქმნელმა გენ. კნორინგმაც კარგად იცოდა, ამიტომ იყო, რომ სიონის ტაძარს, მანიფესტის გამოცხადებისას, გარშემო მეფის რუსეთის ჯარი ერტყა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გენერალმა იცოდა მანიფესტით ხალხის უკმაყოფილება, ამიტომ უსიამოვნება რომ არ მომხდარიყო, მზად იყო სამხედრო ძალა გამოეყენებინა. თვით მნახველნი შემდეგნაირად გადმოგვცემენ მანიფესტის გამოქვეყნების სურათს:

„დიდმარხვის ენების კვირაში, ოთხშაბათს, მოვიდა აქ თბილისს ქალაქში ღენერალი კნორრინღი თავისის შემდეგის მოხელეებით და დიდს შაბათს დღეს დაუძახა აქაურთ შემძლეთ და სხვათა, რომ გამოუცხადებს დიდის კელმწიფის ნებას. ამისათვის მივიდნენ, ვისაც შეეძლოთ მისვლა, და როგორც შეიყარნენ დანიშნულს ადგილს, მაშინვე შემოახვია მათ მკედრობა ყოვლისა რუსეთისა შეიარაღებული, როგორც საშტურმოდ, და გამოუცხადა, რომ დაიფიცონ ახალ განწესებულ კანონზე და შტატზედ. როდესაც ხალხმა დაინახა, რომ ძალით აპირებს კნორრინღი და ამის ამხანაგნი ამათს დაფიცებას, მაშინ ზოგნი გამოსცვივდნენ და ზოგნი დარჩნენ და დაიფიცეს; მაგრამ რადგანაც ძალა იყო და ჯარიც გარშემო ეხვიათ, რა უნდა ექნათ!

მასუკან დედოფლებმა რომ შეიტყვეს ეს მისი ნამოქმედები, დაიბარეს მაინდამ მოსული მთავარი და უთხრეს — შენ პირველად შენს აქ ყოფნაში გვარწმუნე და აღგვითქვი, რომ ჩვენ ისევ ჩვენი მეფე გვეყოლება, და კიდეც ეცდები და შენის სიტყვისამებრ ხელმწიფეც ინებებს ჩვენს ოჯახში მეფის დასმას და დამტკიცებას და ახლა სრულად შენგან აღთქმულის წინააღმდეგად იქცევი აქა და საქმობ?!"[68].

კნორინგმა დედოფლებს კვლავ თვალთმაქცური პასუხი გასცა. თავისი დანაშაული სხვებს გადააბრალა. იმპერატორთან საჩივარი-საჩივარზე მიდიოდა. მანიფესტით უკმაყოფილონი კნორინგს უჩიოდნენ. ზოგიერთი ცვლილებების მოლოდინში იყო.

1802 წლის 12 ოქტომბერს თავადი ზაზა ანდრონიკაშვილი მოსკოვიდან თავადებს — იოანე ორბელიანსა და სოლომონ თარხნიშვილს — სწერდა: „უმდაბლესად თავს დაგიკრავთ: ამდენი ხანია თქვენი ამბავი და წიგნი არ მამსვლია, — არა მართებს მეგობრობის კავშირს. აქაურს ამბავს მოიხსენებთ, ღუთით მშვიდობით გახლავართ ყველანი და საქმეს თუ იკითხამთ, დიახ, კარგად გვქონდა გარიგებული, რომ

---

[68] მ. დუმბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 816.

როგორც გინდოდათ და ან ვისთვინაც გინდოდათ, მაგრამ კნორრინგი რომ მოვიდა, მაგას რაღაც ჰორი-ჰური ეთქვა, რომ საქართველოს ხალხსაო აღარც მეფე უნდათო, არც მდომობენო ხელმწიფეს და კარის კაცს არწმუნა ჩვენის ბალვით და ჩვენ სხვას გვეუბნებოდა. ამის მიზეზით საქმე შებრკოლდა და ეს გამოაცხადეს, რომ საქართველოში არც მეფე უნდა იყოსო და არც ჩვენ ვიყომბათო. იფიქრეთ, რა იქნებით და ან ვისი რა გერქმისთ. მანდაურმა უბრალო რახა-რუხმა ეს გაპოვნინათ. მანდ არ იყავით, როგორ ათქმევინეთ? თუ მართალი არის, ან ქვეყნის ცოდოში რათა სდგებოდით და ან თქვენს თავს რათ უზამდით; არ შერცხვა იმის მთქმელს, რომ შუა შარაზედ დარჩა, — აღარც ბატონი და აღარც პატრონი. კნორრინგი და კავალენკი და დიმიტრი განაწესეს და რამთენი კიდევ სხვანი და რაც მანდაური გამოსავალი არის სულ ამათ უნდა დახარჯონ. ყველანი უკაცრავად იქნებიან. ესენი რომ გამოგვიცხადეს ელჩებმა, ჩვენ არ ვიყაბულეთ და უარი უთხარით და ხელმწიფეს არზი მივართვით; ღუთის მოწყალებით კარგად მოდის საქმე, ასე როგორც გინდათ. ეცადენით, რომ კარგად მოაქციოთ ეგ ძალად-რუსი(?), თქვენი ვეზირობა ახლა გამოგიჩნდება, რასაც კარგათ დაიჭერთ საქმეს. ის მანიფესტი გამოაპარეს მანდ დასაცდელად, რომ რას იქმონენო. არამ ცდა არამც ყაბული გიქნიათ, თორემ მაგაში ნახავთ რაც სარგებელი არის: არც მანდაურს ხალხს დაუმადლეს და არც კნორრინგს. კნორრინგი კი წამოვიდა ლინიაზედ, მანდაურს ხალხს ხემწიფე ის ეგონათ და აქარც-კი ახსომთ და არც რა გაუვა. არაზედ მოსტყუვდეთ,—აქ საქმე რიგდება კარგად; რაც მანდ გითხრან ასე უთხარით, რომ იქ ელჩები გუყვავს-თქო და ბატონი-შვილები და რასაც ისინი იქ გადასწყვეტენ ჩვენ ყაბული გვაქვს, თორემ არ ვარგა და თქვენ იცით. საიდუმლო იყოს ეს საქმე, აქაც არავინ იცის ბევრმან"[69].

კნორრინგის საქართველოში ყოფნა აღარ შეიძლებოდა. მისი საქმიანობით არც თვით იმპერატორი ალექსანდრე პირველი იყო კმაყოფილი. იგი სამსახურიდან გადააყენეს და მის მაგივრად იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა კავკასიის ხაზის ინსპექტორად, ასტრახანის სამხედრო გუბერნატორად და საქართველოს მთავარმართებლად პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი დანიშნა. კნორრინგის თვალთმაქცობა და არასწორი მოქმედება საქართველოში თვით ციციანოვმაც აღიარა.

1803 წლის 3 მარტს ციციანოვი ხელმწიფე-იმპერატორს აცნობებდა: „...ვითომცდა კანონიერი მემკვიდრე და რამდენიმე ხანს საქართველოს მმართველად ნამყოფი ბატონიშვილი დავითი დაიმედებული იყო ჩემში წინამორბედის — გენ. კნორრინგის მიერ, რომელმაც მისი საომ-

[69] აქტები, ტომი I, გვ. 504, საბუთი № 604.

პერატორო უდიდებულესობისადმი ერთგულ ქვეშევრდომული თავდადებისათვის ყოვლად მოწყალედ უბოძა (დავით ბატონიშვილს—მ. გ.) ალექსანდრე ნეველის ორდენი. ამასთანავე, სამწუხაროდ, მან მიიღო დავით ბატონიშვილის მიერ საიმპერატორო უდიდებულესობის სამსახურიდან გადადგომა. იგი ეხლაც გენერლის მუნდირს ატარებს, რაც მისი სამხედრო სამსახურისადმი სიყვარულის გამოხატულებაა"[70]. ციციანოვის ამ მოხსენებამ ერთხელ კიდევ შეახსენა ალექსანდრე პირველს, რომ გენ. კნორინგი ცუდად იქცეოდა საქართველოში, ქართველი ხალხის წყრომა დაიმსახურა და ხელმწიფე-იმპერატორიც შეცდომაში შეიყვანა. მაგრამ უკვე გვიან იყო, საქართველომ დაჰკარგა დამოუკიდებლობა. ციციანოვმა თბილისში მოსვლისთანავე სამეფო სახლის წევრთა რუსეთში გადასახლება დაიწყო. „ხოლო წელსა 1803 გარდააყენეს კნორრინღი და მონაცვლედ მისა განაწესეს ციციშვილი პავლე. ამან მოსრულმან ტფილისსა ბრძანებითა ხელმწიფისათა წარავლინა ყოველნივე სამეფოსა სახლისა ძენი ცოლშვილით და დედოფლებით მარიამით და დარეჯანით როსიასა შინა"[71].

ბატონიშვილებთან ერთად დავითის გადასახლებაც გადაწყდა. ციციანოვი ჩქარობდა დავით ბატონიშვილის გადასახლებას. ის კი, ავადმყოფობის მიზეზით, თხოულობდა საქართველოში დარჩენას. როცა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ კოჩუბეისაგან პეტერბურგში საცხოვრებლად მიწვევა მიიღო, 1803 წლის 11 თებერვალს მან ციციანოვს მიმართა წერილით, რომელშიც კვლავ ხაზს უსვამდა თავის სნეულებას და სთხოვდა იმპერატორთან შუამდგომლობას, რათა დაეტოვებინათ იგი სამშობლოში და აღსრულების ჟამს თავის წინაპრებთან დასაფლავებულიყო. თუ ეს არ მოხერხდებოდა, ერთი თვე მიეცათ მოსამზადებლად.

„ჩემო მოწყალე ხელმწიფევ კნიაზ პავლე დიმიტრის-ძეო!

პატივ საცემი წიგნი მებოძა შინაგანის მინისტრის ღრაფ ჭუჭუბეისაგან, რომელიც მიცხადებდა მისის დიდებულების ნებით მიწვევასა ჩემსა როსიასა შინა, დრომდის, და რომლისთვის ბრწყინჭალებასა თქვენსა ესრეთ გამოუცხადებ: ჩემო მოწყალე ხელმწიფევ ათასორას ოცდამეცამეტე წელი იქნება იუსტინიანე კეისრის დროს ჩვენის გვარისა ქართლში შემოსვლა, და ახლა ასე უსამართლოდ გავდივართ ჩვენის მამულიდამ. სხვას ვერავის დავაბრალებთ ამას, გარდა უბედურებასა ჩუენსა: ხედავს ბრწყინჭალება თქვენი უძლურებასა ჩემსა, რომელიცა უბედურობითა ჩემითა შთავარდნილ კარ სნეულებისა ში-

---

[70] აქტები, ტომი II, გვ. 70, საბუთი № 115.

[71] აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალში დაცული ბ. ბატონიშვილის ხელნაწერი „მოთხრობა ახალი", § 46.

ნა მარადის. გარნა არარად ვრაცხ დასამტკიცებლად სიმართლისა ჩემისა. რათა უმეტეს დამტკიცდეს შევრდომა ჩემი უმაღლესისადმი კა-რისა: უმჯობეს იყო პირველ რათა წარგეგზავნათ არზი ჩემი მისის დიდებულებისა წინაშე რომელიც განმხილველ სიმართლისა ჩემისა შესაძლებელ-იყო მიცემად წყალობისაც. რათა სნეულსა და უძლურსა გვამსა ჩემსა ესარგებლა შეჩვეულისა თვისისა ჰაერით. რიგითა მით და კანონითა ვითარცა სხვანი კეთილშობილნი ქართლისანი ზედა დარ-თვითაცა მეტის ჩემდამი მოცემულის მოძღვრებითა. და შემდგომად აღსრულებისა დაფლულ იყუნენ მავალნი ჩემნი ადგილსა მას სადაცა დაფლულ არიან წინაპარნი ჩემნი:

რადგან ჩემმან უბედურებამან თქვენი გული ასე შეძრა, რომ იმის დიდებულების წინაშე ჩემი არზი არ წარმიგზავნეთ და ამის პასუხს არ დამაცდევინეთ, ამ ყინვაში რომ არ წაისვლება ჩემგან ამიტომ რომ გზაზედ ავადმყოფი, უფრო ავად შევიქნები და სიკვდილს მივეცემი და თქვენთვის რა სარგებელი არის. მომეც შეწევნა განწმენდისათვის საქმისა ჩემისა, რომ ვიწყო მზადება და მარტის თვეში გავდგე და წა-ვიდე, რადგან იძულებით არის ჩემი წასვლა.

მე დაჯერებული ვარ თქვენი ბრწყინვალება იზრუნებს ჩემთვის კე-თილსა და ეცდება მისის დიდებულების წინაშე შესაბამსა ჩემსა პა-ტივსა, ვითარცა ჰშვენის მემკვიდრესა სამეფოისასა და, ვითარცა ხუთ-სა თვესა განმგებელსა სჯულიერისა ტახტისა ჩემისასა.

მოწყალეო ხელმწიფეო. თქვენის ბრწყინვალების ჩემის მოწყალის ხელმწიფის უმორჩილესი მე-ფის-ძე დავითი"[72].

ციციანოვმა დავით ბატონიშვილის თხოვნა არ შეიწყნარა და გადა-წყვიტა ზედამხედველობის ქვეშ გაეგზავნა იგი პეტერბურგში. 1803 წლის 19 თებერვალს ციციანოვმა გენ.-მაიორ გულიაკოვს მისწერა: „თუ ბატონიშვილები ვახტანგი და დავითი გაჯიუტდებიან და რუსეთ-ში წასვლაზე კვლავ უარს განაცხადებენ, იძულებული ვიქნები მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ბრძანების შესასრულებლად ზე-დამხედველობის ქვეშ გავაგზავნო ისინი"[73].

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის მემკვიდრე და-ვით ბატონიშვილი ერთი წლის წინათ საქართველოს გამგებლობას არ სჯერდებოდა, ტახტზე ასვლას ელოდა, ახლა კი რიგით მოქალაქედაც აღარ სტოვებდნენ თავის სამშობლოში.

1803 წლის 19 მარტს დავითი ბატონიშვილ ვახტანგთან ერთად

---

[72] საქ. ცსსა, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 54, ფურც. 486—487.

[73] აქტები, ტომი II, გვ. 69, საბუთი № 112.

ძოზდოკიდან გავიდა და 17 მაისს პეტერბურგში იყო უკვე[74]. ბატონიშვილებს თავისი ხალხი გაჰყვა პეტერბურგში. დავით ბატონიშვილს ახლდნენ თავადები: დიმიტრი თუმანიშვილი, ზაალ ბარათაშვილი და გადამდგარი კაპიტანი გუსტავ გიცე. აზნაურები: სიმონ გაბაშვილი, კარასმან ენიკოლოფოვი, გიორგი ელიზბარაშვილი, ბერ-მონაზონი ნიკიფორე; დიაკვანი ზაქარია ონისიმოვი. მსახურები: სოლომონ ჯორაევი, იოსებ მუტრაბა, ფარსადან მურადოვი, ხეჩო, ნინია სიდამონოვი და შინამოსამსახურე კაკო[75]. სანკტ-პეტერბურგში დავით ბატონიშვილი კარგად მიიღო იმპერატორმა.

საქართველოს მმართველად ყოფნისას, და უფრო ადრეც, დავით ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის იმპერიას, ხელმწიფე-იმპერატორთა ნდობა და ჯილდოებიც დაიმსახურა. იმპერატორი კეთილად განეწყო დავით გიორგი XII-ის ძისადმი. იმპერატორის მითითებით, ციციანოვს ებრძანა დაედგინა, როგორც ყველა ბატონიშვილისა და დედოფლის კუთვნილებაში არსებული უძრავი ქონების საფასური, აგრეთვე დავით ბატონიშვილის კუთვნილებაში არსებული უძრავი ქონებისა ცალ-ცალკე და საერთო ფასი.

რუსეთის მთავრობას აინტერესებდა ბატონიშვილების შემოსავალი საქართველოში, რათა შესაბამისად უზრუნველეყო ისინი პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში. 1803 წლის 17 ნოემბერს ციციანოვმა წერილობით აცნობა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფს კოჩუბეის, რომ დავით ბატონიშვილის უძრავი ქონების საერთო ფასი შეადგენდა 14027 მანეთს[76].

ბატონიშვილ დავითს პეტერბურგში ყველაზე კარგად შეხვდნენ. საქართველოში დაბრუნების უფლება არც მას ჰქონდა[77]. სამაგიეროდ, სანკტ-პეტერბურგში ჩასვლისთანავე სენატორობა ებოძა. მალე მას

---

74 აქტები, ტომი II, გვ. 72, საბუთი № 120.

75 იქვე, გვ. 77, საბუთი № 125.

76 კორპუსის პირველი ნახევარი — 3377 მან., მეორე ნახევარი — 3465 მან., ფურნე — 110 მან., შინამოსამსახურეთა მოსასვენებელი — 115 მან., მოსამსახურეთა მოსასვენებელი — 96 მან., სასადილო — 262 მან., თავლა — 328 მან., ჭოხი მეჯინიბეთათვის — 186 მან., ამბარი — 65 მან., მეორე ამბარი — 21 მან., ბაღი — 6000 მან. (ბაღი ყოველწლიურად სამას მანეთს იძლეოდა შემოსავალს). სულ — 14027 მან. აქტები, ტომი II, გვ. 86, საბუთი № 131.

77 1802 წელს იმპერატორმა ბრძანებაც კი დაუშვა, რომ საქართველოს სამეფო სახლის წევრებს ნება ეძლეოდათ თავისუფლად წასულიყვნენ პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში და დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში თავიანთი სერვილისამებრ, მაგრამ ამ ბრძანებით არავის არ უსარგებლია, იგი მალე გაუქმდა და ბატონიშვილებსა და დედოფლებსაც აეკრძალათ საქართველოში დაბრუნება, დროებით ჩამოსვლაც კი.

10 ათასი მანეთი დაენიშნა პენსია[78]. 1804 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, რუსეთის ერთგულსა და ტახტის მემკვიდრეს დავით ბატონიშვილს უფლება მიეცა ეყიდნა 2 ათასი ყმა გლეხი, უძრავი ქონება, რისთვისაც მიეცა 300 ათასი მანეთი[79]. სანამ ზემოთ ხსენებული რაოდენობის ყმა გლეხს და უძრავ ქონებას შეიძენდა, იმპერატორის მიერ ბოძებული 300 ათასი მანეთი ბანკში ინახებოდა და პროცენტები ერიცხებოდა. ასეთივე უფლებები ებოძათ სხვა ბატონიშვილებსაც, მაგრამ მათ ყმა გლეხთა და უძრავი ქონების შესაძენად 150 ათასი მანეთი მიეცათ თითოეულს.

ბაგრატ ბატონიშვილმა 1805 წელს მოსკოვის გუბერნიაში, პოდოლსკის მაზრაში, იყიდა თავადის ქალის კოზლოვსკაიასაგან ორი სოფელი 101 ყმა გლეხით, 43 ათას მანეთად. 1812 წელს, ნაპოლეონის არმიის მოსკოვში შემოსვლისას, ეს სოფლები ფრანგებმა აოხრეს და ბაგრატ ბატონიშვილმა გაჰყიდა 25 ათას მანეთად. 1806 წელს დავით ბატონიშვილმა სანკტ-პეტერბურგის გუბერნიაში შემავალ იამბურგის მაზრაში იყიდა ორი სოფელი, 198 ყმა გლეხით, 46 ათას მანეთად[80]. სასამართლოს დადგენილებით, დავით ბატონიშვილის ნაყიდ ყმა გლეხებს 30 სული გამოეყო და ორივე სოფელში 168 ყმა გლეხი დარჩა[81]. ზოგიერთმა ბატონიშვილმა პეტერბურგსა და მოსკოვში სახლები იყიდა თავის საცხოვრებლად და არა შემოსავლის მისაღებად. დავით ბატონიშვილი მდიდრულად ცხოვრობდა პეტერბურგში. სიმდიდრე და შემოსავალი მას 1812 წლის სამამულო ომის გმირზე, სახელგანთქმულ პეტრე ბაგრატიონზე მეტი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ 1811 წელს პეტრე ბაგრატიონმა დავით ბატონიშვილისაგან ისესხა 5000 მანეთი ოქროთი[82]. დავით ბატონიშვილს უნდოდა 2 ათასამდე ყმა-გლეხი ეყიდა, თანახმად სახელმწიფო საბჭოს დადგენილებისა, მაგრამ ვერ მოახერხა. ფული კი ჰქონდა 240 ათასი მან. ბანკში. 1811 წელს დავითი შეეცადა ეყიდა საჯაროდ გასაყიდად გამოცხადებული მამული ვოლინის გუბერნიაში 1835 ყმა გლეხით, იმ ვარაუდით, რომ ბანკში დარჩენილი 240 ათასი მანეთი ჰყოფნოდა. სულზე 150 მან. უნდა გადაე-

---

[78] დავით ბატონიშვილის მეუღლეს, ელენა აბამელიქოვს, რომელიც მოგვიანებით ჩავიდა პეტერბურგში საცხოვრებლად და არავითარი საერთო არ ჰქონდა ყოფილ მეუღლესთან, იმპერატორის ბრძანებით დაენიშნა პენსია 18 ათასი მანეთი, 4 ათასი მანეთი ბინის და 3 ათასი მან. საეკიპაჟო. სულ 25 ათასი მანეთი ასიგნაციით.

[79] ЦГИАЛ, фонд 1149, ЕД. хр. 25, საქმე 3757, лл. 18—19.

[80] იქვე, გვ. 19—20.

[81] ეს სოფლები, ყმა-გლეხებით, დავით ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მის ძმას ილია ბატონიშვილს დარჩა.

[82] В. К. Грибанов, დასახ. ნაშრომი.

ხადა. დავით ბატონიშვილმა ამჯერადაც ვერ შეიძინა ხსენებული მამული ყმა გლეხებით[83].

1804 წლის დადგენილებით, ბატონიშვილებს პენსიები უნდა მისცემოდათ მამულების ყიდვის შემდეგ კიდევ ხუთი წლის განმავლობაში. ვინაიდან მამულების ყიდვა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, 1810 წელს უმაღლესად დადგინდა, რომ ბატონიშვილებს პენსია უნდა მიეღოთ კიდევ რამდენიმე წელს. 1815 წელს დავით ბატონიშვილი კვლავ შეეცადა მინსკის გუბერნიაში ეყიდა გრაფინია მანუცისაგან 1598 სული ყმა გლეხი[84]. მაგრამ ამჯერადაც ვერ მიაღწია მიზანს. მამულისა და ყმა გლეხების ყიდვა იმიტომ გაძნელდა, რომ დავით ბატონიშვილს თავიდანვე 300 ათასი მანეთი ჰქონდა ასიგნაციით, რაც 100 ათას მანეთს უდრიდა. 2000 სული ყმა გლეხის ყიდვას კი საშუალოდ 240 ათასი მანეთი სჭირდებოდა[85]. ამიტომ იყო, რომ დავით ბატონიშვილმა მხოლოდ 168 ყმა გლეხი იყიდა 1806 წელს და მეტის ყიდვა ვეღარ მოახერხა. მამულებისა და ყმა გლეხთა შეძენით იგი იმდენად არ იყო დაინტერესებული, რამდენადაც მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობით.

დავით ბატონიშვილი უაღრესად განათლებული პიროვნება იყო. მან ღრმა, საფუძვლიანი განათლება მიიღო საქართველოში ანტონ პირველისა და დავით რექტორისაგან. დავით რექტორი იყო მისი ლალა და მასწავლებელი. დავით ბატონიშვილი იყო შესანიშნავი მხედართმთავარი, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი-ვოლტერიანელი და კარგი ისტორიკოსი, რომელიც უთუოდ კარგად ერკვეოდა საქართველოს წარსულსა და რუსეთთან შეერთებისდროინდელ ვითარებაში[86]. იგი კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპის განმანათლებელთა მოღვაწეობას და მათ ნაშრომებს, XVIII საუკუნის ფრანგი ენციკლოპედისტების შეხედულებებს[87]. ღრმა და საფუძვლიანმა განათლებამ განაპირობა მისი შედეგიანი მოღვაწეობა მეცნიერებასა და მწერლობაში. ამ სფეროში მოღვაწეობას იგი საქართველოშიც ეწეოდა რუსეთში გადასახლებამდე და პეტერბურგში დასახლების შემდეგაც. მან დაწერა და თავისი მმართველობის დროს, 1800 წელს, გამოაქვეყნა „ნარკვევი", სადაც მისი მმართველობისდროინდელი საქართველოს მდგომარეობის

---

[83] ЦГИАЛ, фонд 1149, ЕД. хр. 25, საქმე 3757, лл. 23.

[84] იქვე, გვ. 29.

[85] ერთი ყმა-გლეხი საშუალოდ 120 მანეთი ღირდა.

[86] საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბილისი, 1942, გვ. 123.

[87] დავით ბატონიშვილი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ როგავას რედ. და გამოკვლევით, თბილისი, 1959, გვ. 12.

შესახებ უამრავი ფაქტობრივი მასალაა მოცემული. მანვე დაწერა და 1805 წელს გამოაქვეყნა, რუსულ ენაზე, „საქართველოს მოკლე ისტორია". განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა მთარგმნელობით სფეროში. მან ფრანგულიდან თარგმნა ფრ. ვოლტერის „შობისათვის", რუსულიდან—შ. მონტესკიეს „კანონთა არსის შესახებ" და ანსილიონის „განსჯანი ესტეტიკებრი", „სამკურნალო რეცეპტები"[88]. დავით ბატონიშვილს აქვს ორიგინალური ნაშრომები მეცნიერების სხვადასხვა დარგში: ფიზიკაში, ისტორიაში, ენათმეცნიერებაში, სამართალში და სხვ. ის წერდა ლექსებსაც (მისი ლექსები დაცულია ხელნაწერებში H—2130, S—1534, S—2385, S—1512). 1812 წელს დაწერილ ლექსს „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი" დიდი პოპულარობა ხვდა და მღეროდნენ კიდეც. ეს ლექსი 1901 წელს № 2 „მოგზაურში" დაიბეჭდა[89].

დავით ბატონიშვილის ნაშრომებს სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს ტრ. რუხაძემ[90], ლ. ასათიანმა[91] და სხვ. ა. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით 1959 წელს დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის 1813 წელს დამთავრებული საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა. საინტერესოა მისი 1812 წლის წერილი «О лучшем устройстве Грузии». ვინაიდან კავკასიის მთავარმართებელთათვის არავითარი ინსტრუქცია არ არსებობდა სამოქალაქო მმართველობის დარგში, ამიტომ დავით ბატონიშვილის ამ წერილს დიდი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა, მაგრამ ზერელედ იქნა განხილული, რის გამოც არქივს ჩაბარდა. 1817 წელს დავით ბატონიშვილმა დაწერა თხოვნა მისი საიმპერატორო უდიდებულესობის სახელზე. თხოვნაში იგი საქართველოს ძველ ისტორიას მიმოიხილავდა და ცდილობდა როგორმე დაემტკიცებინა ხელმწიფე-იმპერატორისათვის, რომ თუ საქართველოს სამეფო აღდგებოდა, რუსეთს დიდ სარგებლობას მოუტანდა და ხალხიც დამშვიდდებოდა. „...განსვენებული მამა ჩემის მეფე გიორგის 16 მუხლისაგან შემდგარი თხოვნის ძალით. თუ თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის კეთილი ნებით საქართველოს უწინდელი სახე დაუბრუნდება... მადლობის ნიშნად ყოველწლიურად გადაუხდის რუსეთის ხაზინას ერთ მილიონ მანეთს ასიგნაციით და საზოგადოების საკეთილდღეოდ საქართველოში შეინახავს რუსეთის ქვეითი ჯარის 6 ათას მებრძოლს თავისი ხარჯით. საჭირო

---

88 მაქსიმე ბერძნიშვილი, დასახელებული ნაშრომი, I, გვ. 204.

89 იქვე.

90 „დავით ბატონიშვილი და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა", ლიტერატურული ძიებანი I, თბილისი, 1943.

91 „ვოლტერიანობა საქართველოში", თბილისი, 1938.

შემთხვევაში, ყოველთვის მზად იქნება იქაურ მხარეებში — თურქეთსა და სპარსეთში რუსეთის ჯართან ერთად გაგზავნოს თავისი ლაშქარი, თავისივე ხარჯით. ჩვენ ყოვლად ქვეშევრდომულ ფიცს დავდებთ თქვენი უდიდებულესობის უმაღლესი ტახტის წინაშე და ბატონიშვილებისა და ჩვენ ცნობილ ქართველ დიდებულთაგან მძევლებს მოგცემთ და მამაჩემის 16-მუხლიანი თხოვნის მეხუთე მუხლის ძალით, ყველა, იქ არსებული ციხე-სიმაგრეები რუსეთის მამაც მებრძოლთა სრულ განკარგულებაში იქნება"[92]. დავით ბატონიშვილი მზად იყო ყოველივე ეს შეესრულებინა, ოღონდ კი ხელმწიფე-იმპერატორს ქართლ-კახეთის სამეფო აღედგინა და ტახტზე რომელიმე ბატონიშვილი ასულიყო.

დავით ბატონიშვილის ამ დაპირებებს ალექსანდრე პირველი ყურად არ იღებდა, ვინაიდან საქართველოს შემოსავალი უკვე მეფის რუსეთის მთავრობის განკარგულებაში იყო, ჯარიც საქართველოში იყო დაბანაკებული და ციხე-სიმაგრეებიც მათ ხელში იყო. დავით ბატონიშვილმა იცოდა ყოველივე ეს; იცოდა, რომ ხელმწიფე-იმპერატორი საქართველოს სამეფოს აღარ აღადგენდა და ამიტომაც დასძინა: „თუ არ იქნება თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის ნება (სამეფოს აღსადგენად), მაშინ უქვეშევრდომესად ვთხოვ თქვენს საიმპერატორო უდიდებულესობას დამიბრუნოთ თქვენი უდიდებულესობის 1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესი მანიფესტით დამტკიცებული ჩემი მამული საქართველოში და ის პენსია, რომელიც გენერალ კნორრინგის უმაღლესი ბრძანებით განმესაზღვრა მე. ანდა შემინახოთ, სანამ აქ ვიქნები, ისე როგორც საშუალო რუსი დიდებულები ცხოვრობენ. თუ არ დაუბრუნდება ჩვენს საქართველოს სამეფო სახლს მისი კანონიერი უფლება, მაშინ თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, კეთილ ინებეთ და ჩვენი სამემკვიდრეო მამულების სამაგიეროდ, მე და ჩემი ძმები შესაბამისად დაგვასაჩუქრეთ, რათა რითაც შეგვეძლება ჩვენ და ჩვენ შთამომავლობას, ჩვენი ღირსებისა და წოდების საკადრისად შეგვენახა თავი რუსეთში ყოველგვარი გაჭირვების გარეშე. რამდენადაც ცნობილია თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობისათვის, ამჟამად სურსათ-სანოვაგის სიძვირისა და მასზე კვლავ ფასის ამაღლების გამო, ძლივს შეგვიძლია გაჭირვებით თავის შენახვა, ჩვენი აწინდელი შემოსავლით"[93]. ბოლოს, შიშობს დავით ბატონიშვილი, ამგვარი შინაარსის წერილით იმპერატორი ალექსანდ-

---

[92] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბილისი, 1942, გვ. 163—164.

[93] იქვე, გვ. 164.

რე არ გაღიზიანდესო და სთხოვს ხელმწიფეს გულწრფელი წერილი თავხედობაში არ ჩამითვალოთო. „ნუ ჩამეთვლება თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის ყოვლადმოწყალე და კაცთმოყვარე ხელმწიფის, იმპერატორისა და უავგუსტოეს მონარქისაგან ამ ჩემი მოსაზრების გულწრფელი და გულახდილი გადმოცემა თავხედობად და ჩამეთვალოს ყოვლად უქვეშევრდომეს ჩემ კეთილ განწყობილებად და თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობისადმი ერთგულებად"[94].

როგორც ვხედავთ, ეს წერილი უფრო მეტად პირადად დავით ბატონიშვილსა და საქართველოს სამეფოს აღდგენის ცდებს ეხება. წერილი 1817 წლის 11 მარტითაა დათარიღებული. შვიდი დღის შემდეგ, იმავე წლის 20 მარტს წერილი მინისტრთა კომიტეტში მოისმინეს.

მინისტრმა საქართველოს გაუქმებული სამეფოსა და ბატონიშვილების რუსეთში მოწყობის შესახებ ცალ-ცალკე პუნქტებად ჩამოაყალიბა თავისი აზრი, რაც დავით ბატონიშვილის „მოთხოვნის" ძირითად საკითხებს პასუხობდა: „1) საქართველოს სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთება მოხდა საქართველოს უკანასკნელი, გარდაცვლილი მეფის გიორგის სურვილით. 2) ბატონიშვილ დავით გიორგის ძეს და სხვა დანარჩენ ბატონიშვილებს, ჯერ კიდევ 1804 წელს, უმაღლესი ბრძანებით გამოეცხადათ, რომ მათ არ შეუძლიათ საქართველოში დაბრუნება. 3) საერთოდ, საქართველოს ყოფილ სამეფო სახლს ხელმწიფის მიერ საგანგებო წყალობა ებოძათ. 4) მათთვის კაპიტალისა და პენსიების ბოძება დიდი საჩუქარია მათ კუთვნილ საქართველოს მამულებიდან შემოსავალთან შედარებით"[95]. ამგვარი მოსაზრების შედეგად, შინაგან საქმეთა მინისტრმა დავით ბატონიშვილს უარი უთხრა თხოვნაზე. დავით ბატონიშვილმა ერთი წლის შემდეგ კვლავ შეახსენა თავისი თხოვნა მთავრობას. ამჯერად, კოზოდავლევის მეშვეობით, ყოვლისშემძლე გრაფმა არაკჩეევმა მუქარით უპასუხა: „დავით ბატონიშვილს მოაქვს უსაფუძვლო მოთხოვნები და ამის შემდეგ, თუ იგი კვლავ არ იქნება მშვიდად, მაშინ ნაბრძანები იქნება მისი სამსახურიდან გადაყენება და პეტერბურგიდან გაძევება"[96].

მიუხედავად სამშობლოდან ძალით მოცილებისა და რუსეთში ამგვარი დამცირებისა, დავით ბატონიშვილს არ უღალატნია რუსული ორიენტაციისათვის. საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლას იგი მაინც რუსეთთან კარგ ურთიერთობას უკავშირებდა და, ალექსანდრე ბატონიშვილისაგან განსხვავებით, მუსლიმანურ ირან-

94 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბილისი, 1942, გვ. 164.

95 იქვე.

96 იქვე.

ოსმალეთთან დაკავშირების სასტიკი წინააღმდეგი იყო. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი აღარ ერეოდა საქართველოს საქმეებში და მხოლოდ მეგობრული მიწერ-მოწერა ჰქონდა ახლობლებსა და ნათესავებთან საქართველოში: „დავით, ვითარცა ღენერალ-ლეიტენანტი და სენატორი, — წერს პლატონ იოსელიანი, — იყო მიწერ-მოწერასა შინა მამაჩემთან და დავით რექტორთან. მცოდნე რუსულისა ენისა თარგმნიდა წიგნთა ქართულად და უგზავნიდა ამათ, ვითარცა კაცთა განსწავლულთა. საქართველოჲსა საქმეთა შინა არღა ერეოდა, იყო მორიდებული და მომდურავიცა ქართველთა.

1819 წელსა, იანვრისა 8 მოსწერა წერილი, და ესეცა იყო მისგან უკანასკნელი, მწიგნობრობისა და მწერლობის მასწავლებელსა თვისსა დავით რექტორს. წერილსა ამას შინა სხვათა შორის იტყვის შემდეგსა: „ჩემო ლალავ! ყველას მოკითხვა უბრძანეთ, ვინც ჩემზედ იცინის და ვინც ჩემთვის სწუხს, იმათ წაუკითხე ლუკას თავი კგ, კზ, ვიდრე ლბ-მდის[97]. ვჰმადლობ ღმერთსა, სუყველას მოვრჩი"[98].

1819 წლის 8 იანვარს დავით რექტორისათვის მოწერილი წერილი უკანასკნელი იყო დავით ბატონიშვილისათვის. იმავე წლის 13 მაისს გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის პირმშო და მემკვიდრე დავით ბატონიშვილი. „ამავე (1819) წელსა მაისის ცამეტსა დღესა სამშაბათსა ზატიკში მიიცუალა მეფის გიორგის-ძე, პირმშო და მემკვიდრე ქართლისა დავით წელისა ორმოცდაათისა, რომელიცა იყო რუსთა ღიანარალ-ლეიტენანტი და სენატორი, ამას აქვნდა ნიშანნი კავალერია ალექსანდრე ნევსკისა და ანასი, ესე გარდაიცუალა სანკტ პეტერბურღს შინა ვასილის ოსტროვში. ამას დავითს არა დაშთა შვილი არცა ვაჟი, არცა ქალი"[99].

დავით ბატონიშვილი დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის მონასტერში, წმინდა ოქროპირის ეკლესიაში.

---

97 „ადგილპოვნისათვის წმინდისა სახარებისა მუხლთა ამათ, დავუმატე აქა ესე: „26. და შეუდგა მას სიმრავლე ერისა და დედებისა, რომელნი ეტყუებდეს და სტიროდეს მას.

27. მიექცა მათ იესო და ეტყოდა: ასულნო ერუსალემისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა.

28. რამეთუ აჰა ესერა მოვლენან დღენი, რომელთა შინა სთქუან: ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შვნეს, და ძუძუნი, რომელთა არა განზარდნეს!

29. მაშინ იწყონ სიტყუად, მთათა დამეცენით ჩუენზედა და ბორცუთა დამფარენით ჩუენ!

30. რამეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, ხმელსა მას რაჲმე ეყოს?

31. მაშინ მოჰყუანდეს სხუანიცა ორნი ძეირისმოქმედნი მოკლვად მისთანა".

98 პლატონ იოსელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 246.

99 აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალში დაცული ბაგრატ ბატონიშვილის ხელნაწერი — მოთხრობა ახალი, § 68.

დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი

(1799—1845)

1809-დან 1885 წლამდე რუსეთში 8 ბაგრატიონ-იმერეტინსკი ითვლებოდა. კონსტანტინე დავითის ძე და მისი სამი შვილი: კონსტანტინე, ნიკოლოზი და ალექსანდრე. ალექსანდრე და დიმიტრი გიორგის ძეები[1] და ამ უკანასკნელის ორი ვაჟი[2]. ამათგან ერთი იყო გენერალ-ლეიტენანტი: ალექსანდრე კონსტანტინეს ძე, ოთხი — გენერალ-მაიორი: კონსტანტინე დავითის ძე, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე, დიმიტრი გიორგის ძე და ალექსანდრე გიორგის ძე. რუსეთში დასახლებული ბაგრატიონ-იმერეტინსკების გვარის ფუძემდებელი იყო ალექსანდრე სოლომონ პირველის ძე, რომლის შვილიშვილებიც იყვნენ ალექსანდრე და დიმიტრი გიორგის ძეები, რომლებიც რუსეთის სამხედრო სამსახურში იყვნენ. ალექსანდრემ გენერალ-მაიორობით დაამთავრა სამხედრო სამსახური, ხოლო მისი უმცროსი ძმა დიმიტრი გენერალ-მაიორი იყო და გენერალ-ლეიტენანტის წოდებაზე წარდგენილი, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა. იგი გენერალ-მაიორის ჩინით გარდაიცვალა თავისი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში. ორივე ძმა ცნობილი იყო გულმოდგინე და თავდადებული სამსახურით, დაახლოებული იყვნენ ნიკოლოზ პირველთან, რომლის მფარველობითაც სარგებლობდნენ.

ალექსანდრე და დიმიტრი იმერეთში დაიბადნენ. მათი ბავშვობაც თავიდან იმერეთის ტახტიდან ჩამოგდებული მეფის — დავით გიორგის ძისშვილის, კონსტანტინე დავითის ძის უმწეო ბედს ჰგავდა. იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს ეშინოდა, ტახტს არავინ შეცილებოდა და იმერეთის სამეფო ტახტის ყველა შორეული შთამომავალიც კი პრეტენდენტად ეჩვენებოდა. ამიტომ იყო, რომ მცირეწლოვანი ძმები ალექსანდრე და დიმიტრი სოლომონ მეორემ ციხე-სიმაგრეში მოათავსა. ადვილი შესაძლებელი იყო, კონსტანტინესავით[3] ისინიც მრა-

---

[1] იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს ჰყავდა უკანონო შვილი ალექსანდრე, რომლის შვილის — გიორგის შვილები იყვნენ ალექსანდრე და დიმიტრი.

[2] Н. К. Имеретинский, Багратиды в России, с. 58.

[3] კონსტანტინე დავითის ძე სოლომონ მეორემ სამი წლისა დააპატიმრა 1793 წელს მუხურის ციხეში, საიდანაც იმპერატორ ალექსანდრე პირველის მითითებით იქნა განთავისუფლებული 1803 წელს.

ვალ წელს დარჩენილიყვნენ პატიმრობაში, ერთგულ მსახურებს — ივანე აბულაძესა და მათე ჩიტაუს რომ არ გაეთავისუფლებინათ ჩუმად.

ივანე აბულაძე და მათე ჩიტაუ წინასწარ შეთანხმდნენ დაპატიმრებული ძმების განთავისუფლებაზე, ორივენი ჩუმად შეიპარნენ ციხე-სიმაგრეში, ალექსანდრე და დიმიტრი ცალ-ცალკე ტომრებში ჩასვეს და ციხე-სიმაგრის კედლის ზემოდან თოკებით ძირს ჩამოუშვეს. კეთილმა და ერთგულმა მსახურებმა ორივე მცირეწლოვანი ბატონიშვილი გადაარჩინეს სოლომონ მეორის რისხვას.

ბატონიშვილების პატიმრობიდან თავდახსნას, რა თქმა უნდა, მალე შეიტყობდა იმერეთის მეფე სოლომონი და უფრო მკაცრ სასჯელს გამოუტანდა მათ, ამიტომ ორივენი 1811 წელს რუსეთში წავიდნენ[4]. რუსეთში მათი ჩასვლა მაშინ მოხდა, როცა საქართველოს სამეფო სახლის თითქმის ყველა წევრი სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში იყვნენ უკვე დასახლებულნი. დარეჯან დედოფალი უკვე გარდაცვლილი იყო[5], ხოლო გიორგი XII-ის ქვრივი, მარიამ დედოფალი, მხოლოდ 1811 წელს ჩავიდა მოსკოვში ბელგოროდიდან.

ხელმწიფე-იმპერატორი ალექსანდრე პირველი თითქმის 10 წლის მანძილზე ცდილობდა ბატონიშვილთა მოცილებას საქართველოდან. ამ მიზნის მისაღწევად მეფის მთავრობა ყოველგვარ ხარჯებს იღებდა და თანაც რუსეთში ჩასულ ბატონიშვილებს კარგ პირობებსაც უქმნიდა. ასეთ ვითარებაში ძმები ალექსანდრე და დიმიტრი თავიანთი ნებასურვილით გადასახლდნენ რუსეთში. როგორც ჩანს, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დიდ სიკეთედ მიიღო მათი სანკტ-პეტერბურგში გამოცხადება და მალე წმინდა ანას ორდენებით დააჯილდოვა ისინი.

ალექსანდრეც და დიმიტრიც პაჟთა კორპუსში შევიდნენ აღსაზრდელად. ალექსანდრე — კამერ პაჟად, დიმიტრი კი — პაჟად. პეტერბურგელი თანამედროვეების გადმოცემით, პაჟთა კორპუსში ძმები ყოველთვის წმინდა ანას ორდენებით დადიოდნენ[6]. პაჟთა კორპუსიდან ალექსანდრე, რომელიც სამი წლით უფროსი იყო ძმაზე, გამოშვებულ იქნა კორნეტად ულანის ლეიბ-გვარდიელთა პოლკში. 17 წლის დიმიტრი კი 1816 წელს პაჟთა კორპუსიდან კორნეტად გადაიყვანეს ლიტვის ულანის პოლკში, თუმცა ისიც მალე, 1817 წლის 10 იანვარს,

---

[4] «Русский инвалид», 1846, № 86.

[5] დედოფალი დარეჯანი 1803 წელს გადაასახლეს სანკტ-პეტერბურგში, სადაც 1807 წელს გარდაიცვალა.

[6] ნ. ი მ ე რ ე ტ ი ნ ს კ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ულანის ლეიბ-გვარდიელთა პოლკში გადაიყვანეს. ორივე ძმას დიდი და სახელოვანი მომავალი ელოდათ წინ და, მართლაც, მალე დაიმსახურეს მთავრობისა და პირადად იმპერატორის ნდობა. დიმიტრის ერთგული და გულმოდგინე სამსახურისათვის 1819 წლის 14 იანვარს პორუჩიკობა ებოძა, 14 ოქტომბერს იგი შტაბსროტმისტრი გახდა, 1823 წლის ბოლოს, 21 დეკემბერს, კი — როტმისტრი.

სამშობლოდან შორს გადახვეწილი ქართველები ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთის იმპერიას. არც თავადი დიმიტრი გიორგის ძე იყო ამ მხრივ გამონაკლისი. მისი თავდადებული სამხედრო სამსახური დროულად შენიშნეს ხელმძღვანელებმა, რომელთა წარდგინებით, საშაგალითო სამსახურისათვის, 1827 წლის 27 აპრილს დააჯილდოვეს წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით.

1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისას როტმისტრი დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი პეტერბურგში მდგარი პოლკის შემადგენლობაში მყოფ ესკადრონს მეთაურობდა. 1828 წლის 14 აპრილს მისი ესკადრონი პოლკთან ერთად დაიძრა პეტერბურგიდან და 10 აგვისტოს უკვე თურქეთის საზღვართან იდგა. დიმიტრიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო ულანის ლეიბ-გვარდიელთა პოლკის ყველა ბრძოლაში. ამ ბრძოლებში მან თავისი მამაცური და ერთგული მოქმედებით ზემდგომ ხელმძღვანელთა ყურადღება მიიპყრო. დიმიტრიმ იმდენად ჰკვიანი და გაბედული მებრძოლის სახელი დაიმსახურა, რომ პოლკის წინაშე წამოჭრილ ყველა სერიოზულ დავალებას მას ანდობდნენ. ერთხელ მას მტრის განლაგების რეკოგნოსცირება დაევალა. თავისი რაზმით მოხერხებულად მიუახლოვდა თურქთა მეწინავე საგუშაგოებს, მოულოდნელად დაესხა თავს, გასწყვიტა ყველა და თურქეთის არმიის ძირითად ბანაკამდე მივიდა, სადაც ომარ ფაშას მეთაურობით 30 ათასამდე თურქი მეომარი იდგა. დაზვერა იქაურობა და უვნებლად დაბრუნდა უკან. დიმიტრიმ ბრწყინვალედ შეასრულა დავალება, თავისი რაზმიც თითქმის უვნებლად მოიყვანა და მტრის ძალების განლაგებისა და მისადგომი გზების ზუსტი სურათიც მოიტანა. მის მიერ ჩატარებულმა ამ რეკოგნოსცირებამ დიდად შეუწყო ხელი რუსეთის ჯარის წინსვლას. დიმიტრის ამ თავდადებული და მოხერხებულად ჩატარებული ოპერაციისათვის 1828 წლის 8 ნოემბერს პოლკოვნიკის ჩინი მისცეს[7].

პოლკოვნიკის ჩინის მიღებით აღფრთოვანებული დიმიტრი უფრო მეტი თავდადებით განაგრძობდა ბრძოლას თურქების წინააღმდეგ.

[7] «Русский инвалид», 1846, № 86.

მდინარე კამჩიკთან ბრძოლაში გმირობისა და თავის გამოჩენისათვის იგი წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოეს.

თურქეთთან საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ თავადი დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკი, პოლკთან ერთად, პოლკოვნიკის ჩინით პეტერბურგში დაბრუნდა. მის მამაცობასა და გმირობაზე ბევრი ლაპარაკობდა პეტერბურგში. განსაკუთრებით გავრცელდა ხალხში მისი რეკოგნოსცირების ამბავი. 1830 წელს პეტერბურგში მდგარი გვარდიელთა პოლკები პოლონეთის საზღვრისაკენ წავიდნენ. მათ ადგილას, საჭირო შემთხვევისათვის, უნდა შექმნილიყო რეზერვი, რისთვისაც აუცილებელი იყო სანდო, გონიერი, ჭკვიანი და გამოცდილი შტაბის ოფიცრის დატოვება, რომელიც სარეზერვო ძალების ფორმირებას უზრუნველყოფდა. კანდიდატურა ბევრი იყო. ნაწილის ხელმძღვანელობამ ეს ფრიად სერიოზული საქმე დიმიტრის მიანდო. პოლკოვნიკი დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკი დაუყოვნებლივ შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მან თავისი დაუღალავი ენერგიისა და დიდი მონდომების წყალობით დროულად და კარგად ჩამოაყალიბა საჭირო რეზერვი. მთავრობამ მას მადლობა გამოუცხადა და 1831 წლის 22 აგვისტოს იმპერატორის გვირგვინით დამშვენებული წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი უბოძა[8].

1833 წლის 1 ივლისს დიმიტრი დანიშნეს კურლანდიის (შემდეგში, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მემკვიდრე ცესარევიჩის) ულანის პოლკის უფროსად. დიმიტრისთვის დიდი წინსვლა იყო ამ პოლკის მეთაურად დაწინაურება, თუმცა გული წყდებოდა თავის პოლკზე, სადაც მან ახალგაზრდობის 16 წელი გაატარა და ზემდგომ მეთაურთა და მეგობართა დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

1836 წლის 1 აგვისტოს მას გენერალ-მაიორის წოდება მისცეს და სამუშაოდ განაწესეს ცხენოსანთა ჯარის ინსპექტორთან — კავალერიის გენერალ გრაფ ვიტტესთან, სადაც დიდხანს არ დარჩენილა. იმავე წლის 6 დეკემბერს იგი დაინიშნა ულანის დივიზიის მეორე ბრიგადის მეთაურად. ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, იგი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ერთ წელიწადში ისეთი წესრიგი დაამყარა და ისეთ ბრწყინვალე ფორმაში მოიყვანა თავისი ბრიგადა, რომ ხელმძღვანელობამ, დათვალიერების შემდეგ, 1837 წლის 13 ნოემბერს, წმინდა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენი უბოძა. ერთი თვის შემდეგ, იმავე წლის 6 დეკემბერს, უშუალოდ ხელმწიფე იმპერატორის მითითებით, თავადი დიმიტ-

---

[8] «Русский инвалид», 1846, № 86.

რი გროდნოს ჰუსართა ლეიბ-გვარდიელთა პოლკის მეთაურად დაინიშნა[9].

1838 წლის 6 დეკემბერს დიმიტრი დაამტკიცეს ამ პოლკისა და მეორე მსუბუქი გვარდიელთა ცხენოსანთა დივიზიის მეორე ბრიგადის მეთაურად, როგორც ჩანს, მან ისეთი დიდი ნდობა და სახელი მოიხვეჭა, რომ ერთდროულად ორი თანამდებობა მისცეს. ქართველი გენერალი მთელი თავისი ენერგიით შეუდგა ორივე თანამდებობაზე მოვალეობის შესრულებას. განსაკუთრებით ბევრი დახვდა გასაკეთებელი გროდნოს ჰუსართა ლეიბ-გვარდიელთა პოლკში. ამ პოლკში დისციპლინა არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. გარეგანი სახეც არ იყო სახელმოხვეჭილი პოლკის შესაფერისი. ახალი მეთაური ჩვეული ენერგიით შეუდგა პოლკის მოწინავეთა რიგებში ჩაყენებას. მაგრამ ორი კვირის დანიშნული იყო ამ თანამდებობაზე, როცა დიდმა თავადმა მიხეილ პავლეს ძემ დაათვალიერა მის ხელმძღვანელობაში მყოფი გროდნოს ჰუსართა ლეიბ-გვარდიელთა პოლკი. დიდ თავადს არ მოეწონა პოლკის არც საბრძოლო მდგომარეობა და არც გარეგანი სახე. დათვალიერებისთანავე იგი უკმაყოფილო შემოტრიალდა გენერალ დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკისაკენ და განრისხებულმა შესძახა: „თავადო ბაგრატიონო, თქვენ პოლკს უკანვე ჩამოგართმევთ“[10].

დიმიტრის არ სჩვეოდა უფროსებისადმი პირფერობა და არც უსიტყვო მორჩილება. მან განრისხებულ დიდ თავადს დაუყოვნებლივ მიახალა: „თქვენ პოლკი არც მოგიციათ და ვერც ჩამომართმევთ“[11]. ასეთი დაუფიქრებელი და მოურიდებელი პასუხისათვის შესაძლებელი იყო მისი არამც თუ თანამდებობიდან გადაყენება, არამედ ჩინისა და თავისუფლების დაკარგვაც კი.

დიდი თავადი მიხეილ პავლეს ძე კეთილი და დიდბუნებოვანი პიროვნება იყო, არ გაბრაზებულა და არც სწყენია ხელქვეითი გენერლის მკაცრი, მაგრამ დაუფარავი გულახდილობა. თანაც დიდმა თავადმა იცოდა, რომ სულ რაღაც ორი კვირის ჩაბარებული ჰყავდა პოლკი და, რა თქმა უნდა, ამ მცირე ხნის განმავლობაში ვერაფრის გაკეთებას მოასწრებდა. თუ პოლკის სამწყობრო მდგომარეობა და გარეგანი სახე არ იყო სათანადო დონეზე, ეს დიმიტრის წინამორბედის დანაშაული იყო და არა ახალი მეთაურისა. დიდმა თავადმა მიხეილ პავლეს ძემ გადაწყვიტა პოლკში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად თვითონ მიეღო ზომები ახლო მომავალში. ქართველი გენერალი და დიდი თავადი მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს.

---

9 ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

10 იქვე. გვ. 79.

11 იქვე.

ფიცხმა გენერალმა დიდ შეურაცხყოფად მიიღო დიდი თავადის ზემოხსენებული სიტყვები და, კვლავ ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, დაწერა პოლკის მეთაურობიდან გადადგომის პატაკი, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცა დიდ თავადს[12].

სამხედრო წესის თანახმად, დიმიტრი ბაგრატიონს პატაკი ჯერ დივიზიის მეთაურისათვის უნდა გადაეცა და არა გვარდიელთა და გრენადერთა კორპუსების მეთაურისათვის. როცა დიმიტრი პატაკით ხელში ეახლა დიდ თავად მიხეილ პავლეს ძეს, ეს უკანასკნელი ქაღალდის დანახვისთანავე შეეკითხა: „რა არის ეს თქვენს ხელში?“. „პატაკი სამსახურიდან გადადგომის შესახებ, თქვენო უმაღლესობავ, — უპასუხა ქართველმა გენერალმა, — ხელმწიფეს არ სჭირდება ისეთი პოლკის მეთაურები, რომლებსაც უმაღლესი ხელმძღვანელობა უღირსადა სთვლის უფროსობისათვის. სინდისი ჩემი წმინდაა. ორი კვირაა, რაც ამ თანამდებობაზე ვარ, მაშასადამე, არაფრის არც გაფუჭებია და არც გამოსწორება არ შემეძლებოდა“.

დიდმა თავადმა გამოართვა პატაკი და გადახია, დახეული ქაღალდი დაუბრუნა და უთხრა: „როგორ გეკადრებათ თავადო! მე გავცხარდი და არც თქვენ არ დარჩენილხართ ვალში. მომეცით ხელი, შევრიგდეთ!“[13]. მან ხელი მოხვია დიმიტრის. ამით დამთავრდა ფიცხი ქართველი გენერლისა და ყოვლისშემძლე დიდი თავადის მიხეილ პავლეს ძის უსაფუძვლო, შემთხვევითი ინციდენტი.

ამის შემდეგ, დიმიტრისა და დიდ თავადს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. გროდნოს ჰუსართა ლეიბ-გვარდიელთა პოლკი მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა, რის გამოც ქართველმა გენერალმა 1839 წლის 6 დეკემბერს წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენი მიიღო, ხოლო 1841 წლის 6 დეკემბერს ზემოაღნიშნული წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენის შესამკობლად იმპერატორის გვირგვინი უბოძეს.

დიმიტრი ბაგრატიონ- იმერეტინსკიმ თავისი ერთგული სამსახურით ისე გაითქვა სახელი, რომ 1842 წლის 1 ივლისს პრუსიის მეფემ თავისი სამეფოს წითელი არწივის მეორე ხარისხის ორდენი უბოძა ვარსკვლავთან ერთად. 1842 წლის 3 დეკემბერს, ოფიცრის ჩინით 25 წლის მანძილზე უმწიკვლო, გამორჩეული მუყაითი სამსახურისათვის, წმინდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ერთი წლის შემდეგ კი წმინდა ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენი დაიმსახურა. გარდა ხსენებული ორდენებისა, მას ჰქონდა მიღებული ნი-

---

12 ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

13 იქვე.

შანი 25 წლის უმწიკვლო სამსახურისათვის და ვერცხლის მედალი თურქეთის 1828—1829 წლების ომისათვის. დიმიტრის არ აკლდა სახელი და დიდება, არც ორდენები და არც ხელმწიფე-იმპერატორის წყალობა.

1845 წელს ნიკოლოზ I-მა გენერალ-მაიორი დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკი დააწინაურა მეორე მსუბუქ ცხენოსანთა დივიზიის მეთაურად. დიმიტრი და მისი ძმა ალექსანდრე იმერეტინსკების გვარით იყვნენ ცნობილნი.

ხელმწიფე იმპერატორი იმდენად კმაყოფილი იყო მათი ერთგული, უმწიკვლო სამსახურით და იმდენად ახლოს იყო მათთან, რომ ერთხელ გამოიძახა ისინი და უთხრა: „თქვენ გვარეულობაში იყო სახელგანთქმული მხედართმთავარი თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი. მე მსურს, რომ თქვენ ატაროთ ეს დიდებული სახელი. თქვენ ღირსები ხართ ატაროთ ის, ვინაიდან ორივენი ჩინებულად მსახურობთ[14]. დაე, ყველამ დაინახოს თვით თქვენით, რომ თქვენს გვარში სამხედრო მამაცობა და გმირობა არ კნინდება“. ხელმწიფე-იმპერატორის ამ შექების შემდეგ თავადები ალექსანდრე და დიმიტრი გიორგის ძეები იწოდებოდნენ ბაგრატიონ-იმერეტინსკებად[15].

დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკისათვის მეორე მსუბუქ ცხენოსანთა დივიზიის მეთაურობა ბოლო თანამდებობა იყო. აქედან ის ღარსად გადასულა სამსახურში. აქაც ჩვეული ენერგიითა და გულმოდგინებით შეუდგა თავის საყვარელ საქმეს. ხელმწიფე-იმპერატორი ყველა კმაყოფილი იყო მისი ამ თანამდებობაზე მოღვაწეობით. სამხედრო სამსახურში ყოფნისას, თავის ხელმძღვანელობაში არსებული ნაწილების უმაღლესად დათვალიერებისას, კარგი შეფასებისათვის დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკის 105-ჯერ ჰქონდა მიღებული ხელმწიფე იმპერატორის წყალობა. იგი მთელი ენერგიით, თავდაუზოგავად ემსახურებოდა ჩაბარებული პოლკისა თუ დივიზიის ბრძოლის მაღალუნარიანობის საქმესა და მებრძოლთა კეთილდღეობას. იგი იმდენად თავდავიწყებით იყო დაკავებული სამსახურით, რომ თავის თავზე ზრუნვისათვის დრო არ ჰქონდა. 1840-იანი წლების დასაწყისში მას ავადმყოფობა შეეპარა, მკურნალობისა და თავის მოვლისათვის არც დრო ჰქონდა და არც თავს იწუხებდა. 1845 წლის 6 ნოემბერს თავადი დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი გარდაიცვა-

---

[14] ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[15] იქვე.

ლა თავისი მეუღლის[16] ხელზე, რომელიც მას არასდროს არ ტოვებდა მარტო.

დიმიტრი გიორგის ძე 46 წლისა გარდაიცვალა. მისი ახლობლების გადმოცემით, ის იყო სამართლიანი, წინდახედული და ხელქვეითებისადმი არაჩვეულებრივად ყურადღებიანი. იყო მომთხოვნი როგორც ხელქვეითებისადმი, ასევე თავისი თავისადმი. ჰქონდა დიდი ენერგია და ნებისყოფა დასახული მიზნის შესრულებისათვის. იგი ყოველთვის მოკრძალებულ და თავშეკავებულ ცხოვრებას ეწეოდა. მისთვის უცხო იყო ყოველგვარი ჟინიანობა და ახირება. იყო ფრიად საქმიანი და გამრჯე, არაჩვეულებრივად ნაკითხი[17].

სიკვდილის წინ სანახავად მოსულ მეგობრებს თვითონვე გულისტკივილით და სინანულით მიმართავდა, რომ სტოვებდა მათ არა ბრძოლის ველზე, სადაც თავისი სისხლით აღბეჭდავდა ხელმწიფისა და სამშობლოსადმი ურყევსა და სამუდამო ერთგულებას, არამედ სარეცელს მიჯაჭვული, ყოველგვარი ბრძოლისა და ბრძოლის ველის გარეშე.

დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკი იმდენად სახელგანთქმული, დიდი ავტორიტეტის მქონე და თვით იმპერატორისაგან დაფასებული პიროვნება იყო, რომ დაკრძალვას ესწრებოდნენ დიდი თავადის ცესარევიჩის მემკვიდრე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, დიდი თავადი მიხეილ პავლეს ძე, ჰერცოგი მაქსიმილიან ლეიხტენბერგი და სხვ. იგი დასაფლავებულია პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში, დასავლეთ მხარეს, კედლიდან 8—10 მეტრის მოცილებით. მის საფლავზე წითელი, შავი და ნაცრისფერი გრანიტისაგან ლამაზად შერწყმული ოთხნახევარი მეტრი სიმაღლის ულამაზესი ძეგლია დადგმული.

Генерал-Маиор
князь
Дмитрий Георгиевич
Багратион-Имеретинский
сконч. на 46 году
6 ноября 1845 года

---

[16] დიმიტრი გიორგის ძე დაქორწინებული იყო ოლღა ვალერიანის ასულ სტრონოვსკაიაზე, რომელთანაც ჰყავდა ორი შვილი — ალექსანდრე და დიმიტრი. მანამ ოლღა გათხოვდებოდა დიმიტრი გიორგის ძეზე, დედამისი მეორედ გათხოვდა ნოვგოროდის გენერალ-გუბერნატორ გენერალ ზუროვზე, რომელთანაც ეყოლა 1 ვაჟი და 1 ქალი მარიამი. მარიამი ცოლად ჰყვა კონსტანტინე ბატონიშვილის შვილს ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის ცოლად. ამრიგად, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე დაუნათესავდა ალექსანდრესა და დიმიტრის.

[17] «Руоский инвалид», 1846, № 86.



დიმიტრი გიორგის-ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკისა და მისი მეუღლის — ოლღა ვალერიანის-ასულ ბაგრატიონ-იმერეტინსკის [სტროინოვსკაიას] საფლავზე დადგმული ძეგლი ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ღაზარევის სასაფლაოზე.

ძეგლის აღმოსავლეთ მხარეს, ზევით წარწერაა.

წარწერის ზემოთ სურათის ჩასადგმელადაა ამოკვეთილი გრანიტი (33X22 სმ). ეტყობა სურათი მალე დაზიანებულა და ამჟამად ცარიელი ადგილია დარჩენილი.

როგორც აღინიშნა, დიმიტრი გიორგის ძეს დარჩა მეუღლე ოლღა ვალერიანის ასული გრაფინია სტროინოვსკაია და ორი შვილი — ალექსანდრე და დიმიტრი[18]. ოლღა ვალერიანის ასული სტროინოვსკაია გარდაიცვალა მარსელში 1853 წლის აპრილში. როგორც ჩანს, იგი ჩამოასვენეს სანკტ-პეტერბურგში და დაკრძალეს მეუღლის გვერდით. ძეგლის დასავლეთ მხარეს წარწერაა გაკეთებული:

Княгиня
Ольга Валериановна
Багратион-Имеретинская
урожденная графиня Стройновская.
скончалась на 29-м году
в Марселе
Апр. 1853 г.

ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი
(1797—1862)

თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი დიმიტრი გიორგის-ძის უფროსი ძმა იყო. ორივე ძმა ათლეტური აღნაგობისა და ლამაზი სახისანი იყვნენ.

ალექსანდრე გიორგის ძე ბატონიშვილ კონსტანტინე დავითის ძეს ჰგავდა ტანადობითა და სახით. ნიკოლოზ იმერეტინსკის გადმოცემით, ალექსანდრესა და დიმიტრის რომ ჩაეცვათ სამხედრო ფორმა და შეერეულიყვნენ ხალხში, გარეგნობით ყველა ადვილად მიხვდებოდა, რომ ისინი ბაგრატიონები იყვნენ. როგორც აღინიშნა, ალექსანდრე პაჟთა კორპუსში იზრდებოდა, საიდანაც კორნეტად გადაიყვანეს ულანთა

---

[18] ორივე ძმა პაჟთა კორპუსში იზრდებოდა. უფროსი, ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი პაჟიდან ლეიბ-ჰუსარი გამოვიდა. ცოტახანს იმსახურა და დატოვა სამსახური. მალე კვლავ შევიდა სამხედრო სამსახურში. ვერავითარ წინსვლას ვერ მიაღწია. გარდაიცვალა 39 წლისა, იტალიაში, 1885 წელს. მას შვილები არ დარჩენია. დასაფლავებულია ნოვოღეევიჩის მონასტერში. უმცროსი — დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკი, პაჟთა კორპუსიდან სამხედრო სამსახურს შეუდგა, თუმცა იმნაც ვერ წაიწია წინ და მალე თავი დაანება. მისი გარდაცვალების წელი არაა ცნობილი. შთამომავლობა კი არ დარჩენია.

ლეიბ-გვარდიულ პოლკში. ძმასავით მასაც კარგი მომავალი ჰქონდა. მან თავისი სამსახურით მალე მიიპყრო უფროსების ყურადღება, დაიმსახურა ხელმწიფე-იმპერატორის ნდობა და წყალობა. სამხედრო სამსახურში მის მიერ განვლილი გზა ჯერჯერობით დადგენილი არაა, თუმცა ცნობილია, რომ 1840-იანი წლების დასაწყისში იგი გენერალ-ადიუტანტი გახდა. სამხედრო სამსახურში იგი ბევრჯერ დააწინაურეს. დივიზიის მეთაური გახდა, მაგრამ გენერალ-ადიუტანტის წოდება შერჩა ბოლომდე.

ალექსანდრე ძალიან კეთილი ადამიანი იყო. მის ხელმძღვანელობაში მყოფ სამხედრო ნაწილების ოფიცრებსა და მებრძოლებს მეტად უყვარდათ თავიანთი მეთაური. ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი ძალიან ფიცხი იყო, მაგრამ მალე ავიწყდებოდა გულის მოსვლა და გაბრაზება.

ერთხელ, ხელმწიფე-იმპერატორის ამალაში ყოფნის დროს, სამსახურებრივი საქმისათვის გაგზავნეს მეზობელი გუბერნიის ქალაქში, გუბერნატორთან. ალექსანდრეს ეჩქარებოდა და მეეტლესაც აჩქარებდა, უნდოდა დროზე მისულიყო დანიშნულ ადგილას. ნახევარი ვერსი იყო დარჩენილი ქალაქამდე, რომ მოულოდნელად მათ კარეტას საბარგულმა გადაუღობა გზა. მებარგულეები უკრაინელები იყვნენ. ალექსანდრეს მეეტლემ იმდენი უყვირა და ემუდარა მებარგულებს, რომ ხმა ჩაეხლიჩა. მებარგულეები, პირიქით, ბრალს სდებდნენ მეეტლეს და უყვიროდნენ: შენ საით ბრუნდები, ვერ ხედავ, რომ ჩვენც იქით მივდივართ? ისინი იცინოდნენ და გზიდან გადასვლას არ ფიქრობდნენ. საბარგულის მიზეზით მთელი გზა შეიკრა. ქართველ გენერალს ეჩქარებოდა და მეეტლეს აძალებდა, როგორმე ასცილებოდა საბარგულს.

გაბრაზებულმა მეეტლემ შეჰყვირა: რას შვრებით, რას ჩადიხართ ნახევრად შეშლილებო, იცით, ვინ მიმყავს? ჩემი ბატონი წარჩინებული გენერალია, იგი ამალაშია („Он в свите“)“. სამწუხაროდ, „სვიტა“ უკრაინულ ენაზე მამაკაცის უბრალო გლეხურ გრძელკალთებიან ზედა სამოსს ნიშნავს, ამიტომაც მებარგულეებმა ხარხარი დაიწყეს და მეეტლეს მიაძახეს: „ჩვენთან ყველა „სვიტაშიაო“.

ალექსანდრე სასტიკად აღენთო, კარეტიდან თავი გამოჰყო და ლანძღვით მიმართა, რომ „ის მიდიოდა სამსახურებრივი საქმისათვის თვით ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ პავლეს ძეს ბრძანებით“[19].

ახალგაზრდებმა გაოგნებული ქართველი გენერლის სიტყვები არაფრად ჩააგდეს და მიაძახეს: „ჩვენ თვითონ თევდორე მიხეილის-ძის კონტორის მსახურები ვართ“. მებარგულე ახალგაზრდები ჯიუტობდნენ, არ იცოდნენ ვისთან ჰქონდათ საქმე და არ აპირებდნენ საბარგულის გვერდზე გადაყენებას, რომ გენერლის კარეტისათვის გზა მიეცათ. საბედნიეროდ, მეეტლემ მოახერხა საბარგულისათვის გვერდის აქცევა და იქაურობას მალე გაშორდნენ. ქალაქში მისვლისთანავე ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი გუბერნატორს ეახლა. სამსახურებრივი საქმის დაწყებამდე მომხდარი ამბავი მოახსენა და სთხოვა დამნაშავეთა დასჯა. გუბერნატორმა ბრძანება გასცა, სასწრაფოდ მოენახათ დამნაშავენი და სასტიკად დაესაჯათ. ძებნა დიდ ხანს არ გაგრძელებულა, მალე მოიყვანეს მებარგულე ახალგაზრდები და დაამწყვდიეს სასჯელის დადებამდე.

ქართველ გენერალს, როგორც ყოველთვის, იმჯერადაც მალე გადაუარა სიბრაზემ და იკითხა — „სად არიან ახლა დამნაშავენი?“ როცა შეიტყო, რომ ისინი დამწყვდეულები ჰყავდათ და სასჯელს ელოდნენ, თვითონვე სთხოვა გუბერნატორს მათი განთავისუფლება. ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკის თხოვნით ორივე დამნაშავე იმავე დღეს გაათავისუფლეს. ალექსანდრეს, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი დამსახურება და ავტორიტეტი ჰქონდა როგორც თავის ხელმძღვანელობაში მყოფ სამხედრო ნაწილისა თუ დივიზიის მთელი შემადგენლობის წინაშე, ასევე ზემდგომი უფროსების წინაშეც. იმპერატორი პირადად იცნობდა და მაღალ შეფასებას აძლევდა მის ერთგულსა და თავდადებულ სამსახურს. ალექსანდრე, მართლაც, არაჩვეულებრივი ერთგულებითა და სამაგალითო მონდომებით ემსახურებოდა იმპერიის ინტერესებს, მაგრამ არც თავისი ქართველობა ავიწყდებოდა, უყვარდა თავისი სამშობლოც და გვარიც[19].

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 1840-იანი წლების დასაწყისიდან იცნობდა ორივე ძმას. უყვარდა კიდეც ალექსანდრე და დიმიტრი, ქება-დიდებასაც ასხამდა ორივეს დამსახურებასა და პიროვნებებსაც, მაგრამ ალექსანდრეს ნათესაური ერთგულებითა და სიყვარულით არ იყო კმაყოფილი. ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკი წერდა თავის მოგონებებში: „მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე გიორგის ძეს ხშირად უყვარდა ფრაზები: „ჩვენი გვარი, ჩვენი

---

[19] ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

ქალაქი, ჩვენი სისხლი", საქმით სულ სხვანაირად იქცეოდა"[20]. ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ სიკვდილამდე ვერ დაივიწყა ალექსანდრეს მიერ ერთხელ მისდამი შეშთხვევითი უყურადღებობა. როცა ახალგაზრდა ნიკოლოზი პაჟთა კორპუსში იმყოფებოდა, ალექსანდრე უკვე გენერალი იყო. ქართველ გენერალს ერთხელ მოუსურვებია იმავე პაჟთა კორპუსში მყოფი თავისი მეგობრის გენერალ ზასის შვილების ნახვა. ალექსანდრეს უნახავს გენერალ ზასის შვილები, ხოლო იქვე მყოფი თავისი ნათესავის — ნიკოლოზის — ნახვა დავიწყებია. ეს ამბავი ძალიან განუცდია პატარა ნიკოლოზს და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაწერილ თავის მოგონებებში ჩაუწერია გულისტკივილით: „მახსოვს, ალექსანდრე გიორგის ძე ერთხელ პაჟთა კორპუსში მოვიდა. მოითხოვა გამოეძახათ მისი ამხანაგის — გენერალ ზასის—შვილები, ჩემი ნახვა კი არ მოისურვა. ჩემმა პაჟელმა ამხანაგებმა მითხრეს „ბიძაშენი მოსაცდელ ოთახშია, წადი იმასთან". მე ჩავედი მეკარის ოთახში, შევიხედე კარის მინიდან და გარკვევით დავინახე, რომ ბიძაჩემი ელაპარაკებოდა ზასებს. მე შევეკითხე ამხანაგებს, ხომ არ უკითხავს ჩემს შესახებ რაიმე ბიძაჩემს? მიპასუხეს, რომ არა, შენს შესახებ არაფერი არ უკითხია. „აბა, თუ ის მე არაფრად მაგდებს, მეც მას არაფრად არ ჩავაგდებ. გავიფიქრე გულში, შემოვბრუნდი და წავედი". 20 წლის შემდეგ მოუგონებია ნიკოლოზს ეს უსიამოვნო ამბავი ალექსანდრესთვის. ალექსანდრე გახევდა, ხელები გაშალა და ისე დაიბნა, რომ მხოლოდ წაიბუტბუტა: „ო, ძმაო, ხანგრძლივად გცოდნია შენ დამახსოვრება". ამ მოგონების შემდეგ, აღარ ივიწყებდა ალექსანდრე მომხდარ ამბავს და ნიკოლოზთან შეხვედრისას ყოველთვის იმეორებდა: „ტფუ, როგორი მეხსიერება გქონია"! ამ ორ ბაგრატიონ-იმერეტინსკის შორის მომდევნო წლებში უფრო ახლო ნათესაური ურთიერთობა დამყარდა. ნიკოლოზი სწირად ნახულობდა უკვე სიბერეში შესულ ქართველ გენერალს.

ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი იმპერატორის დიდი ნდობითა და წყალობით სარგებლობდა, ხელმწიფის ამალაშიც მსახურობდა. იგი ცხენოსანთა დივიზიის მეთაური იყო და ამ თანამდებობაზე ბევრგან გენერალ-ლეიტენანტის ჩინით იყო. ალექსანდრემ გენერალ-ადიუტანტის ჩინით დატოვა სამხედრო სამსახური. 1850-იანი წლების ბოლოს მას ავადმყოფობა დასჩემდა. მალე მაღალი წნევის გამო დამბლა განუვითარდა. პარალიზებული მოხუცი ალექსანდრე სიკვდილის წინ კვლავ მოინახულა ნიკოლოზმა, დაამშვიდა ავადმყოფი, რომ პარალიზებული ავადმყოფები კვლავ დიდ ხანს ცოცხლობენო.

---

[20] ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.



ალექსანდრე გიორგის-ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის საფლავზე დაღგმული ძეგლი ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ლაზარევის სასაფლაოზე.

გაიხსენა თავისი მამის კონსტანტინეს ავადმყოფობა, რომ ისიც ასევე იყო დაავადებული და მაინც დიდ ხანს იცოცხლაო. ალექსანდრე ყურადღებით უსმენდა, ბოლოს ნაღვლიანად გააქნია თავი და მოულოდნელად მიმართა ნიკოლოზს: „შენ, ნიკოლოზ, დაივიწყე გეთაყვა პატარა ზასების შესახებ“! ამ საუბრის შემდეგ ალექსანდრეს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა 1862 წელს. მას ცოლი არ ჰყოლია და, რაღა თქმა უნდა, შთამომავლობა არ დაუტოვებია.

ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი დაკრძალეს ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ლაზარევის სასაფლაოზე, თავისი ძმის დიმიტრის გვერდით. მის დაკრძალვას ესწრებოდა პეტერბურგის მოწინავე საზოგადოება, ქალაქის მთელი გენერლობა და მთავრობის წარმომადგენლები. ალექსანდრე გიორგის ძესაც ზუსტად ისეთივე ძეგლი დაუდგეს, როგორიც მისი ძმის დიმიტრის საფლავზე დგას.

ძეგლის ზემო ძირითად ნაწილში, შავ გრანიტში, ამოკვეთილია წარწერა:

Генерал-Адъютант
Генерал от Кавалерии князъ
Александр Георгиевич
Багратион-Имеретинский
скончался 5-го февраля 1862 года
на 66 году от рождения

ორივე ძმის — ალექსანდრესა და დიმიტრის — იმპერიის წინაშე დიდ დამსახურებასა და ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ ისინი დაიკრძალნენ ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ლაზარევის სასაფლაოზე, იქ, სადაც რუსეთის საქვეყნოდ ცნობილი პირები იკრძალებოდნენ[21].

---

[21] ალექსანდრე ნეველის ლავრა რამდენიმე ახლომდებარე სასაფლაოსაგან შედგებოდა. მათ შორის ყველაზე ძნელად ხელმისაწვდომი ლაზარევის სასაფლაო ყოფილა, სადაც რუსეთის იმპერიის გამოჩენილი და ყოვლისშემძლე პირები იმარხებოდნენ. ლაზარევის სასაფლაოს ტერიტორია ძველად კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და პატრონი ძალიან ძვირად ჰყიდდა დასაკრძალავ ადგილებს. ამიტომ იყო, რომ გამოჩენილ პირებს ან თვითონ უნდა დარჩენოდათ დიდძალი თანხა ანდა მთავრობის ხარჯით უნდა მომხდარიყო ადგილის ყიდვაც და დაკრძალვაც. ალექსანდრე ნეველის ლავრის ლაზარევის სასაფლაო დაახლოებით 5000 კვ. მეტრს შეადგენს. ამ მცირე ფართობზე 1000-მდე პიროვნებაა დაკრძალული, რომელთაგან არ მოიძებნება არც ერთი, რომლის სახელიც მთელ იმპერიაში არ ყოფილიყოს ცნობილი. გარდა ამისა ალექსანდრე და დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკების სხვადასხვა ფერებისაგან გემოვნებით შერწყმული გრანიტის ძეგლები იმდენად ძვირფასია და ლამაზად არის შესრულებული, რომ იმ ტერიტორიაზე არსებულ ყოვლისშემძლეთა ძეგლებს შორის დღესაც პირველობას იმსახურებენ.

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი (1837—1900)

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იყო სოლომონ მეორის მიერ იმერეთის ტახტიდან ჩამოგდებული მეფის — დავით გიორგის ძის შვილის — კონსტანტინე დავითის ძის უმცროსი შვილი მესამე ცოლისაგან (ეკატერინე სერგის ასულ სტრახოვასაგან). იგი დაიბადა პეტერბურგში 1837 წელს. პატარა ალექსანდრე 8 წლისაც არ იყო, როცა 1844 წელს მამა გარდაეცვალა. კონსტანტინე დავითის ძე სიკვდილის წინ იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ 1842 წელს დამბლადაცემული გოლიცინის საავადმყოფოდან ძლივს გადაიყვანეს დონის მონასტრის ახლოს, დონის ქუჩაზე უხმაურო ადგილას მდებარე წყნარ ბინაში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი ორი წელი გაატარა მწოლიარემ.

ოჯახის ხელმოკლეობის მიზეზი ისიც იყო, რომ პენსიას, რომელსაც კონსტანტინე დავითის ძის დედა, იმერეთის ყოფილი დედოფალი ანა ღებულობდა, თავის შვილსა და მის ოჯახს ახმარდა[1]. მამის გარდაცვალების შემდეგ პენსია, 7000 მან., რომელსაც კონსტანტინე და-

---

[1] კონსტანტინემ რუსეთის მთავრობას დედის პენსიის დაბრუნება სთხოვა. ოფიციალური მიმოწერაც გაიმართა ამ საკითხზე, მაგრამ მინისტრმა ბლუდოვმა საბოლოოდ უარი განაცხადა პენსიის დაბრუნებაზე. როცა 1850 წელს საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ქვრივი, დედოფალი მარიამ გიორგის ასული გარდაიცვალა, მისი კუთვნილი პენსია — 13 ათ. მანეთი მთლიანად შვილებს დარჩათ და გაუნაწილდათ. პენსიის ამგვარი დატოვება — გადანაწილება კვლავაც რომ არ მოეთხოვათ სხვა ბატონიშვილებს, მარიამ დედოფლის პენსიის შვილებისათვის დატოვების ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ეს მოხდა „ხელმწიფის განსაკუთრებული წყალობითა და არა სხვათა სამაგალითოდ". მიუხედავად ასეთი განმარტებისა, კონსტანტინე დავითის ძის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძემ კვლავ მოითხოვა მამამისის მიერ „ნათხოვარი" პენსიის დაბრუნება. ანა დედოფლის პენსიის დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. მეფის მინისტრმა სერგეი სტეფანეს ძე ლანსკოიმ კვლავ უარით უპასუხა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძეს. იმერეთის ბატონიშვილები გაცილებით ღარიბულად ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ბატონიშვილებთან შედარებით. იმერეთის თავადებს 50%-ით ნაკლები შემოსავალი ჰქონდათ ქართველ ბატონიშვილებთან შედარებით. მაგალი-

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი

ვითის ძე იღებდა სიცოცხლეში, დაქვრივებულ მეუღლესა და სამივე შვილს გაუნაწილდა, იმპერატორის მითითებით. ქვრივ ეკატერინე სერგის ასულ სტრახოვას მიეცა 2642 მანეთი. პენსიის დანარჩენი ნაწილი

თად, ალექსანდრე ბატონიშვილის შვილს — თავად ირაკლის შვიდჯერ მეტი შემოსავალი ჰქონდა იმერეტინსკებთან შედარებით... იხ. ნ. იმერეტინსკის დასახელებული ნაშრომი, გვ. 96—98.

— 4358 მანეთი — სამივე ძმას: კონსტანტინეს, ნიკოლოზსა და ალექსანდრეს. თითოეულ მათგანს მიეცა 1452 მან. და 67 კაპიკი[2].

მამის პენსიის დანაწილებისთანავე, მცირეწლოვან ძმებს მეურვედ შრსკოვის საქალაქო საავადმყოფოს ბუხჰალტერი, კოლეგიის ყოფილი ასესორი — იაგორ ივანეს ძე სიროტინინი დაუნიშნეს, რომელიც კეთილი და უაღრესად პატიოსანი ადამიანი აღმოჩნდა. იგი დიდ ყურადღებას იჩენდა დაობლებული ძმებისადმი და ეკონომიურად ახარჯებდა კუთვნილი პენსიების ნაწილს, ნაწილს კი უგროვებდა და უნახავდა მომავლისათვის[3]. როგორც ყველა ბატონიშვილი, ალექსანდრეც პაჟთა კორპუსში შეიყვანეს, საიდანაც 1855 წელს პრაპორშჩიკად გაამწესეს ცხენოსანთა გვარდიულ დივიზიაში[4]. ეს დივიზია პეტერბურგში იდგა უმოქმედოდ, რის გამოც მალე მოწყინდა ალექსანდრეს იქ სამსახური და მოინდომა კავკასიის მოქმედ არმიაში გადასვლა, რომელიც ბრძოლებს აწარმოებდა შამილის წინააღმდეგ. მაშინდელი მეფისნაცვალი თავადი ბარიატინსკი შეპირდა ალექსანდრეს, რომ თუ კავკასიაში განაწესებდნენ სამხედრო სამსახურში, მას თავის ადიუტანტად აიყვანდა[5]. მეფისნაცვლის — თავად ბარიატინსკის—რჩევით, ალექსანდრეს ჯერ კავკასიის მოქმედ არმიაში უნდა ემსახურა რამდენიმე ხანს, შემდეგ კი, დაპირებისამებრ, თავის ადიუტანტად აიყვანდა. ახალგაზრდა ალექსანდრემ დაიჯერა მეფისნაცვლის რჩევა-დაპირება და კავკასიაში მოქმედ გრენადერთა მე-14 პოლკში ჩაირიცხა პორუჩიკად[6].

ბარიატინსკის ადიუტანტობა ალექსანდრეს, ალბათ, იმიტომ უფრო უნდოდა, რომ იგი სამსახურს გააგრძელებდა და იცხოვრებდა მისთვის ჯერ კიდევ უნახავ მშობლიურ მხარეში. მან თავი გამოიჩინა ჩეჩნებისა და, განსაკუთრებით, დაღესტნელების წინააღმდეგ ბრძოლებში[7]. ახალგაზრდა პორუჩიკის მთიელთა წინააღმდეგ თავდადებული და მამაცური მოქმედება მალე შენიშნა სამხედრო ხელმძღვანელობამ და 1858 წლის 18 ივლისს მას შტაბს-კაპიტნობა ებოძა. ბრძოლებში აქტიური მონაწილეობის პარალელურად იგი მოუთმენლად ელოდა მეფისნაცვლის — თავად ბარიატინსკის ადიუტანტობას, მაგრამ ამ უკანას-

---

[2] Н. К. Имеретинский, Багратиды в России, с. 96.

[3] მოგეხსენებით, როცა ძმები ოფიცრები გახდნენ, მეურვემ — ი სიროტინინმა თითოეულ მათგანს მისცა კუთვნილი პენსიების დანაზოგი თანხებიდან დაზოგილი 11000 მანეთი.

[4] «Исторический Вестник», 1901, № 1, с. 411—412.

[5] ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

[6] «Исторический Вестник», 1901, № 1, с. 411.

[7] ჟურნალი „კვალი“ 1897, № 6.

კნელმა არ შეასრულა მიცემული სიტყვა. ალექსანდრემ უხერხულად ჩათვალა ბარიატინსკის წყალობის ლოდინი, სამხედრო სამსახურიდან გავიდა და გულმოსული საზღვარგარეთ გაემგზავრა.

მოსალოდნელი იყო, რომ იგი, მეფისნაცვლის უპირობით განაწყენებული, სამხედრო სამსახურს აღარ დაუბრუნდებოდა, მაგრამ მალე პეტერბურგში მდგარ, იმავე ცხენოსანთა დივიზიას მიაშურა, სადაც პირველად იქნა განწესებული 1855 წელს. აქედან, შტაბსკაპიტანი ალექსანდრე აგრძელებს სწავლას ნიკოლაევის გენერალური შტაბის აკადემიაში, რომელიც ბრწყინვალედ დაამთავრა 1862 წელს. აკადემიის დამთავრების შემდეგ, მისი სამსახურებრივი კარიერა სწრაფად წარიმართა. იმავე 1862 წელს იგი გენერალურ შტაბში იქნა დატოვებული. მალე კი, 1863 წელს პოლონეთში ეწევა სამხედრო სამსახურს. იქ ყოფნისას იგი აქტიურად მონაწილეობდა პოლონელთა დამშვიდებაში. ერთგული და საზრიანი მოქმედებისათვის მას 1864 წელს ფლიგელ-ადიუტანტობა მისცეს.[8]

ალექსანდრემ თავისი ვაჟკაცობით, გაბედული და ჭკვიანური შორსმჭვრეტელობით იმდენად გაითქვა სახელი, რომ ზემდგომ ხელმძღვანელთა ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. მეფისნაცვალმა ბერგმა 1867 წ. იგი ვარშავის გვარდიული ნაწილების შტაბის უფროსის მოადგილედ დანიშნა, ხოლო 1869 წელს გენერალ-მაიორის ჩინით მისი უდიდებულესობის ამალის წევრობა და ვარშავის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსობა უბოძა. იმპერიის ერთგული საძსახურითა და მხედართმთავრული ნიჭით სახელგანთქმული ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 1876 წელს მსროლელი ბატალიონების ინსპექტორად დაინიშნა[9]. ამ თანამდებობაზე იყო რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის დაწყებისას.

თურქეთთან საომარი მოქმედების დაწყებისთანავე, გენერალ-მაიორი ალექსანდრე, როგორც იმპერიის ერთგული პირი და გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელი, ბელგრადში გაიგზავნა, სერბიის მიერ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისისა და, საერთოდ, ბრძოლისუნარიანობის შესამოწმებლად. ბელგრადში საჭირო შემოწმებებისა და სხვა სამუშაოების ჩატარების შემდეგ, უკან დაბრუნებისას, თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაძრულ იმპერატორის ამალას შეუერთდა ქ. პლოეშტში[10]. თურქეთის ჯარი ოსმან ფაშას ხელმძღვანელობით სწრაფად მოიწევდა წინ. საჭირო იყო რუსეთის არმიის

[8] ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

[9] შ. მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბილისი, 1979, გვ. 156.

[10] იქვე, გვ. 157.

დიდი შენაერთების გადაყვანა მდ. დუნაიზე, რაც ფრიად სასწრაფო და აუცილებელ საქმეს წარმოადგენდა. ამ დიდად სერიოზული და სასწრაფო ოპერაციის დროულად შესრულება ალექსანდრე კონსტანტინეს ძეს დაევალა. ქართველმა გენერალმა კარგად შეასრულა ეს დავალება. ჯარი შეუფერხებლად იქნა გადაყვანილი მდ. დუნაიზე, რისთვისაც ალექსანდრემ იმპერატორის მადლობა დაიმსახურა. ალექსანდრეს მიერ ზემოხსენებული დავალების დროულად შესრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საომარი მოქმედების შემდგომი წარმატებისათვის. მისი ხელმძღვანელობით მდ. დუნაიზე ჯარების გადაყვანა იმ დროს მოხდა, როცა ოსმან ფაშას ხელმძღვანელობით თურქეთის ჯარი განის გზით პლევნაში შეიჭრა და ბულგარეთში მყოფი რუსეთის არმიის შუაზე გაჭრას ლამობდა[11]. ოსმან ფაშამ ორჯერ სასტიკად დაამარცხა გენერალ კრიდნერისა და გენერალ სკობელევის შენაერთები, ორი თვის განმავლობაში შიშის ქვეშ ჰყავდა ბალკანეთში მყოფი რუსეთის არმია. თურქეთის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლებში ინიციატივის ხელში ჩაგდებისათვის საჭირო იყო სწორი სტრატეგიული გეგმები და გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელობა.

მდ. დუნაიზე ჯარის გადაყვანის შემდეგ ალექსანდრე ქვეითთა მეორე დივიზიის უფროსად დაინიშნა[12]. იგი გაბედულად და თავდადებით იბრძოდა თურქთა წინააღმდეგ. 30 ივლისს პლევნაზე იერიშის მიტანისას, მას, იმპერატორის დავალებით, თვალყური უნდა ედევნებინა ბრძოლის მიმდინარეობისათვის. ბრძოლაში რუსეთის ჯარი დამარცხდა. ალექსანდრემ სწორად აღიქვა ბრძოლის ველზე დამარცხების მიზეზები. მალე, როცა იმპერატორმა პირადად გამოიძახა და ჰკითხა პლევნასთან დამარცხების მიზეზები, ალექსანდრემ ხუთი მიზეზი მოახსენა: 1. რუსეთის ჯარის სიმცირე, თურქეთის არმიასთან შედარებით. 2. მხედართმთავართა შორის, შეტევითი ოპერაციების შესახებ, აზრთა სხვადასხვაობა. 3. ცალკეული მოიერიშე შენაერთების მეთაურთა ურთიერთშეუთანხმებელი მოქმედება. 4. კორპუსთა გენერლების უნებისყოფობა და, რაც მთავარი იყო, 5. შეტევითი ოპერაციების მოუმზადებლობა[13].

იმპერატორს ძალიან მოეწონა პლევნასთან დამარცხების შესახებ ქართველი გენერლის მოურიდებელი, საფუძვლიანი და სწორი მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ პლევნას ოპერაცია პირველად უშედეგოდ დამთავრდა, ქართველი გენერლის პირადი მოქმედება და მისი ხელმძღ-

---

[11] ჟურნალი „კვალი", 1897, № 6.

[12] «Исторический Вестник», 1901, № 6.

[13] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

ვანელობით დივიზიის მიერ ჩატარებული ბრძოლები იმდენად მიზანსწრაფული და სტრატეგიულად გამართლებული იყო, რომ იგი დაჯილდოვდა „ოქროს ხმლით“, წარწერით „მამაცობისათვის“[14]. ალექსანდრე ბაგრატიონ-მერეტინსკის სახელი და დიდება მთელი რუსეთის იმპერიაში გახდა ცნობილი. შემდგომში სწორედ მისი გეგმით აიღეს პლევნა. პლევნას აღებამდე, მისი გეგმით, საჭირო იყო ორი სტრატეგიული საყრდენის — მდ. დუნაიდან 60 კილომეტრის დაცილებით მდებარე ქ. ლოვჩასა და შემდეგ დუბნიაკის—იერიშით აღება, რათა ოსმალეთის ჯარისთვის მოესპოთ კონსტანტინოპოლიდან მაშველი ჯარისა და სურსათ-სანოვაგის მიღების საშუალება. ამასთანავე, ქ. ლოვჩას აღებით შეწყდებოდა კავშირი ოსმან ფაშას ჯარებსა და შიპკაზე მოიერიშე სულეიმან ფაშას შენაერთებს შორის. ქ. ლოვჩა მოხერხებულ სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, რომელსაც რიფათ ფაშას მეთაურობით ექვსი ქვემეხით შეიარაღებული 12 ათასი მებრძოლისაგან შემდგარი გარნიზონი იცავდა.

ერთი სიტყვით ქ. ლოვჩასა და დუბნიაკის დაკავებით შეიძლებოდა როგორც პლევნას აღება, ისე სარდლის ტყვედ ჩაგდება თავისი ჯარით[15].

ქ. ლოვჩას აღება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო. სასწრაფოდ შეიქმნა 27-ათასმებრძოლიანი სპეციალური მოიერიშე რაზმი, რომელსაც გადაეცა 26 ქვემეხი. რაზმის ხელმძღვანელად ალექსანდრე დაინიშნა. მან თავისი ახლობელი. სანდო და გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელები მოიწვია ლოვჩას ასაღებად.

მოიერიშეთა მარჯვენა ფრთას ხელმძღვანელობდა გენერალი სკობელევი, ხოლო მარცხენა ფრთას — გენერალი დობროვოლსკი. შტაბის უფროსად თავისი მეგობარი, ბრძოლებში გამოჩენილი და გამოცდილი პოლკოვნიკი პარენსოვი დანიშნა. ამრიგად, გაითვალისწინა რა პლევნასთან ბრძოლებში დაშვებული შეცდომები, ლოვჩას აღებით მალე გამარჯვებაც იზეიმა. ლოვჩას ასაღებად ბრძოლა 1877 წლის 3 სექტემბერს დაიწყო გათენებისას და 11-საათიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ — საღამოს ხუთ საათზე—ქალაქში ქართველი გენერლის რაზმი შევიდა. თურქებმა 8200 მებრძოლი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. რაზმმა თურქეთის ჯარის ორი დროშა და დიდი რაოდენობის სამხედრო შეიარაღება იგდო ხელთ. ბრძოლის დამთავრების შემდეგ

---

[14] «Исторический Вестник», 1901, № 6.

[15] ჟურნალი „კვალი“, 1897, № 6.

გენერალმა ლოვჩას ირგვლივ სამხედრო პოზიციები დაათვალიერა და ჯარს გამარჯვება მიულოცა.

ლოვჩას აღებით კმაყოფილმა იმპერატორმა გენერალი წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. მისი, როგორც წინდახედული მხედართმთავრის ავტორიტეტი თანდათან ზენიტს აღწევდა.

მის გადაწყვეტილებებს ანგარიშს უწევდნენ, მის აზრს ითვალისწინებდა მთავარსარდლობა და ხშირად თვით იმპერატორიც კი. როცა პლევნას აღების საკითხი დადგა დღის წესრიგში, 1877 წლის 10 სექტემბერს, ქართველი გენერალი სამხედრო საბჭოზე მიიწვიეს, როგორც პლევნას გარნიზონის ძლიერების მცოდნე და არსებული ვითარების სწორი შემფასებელი.

ალექსანდრემ ნათლად და სწორად დაახასიათა არსებული მდგომარეობა და პლევნაზე 10 სექტემბრისათვის დანიშნული იერიშის წინააღმდეგ წავიდა. მისი აზრით, ჯერ კიდევ მომზადება იყო საჭირო. სამხედრო ხელმძღვანელობა ჩქარობდა ოპერაციის ჩატარებას. მათ უნდოდათ, რაც შეიძლება მალე აეღოთ პლევნა, არსებულ საბრძოლო ვითარებას კი არ ითვალისწინებდნენ. გენერალმა საკმაოდ საფუძვლიანად და ავტორიტეტულად დაახასიათა ურთიერთმოწინააღმდეგე ძალების შეფარდება, არსებული ვითარება და იერიშის დაწყების კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა. ალექსანდრეს საფუძვლიანი მოსაზრებანი არ მიიღეს და 10 სექტემბერს პლევნაზე იერიშის მიტანა გადაწყვიტეს. პლევნაზე იერიშის მიტანის პირველ ეტაპზე რუსეთის ჯარმა ბცირეოდენ გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ მალე ინიციატივა თურქთა ხელში გადავიდა. ორდღიანი ბრძოლა 1877 წლის 12 სექტემბერს რუსეთის ჯარის დამარცხებით დამთავრდა. რუსეთის ჯარმა დიდი მსხვერპლი გაიღო, მაგრამ პლევნა კვლავ თურქთა ხელში დარჩა. რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას ძვირად დაუჯდა ალექსანდრეს აზრის მიუღებლობა.

პლევნას აღება კვლავ პირველ საკითხად იდგა დღის წესრიგში, მიუხედავად იმისა, რომ ლოვჩასა და დუბნიაკის აღებით ოსმან ფაშას გარნიზონი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ვეღარ იღებდნენ საჭირო სურსათ-სანოვაგეს, ვერც ცოცხალი ძალების შევსებას და, საერთოდ, იზოლირებული აღმოჩნდნენ ახლომახლო პროვინციებისაგან, მთავარსარდალი ომარ ფაშა მაინც განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას. რუსეთის ჯარმა პირდაპირი იერიშით ვერ მიაღწია პლევნას ხელში ჩაგდებას. საჭირო იყო პლევნას ალყაში მოქცევა.

ამ მიზნის მისაღწევად კვლავ სპეციალური რაზმი შეიქმნა, რომლის შტაბის უფროსობა ალექსანდრეს დაეკისრა. ამ თანამდებობაზეც იგი

ჩვეული ენერგიითა და შემართებით იღვწოდა რაზმის პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად და სურსათ-სანოვაგის საჭირო რაოდენობის მოსამარაგებლად, რათა უკანასკნელი ცდა პლევნას აღებით დამთავრებულიყო. შტაბის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას, იგი ერთგული და სწორუპოვარი თანაშემწე იყო პლევნას ასაღებად სპეციალურად შექმნილი რაზმის უფროსის გენერალ ტოტლებენისა.

ტოტლებენი მაღალ შეფასებას აძლევდა ალექსანდრეს საქმიანობას შტაბის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას. პლევნას აღების შემდეგ მისი ერთგული სამსახურის შესახებ გენერალი ტოტლებენი აღნიშნავდა: „სექტემბერში პლევნასთან ჩემი ჩასვლისას, თქვენთვის ცნობილ რთულ ვითარებაში, შტაბის უფროსად თავადი იმერეტინსკი დანიშნეს, თავადმა მოკლე დროში ჩამოაყალიბა შტაბი; მისი შემადგენლობა საუკეთესო იყო; თავადის მეთაურობით იგი დღე და ღამე მუშაობდა, მხედველობაში მაქვს საქმის წარმატება. წინა იერიშების შედეგად საოცარი დანაკარგების გამო, ჯარი მოშლილი იყო, აუცილებელი იყო მისი წესრიგში მოყვანა, რაც მან საუკეთესოდ შეასრულა. რამდენადაც შესაძლებელი იყო, არმია უზრუნველყოფილ იქნა სურსათ-სანოვაგით, კორპუსებისა და ცალკეული რაზმების მეთაურობით; ყველა თავის დროზე ღებულობდა დირექტივებს“[16].

პლევნას აღებისათვის ოსმან ფაშას გარნიზონის ალყაში მოქცევის გეგმა თვით ალექსანდრემ შეადგინა[17]. ამ გეგმის შესაბამისად თურქეთის გარნიზონს პლევნაში გარს შემოერტყნენ. პლევნა გაათავისუფლეს 1877 წლის 28 ნოემბერს. მისი აღების პირველი ორგანიზატორი და გმირი გენერალი ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი იყო.

1878 წლის 29 ნოემბერს ალექსანდრე წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა; ეს ორდენი პირადად ხელმწიფე-იმპერატორმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ გადასცა. რუსეთ-თურქეთის ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როცა მისი მითითებით ალექსანდრეს ბრძოლებში განსაკუთრებული თავის გამოჩენისათვის გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. მისი ერთგული სამსახურით დიდად კმაყოფილი იყო გენერალი ე. ტოტლებენი, რომელიც აღფრთოვანებით სწერდა მთავარსარდალს: „თავს ვალდებულად ვთვლი გაცნობოთ შტაბის უფროსის თავად იმერეტინსკის დამსახურება; იგი ჩემი შეუცვლელი მოადგილე იყო იმ რთულ ვითარებაში, რომელიც 28 ნოემბერს წარმატებით დამთავრდა“[18].

---

[16] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

[17] ჟურნალი „კვალი“, 1897, № 6.

[18] იქვე, გვ. 162.

ლოვჩასა და პლევნასთან ბრძოლებში ალექსანდრემ ვაჟკაცისა და ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი მხედართმთავრის სახელი მოიხვეჭა. ერთ ბრძოლაში ორი ორდენით — წმინდა გიორგის IV და III ხარისხის ორდენებით — დაჯილდოება რუსეთის სამხედრო ისტორიაში იშვიათი შემთხვევა იყო. ნიკოლოზ იმერეტინსკი საგანგებოდ უსვამდა ხაზს ამ მოვლენას: „ლოვჩასა და პლევნასთან ბრძოლებში ალექსანდრემ თავისი სახელი ჩაწერა რუსეთის სამხედრო ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში, წმინდა გიორგის ორდენების მფლობელთა ისტორიაში"[19]. ორმოცი წლის ქართველმა გენერალმა ისეთ აღიარებას მიაღწია, რომ მის სახელსა და დამსახურებას იმ დროის თითქმის ყველა სამხედრო მოხელე და თანამდებობის პირი იცნობდა.

გ. წერეთელი აღფრთოვანებით წერდა ჟურნალ „კვალის" 1897 წლის ივნისის ნომერში: „მან (ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ—მ. გ.) განითქვა დიდი მხედართმთავრის სახელი რუსოსმალოს ომში. ყველას ეხსომება ის შემაძრწუნებელი დრო, როდესაც ბოლგარიაში მთელ რუსეთის მხედრობას განის გზით შეეჭრა სახელგანთქმული ოსმან ფაშა პლევნაში და ჰლამობდა მთელი რუსეთის არმია შუაზე გაეჭრა. იმან ორჯერ საშინლად დაამარცხა ღენერლები კრიდნერი და სკობოლევი, ორი თვის განმავლობაში მას შიშს ქვეშ ჰყავდა მთელი რუსეთის ბალკანის არმია. ამ დროს არმიის შტაბის უფროსად იყო უგანათლებულესი ა. იმერეთინსკი. იმან შეთხზა ახალი სამხედრო გეგმა, რომ ოსმან ფაშას პლევნაში გარს შემორტყმოდა და მთელი თავისი მხედრობით ტყვედ წამოეყვანა.

ამ განზრახვით მან ჯერ იერიშით აიღო ლოვჩა და შემდეგ უეცარი, რაკი ეს ორი სტრატეღიული ბურჯი წაართვა ოსმალეთის გამოჩენილ მხედართმთავარს და ამით მოუსპო მას გზა, რომ სურსათი და ახალი ჯარები ველარ მიეშველებინა კონსტანტინოპოლიდან, შემდეგ მისი ტყვეთ წამოყვანაც ადვილი შეიქმნა. თვით ბალკანის ქედზე გადასვლა და კონსტანტინოპოლის ქალაქამდის იერიშის მიტანა უკანასკნელებულესი თავადის ალექსანდრე იმერეთინსკის საქმე იყო"[20].

ქართველ გენერალს წინ კვლავ დიდი წინსვლა და სახელმწიფოებრივი საქმიანობა ელოდა. იმავე 1878 წლის ბოლოს ქართველი გენერალი მოქმედი არმიის შტაბის უფროსად იქნა დანიშნული ა. ნეპოკოინიცკის მაგიერ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე დაიწინა სანკტ-პეტერბურგის სამხედრო ოლქის გვარდიული ჯარების შტაბის უფროსად, სადაც დაჰყო ალექსანდრე მეორის გარდაცვალებამდე — 1881 წლამდე. ამ წელს, რუსეთის ახალმა იმპე-

---

[19] ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

[20] ჟურნალი „კვალი", 1897, ივნისი.

ტორმა ქართველი გენერალ-ლეიტენანტი მთელი იმპერიის მთავარი სამხედრო სასამართლოს სამმართველოს უფროსად და მთავარ სამხედრო პროკურორად დანიშნა[21]. იმავე წელს გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი საგანგებო ელჩად გაიგზავნა თურქეთში, კონსტანტინოპოლში, რათა ეცნობებინა იმპერატორ ალექსანდრე მეორის გარდაცვალება და ალექსანდრე მესამის ასვლა საიმპერატორო ტახტზე[22].

ამ თანამდებობაზე ალექსანდრე იმერეტინსკი ჩვეული ენერგიითა და საქმის ცოდნით მსახურობდა. ის იყო სათნო, ჩინებული მოლაპარაკე და მიუდგომელი მოსამართლე[23]. ამიტომ იყო, რომ ამ თანამდებობებზე ის დიდხანს — 1892 წლამდე — დარჩა. იმავე წელს ალექსანდრე დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად, რაც განპირობებული იყო მისი რუსეთისადმი დიდი ერთგულებით, დამსახურებითა და დიდი გამოცდილებით. სახელმწიფო საბჭოში მას უხდებოდა დიდი და რთული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებში ჩაწვდომა და თავისი აზრის გამოთქმა. მას არც ამ თანამდებობაზე შეურცხვენია თავი. ოთხი წლის შემდეგ, 1896 წლის 1 იანვარს, იგი ვარშავის გენერალ-გუბერნატორად და ვარშავის სამხედრო ოლქის მეთაურად დაინიშნა[24]. ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკის ვარშავის გენერალ-გუბერნატორად დამტკიცების შესახებ 1897 წლის ჟურნალ კვალის ივნისის ნომერში, გ. წერეთელი, სტატიაში „უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი, შეცვლილი გვარით იმერეთინსკი“, წერდა: „ამ იანვარში მოვიდა რუსეთიდან ამბავი, რომ უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე იმერეთინსკი დაინიშნა ვარშავის ღენერალ-ღუბერნატორადო. ის ითვლება ამ ჟამად მთელ რუსეთში უნიჭიერეს მხედართმთავრად, მას აქვთ რაც მან წარსულ ომში თავი ისახელა შესანიშნავი სტრატეგიული და ტაქტიკური ნიჭის გამოჩენით“... ალექსანდრე პოლონეთში საკმაო ხანს იყო ნამსახური, იცნობდა იქაური ხალხის მეობასა და იქაურ ვითარებას. ამდენად, მოულოდნელი არ იყო მისთვის ხსენებულ თანამდებობაზე დანიშვნისას პოლონეთის დედაქალაქში შექმნილი რთული ვითარება. იგი ანგარიშს უწევდა პოლონელი ხალხის საუკეთესო ტრადიციებს, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულსა და სარწმუნოებისადმი ერთგულებას. ახალმა გენერალ-გუბერნატორმა გულწრფელად განაცხადა: „არ ვიქ-

---

[21] «Исторический Вестник», 1901, 61, с. 412.

[22] იქვე.

[23] ჟურნალი „კვალი“, 1897, ივნისი.

[24] «Исторический Вестник», 1901, № 1.

ნები მებრძოლი ყოველგვარი წვრილმანებისადმი, განსაკუთრებით იმისა, რასაც შეუძლია შეურაცხყოს პოლონელთა ეროვნული გრძნობა, მათი ერთგულება სარწმუნოებისადმი, სიყვარული სამშობლოსადმი, სახელოვანი ისტორიული ტრადიციები, რომლებიც თუნდაც დრომოჭმული იყოს. მით უმეტეს ყოველივე ის, რაც ძვირფასია და ახლოა პოლონეთისა და პოლონელი ხალხისათვის"[25]. ალექსანდრე იმპერიისადმი ჩვეული ერთგულებითა და დიდი ენერგიით შეუდგა ახალ თანამდებობაზე სამსახურს. იგი, როგორც ცარისტული რუსეთის ერთგული მოხელე, პოლონეთში იმპერიის პოლიტიკას ატარებდა, ბაგრატ ვარშავის სხვა, წინა გენერალ-გუბერნატორებთან შედარებით, უფრო ლმობიერი, განმკითხველი და ზოგჯერ დამთმობიც იყო, თუ კი ამით რუსეთის იმპერიას ზიანი არ მიადგებოდა და იქ კი ფართო მასების გულს მოიგებდა. ასეთი მიდგომით ალექსანდრემ ხალხში ავტორიტეტი მოიპოვა, რასაც მისი სიტყვისა და საქმის ერთიანობა განაპირობებდა. თუ რამეს იტყოდა ან შეჰპირდებოდა ვინმეს, შეასრულებდა კიდეც. იგი, როგორც გენერალ-გუბერნატორი, ხალხის ცხოვრების ყოველ სფეროში ერეოდა დადებითად, ზრუნავდა ხალხისათვის და მათ ნდობასა და პატივისცემასაც მიაღწია. სულ რამდენიმე წელი იყო აღნიშნულ თანამდებობაზე და მოასწრო ბევრი სიკეთის გაკეთება პოლონელი ხალხისათვის. მან დააარსა ვარშავაში პოლიტექნიკური და სხვა სახის სასწავლებლები, გამოავიდა ორი გაზეთი; ვარშავის ცენტრში დადგა პოლონელი ხალხის საყვარელი პოეტის მიცკევიჩის ძეგლი.

ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა 1900 წელს; მას ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შეეძლო, ადრე რომ არ სწვეოდა უბედურება, სწორად შენიშნავდა მისი ერთ-ერთი ახლობელი პირი: „თავად იმერეტინსკის სახით ჩვენ დავკარგეთ არა მარტო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ ერთ-ერთი უნიჭიერესი, ღირსეული, ვიტყვი პირდაპირ — ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანი. როგორც სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწემ, როგორც მებრძოლმა გენერალმა მან სახელი გაითქვა ბალკანეთის სლავი ხალხების განთავისუფლებისათვის ომებში და პოლონეთის მართვაში; მისი შრომითა და ზრუნვით იგი უფრო დააახლოვა იმპერიასთან, ვიდრე ოდესმე. განსვენებულმა თავადმა სამუდამოდ ჩასწერა თავისი საგვარეულო სახელი რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში"[26].

---

[25] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

[26] იქვე, გვ. 165.

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი
(1830—1894)

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი იყო კონსტანტინე დავითის ძის შუათანა შვილი, ალექსანდრეს უფროსი ძმა. იგი დაიბადა 1830 წლის 30 დეკემბერს. იზრდებოდა პაჟთა კორპუსში, რომლის დამთავრების შემდეგ სამსახური დაიწყო პრეობრაჟენსკის პოლკში. 13 წლისა იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მამის პენსიის შვილებზე გადანაწილებისას მას 1452 მანეთი და 67 კაპიკი დაენიშნა, იგი მაინც ხელმოკლედ ცხოვრობდა. სამხედროში 13 წლის სამსახურის შემდეგ იგი თავისი უმცროსი ძმის ალექსანდრეს გზას გაჰყვა და ნიკოლაევის გენერალური შტაბის აკადემიაში შევიდა, რომლის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ ბილეწნის მაზრის სამხედრო ხელმძღვანელად დაინიშნა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პოლონელი ხალხის დამშვიდებაში. პოლონეთში სამსახურის დროს გაეცნო გრაფ მ. მურავიოვის შემოქმედებას, რის შესახებაც მოგვიანებით დაწერა და გამოაქვეყნა დიდი ნარკვევი „მოგონება გრაფ მ. მურავიოვზე“[1]. როგორც აღინიშნა, იგი ახლოს იცნობდა რუს გენერალს მ. მურავიოვს, რომელმაც სასტიკად ჩააქრო პოლონეთის 1863 წლის აჯანყება, რისთვისაც მიიღო გრაფის წოდება და დაინიშნა ვოლინის გენერალ-გუბერნატორად. ერთდროულად მასვე ემორჩილებოდა რუსეთის ექვსი ჩრდილო-დასავლეთის გუბერნია.

1860-იანი წლების ბოლოს ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკი აირჩიეს ვოლინის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად. შემდეგ მსახურობდა დონის ჯარების საოლქო სამმართველოს თავმჯდომარის თანაშემწედ და საკმაოდ ენერგიული და იმპერიის ერთგული მოხელის სახელი დაიმსახურა. როგორც თითქმის ყველა ბატონიშვილი, ნიკოლოზიც სამხედრო სამსახურში იყო, მაგრამ გული ლიტერატურული საქმიანობისაკენ მიუწევდა. მალე სამხედრო სამსახურს

---

[1] «Исторический Вестник», 1892, № 12, с.603—643; ამ ნარკვევში, ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით, ფართოდ იხილავს პოლონეთის 1863 წლის აჯანყებასა და მ. მურავიოვის როლს მის სასტიკად ჩაქრობაში.

თავი დაანება და 1874—1886 წლებში მთლიანად ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

გრაფ მ. მურავიოვის მოღვაწეობის შესახებ დაწერილი ნარკვევის შემდეგ, დაწერა ნარკვევი „ძველი პრეობრაჟენელის ჩანაწერებიდან"[2], რომელიც „რუსკაია სტარინას" რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა 1893 წელს. მის კალამს ეკუთვნის გამოკვლევა „თავად-აზნაურობა, რაზნოჩინელები და გლეხობა თანამედროვე რუსულ მიწათმფლობელობისას"[3]. ამ გამოკვლევაში ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკი ვოლინის გუბერნიის მაგალითზე იხილავს იმ დროისათვის არსებულ რუსული მიწათმფლობელობის ფორმებს, აღნიშნავს ერთი მუჭა ფეოდალებისა და სხვა მდიდრების ხელში თავმოყრილი დიდძალი მამულების არსებობას. პარალელურად ხაზს უსვამს გაძვალტყავებული, არაფრის მქონე გლეხობის უმწეო მდგომარეობას. 1893—1894 წლებში დაბეჭდა „ვოლინის გუბერნიის თავად-აზნაურობა"[4], სადაც ხსენებული გუბერნიის თავად-აზნაურთა ეკონომიურ მდგომარეობას, მათ საერთო საქმიანობასა და სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას აშუქებს.

ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკის კალამს სხვა ისტორიული ხასიათის ნარკვევებიც ეკუთვნის, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხელნაწერი სქელტანიანი ნაშრომი «Багратиды в России», რომელიც მისი მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია და 1885 წელს დაუმთავრებია. ხელნაწერი ინახებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, ნომრით — ფ — III — № 61. ამჟამად ხელნაწერი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. ხელნაწერი დიდი ფორმატისაა (ზომით 39X24,5 სმ) და 122 ფურცელს (მანქანაზე გადაბეჭდილ 283 გვერდს) შეიცავს. შედგება შესავლისა და შემდეგი თავებისაგან:

I. ბაგრატიონები რუსეთში, ნაწილი I, საქართველო;

II. ბაგრატიონები რუსეთში, ნაწილი II, იმერეთი;

III. პატივი და მატერიალური უზრუნველყოფა ბაგრატიონებისა რუსეთში, მათი ოჯახური ყოფა-ცხოვრება და გაღარიბების მიზეზები. პენსიების დაკანონება 1842 წელს;

IV. 1859 წლის კომისია;

V. გადაწყვეტილება ქართველი და იმერელი თავადების მომავალი

---

[2] «Русская старина», 1893.

[3] «Русский Вестник», 1893.

[4] Журнал министерства народного образования, 1893, 1894 г.

მოწყობის შესახებ. გადაწყვეტილების შედეგები, შენიშვნა.

ნ. იმერეტინსკის ხელნაწერი „ბაგრატიონები რუსეთში“ თემითაც და შინაარსითაც თითქმის მთლიანად განსხვავდება სხვა ავტორთა ნაშრომებისაგან.

ავტორი ხელნაწერის შესავალში მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას, ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ამ მოვლენას ადარებს 1654 წელს უკრაინის რუსეთთან შეერთებას და დაასკვნის, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება ისევე ერთადერთი გზა იყო ქართველი ერისათვის, როგორც უკრაინელი ხალხისათვის. საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის, საგარეო ვითარების გარდა, სიძნელეებს ქმნიდა ისიც, დასძენს ავტორი, რომ ერეკლე II ვაჟები მეტწილად დაქორწინებულები იყვნენ ქართველ თავად-აზნაურთა ასულებზე, ისე რომ მეფეს ნათესაური კავშირი ჰქონდა საქართველოს სამეფო-სამთავროთა თავად-აზნაურობასთან: დადიანებთან, ციციშვილებთან, ანდრონიკაშვილებთან, ამილახვრებთან და სხვ. ყველა ბატონიშვილს თავისი პარტია ჰყავდა. ყველას ეჭვი ეპარებოდა საქართველოს კვლავ დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობაში. ყველას სხვადასხვა აზრი ჰქონდა სამშობლოს მომავალზე. ერთნი ირანისაკენ მიისწრაფოდნენ, მეორენი — თურქეთისაკენ, მესამენი კი რუსეთთან კავშირზე ამყარებდნენ იმედს. ყველა თავის თავზე ფიქრობდა და თავის სასარგებლოდ მუშაობდა, რამაც უფრო გაართულა საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვითარება. „რუსეთმა კარგად იცოდა საქმის ვითარება საქართველოში და ჩინებულადაც გამოიყენა იგი“. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ, მისმა უფროსმა შვილმა — საქართველოს მმართველმა დავით გიორგის ძემ 1801 წლის 8 იანვარს რუსეთთან შეერთების აქტს მეფის ტიტულის გარეშე მოაწერა ხელი.

ავტორი ხელნაწერის პირველ ნაწილში — „გრუზია“ (იგულისხმება ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორია) უკანასკნელ მეფეთა — ერეკლე II-სა და გიორგი XII-ს — ჩამომავალთა პოლიტიკური მიმართულებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის მიმოხილვას იძლევა. დაწვრილებით აღწერს სამეფო საგვარეულოს შთამომავლობის რუსეთში გასახლებასა და მათ იქაურ საქმიანობას. ეხება მათ ოფიციალურ და საპატიო წოდებებს.

რუსეთში გასახლებულ ქართლ-კახეთის სამეფო-საგვარეულოს პირველი თაობის წარმომადგენლები, ე. ი. ერეკლე II-სა და გიორგი XII-ს შვილები, ოფიციალურად „ქართველ ბატონიშვილებად“ იწოდებოდნენ. მათი საპატიო წოდება კი იყო „უგანათლებულესობა“.

რუსეთში გასახლებულთა პირველი თაობა 61 წელიწადს — 1800

წლიდან 1861 წლამდე არსებობდა. 1861 წელს უკანასკნელი ბატონიშვილის მიხეილ გიორგის ძის გარდაცვალებით „პირველმა თაობამ" არსებობა შეწყვიტა.

ამავე თავში მოცემულია „პირველი თაობის" ბატონიშვილების შთამომავალთა ოფიციალური და საპატიო წოდებანი, მათი სრული დახასიათება, საქმიანობა და თავის გამოჩენა რუსეთის სამსახურში. ბატონიშვილთა შთამომავლების ოფიციალური წოდება იყო „ქართველი თავადი", ხოლო საპატიო წოდება 1865 წლამდე — „ბრწყინვალება", 1865 წლიდან კი „უგანათლებულესობა".

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ თითქმის ყველა „ქართველი თავადის" მომავალი სამსახურებრივი კარიერა პაჟთა კორპუსში მიღებული განათლებით იწყებოდა. აქვე დასძენს, რომ თუ ქართველი ბატონიშვილები ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთს, მათმა შთამომავლობამ, „ქართველმა თავადებმა" უფრო მეტად გამოიჩინეს თავი რუსეთის სამსახურში, მათ არაერთი ბრწყინვალე სამხედრო ეპიზოდი ჩაწერეს რუსეთის საბრძოლო ისტორიაში.

ხელნაწერის ამ ნაწილს დართული აქვს სამეფო საგვარეულოს სრული გენეალოგია სათაურით: «Грузиский царский род от Ираклия II-го 1798—1884».

ხელნაწერის II ნაწილი «Имеретия» ანალოგიური აღწერისაგან შედგება; იმერეთიდან გასახლებულ სამეფო საგვარეულოს შთამომავლებს ისეთივე წოდებანი ჰქონდათ, როგორც ქართლ-კახეთიდან გადასახლებულებს. იმერეთიდან გადასახლებული ბატონიშვილები იყვნენ: დავით გიორგის ძის შვილი კონსტანტინე, მისი სამი შვილი: კონსტანტინე, ნიკოლოზი და ალექსანდრე, სოლომონ პირველის შვილიშვილის — გიორგი ალექსანდრეს ძის შვილები: ალექსანდრე და დიმიტრი და ამ უკანასკნელის ორი შვილი — ალექსანდრე და დიმიტრი დიმიტრის ძეები. ამრიგად, რუსეთში (1810—1880) რვა იმერელი ბაგრატიონი იყო, რომლებიც იწოდებოდნენ ბაგრატიონ-იმერეტინსკებად. მათგან ერთი — ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იყო გენერალ-ლეიტენანტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი და ბოლოს ვარშავის გენერალ-გუბერნატორი. ოთხი — მრავალი ორდენის მქონე, დამსახურებული და მთელს იმპერიაში სახელგანთქმული გენერალ-მაიორი. ნაშრომში ვრცლადაა განხილული ბაგრატიონ-იმერეტინსკების შთამომავლობა და ჩამოთვლილია მათი დამსახურებანი რუსეთში.

ამ თავში ნიკოლოზ იმერეტინსკი ეხება იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების ისტორიას. ფართოდ აღწერს ჩამოგდებული მეფის დავითისა და სოლომონ II-ის პოლიტიკურ მიმართულებებს, რომ დავი-

თი რუსული ორიენტაციის იყო, სოლომონ მეორე კი არა. ამან გამოიწვია ცარიზმის მიერ იმერეთის იარაღით დაპყრობაო.

ავტორი ამავე თავში თანმიმდევრულად და ფართოდ აღწერს „იმერეთის თავადთა“ რუსეთში მოღვაწეობას, მათ ურთიერთ და „ქართველ თავადებთან დამოკიდებულებას.

აქვეა მოცემული იმერეთის სამეფო საგვარეულოს გენეალოგია.

მესამე ნაწილია — „პატივი და მატერიალური უზრუნველყოფა ბაგრატიონებისა რუსეთში, მათი ოჯახური ყოფაცხოვრება და პენსიების დაკანონება 1842 წელს“.

1800 წლიდან 1842 წლამდე, როდესაც მიმდინარეობდა სამეფო საგვარეულოს შთამომავალთა გასახლება რუსეთში, მათ დასასახლებლად და მატერიალურად უზრუნველსაყოფად არავითარი დადგენილება არ არსებობდა. ისინი ეწყობოდნენ უმაღლესი ხელისუფლების შეხედულებით და იმ დროისათვის საკმაოდ კარგად. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ოთხ დედოფალს: ერეკლე II-ის მეუღლეს დარიას, გიორგი XII-ს მეუღლეს —მარიამს, იმერეთის დედოფლებს— დავითის მეუღლეს—ანას, სოლომონ II-ის მეუღლეს მარიამს და, ბოლოს, სამეგრელოს მმართველს ნინას საკმაოდ კარგი პირობები ჰქონდათ შექმნილი რუსეთის მთავრობის მიერ. ყველანი იღებდნენ ეკატერინეს ლენტს, ეძლეოდათ კარის ეკიპაჟის ყოლის უფლება, მათი შესანახი თანხები. და შესაფერისი ბინა, ჰქონდათ მუდმივი პენსიები, ეძლეოდათ ერთდროული დახმარება. ერთი სიტყვით, დასძენს ავტორი, ცხოვრების თითქმის ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი; არ ჰქონდათ მხოლოდ საქართველოში ცხოვრების უფლება.

ბატონიშვილებიც თავიდან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. 1842 წლიდან ბატონიშვილების შესახებ ყოველი საქმე დაევალა საგარეო საქმეთა, შემდეგ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ გამგებლობას, რომელთანაც იყო IV კლასის განსაკუთრებული მოხელე — საქართველოს მთავარი პრისტავის სახელწოდებით. აი, ამ უკანასკნელის უშუალო ჩარევის გარეშე არც ერთი ბატონიშვილის შესახებ დიდმნიშვნელოვანი საქმე არ გადაწყდებოდა.

რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილები საკმაოდ დიდი პატივითაც სარგებლობდნენ, ისინი შეტანილ იყვნენ კალენდარში, მთავრობის პირთა განსაკუთრებულ განყოფილებაში, რუსეთის სამეფო კარზე საპატიო ადგილებს იღებდნენ სამეფო დღესასწაულების თუ სხვა ცერემონიალების დროს.

ბატონიშვილების მატერიალური უზრუნველყოფით პირველად

თვით მთავრობა იყო დაინტერესებული. იმპერატორი პავლე I შეპირდა ბატონიშვილებს, თითოეული მათგანისათვის 1000 სული გლეხის მიცემას. ეს უკანასკნელი შეპირება არ შესრულებულა. სამაგიეროდ, ბატონიშვილებს მუდმივი პენსიები დაენიშნათ. ბოლოს, საკმაოდ დიდი თანხა დაურიგდათ მამულების შესაძენად, თუმცა მალე დარწმუნდნენ, რომ მამულების შეძენა მათ ხელს არ მისცემდა და დაიწყეს თხოვნა მიღებული თანხის უკან დასაბრუნებლად, იმ პირობით, რომ კვლავ პენსიები დანიშნოდათ. რუსეთის მთავრობა ყოველთვის ცდილობდა შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინა ბატონიშვილების თხოვნა, რათა ამ უკანასკნელთ არ მოენდომებინათ უკან — საქართველოში — დაბრუნება.

მეოთხე ნაწილში „1859 წლის კომისია“ — დაწვრილებითაა მოცემული ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფო სახლის წევრთა კეთილმოწყობისათვის შექმნილი კომისიის მოღვაწეობა. 1850-იანი წლების ბოლოს კავკასიის მაშინდელმა მეფისნაცვალმა ა. ბარიატინსკიმ რუსეთის მეფის მთავრობის წინაშე აღძრა საქმე ბატონიშვილთა და მათ შთამომავალთა მოსაწყობად.

აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველზე, 1859 წლის ზაფხულში, რუსეთის მთავრობამ დაადგინა ხსენებული საკითხის მოსაგვარებლად შექმნილიყო განსაკუთრებული კომისია.

ამ კომისიის თავმჯდომარედ ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ნიკოლოზ ვასილის ძე გულკევიჩი დაინიშნა, ხოლო წევრებად: აღმოსავლეთ საქართველოდან—ბატონიშვილი მიხეილ გიორგის ძე, იმერეთიდან კი ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი. იმავე წელს ალექსანდრემ უარი განაცხადა კომისიაში მონაწილეობაზე. მის მაგიერ არჩეულ იქნა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე იმერეტინსკი, რომელიც კომისიის მუშაობაში ბოლომდე იღებდა მონაწილეობას. მოგვიანებით საქართველოდან ერთი წარმომადგენელი — თავადი ირაკლი ალექსანდრეს ძე დაემატა, რამაც იმერეტინსკების უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან მეტი ხმით გადაწყდა მიეღოთ არა პენსიები, არამედ ერთდროულად გარკვეული თანხა, რის წინააღმდეგებიც იყვნენ იმერეტინსკები და რამაც საბოლოოდ გაღარიბების გზაზე დააყენა ბატონიშვილებისა და მათი შთამომავლობის მეტი ნაწილი.

ნიკოლოზ იმერეტინსკის, როგორც ამ კომისიის მუდმივ და უცვლელ წარმომადგენელს, კომისიის მუშაობის ვრცელი დაწვრილებითი ცნობები აქვს მოცემული, რაც საკმაოდ საინტერესო მასალას წარმოადგენს რუსეთში გასახლებულ სამეფო სახლის წევრთა მატერიალური უზრუნველყოფის საკითხის შესწავლისათვის.

მეხუთე თავი — „გადაწყვეტილება მომავალში ქართველი და იმე-

რელი თავადების მოწყობის შესახებ, გადაწყვეტილების შედეგი. კომისიამ იმუშავა ორი თვე — 1859 წლის 25 დეკემბრიდან 1860 წლის 23 თებერვლამდე, რის შედეგადაც ყველა საქმე კავკასიის კომიტეტს გადაეცა საბოლოოდ განსახილველად და დასკვნისათვის. კავკასიის კომიტეტში ხსენებული საქმის განხილვა ორ წელზე მეტს გაგრძელდა. ხელნაწერის ამ თავში ვრცლადაა აღწერილი კავკასიის კომიტეტის მოღვაწეობა, კომისიისა და კომიტეტის ურთიერთობა ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერის მეოთხე და მეხუთე ნაწილი ქართლ-კახეთისა და იმერეთის ყოფილი სამეფო გვარეულობის შთამომავალთა ნივთიერი მდგომარეობის გამოსარკვევად და გასაუმჯობესებლად 1859 წელს შექმნილი კომისიის მუშაობის დღიურებს წარმოადგენს, დღიურებს სპეციალური ხასიათი აქვს და დეტალურად ასახავს კომისიის მუშაობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამეფო საგვარეულოს წევრთა რუსეთში გასახლებისა და იქ მათი ნივთიერი მდგომარეობის ისტორიისათვის.

ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკის კიდევ ბევრი საინტერესო მასალის მოწოდება შეეძლო, მაგრამ 1894 წელს, 64 წლის ასაკში, გარდაიცვალა გენერალ-მაიორის ჩინით.

პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი
(1818—1876)

სახელგანთქმული მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი[1] ცნობილი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის ძმის, რომანის, შვილი იყო.

რომან ივანეს ძე ბაგრატიონი 1796 წელს შესულა სამხედრო სამსახურში. იგი მრავალი ბრძოლის მონაწილე იყო. 1812 წლის სამამულო ომში მოწინავე შენაერთებს ხელმძღვანელობდა და საკმაოდ თავდადებული, გამბედავი მეომრისა და სამხედრო ხელმძღვანელის სახელიც მოიხვეჭა. „იგი 1813—1814 წლების გმირული ბრძოლების აქტიური მონაწილე იყო და ერთ-ერთი პირველთაგანი შევიდა პარიზში"[2]. რუსეთის არმიაში თავდადებული და ერთგული სამსახურისა და, განსაკუთრებით, 1812 წლის სამამულო ომში თავის გამოჩენისათვის მას გენერალ-მაიორის ჩინი ებოძა, რამდენიმე ორდენითა და ოქროს ხმლით იყო დაჯილდოებული. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, მრავალბრძოლაგადახდილი და ჯილდოებით მკერდდამშვენებული რომან ივანეს ძე ბაგრატიონი დაქორწინდა კარის მრჩეველის სიმონ ივანოვის ქალიშვილ ანაზე[3]. ამ ქორწინებით მას ეყოლა სამი შვილი — პეტრე, ანა და ივანე[4].

1827 წელს რომან ბაგრატიონი ქართული ლაშქრის მეთაურად დაუნიშნავთ და ერთი წლის შემდეგ — 1828 წელს—გადაუყვანიათ თბილისის მაზრის უფროსთან სამუშაოდ. ამ დროს პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი 9 წლისა ყოფილა[5]. თბილისში, დღევანდელი რუსთაველის პროსპექტზე, მათ საკუთარი სახლი ჰქონიათ[6]. 9 წლის პეტრე

---

[1] თავად პ. რ. ბაგრატიონის გარდაცვალებით შეწყდა ბაგრატიონთა უფროსი შთამბის არსებობა რუსეთში.

[2] ვ. პარკაძე, პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონი, თბილისი, 1956, გვ. 7.

[3] იქვე

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 8.

[6] პ. რ. ბაგრატიონის სახლის ადგილზე შემდეგში აშენდა არწრუნის ქარავანსარაი, სადაც მალე კერძო თეატრი აშენდა. აქტები, ტომი XI, გვ. 914. ამჟამად მათ ნასახლარზე გრიბოედოვის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრია მოთავსებული. იხ. პარკაძე ვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი

რომანის ძე ბაგრატიონი მშობლებს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეუყვანიათ. იმ სასწავლებელში იმ დროს სწავლობდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, რომლებმაც, რა თქმა უნდა, კეთილი გავლენა მოახდინეს პეტრე ბაგრატიონზე, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მის მომავალ წინსვლასა და იმპერიაში დიდი ავტორი-

ტეტის მოპოვებას. თბილისში ახლად ჩამოსულ რომან ივანეს ძე ბაგრატიონის ოჯახს მალე გაუცვნია აქაური მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები. მათ ოჯახში ხშირად თავს იყრიდნენ ქართველი და რუსი მოწინავე ადამიანები. ისევე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი, რ. ბაგრატიონის ბინაც საღად მოაზროვნე, პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის თავშესაყარი ვახდა. რ. ბაგრატიონის ბინაში ხშირად საღამოები იმართებოდა, სადაც კითხულობდნენ ქართველი და რუსი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს, რის გარშემოც ცხოველმყოფელი სჯა-ბაასი იმართებოდა. ზოგიერთი რუსი მწერლისა თუ პოეტის ქმნილება სწორედ თბილისში ვრცელდებოდა პირველად. შემდეგ კი იმპერიის სხვა დიდ ქალაქებში ეცნობოდნენ მას.

პეტრე რომანის ძე ბაგრატიონისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ბინებში, აგრეთვე ნერსესოვის სომხურ სასულიერო სემინარიის დარბაზში მრავალჯერ წარმოადგინეს ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისავან“.

მეფისნაცვალთან დაახლოებულ ოჯახთა წარმომადგენლებისაგან იქმნებოდა სცენის მოყვარულთა წრეები, რომლებიც ჯერ მოყვარულთათვის, ხოლო შემდეგ საქველმოქმედო მიზნით წელიწადში რამდენჯერმე წარმოადგენდნენ სოლმე სხვადასხვა პიესებს საოჯახო სცენებზე. ასეთ ოჯახებს მიეკუთვნებოდა თვით რომან (რევაზ) ივანეს ძის ოჯახიც, რომლის ბინაში იდგმებოდა ესა თუ ის პიესა. მასში ხშირად ამ ოჯახის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1827 წელს პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს. პეტრე რომანის ძე იმ კლასში მოხვედრილა, სადაც დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი სწავლობდა. იმ დროს ხსენებულ კეთილშობილთა სასწავლებელში ბევრი მოწინავე იდეების მჭონე მასწავლებელი მოღვაწეობდა: სოლომონ დოდაშვილი, ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, დიმიტრი ყიფიანი და სხვ[7]. პეტრე ბაგრატიონს ბევრი ამხანაგი ჰყოლია სასწავლებელში, მაგრამ ყველაზე ახლოს ნიკოლოზ ბარათაშვილთან ყოფილა. პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი ოთხი წლის შესული იყო სასწავლებელში, როცა მას და მის მეგობარ ნიკოლოზ ბარათაშვილს დიდი უსიამოვნება შეემთხვათ, რაც უკანასკნელის გაროზგვითა და პეტრე რომანის ძის თბილისიდან სამუდამოდ წასვლით დამთავრდა.

მეფის რუსეთთან 1801 წელს საქართველოს შეერთების შემდეგ,

---

[7] ი. მ ი უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, თბილისი, 1954, გვ. 482.

რუსული მმართველობის დანერგვის პირველი დღეებიდანვე, დიდი უკმაყოფილება სუფევდა მოსახლეობაში და, განსაკუთრებით, თავად-აზნაურთა შორის. უკმაყოფილება ბევრჯერ დიდ აჯანყებაშიც გადაიზარდა. აჯანყებებს იარაღის ძალით ახშობდნენ მეფის მთავრობის აქაური წარმომადგენლები, მაგრამ ცარისტული პოლიტიკისა და ადგილობრივი ბიუროკრატიული მმართველობის საწინააღმდეგო განწყობილება მაინც არ ისპობოდა.

1820-იანი წლების ბოლოს ქართველი თავად-აზნაურობა რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობას შეუდგა. ამ დაჯგუფებაში მრავალი მოწინავე ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ისინი ემზადებოდნენ ცარისტული რეჟიმის დამხობისათვის, თავიანთი განზრახვა 1832 წელს უნდა მოეყვანათ სისრულეში. ეს შეთქმულება დიდხანს საიდუმლოდ მზადდებოდა. როცა მოახლოვდა ქართველ თავად-აზნაურთა ჩანაფიქრის აღსრულების დრო, ერთ-ერთმა აზნაურმა ი. ფალავანდიშვილმა გასცა შეთქმულთა საქმიანობა. მეფის მთავრობის მითითებით 1832 წლის შეთქმულების თითქმის ყველა მონაწილე სასტიკად დაისაჯა, ბევრი მათგანი ციმბირში გადაასახლეს. იესე ფალავანდიშვილის მოღალატური საქციელი მთელ საქართველოსა და მეზობელ მხარეებში ცნობილი გახდა. მოწინავე საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი აღაშფოთა იესე ფალავანდიშვილის მოქმედებამ. ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი უკმაყოფილება გამოხატა ლექსში, რომელშიც, სხვათა შორის, მთავრობის საწინააღმდეგო აზრებიც იყო ჩაქსოვილი. ლექსი ფოსტით გაეგზავნა 1832 წლის შეთქმულების მოღალატის ძმას — ნიკოლოზ ფალავანდიშვილს. ეს უკანასკნელი მაშინ თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი იყო და სათანადო ზომებიც მიიღო ლექსის დამწერის აღმოსაჩენად და დასასჯელად. მალე დადგინდა, რომ ლექსის დამწერი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, ხოლო გამავრცელებელი მისი მეგობარი — პეტრე ბაგრატიონი[8]. თითოეულ „დამნაშავეს“ 25 როზგი მიესაჯა. დასჯა დამნაშავეთა ოჯახებში უნდა ჩატარებულიყო. ნიკოლოზ ბარათაშვილს სპეციალურად გამოყოფილმა დამსჯელმა პირმა მისჯილი 25 როზგი დაჰკრა. დასჯილის მამამ, ხელმწიფე-იმპერატორის ერთგულმა მსახურმა მელიტონ ბარათაშვილმა თავის მხრივაც დაუმატა სასჯელი[9].

ნიკოლოზ ბარათაშვილის დასჯა ძალიან მტკივნეულად ჩატარდა. ეს ამბავი მთელ თბილისს მოედო. პეტრე ბაგრატიონი შეშინდა და

---

[8] ი მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

[9] ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, საიუბილეო გამოცემა. პ. ინგოროყვას წინასიტყვაობა, თბილისი, 1945, გვ. XXXIII.

სასჯელის თავიდან ასაცილებლად მიატოვა სასწავლებელიც და საქართველოც. იგი პეტერბურგში წავიდა, პაპიდა ანა ივანეს ასული ბაგრატიონი მონახა, რომლის წყალობითაც 1835 წელს ლეიბ-გვარდიელთა ულანის პოლკის პოდპრაპორშჩიკებისა და იუნკერთა სკოლაში შევიდა[10]. იმავე წლის დეკემბერში გადაიყვანეს ლეიბ-გვარდიელთა ცხენოსანთა ესკადრონში იუნკრად[11]. ზემოხსენებულ სამხედრო სკოლაში სწავლის პერიოდში მან თავისი ასაკისათვის საუკეთესო მომზადება გამოამჟღავნა, რაც გამოწვეული იყო სახლში სანიმუშო განათლების მიღებით. იგი თავისუფლად ფლობდა რუსულ, ფრანგულსა და იტალიურ ენებს[12].

1837 წლის სექტემბერში 19 წლის პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი პრაპორშჩიკი გახდა. 1840 წელს მომავალი პოდპორუჩიკი ინჟინერთა გვარდიული კორპუსის მეთაურის ადიუტანტად დაინიშნა. 1842 წელს პორუჩიკის ჩინი მიიღო. სამხედრო სამსახურთან ერთად, პეტრე რომანის ძემ 1842 წლიდან ფიზიკასა და ქიმიაში დაიწყო მუშაობა და სულ მალე სახელიც მოიხვეჭა, როგორც ნიჭიერმა მეცნიერმა. თავისი თეორიული გამოკვლევების ექსპერიმენტებს იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის იმ დროისათვის საკმაოდ კარგად მოწყობილ ფიზიკის კაბინეტში ატარებდა. პეტრე ბაგრატიონის სამეცნიერო წარმატებები იმდენად სერიოზული და შედეგიანი იყო, რომ 1843 წლის ბოლოს იგი წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1844 წლის მარტის დასაწყისში მის მიერ შემუშავებული მეთოდით, გალვანური ელექტროდენების საშუალებით, ყინულისაგან გაათავისუფლეს კრონშტადტის ნავსადგური, რისთვისაც იმავე წლის 9 მაისს უმაღლესი ბრძანებით მადლობა გამოეცხადა[13].

1844 წლის ოქტომბერში პ. ბაგრატიონი 6 თვით გააგზავნეს გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში ცოდნის გასაღრმავებლად და გალვანური დენების საინჟინრო საქმეში გამოყენების მეთოდების შესასწავლად[14]. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1845 წლის 19 იანვარს, პეტრე ბაგრატიონი დაინიშნა იმ დროისათვის გავლენიანი და ყოვლისშემძლე იმპერატორის ნიკოლოზ პირველის სიძის, ჰერცოგ მაქსიმილიან ევგენის ძე ლეიხტენბერგის ადიუტანტად. მაქსიმილიან ევგენის ძე ლეიხტენბერგი ბავარიის ჰერცოგი იყო და როცა ნიკოლოზ

---

[10] Петин. Командиры Собственного его императорского величества конвоя (1856—1911), с. 2.

[11] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბილისი, 1977, გვ. 131.

[12] П е т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

[13] Русский биографический словарь, т. II, СПБ., 1900, с. 398.

[14] იქვე.

პირველის ქალიშვილი მარია შეირთო ცოლად, იმპერატორმა იგი რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად დანიშნა. მასვე დაეკისრა სამთო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა. ჰერცოგმა მ. ლეიხტენბერგმა იცოდა პეტრე ბაგრატიონის საქმიანობა და მიღწევები, ადვილი შესაძლებელია, რომ თვითონ მოინდომა მისი ადიუტანტობა, რათა გამოეყენებინა უკვე ცნობილი მეცნიერის ნიჭი და უნარი.

1845 წელს ადიუტანტი და ჰერცოგი ლეიხტენბერგი ურალში მოგზაურობდნენ. იყვნენ ახმატოვის მაღაროში, სადაც შეკრიბეს მინერალური კრისტალები[15].

პეტრე ბაგრატიონმა 7 წელი დაჰყო (1845 წლიდან—1852 წლამდე) ევროპაში მაქსიმილიან ლეიხტენბერგთან და ამ პერიოდში არცერთი შრომა არ გამოქვეყნებულა მისი ავტორობით. სამაგიეროდ, ბევრი შრომა დაიბეჭდა ჰერცოგ ლეიხტენბერგის ავტორობით გალვანოპლასტიკაში. რა თქმა უნდა, ეს შრომები, უმეტესწილად, პეტრე ბაგრატიონის მიერ იქნებოდა შესრულებული, ჰერცოგი ხომ თითქმის ისეთივე ფიზიკოსი და ქიმიკოსი იყო, როგორიც მხატვარი. იგი სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად ითვლებოდა და მხატვრობაში არც ნიჭი ჰქონდა და არც არაფერი შეუქმნია. მისი ერთადერთი დამსახურება ის იყო, რომ ცდილობდა ერთობლივი შრომით, თუ შეიძლება ასე ითქვას, შექმნილი თეორიული შრომები პრაქტიკაში დაენერგა.

გალვანური წესით მოოქროებისა და მოვერცხლის ცხოვრებაში გამოყენების მიზნით ლეიხტენბერგის თაოსნობით პეტერბურგში დაარსდა გალვანოპლასტიკური ქარხანა[16]. თავისი თავის განდიდების მიზნით ჰერცოგი ლეიხტენბერგი, როგორც აღინიშნა, გამოქვეყნებული შრომების თანაავტორადაც არ აღიარებდა პეტრე ბაგრატიონს. საზღვარგარეთ ადიუტანტად ყოფნისას იგი სამხედრო სამსახურში ითვლებოდა და პერიოდულად სამხედრო ჩინიც ემატებოდა. 1845 წელს შტაბსკაპიტნობა მიიღო, 1848 წელს კაპიტანი გახდა, 1850 წელს პოლკოვნიკის ჩინი ებოძა. ამასთანავე, მეცნიერული მოღვაწეობისათვის, უკვე ჩინით პოლკოვნიკს, ადიუტანტს საზღვარგარეთის ქვეყნების ჯილდოები ეძლეოდა. როგორც ირკვევა, ეს ჯილდოები ჰერცოგ მ. ლეიხტენბერგის წარდგინებით ეძლეოდა პეტრე ბაგრატიონს. პეტრე ბაგრატიონის ბიოგრაფი, მკვლევარი ვახტანგ პარკაძე ნამდვილად სწორად შენიშნავს: „თავისი მასწავლებლის პეტრე ბაგრატიონის გვარს იგი (ლეიხტენბერგი) არსად არ ახსენებს, ხოლო ადიუტანტი, ამჟამად უკვე პოლკოვნიკი პ. ბაგრატიონი, რომ „არ დაიჩაგროს“, ად-

---

[15] «Голос», 1876, № 8.

[16] ვ. პ ა რ კ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

გენს მას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დასაჯილდოებლად. ლეიხტენბერგის ბიოგრაფიის შესწავლის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ მისი საქმიანობა გალვანოპლასტიკის დარგში უმთავრესად ადიუტანტმასწავლებლის პეტრე ბაგრატიონის გავლენით იყო გამოწვეული"[17].

ნათელია, რომ თანააეტორობის დაკარგვის საკომპენსაციოდ რუსეთის იმპერატორის სიძე მ. ლეიხტენბერგი პეტრე ბაგრატიონს ადგენდა სხვადასხვა ქვეყნებში ჯილდოების მისაღებად. შვიდი წლის განმავლობაში, 1845 წლიდან 1852 წლამდე, პეტრე ბაგრატიონმა საზღვარგარეთის 6 ორდენი მიიღო: შვეციის წმინდა ოლაფის ორდენი, ნეაპოლიტანიის წმინდა ფრანცისკის ორდენი, ჰესენის (გერმანია) ფილიპე სულგრძელის ორდენი, ბადენის (გერმანია) ცერინგენის ლომის ორდენი, ბავარიის წმინდა მიხეილის ორდენი და პორტუგალიის ქრისტეს ორდენი[18]. შვიდი წლის მანძილზე პეტრე ბაგრატიონის სამეცნიერო მოღვაწეობა მართლაც და ღირსი იყო ჯილდოებისა. ეს მხოლოდ ჰერცოგმა იცოდა, სხვებისთვის კი გაუგებარი იყო რისთვის და რატომ იღებდა ჯილდოებს პეტრე ბაგრატიონი. მართალია, ჰერცოგმა ლეიხტენბერგმა მისი ნაღვაწი მიითვისა, მაგრამ გაწეული შრომისა და ექსპერიმენტებისაგან მიღებული ცოდნა და გამოცდილება პ. ბაგრატიონს შერჩა. 1852 წელს 36 წლის ასაკში გარდაიცვალა მ. ლეიხტენბერგი.

პეტრე ბაგრატიონი რუსეთში დაბრუნდა. 1852 წლის 23 ოქტომბერს მას ფლიგელ-ადიუტანტის წოდება მიეცა და ლეიბ-გვარდიელთა ცხენოსან გრენადერთა პოლკში იქნა მივლინებული საფრონტო სამსახურის შესამოწმებლად. პეტრე ბაგრატიონმა ეს ფრიად სერიოზული და პასუხსაგები დავალებაც ბრწყინვალედ შეასრულა. რუსეთ-თურქეთის ე. წ. ყირიმის ომის დაწყების წინ მას სამხედრო სამსახურში გასაწვევად ტულისა და ხარკოვის გუბერნიებში საყოველთაო მობილიზაციის ორგანიზება და ჩატარება დაევალა: მეცნიერულ მოღვაწეობას ცოტახნით მოწყვეტილმა ეს დავალებაც პირნათლად და დროულად შეასრულა. იმავე პერიოდში, იმპერატორი ნიკოლოზ პირველი დაესწრო პეტრე ბაგრატიონის ხელმძღვანელობაში მყოფ ცხენოსან გრენადერთა დივიზიონის მანევრსა და წვრთნას. იმპერატორს მოეწონა მეთაურის სამხედრო ნიჭი და მანევრირების სწორი ხელმძღვანელობა, რის გამოც პეტრე ბაგრატიონმა ნიკოლოზ პირველის წყალობა დაიმსახურა. თავდადებული და ენერგიული მუშაობით სახელგანთქმული პეტრე ბაგრატიონი 1854 წლის 1 სექტემბერს იმპერა-

---

[17] ვ. პარკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

[18] Русский биографический словарь, II, СПБ., 1900, с. 398.

ტორის სამხედრო-სალაშქრო ამალითა და მისი უდიდებულესობის მცველთა რაზმით მივლინებულ იქნა ვარშავაში; იმავე წელს იმპერატორის სასახლის კომენდანტობა და მცველთა რაზმის უფროსობა დაევალა[19].

პეტრე ბაგრატიონი ყოველგვარ დავალებას დროულად და პირნათლად ასრულებდა. ამიტომ იყო, რომ მას ყოველთვის სერიოზულსა და ძნელად შესასრულებელ საქმეებს ანდობდნენ. იგი ერთნაირი ერთგულებითა და დიდი მონდომებით ასრულებდა სამხედრო, სამეცნიერო თუ სახელმწიფოებრივი ხასიათის დავალებებს. 1855 წელს ვორონეჟის გუბერნიაში გლეხთა მღელვარება დაიწყო, მათ დასაწყნარებლად დროებით პეტრე ბაგრატიონი იქნა გაგზავნილი. ამ დავალების შესრულებას იგი ჩვეული ენერგიით შეუდგა და წარმატებითაც შეასრულა.

1856 წელს იგი დაჯილდოვდა წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით. 1857 წელს პეტრე ბაგრატიონი ლეიბ-გვარდიელთა კავკასიის ესკადრონის უფროსად დაინიშნა, მალე დაჯილდოვდა წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით და მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. იგი იმპერატორის ამალის უფროსად დაინიშნა. ამ პერიოდში მას გაეცნო ქართველი ერის მომავალი სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი. 1859 წელს, თ ბერვალში, აკაკიმ გიმნაზია მიატოვა და სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს მიაშურა, სადაც მისი უფროსი ძმა ილიკო წერეთელი იმყოფებოდა იმპერატორის ამალის წევრად, რომლის უფროსი პეტრე ბაგრ ეიონი იყო. ილიკომ სტუმრად მისული ძმა ბაგრატიონს წარუდგ ა რჩევა-დარიგებისათვის. შეხვედრისთანავე პეტრე ბაგრატიონმა აკაკი ქართულად მოიკითხა. აკაკი არ მოელოდა ქართველი გენერლისაგან მშობლიურ ენაზე საუბარს და გაუკვირდა. პეტრე რომანის ძე მიხვდა აკაკის გაკვირვებას და ღიმილით უთხრა: „განა ქართველი აღარ გგონივარ? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამავიწყდა, თორემ შენზე უკეთ ვიცოდი ქართული! შენ, როგორც იმერელი, უეჭველად იმერული კილოთი უკიდებ და მეკი წმინდა ქართული ვიცოდი“! სწორედ იმ საუბრის დროს მოუყვა პეტრე ბაგრატიონი აკაკი წერეთელს თბილისიდან პეტერბურგში გადასვლის ამბავს. აკაკი წერეთელმა მომდევნო წელსაც მოინახულა ქართველი გენერალი.

მომდევნო წლებში იგი სხვადასხვა პასუხსაგებ დავალებებს ასრულებდა. 1859 წელს პეტრე ბაგრატიონს დაეკისრა კურსკის გუბერნიაში დროებით გაშვებული დაბალი ჩინის სამხედრო პირთა კვლავ გაწ-

---

[19] Петин, დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

ვევა არმიის დასაკომპლექტებლად, ხოლო 1861 წელს მივლინებულ იქნა პერმის გუბერნიაში საგლეხო რეფორმის მომზადებასა და გატარებასთან დაკავშირებით. ორთავე დავალება ჩვეული მონდომებით შეასრულა, დროულად და კარგად, რისთვისაც იმავე წლის 30 აგვისტოს წმინდა ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენი მიიღო. 1861 წელს პერმის გუბერნიაში საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებული საქმეების კარგად შესრულებისათვის იმპერატორის მადლობა დაიმსახურა, 1862 წლის 30 აგვისტოს კი დაჯილდოვდა წმინდა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით. პეტრე ბაგრატიონმა ისე გაითქვა სახელი იმპერიისადმი ერთგული და თავდადებული სამსახურით, რომ 1862 წლის 14 სექტემბერს იგი ტვერის (ახლანდელი კალინინი) გუბერნატორად დაინიშნა, იმავე დროს იმპერატორის ამალაშიც დატოვეს. მისი ადმინისტრაციული სამსახური ტვერის გუბერნიის მმართველობით დაიწყო. ამ პოსტზე, დიდი ტაქტისა და თავშეკავების წყალობით, ის მეტად აქტიურად და ნაყოფიერად იღწვოდა. ორი წლის განმავლობაში გუბერნიის ყველა წრის წარმომადგენელთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა და მთელი რუსეთის იმპერიაში ყველაზე ჰკვიან გუბერნატორად ითვლებოდა[20]. მის დროს გაკეთდა ტვერის გუბერნიაში რკინიგზა — ნიკოლაევის რკინიგზის სადგურ ტვერიდან მდ. ვოლგამდე, ტელეგრაფის ხაზი ამავე სადგურიდან ქალაქამდე, ტვერიდან სტარიცამდე და რჟევამდე. გააუმჯობესა საჯარო ბიბლიოთეკის საქმიანობა. მისი უშუალო ინიციატივით დაარსდა ტვერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. საფუძველი ჩაეყარა გეოლოგიურ ძიებას. მოეწყო გაზის განათება და წყალსადენი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტვერის გუბერნატორად დანიშვნისთანავე, პეტრე ბაგრატიონის შედგენილი გეგმის მიხედვით, მიწაყრილის მოწყობა, ზატმაცის მოსახლეობის საგაზაფხულო წყალდიდობისაგან დასაცავად. წყალდიდობისაგან ბევრჯერ შეწუხებული მოსახლეობის საუკუნო ნატვრა იყო მდინარეთა ადიდებისაგან საიმედო და სამუდამო თავდაცვა. ახლად დანიშნულმა გუბერნატორმა დაიწყო საჭირო სამუშაოების ჩატარება და დაამთავრა კიდეც. სამუშაოების შესასრულებლად საჭირო თანხები არ ჰქონდათ. პეტრე ბაგრატიონის პატივსაცემად ქალაქის თავმა ა. გოლოვინმა პირადი თანხიდან 1200 მანეთი გაიღო ამ საქმისათვის. ეს თანხა არ ეყოფოდა საჭირო სამუშაოების ჩატარებას, პეტრე ბაგრატიონს რომ პატიმართა ასეული არ მოეშველიებინა.

---

[20] «Гражданин», Еженедельный полит. и лит. журнал, 1876, № 3 (январь).

პეტრე ბაგრატიონის დიდი ღირსება იყო ის, რომ ყველას შეეძლო მასთან მისვლა. როგორი დაკავებულიც არ უნდა ყოფილიყო, იგი მთხოვნელს ყურადღებით უსმენდა: განსაკუთრებით გლეხებისადმი იჩენდა ყურადღებას[21]. 1865 წლის 4 აპრილს პეტრე ბაგრატიონი დაჯილდოვდა წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით, იმპერატორის გვირგვინითა და ხმლით. იმავე წლის 30 აგვისტოს კი გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა.

1868 წლის 25 მარტს ქართველი გენერალ-ლეიტენანტი ვილნოს გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ დაინიშნა სამოქალაქო ნაწილში.

1868 წლის 25 მარტს ტვერის გუბერნიის უწყებაში გამოქვეყნდა პეტრე ბაგრატიონის ახალ სამსახურში განწესება: „ტვერის გუბერნატორს — გენერალ-ლეიტენანტს — თავად ბაგრატიონს ყოვლადმოწყალედ ვუბრძანებთ იყოს ვილნოს, გროდნოს, კოვენისა და მინსკის გენერალ-გუბერნატორისა და ვიტებსკისა და მოგილევის გუბერნიების უფროსის მოადგილედ სამოქალაქო ნაწილში“[22].

პეტრე ბაგრატიონმა ტვერის გუბერნატორად 5 წელი და 6 თვე იმსახურა. ამ ხნის განმავლობაში იმდენად დიდი სიყვარული დაიმსახურა, რომ მის ტვერიდან წასვლას ნანობდა გუბერნიის ყველა გამოჩენილი მოღვაწე[23]. მასთან გამოსამშვიდობებლად მაზრებიდან მოდიოდნენ მისდამი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით განმსჭვალული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები.

მისი მოღვაწეობით კმაყოფილმა მოსახლეობამ ტვერის ქალაქის საზოგადოების დადგენილებით თავად პეტრე ბაგრატიონის სახელზე ფული შეაგროვა და გადაწყვიტა, რომ შეგროვილი თანხის პროცენტები უპატრონო ბავშვთა სახლისათვის ეძლიათ, აღსაზრდელებისათვის ხელობის შესასწავლად. ქალაქის საზოგადოების დადგენილებითვე ტვერის ქალთა გიმნაზიაში დანიშნულ იქნა პეტრე ბაგრატიონის სახელობის ორი სტიპენდია და ორი სტიპენდიაც მისი ცოლის სახელობისა ტვერის უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის. ქალაქის საზოგადოებამ დამატებით შეკრიბა ფული, რომელიც მისი გაცილებისას უნდა დაერიგებინათ ღარიბებისათვის პეტრე ბაგრატიონის სახელით. ღარიბი მშობლების შვილებისათვის ხელობის შესასწავლად ცალკე დაიწყეს ფულის შეგროვება, რათა აესრულებინათ თავად პეტრე ბაგრატიონის დიდი ხნის ნატვრა—გაეხსნათ სახელოსნო სას-

[21] Тверския Губернския ведомость на 1868 год, № 27.

[22] იქვე.

[23] იქვე.

წავლებელი ტვერში. ასე უყვარდათ და აფასებდნენ ტვერის გუბერნიის თავკაცად ყოფილ ქართველ გენერალ-ლეიტენანტს, რომელსაც მისი უდროობის გამო გაცილებაც კი ვერ მოუწყო მადლიერმა საზოგადოებამ. პეტრე ბაგრატიონი რკინიგზის სადგურში დაემშვიდობა მის პატივსაცემად თავშეყრილ საზოგადოებას[24].

1868 წლის მარტის ბოლოს პეტრე ბაგრატიონი ვილნოს გენერალ-გუბერნატორის სამოქალაქო ნაწილში თანაშემწის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. იმ დროს იქ გენერალ-გუბერნატორად ა. პოტაპოვი იყო. პეტრე ბაგრატიონი გენერალ-გუბერნატორ ა. პოტაპოვთან კარგ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა. იგი მთლიანად იზიარებდა მის შეხედულებას შემრიგებლური პოლიტიკის მეშვეობით ჩრდილო-დასავლეთი მხარის გარუსების საკითხზე. ამიტომაც ითვლებოდა მის ერთგულ და სასარგებლო თანაშემწედ. 1870 წელს, გენერალ-გუბერნატორის შვებულებაში ყოფნის დროს, პეტრე ბაგრატიონი საკმაოდ წარმატებით ასრულებდა მის თანამდებობას, რისთვისაც მას იმავე წლის 14 სექტემბერს იმპერატორის მადლობა გამოეცხადა.

1870 წლის 22 სექტემბერს პეტრე ბაგრატიონი ბალტიისპირა ქვეყნების — ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მუშაობას იგი ჩვეული ენერგიითა და გულმოდგინებით შეუდგა. ცდილობდა მისი წინამორბედი გენერალ-გუბერნატორის მიერ წამოწყებული საქმეები დაესრულებინა. იგი დღენიადაგ ზრუნავდა სოფლის მრევლთა, განსაკუთრებით კი მართლმადიდებლური სოფლების მრევლთა კეთილდღეობაზე, სახალხო სკოლებზე. მისი ინიციატივით გაუმჯობესდა სწავლება და გაფართოვდა რიგის პოლიტექნიკური სასწავლებელი. ზოგიერთი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მისი სახელობის სტიპენდიები დაწესდა. ამასთანავე, ცდილობდა შემოეღო რუსული ენის სწავლება გუბერნიის სასწავლებლებში[25]. იგი ყოველმხრივ ცდილობდა მის ხელმძღვანელობაში მყოფ გუბერნიაში გაეტარებინა იმპერატორ ალექსანდრე მეორეს მიერ „ნაწყალობევი“ რეფორმები, რათა მთელი მხარე რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცეულიყო. მან იმდენად დიდი ავტორიტეტი და ნდობა დაიმსახურა უკანასკნელ თანამდებობებზე ყოფნისას, რომ თვით იმპერატორიც არ ერეოდა მის საქმეებში.

იგი თავისი შეხედულებითა და პირადი შერჩევით ნიშნავდა გუბერნიაში ისეთ მოღვაწეებს, რომლებიც უყოყმანოდ გაატარებდნენ მეფის რუსეთის პოლიტიკას ამ მხარეში. იმყოფებოდა რა ადმინისტ-

---

[24] Тверския Губернския ведомость на 1868 год, № 27.

[25] «Рижский вестник», 9 января 1876 года.

რაციულ თანამდებობებზე, იგი არ ივიწყებდა მეცნიერულ საქმიანობას. გალვანური ელემენტის შესახებ პირველი ნაშრომი პეტრე ბაგრატიონმა 1843 წელს დაბეჭდა. მის მიერ შექმნილი ელემენტი სწრაფად გავრცელდა და დაინერგა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში[26].

პეტრე ბაგრატიონის ნაშრომი გალვანური ელემენტის შექმნის შესახებ იმდენად სერიოზულ მოვლენად იქნა აღიარებული, რომ იგი 1844 და 1845 წლებში დაიბეჭდა ლონდონში, პარიზსა და ჟენევაში[27]

მეორე ნაშრომში პეტრე ბაგრატიონმა აღწერა გალვანური ცდების დროს შენიშნული პროცესი, ოქროს ხსნადობა კალიუმციანიდში. „ამ ნაშრომში იგი იხილავდა საკითხებს, რომლებიც ეხებოდა გალვანოპლასტიკასა და გალვანურ ელემენტში მიმდინარე პროცესებს. მან დაამტკიცა, რომ ოქრო იხსნება კალიუმფეროციანიდისა და კალიუმციანიდის წყალხსნარებში. მის ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ციანირების მეთოდის გამოყენებისას ოქროს შემცველი მადნებისაგან ოქრო მთლიანად გამოიყოფა. ციანირების მეთოდს ფართოდ იყენებენ თანამედროვე მეტალურგიაში"[28]. ნაშრომი პეტერბურგის აკადემიაში დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე[29], რომელიც ა. კანდელაკმა თარგმნა რუსულად და ვ. პარკაძემ გამოაქვეყნა ქართულად 1956 წელს: „პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი". მოგვყავს პეტრე ბაგრატიონის ნაშრომის ტექსტი: „გალვანოპლასტიკაში ჩემს მიერ წარმოებული ცდების დროს მე შევნიშნე, რომ მეტალური ოქრო იხსნება კალიუმციანიდში, რომელიც პროფ. ლიბიხის მეთოდით არის დამზადებული. ერთი კვირის შემდეგ შიგნიდან მოოქროვილი ფინჯანი, რომელშიც ამ მარილის ნაჯერი ხსნარი იყო მოთავსებული, მთლიანად ამოშმული აღმოჩნდა. ამ ფაქტმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ოქროს ხსნადობა შეიძლება გაზრდილ იქნეს, თუ ამ ლითონს უაღრესად დაქუცმაცებული სახით გამოვიყენებთ. აქედან გამომდინარე მე ჩავატარე ცდები ოქროს ფხვნილით, რომელიც მივიღე ოქროს ქლორიდის ხსნარიდან რკინის სულფატით დალექვის საშუალებით. კარგად გარეცხილ ამ ფხვნილს ვურევდი კალიუმციანიდის ხსნარს. ხსნარში ოქროს არსებობის დასადგენად მასში ვატარებდი ელექტროდენს ვოლტას სვეტიდან. დენის წყაროს წარმოადგენდა დანიელის ელემენტთაგან შემდგარი ბატარეა პლატი-

---

[26] ვ. პ ა რ კ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

[27] იქვე, გვ. 22.

[28] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, გვ. 131.

[29] სტატია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში დასაბეჭდად წარადგინა აკად. ე. ხ. ლენცმა. ზემოხსენებული ტექსტი ფრანგულიდან რუსულ ენაზე თარგმნა ა. კანდელაკმა.

ნის ანოდით. იმის გამო, რომ უარყოფით პოლუსთან უაღრესად დიდი რაოდენობის წყალბადის გამოყოფა წარმოებდა, მე იძულებული გავხდი ანოდის ზედაპირი შემემცირებინა. ამ გზით დენი მალე შესუსტდა და სპილენძის ფირფიტაზე, რომელიც კათოდის როლს ასრულებდა, გამოიყო ოქრო, რომლის ფენამ 2—3 საათის შემდეგ ფირფიტა სრულიად დაჰფარა. გაფილტრული ხსნარით იგივე შედეგები იქნა მიღებული. ნათელი გახდა, რომ ამ ცდებში ოქრო ელექტროდენის მოქმედების გარეშეც უნდა გახსნილიყო ქიმიურად, რადგან ანოდად აღებული იყო არა ოქრო, არამედ პლატინა.

შემდგომმა ცდებმა ცხადყვეს, რომ სითბო ძალზე ადიდებს გაჰხსნელის ძალას. ხანგრძლივი დაყენების შემდეგ ხსნარი ოქროს დალექვის სწრაფ უნარს იძენს და გალვანური დენის გარეშეც დალექავს მას სპილენძისა და ვერცხლის ზედაპირზე, რომელიც ჯერ კიდევ თბილ სითხეშია ჩაშვებული. თუმცა, ამ შემთხვევაში ერთგვარ უხერხულობას ვაწყდებით, რადგან ეს ლითონები თავის მხრივ მეტად ძლიერად განიცდიან ციანკალიუმის ზეგავლენას.

სისხლის ყვითელ მარილს ამ მიმართებით იგივე თვისებები აქვს, როგორც მარტივ ციანიდს, ოღონდ გაცილებით უფრო ნაკლები ძალით. ოქროს გახსნა ამ მარილში ძალზე ნელა წარმოებს; დაყენების პროცესი გაცილებით უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს. სამაგიეროდ ეს ორმაგი მარილი ძალზე სუსტად მოქმედებს სპილენძსა და ვერცხლზე, რის შედეგადაც ოქროს ქიმიური აღდგენით მიღებული მოოქვრა უფრო მტკიცედ გამოდის და ფერიც უფრო ლამაზი აქვს. ამ ცდებმა დაადასტურა ბ-ნ იაკობის მიერ ადრე გამოთქმული შენიშვნა იმის შესახებ, რომ სისხლის ყვითელი მარილი მოოქვრას უფრო ძკვეთრ და ლამაზ ელფერს აძლევს, ვიდრე ეს ციანკალიუმით მიღებულ მოოქვრას ახასიათებს.

ოქროს ფენის სიმტკიცე და სისქე საკმარისი აღმოჩნდა გაკრიალების ასატანადაც. ამ გზით მოოქვრილი საგნები ცვილით გაპრიალების დროს არავითარ ცვლილებას არ განიცდის. უფრო ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ ოქროს პირველი, ძალიან თხელი ფენის მიღების შემდეგ პროცესი არ ჩერდება, რასაც ადგილი ჰქონდა ელკინგტონის ძველი მეთოდის გამოყენების დროს. ცხელ კალიუმფეროციანიდში გახსნილი მეტალური ოქროთი დაფერილ გაპრიალებულ ვერცხლის საგანს მშვენიერი მკრთალი ელფერი მიეცა მას შემდეგ, რაც იგი 12—15 საათის განმავლობაში იქნა დატოვებული გაცივებულ ხსნარში. გრძნობიარე სასწორის უქონლობის გამო, მე ვერ დავადგინე რამდენად გაიზარდა სხეულის წონა; მარტო ის არის ცნობილი, რომ ამგვარი სიმკრთალე მხოლოდ მაშინ მიიღება, როდესაც

ოქროს ფენა გარკვეულ სისქეს მიაღწევს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მოსაოქროვებელი სხეულები წინასწარ კარგად უნდა გაიწმინდოს და რომ გალვანური დენის მოქმედების შედეგად პროცესი უფრო სწრაფად მთავრდება. უკანასკნელ შემთხვევაში, ოქროს ფხვნილი ანოდს რომ არც ეხებოდეს, როგორც ჩანს, მეორადი დენის გაელენით უფრო დიდი რაოდენობით გაიხსნება, როგორც ამას წინასწარმეტყველებს ბ-ნი იაკობი თავისი მემუარის „ვოლტას სვეტის კონსტანტების განსაზღვრის მეთოდები“-ს დამატებაში.

თუმცა ქიმიის სახელმძღვანელოებში მოცემულია, რომ რკინის ქვეჟანგის მარილები სამეფო წყალში (მეფის არაყში) გახსნილ ოქროს მეტალური სახით გამოჰყოფენ და თუმცა ამ გზით მიღებული ნალექი დაჟანგვის კვალსაც კი არ შეიცავს, მაგრამ მე მაინც მოვისურვე გამომეკვლია, თუ როგორია ციანკალიუმის მოქმედება გაგლინულ მეტალურ ოქროზე. ამ მიზნით მე ჩავკიდე დაახლოებით 1 კვ. დუიმის ზომის სუფთა ოქროს ფირფიტა ჭიქაში, რომელიც ამ მარილის ხსნარით ნახევრად იყო სავსე. დაახლოებით სამი დღის შემდეგ, სითხეში ჩაშვებული ფირფიტის ნაწილი თითქმის მთლიანად იქნა დამზერილი ზედა ნაწილში, სადაც სითხე და ფირფიტა ატმოსფეროს ჰაერს ეხებოდა. აღვნიშნავ, რომ ხსნადობისათვის მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნების მიზნით ჭიქა ღუმელზე იდგა, ხოლო ტემპერატურა 30-40°R შორის ირყეოდა.

ჩატარებული ყველა ცდის დროს მე ვსარგებლობდი ბაზრის*, კომერციული მარილებით და მჟავებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ ოქროს ხსნადობა ამ ნივთიერებაში არც თუ ისე ადვილად აიხსნება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ მცირერიცხოვან გამოკვლევებს, რომლებიც დღემდე იქნა ჩატარებული სამეალენტიანი ოქროს შემცველი მასალებით. თუ ჩვენ თავს გარკვეული ჰიპოთეზის წამოყენების უფლებას მივცემთ, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ხსნარებში ოქრო ციანიტის ან ამონიატის სახით შედის, თუ მხედველობაში მივიღებთ მრავალრიცხოვან გარდაქმნებს, რომლებსაც ციანური მარილები ჰაერთან შეხების დროს განიცდიან.

ვერცხლისა და სპილენძის კილიტა და ამ მეტალების ძალზე წვრილი მავთულები ზემოხსენებულ მარილებში ზუსტად ასევე იხსნება და შეიძლება აღდგენილ იქნან იმავე მეთოდებით.

ოქროს გამხსნელად ქიმიკოსები მხოლოდ ერთ რეაქტივს ახსენებენ: ეს არის აზოტ-ქლორწყალბადმჟავა ანუ სამეფო წყალი. მიტჩერლიხის მითითებით ოქრო იხსნება აგრეთვე სელენის მჟავაშიც.

---

* ბაზრის ანუ ტექნიკური.

ჩემი ცდები მაფიქრებინებს, რომ წარმოქმნის მომენტში ციანწყალბადმჟავაც ამავე თვისებების მატარებელია; ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ამიერიდან კალიუმის ციანური მარილები ოქროს გამხსნელებს უნდა მივაკუთვნოთ და ამ მარილთა გამოყენებით ზუსტი ცდების წარმოების დროს ვერიდოთ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლების გამოყენებას"[30].

1845 წელს ქართველი მეცნიერის ეს ნაშრომი დაიბეჭდა საზღვარგარეთ, რის შემდეგაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაინერგა ძვირფასი ლითონების — ოქროს, ვერცხლისა და სხვათა მოპოვებისა და დაშუშავების პეტრე ბაგრატიონის მიერ აღმოჩენილი და შემუშავებული მეთოდი. კერძოდ, მაკარტურმა და ძმებმა ფორესტებმა ეს მეთოდი ფართოდ დანერგეს 1887—1890 წლებში სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიასა და ამერიკაში. მოგვიანებით — 1894 წელს პეტრე ბაგრატიონის ზემოაღნიშნული მეთოდი რუსეთშიც დაინერგა, მაგრამ პატენტში მეფის მთავრობამ დიდი თანხა გადაიხადა. ამიტომაა, რომ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფები ოქროს ციანირების მეთოდს მაკარტურსა და ძმებს ფორესტებს მიაწერენ[30]. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დადგება დრო, როცა ამ დიდი აღმოჩენის ავტორად კვლავ პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი იქნება აღიარებული.

ზემოთ აღნიშნული მეცნიერული მოღვაწეობის გარდა პეტრე ბაგრატიონი მინერალოგიითაც იყო გატაცებული და თავისი კვალი დატოვა ამ დარგშიც.

1845 წელს პეტრე ბაგრატიონმა ჰერცოგ მ. ლეიხტენბერგთან ერთად ურალში ახმატის მაღაროები დაათვალიერა. დათვალიერებისას მან აღმოაჩინა იმ დროს მინერალოგებისათვის უცნობი და, რაღა თქმა უნდა, შეუსწავლელი კრისტალი. კრისტალის ფერი შავი იყო და მინასავით ძლიერ ბრწყინავდა. სიმაგრე, როგორც გამოირკვა, მინდვრის შპატზე ოდნავ მეტი ჰქონდა.

1847 წელს ხსენებული კრისტალის შესახებ პეტრე ბაგრატიონის ახლობელმა, ცნობილმა მინერალოგმა ნიკოლოზ კოკშაროვმა დაწერა გამოკვლევა. ნ. კოკშაროვის წინადადებით ამ მინერალს „ბაგრატიონი" ეწოდა და დღესაც მსოფლიოში იგი „ბაგრატიონის" სახელწოდებითაა ცნობილი. ნ. კოკშაროვი თავის მოგონებებში ხსენებული კრისტალის შესახებ აღნიშნავდა: „მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ჰერცოგ მაქსიმილიან ლეიხტენბერგის ადიუტანტმა თავადმა პეტრე რომანის ძე ბაგრატიონმა მაშინ ურალიდან, სადაც ჰერცოგთან ერთად იმყოფებოდა, მინერალების საკმაოდ მდიდარი კოლექ-

---

30 ვ. პარკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23—26.

ცია წამოიღო, რომელთა შორის იყო დიდი შავი კრისტალი... — რომელიც მე გამოვთხოვე თავად ბაგრატიონს ყოველმხრივ გამოკვლევისათვის"[31]. ნ. კოკშაროვი აღწერს თუ როგორ გამოიკვლია პეტრე ბაგრატიონის მიერ მოპოვებული კრისტალი და დაამტკიცა, რომ იგი იმ დროის მინერალოგებისათვის უცნობ, ახალ მინერალს განეკუთვნებოდა[32], რომელსაც „თავად ბაგრატიონის პატივსაცემად „ბაგრატიონი" ვუწოდე"[33].

მ. ლეიხტენბერგის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ შეგროვებული მინერალების კოლექცია ბავარიის მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა[34].

ჰერცოგს თავის კოლექციასა და, საერთოდ, ქანებზე, მემუარების სახით, ნაწერები ჰქონია, რომელიც ნ. კოკშაროვს ბერლინში ყოფნისას ლეოპოლდ ბუხის ხელში უნახავს[35].

1859 წელს ბავარიის მეცნიერებათა აკადემიის ასი წლისთავზე მოწვეულ სტუმართა შორის ნ. კოკშაროვიც ყოფილა, როგორც რუსეთის სამთო ინსტიტუტის წარმომადგენელი. მიუხედავად დაუთვალიერებიათ მინერალოგიის კაბინეტი, სადაც ნ. კოკშაროვს უცვნია მის მიერ გამოკვლეული კრისტალი „ბაგრატიონიტი", რომელიც მას პეტრე ბაგრატიონის თხოვნით უჩუქებია ჰერცოგ ლეიხტენბერგისათვის. მეცნიერის ღვაწლი მეცნიერებასა და სახელმწიფო მმართველობაში, ასევე მინერალოგიის დარგშიც გამოიკვლია და ვრცლად აღწერა მკვლევარმა ვ. პარკაძემ[36], რომელმაც ცხადყო, რომ პ. ბაგრატიონმა ნათელი კვალი დატოვა მინერალოგიაშიც.

სამხედრო, სამეცნიერო და სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ნიჭთან ერთად პეტრე ბაგრატიონს პოეტური მონაცემებიც ჰქონია. მიუხედავად მოუცლელობისა ლექსებიც დაუწერია. ტვერის გუბერნატორობის დროს იგი ბევრ მოწინავე იდეის მქონე პირს დაუახლოვდა და მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა ზოგიერთ მათგანთან. კერძოდ, ძალიან ახლოს იყო და თავის მეგობრადაც თვლიდა რუს პოეტსა და პუბლიცისტს თევდორე ნიკოლოზის ძე გლინკას, რომელიც 1860-70-იან წლებში ქ. ტვერის მკვიდრად ითვლებოდა[37]. თევდორე ნიკოლოზის ძე

---

[31] «Русская старина», 1890, с. 513.

[32] ვ. პარკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[33] «Русская старина», 1890, с. 513.

[34] მ. ლეიხტენბერგი ბავარიის ჰერცოგი იყო, ამიტომ ხსენებული კოლექცია კოლექციონერის სამშობლოს მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა.

[35] «Русская старина», 1890, с. 255.

[36] ვ. პარკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30—31.

[37] თევდორე ნიკოლოზის ძე გლინკა გარდაიცვალა ქ. ტვერში, 1880 წელს.

გლინკა კადეტთა კორპუსის აღზრდილი და 1812 წლის სამამულო ომის აქტიური მონაწილე იყო. მოგვიანებით დეკაბრისტთა საიდუმლო ორგანიზაციის — „ხსნის კავშირის“—საქმიანი წევრი და 1819—1825 წლებში რუსული სიტყვიერების მოყვარულთა თავისუფალი საზოგადოების თავმჯდომარე. დეკაბრისტთა აჯანყების შემდეგ, მეფის მთავრობამ სხვებთან ერთად თ. გლინკაც გადაასახლა პეტროზავოდსკში, სადაც სწავლობდა კარელიის ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი და მრავალი ლექსი დაწერა და გამოაქვეყნა, რომელთაგან ბევრი პოპულარულ სიმღერად იქცა. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული ნარკვევები, რომელთაგან ყველაზე გახმაურებულია „ნარკვევი ბოროდინოს ბრძოლებზე“. ამ ნარკვევს დადებითი შეფასება მისცა ვ. ბელინსკიმ. როგორც ჩანს, პეტრე ბაგრატიონს მოეწონა საღად მოაზროვნე პოეტი და პუბლიცისტი თ. გლინკა და დაიმეგობრა იგი. სწორედ ამ მეგობრობის გამო იყო, რომ პეტრე ბაგრატიონმა 1869 წლის ბოლოსა და 1870 წლის დასაწყისში საკმაოდ დიდი მოცულობის ლექსი მიუძღვნა მას.

ლექსში პეტრე ბაგრატიონი ხაზს უსვამს დროსა და შრომას, რომელსაც ადამიანი არ ითვლის, მაგრამ დაბადებიდან გვჯერა, რომ წელს წელი მისდევს და საერთო მოძრაობის მეოხებით სამყარო ყოველწლიურად წინ მიდის. რომ ჩვენ ყოველ დღე შევიცნობთ მამა-პაპათა შეცდომებს. მოუცლელობის გამო იგი უდროობას უჩივის და დასჭენს, რომ ბავშვობიდან არავინ აქცევს ყურადღებას, მიფრინავს თუ კუსავით მიხოხავს დრო. მოგვიანებით კი, ადამიანი უკვე ძუნწობს დროის მიმართ და როცა „ზემოდან ქვემოთ გაცილების დრო მოდის, ცხოვრება გვეჩურჩულება: მოეშვი ნატვრას, მეგობრის ოჯახში ფინჯანი ჩაის დასალევად დაჯექი და დაისვენე ფაციფუცისაგან“. ბოლოს ლექსის ავტორი მეგობარს ურჩევს, რაც შეიძლება მხიარულად გაატაროს მთელი წელი — სამას სამოცდახუთი დღე. ეს ლექსი ავტორის გარდაცვალების შემდეგ — 1878 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, მილერის სტამბაში[38]. ვინაიდან თ. გლინკასადმი მიძღვნილი ზემოაღნიშნული ლექსი დღემდე უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება.

---

[38] პეტრე ბაგრატიონის ეს ლექსი მცირეფორმატიან ცალკე ბროშურადაა გამოცემული, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მეთვრამეტე დარბაზში, № 213 კარადის მესამე თაროზე 262 ნომრით.

князя Петра Романовича Багратиони Федору Николаевичу Глинке*

(при посылке нового календаря)

30-го декабря 1869
12-го января 1970

Вы говорите, что рода
Людьми придуманы; у бога
Есть дни молитвы; дни труда:
Но годового их итога
Творец не сводит никогда.

Вы правы. Верим мы с рожденья,
Что вслед за годом год идет,
Что, в силу общего движенья,
С годами мир идет вперед,
А что вертиться — нет сомнения.

Но мы вседневно познаем
Отцов и дедов заблужденья,
А вечной истины не ждем
И от младого поколенья;

Все ошибаются кругом—
От многомудрого — якова
И до Тверских ведомостей:
Давно забытое нас снова
Чарует прелестью своей,
Блестящий звук пустого слова —

Нередко разум нам темнит,
Нередко и Сама фемина
Свой суд и вскрив, и вкось чинит
То взыщет за просрочку вида,
То за убийство извинит.

Так наши все весы и меры
Не без греха: могли бы мы
Им придавать поменьше веры, —

* Это стихотворение есть отзыв на поговорку Ф. Н. Глинки, что «время люди выдумали».

ведь очутились средь зимы
Однажды праздники цереры.

Поля без жатвы, лес пустой,
Ни листьев, ни цветка и улей
Заглох от стужи. — Той порой
Над миром цесарствовал Юлий, —
Решил он, что всему виной

Сатурн плешивый и безхвостый,
И, чтоб богине угодить,
велел прибавить девяносто
ноябрьских дней, — и лету быть:
Владыке все легко и просто.

Прошли столетья, и глядь —
Григорию выпало на долю
У года десять дней отнять.
Так Цесаря и папы воля
Мир двигала вперед и вспять.

Да и одна ли Рым-столица
Кромсала время наугад?
При вас, во дни Аустерлица,
Слагался месяц из декад
И не считалася седмица.

А нынче разве мы умней,
Когда рисуем безобразно,
И над чертою, и под ней,
Два года, два числа? все разно
У нас и у других людей.

И Пупарев сам затруднится
Решить, где истина, где свет.
На что ж нам знать, как время мчится?
Кто дорожит им с детских лет?
Кто позже на него скупится?

На первых юности порах,
Когда мы все живем с размаха,
Летит ли время на парах,
Или ползет как черепаха —
Нам все равно, для нас все прах.

Но вскоре жаждою всезнанья
Пытливый заразится ум,

И мы несемся в мире страданья,
Незримых тайн, тревожных дум
И горделивого желанья.

Когда ж с надменной высоты
Тихонько вниз нас провожая,
Жизнь шепчет нам: покинь мечты,
в семье друзей, за чашкой чая,
Сядь, отдохни от суеты, —

Мы с детской верой принимаем
Ея пленительный совет,
И, наслаждаясь новым раем,
Желанья, грезы прежних лет
Другим с надеждою вверяем.

И мужественным их трудом
Любуемся без нетерпенья. —
Так протекает день за днем,
За поколеньем поколенье,
И мир вертится колесом.

Считать ли днями иль годами —
Все будет так же как и в старь
Все те же числа с именами,
Хотя и новый календарь.
Но кстати — вот он перед вами.

И дай вам бог среди друзей,
По святцам этого гостинца,
Прожить как можно веселей,
без Юргенсона и без принца,
все триста шестьдесят пять дней.

Вильна*

როგორც ირკვევა, პეტრე ბაგრატიონი ფართო დიაპაზონის მოღვაწე ყოფილა. მისგან მეფის მთავრობა, ალბათ, კიდევ ბევრს მოელოდა და ნამდვილად გაამართლებდა ყველას მოლოდინს, რომ დასცლოდა.

1876 წლის 15 იანვარს, სამსახურებრივი საქმეებისათვის, პეტრე ბაგრატიონი პეტერბურგში ჩავიდა.

იგი ასთმას უჩიოდა და იმ დღეს უფრო ძლიერ იგრძნო ავადმყო-

* Дозволено цензурой, 17 октября 1878 г. Москва, тип. Ф. Д. Миллера, Машков пер., д. № 82.

ფობა. პეტერბურგის ექიმებმა გულმოდგინედ გასინჯეს და განაცხადეს, რომ მის ჯანმრთელობას არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა. ყოველი შემთხვევისათვის ექიმებმა მკურნალობა დაუნიშნეს ფილტვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 16 იანვარს პეტრე ბაგრატიონმა მკურნალობა დაიწყო ექიმების მიერ შეთავაზებული მეთოდით, მაგრამ მისი მდგომარეობა უფრო გაუარესდა, 17 იანვარს კი გარდაიცვალა პეტერბურგის სასტუმრო „საფრანგეთში“.

პეტრე ბაგრატიონი დაასაფლავეს პეტერბურგის ვოსკრესენსკის ნოვოდევიჩის მონასტერში, სადაც მის საფლავზე, იმპერიის წინაშე დიდი დამსახურების შესაფერისად, განსაკუთრებული ეკვდერი იქნა აგებული.

მის გარდაცვალებას პეტერბურგის, მოსკოვისა და რიგის თითქმის ყველა გაზეთმა და ჟურნალმა მიუძღვნა ნეკროლოგი. ნეკროლოგში ჩამოთვლილი იყო იმპერიის სასარგებლოდ მის მიერ გაწეული ღვაწლი, თითქმის ყველგან უსვამდნენ ხაზს მის სამხედრო, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ნიჭს.

სანკტ-პეტერბურგის ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი „გრაჟდანინ“ 1876 წლის 18 იანვარს იუწყებოდა: „თავადი ბაგრატიონი იყო ერთ-ერთი უჭკვიანესი ჩვენს ადმინისტრატორებს შორის. თავისი ადმინისტრაციული სამსახური ტვერის გუბერნიის მმართველობით დაიწყო და ორი წლის განმავლობაში ყველა წრის წარმომადგენლის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. იმავე დროს ყველაზე ჭკვიანი გუბერნატორის სახელი მოიხვეჭა რუსეთში.

მისი მეორე სამსახური იყო ვილნოს გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეობა გენერალ პოტაპოვის გენერალ-გუბერნატორობის დროს. აქ მას ძნელსა და რთულ პირობებში მოუხდა სამსახური, ვილნოს გუბერნიაში პოტაპოვი გარუსების პოლიტიკას ატარებდა და ამდენად საჭირო იყო დიდი გამოცდილება, დიპლომატია და ადმინისტრაციული ნიჭი. მან აქაც მალე მოიპოვა დიდი სიყვარული და ნდობა.

როცა საკითხი დადგა ბალტიისპირეთში გენერალ-გუბერნატორის დანიშვნისა, მთავრობა ეძებდა ისეთ პიროვნებას, რომელიც განუხრელად განახორციელებდა ამ მხარეში მთავრობის რუსულ-შემარიგებლურ პოლიტიკას, ე. ი. ამ მხარეში უნდა გაეტარებინათ რეფორმები და იმავე დროს სიმშვიდე უნდა შენარჩუნებულიყო. ასეთი ძნელი და რთული მოთხოვნები იდგა ახალი გენერალ-გუბერნატორის წინაშე. მეფის მთავრობა ერთსულოვნად შეჩერდა პეტრე ბაგრატიონის კანდიდატურაზე და დანიშნა იგი გენერალ-გუბერნატორად, სადაც ხუთი წელი იმსახურა. ამ ხუთი წლის განმავლობაში მისი სახელი

თითქმის არ ისმოდა. იგი არ დადიოდა ბანკეტებზე და არ გამოდიოდა სიტყვებით, არც თავის გეგმებსა და პროგრამებზე ყვიროდა. არასდროს არავითარი საკითხის გადაჭრისას მას ხმა არ აუმაღლებია. სამაგიეროდ, ამ ხუთი წლის განმავლობაში პატიოსან და საქმისადმი ერთგულ ადამიანებს არჩევდა და ნიშნავდა გუბერნატორებად; პროექტებს თვითონ ამუშავებდა. მან შემოიტანა რუსული ენის სწავლება ამ მხარეში.

მან მისცა, ასე ვთქვათ, მოქალაქეობრივი სამართლიანობის უფლება, მიკერძოების გარეშე, ყველას, ყოველგვარი გამონაკლისის დაუშვებლად. შეძლო ყოფილიყო გენერალ-გუბერნატორად ნაციონალური საკითხისა და ნაციონალური პოლიტიკის გარეშე. ერთი სიტყვით, მან თავისი თავისაგან შექმნა ოსტზეის გენერალ-გუბერნატორის ტიპი, რომელზედაც ყოველთვის ვნატრობდით და რომელიც ამ მხარეს ჯერ კიდევ არასდროს არ ჰყოლია. ამიტომაც, ყველა პატიოსანმა ადამიანმა დაიტირა იგი განურჩევლად ეროვნებისა. ამიტომ მის ადგილზე კანდიდატურის შერჩევა ფრიად საძნელო საკითხია. როცა მისი სიკვდილის შემდეგ ახალ გენერალ-გუბერნატორს ეძებდნენ, ყველა ამბობდა, რომ ისეთს კერ მოვნახავთო. მაშინ ბევრმა ცნობილმა პირმა განაცხადა: „რა იქნება, რომ არავინ არ დაინიშნოს, ბაგრატიონს შეეძლო დაესვა კარგი გუბერნატორები[39], და კარგია, დაე, ისინი იყვნენ ადმინისტრატორები“[40].

არაოფიციალური მითქმა-მოთქმა მართლა გამართლდა. პეტრე ბაგრატიონის თანამდებობა გაუქმდა. ბალტიისპირეთის ქვეყნების ერთიანი საგენერალ-გუბერატორო დაიშალა. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ცალკე ერთეულებად შევიდა რუსეთის იმპერიაში.

პეტრე ბაგრატიონის ოჯახური მდომარეობის შესახებ ცნობები თითქმის არ არსებობს. ცნობილია, რომ მან პეტერბურგში იქორწინა ანა ალექსანდრეს ასულზე (გვარი არაა ცნობილი), რომელთანაც ჰყოლია ქალ-ვაჟი, დიმიტრი და ევგენია. ევგენია ადრევე გარდაცვლილა გაუთხოვარი, დაკრძალულია მამის გვერდით — პეტერბურგის ვოსკრესენსკის მონასტერში. დიმიტრი ბაგრატიონი კავკასიის სამხედრო სკოლის ოფიცერი ყოფილა. 1914 წლის ცნობით, იგი უკვე გენერალ-მაიორია და მსახურობდა ცხენოსან ოფიცერთა სკოლაში უფრო-

---

39 პეტრე ბაგრატიონი იყო ბალტიისპირეთის ქვეყნების — ლიფლანდიის, ესტლანდიისა და კურლანდიის (ეხლანდელი ლიტვა, ესტონეთი, ლატვია) გენერალ-გუბერნატორი, რომელიც თავის საგენერალ-გუბერნატოროში თავისი შერჩევითა და შეხედულებისამებრ ნიშნავდა ცალკეული ქვეყნების გუბერნატორებს.

40 «Гражданин», 1876, № 3.

სის თანაშემწედ[41]. მისი უშუალო თაოსნობით პეტერბურგში დაარსდა ჟურნალი «Вестник Русской конницы», რომლის რედაქტორიც თვითონ იყო. რედაქტორობასთან ერთად, ხსენებულ ჟურნალში ხშირად თავის წერილებსაც ბეჭდავდა მეცხენეობის აქტუალურ საკითხებზე[42].

პეტრე ბაგრატიონის შთამომავლობის შესახებ დღემდე ცნობები არ არის მიკვლეული.

---

[41] ვ. პარკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18—19.

[42] იქვე.

კირილე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი
(1750—1828)

რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, საიდუმლო მრჩეველი და სენატორი კირილე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი ქართლის მეფის იესე ლეონის ძე ბაგრატიონის შვილის — ალექსანდრე იესეს ძის უმცროსი შვილი იყო. მის შესახებ ძალიან ძუნწი ცნობებია შემონახული და ალბათ ამიტომაცაა, რომ ალექსანდრე იესეს ძის ოჯახის წევრებზე, კერძოდ, მის შვილებზე როცა წერენ, არავინ კირილე ბაგრატიონს არ ახსენებს. სწორედ ამ ამბავმა განაპირობა მასზე მოკლე ბიოგრაფიული ცნობა მიგვეწოდებინა ქართველი მკითხველისათვის.

კირილე ბაგრატიონი დაიბადა 1750 წელს. იგი მამის კვალს გაჰყვა და 17 წლისა—1767 წელს—ფსკოვის კარაბინერთა პოლკში შევიდა ვახმისტრად. ამ პოლკთან ერთად, იგი მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წლების ომში. 1771 წელს ადიუტანტობა მიიღო და თურქი ტყვეები გადაიყვანა პერეკოპიდან კოზლოვში. მალე იგი კვლავ საომარ მოქმედებაში ჩაება და მონაწილეობა მიიღო ყარსთან ბრძოლებსა და ბაზარჯიკის აღებაში[1], 1774 წელს განსაკუთრებულ რაზმთან ერთად იცავდა სტრატეგიული მნიშვნელობის გზას სამხედრო შენაერთების ადგილსამყოფელ შუმლსა და არმიის ძირითადი ძალების ადგილსამყოფელ ყილისტრს შორის. საომარ მოქმედებაში თავდადებული და აქტიური მონაწილეობისათვის მადლობა გამოეცხადა. ომის დამთავრებისთანავე კაპიტნის ჩინი ებოძა[2]. 1776—1777 წლებში ყირიმში იყო სამხედრო ნაწილთან ერთად და მონაწილეობას იღებდა აჯანყებული თათრების დამშვიდებაში. ყირიმში თავისი ერთგული და ზომიერი მოქმედებით ადგილობრივი ხალხის პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა, რითაც მეფის მთავრობის წარმომადგენლები კმაყოფილნი დარჩნენ. ამიტომ იყო, რომ ყირიმის თათრების დამშვიდების შემდეგ, მურზების თხოვნით, იგი იმპერატრიცა ეკატერინე მე-

---

[1] Справочный энциклопедический словарь, изд. К. Крайя, том II, СПБ., 1849, с. 79.

[2] Русский биографический словарь, том II, СПБ., 1900, с. 393.

ორის კარზე იქნა გაგზავნილი, როგორც დამორჩილებულ თათართა სანდო წარმომადგენელი. 1786 წელს კირილე ბაგრატიონი უკვე პოდპოლკოვნიკია. ამ ჩინით შეხვედა იგი 1789 წელს კვლავ დაწყებულ რუსეთ-თურქეთის საომარ მოქმედებას. იგი მონაწილეობდა ადოჟიბენის ციხე-სიმაგრისა და ქალაქ ბენდერის აღებაში. 1792 წელს, პოლონეთში რუსეთის ჯარის შესვლამდე, იგი გენერალ დერფელდენის მოწინავე რაზმს ხელმძღვანელობდა. 1793 წ. პოლკოვნიკის ჩინი მიიღო. 1795 წელს გადაყვანილ იქნა ჩუგუევის კაზაკთა რეგულარულ პოლკში და ამ პოლკთან ერთად მონაწილეობდა ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში. როგორც ჩანს, აქ, მან თავისი ერთგული და გაბედული მოქმედებით ხელმძღვანელობის ყურადღება მიიპყრო. მალე 1797 წელს გენერალ-მაიორობა მიიღო და მარიუპოლის პოლკის უფროსად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში კირილე ბაგრატიონი ხშირად უჩიოდა ჯანმრთელობას. 1800 წელს, 50 წლის ასაკში, ავადმყოფობის მიზეზით სამსახურიდან გადადგა. კირილე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონმა რუსეთის არმიაში 37 წელი გაატარა და გენერალ-მაიორის ჩინით დაანება თავი სამხედრო სამსახურს. რუსეთის იმპერიისადმი თავდადებითა და ერთგულებით კარგი სახელი მოიპოვა ხელმძღვანელობაში, ამიტომაც იყო, რომ სამხედრო სამსახურიდან გასვლისთანავე საიდუმლო მრჩეველის წოდება მიიღო[3] და ესწრებოდა სენატის სხდომებს მოსკოვის დეპარტამენტში. მალე მეექვსე დეპარტამენტში გადაიყვანეს და ბელორუსიის გუბერნიის შემოწმება დაევალა. ამ თანამდებობაზე რამდენიმე წელი დაჰყო. 1805 წელს გადაიყვანეს სენატის მეშვიდე დეპარტამენტში, სადაც, მცირეოდენი შესვენებებით, ესწრებოდა სენატის სხდომებს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

იგი გარდაიცვალა მოსკოვში, 78 წლისა, 1828 წელს.

---

[3] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი II, თბილისი, 1977, გვ. 131.

სპეციალური კომისიის შექმნა რუსეთში დასახლებული ბატონიშვილებისა და მათი შთამომავლობის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

1801 წლიდან 1842 წლამდე არავითარი დადგენილება არ არსებობდა ბატონიშვილების მატერიალურად უზრუნველყოფისათვის. რუსეთში საცხოვრებლად ჩასული ყველა ბატონიშვილი ეწყობოდა უმაღლესი ხელისუფლების უშუალო შეხედულებითა და ჩარევით, ყოველგვარი დადგენილებისა და კანონის გარეშე. ამიტომ იყო, რომ ყოველ მათგანზე დიდი თანხები იცემოდა და საკმაოდ კარგადაც ცხოვრობდნენ.

მაგალითად, როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთში გადასახლებულ საქართველოს ოთხ დედოფალს: ერეკლე მეორეს მეუღლეს — დარეჯან გიორგის ასულს, გიორგი მეთორმეტეს მეუღლეს — მარიამ გიორგის ასულს, იმერეთის დედოფლებს — დავით გიორგის ძის მეუღლეს — ანა მათეს ასულს, სოლომონ მეორის მეუღლეს მარიამ კაციას ასულსა და, ბოლოს, სამეგრელოს მმართველ ნინოს ცხოვრების საუკეთესო პირობები ჰქონდათ შექმნილი რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით. ყველა ზემოჩამოთვლილ პირს ჰქონდა ეკატერინეს ლენტი, კარის ეკიპაჟის ყოლის უფლება, მათი შესანახი თანხები და შესაფერისი ბინა, მუდმივი პენსიები, ეძლეოდათ ერთდროული დახმარება. როგორც ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი აღნიშნავს, მათ ცხოვრების თითქმის ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი, არ ჰქონდათ მხოლოდ საქართველოში ცხოვრების უფლება. ამიტომ იყო, რომ ბატონიშვილებმა თავიანთი ხელგაშლილობით, გულუხვობითა და ადამიანებთან კეთილი დამოკიდებულებით მთელი რუსეთის იმპერიაში გაითქვეს სახელი და ხშირად დახმარებისთვისაც მიმართავდნენ მათ[1].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ ბატონიშვილების

[1] ერთხელ მოხუცებული თეიმურაზ ბატონიშვილის ბინას კარეტა მიადგა. თეიმურაზს მოახსენეს, რომ რომელიღაც, მათთვის უცნობ გენერალს სურს მასთან ცალკე საუბარი. ვინაიდან მან რუსული კარგად არ იცოდა, თარჯიმნით შეეგება ხანში შესულ, გადამდგარი გენერლის ფორმის ტანსაცმელში გამოწყობილ, მკერდზე ბევრი ორდენისა და მედლის მქონე, მხარზე ანას ლენტიან გენერალს. შეხვედრის-

პირველი თაობა, რომელიც რუსეთში 1800 წლიდან 1861 წლამდე ცხოვრობდა (1861 წელს — უკანასკნელი ბატონიშვილის — მიხეილ გიორგის ძის — გარდაცვალებით პირველმა თაობამ არსებობა შეწყვიტა)[2], თითქმის ყოველგვარი სიკეთით სარგებლობდა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე ითქვა, მათი მოწყობის შესახებ არავითარი დებულება და არც კანონი არ არსებობდა 1842 წლამდე.

1842 წლიდან ბატონიშვილების შესახებ ყოველგვარი საქმე დაევალა ჯერ საგარეო საქმეთა, ხოლო შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ გამგებლობას, რომელთანაც იყო IV კლასის სპეციალური მოხელე — საქართველოს მთავარი ბოქაულის სახელწოდებით[3]. ამ ბოქაულის უშუალო ჩარევის გარეშე არც ერთი ბატონიშვილის შესახებ დიდმნიშვნელოვანი საქმე არ შეისწავლებოდა და არ გადაწყდებოდა. ამან, რა თქმა უნდა, ცოტა გაართულა ბატონიშვილთა ცხოვრებისეული საკითხების ოპერატიულად მოგვარება, რამაც მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზეც უარყოფითი ზეგავლენა მოახ-

---

თანავე, მისულმა გენერალმა მკერდზე დაბნეულ ორდენებსა და მედლებზე დაიდო ხელი და თქვა: „თქვენო ბრწყინვალებავ, შეხედეთ აქეთ და თვითონ დარწმუნდებით, რომ ვიმსახურე დიდხანს და შემიძლია ვთქვა საკმაოდ სარგებლიანად და გამორჩეულად. თქვენთან მოვედი კარეტით, მაგრამ მე საწყალი ვარ. ჩემს ოჯახს არ აქვს საჭმელი და არც ჩასაცმელი. ჩემი პენსია ამდენია, შესანახი კი მყავს ამდენი. ჭუჭაში სიარული და სათხოვრად ხელის გაშვერა ჯერ ვერ გადავწყვიტე, მაგრამ ვიცი ვინა ხართ თქვენ და როგორი წარმოშობისა, ამიტომ არც დავფიქრებულვარ გთხოვოთ თქვენ დახმარება“. ბატონიშვილს სიტყვა არ დაუძრავს, ამიღო ასმანეთიანი და მისცა მოსულს. ამ შემთხვევის დამსწრეებმა — თეიმურაზის ახლობლებმა გულკეთილ ბატონიშვილს მიმართეს: „არაა საჭირო სჩქარება ასეთ შემთხვევაში. ხშირად, თაღლითები სამხედრო ფორმასა და სხვა ყოველგვარ ტანსაცმელს იცვამენ და ატყუებენ გულკეთილ ადამიანებს, რომლებსაც შემდეგ თვითონვე დასცინიან. უნდა გაგეგოთ ნამდვილად იყო თუ არა იგი გენერალი და, კერძოდ, ვინ იყო იგი, რომელი გენერალი? ბატონიშვილი შეეშმუხნა და შეეკითხა მათ: დაეუშვათ, თქვენებურად, რომ ის თაღლითი იყო. აბა, ვინ ვის მოატყუა, მე ის თუ იმან მე? თუ ის თაღლითი იყო, რა თქმა უნდა იმან მოგატყუათ თქვენ? კი მაგრამ მე ხომ ლაქა არა მომცხებია? უპასუხა თეიმურაზმა. მე კი, მისთვის რომ მეპასუხა, მე ფული არა მაქვს, მაშინ როცა მე ფული მაქვს, ორივე მატყუარები ვიქნებოდით — ისიც და მეც. არა ის თუ მართლა თაღლითია მას ღმერთი მალე დასჯის, რაიმეში გამომჟღავნდება მისი ბოროტმოქმედება. დაეუშვათ ის არ იყო თაღლითი და იყო ნამდვილად საცოდავი, საბრალო, მაშინ რა? მანამ შენ გაერკვევი სინამდვილეში, ოჯახის წევრები შიმშილით დაეხოცებიან. აბა როგორ განსჯი? ჩემი აზრით მატყუარად მე, ერთი დავრჩებოდი, მხოლოდ მე დავრჩებოდი ცოდვილი“. იხ. ნ. ბაგრატიონ-იმერეტინსკის დასახელებული ნაშრომი, გვ. 25—26.

2 საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1973, გვ. 190.

3 იქვე, გვ. 192.

დინა. ამას დაერთო ისიც, რომ ბატონიშვილების უმეტესობამ პენსიების ნაცვლად ერთდროულად მიღებული ფულადი თანხით ვერ შეიძინა მამულები და ვერც ყმა გლეხები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა ერთდროულად მთავრობისაგან 300 ათასი მანეთი მიიღო მამულებისა და ყმა გლეხების შესაძენად, მაინც ვერ მოახერხა მიღებული თანხის დანიშნულებისამებრ გამოყენება, ძირითადად, მიწებისა და ყმა გლეხთა სიძვირის გამო. ამიტომ იყო, რომ ბევრმა მათგანმა მთავრობას მიმართა თხოვნით, რათა უკან დაებრუნებინათ მიღებული ფული და კვლავ შთამომავლობითი პენსიები დანიშვნოდათ. ამგვარი თხოვნები მალე საჩივრებში გადაიზარდა. თანდათანობით გახშირდა ბატონიშვილთა საჩივრები ფულის უკან მიღებისა და შთამომავლობითი პენსიების დანიშვნისათვის.

ბაგრატიონებისა და ბაგრატიონ-იმერეტინსკების გაუთავებელი თხოვნებითა და საჩივრებით გაღიზიანებული კავკასიის მეფისნაცვალი თავადი ა. ბარიატინსკი 50-იანი წლების ბოლომდე შამილის წინააღმდეგ ბრძოლებით იყო დაკავებული, ამიტომ რუსეთში მცხოვრებ სამეფო სახლის წევრთა კეთილმოწყობაზე, მათ შთამომავლობით პენსიებზე და ერთდროული ფულადი თანხის მიცემასა და უკან დაბრუნებაზე მთავრობასთან შუამდგომლობის აღძვრას ერიდებოდა. მეფისნაცვლის ჩარევის გარეშე კი, არავითარი დიდმნიშვნელოვანი საკითხი არ დაისმებოდა მთავრობის წინაშე.

1859 წლის ბოლოსათვის, შამილის დატყვევებისა და კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ რუსეთის მთავრობის წინაშე აღძრა საკითხი ბატონიშვილთა და მათ შთამომავალთა მოწყობის შესახებ[4].

ა. ბარიატინსკის მიმართვის თანახმად, 1859 წლის დეკემბერში უმაღლესად იქნა ნაბრძანები ბაგრატიონებისა და ბაგრატიონ-იმერეტინსკების კეთილმოწყობისათვის სპეციალური კომისიის შექმნა. იმპერატორის მიერ მითითებული იყო, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ზემოაღნიშნული კომისიის წევრები და ვინ უნდა დაენიშნათ კომისიის თავჯდომარედ. თანახმად მითითებისა, კომისიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო თითო წარმომადგენელი — დეპუტატი აღმოსავლეთ საქართველოს ბაგრატიონებიდან და იმერელი ბაგრატიონ-იმერეტინსკებიდან. დეპუტატების არჩევა უნდა მომხდარიყო რუსეთში დასახლებული ყველა ბაგრატიონისა და ბაგრატიონ-იმერეტინსკების ურთიერთშეთანხმებით. კომისიაში უნდა შესულიყო კავკასიის კომიტეტის

---

[4] საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1970, გვ. 192.

საქმეთა მმართველის თანაშემწე, სახელმწიფო მრჩეველი, ფინანსთა სამინისტროს მოხელე — მთავარი ბოქაული ნიკოლოზ ვასილის ძე გულკევიჩი. ამ უკანასკნელის შეხედულებით უნდა წარმართულიყო ახლადშესაქმნელი სპეციალური კომისიის საქმიანობა.

იმპერატორის გადაწყვეტილებით, კომისიას სახელმძღვანელოდ უნდა გადაცემოდა მეფისნაცვლის თავად ა. ბარიატინსკის მიერ ხელმწიფე-იმპერატორისადმი გაგზავნილი პირადი ვარაუდი, ბატონიშვილთა ერთხელ და სამუდამოდ კეთილმოწყობის შესახებ. ბარიატინსკის ვარაუდის გათვალისწინებით უნდა შეემუშავებინათ საბოლოო აზრი, რომელიც კავკასიის კომიტეტის წევრს, ამავე კომიტეტის საქმეთა მმართველს, სახელმწიფო მრჩეველს — ბუტკოვს უნდა წარედგინა მეფისნაცვალისათვის, რუსეთის შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებისათვის. ამ უკანასკნელთა შეხედულებები, კომისიის მიერ შემუშავებულ აზრთან ერთად, კავკასიის კომიტეტს უნდა გადაცემოდა. მალე, იმპერატორის ნება-სურვილის თანახმად, მთავარმა ბოქაულმა გულკევიჩმა რუსეთში დასახლებულ ბაგრატიონებსა და ბაგრატიონ-იმერეტინსკებს შეატყობინა მათი მოწყობისათვის სპეციალური კომისიის შექმნის გადაწყვეტილება და სთხოვა აერჩიათ და წარმოედგინათ თავიანთი წარმომადგენლები — დეპუტატები: ერთი ბაგრატიონებისაგან და ერთიც ბაგრატიონ-იმერეტინსკებისაგან. დეპუტატებს არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ რუსეთში მყოფ ყველა ბაგრატიონს და ბაგრატიონ-იმერეტინსკის. აღმოსავლეთ საქართველოს ბატონიშვილებმა, ხმის უმრავლესობით, სპეციალურ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად ბატონიშვილი მიხეილ გიორგის ძე აირჩია. იმერეთის ბატონიშვილებიდან არჩეულ იქნა სახელგანთქმული გენერალ-ადიუტანტი თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი, რომელმაც ცოტა ხანს იმუშავა კომისიაში და განთავისუფლება მოითხოვა[5]. მის მაგიერ დეპუტატად არჩეულ იქნა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი. ამ კომისიის თავმჯდომარედ, როგორც ნავარაუდევი იყო, ზემოხსენებული, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ნიკოლოზ ვასილის ძე გულკევიჩი დაინიშნა.

კომისიის მუშაობაში, რომელიც ორ თვეს გაგრძელდა, დაწყებიდან დამთავრებამდე იმუშავა მხოლოდ ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა ბაგრატიონ-იმერეტინსკების მოთხოვნისა — დაებრუნებინათ ერთდროულად მიღებული თანხები და კვლავ შთამომავლობითი პენსიები

---

5 საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1970, გვ. 192.

მიეღოთ, რათა არ შემოხარჯოდათ მიღებული ფული და ისევ სათხოვრად არ გაბდომოდათ საქმე. პენსიებით კი, როგორც ისინი აცხადებდნენ, არა მარტო ბატონიშვილები იქნებოდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყოფილნი, არამედ მათი შთამომავლობაც გარანტირებული იქნებოდა ცხოვრების კარგი პირობებით. ასეთი იყო ბაგრატიონ-იმერეტინსკების გადაწყვეტილება.

ასეთივე სურვილი გამოხატა კონსტანტინე ბატონიშვილის მეუღლემ — ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკის დედინაცვალმა ეკატერინე ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ. 1859 წლის 18 დეკემბერს გერისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „ვჩქარობ შეგატყობინო ჩემის მხრივ, რომ როგორც საქართველოსა და იმერეთის სამეფო სახლთა წევრებისათვის არის სასარგებლო — შთამომავლობითი პენსიების მიღება, ასევე სასარგებლო იქნება იგი კეთილმოსურნე მთავრობისათვის, რომლის ბატონიშვილებისათვის ზრუნვა მკაფიოდაა ასახული კანონთა კრებულში. ბატონიშვილები და მათი შთამომავლობა ადვილად შეიძლება სიღარიბესა და საერთოდ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდეს ერთდროული თანხების მიღებით. ადვილი შესაძლებელია მიღებული თანხა შემოგველიოს, რომ ჩვენც და ჩვენი შვილებიც დავრჩეთ უსახსროდ და იძულებული ვიქნებით კვლავ მოვითხოვოთ მთავრობისაგან დახმარება. ამიტომაც სრულიად განდობთ თქვენ ჩემი ინტერესების დაცვას. ვიცი რომ ჩემი და თქვენი აზრი ერთმანეთის მსგავსია. მე მჯერა, რომ თქვენ ყოველ ღონეს იხმართ, რათა უარყოფილი იქნეს ერთდროული თანხის მიღება და ერთხელ და სამუდამოდ დაგვენიშნოს შთამომავლობითი პენსიები“[6]. ასეთივე შინაარსის წერილი გაუგზავნა ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკის თავისმა ძმამ — სახელგანთქმულმა გენერალ-ლეიტენანტმა — ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ. იგი წერდა: „ძვირფასო ძმაო — თავადო ნიკოლოზ კონსტანტინეძევ! შენს მიერ 18 დეკემბერს წერილით გამოგზავნილ კითხვებზე შემიძლია გითხრათ, რომ ფული, რომელსაც ჩვენ ვიღებთ მთავრობისაგან, არამც თუ მომავალში ვერ უზრუნველჰყოფს ჩვენს ყოფას, არამედ იგი ღღესაც არასაკმარისია. გადიდებულ პენსიებს შეუძლია ჩვენი სრული დაკმაყოფილება. მე ვემყარები ღმერთის გულმოწყალებას, ხელმწიფის მართლმსაჯულებასა და შენს კეთილგონიერებას“[7].

ამრიგად, ხსენებული ბატონიშვილები ერთსულოვნად მოითხოვდნენ შთამომავლობით პენსიებს, რა თქმა უნდა, გადიდებული ოდენო-

---

[6] Н. К. Имеретинский, Багратиды в России, с. 119.

[7] იქვე.

ბით და სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ ერთდროულად მიღებული თანხების დატოვების.

იმერეთის სამეფო-საგვარეულოს მეორე შტოს წარმომადგენელი თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი თვითონ შთამომავლობითი პენსიების მომხრე იყო და თავისი მცირეწლოვანი ძმისშვილების — ალექსანდრესა და დიმიტრის სახელითაც იგივე განაცხადა: „1842 წელს შთამომავლობითი პენსიების დანიშვნა დიდსიკეთე იყო ყველა ჩვენთაგანისათვის. პენსიები არა მარტო უზრუნველგვყოფდა ჩვენ თვითონ, არამედ იგი უზრუნველყოფდა ჩვენს შთამომავლობასაც. ბოლოს იგი დასძენდა: სამწუხაროდ, ყოველწლიურად მზარდმა სიძვირემ ჩვენი შემოსავალი გახადა იმდენად უმნიშვნელო, რომ იგი ნახევრად თუ გვაკმაყოფილებს. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ შთამომავლობის თანდათანობით გამრავლებასაც, მაშინ ცხადი გახდება, რომ სრულიად არასაკმარისი იქნება არსებული პენსიები“.

დასასრულს, ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი პენსიების მომხრედ გამოდიოდა, ოღონდ გადიდებული ოდენობით. თითქოს და გადიდებული შთამომავლობითი პენსიების დანიშვნისა და ერთდროულად მიღებული თანხების დაბრუნების მომხრენი იყვნენ ბაგრატიონებიც, თუმცა საქმე, როგორც დავინახავთ, სხვაგვარად წარიმართა.

გარდა ჩამოთვლილი დეპუტატებისა, კომისიის წევრი იყო საქართველოს მთავარი ბოქაული, იმ დროს ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ზლობინი. იგი ძველი წრთობის, ხანში შესული მთავრობის მოხელე იყო და საკმაოდ მოხერხებულად იყენებდა კომისიის სხდომებზე გამოსვლებისას კანონთა პარაგრაფებსა და მუხლებს.

ფინანსთა სამინისტროდან კომისიაში შეყვანილ იქნა ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ალექსანდრე იაკობის ძე მალოზემოვი. იგი შედარებით გულკეთილად იქცეოდა და კანონთა პარაგრაფებისა და მუხლების დამოწმებასაც ერიდებოდა თავის გამოსვლებში.

ამრიგად, კომისიაში სულ 5 წევრი იყო შეყვანილი, თუმცა თითქმის ყველასათვის მოულოდნელად მეექვსე წევრმაც იჩინა თავი, რამაც სასტიკად აღაშფოთა ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკი. ეს მეექვსე წევრი, ყოველგვარი არჩევისა და დანიშვნის გარეშე, იყო ირაკლი

---

[8] ირანში გადახვეწილი, რუსული მმართველობის საქართველოში დანერგვის დაუძინებელი მტრის ალექსანდრე ერეკლე მეორის ძის შვილი — ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი. იხ. დ. ბატონიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 164—165.

ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

კომისიის სხდომები გათვალისწინებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ან კავკასიის კომიტეტის შენობაში, მაგრამ კომისიის უხუცესმა წევრმა, 80 წლის მიხეილ გიორგის ძე ბაგრატიონმა მოინდომა სხდომების თავის ბინაში ჩატარება და თუ სხვა წევრები არ მიიღებდნენ მის თხოვნას, იგი თავს ანებებდა დეპუტატობას. კომისიის თავმჯდომარემ გულკევიჩმა მხარი დაუჭირა მოხუცებული მიხეილის თხოვნას. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით სხდომები მის ბინაზე უნდა გამართულიყო.

მიხეილი ცხოვრობდა სერგიევის ქუჩაზე, ეკავა სამი ოთახი სერბინოვების ბინაში. კომისიის პირველი სხდომა დანიშნული იყო 1859 წლის 22 დეკემბერს, დღის 12 საათზე. სხდომის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკი როგორც კომისიის წევრი ეახლა მიხეილს ბინაზე. მიხეილი დახვდა ძველ ქართულ ჩოხაში გამოწყობილი. იგი გაესაუბრა სტუმარს, რომელმაც გულღიად განაცხადა თავისი აზრი და მიზანი. ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკის საუბრისას ხაზი გაუსვა იმპერატორის გულკეთილობას, რომ ხელმწიფე იმპერატორი, ღმერთის წყალობით, დაეხმარებოდა ბატონიშვილებს და ისე გადაწყდებოდა საქმე როგორც მათ სურდათ — დაენიშნებოდათ გადიდებული შთამომავლობითი პენსიები. მიღებულ თანხებს კი უკან დააბრუნებდნენ. ბოლოს სტუმარმა დასძინა: იმპერატორს მართლაც სურს ჩვენი კეთილდღეობა და არა მარტო ჩვენი, არამედ ყველა ხალხისა, „მე გავიგე გლეხთა განთავისუფლების პროექტის შესახებ"...[9] ცხოვრებისეული დიდი გამოცდილების მქონე მოხუცს გაეღიმა და სტუმარს უთხრა: „ოჰ ძმაო! ღმერთი მაღლაა, ხელმწიფე შორსაა, ჩვენი თავმჯდომარე გულკევიჩი კი ახლოსაა და ჩვენც მასთან უნდა მივიდეთ..."[10]

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე შეიშმუშნა, არ ესიამოვნა მოხუცის ნათქვამი. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძეს არ მოსწონდა კომისიის თავმჯდომარე გულკევიჩი, მისგან სიკეთეს არ მოელოდა და მოხუცს განუცხადა: ეს ბატონი ზედმიწევნით ერკვევა საქმეებში, მასთან მისვლა იოლი საქმე არაა, დაფიქრებაა საჭირო, მარცხი არ განვიცადოთ. მიხეილ გიორგის ძე ფართო ლეიბზე იყო ჩამომჯდარი, სტუმრის პასუხზე წამოდგა ფეხზე და კვლავ უცებ დაჯდა იმავე ლეიბზე, ირონიულად შეხედა თანამოსაუბრეს და წარმოსთქვა: „ნუ გეშინია, ხელი

---

[9] ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

[10] იქვე.

ლეიბს დაადო და დასძინა— მე, აი აქ, იმდენი მაქვს, რომ მათ ყველას თავბრუს დავახვევ“[11].

საუბარი ერთ საათზე მეტს გაგრძელდა. 12 საათზე კომისიის წევრები მოვიდნენ. მათ შორის აღმოჩნდა პოდპოლკოვნიკი ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი. იგი ქართულად მიესალმა მიხეილ გიორგის ძეს. რომელიც ძალიან ცივად შეხვდა მის მისალმებას. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძემ სასტიკად აღელვებულმა ჰკითხა კომისიის თავმჯდომარეს — გულკევიჩს ირაკლი ბაგრატიონის კომისიის წევრად დანიშვნის შესახებ და დასძინა, ვინ მოგცათ უფლება დეპუტატის აურჩეველად დანიშვნისაო. გულკევიჩმა ბუნდოვნად უპასუხა, რომ ირაკლი ალექსანდრეს ძე უმაღლესად იყო კომისიის წევრად დაშვებული. ნიკოლოზი მიხვდა, რომ საქმე ცუდად იწყებოდა და ბოლოც მათი მოსაზრებისა და მონდომების საწინააღმდეგო იქნებოდა.

იმერეთის ბატონიშვილებს, როგორც აღინიშნა, შთამომავლობითი პენსიების მიღება სურდათ და ერთდროული ფულადი თანხის მიღების წინააღმდეგნი იყვნენ[12]. აღმოსავლეთ საქართველოს ბატონიშვილთა ნაწილის აზრიც ასეთივე იყო, მათაც უნდოდათ მიღებული თანხა დაებრუნებინათ და შთამომავლობითი პენსიები ჰქონოდათ, მხოლოდ გადიდებული ოდენობით. მეფის მთავრობას კი ერჩია მათთვის ერთდროული ფულადი თანხა დაერიგებინა, მამულების შესაძენად, და ამით ეცხოვრათ მთავრობის დახმარების გარეშე. მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ბატონიშვილთა გაუთავებელი თხოვნებისა და საჩუქრებისაგან განთავისუფლება, ფულადი თანხის დარიგებით. გულკევიჩიც მეფის მთავრობის გადაწყვეტილების გამტარებელი იყო და ყოველნაირად ცდილობდა ბატონიშვილებს უარი ეთქვათ შთამომავლობით პენსიებზე და მიეღოთ ერთდროული ფულადი თანხა. კომისიის თავმჯდომარეს გაუჭირდებოდა მთავრობის დავალების შესრულება, თუ კი აღმოსავლეთ საქართველოდან და იმერეთიდან თითო დეპუტატი იქნებოდა კომისიაში. ამიტომ საჭირო იყო კომისიაში აღმოსავლეთ საქართველოდან მეორე წარმომადგენელი დაენიშნათ, რათა ხმების უმრავლესობას გადაეწყვიტა ბატონიშვილებზე ერთდროული დახმარების დარიგება და უარი ეთქვა გადიდებული ოდენობით შთამომავლობითი პენსიების დანიშვნაზე. ერთდროული ფულადი თანხის მიღების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ ორივე საბეფო სახლის

---

[11] ლეიბში მიხეილ გიორგის ძე ფულს აგროვებდა. მთელი თავისი ქონება, ფულისა და ძვირფასი ნივთების სახით იმ ლეიბში ჰქონდა შენახული და ამიტომაც სულ ზედ იწვა, იშვიათად თუ წამოდგებოდა ზევით.

[12] საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბილისი 1970, გვ. 192.

წევრთა მეტი ნაწილი. მათ ახსოვდათ, რომ ადრე, ვინც ერთდროული ფულადი თანხა მიიღო, მალე შემოეხარჯათ, ზოგმა მამული, ზოგმა სახლი იყიდა, მაგრამ ვერც ეს უკანასკნელები ასცდნენ გაღარიბებას. ბატონიშვილმა კონსტანტინე დავითის ძემ სახლი იყიდა 300 ათას მანეთად. ამ თანხიდან 150 ათასი მანეთი მთავრობიდან მიღებული თანხით გადაიხადა. სახლი დააგირავა და 150 ათასი მანეთიც ბანკში ისეს[illegible]ა. ნაყიდი სახლით მან ვერ ისარგებლა, შემოსავალი არ ჰქონდა და გადასახადები დაუგროვდა, რასაც ვალებიც დაემატა. საქმე ისე წავიდა, რომ 300 ათას მანეთად ნაყიდი სახლი ხაზინამ გაყიდა 150 ათას მანეთად, რითაც მხოლოდ ბანკის ვალი დაიფარა[13]. ადრე იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარებული კონსტანტინე დავითის ძე ყოველგვარ საარსებო წყაროს მოკლებული აღმოჩნდა. მან მეორედ მოითხოვა მთავრობისაგან დახმარება, მაგრამ პირველად უარი ეთქვა. ასეთივე ბედი ეწია ირაკლი ალექსანდრეს ძეს, რომელმაც ადრე 135 ათასი მანეთი მიიღო მთავრობისაგან მამულების შესაძენად. მამულები ვერ შეიძინა და ფული შემოეხარჯა. ბატონიშვილმა ივანე გრიგოლის ძემ 75 ათასი მანეთი მიიღო, ასევე მამულების შესაძენად, მაგრამ მამულები ვერ შეიძინა და მიღებული ფული შემოეხარჯა. 1840-იან წლებში სამეგრელოს მთავარმა დადიანმა იყიდა მამულები 1000 ყმაგლეხით. დადიანი მამულებიდან შემოსავლით ცხოვრობდა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდე სრულიად მოუსავლიანი წელი დადგა. მოსახლეობა შიმშილმა მოიცვა. დადიანი შემოსავლის გარეშე აღმოჩნდა და ერთდროული ფულადი თანხა მოითხოვა. მთავრობა მაინც ეხმარებოდა მათ თავიდან. ირაკლი ალექსანდრეს ძეს შთამომავლობითი პენსია დაენიშნა 8952 მანეთის ოდენობით. ივანე გრიგოლის ძეს კი — 5373 მანეთი შთამომავლობითი პენსია მიეცა[14]. ამიტომ იყო, რომ შეშინებული ბატონიშვილების უმეტესობა შთამომავლობითი პენსიების მომხრე იყო, ოღონდ გადიდებული ოდენობით.

მეფის მთავრობის გადაწყვეტილებით, თუ ბატონიშვილები ერთდროული ფულადი თანხის მიღებაზე უარს იტყოდნენ, მაშინ მათ დარჩებოდათ პენსიები, ყოველგვარი მომატების გარეშე.

პირველი სხდომის დაწყებისთანავე, კომისიის თავმჯდომარემ გულკევიჩმა ზეპირად გააცნო დეპუტატებს მეფისნაცვლის მიერ იმპერატორისადმი გაგზავნილი ბატონიშვილთა მოწყობის პროექტის შინაარსი: ბატონიშვილთა მატერიალურად უზრუნველყოფისათვის გაუთავებელი თხოვნებისა და საჩივრების გამო, ბარიატინსკი საჭიროდ

---

[13] ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

[14] იქვე, გვ. 248.

თელიდა კუთვნილი ერთდროული თანხის გაცემას ყველაზე, რათა მოავრობა სამუდამოდ განთავისუფლებულიყო მათზე ზრუნვისაგან.

კომისიის ხანდაზმული წევრი — მიხეილ გიორგის ძე — პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა. სპეციალურად შერჩეულმა, აურჩევლად დანიშნულმა კომისიის წევრმა ირაკლი ალექსანდრეს ძემ მხარი დაუჭირა მეფის-ნაცვლის პროექტს, ერთდროული ფულადი თანხის მიღების შესახებ. კომისიის წევრმა მალოზემოვმა და თავმჯდომარემაც ერთდროული ფულადი თანხის გაცემას დაუჭირეს მხარი.

მიხეილ გიორგის ძემ სხდომაზე წაიკითხა მთავრობის მიერ გაცემული საბუთები ბატონიშვილთა მოწყობის შესახებ. ერთი საბუთი თვით მიხეილ გიორგის ძისადმი იყო ადრე მიწერილი კოჩუბეის მიერ. ამ წერილით, იმპერატორის დავალებით, კოჩუბეი აცნობებდა მიხეილ გიორგის ძეს, რომ მას მიეცემოდა 150 ათასი მანეთი ყმა-გლეხის შესაძენად და შეუნარჩუნდებოდა პენსიაც. ირაკლი ალექსანდრეს ძეს არ სურდა ზემოაღნიშნული წერილების შინაარსის მოსმენა. იგი ცდილობდა გულკევიჩისათვის ესიამოვნებია და ერთდროული ფულადი თანხის დარიგება მოითხოვა. მისი განცხადებით ერთდროული ფულადი თანხის მიღება სჯობდა შთამომავლობით პენსიას, ვინაიდან უფროსის გარდაცვალების შემდეგ პენსია იყოფოდა შთამომავლობაზე, დროთა განმავლობაში კვლავ გაიყოფოდა და, ამდენად, 20—30 წლის შემდეგ პენსიები რამდენჯერმე შემცირებული ოდენობის დარჩებოდა. ამასთანავე ბევრი ჩვენთაგანი, განაგრძობდა ირაკლი ალექსანდრეს ძე, ვატყუებთ მთავრობას და წინასწარ მოვითხოვთ რამდენიმე წლის პენსიას. ამით მთავრობასაც უხერხულ მდომარეობაში ვაყენებთ და ჩვენც მალე გვეხარჯება ვალების დასაფარად ერთად მიღებული რამდენიმე წლის პენსია. ბატონიშვილმა მიხეილმა, თანახმად კოჩუბეის შეპირებისა, 1000 სული ყმა გლეხი მოითხოვა. კომისიის თავმჯდომარე გულკევიჩმა მას განუცხადა. რომ მთავრობა არ დააკმაყოფილებდა მის თხოვნას. გლეხთა მომავალი განიკარისუფლების გამო. მიხეილი კვლავ თავის აზრზე იდგა და ერთდროული თანხის მიღების წინააღმდეგი იყო. ირაკლი ალექსანდრეს ძემ ეშმაკობა იხმარა. მან გადმოიბირა ფარნაოზის შვილები ელენე და სალომე, რომლებმაც თავიანთი ინტერესების დაცვა ადრე მიხეილ გიორგის ძეს მიანდეს. ახლა კი თავიანთი ინტერესების დაცვა ირაკლი ალექსანდრეს ძეს გადააბარეს. ივანე გრიგოლის ძემაც შეიცვალა აზრი და ირაკლი ალექსანდრეს ძეს მიემხრო. ერთდროული ფულადი თანხის მიღების მომხრეთა რიცხვი იზრდებოდა.

მიხეილ გიორგის ძემ დაჟინებით მოითხოვა ბაგრატიონ-იმერეტინსკებიდან მეორე წარმომადგენელი კომისიაში, ვინაიდან ბაგრა-

ტიონებიდან ორი დეპუტატი იყო. ირაკლი ალექსანდრეს ძემ სასტიკი უარი განაცხადა მეორე წარმომადგენლის დაშვებაზე და დასძინა, „რატომ უნდა იყოს იმერეთის ბატონიშვილებიდან ორი წარმომადგენელი, ბაგრატიონ-იმერეტინსკები სულ ხუთი კაცისაგან შედგება, მაშინ როცა აქ საქართველოს სამეფო სახლის 40 წარმომადგენელია“[15]. ირაკლი ალექსანდრეს ძე ერთდროული ფულადი თანხის მიღებისათვის იბრძოდა, მისი აზრი გულკეთილის აზრს ემთხვეოდა და ამიტომ მათი აზრების დამთხვევამ კომისიაში ერთმანეთის დაცვა განაპირობა. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი არ თმობდა თავის პოზიციას. მან სპეციალური წერილი გაუგზავნა ხელმწიფე-იმპერატორს თხოვნით, რომ საკითხის სწორი და ობიექტური გადაჭრისათვის კომისიაში ჩაერთოთ მეორე წარმომადგენელი — დეპუტატი ბაგრატიონ-იმერეტინსკებისაგან. ამ თხოვნასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის. ბაგრატიონ-იმერეტინსკების მხრივ კომისიაში ერთი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, ბაგრატიონებიდან კი კვლავ ორი დეპუტატი იყო. იმერეთის სამეფო სახლის წარმომადგენლებს, რომელთა მიზანი იყო შთამომავლობითი პენსიების მიღება, გადიდებული ოდენობით, ხმის მიცემისას ერთი დეპუტატი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი იღებდა მონაწილეობას, ბაგრატიონებიდან კი ორი — მიხეილ გიორგის ძე და ირაკლი ალექსანდრეს ძე. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ გიორგის ძე ბაგრატიონი გადიდებული შთამომავლობითი პენსიების მომხრე და ერთდროული ფულადი თანხის მიღების წინააღმდეგი იყო, ხმის მიცემისას მაინც თავმჯდომარის აზრი გაიზიარა, ვინაიდან მას უჭერდა მხარს ირაკლი ალექსანდრეს ძე და მალოზემოვი. მალოზემოვი ერთხანს ბატონიშვილებისათვის მიწების დარიგების ლოზუნგითაც გამოვიდა. მაგრამ მალე დაივიწყა ესეც და კვლავ ერთდროული დახმარების მომხრე გახდა. კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ალექსანდრეს ძისა და მალოზემოვის მხარდაჭერით თავისი გაიტანა. გადაწყდა ერთდროული ფულადი თანხის დარიგება ბატონიშვილებისათვის. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი კვლავ წინააღმდეგი იყო ამ გადაწყვეტილებისა, მაგრამ მას ყური არავინ ათხოვა. ვერც ხელმწიფე-იმპერატორამდე მიაღწია საჩივრით და განაცხადა: „დავმარცხდით. რა ვქნათ, ღმერთი მაღლაა, ხელმწიფე შორსაა“[16]. კომისიის მუშაობა ორ თვეს გაგრძელდა[17] —

[15] ნ. იმერეტინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

[16] იქვე, გვ. 227.

[17] საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1970, გვ. 193.

1859 წლის 22 დეკემბერიდან 1860 წლის 23 თებერვლამდე. კომისიის დასკვნა კავკასიის კომიტეტში[18] გადავიდა საბოლოო დადგენილების მისაღებად. კავკასიის კომიტეტში ორ წელზე მეტს გასტანა მსჯელობამ — 1860 წლის 23 თებერვლიდან 1862 წლის 28 აპრილამდე. კავკასიის კომიტეტში საქმის გაჭიანურებას ხელი შეუწყო 1862 წელს მინაგან საქმეთა მინისტრის ლანსკოის გარდაცვალებამ. ახალი მინისტრი მურავიოვი ძნელად შევიდა საქმის კურსში. ყოველივე ამის გამო საქმე ძალიან დაგვიანებით დამთავრდა. კომისიის მიერ მიღებული დადგენილების კავკასიის კომიტეტში გადაცემის შემდეგ, მალე — 1862 წლის ნოემბერში მიხეილ გიორგის ძე ბაგრატიონი გარდაიცვალა. 1862 წლის ზამთარში ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი გარდაიცვალა. ამრიგად კომისიის დადგენილების წინააღმდეგ მებრძოლი აღარავინ იყო. ბატონიშვილთა მატერიალური უზრუნველყოფის საკითხის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება კავკასიის კომიტეტში მოიწონეს და 1862 წლის 28 აპრილს იქნა უმაღლესად დამტკიცებული, რაც კავკასიის კომიტეტის 1862 წლის მომდევნო თვეების ჟურნალებში აისახა.

ბატონიშვილებისათვის ერთდროული ფულადი თანხის დასარიგებლად გამოყოფილ იქნა სესხის დამფარავი სახელმწიფო კომიტეტის კუთვნილი 1296495 მანეთი. ამ თანხას, მთავრობის მითითებით, დაემატა 648247 მან. და 50 კაპ.

სულ ბატონიშვილებზე დასარიგებელი თანხა 1944742 მან. და 50 კაპიკს შეადგენდა. ეს თანხა ყველა ბატონიშვილზე უნდა განაწილებულიყო, მაგრამ სხვადასხვა ოდენობით. საქართველოს ბატონიშვილებს უფრო დიდი თანხები გამოეყოთ, ვიდრე იმერეთის ბაგრატიონ-იმერეტინსკებს. საქართველოს ბატონიშვილებს გამოეყოთ:

იოანე გრიგოლის ძეს — 286165 მან. და 35 კაპ.;

დავით და ალექსანდრე ბაგრატის ძეებს (თითოეულს) — 147905 მან. და 16 კაპ.;

გრიგოლ და ნიკოლოზ ილიას ძეებს (თითოეულს) — 169868 მან. და 91 კაპ.;

გიორგი და პავლე ოქროპირის ძეებს (თითოეულს)—153791 მან. და 42 კაპ.;

ირაკლი ალექსანდრეს ძეს — 337503 მან. და 17 კაპ.;

იმერეთის ბატონიშვილებს გაცილებით ნაკლები თანხა გამოეყოთ კონსტანტინეს, ნიკოლოზს და ალექსანდრე კონსტანტინეს ძეებს, თითოეულს, გამოეყოთ 59525 მან.; ალექსანდრესა და დიმიტრი დიმიტრის ძეებს, თითოეულს — 99682 მან. და 90 კაპ.

[18] კავკასიის კომიტეტი გაუქმებული იქნა 1883 წლის 26 აპრილის ბრძანებით.

ამ გაანგარიშებით, სულ საქართველოსა და იმერეთის ბატონიშვილებს უნდა დარიგებოდათ — 1903745 მანეთი და 30 კაპიკი.

ზემოთ მოცემული 1944742 მანეთიდან 275108 მანეთი განკუთვნილი იყო თავადის ასულ ელენე ოთარის ასულის, კონსტანტინე დავითის ძის ქვრივის — ეკატერინე სერგის ასულისა და თავადის ასულ ელენე ოქროპირის ასულისათვის შთამომავლობითი პენსიებით უზრუნველსაყოფად. თითოეული მათგანისათვის განსაზღვრული იყო 54525 მან. და 64 კაპ. ოდენობით, დანარჩენი — სხვა საქმეებისათვის იყო გამიზნული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, 1944742 მანეთი არასაკმარისი აღმოჩნდა, რის გამოც ბატონიშვილებზე გამოყოფილი თანხა შეამცირეს 467108 მანეთით და 64 კაპიკით. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ბატონიშვილებს ჩამოაკლეს 422464 მან. და 89 კაპ.; იმერეთის ბატონიშვილებს კი 44643 მან. და 75 კაპიკი. დადგენილებაში მოცემული იყო:

იოანე გიორგის ძეს ადრე გამოყოფილი 286165 მან. და 35 კაპ. შემცირდა 79342 მან. და 28 კაპიკით, დარჩა — 206823 მან. და 07 კაპ.;

დავით და ალექსანდრე ბაგრატის ძეებს ადრე თითოეულისათვის გამოყოფილი 147905 მან. და 16 კაპ. შეუმცირდათ თითოეულს — 29630 მან. და 26 კაპიკით. დარჩათ 118274 მან. და 90 კაპ.;

გრიგოლ და ნიკოლოზ ილიას ძეებს, თითოეულისათვის ადრე გამოყოფილი 169868 მან. და 91 კაპ., შემცირდა 42545 მან. და 21 კაპიკით და დარჩათ 127323 მან. და 70 კაპ.;

გიორგი და პავლე ოქროპირის ძეებს, თითოეულისათვის გამოყოფილი 153791 მან. და 42 კაპ. შემცირდა 42539 მან. და 25 კაპიკით და დარჩათ 111252 მან. და 17 კაპ.

ირაკლი ალექსანდრეს ძეს ადრე გამოყოფილი 337503 მან. და 17 კაპ.; შემცირებულ იქნა 113691 მან. და 17 კაპიკით და დაუტოვეს — 223812 მანეთი.

იმერეთის ბატონიშვილებს — ალექსანდრე, კონსტანტინე და ნიკოლოზ კონსტანტინეს ძეებს ადრე, თითოეულ მათგანს გამოყოფილი ჰქონდა 59525 მან., ხელახალი გაანგარიშებით ჩამოაკლდა თითოეულ მათგანს — 14881 მან .და 25 კაპ., და დარჩათ 44643 მან. და 75 კაპ.;

მცირეწლოვან ალექსანდრე და დიმიტრი დიმიტრის ძეებს პირველად გამოყოფილი თანხა არ შემცირებიათ და კვლავ დარჩა თითოეულს 99682 მან. და 90 კაპიკი.

ამასთანავე, დადგენილი იყო, გარდაცვლილი დედოფლის — მარიამ გიორგის ასულის პენსია — 10 ათასი მანეთი — განაწილებულიყო მის ოთხ ვაჟზე, შთამომავლობით პენსიებზე დასამატებლად.

დედოფალ დარეჯანის შვილიშვილს თავად ირაკლი ალექსანდრეს ძეს და ბატონიშვილ ფარნაოზს, თავადის ასულ ელენესა და დედოფალ ანას შვილებს — კონსტანტინეს, ნიკოლოზსა და ალექსანდრეს, მიეცათ ისეთივე თანხა — 2500 მან. წელიწადში — პენსიებზე დასამატებლად, როგორიც დედოფალ მარიამ გიორგის ასულის შვილებს, დედის პენსიის განაწილების შედეგად.

არც სხვა ბატონიშვილები და მათი შთამომავლობა იყო დავიწყებული. ყველას მიეცა პენსიებზე დასამატებლად სხვადასხვა ოდენობის თანხა.

საბოლოოდ დადგენილ იქნა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე იმერეთის ბატონიშვილებსა და მათ შთამომავლობაზე გასაცემი თანხების ოდენობა.

დავით და ალექსანდრე ბაგრატის ძეებმა მიიღეს 150 ათასი მანეთი, თითოეულმა.

გრიგოლ და ნიკოლოზ ილიას ძეებმა—დედის პენსიის მეოთხედის დამატებით, თითოეულმა დაახლოებით 200 ათასი მან. მიიღო.

გიორგი და პავლე ოქროპირის ძეებმა მიიღეს, თითოეულმა, 150 ათას მანეთზე მეტი.

ყველაზე მეტი მიიღეს ირაკლი ალექსანდრეს ძემ და იოანე გრიგოლის ძემ.

ირაკლი ალექსანდრეს ძემ მიიღო 420836 მან. და 49 კაპიკი. გარდა აღნიშნული თანხისა, მას ეძლეოდა შთამომავლობითი პენსია — 8952 მან. წელიწადში. მამულების შესაძენად მან 15 წლის კუთვნილი პენსია გამოიტანა ერთად, რამაც შეადგინა — 134280 მანეთი. თუ ამ თანხას მივუმატებთ მის მიერ მიღებულ 420836 მანეთს, მივიღებთ. რომ მან მიიღო — 555116 მანეთი.

ცოტა ნაკლები თანხა მიიღო იოანე გრიგოლის ძემ — 306166 მანეთი. მასვე მიეცა სესხად 75 ათასი მანეთი, რომელსაც შემდეგში იხდიდა თავისი შთამომავლობითი პენსიით — 5000 მან. წელიწადში.

ერთი სიტყვით, ორმა ბატონიშვილმა—ირაკლი ალექსანდრეს ძემ და იოანე გრიგოლის ძემ, თავიანთ თანამემამულეებთან შედარებით, გამორჩეულად დიდი თანხა მიიღეს.

ყველაზე ნაკლები ოდენობის თანხა მიიღეს იმერეთის ბაგრატიონ-იმერეტინსკებმა. ალექსანდრე, კონსტანტინე და ნიკოლოზ კონსტანტინეს ძეებმა, თითოეულმა მიიღო 44643 მან. და 75 კაპ., რა თქმა უნდა ძველი ოდენობით შთამომავლობითი პენსიების დატოვებით.

ირაკლი ალექსანდრეს ძეზე ესოდენ დიდი თანხის გაცემის მიზეზი ის იყო, რომ იგი მთავრობის მიერ რატომღაც საქართველოს სამეფო ტახტის პირველ მემკვიდრედ იყო მიჩნეული. იოანე გრი-

გოლის ძესაც მეორე მემკვიდრედ სთვლიდნენ და ამიტომაც მისცეს ძილიონამდე მანეთი ორივეს. სინამდვილეში, ირაკლი ალექსანდრეს ძე იყო ერეკლე მეორის მეხუთე ვაჟის — ალექსანდრეს შვილი. ამდენად, იგი შორს იყო სამეფო ტახტის მემკვიდრეობისაგან. თვითონ ირაკლი ალექსანდრეს ძე მართლაც თვლიდა თავის თავს 60 წლის წინათ გაუქმებული ტახტის ლემკვიდრედ და კომისიის თავმჯდომარის გულკევიჩის დახმარებით მთავრობაც შეცდომაში შეიყვანა. ინტერესმოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ ირაკლი ალექსანდრეს ძის სიტყვები კომისიის სხდომაზე: „როცა მე აქ (პეტერბურგში) ჩამოვედი, ხელმწიფემ ხელი მომკიდა და დედაჩემს უთხრა, ჩემზე არ ეზრუნა, რომ თვითონ იგი (ხელმწიფე) იზრუნებდა ჩემზე... ღმერთსა და ხელმწიფეს უნდა ვუმადლოდე ჩემი უფლებებისათვის და მეტს არავის“. ამით ირაკლი ალექსანდრეს ძემ ხაზი გაუსვა ხელმწიფე-იმპერატორთან ახლობლობასა და დიდ უფლებებს.

ბატონიშვილმა მიხეილ გიორგის ძემ მაშინვე შენიშნა, რომ იგი ძალიან მაღლა იწევდა და ცდილობდა ტახტის მემკვიდრეობის დამტკიცებას. სინამდვილეში, გიორგი XII-ის უფროსი შვილი დავითი იყო ტახტის კანონიერი მემკვიდრე, რომელიც უშვილოდ გარდაიცვალა. დავითის დროს შეწყდა აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა. ამდენად ირაკლი ალექსანდრეს ძე შორს იყო ტახტის მემკვიდრეობიდან. იოანე გრიგოლის ძე კი იყო გიორგი XII-ის შვილის იოანეს შვილის შვილი და, ამდენად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო ტახტის მეორე მემკვიდრედ მისი მიჩნევა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამ ორმა პიროვნებამ შესძლეს დიდი თანხის მიღება. თანხის არასწორი განაწილებით ყოფილ სამეფო სახლების შთამომავლებს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა, რაც საფუძველი გახდა მათი საჩივრებისა და გაუთავებელი თხოვნებისა.

ერთდროული თანხის მიღებისას, ბატონიშვილები და მათი შთამომავალნიც ხელწერილებს სდებდნენ ფინანსთა სამინისტროში, რომ არასდროს აღარ მოითხოვდნენ დახმარებას, როგორც ყოფილი სამეფო სახლების წევრები და შთამომავალნი. ეს ხელწერილები ფინანსთა საშინისტროს სპეციალურ სამმართველოში უნდა წარედგინათ, რის შემდეგაც გაიცემოდა მათთვის გამოყოფილი თანხა.

ერთდროული თანხის მიღების შემდეგ, ყოფილი სამეფო სახლების წევრები და მათი შთამომავლობაც უკვე კერძო პირებად იქცეოდნენ. მათ უფლება ეძლეოდათ შეტანილი ყოფილიყვნენ იმ გუბერნიის თავად-აზნაურთა საგვარეულო წიგნში, რომელსაც მოისურვებდნენ. სიტყვა — „საქართველოსა და იმერეთის ყოფილი სამეფო სახლების წევრები“, კი, მომავალში აღარ უნდა ხმარებულიყო, არც ოფი-

ციალურ მიმოწერაში და არც შინაურ საუბრებში. ამიერიდან, ისინი აღარ იწოდებოდნენ ყოფილი სამეფო სახლების წევრებად და არც ყოფილი სამეფო სახლების წევრთა შთამომავლებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად მათ დაკარგეს ტიტულიც „უგანათლებულესობა“. კომისიის თავმჯდომარის — გულკევიჩის განცხადებით, მათ არ გააჩნდათ სათანადო საბუთები ზემოხსენებული ტიტულის ტარებისა.

1865 წლიდან ზოგიერთმა ბატონიშვილმა და მათმა შთამომავალმა წარადგინა საჭირო საბუთები და კვლავ მიიღეს უფლება, ჰქონოდათ ტიტული „უგანათლებულესობა“.

ასე წავიდა ბაგრატიონებისა და ბაგრატიონ-იმერეტინსკების საქმე 1862 წლიდან. ბევრმა მათგანმა შეიძინა მამულები, მაგრამ საბოლოოდ გაღარიბების გზას მაინც ვერ ასცდა.

1859 წლის კომისიას არასწორად ეწოდებოდა რუსეთში დასახლებულ ბატონიშვილებისა და მათი შთამომავლობის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი კომისია.

ამ კომისიის მიერ შემუშავებული დებულების ცხოვრებაში გატარებამ ბაგრატიონები და ბაგრატიონ-იმერეტინსკები გაღარიბების გზაზე დააყენა, რუსეთის მთავრობა კი გაათავისუფლა მათზე მუდმივი განსაკუთრებული ზრუნვისაგან.

М. Г. ГОНИКИШВИЛИ

ПОСЕЛЕНИЕ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ БАГРАТИОНОВ В РОССИИ

(1680—1890 гг.)

Резюме

Русско-грузинские взаимоотношения имеют многовековую историю. Зародившись в XI веке, в XIII—XIV вв., в период татаро-монгольского господства, они сильно ослабились, но в последующий период эти взаимоотношения возобновились, изо дня в день крепли, расширялись и завершились вступлением Грузии в состав русского государства в начале XIX века. Отныне началась совместная жизнь русского, грузинского и других народов Российской империи в едином политическом организме. Общая судьба органически сблизила эти народы и привела к сегодняшней братской дружбе народов нашей Великой Родины — СССР.

Предлагаемая вниманию широкого круга читателей книга преследует цель на основе архивных материалов, опубликованных и неопубликованных исторических источников, различных других данных и существующей научной литературы осветить один из важных моментов русско-грузинских отношений — поселение и деятельность сперва отдельных представителей грузинской царствующей династии Багратионов в России, а после присоединения Грузии к России — всех ветвей Багратионов (картлийских, кахетинских и имеретинских), переселенных по политическим соображениям в Россию.

В работе показаны те сложные внешне и внутриполитические условия, которые определили тягу Грузии к России, стабильную политическую ориентацию грузинских политических деятелей на Россию, с помощью которой они рассчитывали избавить страну от турецко-персидской агрессии, создать благоприятные условия для ее экономического и культурного развития.

Важными этапами русско-грузинского сближения высту-

пают основание грузинской колонии в Москве царем Арчилом на рубеже XVII—XVIII вв., русско-турецкая война 1768—1774 гг., когда грузины выступили против Турции на стороне России, и заключение Георгиевского трактата 1783 года о вступлении Восточной Грузии (Картли-Кахетинского царства) под покровительство русского государства.

Георгиевский трактат имел огромное историческое значение для судеб грузинского народа. Им были подготовлены условия для присоединения Грузии к России. После присоединения Грузии к России русско-грузинские отношения начинают проявляться в различных сферах. Наряду с военным содружеством, они выявляются в сфере культуры, науки, на административном поприще.

Эти вопросы в труде рассмотрены на примере представителей грузинского царского рода (Картли-Кахетинского и Имеретинского царских родов — двух ветвей Багратионов), которые после присоединения Грузии к России по политическим соображениям были удалены из Грузии и расселены в различных местах Российской империи — в Москве, Петербурге, Воронеже, Белгороде и других городах государства. Это мероприятие было призвано исключить возможность попыток восстановления грузинских царств под властью Багратионов.

В книге указано, что многие представители Багратионов, поселенных в России как до, так и после присоединения Грузии к России, поступив на службу Русского государства, проявили себя как на военной, так и на административной службе, наконец, в науке.

В работе довольно подробно освещены мероприятия императорской администрации по материальному обеспечению представителей грузинских цариц и царевичей. Им выдавались единовременные, довольно большие суммы для приобретения крепостных крестьян в России, назначались пенсии, предоставлялись в их распоряжение жилые помещения и т. д. Одним словом, за потерю политических прав их щедро вознаграждали имущественно и создавали условия для их включения в высшую имперскую аристократию.

Царское правительство основало специальное учреждение, которое занималось вопросами имущественного обеспечения поселенных в России Багратионов. Оно существовало сначала при Министерстве иностранных дел, а затем — при Министерстве внутренних дел. Во главе этого учреждения стоял чиновник IV класса под названием главного пристава Грузии.

Поселившиеся в различные времена в России представители рода Багратионов поступали на службу императору. Многие из них прославились на военной или административ-

ной стезе, достигли высоких чинов и обрели доверие властей. Свыше 10 человек достигли генеральских чинов в русской армии, стали кавалерами высших орденов империи.

В книге подробно описаны жизнь и деятельность в России наиболее проявивших себя в различных сферах представителей рода Багратионов, таких как Александра Арчиловича (1674—1711), соратника и приближенного Петра I, взявшего его с собой за границу во время т. н. «Великого посольства». За границей Александр Арчилович по поручению Петра I изучил артиллерийское дело и по возвращении в Россию был назначен первым фельдцейхмейстером (начальником) русской артиллерии. Указывается, что Александру Арчиловичу не удалось полностью раскрыть свои военно-организаторские способности. При Нарвской битве (1700 г.) он попал в плен к шведам и там томился десять лет. Настойчивые меры Петра I и Арчила — отца Александра — по освобождению его из шведского плена долгое время были безрезультатны, но когда, наконец, удалось вызволить его из плена, по пути в Петербург он скончался.

Большое место уделено военно-полководческой деятельности прославленного героя Отечественной войны 1812 года, любимого ученика Ал. Суворова Петра Ивановича Багратиона. И хотя о П. И. Багратионе написано много, тем не менее в книге дается новый материал о становлении П. И. Багратиона как полководца, его окружении, семейной жизни и т. д.

В книге подробно освещена деятельность сына последнего грузинского царя Георгия XII — Давида — в Грузии и в России.

Царевич Давид получил на родине прекрасное для того времени образование и в 1787 году в возрасте 20 лет отправился в Россию для продолжения образования, где и пробыл 2 года. В 1789 году он с тысячным отрядом принял участие в сражении за Карс, где, подобно своему деду, прославил свое имя как храбрый и непоколебимый воин.

Он принимал активное участие в битве против Ага-Магомед-хана 10—11 сентября 1795 года, завоевав тем самым имя бесстрашного воина и полководца. 15 ноября 1795 года царевич Давид был зачислен полковником в преображенский полк. Через две недели он получил звание Генерал-майора. В 1796 году он возвратился в Грузию. Ему не понравилась ситуация, сложившаяся в Грузии, и вскоре в 1797 году он вновь поехал в Россию. Однако, он не остался в России и одного года и оказался опять на родине. В тот период усилилась борьба между представителями грузинской знати, она распространилась и среди членов царского дома. Царевичи соперничали друг с другом из-за престола. К уставшему от бесконечной борьбы и внутренних распрей царю Ираклию,

который полвека правил Кахети и 35 лет — Картли, подкралась старость, а затем и болезнь. Все более и более усиливалось влияние на него и на все управление страной властолюбивой царицы Дареджан.

11 января 1798 года скончался бесстрашный воин и великолепный полководец, неутомимый борец за благоденствие своей родины — царь Ираклий.

Имя его было известно и в Европе — не безосновательно заявил Фридрих Великий, прусский король: «Я — в Европе, Ираклий — в Азии».

После смерти Ираклия царица Дареджан попыталась захватить власть и воцарить на престол своего старшего сына Юлона. Но несмотря на противодействия Дареджан и ее сыновей, через три дня после смерти царя Ираклия 14 января на престоле оказался пасынок Дареджан, старший сын Ираклия — Георгий XII. Будучи русской ориентации, Георгий XII стремился к хорошим отношениям с Россией. Император Павел I утвердил Георгия XII на царство, прислал ему венец, скипетр, саблю и знамя, а также Орден Андрея Первозванного. Его первенец царевич Давид, недавно перед этим возвратившийся из России в чине генерал-майора, был признан наследником престола.

Для защиты спокойствия Грузии Георгию был послан один егерский полк, которым командовал генерал-майор Лазарев. Против Георгия XII восстали его мачеха Дареджан и братья, стремившиеся к захвату власти.

Георгий XII был поражен неизлечимой болезнью, в результате чего вскоре, 28 декабря 1800 года он скончался. Борьба за престол достигла кульминации. За престол боролись царица Дареджан, царевичи — Юлон, Парнаоз, Вахтанг, Александр и др. Итак, претендентами на престол были почти все царевичи. Однако воцариться на престол не удалось ни одному из них. Царевич Давид был назначен правителем Грузии.

Царевич Давид в течение 5 месяцев был правителем, а не царем. Через 5 месяцев местные представители империи отстранили его, и создалось временное правление.

Прекратилась независимость Грузии — она превращалась в губернию империи.

Во избежание попыток восстановления царства все царевичи должны были выехать на жительство в Россию. С мая 1803 года царевич Давид живет в Петербурге. Сразу же по приезде ему было пожаловано сенаторство и назначена пенсия в 10 тысяч рублей. В 1804 году он получил разрешение купить 2000 крепостных, для чего ему было выдано 300 000 тысяч рублей, но он купил 2 деревни с 168 душами крепостных в Ямбургском уезде Петербургской губернии,

т. к. из-за дороговизны крепостных он не смог купить больше. К тому же его интересовала более научная деятельность, нежели приобретение крепостных для ведения хозяйства.

Он плодотворно работал в различных сферах науки и оставил множество трудов, особенно по истории Грузии.

Нельзя не отметить то, что несмотря на насильственное отторжение от родины и неоднократные унижения со стороны царского правительства, царевич Давид не изменил русской ориентации. Борьбу за интересы Грузии он всегда связывал с хорошими отношениями с Россией и, в отличие от царевича Александра, был яростным противником связи с мусульманскими Ираном и Турцией.

Царевич Давид скончался в 1819 году. Похоронен он в Александр-Невском монастыре, в церкви св. Златоуста.

В книге представлена деятельность представителей Багратион-имеретинских в России.

С 1809 по 1885 год в России числилось 8 Багратион-Имеретинских: Константин Давидович, его три сына: Константин, Николай и Александр; Александр и Дмитрий Георгиевичи и двое сыновей последнего. При русском дворе большим авторитетом пользовались Александр и Дмитрий Георгиевичи. Оба брата — Александр и Дмитрий были арестованы в детстве последним имеретинским царем Соломоном, дабы обезопасить имеретинский престол от претендентов. В 1811 году братья бежали в Россию. В то время, когда они прибыли в Россию, почти все члены грузинского царского дома были поселены в различных городах империи, Александр и Дмитрий были определены в Пажеский корпус, за время пребывания в котором были награждены орденами св. Анны.

За отличие в Русско-турецкой войне 1828—1829 гг. ротмистр Дмитрий Георгиевич был возведен в звание полковника и награжден орденом св. Анны III степени. В 1833 году император пожаловал ему украшенный венцом орден св. Анны II степени. В 1836 году он был назначен командиром Уланского полка. В тот же год он получил звание генерал-майора и вскоре назначен командиром второй бригады Уланской дивизии.

В 1837 году довольный осмотром его бригады император пожаловал генерал-майору Дмитрию Георгиевичу орден Станислава первой степени.

С 1838 года он служил на двух должностях: командовал лейбгвардии гусарским полком и в то же время возглавил вторую бригаду конной дивизии.

В 1845 году император Николай I выдвинул Дмитрия Георгиевича в командиры II легкой конной дивизии.

До того император знал братьев по фамилии Имеретинских. Он давал высшую оценку их верной и самоотверже-

ной службе. Именно поэтому, вызвав братьев, он заявил: «У Вас в роде считается знаменитый полководец, князь Петр Иванович Багратион. Я желаю чтобы Вы носили славное имя и нахожу Вас достойными носить его, так как Вы оба отлично служите. Пусть все видят на Вас самих, что в Вашем роде военная доблесть не оскудевает». После этих лестных слов государя, князья стали именоваться Багратион-Имеретинскими.

Последней должностью Дмитрия Георгиевича Багратион-Имеретинского было командование второй легкой конной дивизией.

При осмотре находящихся под его командованием военных соединений он 105 раз был почтен императорской милостью.

Он скончался в 1845 году в возрасте 46 лет. Похоронен он был в Александро-Невской лавре.

Второй, старший брат Александр Георгиевич тоже пользовался заслуженным авторитетом в правительственных кругах.

Пользуясь большим доверием императора, он служил в его свите.

В начале 1840-х годов он стал генерал-адъютантом и командовал дивизией.

Скончался он в 1862 году и также был похоронен в Александро-Невской лавре.

О большой заслуге братьев перед империей свидетельствует и то, что они были похоронены в Александро-Невской лавре на Лазаревском кладбище, где хоронили самых широко известных лиц России.

Подробно освещена деятельность Александра Константиновича Багратион-Имеретинского (1837—1900 гг.), крупного военного и административного деятеля царской России.

Окончив Пажеский корпус, с 1855 года он стремительно продвигается по военной службе, затем в 1862 году оканчивает Академию генерального штаба, начинает службу в воинских частях, расположенных в Польше. Здесь он дослужился до должности начальника штаба Варшавского военного округа в чине генерал-майора.

А. К. Багратион-Имеретинский принял деятельное участие в Русско-турецкой войне 1877—1878 гг. на Балканском театре военных действий. Он осуществил умелое форсирование войсками р. Дуная, воевал у Плевны и по разработанному им плану русские войска взяли Плевну, Ловчу, Дубняк. За боевые заслуги в этой кампании А. К. Багратион-Имеретинский получил звание генерал-лейтенанта, был награжден орденом св. Георгия и именным золотым оружием. К кон-

ну 1878 года он был назначен начальником штаба действующей армии, а после войны — начальником штаба Санкт-Петербургского военного округа. С 1881 года А. К. Багратион-Имеретинский назначается начальником управления Главного военного суда империи и Главным военным прокурором. С 1892 г. он — член Государственного совета, а с января 1896 года — Варшавский генерал-губернатор и командующий войсками Варшавского военного округа. Здесь полностью раскрылись недюжинные политико-административные способности А. К. Багратиона-Имеретинского, стремившегося приобщить польский народ к России и достигшего в этом значительных успехов.

В книге освещается деятельность многих других представителей рода Багратионов, в том числе Константина Давидовича Багратиона-Имеретинского, Николая Константиновича Багратиона-Имеретинского, Кирилла Александровича Багратиона, племянника П. И. Багратиона — Петра Романовича Багратиона. Последний в течение пяти лет был Тверским губернатором, а с 1870 года — генерал-губернатором всей Прибалтики (Литвы, Латвии, Эстонии). Но не его административная деятельность занимает внимание (хотя в этом он достиг больших успехов и признания), а его научные поиски в области физики и минералогии. Его открытия по физике и минералогии вызвали широкий международный резонанс и принесли ему заслуженную славу.

В книге вопросы поселения и деятельность Багратионов в России освещаются на фоне русско-грузинских отношений, непреходящий, прогрессивный характер которых убедительно выступает и на основе данных настоящей работы.

Отмечая верную самоотверженную службу многих представителей рода Багратионов интересам русского государства, приходим к непременному выводу, что этим они создавали хорошую репутацию грузинскому народу в глазах русской правящей верхушки и вообще русской общественности; способствовали дальнейшему сближению русского и грузинского народов, укреплению их дружбы.

Книга иллюстрирована. В ней печатаются 19 портретов наиболее выдающихся представителей рода Багратионов в России и их ближайшего окружения. Часть этих портретов либо неизвестна вовсе, либо малоизвестна широкой публике.

საძიებლები

სახელთა

ა

აბა მელიქი (სვიმონ აღა) დავით გიორგი XII-ის ძის სიმაღრი 216
აბაშიძე ანასტასია (კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის პირველი ცოლი) 140
აბაშიძე თამარ ლევანის ასული (ალექსანდრე V-ის მეორე ცოლი) 131
აბაშიძე ლევან 131
აბაშიძე მაქსიმე 132, 133
აბრამიშვილი ანდრია 166, 167, 176, 178
აბულაძე ივანე 233
ავალიშვილი გიორგი 195, 213, 220
ავგუსტ II 26, 28
ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 4,9. 10, 15-18, 20, 21, 23, 33, 37, 38
ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 223, 240, 261, 262, 293, 295, 301
ალექსანდრე (კახეთის მეფე) 3
ალექსანდრე ბაქარის ძე 9
ალექსანდრე დიმიტრის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 236, 261, 301, 302
ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 5, 232, 257-261, 294, 302, 303
ალექსანდრე II (იმპერატორი) 5, 275
ალექსანდრე III (იმპერატორი) 5, 10, 15
ალექსანდრე V (სოლომონ I-ის მამა) 130, 131
ალექსანდრე ნიკოლოზის ძე 254
ალექსანდრე I (იმპერატორი) 57, 62, 66, 71-76, 83, 85, 88, 90, 93, 95, 99, 101, 108, 111, 117, 141, 156, 163, 170, 175, 180, 184, 218, 220, 222, 229, 232 233.
ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე 151
ალექსანდრე სოლომონ I-ის ძე (ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარის ფუძემდებელი) 131, 139, 232
ალექსი-მესხიშვილი ეფრემ 267
ამილახვარი ოთარ 116, 207, 211, 215
ამილახვარი ელენე ოთარის ასული 216
ანა ალექსანდრეს ასული (პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის ცოლი) 286
ანა დენისის ასული ლოპეს-დე-სილვა (კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის მეორე ცოლი) 140
ანა მათეს ასული ყაფლანიშვილი (იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის ცოლი) 7, 135, 136, 184, 247, 262, 290, 302
ანა პავლეს ასული კუტაისოვა (იოანე-ოქროპირ-გიორგი XII-ის ძის ცოლი) 181
ანა სიმონის ასული ივანოვა (რომან ივანეს ძე ბაგრატიონის ცოლი) 265
ანდრონიკაშვილი ზაზა 221
ანდუყაფარი 168
ანთელავა, ირაკლი 41
არაკჩეევი 90, 96, 100, 101, 230
არჩილ გიორგის ძე (სოლომონ II-ის მამა) 131
ანსილიონი 228
ასათიანი ლ. 288
აღა-მაჰმად-ხანი 148, 191—193
ახობაძე მ. 60

ბ

ბაბა-ხანი 212
ბაგოვუტი 77, 79
ბაგრატიონები 6, 181, 259, 305
ბაგრატიონი ა. (პოდპორუჩიკი, პეტრე ბაგრატიონის ნათესავი) 87
ბაგრატიონი ალექსანდრე ბაგრატის ძე 301—303
ბაგრატიონი ალექსანდრე ერეკლე II-ის ძე 131, 143—145, 154, 179—202, 211—213, 216, 218, 248
ბაგრატიონი ალექსანდრე იესეს ძე 288
ბაგრატიონი ანა ალექსანდრეს ასული (პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის მამიდა. თავად ბ. გოლიცინის ცოლი), 41, 43, 55, 108, 269
ბაგრატიონი ანა გიორგი XII-ის ასული (თავად აბაშიძის ცოლი) 181
ბაგრატიონი ანა რომანის ასული 265
ბაგრატიონი ანტონ (კათალიკოსი) ერეკლე II-ის ძე 134, 204
ბაგრატიონი არჩილ ვახტანგ V-ის ძე 4, 9, 11, 15, 18, 34, 36
ბაგრატიონი ბაგრატ გიორგი XII-ის ძე 5, 6, 41, 119, 121, 129, 133, 134, 136, 142, 155, 163, 167, 168, 180, 191, 195, 197, 200—202, 216, 217, 221, 223, 226
ბაგრატიონი გაიანე გიორგი XII-ის ასული 162, 172, 191
ბაგრატიონი გიორგი XII, ერეკლე II-ის ძე (საქართველოს უკანასკნელი მეფე) 6 141, 144, 145, 156, 162, 163, 167, 170, 185, 187, 190—199, 206, 209, 211—214, 224, 228, 233, 247, 260, 262, 304
ბაგრატიონი გიორგი ოქროპირის ძე 301—303
ბაგრატიონი გრიგოლ ილიას ძე 301—303
ბაგრატიონი დავით ბაგრატის ძე 303
ბაგრატიონი დავით გიორგი XII-ის ძე (საქართველოს მმართველი) 6, 108, 133, 191—198, 200—208, 211—219, 223—228, 231, 260, 304
ბაგრატიონი ეკატერინა პეტრე რომანის ძის ასული 286
ბაგრატიონი ელენე ფარნაოზის ასული 299
ბაგრატიონი ვახტანგ (ალმას-ხან) ერეკლე II-ის ძე 200—202, 207, 208, 217, 224
ბაგრატიონი თამარ გიორგი XII ასული 177, 181, 183, 184
ბაგრატიონი თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე 154, 193, 200, 290, 291
ბაგრატიონი იესე ლეონის ძე 228
ბაგრატიონი ივანე რომანის ძე 265
ბაგრატიონი ილია გიორგი XII-ის ძე 176, 179, 181, 182
ბაგრატიონი იოანე გრიგოლის ძე 298, 301—304
ბაგრატიონი იოანე (ოქროპირი) გიორგი XII-ის ძე 179, 182, 191, 193, 200—202, 213, 218, 304
ბაგრატიონი ირაკლი ალექსანდრეს ძე 248, 263, 295, 297—304
ბაგრატიონი ირაკლი გიორგი XII-ის ძე 171, 173, 176, 181, 182, 196, 197, 200, 203, 205
ბაგრატიონ-იმერეტინსკები 131, 181, 291, 292, 305
ბაგრატიონი იულონ ერეკლე II-ის ძე 142, 155, 164, 194, 197, 200—204
ბაგრატიონი კირილე ალექსანდრეს ძე 288, 299
ბაგრატიონი მირიან ერეკლე II-ის ძე 5, 149, 200, 207
ბაგრატიონი მიხეილ გიორგი XII-ის ძე 6, 175, 179, 180—182, 200, 278, 291, 293, 296—303
ბაგრატიონი ნინა გიორგი XII-ის ასული 191
ბაგრატიონი ნიკოლოზ ილიას ძე 301—303
ბაგრატიონი პავლე ოქროპირის ძე 301—303
ბაგრატიონი პეტრე ივანეს ძე 41—45, 47—50, 52—58, 59—62, 64—72, 74 76—81, 83, 104, 107
ბაგრატიონი პეტრე რომანის ძე 265, 266, 268—273, 275—280
ბაგრატიონი რიფსიმე გიორგი XII-ის ასული 162, 173
ბაგრატიონი რომან (რევაზ) ივანეს ძე 116, 117, 265, 266
ბაგრატიონი სალომე ფარნაოზის ასული 299

ბაგრატიონი ფარნაოზი ერეკლე II-ის ძე 142, 155, 164, 299, 301
ბაგრატ IV 10
ბალაშოვი 53, 54
ბალაშოვი ა. 111, 117
ბარათაშვილი გიორგი 204
ბარათაშვილი ზაალ 225
(ბარათაშვილი) იესე ოსეს ძე 132
ბარათაშვილი მელიტონ 268
ბარათაშვილი ნიკოლოზ 267, 268
ბარამიძე ალექსანდრე 14
ბარიატინსკი ა. 249, 250, 263, 293, 298
ბარკლაი-დე-ტოლი 77, 80, 91, 104, 107—111, 113, 117
ბებუთოვი 190
ბეკლეშევი 68
ბელინსკი ბ. 291
ბენიგსენი 74—84, 107, 117
ბეჟანი (მარიამ გიორგი XII-ის მეუღლის თანმხლები რუსეთში) 178
ბერგი 250
ბერეიტერი 64
ბერნადოტი 73, 77, 78, 81
ბერტიე 77
ბერძენიშვილი ნიკოლოზ 14
ბერძნიშვილი მაქსიმე 146, 155, 156, 194, 228
ბუტურლინი ივანე 29, 30, 31
ბუხი ლეოპოლდ 280
ბლუდოვი 247
ბოგდანოვიჩი მ. 61, 77, 81, 82, 88, 89, 95—101, 103—106, 109, 110, 112 118
ბოგოლიუბოვი ვ. 92, 93
ბოლატოვი 108
ბორისოვი ს. 61
ბრიუსი იაკობ 38
ბროსე მარი 11, 15, 17, 34
ბულგაკოვი ა. 70
ბულგაკოვი ი. 69, 70, 93
ბუქსგევდენი 58, 59, 61, 75, 76, 88—90
ბუტკოვი ნ. 166
ბუტკოვი პეტრე 133, 143, 148, 153, 116 193, 197, 199, 216—218, 293
ბუტურლინი ივანე 29, 30, 32
ბუხი ლეოპოლდ 280

გაბაშვილი ბესიკ 132
გაბაშვილი სიმონ 225
გასეიანი გერონტი 3
გაწერელია აკაკი 148, 163, 167
გიორგი ალექსანდრეს ძე (სოლომონ I-ის შვილიშვილი) 261
გიორგი გიორგის ძე (დავით გიორგის ძის მამა) 130
გიორგი XI 10, 11, 14, 15, 17
გიქდაეაშვილი ზურაბ 163
გიუბუში 103
გიურჯიზადე 9
გიურჯიოღლი 9
გლიკერია ელიზბარის ასული დავითაშვილი (ალექსანდრე არჩილის ძის მეორე ცოლი) 17
გლინკა თ. 280—282
გოგელი 190
გოვოროვი ი. 120, 122
გოლარტი 28
გოლიცინი ა. 14, 18, 37
გოლიცინი ანდრეი 41
გოლიცინი ბ. 122, 123, 127
გოლიცინი ვ. 14
გოლიცინი მ. 105
გოლიცინი ნ. 108, 112, 124
გოლიცინი ს. 186
გოლოვინი ა. 273
გოლოვინი ავტონომ 27, 29, 30
გოლოვინი თ. 18, 20, 28, 30, 33
გოლოვინი ივანე ალექსანდრეს ძე 18
გოლოვინი ივანე მიხეილის ძე 18
გოლუბევი ს. 71
გოლუბევი ფ. 102
გორჩაკოვი ა. 109, 117
გორჩაკოვი პირველი 88
გოსიკიშვილი შალვა გიორგის ძე 3
გონიკიშვილი მიხეილ 5, 81, 134, 255
გოშკე იოჰან 23
გრაბოვსკი 74
გრიბანოვი ვ. 50—53, 56, 64, 70—72, 74, 76, 78, 82—84, 94—99, 101, 106, 112, 113, 117
გრიბოედოვი ალექსანდრე 265, 266
გრიგოლისშვილი იოანე 10
გრუზინსკები 9

გუდოვიჩი 179
გულიაკოვი 201, 202, 224, 296—300, 304, 305
გულევიჩი ნიკოლოზ 263, 293
გულქანა ბერი წულუკიძის ასული (სოლომონ I-ის მეორე ცოლი) 131
გუმორტი 28
გურიელი მამია 131
გუსტავ ადოლფი 90
გუსტავ გიცე 225

დ

დადიანები 6
დადიანი ბეჟან 133
დადიანი გრიგოლ (ოდიშის მთავარი) 133
დადიანი ოტია (სამეგრელოს მთავარი) 131
დადიანი ს. 39
დავიდოვი დენის 74, 76, 78, 79, 81, 85, 88, 89, 115, 116, 124
დავით გიორგის ძე (იმერეთის მეფე) 129—131, 232, 247, 261, 262
დავით არჩილის ძე 13, 39
დავით IV 132
დავით რექტორი 227, 231
დავითი (სოლომონ I-ის უკანონო შვილი) 131
დალბერგი 19
დარეჯან არჩილის ასული 9, 39, 40
დარეჯან დედოფალი (ერეკლე II-ის ცოლი) 7, 141—149, 152, 155, 194, 197, 199—204, 211, 213, 216, 222, 232, 262, 290, 302
დარეჯან (სოლომონ I-ის ასული) 131
დაშკოვი ე. 15
დე-კრუი 28—30, 32
დარფელდენი 289
დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 232—238, 241, 245, 261
დიმიტრი დიმიტრის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 236, 240, 261, 301, 302
დიმიტრი ვახტანგის ძე 151
დიმიტრი (პეტრე რომანის ძე, ბაგრატიონის შვილი) 286
დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 295
დიუპონი ს. 106
დობროვოლსკი 252
დოდაშვილი სოლომონ 267
დოლგორუკი იაკობ 29, 30, 37
დოლგორუკი პ. 63
დოლგორუკოვები 66, 69
დოლგორუკოვი 51
დოხტუროვი დ. 117
დუბოვინი ნ. 166, 170
დუმბაძე მამია 220, 221

ე

ეგნატე ონისიმეს ძე (მთავარდიაკვანი) 216
ედილაშვილი 170
ეკატერინე ვასილის ასული (სკავორნსკაია იგივე გრაფინია ლიტა პეტრე ბაგრატიონის სიდედრი) 52, 54
ეკატერინე II 51, 65
ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია-ბაგრატიონი 51, 70, 71, 86, 87, 92, 93, 94, 95, 123
ელენე (ტერ სიმონა აბა მელიქის ასული) დავით გიორგი XII-ის ძის ცოლი 266
ელიზავეტა ალექსის ასული 95
ელიზბარაშვილი გიორგი 225
ელიზბარი (ქსნის ერისთავი) 132
ენიკოლოფოვი კარასმან 225
ერეკლე II 4—7, 132, 134, 141, 143, 146—148, 150, 155, 191, 193—195, 197, 200, 201, 207—209, 210, 212—214, 218, 260, 262, 303
ერეკლე I (ნაზარ-ალი-ხანი) 16, 17
ერმოლოვი 86, 166, 183
ესაძე ს. 32, 34, 38
ესენ მესამე 98

ვ

ვალუევა 69
ვასილი მიხეილის ძე (დიაკი) 13
ვახტანგ VI 41, 57
ვახტანგ V 10, 11
ვახუშტი ბაგრატიონი 9
ვეიდე ა. 27, 29, 30, 32

ვეიროტერი 64
ვიაზმიტიანოვი ს. 117
ვილე ი. 64, 120
ვილსონი 118
ვინიუსი ანდრეი 24, 38
ვინცენგეროდი 6
ვიტტე 235
ვოზნიცინი პრ. 18
ვოლკონსკი ფედულ 13
ვოლტერი 228
ვორონცოვი 185
ვორონცოვი ელიზავეტა 190
ვორონცოვი ვ. 24

ზ

ზაკრევსკი ა. 186
ზასი კ. 244
ზუბოვი ნატალია 51

თ

თათულა (ექიმი) 149, 171, 173
თამარი (იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის ასული, გურიის ერისთავის ცოლი) 135
თამარი (მამია გურიელის ასული, პირველად გიორგი ლიპარიტის ცოლი, შემდეგ გიორგი VI-ის მეორე ცოლი) 131
თარხნიშვილი სოლომონ 221
თევდორე ალექსის ძე (რომანოვი) 10, 11, 13
თევდორე მიხეილის ძე 243
თეიმურაზ I 16
თეკლა ერეკლე II-ის შვილი 146, 150
თოგოშვილი გიორგი I
თუმანიშვილი დიმიტრი 225
თუმანიშვილი მანუჩარ 193

ი

იაკიმოვი 165
იაკობი 277, 278
იასეშვილი ნოდარ 14
იერონიმი 111
ივერიისშვილი 9
ივერპულო 9
ივანე ალექსანდრეს ძე (ბაგრატიონი) 41
ივანე ალექსის ძე (რომანოვი) 18
ივანე ბოდბელი 204
ივანე III 3
ივანე რომანის ძე (ბაგრატიონი) 265
ილია-ოღლუ 99
იმერეტინსკები 9
ინგოროყვა პ. 268
იოანე ალექსის ძე (რომანოვი) 11, 13
იოსელიანი ავთანდილ 117
იოსელიანი პლატონ 148, 163, 167, 210—213, 215, 216, 219, 220, 231, 171, 173, 176, 196, 197, 200, 203, 205.
ირანის ყაენი 196
იურკოვსკი 78
იუსტინე (მთავარეპისკოპოსი) 204
იუსტინე (კეისარი) 223
იუსუფ-ფაშა 97

კ

კაზიმირი ფრიდრიხ 16
კაკაბაძე სარგის 132
კალანდაძე ცეცილია 4, 5
კალატოზიშვილი იოსებ 163
კამენსკი მ. 75
კამენსკი ნ. 88, 89, 104, 105
კანდელაკი ა. 276
კარაჩევი 165, 172
კარლ XII 26, 29, 31, 34
კარლ V 24
კაკაკაშვილი 167
კეკელიძე კორნელი 259
კიკვიძე აბელ 135
კირ ადრიანი (რუსეთის არქიეპისკოპოსი) 25
კისტა გერიტა 22
კლინკერი 179
კნორინგი 90, 91, 145, 156, 157, 171, 212, 213, 217, 223, 229
კოვალენსკი 203, 206, 222
კოკშაროვი ნიკოლოზ 279, 280
კოლენკური 106, 112
კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 129, 130, 133, 135, 140, 184, 232, 240, 246, 251, 254, 255, 258, 261, 264, 301, 302

კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 232, 238, 242—246, 249, 261, 301—303
კონსტანტინე პაელეს ძე 62, 71, 85, 106
კონსტანტინოვი 105
კოჩუბეი ვ. 117, 150, 156, 170, 175—177, 179, 223, 225, 299
კრიდნერი 251, 255
კრიპოვი 165
კულნევი 91
კურაკინი ა. 72, 85, 87, 94, 95, 105, 106
კუტუზოვი მიხეილ 51, 58, 61, 66, 68, 96, 105, 107, 109

ლ

ლავრენტი (არქიმანდრიტი) 15
ლაზარევი 143, 150, 157, 164, 169—174, 177, 182—184, 195, 201—204, 206, 208, 211—213, 215, 217, 219
ლაისტი არტურ 148, 194
ლანგე 31
ლანი 64, 73, 75
ლანსკოი სერგეი 247, 301
ლანჟერონი 66, 98
ლეიხტენბერგი მაქსიმილიან 269—171 279, 280
ლენცი ე. 276
ლეონტიევი 177
ლეფორტი ფრ. 18, 20, 21
ლიბიხი 276
ლივენი 47
ლინსტა როგე 22
ლიპარიტი გიორგი 131
ლიონიძე სოლომონ 204
ლობანოვი 85
ლოვჩიკოვი სტეფანე 14
ლომონოსოვი 47
ლომოური თამარ 5, 6, 41
ლოპუხინი პ. 117
ლორისტონი 106, 109

მაგომა მანსურ 44
მაკარი (არქიმანდრიტი 10
მაკი 58
მალოზემოვი ალექსანდრე 295, 299, 300
მამუკა (მათე) არჩილის ძე 14, 15, 17, 38, 39
მარია თევდორეს ასული (იმპერატორ პავლე I-ის ცოლი) 53, 65, 85, 94, 95, 105, 123, 175
მარია ნიკოლოზის ასული (ლეიხტენბერგის მეუღლე) 270
მარიამ ბექანის ასული დადიანი (ალექსანდრე V-ის პირველი ცოლი) 131
მარიამ დედოფალი (გიორგი XII-ის მეორე ცოლი) 7, 141, 143, 156, 157, 161, 170, 175, 17, 180, 182, 183, 195, 200, 204, 222, 233, 247, 262, 290, 302, 303
მარიამ ისაკის ასული (ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლი) 146
მარიამ კაციას ასული (სოლომონ II-ის ცოლი) 7, 185, 262, 290
მარიამ ოტიას ასული დადიანი (სოლომონ I-ის პირველი ცოლი) 131
მარიამ სოლომონ I-ის ასული 131
მარკოვი 77, 79
მაქსიმილიან II 24
მეგრელიძე შამშე 7, 45, 48, 49, 55, 74, 76, 89, 116, 250, 257
მენშიკოვი 28
მერეჟკოვსკი დ. 29, 30
მერფელდი 59
მეუნარგია იონა 267, 269
მეჯლუმი მელიქ 191
მზეხათუნა (იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის ასული, თავად სვიმონ წერეთლის ცოლი) 135
მილერი ფ. 284
მილორადოვიჩი 59, 98
მილოსლავსკაია ფეოდოსია ივანეს ასული (ალექსანდრე არჩილის ძის პირველი ცოლი) 9, 15, 32
მიურატი იოაქიმ 59, 61, 62, 73, 79
მიცკევიჩი 257
მიხეილ პაელეს ძე 236, 237

მონტესკიე 228
მოროზოვი 24
მორტიე 59, 112
მოსე (მარიამ დედოფლის მსახური) 170
მურავიოვი მ. 258, 259
მურავიოვი (რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი) 301
მუტრაბა იოსებ 225
მუხრან-ბატონი 204

ნ

ნაკაშიძე ნოდარ 59, 61, 62, 72, 74, 78, 80, 87, 98, 100, 103
ნანსუტი 64
ნაპოლეონი 58, 62, 65, 70—77, 80, 82, 87, 105, 226
ნარიშკინა მარია 66, 74, 81, 84
ნარიშკინა ს. 66
ნარიშკინი სიმონ 18
ნატალია კირილეს ასული (დედოფალი) 18
ნეი 73
ნელიდინსკაია 69
ნეპოკოინიცკი ა. 225
ნერსესოვი 226
ნესელროდე 109, 166, 183, 184
ნიკიფორე (ბერ-მონაზონი) 225
ნიკოლაევი 14
ნიკოლაოზი (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) 15
ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 6, 7, 131, 136, 140, 155, 203, 232, 235, 236, 243, 244, 258. 266—264, 290, 293, 294, 296—298, 301—303
ნიკოლოზ I 232, 233, 238, 240, 243, 269, 271
ნინა (გიორგი XII-ის ასული) 191
ნინა (სამეგრელოს მმართველი) 8, 262, 290

ო

ობოლენსკაია ანასტასია გრიგოლის ასული (ილია გიორგი XII-ის ძის ცოლი) 181
ობოლენსკი გრიგოლ 181
ოლრი 66
ომარ-ხანი 201, 211—213
ონისიმოვი ზაქარია 225
ოჟერო 73, 80
ორბელიანი ასლან (მარიამ დედოფლის-სიძე) 168, 170, 171
ორბელიანი დიმიტრი 173
ორბელიანი ვახტანგ 151
ორბელიანი თამაზ 211
ორბელიანი იოანე 204, 206, 221
ორბელიანი პეტრე 153
ორლოვი 180, 181
ოსმან-ფაშა 250—255
ოსტერმანი 79
ოსტოლოპოვი ნიკოლოზ 123
ოფროსიმოვი ა. 87

პ

პაულე I 3, 46, 48, 50, 51, 53, 55—56, 65, 71, 86, 139, 170, 174, 175, 195, 200, 202, 203, 213, 217, 218
პავნუტი (მღვდელმთავარი) 182—184
პაიჭაძე გიორგი 4
პარენსოვი 252
პარკაძე ვახტანგ 265, 270, 271, 276, 280, 287
პელევინი ანდრეი 104
პეროვსკი ა. 181
პეტინი 269, 272
პეტრე I 4, 9—11, 13, 18—21, 25, 42
პიერი 42
პიპერი 30, 37
პლატონოვი 98—100
პოზდნევი 47
პოტაპოვი ა. 275, 285
პოტიომკინი გრიგოლ 41, 51
პოტიომკინი პ. 44
პრეშებიშევსკი 67
პროზოროვსკი 95—97
პროტოპოპოვი 168
პუშკინი ალექსანდრე 29
პუშკინი თ. 169

ჟ

ჟუკოვსკი ვ. 124

რ

რაევსკი 112
რენშელდი 37
რეპნინი ა. 27
რიდერომი გ. 32
რიფათ-ფაშა 252
როგავა აპოლონ 228
როდამი (გიორგი VI-ის პირველი ცოლი) 131
როზენბერგი 48
როკოსოვსკი კ. 126, 127
რომოდანოვსკი 23
როსტოვი 78
როსტომი 135
როსტოპჩინი ფ. 116, 117, 120
როტიერი 166
რუმიანცევი 101, 103, 109
რუხაძე ტრიფონ 228

ს

სააკაძე (მაიორი, თბილისის კომენდანტი) 165, 166, 168
სალაგოვი (სალაღაშვილი) 93, 102
სალტანოვი ივანე 15
სალტიკოვი 110, 117
სენ-პრი 74, 87
სერბინოვები 296
სერგიევი 296
სერიურიე 47
სიდამონოვი ნინია 225
სიროტინინი იაგორ 249
სიული 24
სიხარულიძე ფრიდონ 10
სკობოლევი 251, 252, 255
სკავრონსკი პაველ (პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის სიმამრი) 53—55, 57
სოკოლოვი ა. 135
სოლაღაშვილი ბეჟან 36
სოლომონ II 132, 133, 135, 216, 233, 247, 261, 262
სოლომონ I 129, 130, 132, 261
სოფიო (გიორგი XII-ის ასული) 162, 191
სტეფანოვი ნიკოლოზ 56
სტირნდალი 31
სტრახოვა ეკატერინე სერგის ასული (კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის მესამე ცოლი) 247, 248, 294
სტროგანოვი ა. 56
სტროინოვსკაია ოლღა ვალერიანის ასული (დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის მეუღლე) 240, 241
სუვოროვი ა. 44—47, 49, 50, 56, 61, 65, 68, 70, 76, 89, 112, 123—124
სულეიმან-ფაშა 252
სულტა 73, 80
სურგუნოვი (სურგუნაშვილი) კ. 165, 174, 183

ურიკოვი 165, 166

ტ

ტარლე ე. 58, 63, 70, 73—75, 84, 88, 117, 120
ტატიშვილი ვლადიმერ 14, 15, 39, 40
ტატიშჩევი 216
ტაუბე 29
ტევრიტინოვი 87
ტიტოვი ე. 15
ტოლოჩანოვი ს. 15
ტორმასოვი ა. 109, 111, 117
ტოლსტოი ლ. 67
ტოტლებენი ე. 254
ტრუბეცკოი ვ. 29, 30, 32, 37
ტრუბეცკოი ი. 104
ტუჩკოვი 88, 166—169, 171

უ

უბრი პ. 72
უვაროვი თ. 68
უმიანცოვი 152
უსტრიალოვი ნ. 10, 23, 25—27, 31—32, 34, 36—37

ფ

ფალავანდიშვილი ელიაზარ 213, 220
ფალავანდიშვილი იესე 269
ფალავანდიშვილი ნიკოლოზ 268
ფამინცინი დ. 104, 108
ფილარეტი (მიტროპოლიტი) 186
ფილიპე (პატრი) 171
ფორესტიე 279
ფრანცი (ავსტრიის იმპერატორი) 62, 63, 65, 94
ფრიდრიხ დიდი 194
ფრიდრიხ-ვილჰელმ III 73
ფრიდრიხ III 19—21, 24, 26
ფულე III
ფუქსი 50

ქ

ქეთევან ანდრონიკაშვილი (გიორგი XII-ის პირველი ცოლი) 191
ქეთევან დედოფალი (მეფე არჩილის ცოლი) 40
ქეთევან (გიორგი XII-ის ასული) 191

ყ

ყარა-გიორგი 102
ყარაევი ივანე 250
ყილჩიყო-მირზა 17
ყიფიანი დიმიტი 267

შ

შავხელაშვილი აბრამ 1
შამილი 249, 292
შამშე (ქსნის ერისთავი) 131
შარლოტა სოფიო 30
შერემეტევი 28
შერვაშიძე (აფხაზეთის მთავარი) 131
შერვაშიძე ამირან 6, 46, 48, 50—52, 54, 113
შვარცი 181
შიოშვილი ბეჟან 14
შოშიტა (რაჭის ერისთავი) 131
21. მახვილ გონიკაშვილი
შტეიტნერ-ფონშტერნფელდი 21
შტელინი იაკობ 18
შუბინსკი პ. 133
შუვალოვი პ. 91

ჩ

ჩარტორიისკი ა. 66, 155
ჩეოდაევი მ. 186
ჩერნიშოვი 83, 107
ჩეტვერტინსკი ბ. 66
ჩიტაუ მათე 233
ჩოლოყაშვილი 199
ჩოლოყაშვილი გ. 153
ჩუბინაშვილი ნ. 186
ჩხეიძე 166

ც

ცაგარელი ალ. 220
ცინცაძე იასე 191, 193
ციციანოვი (ციციშვილი პ.) 141-144 166, 168, 170, 171, 174, 178—180, 203, 222—225
ციციშვილები 6
ციციშვილი გიორგი (მარიამ დედოფლის მამა) 218
ციციშვილი პაპუნა (პაატა) 157

წ

წერეთელი აკაკი 272
წერეთელი გ. 255, 256
წერეთელი ზურაბ 132
წულუკიძე ბერი 132

ხ

ხავხავაძე ალექსანდრე 183
ხავხავაძე გარსევან 195, 202, 214, 217, 220
ხილაევი (ხილაშვილი) 172
ხიჩინაძე ზაქარია 70

ხ

ხას-ფოლად 11
ხვოსტოვი 51
ხილკოვი 32, 33
ხიმშიაშვილი 70
ხიმშიაშვილი ნიკოლოზ 167, 168, 182
ხმიროვი მ. 10, 16, 18, 23—25, 31, 33, 37
ხოვანსკი ვ. 69
ხოვანსკი ნატალია 69
ხრუსტალიოვსკი 165
ხოსრევ-მეჰმედ-ფაშა 98

ჯ

ჯადუგიშვილი ნ. 9
ჯავახიშვილი ივანე 259
ჯიბრაილ (გაბრიელ) გიორგი XII-ის ძე 179, 180, 184
ჯომარჯიძე 153
ჯორაევი სოლომონ 225

ჰ

ჰოვენი 123

გეოგრაფიული

ა

აბო 89, 90
აველაბარი 173
ავსტრალია 279
ავსტრია 45—49, 58, 64, 65—68, 71, 72, 94, 96, 100, 106, 107
აზია 45, 194
ალანდის კუნძულები 90, 91
ალპები 49
ამერიკა 279
ამიერკავკასია 96, 190
ამსტერდამი 22
ამშტეტენი 59
ანანური 142, 152
ასპერნი 83
ასტრახანი 11, 13, 14, 17, 37, 216
აუსტერლიცი 64—67, 69, 72, 105,
აღმოსავლეთ საქართველო 1, 3, 5, 14, 220, 292, 301—303
ახალციხე 134, 167, 200
აჯიბენი (ციხე-სიმაგრე) 289

ბ

ბაბადაღი (ციხე-სიმაგრე) 97
ბაგრატიონოვსკი 127
ბადენი 271
ბავარია 35, 58, 269, 271, 280
ბაზარჯიკი 288
ბალკანეთი 251, 255, 257
ბალტიის ზღვა 25
ბალტიისპირეთი 275, 285, 286
ბარტენშტეინი 83
ბაქო 179
ბელგოროდი 5, 169, 176—178, 182
ბელგოროდის თემი 25
ბელგრადი 250
ბელორუსია 289
ბენდერი 289
ბერგამი 47
ბერგენი 35
ბერლინი 73
ბერნი 32
ბიერნეობორგი 89
ბილენის მაზრა 258
ბოდბე 213
ბორისოვო 110
ბოროდინო 118, 119, 120, 121, 124, 125
ბორჩალო 200
ბოტნიის ყურე 37, 89, 91
ბრაგელის მთა 49
ბრაილოვი 99
ბრეშე (ციხე-სიმაგრე) 47
ბრუშენი 35
ბულგარეთი 97, 251, 255
ბულონი 58
ბუქარესტი 97, 105

გ

განჯა 196
გატჩინა 52, 55, 57, 86
გაჩინა (ციხე-სიმაგრე) 97, 98
გეორგიევსკი 4, 153
გერმანია 20, 58, 269

გირსოვი (ციხე-სიმაგრე) 98
გლარისი 49, 50
გოლაბრუნი 59, 60
გორი 207, 208, 214, 217
გოფი 79
გროდნო 274, 275, 93, 236
გროსელმაგი 91
გუდამაყარი 216
გურია 129, 134
გურჯაანი 216

დ

დანია 26
დასავლეთ საქართველო 3, 5, 14
დვალეთი 10
დნეპრი 112
დონი 258
დრეზდენი 71
დუბნიაკი 252, 253
დუნაი 97, 99—101, 251—253
დუშეთი 167, 214, 216

ე

ევროპა 10, 18, 25, 39, 45, 56, 103, 106, 194
ეის ყურე 28
ელმა 50
ენსი (მდ.) 59
ენსი (ქალაქი) 38
ესპანეთი 106, 107
ესტლანდია (ესტონეთი) 35, 275, 286
ერევანი 145, 196
ეშმაკის ხიდი 49

ვ

ვალახია 99, 102
ვარშავა 5, 45, 250, 256, 257, 272
ვარშავის საჰერცოგო 107
ვეიმარი 73
ვენა 47, 49, 57, 59, 70, 71, 86, 87, 93
ვენდენი 24
ვერა 173
ვესტფალი 111
ვილნა 109, 111, 274, 275, 285
ვილნოს გუბერნია 98
ვისლა 45
ვისრამი 35
ვიტებსკი 189
ვიტებსკის გუბერნია 274
ვიშაუ (ქალაქი) 62
ვლადიკავკაზი (ორჯონიკიძე) 168
ვლადიმირის გუბერნია 122, 123
ვოლგა 273
ვოლკოვისკი 110
ვოლინი 258
ვოლინის გუბერნია 226, 258, 259
ვორონეჟი 5, 169, 170, 174—177
ვორონეჟის გუბერნია 272
ვსესვიატსკოე 40

თ

თაგაური 164
თავრიზი 145, 146
თბილისი 4, 5, 127, 141, 143, 146, 148, 151, 156, 163, 166, 170, 173, 183, 192, 195, 196, 199, 201, 206, 209, 210, 213, 219, 220, 265, 266
თელავი 199, 212, 217
თერგი (ქალაქი) 10—13, 17, 23
თურქეთი 3—6, 9, 11, 44, 45, 95—98, 104, 105, 132, 229, 233, 250, 251, 253
თუშეთი 256, 260, 271, 288

ი

იაკობშტადტი 37
იამბურგის მაზრა 226
იაროსლავი 104
იბერია 33
იენი 73
იევრია 39
იზმაილი 99, 101
იმერეთი 1, 10, 11, 15, 17, 18, 37—39, 132, 134, 137, 164, 200, 214, 216, 247, 261, 264, 292, 294, 302, 304
ინგლისი 26, 45, 46, 48, 58, 67, 72, 88, 96, 97, 100, 103, 107, 269
იჟერი 35
ირანი 3—6, 11, 146, 196, 260, 263, 289, 295, 303

ირან-ოსმალეთი 3, 4
ისასჩა (ციხე-სიმაგრე) 97
იტალია 47—49, 58, 68, 76, 240
იულიხი 35

კ

კავკაზი (ორჯონიკიძე) 172
კავკასია 3, 44, 96, 122, 133, 145, 146 166, 168, 169, 222, 228, 249, 263, 264, 292, 302
კაზანი 24
კამჩიკი (მდინარე) 235
კარელია 35, 281
კარპატები 63
კასპიის ზღვა 3, 37
კაშები 35
კახეთი 10, 15, 209, 210, 212, 213, 216, 217
კენიგსბერგი 19-21, 81, 82
კიევი 66
კიუსტენჯი 98
კოვენი 274
კოზლოვი 288
კოლობნა 186
კონსტანტინოპოლი 5, 103, 252, 255, 256
კონიანსკოე 47
კოპენჰაგენი 26
კრწანისი 193
კურსკი 177-179
კურსკის გუბერნია 272
კურლანდია (ლატვია) 275, 286

ლ

ლამანში 58
ლანსბერგი 82
ლეკო 47
ლენინგრადი 223, 231
ლიბავა 19
ლისკოვის თემი 25
ლიტვა (ლიფლანდია) 105
ლიტვის (ლიფლანდიის) გუბერნია 51, 57
ლიუნენი 22
ლიფლანდია (ლიტვა) 19, 26, 35, 275, 286
ლოვჩა 252, 253, 255
ლოზანა 32
ლონდონი 58, 276
ლუცკი 111

მ

მათხოჯი 134
მარიუპოლი 289
მარსელი 240
მარტყოფი 216
მეხელნი 23
მ.ხოვრის ციხე-სიმაგრე 181
მინსკი 110, 274
მინსკის გუბერნია 227
მირი 111
მიტავა 19
მიუნხენი 280
მოგილევის გუბერნია 274
მოზდოკი 152, 153, 165, 168, 225
მოლდაველთი 95-98, 102, 104
მოსკოვიი 5, 10, 13, 15, 17, 18, 22, 23, 25, 37, 40, 67, 191, 108, 116, 120, 131, 140, 153, 154, 156, 179, 180, 181, 184, 185, 187, 189, 221, 226, 233, 284, 285, 289
მოსკოვის გუბერნია 226
მუტენი 66, 68, 69
მუხრანი 146-148, 152
მუხურის ციხე-სიმაგრე 134, 135, 232
მცხეთა 167, 187-189, 209, 210, 213

ნ

ნარვა 26-29, 71
ნეაპოლი.53
ნეაპოლის სამეფო 45, 58
ნევა 51, 108
ნემანი 110
ნიკოლაევი 258, 273
ნიკოლსკოე (სოფელი) 18
ნიეგოროდის მაზრა 25
ნიუპაუზენი 19
ნიცა 123
ნიშტადტი 19
ნოვგოროდი 26, 27, 29, 71
ნოვოგრუდოვი 110
ნოვოი (ციხე-სიმაგრე) 48

ო

ოდიში 134
ოლმიუცი 62

ორგანო 17
ოსმალეთი 231
ოტომანის პორტა 99
ოჩაკოვო 44

პ

პაველოვსკი 72, 87, 94, 104, 105
პანიკისი 49
პარიზი 72, 82, 106, 107, 265, 276
პერეკოპი 288
პერმის გუბერნია 273
პეტერჰოფი 51, 53
პეტროზავოდსკი 281
პილაუ 19, 21
პლევნა 251—255
პლოეშტი 25
პოდოლსკის გუბერნია 51
პოდოლსკის მაზრა 226
პოლონეთი 12, 26, 28, 29, 31, 44, 47, 235, 250, 255, 257, 258, 289
პომერანია 35
პორტუგალია 106, 271
პრაღა 45
პრეისიშ-ეილაუ 79—81, 83, 85, 127
პრუსია 19, 20, 24, 26, 31, 36, 72, 73, 82, 106, 107,
პულუტსკი 75, 76

რ

რასევატი 98
რეინი 35
რიგა 19, 26, 37, 285
რომი 47, 283
როსშტოკის უღელტეხილი 49
რქევი 273
რუგოდევო (ნარვა) 31
რუსეთის იმპერია 19, 178, 220, 225, 273
რუსეთი 1, 3, 5, 6, 12, 20, 23, 36; 44, 45, 48, 53, 59, 62, 64, 70—74; 81, 84, 87, 89, 91, 96, 97, 106, 107, 132, 133, 141, 142, 146, 148, 156, 161—164, 178, 195, 196, 214, 229, 233, 247, 250, 253, 255, 257, 260, 264, 271, 288, 292

ს

სალთანოვკა 111
სამხრეთ აფრიკა 279
სან-გოტარდი 49
სანკტ-პეტერბურგი 5, 11, 19, 36, 45, 47, 65, 67, 69, 84—86, 89, 90, 98, 133, 146, 148, 150, 154, 156, 169, 175, 178, 184, 194, 202, 213, 218, 222, 224, 225, 230, 239, 240, 247, 249, 250, 255, 269, 276, 284, 285, 288
სანკტ-პეტერბურგის გუბერნია 226
სარდამი 22
საფრანგეთი 45, 50, 58, 64, 65, 72, 81, 85, 96, 100, 103, 106, 269
საქართველო 1, 3, 16, 37, 40, 116, 137, 143, 144, 148, 156, 163, 164, 177, 178, 184, 190—194, 213, 222, 228, 229, 247, 260, 269, 294, 304
საქსონია 73
სეიდ-აბადი 191
სენ-კლუ 107
სერბია 99, 250
სილისტრია 99, 271
სიმბირსკი 14
სიმი 122—124
სკანდინავია 33
სლობოდო 96
სმოლენსკი 112, 113, 115, 118
სპარსეთი 143, 144, 146, 196, 229
სტარიცა 273
სტოკჰოლმი 31—33, 36, 87, 91

ტ

ტავასტჰუსი 89
ტაძერფორსი 89
ტატარიცა 100
ტერიუშევის თემი 25
ტილზიტი 85, 86, 96, 105
ტორნეო 91
ტორნი 77
ტრავენდალი 26
ტრაპიზონი 9, 133
ტულჩა (ციხე-სიმაგრე) 91
ტურინო 47
ტვერი (კალინინი) 273, 274, 280

ტვერის გუბერნია 273, 280
ტულის გუბერნია 271

უ

უკრაინა 6, 260
უმეო 91
ურალი 270, 279

ფ

ფერდენი 35
ფერდინია 35
ფინეთი 35, 87, 89—91, 104
ფრიდლანდი 84, 85, 105
ფრიდრიხსგამი 91
ფსკოვი 19, 27, 71, 288
ფშავი 163, 168

ქ

ქართლი 10, 14, 39, 132, 134, 209, 210, 214—217, 224
ქართლ-კახეთი 1, 132, 156, 161, 220, 260—264
ქიზიყი 201, 211
ქუთაისი 11, 129, 134
ქუჩუკ-კაინარჯი 132

ყ

ყაზახი 19ა
ყარაბახი 19ი
ყარსი 191, 288
ყიზლარი 41, 44, 127
ყირიმი 271, 288

შ

შავი ზღვა 3, 95
შევარდინო 119
შენგრაბენი 60, 66, 68
შვანდენი 50
შეედეთი (შვეცია) 19, 26, 31, 37, 58—72, 87—90, 107, 270
შვეიცარია 49, 50, 58, 61, 66
შიპკა 252
შკონსი 35
შლეიცი 73
შტეტინი 35
შუმლი 288

ჩ

ჩაქვი 129
ჩრდილო-დასავლეთ კავკასია 96
ჩრდილოეთ კავკასია 42—44

ც

ცარიცყო-ზაიმიშჩევი 118
ციმბირი 33
ცნაიმი 59
ცხაოთი 153

წ

წილკანი 152
წმინდა ელენეს კუნძული 78, 127

ხ

ხარკოვი 271
ხევსურეთი 163

ჯ

ჯიქურაანთკარი 152

ჰ

ჰააგა 271
ჰანოვერი 58
ჰესენი 271
ჰოლანდია 22, 26, 48, 58, 106
ჰოლშტაინის საჰერცოგო 26

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3
ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 9
პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი 41
კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 129
დარეჯან დედოფლის გადასახლება რუსეთში 141
საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ქვრივის გადასახლება რუსეთში 156
დავით ბატონიშვილი 191
დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 232
ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 241
ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 247
ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 259
პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი 265
კირილე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი 283
სპეციალური კომისიის შექმნა რუსეთში დასახლებული ბატონიშვილებისა და მათი შთამომავლობის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 290
რეზიუმე 306
საძიებლები 313

Гоникишвили Михаил Георгиевич

ПОСЕЛЕНИЕ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ БАГРАТИОНОВ В РОССИИ

(На грузинском языке)

გამომცემლობის რედაქტორი ც. თოდუა
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი მ. ხურციძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი გ. გრძელიშვილი.

გადაეცა წარმოებას 16.12.85, ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.5.86,
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 20,5;
პირ. საღებავ-გატარება 20,9; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18;

უე 09357; ტირაჟი 50000; შეკვეთა 3023

ფასი 1 მან. 85 კაპ.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
„მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის, 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი
დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.